

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY
FACULTY OF HUMANITIES
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

შრომათა კრებული

COLLECTION OF THE WORKS

№13

2016

ჩ(უაკ) 902(479.22)(066)

ა-846

წინამდებარე შრომათა კრებულში ქვეყნდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ 2015 წლის 17 ნოემბერს ჩატარებული დიმიტრი მეღვინეთუცესიშვილის დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.

მთავარი რედაქტორი: ელდარ მამისთვალიშვილი

ტომის რედაქტორი: იოსებ ალიმბარაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ოთარ ჯანელიძე

გიორგი მინდიაშვილი

თამარ გოგოლაძე

გიორგი ყაზიშვილი

კორექტურა: თამარ გოგოლაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: გიორგი ყაზიშვილი

On November 17, 2015 the Gori State Teaching University held an interuniversity scientific conference, which was dedicated to the 200th anniversary of Dimitri Meghvinetukhutsesishvili. The scientific conference papers are published in the present conference proceedings.

Editor in Chief: Eldar Mamistvalishvili

Editor of the Volume: Ioseb Alimbarashvili

Editorial Board:

Otar Janelidze

Giorgi Mindiashvili

Tamar Gogoladze

Giorgi Kazishvili

Reviewer: Tamar Gogoladze

Computer Services provided by Giorgi Kazishvili

გამომცემლობა: „ჯეოპრინტი“

თბილისი 2016 წელი

ISSN 1512-4657



დომიტრი მელვინეთხუცესიშვილი

(1815-1874)

შინაარსი სტატიები
CONTENTS Articles

არქეოლოგია-წყაროთმცოდნეობა
Archaeology, Source Studies

- იოსებ ალიმბარაშვილი* – მეღვინეთსუცესიშვილების ნაკვა-
ლევზე 10
Ioseb Alimbarashvili – FOLLOWING THE PATH OF THE
MEGHVINETKHUTSESISHVILIS
- დიმიტრი ახვლედიანი* – ძვ.წ. III-II სს-ის კოლხეთის ისტო-
რიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი 30
Dimitri Akhvlediani – SOME PROBLEMS OF HISTORICAL
GEOGRAPHY OF COLCHIS OF 3RD-2ND CENTURIES BC
- ელენე კავლელაშვილი* – დიმიტრი მეღვინეთსუცესიშვილი
და ვერის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წარწერები 44
Elene Kavlelashvili – DIMITRI MEGVINETKHUTSESISHVI-
LI AND THE INSCRIPTIONS IN VERE VIRGIN CHURCH
- იგორ კეკელია* – სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიის
ზოგიერთი საკითხი ედუარდ აიხვალდის სამოგზაურო ჩანა-
წერებში და თანამედროვე ისტორიოგრაფია 75
Igor Kekelia – SAMEGRELO'S HISTORICAL GEOGRAPHIC
QUESTIONS IN EDVARD EICHWALD'S TRAVELLER'S
NOTES AND MODERN HISTORIOGRAPHY
- ელდარ მამისთვალიშვილი* – ევროპული წერილობითი წყა-
როები საქართველო-ევროპის ურთიერთობისა და იერუსალი-
მელი ქართველების შესახებ (XIII-XV სს.) 109

Eldar Mamistvalishvili – EUROPEAN WRITTEN SOURCES ABOUT GEORGIAN-EGYPTIAN RELATIONS AND ABOUT GEORGIANS FROM JERUSALEM

გიორგი სოსიაშვილი – ასომთავრული წარწერები სოფელ დიციდან 117

Giorgi Sosiashvili – ASOMTAVRULI INSCRIPTIONS FROM THE VILLAGE DITSI

სოფიო კადაგიშვილი – ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებების შესწავლა ისტორიოგრაფიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით ქართულ და დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში 181

Sopio Kadagishvili – HAGIOGRAPHIC STUDIES IN GEORGIAN AND WESTERN SCIENTIFIC LITERATURE SOURCE STUDIES AND HISTORIOGRAPHIC POINT OF VIEW

მაია ჩარკვიანი – ნინო ხოშტარია – პირველი ქართველი არქეოლოგი ქალი 195

Maia Charkviani – NINO KHOSHTARIA - FIRST GEORGIAN WOMAN – ARCHAEOLOGIST

ისტორიოგრაფია-ეთნოგრაფია Historiography, Ethnography

მანუჩარ გუნცაძე – ქართული ჯარის მეთაურობის საკითხი 1920 წლის ოსი ბოლშევიკების აჯანყების დროს (ქართულ ისტორიოგრაფიაში) 206

Manuchar Guntsadze – THE ISSUE OF GEORGIAN COMMAND OFFICER AT THE TIME OF OSSETIAN BOLSHEVIKS REBELLION, 1920 (IN GEORGIAN HISTORIOGRAPHY)

- ზურაბ თარგამაძე** – ისტორია და სოციალური მეცნიერება 218
Zurab Targamadze – HISTORY AND THE SOCIAL SCIENCE
- ირმა კეტხოველი** – გენდერი - ისტორიული ანალიზის მნიშვნელოვანი კატეგორია და საქართველო 237
Irma Ketskhoveli – GENDER – THE MAIN CATEGORY OF THE HISTORICAL ANALYSES AND GEORGIA
- თამილა კოშორიძე** – დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი და ქართული ხალხური დღესასწაული 260
Tamila Koshoridze – DIMITRY MEGVINETUKHUTSESI-SHVILI AND GEORGIAN FOLK FESTIVAL
- დავით მერკვილაძე** – დეკანოზ ბასილ მერკვილაძის შთამომავალთა საოჯახო არქივის მონაცემები 277
David Merkviladze – THE DATA OF FAMILY ARCHIVE OF ARCHPRIEST BASIL MERKVILADZE’S DESCENDANTS
- ალექსანდრე მოსიაშვილი** – კახეთის რკინიგზის 100 წლის-თავის საიუბილეოდ 294
Aleksandre Mosiashvili – FOR 100TH ANNIVERSARY OF KAKHETI RAILWAY STATION
- მარიამ ჩხარტიშვილი** – ახალი დისკურსი მეფე აზოსა და არიან-ქართლის შესახებ 304
Mariam Chkhartishvili – A NEW DISCOURSE ON THE KING AZO AND ARIAN-KARTLI
- ეთერ ცერცვაძე** – ისტორიოგრაფიული პროფილის კვლევები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში 326

Eter Tsertsvadze – RESEARCHES OF HISTORIOGRAPHICAL PROFILE IN THE TRANSACTIONS OF TBILISI STATE UNIVERSITY

ნიკო ჯავახიშვილი – იესე მეფის შთამომავალთა ბრძოლა ქართლის სამეფო ტახტის დასაბრუნებლად (XVIII საუკუნის 30-40-იანი წლები) 337

Niko Javakhishvili – KING IASE DESCENDANT'S FIGHT FOR GETTING BACK THE ROYAL THRONE (30-40 YEARS OF THE XVIII CENTURY)

ლიტერატურა-დრამატურგია
Literature, Dramaturgy

მაია გელიაშვილი – ხელოვანის აბრისის განსხვავებული რაკურსი მიხეილ ჯავახიშვილის ჩანაწერებში
Maia Geliashvili – DIFFERENT ATTITUDE OF ARTIST ABRISI IN THE RECORDS OF MIKHEIL JAVAKHISHVILI 347

თამარ გოგოლაძე – ქართული დრამატურგიისა და თეატრის სათავეებთან 355
Tamar Gololadze – AT THE ORIGINS OF GEORGIAN DRAMATIC COMPOSITION AND THEATER

ლია კარიჭაშვილი – დავით კარიჭაშვილის სამეცნიერო ღვაწლი (ზოგიერთი ასპექტი) 367
Lia Karichashvili – MERITS OF DAVID KARICHASHVILI

ნიკოლოზ ოთინაშვილი – 1432 წლის დაწერილი ხელა მო-
ლარეთუხუცესისა თირის მონასტრისადმი ზოგიერთი ლინგ- 391
ვისტური თავისებურება

Nikoloz Otinashvili – SOME LINGUISTIC PECULIARITIES
WRITTEN BY FINANCIAL MINISTRY TO TIRI MONASTERY
IN 1432

ზურაბ ოქროპირიძე – დეკანოზ იროდიონ ოქროპირიძის
მემუარები 402

Zurab Okropiridze – MEMOIRS OF ARCHPRIEST IRODION
OKROPIRIDZE

ნესტან სულავა – სახისმეტყველებითი ასპექტები „წმ. კონს- 418
ტანტი კახის წამებაში“

Nestan Sulava – SOME SYMBOLIC ASPECTS IN THE “MAR-
TYRDOM OF SAINT KONKSTANTI KAKHI”

ეთერ ქავთარაძე – დიმიტრი მეღვინეთუხუცესი და ქართული
თეატრი 447

Eter Kavtaradze – DIMITRI MEGHVINETUKHUTSESI AND
GEORGIAN THEATRE

მაია შაორშაძე – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი და სამ-
თავნელი მთავარეპისკოპოსი ანტონ გლონისთავისძე (XII ს- 457
ის II-ნახ. – XIII ს-ის 10-იანი წწ.)

Maia Shaorshadze – ANTON GLONISTAVISDZE, MTSIGNO-
BARTUKHUTSESI-CHQONDIDELI AND ARCHBISHOP OF
SAMTAVISI (II HALF OF 12TH CENTURY AND FIRST DE-
CADE OF 13TH CENTURY)

ქეთევან ხითარიშვილი – დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილი,
როგორც ლირიკოსი 489

Ketevan Khitarishvili – DIMITRI MEGHVINETUKHUTSESI-
SHVILI AS LYRICIST

დავით ჯავახიშვილი – ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში მოხ-
სენიებული ბატონიშვილი „ბოგუნის“ იდენტიფიკაციისათვის 496

Davit Javakhishvili – FOR THE IDENTIFICATION OF THE
PRINCESS “BOGUNI” MENTIONED IN THE STORY WRITTEN
BY VAZHA-PHAVELA

მეღვინეთხუცესიშვილების ნაკვალევზე

მეღვინეთხუცესიშვილებმა საქართველოს ისტორიაში შესამჩნევი კვალი დატოვეს. ამ გვარის ფუძის – მეღვინეთხუცესის სახელო საქართველოს სამეფო კარზე ჯერ კიდევ თამარის პერიოდიდან ჩანს¹. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, მის მოვალეობას შეადგენდა ღვინის გადასახადის აკრეფა, ზვრების დამუშავებისას თვალყურის დევნება და სხვ.²

ისტორიულ საბუთებში ქართლში მეღვინეთხუცესიშვილები აქტიურად ჩანან XVII ს. ბოლოდან³.

წინამდებარე სტატიაში ამ ცნობილი გვარის მხოლოდ ორი ოჯახის, კერძოდ, კონსტანტინესა და დიმიტრის, ვასილისა და კონსტანტინეს (კოტეს) ცხოვრება-მოღვაწეობას განვიხილავთ სოფელ ხიდისთავში.

მიზანშეწონილია, ზემოხსენებულ პირებზე საუბარი მათი უშუალო წინაპრებიდან - თომა და პაატა მეღვინეთხუცესიშვილებიდან დავიწყოთ, რომლებიც ერეკლე II-სა და გიორგი

¹ ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 320.

² ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი, ტ. VI, გვ. 321-322.

³ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. № 3135; 10215; 10386; ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 1449, საბ. 1190; ოთხმეზური გიორგი. შიდა ქართლის მცირე სათავადოები (XV-XVII სს.), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999. გვ. 50 და სხვ.

რგი XII-ის კარზე დაახლოვებულნი იყვნენ და მაღალი თანამდებობებიც ეკავათ¹.

სწორედ სამეფო კარისადმი ერთგულების გამო იღებენ თომა და პაატა მელვინეთხუცესიშვილები 1787 წელს, ერეკლე II-საგან წყალობის სახით, 1765 წლის აჯანყების მონაწილე შერისხულთათვის ჩამორთმეულ „ბეთალმან“ 50 დღიურ მიწას სოფ. ხიდისთავში. ისინი ქართლ-კახეთის მეფეს მიწის გარდა თან მოყოლილი ყმების დასახლებასაც სთხოვენ, სამაგიეროდ, მათი „ქვეყნის ხარჯსა“ და სამსახურში ჩაყენების პირობას იძლევიან: „...თქვენგან რომ ყმისა და მამულის წყალობა დაგვემართა, ჩვენი თან გამოყოლილის კაცებისაც ასე წყალობის იმედი გვებძანა: თქვენ იქავ წედისის გარეშემო [ბეთ]თალმანი მამული მოძებნეთო და იმათთვისაც წყალობა დაგვემართებათო. ჩვენი ეს მოხსენება იმან გაგვაბედვინა, რომელიც ერთი-ორი თან გამოყოლილი კაცი გვყავს, თავს შესაფარებელი ადგილი არა აქვსთ და ამისათვის ქვეყნის სამსახურსაც აკლიან და ჩვენთვისაც ურგებელნი არიან. ჳიდისთავის გარეშემო თქვენი [სა]ხასო ბეთალმანი მამულები არის, რომ იქაურის მემკვიდრის მომთაბარისა კაცისაგან ვიცით. ამას გვევდრებით, რომ იმ გამოყოლილის კაცებისთვისაც ერთი საკომლო მამულის წყალობა დაგვემართოს და ბინა მიეცესთ, რომ ან თქენს (sic:) საქვეყნო ხარჯში არ გამოაკლდნენ და ჩვენც გვარგონ რამე“².

¹ იხ: იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი. დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის გენეალოგიისათვის, გივი წულაიას 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2014, გვ. 94-102.

² მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი III, (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება) მასალები შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1953, დოკ. 157; გვ. 214.

ერეკლე მეღვინეთხუციშვილებს ყველა თხოვნას უსრულებს და ხიდისთავის მამასახლისს ავალებს: „...ხიდისთავის მამასახლისო ...მთელი ზომით გაურჩიეთ და მოაბარეთ. ...ორმოცდაათი დღიური უნდა მოუზომოთ და ზომა მისცეთ“.

ასე ხდებიან მეღვინეთხუციშვილები ხიდისთავის მნიშვნელოვანი ნაწილის მფლობელები.

მანამ თომა და პაატა მეღვინეთხუციშვილები დავით, პაატა და ნიკოლოზ ციციშვილების აზნაურები იყვნენ. 1782 წელს ციციშვილებს მეფის წინააღმდეგ ფიცი შეუკრავთ, თვითონაც ხელი მოუწერიათ¹ და მათი აზნაურებისთვის: თომასა და მისი ძმისწულების პაატა და სვიმონ მეღვინეთხუციშვილებისთვისაც „ფიცის წიგნზე“ ხელის მოწერა უბრძანებიათ. თუმცა, მეღვინეთხუციშვილები მეფის საწინააღმდეგო საქმეში არ გარეუღან. *ერთგულების სანაცვლოდ, ერეკ-*

¹ შეთქმულ ციციშვილთაგან ორს ქართლ-კახეთის სამეფო კართან ახლო ნათესაობა აკავშირებდა. დავით ციციშვილი ერეკლეს სიძე (მარია-მის ქმარი) იყო. სიდედრს – დარეჯან დედოფალს მისთვის ბევრი უშლია: „ნუ წახვალ, შფოთი არაქნაო“, მაგრამ ციციშვილებს ფიცზე ხელმოწერები წინასწარ „წიგნით“ დაუდასტურებიათ. თავდაპირველად მოჯანყებებს სახლთუხუცესი ზაქარია ციციშვილი არ მიმხრობია (იმის გამო, რომ იგი ერეკლე II-ის დედინაცვლის ანაზანუმ დედოფლის შვილიშვილი იყო), მაგრამ შეთქმულებს იგი შეუპყრიათ და ერთი კვირა დაბმული ჰყოლიათ. მოგვიანებით ზაქარიაც გადაუდგა მეფეს, ახალციხეში სულეიმან ფაშასთან გაიქცა, ოსმალ-ლეკები იქირავა და ერეკლეს წინააღმდეგ წამოვიდა, მაგრამ ქართლში, სოფ. ყარაღაჯთან იულონ და იოანე ბატონიშვილებთან დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ დავით ციციშვილი ამ დროს უკვე ბატონიშვილების მხარდამხარ იბრძვის, მნიშვნელოვანი წვლილიც შეაქვს გამარჯვებაში და შესაბამის წყალობასაც იღებს (დაწვრ. იხ: ჩვენი სტატია, „ყარაღაჯის (ზედაველას) ბრძოლის თარიღის დადგენისა და შეფასებისათვის“, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა კონფერენციის მასალები, გორი, 22.07.2015).

ლეს ციციშვილებისათვის მეღვინეთხუცესიშვილები „უმამულოდ“ ჩამოურთმევია და სახასოდ დაუჭერია. „ამათთან (იგულისხმებიან მეღვინეთხუცესიშვილები – ი. ა.) ციციშვილებს საბატონემოთ ხელი აღარა აქვსთ, ჩვენი სახასო არისო“, ბრძანებდა ქართლ-კახეთის მეფე¹.

ყმები და მამულები, რომლებიც მეღვინეთხუცესიშვილებს საკუთრივ ჰქონდათ შეძენილი, მათ საკუთრებაში გადმოდიოდა და „ვერცავინ მოუშლიდა“, ხოლო ციციშვილების მიერ ნაწყალობევი ყმა-მამული ციციშვილებსვე რჩებოდათ².

თომა და პაატა მეღვინეთხუცესიშვილებს 50 დღიური მიწის მიღებაზეც არაერთი წინააღმდეგობის გადალახვა და ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ჩივილი მოუხდათ, თუმცა მათთვის ყველაფერი კარგად დამთავრდა და, 1803 წლის ოფიციალური მონაცემებით, ხიდისთავში ყველაზე მეტი ყმა (10 კომლი) სწორედ თომა მეღვინეთხუცესიშვილს ჰყავდა³. თუმცა, მეღვინეთხუცესიშვილს ყმები მარტო ხიდისთავში როდი ჰყოლია. ქართლ-კახეთში რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ, თომა მეღვინეთხუცესიშვილს ციციანოვისადმი წარუდგენია 1788 წლის 19 ნოემბრით დათარიღებული იულონ და ალექსანდრე ბატონიშვილების მიერ ბოძებული და ერეკლეს, დარეჯან დედოფლის, გიორგი, ვახტანგ და მირიან ბატონიშვილების მიერ დამტკიცებული წყალობის სიგელი, რომლითაც სამეფო კარი ერთგულ მოხელეს სოფ. წედისში 14 კომლ გლეხს უწყალობებდა თავის უძრავი ქონებით⁴.

¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. QD, საბ. №420.

² ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. QD, საბ. №420.

³ Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисией т. II. ч. I, Тифл., 1868, გვ. 75; დოკ. №121.

⁴ Акты... т. II., გვ. 1078, დოკ. №2081.

1811 წელს თომა მეღვინეთხუცესიშვილს ქართლ-კახეთის მეფისაგან ბოძებული მიწები კიდევ ერთხელ გაუხდა სადავო, ამჯერად რუსული ხელისუფლების წინაშე.

ცნობილი მხედართმთავარი და ბოროდინოს ბრძოლის გმირი – პეტრე ბაგრატიონი, აღნიშნული წლის 28 მაისს მთავარმართებელ ალექსანდრ ტორმასოვს მიმართავს თხოვნით: „ჩემი და ჩემი ძმების კუთვნილი მამულები, ჩვენი იმპერიის სამსახურში შესვლის გამო გადავიდა სხვა ქართველი ქვეშევრდომების ხელში. მე, როგორც თავად ბაგრატიონთა გვარში უფროსი, თავს ვალდებულად ვთვლი ვიზრუნო ჩვენი საგვარეულოს კუთვნილი მამულების მოძებნისათვისო“¹. ჩამონათვალში სხვა სოფლებთან ერთად დასახელებულია თელეთგორი, გორიჯვარი, წედისი და ხიდისთავი.

ხელისუფლებას, აღნიშნული სოფლების ნამდვილი მფლობელის დადგენის მიზნით, გამოძიება აღმასრულებელი ექსპედიციისათვის მიუხდევია, რომლის მეთაურის – გენერალ-მაიორ სტალის მოხსენებაში ვკითხულობთ: „...მოხსენიებული დასახლებები ნამდვილად იყვნენ თავადების ალექსანდრე და ივანე (პეტრეს მამა – ი. ა.) ბაგრატიონების მფლობელობაში, მაგრამ, როდესაც ეს თავადები გადავიდნენ რუსეთის საზღვრებში ქ. ყიზლარში 60 წლის წინათ, მაშინ ეს დასახლებები დარჩნენ სახელმწიფო განკარგულებაში. შემდეგ მათ ფლობდნენ მეფისწულები იულონი, ალექსანდრე, ფარნაოზი, ხოლო შემდეგ, მეფე ერეკლემ თელეთგორი და გორიჯვარი თავად მეითარ სოლომონ თარხანოვს უწყალობა, ხოლო წედისი მემამულე თომა მეღვინეთხუცესს, ვისი სიკვდილის შემდეგ,

¹ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ЦГИА Грузии, Фонд 8(9), дело 236, л.л. 1-2, შემდეგ, საისტორიო არქივი.

ამას ფლობენ მისი ნათესავები სიმონ და კონსტანტინე მელვინეთუხუცესებიო”¹.

ამასობაში პეტრე ბაგრატიონი ბოროდინოსთან მიღებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა და დაწყებული საქმე მისმა უმცროსმა ძმამ – ალექსანდრემ გააგრძელა, რომელიც იგივე თხოვნით 1813 წლის 8 დეკემბერს გენერალ-ლეიტენანტ რტიშჩევს მიმართავს, რომ 1803-04 წლამდე ხიდისთავი ალექსანდრე ბაგრატიონის მფლობელობაში ყოფილა, მისი რუსეთში წასვლის შემდეგ, სოფლის მართვა მიუნდვია გიორგი თურმანიძისა და მისი ძმისათვის, მაგრამ ისინი 1812 წელს შავი ჭირის ეპიდემიისაგან გარდაცვლილან და სოფელი ხაზინაზე გადასულა².

იმპერიის ტახტის წინაშე ერთგულებისა და დამსახურების მიუხედავად, მთელი ეს ხანგრძლივი პროცესი იმით დასრულდა, რომ 1823 წელს ხელისუფლება ზემოაღნიშნული სოფლების გადაცემაზე ბაგრატიონების თხოვნას არ აკმაყოფილებს. მათ მხოლოდ 10 კომლი გლეხი და 10 ათასი მანეთი ეძლევათ ხაზინიდან³.

თომას ვაჟებმა, სვიმონ და კონსტანტინე მელვინეთუხუცესიშვილებმა წინაპრების დაწყებული საქმე წარმატებით გააგრძელეს და აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქვეყნის თუ სოფლის საჭირობოროტო საკითხებში⁴.

მელვინეთუხუცესიშვილები ხიდისთავში საკუთარ ეკლესიასაც ფლობდნენ. დღეისათვის იგი „ღვინიაანთ საყდრის“ სა-

¹ საისტორიო არქივი, გვ. 7-16.

² საისტორიო არქივი, გვ. 17-18, 26.

³ საისტორიო არქივი, გვ. 44-45, 63, 71, 79-82.

⁴ ხეც, დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი, საბ. 1, 3; გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გიემ), 4850/1; შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950, გვ. 116, 289 და ა. შ.

ხელწოდებითაა შემორჩენილი. მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთით, დაახლ. 3 კილომეტრზე, ადგილ „ღვინიანთეულში“. ეკლესია დარბაზულია, არც-თუ მცირე ზომის (დაახლ. 11X8). ნაგებია რიყის ქვითა და ქართული აგურით. კედლები ნაშენებია ქვით, ხოლო კამარებში, თაღებსა და გადახურვაში აგურია გამოყენებული. შესასვლელები ჰქონია სამხრეთით და დასავლეთით. კედლის მხატვრობის კვალი არ ჩანს. აქვს მცირე სარკმელები ოთხივე მხარეს. ნახევარწრიული აფსიდის სარკმლის ორივე მხარეს თითო მოზრდილი ნიშია. გადახურული იყო ცილინდრული კამარით¹. იგი გვიან ფეოდალური ხანით უნდა თარიღდებოდეს. ალბათ, მასში წირვა არ ტარდებოდა და, შესაბამისად, მრევლიც არ ჰყავდა, რადგან XIX-XX საუკუნის დასაწყისის საეკლესიო დავთრებში იგი მოხსენიებული არ არის.

ვიციო, რომ 1886 წელს ეს ეკლესია უკვე იდგა, სავარაუდოდ, ძველ საძირკველზე. გაზეთ „ივერიის“ ერთი კორესპონდენტის მიხედვით, აღნიშნულ წელს ადგილობრივ გლეხებს - აბაზაშვილებს, ამ ადგილას მიწის თხრისას უპოვიათ ზარი და ჯვარი, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ წერილის ავტორს საჭიროდ მიუჩნევია აღენიშნა: „სასურველი იქნებოდა ჩვენ არქეოლოგ დ. ბაქრაძეს, რომელიც აქაური მემამულე და გავლენიანი მცხოვრებია, ამ ამბისათვის ყურადღება მიექციაო“². „ივერიის“ ინტერესი, ალბათ, იმითაც იყო განპირობებული, რომ დიმიტრი ბაქრაძე მეღვინეთუხუცესის შვილების სიძე (დიმიტრის დის შვილის ქმარი) იყო და მეუღლის საგვარეულო ეკლესიისადმი მეტი ყურადღება მოეთხოვებოდა.

¹ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1990, გვ. 125.

² გაზ. „ივერია“, 01. 05. 1886 წ. №94; გვ. 2.

მიუხედავად სერიოზული დაზიანებისა, ეკლესიის თავდაპირველი ფორმის სრულფასოვანი წარმოდგენა და აღდგენა შესაძლებელია.

ეკლესიის გვერდით არის ასევე დაზიანებული ნაწიწკვილარი. ისიც სიბი ქვით არის ნაგები და საკმაოდ დიდია. ადგილობრივების გამოცემით, წისქვილს ჰქონია დამხმარე ნაგებობებიც (თავლა, ბოსელი), რადგან შორიდან ურმებით დასაფქვავად მოსულებს აქ რამდენიმე დღე უწევდათ ლოდინი¹.

სვიმონის მეღვინეთხუცესიშვილის ვაჟი - ვასილი, აქტიურად იყო ჩართული ხალხოსნურ მოძრაობაში XIX ს. 70-80-იან წლებში. კარგად უკრავდა მუსიკალურ ინსტრუმენტებზე. ამავე დროს იგი გორის სცენისმოყვარეთა წრის წევრიც გახლდათ და ხშირად უწევდა მონაწილეობა ქალაქის მასშტაბით დაგეგმილ ღონისძიებებსა და სტუმართა მიღებებში. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიების შემდეგ, 1882 წელს საკუთარ სახლში მეგობრებთან ერთად მიუწვევია დიდი ქართველი პოეტი - ვაჟა ფშაველა და მათ საპატივსაცემოდ სადილი გაუმართავს. მეგობრების მოთხოვნით აქ წაუკითხავს ვაჟას ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ შესახებ დაწერილი რეფერატი, რომელსაც დამსწრეთა დიდი მოწონება დაუმსახურებია, მათ შორის ყოფილა გორის საოსტატო სემინარიის დირექტორი – დიმიტრი სემიონოვი, რომელსაც ქართველები სადმი ლოიალური დამოკიდებულების გამო, სასწავლებლიდან გაწვევას უპირებდნენ².

ვასილ მეღვინეთხუცესიშვილის მუსიკალური ტრადიციები წარმატებით გააგრძელა მისმა ვაჟმა, თბილისის სახელმ-

¹ ეს ამბავი 85 წლის ადგილობრივ მოსახლეს - შოთა კვიციანიშვილს, პაპისაგან ახსოვს.

² გივი ზორნაული, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, თბ., 2008, გვ. 74-76.

წიფო კონსერვატორიის პროფესორმა *კონსტანტინე ვასილის ძე მეღვინეთხუცესმა (1891-1972)*, რომელიც დაიბადა და სიყმაწვილის წლები გაატარა ხიდისთავში.

დედამისს პროფესიული მუსიკალური განათლება ჰქონდა მიღებული და ფორტეპიანოზე უკრავდა. პირველი გაკვეთილები მუსიკაში კონსტანტინემ ოჯახშივე მიიღო და ვერ კიდევ 8 წლის ასაკში დაეუფლა ამ ინსტრუმენტზე დაკვრას. დედა კონსტანტინეს ადრე გარდაეცვალა და ხიდისთაველმა მართა ხუბულურმა გაზარდა. მალე ოჯახი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად და იგი მალევე გახდა თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, თეატრალური ინსტიტუტის მუსიკის კათედრის გამგე, არაერთი ოპერისა და ბალეტის ავტორი და მუსიკალური გამფორმებელი.

კონსტანტინე მეღვინეთხუცესიშვილს სიცოცხლის ბოლომდე ახსოვდა და პატივს სცემდა მშობლიურ სოფელ ხიდისთავს. 1970 წელს იგი სტუმრად სწევდნა გორში თავის სტუდენტს - ბატონ ვია ხუბულურს და უთხოვია მისთვის ხიდისთავში ბავშვობის ადგილები დაეთვალიერებინა. როგორც ბატონი ვია გადმოგვცემს, თვალზე ცრემლმომდგარი ეფერებოდა ღვაწლმოსილი პროფესორი ბავშვობისდროინდელ ადგილებს, თითოეულ ადამიანსა და სახლს.

ხიდისთავში გაატარა ცხოვრების დიდი ნაწილი და აქვეა დასაფლავებული დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი. მიუხედავად აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისა და ხშირი მოგზაურობისა, იგი არა მარტო ბევრს აკეთებდა მშობლიურ სოფელში სკოლის, ბანკის დაარსების, აუცილებელი ღონისძიებების გატარებისა და ქველმოქმედების მიზნით, არამედ აქტიურადაც წერდა სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე „ივერიაში“, „დროებაში“, „სასოფლო გაზეთში“, „Кавказ“-ში.

დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილისა და მისი სიძის – იოსებ მამაცაშვილის ინიციატივით, მთელს შიდა ქართლში ერთ-ერთი პირველი გახსნილა სკოლა ხიდისთავში 1867 წლის 8 ნოემბერს. დიმიტრის სკოლისათვის საკუთარი სახელი დაუთმია უსასყიდლოდ, სანამ მთავრობა შესაფერის შენობას გამოიჩინებდა¹.

როგორც ცნობილია, 1867 წელს დაიწყო ფოთი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა, რომელსაც ხიდისთავის საერთო ჭალაში, კალოებსა და საბძღებში გაუვლია, რის გამოც, ხელისუფლებას ხიდისთაველებისათვის გარკვეული თანხა გადაუხდია. დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის ინიციატივით, სოფლის მოხელეებს გადაუწყვეტიათ საერთო ფული სოფლის „საზოგადოების ცხოვრების განკეთილებისათვის“ მოეხმარათ და სკოლა, პურის საზოგადო მალაზია და ღვინის მარანი გაემართათ, რათა სოფლის გაჭირვებულ მოსახლეობას ჭირისა და ღვინის სუფურების გასასტუმრებლად ფული „უზომო სარგებელით“ ვალი არ აეღო. ასევე, „ობოლი გამოვზარდოთ, ღარიბი შევინახოთ და მკვდარი დავმარხოთ, უძღურის მოხუცებულისათვის ვიზრუნოთ“, - ნათქვამი იყო განცხადებაში².

სოფლის საჭიროებებისათვის ასევე გათვალისწინებული იყო მოემზადებინათ ოთხი გლეხის შვილი და ორისათვის - დურგლობა, ხოლო ორისათვის - მჭედლობა ესწავლებინათ.

ნათქვამი რომ ქალაქზე არ დარჩენილიყო, საზოგადოების ანგარიშზე პირველი თანხა - „ხუთი თუმანი“ დიმიტრი მელვინეთხუცესისშვილს შეუტანია³.

¹ გაზ. „დროება, 17. 12. 1876 წ. №137, გვ. 2-3.

² ჟურნ. „სასოფლო გაზეთი“, 1868 წ. №17, გვ. 6-7.

³ ჟურნ. „სასოფლო გაზეთი“, 1868 წ. №17, გვ. 6-7.

დიმიტრის მშობლიური სოფლის პრობლემების მოგვარებაში მხარში ედგნენ და აქტიურად ეხმარებოდნენ ახლობლები და ასევე ცნობილი ადამიანები: გენერალ-მაიორი იოსებ ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი და ისტორიკოსი – დიმიტრი ბაქრაძე. შემთხვევითი არ იყო, რომ მთელი თავის ქონება ხიდისთავში მეძვედრეობით მეღვინეთხუცესიშვილმა სწორედ ბაქრაძეს დაუტოვა¹.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს ეკუთვნის ხიდისთავის მთავარი დღესასწაულის „ახალჯვრობის“, სოფელში ახალჯვრის წმ. გიორგის ეკლესიის, თვით ჯვრისა და სხვა სიძველეების აღწერა და ა. შ.

საკუთარ მამულში გადაინადა დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილმა საზეიმო ბანკეტი საქართველოში სტუმრად ჩამოსული აღიარებული მეცნიერის - მარი ბროსეს პატივსაცემად, რომელსაც გორის მაზრის საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები და რუსი ჩინოვნიკები (სულ 66 კაცი) დასწრებიან.

ამ ღონისძიებას მეღვინეთხუცესიშვილმა სპეციალური სტატიაც კი მიუძღვნა ჟურნალ „ცისკარში“².

ცნობილია, რომ მარი ბროსე გორში იმყოფებოდა 1847 წლის 7-დან-12 აპრილამდე. ამ ხნის განმავლობაში დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილმა და ერთად მოინახულეს ატენის, გორიჯვრის, რუისის, ურბნისის, ნიქოზის, ტბეთის, თირის სიძველეები³. გამორიცხული არ არის, რომ ბროსე მო-

¹ იხ: იოსებ ალიმბარაშვილი. ორი დიმიტრი და ხიდისთავი. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნ. „ჩვენი უნივერსიტეტი“, №2(28), თბ., 2015, გვ. 38-41.

² იხ: დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი. სადღილი გორის უეზდის კეთილშობილთ საზოგადოთა, ჟურნ. „ცისკარი“, 1860 წ. აპრილი, №4.

³ იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი. ქართული არქეოლოგიის სათავეებთან (დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი), გორის სახელმწიფო სასწავ-

ცემული დროის განმავლობაში სწორედ დიმიტრის ოჯახში ცხოვრობდა და აქედან ჩაეყარა საფუძველი ერთგულ და ხანგრძლივ მეგობრობას, რომელიც მათი სიცოცხლის ბოლომდე არც შეწყვეტილა.

როგორც დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის ახლობელი და ცნობილი პედაგოგი ქეთევან ჯავახიშვილი¹ გადმოგვცემს, დიმიტრის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ არქეოლოგები: ზეილლიცი, კარგანოვი, გრაფინია უვაროვა, გრაფი სელივანოვი და სხვები, რომლებიც გეგმავენ და ახორციელებდნენ ექსპედიციებს ქართლის ისტორიული ძეგლების შესასწავლად².

მარი ბროსეს რეკომენდაციით, 1852 წლის აგვისტოში დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილმა უმეგ ზურა უფლისციხეში დასათვალისწინებლად მისულ მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვს, გრაფ სოლოგუბს, დოქტორ ანდრეევსკისა და სხვა მაღალჩინოსნებს. უფლისციხეს ვორონცოვზე ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია და მელვინეთხუცესიშვილისათვის დაუგალებია ძეგლის აღწერა და მისთვის წარდგენა. დიმიტრის დავალება სწრაფად შეუსრულებია, შესაბამისი დაფინანსებაც მიუღია და იმავე აგვისტო-სექტემბერში უფლისციხეში არქეოლოგიური გათხრებიც უწარმოებია, მაგრამ მალე გრაფი პეტერბურგს გაიწვიეს და სახსრების უქონლობის გამო, სამუშაოები შეჩერებულა³.

ლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის კრებული №5, თბ., 2014, გვ. 384-385.

¹ ქეთევან ჯავახიშვილი დიმიტრის დის - ნინო მელვინეთხუცესიშვილის (იოსებ მამაცაშვილის მეუღლის) შვილიშვილი იყო.

² გიემ 5944; საბ. 7555, რვეული 3.

³ იოსებ (სოსო) აღიმბარაშვილი. ქართული არქეოლოგიის სათავეებთან, გვ. 387-392.

1874 წლიდან დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილმა სამსახურს თავი მიანება, ცხოვრების დარჩენილი წლები ხიდისთავში გაატარა და მთელი დრო ლიტერატურულ და საზოგადოებრივ საქმიანობას დაუთმო. ამ დროისათვის მას ჯანმრთელობა უკვე საგრძნობლად ჰქონდა შერყეული და დიდხანს აღარ უცოცხლია. გარდაიცვალა 1878 წლის 6 დეკემბერს. სიცოცხლის ბოლო წუთებში მას გვერდიდან არ მოსცილებია მეგობარი და ნათესავი დიმიტრი ბაქრაძე, რომელსაც დაუტოვა კიდევ მთელი თავისი მემკვიდრეობა.

სამწუხაროდ, დღეისათვის მელვინეთხუცესიშვილების მემკვიდრეობა სოფელ ხიდისთავში მთლიანად გამქრალია და მათ ნაფუძარზე სხვები ცხოვრობენ, თუმცა, დოკუმენტებზე დაყრდნობით მათი საცხოვრებლებისა და მამულების ადგილმდებარეობის დადგენა შესაძლებელი ხდება.

სოფ. ხიდისთავში მცხოვრებ ვალერი ტლაშაძის ოჯახში მივაკვლიეთ XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის ერთ საბუთს, რომლის მიხედვით, ვასილ მელვინეთხუცესიშვილს თავისი მიწის (თუ სახლის) ნაწილი მიუყიდა ხიდისთავში დროებით მაცხოვრებელ - ალექსი გაბრიელის ძე ჩხიტაურისათვის, რომელმაც, თავის მხრივ, 1893 წლის 9 მაისს ეს ადგილი 300 მანეთ „ნაღდ ფულად“ მკვიდრ ხიდისთაველ - სოლომონ გოგიას ძე დოლოზაშვილს მიჰყიდა¹. მიუხედავად იმისა, რომ საბუთში არ კონკრეტდება, სვიმონ მელვინეთხუცესიშვილისეული „ალაგი“ ცარიელი მიწაა თუ საც-

¹ საბუთის მოწოდებისათვის მადლიერება გვინდა გამოვხატოთ ბატონ ვალერი ტლაშაძის მისამართით, რომლის მამამ (რევაზ ტლაშაძემ) 1957 წელს დოლოზაშვილებისაგან იყიდა ხსენებული ადგილი და 1893 წელს გაცემული ნასყიდობის სიგელიც ამგვარად მოხვდა ტლაშაძეებთან. ბატონ ვალერიის, ახალი სახლის აშენების მიუხედავად, ასევე ხელუხლებლად დაუტოვია მელვინეთხუცესიშვილისეულ კერაზე აშენებული ძველი ბუხარი.

ხოვრებელი კარ-მიდამო, დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე, ეს უკანასკნელი უნდა მოვიაზროთ, რადგან, ჯერ ერთი, ხსენებული ადგილი სოფლის ცენტრალურ ადგილში მდებარეობს და მეორეც, მეზობლადაც საცხოვრებელი „სახლ-კარები“ ფიქსირდება.

დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის სახლ-კარი ვასილის საცხოვრებელიდან შორს არ უნდა ყოფილიყო. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის პირად საარქივო ფონდში დაცული ერთი საბუთის მიხედვით, მათ სახლებს ერთმანეთისგან მხოლოდ გზა ჰყოფდა¹.

ზემოაღნიშნულისა და სხვა საარქივო დოკუმენტების გათვალისწინებით, შეგვეცადეთ შეგვეკმნა სოფ. ხიდისთავის რუკა მელვინეთხუცესიშვილების საცხოვრებელი ფართისა და მამულების მითითებით.

დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის ნაშრომების დღემდე მოღწეული მემკვიდრეობის ნაწილი ინახება თბილისის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა² და პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, მარი ბროსეს ფონდში³, რომლებიც ჩვენ მიერ დამუშავებული და შესწავლილია.

¹ ხეც, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი, საბ. 1, გვ. 9.

² იხ: ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრი, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი QD - 986, მოიცავს 56 საქმეს.

³ იხ: Институт восточных рукописей Российской академии наук (ИВР РАН), Фонд - Н-78, дело - „Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850“, გვ. 1-280.

დამოწმებანი:

საარქივო მასალა

გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გიემ) 4850/1; 5944; საბ. 7555, რვეული 3.

ეროვნული საისტორიო არქივი, ფ. 1449, საბ. 1190; ფ. 8(9), საქმე 236, გვ. 1-2, 7-18, 26, 44-45, 63, 71, 79-82.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. QD, საბ. №420; ფ. HD, საბ. №3135; 10215; 10386; დიმიტრი მელვინეთსუ-ცესიშვილის პირადი საარქივო ფონდი, საბ. 1, 3.

Институт восточных рукописей Российской академии наук (ИВР РАН), Фонд - Н-78, дело - „Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850“, გვერდები: 63-100; 100-125; 126-130.

პრესა

გაზ. „დროება“, 17. 12. 1876 წ. №137.

გაზ. „ივერია“, 01. 05. 1886 წ. №94.

ჟურნ. „სასოფლო გაზეთი“, 1868 წ. №17, გვ. 6-7.

მელვინეთსუცესიშვილი დიმიტრი. სადილი გორის უეზდის კეთილშობილთ საზოგადოთა, ჟურნ. „ცისკარი“, 1860 წ. აპრილი, №4.

„არ არის დასავიწყებელი დიმიტრი მელვინეთსუცესიშვილი“, იოსებ ალიმბარაშვილის ინტერვიუ მარინე გიგაშვილთან, ჟურნ. „ჩვენი მწერლობა“, 19.09.2014, №19(227), გვ. 28-29.

ლიტერატურა

ალიმბარაშვილი იოსებ. ორი დიმიტრი და ზიდისთავი. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნ. „ჩვენი უნივერსიტეტი“, №2(28), თბ., 2015, გვ. 38-41.

ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). დიმიტრი მელვინეთსუ-ცესიშვილის გენეალოგიისათვის, გივი წულაიას 80 წლისთა-

ვისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2014, გვ. 94-102.

ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). ქართული არქეოლოგიის სათავეებთან (დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის კრებული №5, თბ., 2014.

ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). „ყარაღაჯის (ზედაველას) ბრძოლის თარიღის დადგენისა და შეფასებისათვის“, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა კონფერენციის მასალები, გორი, 22.07.2015.

მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი III, (აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება) მასალები შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1953, დოკ. 157; გვ. 214.

ოთხმეზური გიორგი. შიდა ქართლის მცირე სათავადოები (XV-XVII სს.), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1990.

ჩხეტია შალვა. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950.

ხორნაული გივი. ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, თბ., 2008.

ჯავახიშვილი ივანე. თხზულებანი, ტ. VI, თბ., 1982.

მოგონებები

სოფ. ხიდისთავში მცხოვრები შოთა კვიციანი, 85 წლის.

სოფ. ხიდისთავში მცხოვრები ვალერი ტლაშაძე, 61 წლის.

Ioseb Alimbarashvili
Gori State Teaching University
**FOLLOWING THE PATH OF THE
MEGHVINETKHUTSESISHVILIS
RESUME**

The article describes life and work of well-known public figures - archaeologist, historian and playwright Dimitri Meghvinetkhutsesishvili and a professor at Tbilisi Conservatory, head on Music Department of Theatre Institute Konstantine Meghvinetkhutsesishvili, – that are related to village of Khidistavi.

The history of the Meghvinetkhutsesishvilis and their relationship to the village of Khidistavi, also their prominent representatives' relationship to Kartli and Kakheti royal houses has been researched.

Meetings with well-know political and public figures, such as Mikheil Vorontsov, the Count of Sologub, Selivanov, Andreevsk, the Countess of Uvarova, Marie Brosset, Ioseb Mamatsashvili, Dimitri Bakradze, Vazha-Pshavela, etc.

The location of the Meghvinetkhutsesishvilis' manors and lands in Khidistavi, Ateni and Tsedisi is determined.

Apart from documental and narrative literature, the article is based on rich archive material, as well as on memories of aged inhabitants of Khidistavi.

Appropriate photos and the map of Khidistavi designed by the author are also attached to the article

დანართი ფოტოები:




ა), ბ), „ღვინიანთ საყდარი” ხიდისთავში (თანამედროვე მდგომარეობა)



გ) ღვინიანთ ნაწისქვილარი;

დ) ვასილ მეღვინეთხუცესის
ნასახლარში შემორჩენილი ბუხარი



ზ) ხილისთავის თანამედროვე გრაფიკული რუკა დიმიტრი და სვიმონ მეღვინეთუხუცესიშვილების საცხოვრებელი სახლებისა და მამულების მიხედვით

*დღიმიტრი ახვლედიანი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
საქართველოს ეროვნული მუზეუმი*

ძვ. წ. III-II სს-ის კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი

„რაც არ უნდა იყოს, დამახასიათებელია, რომ ვან-დაბ-
ლაგომიდან მოკიდებული ფიჭვნარამდე (და პეტრამდე) არა-
ფერი გვხვდება ღირსშესანიშნავი რიონის სამხრეთით, მაგრამ
როგორც ვან-დაბლაგომი, ისე ფიჭვნარი უძველესი ქალაქური
მოსახლეობაა, მაშინ როცა რიონის ჩრდილოეთი მხარე უფ-
რო ნაგვიანეგად გამოიყურება (არქეოლოგია იტყვის). ხომ არ
არის ეს მოვლენა იმის მოწმობა, რომ ოდესმე ჰეგემონობდა
რიონს სამხრეთი („კოლხეთი“), ხოლო შემდეგ პირველობა
ჯერ ზანურმა ტომმა, ხოლო შემდეგ მეგრულმა იგლო
ხელთ...“.¹ ამას წერდა ნიკო ბერძენიშვილი 1960 წელს თა-
ვის დღიურში ვანის მიდამოებში მოგზაურობისას.

ამ ჩანაწერში ორი ასპექტია ნიშანდობლივი: პირველი
ის, რომ ავტორი აყენებს საკითხს – რატომ გადაინაცვლა
კოლხეთის უმნიშვნელოვანესმა საქალაქო ცენტრებმა რიონის
სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ; მეორე – ამ პრობლემის გა-
დაჭრა მომავალში ხელეწიფება არქეოლოგიას. ნიკო ბერძენი-
შვილის მიერ ამ ჩანაწერის გაკეთების შემდეგ ორმოცდაათ
წელზე მეტი გავიდა, და მრავალი არქეოლოგიური ძეგლი
იქნა შესწავლილი. ამდენად, ჩვენი ნაშრომის მიზანია, ახა-
ლი მასალების გათვალისწინებით, განვიხილოთ თუ რა იყო

¹ ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბი-
ლისი, 1975. გვ. 473

იმის მიზეზი, რომ კოლხეთის მნიშვნელოვანმა ცენტრებმა რიონის სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლეს.

არქეოლოგიურ და წერილობით წყაროებზე დაყრდნობით განვიხილავთ იმ ვითარებას, რომელიც კოლხეთში ძვ.წ. III-II სს-ში (არ ვეხებით მითრიდატე პონტოელის ხანას) იყო. წერილობითი წყაროების სიმწირის გამო ძვ.წ. III-II სს-ის კოლხეთის ისტორიის ბევრი საკითხი ბუნდოვანი რჩება. ამ ნაკლოვანების შევსება ჩვენი აზრით, გარკვეულწილად შესაძლებელია ამ პერიოდის კოლხეთში არსებული ვითარების შედარებით ახ.წ. IV-VI სს-ის ეგრისის სამეფოში შექმნილ ვითარებასთან (როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, სწორედ ეს პრობლემა აქვს დაყენებული ნიკო ბერძენიშვილს). კერძოდ, ამ ორ ერთეულს შევადარებთ შემდეგი პარამეტრებით: ქვეყნის მდგომარეობა – ერთიანია იგი, თუ დაშლილი; საზღვრები; უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტები; რეგიონში არსებული გეოსტრატეგიული ვითარება.

ძვ.წ. III-II სს-ის კოლხეთის ისტორია, ახალი არქეოლოგიური წყაროების საფუძველზე, დასკვნების სახით, ჩამოყალიბებული გვაქვს ჩვენი სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატში.¹ მის თანახმად ძვ.წ. III-II სს-ში კოლხეთი დაშლილი იყო ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად (სკეპტუხიებად).

წერილობით წყაროებში, ქვეყნის ეს დაშლა, ასახულია ქსენოფონტესა და მემნონის შრომებში. ქსენოფონტე, რომელიც ძვ.წ. V-IV სს-ის მიჯნის კოლხეთში არსებულ ვითარებას ასახავს, მდ. ფასისზე მხოლოდ ერთი ხელმწიფის

¹ ახვლედიანი დ., კოლხეთის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხები ძვ.წ. V-II სს-ში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2004.

მმართველობაზე მიუთითებს, მემონი კი, რომელიც ძვ.წ. II ს-ის ბოლოს შექმნილ სიტუაციას განიხილავს – რამდენიმე ბასილევსის არსებობაზე.

ეს დაშლა ძვ.წ. III ს-ის 70-50-იან წლებში კოლხეთის ტერიტორიაზე წარმოებული სამხედრო მოქმედებების შედეგად უნდა მომხდარიყო. ამ სამხედრო მოქმედებების თარიღი, დამდებით აღჭურვილი იმპორტული კერამიკული ნაწარმის შემოსვლაში წარმოქმნილი ლაკუნით დგინდება, რომელიც 25-35 წელი გრძელდებოდა.

ერთიანი კოლხეთის სამეფოს დაშლის აღმნიშვნელია ასევე ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით დათარიღებული სამეფო დამდებით აღჭურვილი კრამიტის წარმოების შეცვლა ნიშნის კრამიტით (ასოსმაგვარი ნიშანი ხელოსანს ეკუთვნის). ეს ფაქტი გამოხატავს სამეფო ხელისუფლების გაქრობას, როდესაც კრამიტის გამომშვები სახელოსნოები მეფის ხელისუფლების დაქვემდებარებიდან გამოდიან.

კოლხეთის სამეფოს დაშლა ასახულია ასევე მდიდრულ სამარხებში მიცვალებულთა დაკრძალვის ტრადიციის შეწყვეტით. ეს სამარხები ძვ.წ. V-III სს-ით თარიღდება და მათში, ჩვენი აზრით, კოლხეთის სამეფოს მსახურეული არისტოკრატია იკრძალებოდა. სამეფოს დაშლის შემდეგ ეს ფენაც წყვეტს არსებობას. ყველაზე უფრო მდიდრული სამარხები აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარსა და საირხეში. ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრიდან ძველი ვანი, კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ცენტრიდან რელიგიურ ცენტრად იქცა. საირხე კი ასევე კოლხეთის ადმინისტრაციული ცენტრიდან ქართლის სამეფოს ერთ-ერთი ოლქის ცენტრად.

ძვ.წ. V-II სს-ის კოლხეთის დემოგრაფიული სიტუაციის შესწავლისას ორი ფაზა გამოიყოფა: ძვ.წ. V- ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი და ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი –

ძვ.წ. II ს. პირველ ეტაპზე კოლხეთი მჭიდროდ არის დასახლებული – განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპირო ზოლი, რიონის შუა წელი (მეტადრე მარცხენა ნაპირი) და ჩრდილო-აღმოსავლეთ კოლხეთი. ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრიდან მოსახლეობა საერთოდ ქრება კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში; თითქმის არ არის აღმოჩენილი ამ პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები რიონის ქვემო წელზე; ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ნამოსახლართა რაოდენობა მცირდება; რიონის შუა წელზე, მის მარცხენა ნაპირზე, სამოსახლოები კნინდებიან ან საერთოდ წყვეტენ არსებობას, აქ მოსახლეობა ძირითადად, თავს იყრის საყანჩიაზე, ძველი ვანის მახლობლად; კნინდება ცხოვრება ასევე კოლხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

ამდენად, ძვ.წ. III-II სს-ში სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებად (სკეპტუხიებად) დაშლილი კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე, ორი რეგიონი გამოიყოფა, რომელშიც მეტ-ნაკლებად ინტენსიური ცხოვრება შეინიშნება: ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, ცენტრით დიოსკურია (რომელიც დღემდე აღმოჩენილი არ არის) და ძველი ვანი თავისი შემოგარენით.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ვანის ქვეყნის საზღვრების შესახებ პირდაპირი მონაცემები არ გავვაჩნია. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ საირხე ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედის.¹ სვანეთი სტრაბონის გადმოცემით, როგორც ჩანს, დამოუკიდებელია, ვინაიდან „ფლობენ ისინი ირგვლივ [ყველაფერს] და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის: ჰყავთ მათ ბასილევსი და საბჭო 300 მამაკაცისაგან შემდგარი და, როგორც ამბობენ, ჰკრებენ ლაშქარს 200000 [კაცის რაოდენობით]

¹ ნადირაძე ჯ., საირხე – საქართველოს უძველესი ქალაქი, თბ., 1990, გვ. 152.

(Strabo. XI, 2, 19, თარგმანი თ. ყაუხჩიშვილისა). ამდენად, ვანის ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვარი ამ პერიოდში კავკასიონის ქელამდე არ მიდიოდა. დასავლეთ საზღვარი უცნობია. რაც შეეხება სამხრეთ საზღვარს, იმავე სტრაბონზე დაყრდნობით: „მოსხების ქვეყანა, რომელშიც არის სამლოცველო, სამ ნაწილს შეიცავს, ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე იბერებს და მესამე არმენიელებს“ (Strabo. XI, 2, 18, თარგმანი თ. ყაუხჩიშვილისა). ჩვენი აზრით, სტრაბონის ეს ცნობები უნდა ასახავდეს უფრო ადრინდელ პერიოდს, ვიდრე მითრიდატე VI მოახდენდა კოლხეთის ოკუპაციას, ვინაიდან მოყვანილ ციტატებში არსად არის ნახსენები პონტოს სამეფო, რაიმე ფორმით მაინც. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძვ.წ. III-II სს-ში მესხეთის ერთი ნაწილი შეიძლება ძველი ვანის კონტროლს ექვემდებარებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სტრაბონის (მოსხების ქვეყანა) მოიცავდა მტკვრის ზემო წელს მდ. ჭოროხის აუზს.¹

რაც შეეხება ეგრისის სამეფოს: „ახ.წ. IV საუკუნის მიწურულისათვის დასავლეთ საქართველო გაერთიანებულია ლაზების (ეგრისის) სამეფოს მიერ. ლაზების (ეგრისის) მეფე ბიზანტიის იმპერიის ვასალად ითვლებოდა, მაგრამ ეს დამოკიდებულება მეტად ფორმალურ ხასიათს ატარებდა.ლაზეთის ტერიტორიაზე IV-V სს-ში არსად იდგა რომაული ჯარი“. პროკოპი კესარიელი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ლაზები არც ხარკს იხდიდნენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ რომაელებს. მათი ერთადერთი ვალდებულება იყო ჩრდილოეთის საზღვრების დაცვა მომთაბარე ტომთა შემოსევებისაგან; მაგრამ ეს „ვალდებულება“ მთლიანად ემთხვეოდა ლაზეთის სამეფოს საკუთარ ინტერესებს: მომთაბარე ტომთა შემო-

¹მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 59.

სეკებისაგან თავიანთი სამეფოს ტერიტორიის დაცვაში ხომ პირველ რიგში თვით ლაზთა ხელისუფალნი იყვნენ დაინტერესებულნი“. „ლაზთა მეფეს, თავის მხრივ, საკუთარი ვასალები ჰყავს. ასე მაგალითად, აბაზგები, სკვიმნიელები და სვანები“.¹

ამ პერიოდში ლაზთა (ეგრისის) სამეფოს სამხრეთ საზღვარი მდ. ჭოროხის შესართავის სექტორამდე აღწევდა; აღმოსავლეთ – ლიხის ქედამდე; ხოლო ჩრდილოეთით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული აბაზგების, სკვიმნიებისა და სვანების მიწებს მოიცავდა, ანუ კავკასიონის ქედით იყო შემოსაზღვრული.²

რაც შეეხება ძვ.წ. III-II სს-ის კოლხეთის თავდაცვით სისტემებს, უნდა აღინიშნოს, რომ სადღეისოდ მხოლოდ ძველი ვანის გალაგანია გამოვლენილი. ამ გალაგანის მშენებლობის დაწყების თარიღად მიჩნეულია ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი;³ ძვ.წ. III ს-ის შუა ხანები, ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი, ან მიწურული.⁴ როგორც ცნობილია, ძველი ვანი წარმოადგენდა კოლხეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს. ამდენად, ქალაქის და მისი თავდაცვითი სისტემის მშენებლობისათვის ადგილის შესარჩევად ყველა ის პირობა უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, რაც იყო ძველ სამყაროში მთავარი ქალაქის წარმოქმნის წინაპირობები. ეს პირობები, თავის ნაშრომში, შეჯამებული აქვს ფ. ვინტერს: მთავარი ქალაქი

¹ ლომოური ნ., დასავლეთ საქართველო (ეგრისი) IV-V საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 165.

² იქვე, 1973, გვ. 160-161.

³ ლორთქიფანიძე ოთ., ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია, პრობლემები), ვანი I, თბ., 1972, გვ. 30.

⁴ კაჭარავა დ., ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., ყიფიანი გ., არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე, ვანი IV, თბ., 1979, გვ. 7-37.

უნდა იყოს ჯანსაღი ადგილი; უნდა იყოს ხელსაყრელი პოლიტიკური და სამხედრო აქტიურობისათვის; უნდა იყოს სამიწათმოქმედო და სავაჭრო ცენტრი.¹ ჩვენი მხრიდან დაუშვებულ იქნა იმასაც, რომ საშიშროების შემთხვევაში გამაგრებული ადგილის გარშემო მცხოვრებ მოსახლეობას საშუალება უნდა ჰქონოდა მისი კედლების შიგნით ეპოვა თავშესაფარი.

ძველი ვანი და მისი მიმდებარე ტერიტორია მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს ყველა ამ პირობას:

წარსულში ეს ტერიტორია კოლხური ტიპის ტყეებით იყო დაფარული (წაბლი, რცხილა, ქართული მუხა, წიფელი და სხვ.). ნიადაგი ნაყოფიერია, რაც ხელს უწყობს მევენახეობას, მებოსტნეობას, მეხილეობას, მარცვლეული კულტურების მოყვანას. ასევე ხელსაყრელი პირობებია მესაქონლეობისათვის (განსაკუთრებით მსხვილფეხა საქონლისათვის, ღორისათვის და თხისათვის) ზაფხულისა და ზამთრის საძოვრების არსებობით.

თვითონ ნაქალაქარი მდებარეობს „ახვლედიანების გორაზე“, რომლის დედაქანი ქვიშაქვას წარმოადგენს. კედლებით შემოზღუდული ფართობი 6,5 ჰა-ს შეადგენს. მნიშვნელოვანი შენობების, მათ შორის თავდაცვითი ნაგებობების საძირკველი, უშუალოდ კლდეს ადევს, რითაც ისინი მეწყრული მოვლენების შედეგად დაზიანებისაგან არიან დაცულნი. მაშინ, როდესაც მიმდებარე ტერიტორიაზე ეს პროცესები დღესაც მიმდინარეობს.

რაც შეეხება წყლით მომარაგებას, ნაქალაქარის ზედა და ცენტრალურ ნაწილებში წყლის ჭები არ არის გამოვლენილი. თანამედროვე მოსახლეობა ძირითადად, საქვამიასა და კაპრანიას ღელეების (რომლებიც ნაქალაქარს სამხრეთიდან

¹ Winter F.E., Greek Fortifikations, London. 1971, გვ. 4-6.

და ჩრდილოეთიდან ჩამოუყვებიან) მახლობლად მდებარე ჭებს იყენებს სასმელი წყლის მოსაპოვებლად. ეს ტერიტორია კი ნაქალაქარის კედლის გარეთ არის. საქვასიას დელეზე ნაქალაქარის ქვედა ნაწილიდან გადის გასასვლელი (იხ. ტაბ. I,24, ეს ტაბულა მოცემულია ოთ. ლორთქიფანიძის ნაშრომის მიხედვით).¹ ჩვენი აზრით, ძველი ქალაქის წყლით მომარაგების სისტემაში შედის, ე.წ. „დიდი ჭა“ (იხ. ტაბ. I,23), რომელიც ნაქალაქარის ქვედა ნაწილშია გამოვლენილი ტაძარ-პროპილეუმის მახლობლად, ხევის პირზე.

სამხედრო და პოლიტიკური აქტიურობისათვის ხელსაყრელობა ნიშნავს ისეთი ადგილის შერჩევას, საიდანაც შესაძლებელია სამხედრო დახმარება გაეწიოს მთავარი ქალაქის გამგებლობაში არსებული ტერიტორიის ყველა პუნქტს.² ამ თვალსაზრისით, გორას, რომელზედაც ძველი ქალაქი იყო გაშენებული და მთელ არე-მარეზე გაბატონებული მდგომარეობა ეკავა, განსაკუთრებით, რიონის სამხრეთ სანაპიროზე: აქედან შეიძლებოდა თვალყურის დევნება ვანზე, თუ მის მახლობლად გამავალი სტრატეგიული და სავაჭრო გზებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ინდოეთიდან შავ ზღვამდე მიმავალი ე.წ. „აბრეშუმის გზა“. ვანის თავდაცვითი სისტემის მშენებლობა ქრონოლოგიურად (ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი) დაკავშირებული იყო, ერთი მხრივ, ვანის სასოფლო ტერიტორიის (დაფნარი, დაბლაგომი, მთისძირი, სულორი) დაკნინებასთან, ან მთლიანად მოსპობასთან და, მეორე მხრივ, საყანჩიას სამოსახლოს წარმოშობასთან, რომელიც ძველი ვანის სამეურნეო უბანს წარმოადგენდა.³ საყანჩია მდე-

¹ ლორთქიფანიძე ოთ., ვანი „ოქრომრავალი“ კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი, მაინცი, 1995.

² Winter F.E., დასახ. ნაშრ., 1971, გვ. 4-6.

³ ახვლედიანი დ., დასახ. ნაშრ., 2004.

ბარეობს რიონის მარცხენა ნაპირზე, ვანის ნაქალაქარიდან 1,5 კმ-ის დაშორებით. ეს გარემოება ძველი ვანის სანაოსნო მნიშვნელობის გაზრდაზე მიუთითებს. ამის დადასტურებაა ვანის ნაქალაქარსა და საყანჩიაზე ღიდი რაოდენობით ამფორების აღმოჩენის ფაქტი, რომლებიც ხომალდებით სხვადასხვა პროდუქციის გადასატანად გამოიყენებოდა. ამავე დროს, საშიშროების შემთხვევაში, საყანჩიის მოსახლეობას ვანის კედლებში შეეძლო დაეცვა თავი. მეორე გზა, რომელსაც ვანი აკონტროლებდა, იყო კოლხეთის დაბლობიდან მესხეთში მიმავალი გზა, რომელიც მდ. სულორს აუყვებოდა და „მეფის წყაროს“ გადასასვლელით თანამედროვე ადიგენის მუნიციპალიტეტში გადადიოდა.¹ საჭიროების შემთხვევაში, ამ გზით შეიძლებოდა ვანიდან მესხეთში სამხედრო ძალების გადასროლა, რომლის ნაწილიც კოლხეთს ექვემდებარებოდა (ტაბ. II).

რაც შეეხება ეგრისის სამეფოს თავდაცვით სისტემას, მასზე სრული ინფორმაცია ნ. მურდულიას სადისერტაციო ნაშრომშია თავმოყრილი.² მასში გააანალიზებულია 45 სხვადასხვა სახის სიმაგრე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეგრისის სამეფოს დედაქალაქის ნოქალაქევი-არქეოპოლისის გამაგრების სისტემას (მდებარეობს თანამედროვე მარტვილის მუნიციპალიტეტში, მდ. ტეხურას ნაპირზე). ნაშრომში ეგრისის სამეფოს ერთიანი თავდაცვითი სისტემა განხილულია ადგილობრივ, რეგიონალურ და გლობალურ კონტექსტში. ადგილობრივი კონტექსტი გულისხმობს სამეფოში არსებული დასახლებული პუნქტების და გამავალი გზების დაცვას და

¹ ბერაძე თ., ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიისათვის, ვანი III, თბ., 1977, გვ. 28-42.

² მურდულია, ნ. ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით). სადისერტაციო მაცნე. თბ., 2013.

ბაჟის აკრეფას; რეგიონალური კონტექსტი - რეგიონში არსებული სახელმწიფოებისაგან თავის დაცვას. ამ მიზნით საგანგებოდ იყო გამაგრებული ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის და სამხრეთის საზღვრები (ტაბ. III); გლობალური კონტექსტი კი - ბიზანტიის იმპერიის (რომლის ვასალიც ვერისის სამეფო იყო) ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრების დაცვას, როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში ბინადარი მომთაბარეებისაგან, ასევე - ირანისაგან.

საბოლოოდ, ვარაუდის სახით, შევეცადეთ პასუხი გავვეცა ნიკო ბერძენიშვილის მიერ დასმულ კითხვას, რამ გამოიწვია დასავლეთ საქართველოში მთავარი ცენტრების სამხრეთიდან (ვანიდან) ჩრდილოეთისაკენ (ნოქალაქევი-არქეოპოლისი) გადასვლა. ვფიქრობთ ამის მიზეზი ის განსხვავებული გლობალური და რეგიონალური გეო-სტრატეგიული სიტუაცია იყო, რომელშიც დასავლეთ საქართველო ძვ.წ. III-II სს. და ახ.წ. IV-VI სს-ში მოექცა. ძვ.წ. III-II სს-ში კოლხეთი დაშლილი იყო, რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულებად, მისი აღმოსავლეთ ნაწილი ქართლის სამეფოს ეპყრა. ამავე დროს მესხეთის ერთი ნაწილი კოლხეთის შემადგენლობაში შედიოდა. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს მთიანეთს (სვანეთს), იგი დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო. ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ და ეკონომიკურ ცენტრს ძველი ვანი წარმოადგენდა, რომელიც აკონტროლებდა აღმოსავლეთიდან შავი ზღვისაკენ და კოლხეთიდან მესხეთისაკენ მიმავალ გზებს. რაც შეეხება ვერისის სამეფოს, მისი ძალაუფლება მთელს დასავლეთ საქართველოზე ხორციელდებოდა და ქვეყნის სტრატეგია ბიზანტიის იმპერიის სტრატეგიასთან იყო დაკავშირებული - მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრები უნდა დაეცვა, განსაკუთრებით ჩრდილოეთის მომთაბარე ტომებისაგან, შესაბამისად, მთავარი სტრატეგიული პუნქტი

ნოქალაქევი-არქეოპოლისიც რიონის ჩრდილოეთით მდებარეობდა.

დამოწმებანი:

ახვლედიანი, 2004. ახვლედიანი დ. კოლხეთის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხები ძვ.წ. V-II სს-ში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი.

ბერაძე, 1977. ბერაძე თ. ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიისათვის, ვანი III, თბილისი.

ბერძენიშვილი, 1975. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბილისი.

კაჭარავა, და სხვ. 1979. კაჭარავა დ., ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., ყიფიანი გ., არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე, ვანი IV, თბილისი.

ლორთქიფანიძე, 1972. ლორთქიფანიძე ოთ., ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია, პრობლემები), ვანი I, თბილისი.

ლომოური, 1973. ლომოური ნ., დასავლეთ საქართველო (ეგრისი) IV-V საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბილისი.

ლორთქიფანიძე, 1995. ლორთქიფანიძე ოთ. ვანი „ოქრომრავალი“ კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი, მაინცი.

მურღულია, 2013. მურღულია ნ. ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალები-სა და ისტორიული წყაროების მიხედვით). სადისერტაციო მაცნე. თბილისი.

მუსხელიშვილი, 1977. მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბილისი.

ნადირაძე, 1990. ნადირაძე ჯ., საირხე – საქართველოს უძველესი ქალაქი, თბილისი.

Winter, 1971. Winter F.E. Greek Fortifikations, London.

ტაბულების აღწერილობა:

ტაბ. I – ვანის ნაქალაქარის გენერალური გეგმა (ოთ. ლორთქიფანის ნაშრომის მიხედვით);

ტაბ. II – ვანიდან მესხეთში (ადიგენის მუნიცი.) გადასასვლელი გზის ტოპოგეგმა (თ. ბერაძეს ნაშრომის მიხედვით)

ტაბ. III – IV-V საუკუნეების ეგრისის რუკა (ნ. მურღულიას ნაშრომის მიხედვით).

Dimitri Akhvlediani

Ilia State University, Georgian National Museum


**SOME PROBLEMS OF HISTORICAL GEOGRAPHY
OF COLCHIS OF 3RD-2ND CENTURIES BC**

RESUME


The goal of our research is answer the question which was arisen by the Academician Niko Berdzenishvili in 1960 about the causes of displacement of main center of west Georgia from South (Vani) to North (Nokalakevi-Archaeopolis). We think the reasons were in the different global and regional geo-strategic situations in 3rd-2nd centuries BC and 4th-6th centuries AD. In 3rd-2nd centuries BC Colchis was disbanded in several political units. A part of Meskhethi belonged to Colchis and its Eastern lands were incorporated by Kartli Kingdom, the highlands of west Georgia – Svaneti were independent from Colchis. The most important and economic

center of the state was ancient Vani, which was controlling the trade root from East to the Black sea and also the roads from Colchis to Meskheti. As for Egrisi kingdom in 4th-6th centuries AD, it was controlling all West Georgia and the strategy of the state was connected with the strategy of Byzantine Empire – and had to protect the NE borders of the Empire from northern nomadic tribes. Accordingly the main strategic center was Nokalakevi- Archaeopolis to the North of river Rioni.

ჭპ. I



ტაბ. II



ტაბ. III



ელენე კაველაშვილი
საქართველოს ეროვნული მუზეუმი. შალვა
ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების
მუზეუმი. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი და ვერის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წარწერები

„ატენის-წყალს მოერთვის აღმოსავლეთიდან ვერეს ხევი.
აქა არს ციხე მაღალსა კლდესა და ხეობა ესე არს
ვენახოვან-ნილიანი; ვერეს დაბის დასავლით არს, დანახვისის
მთის ძირს, მონასტერი კეთილშუენიერი ყოვლადწმიდისა“.
ვახუშტი ბატონიშვილი

ვერის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესია მდებარეობს ისტორიულ შიდა ქართლში, ქალაქ გორიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 15 კმ-ის მანძილზე, სოფ. ატენის უბან – გარდატენიდან ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთით 5,5 კმ-ის დაშორებით, მდ. ტანის მარჯვენა შენაკად ვერის ხევის მარცხენა ნაპირზე. მას დასავლეთით ჩამოუდის ათრევის ხევი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა მონასტრის ხევისაც უწოდებს. იმავე მხრიდან 16-18 მ-ის დაშორებით ეკლესიას ეკვრის მთიდან ჩამორეცხილი ნიაღვრების შედეგად შექმნილი ხევი. მისი ფსკერის ნიშნული ბევრად უფრო მაღლა მდებარეობს ეკლესიის იატაკისა და ეზოს თავდაპირველ ნიშნულ-

თან შედარებით¹. ამ გარემოების გამო მონასტრის ტერიტორიაზე პერიოდულად მთის ფერდობებიდან ჩამოსულმა სელურმა მასამ, XX ს-ის 20-იან წლებში, ეს ანსამბლი განადგურებამდე მიიყვანა. ტაძრის შიდა ნაწილი ამ დროისათვის სელური მასით ამოვსებული ყოფილა ნაგებობის გამყოფი სვეტების კაპიტელების დონემდე.

ტაძარმა XIX ს-ის 40-იან წლებში მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. იგი მოინახულა ფრანგმა ორიენტალისტმა და ქართველოლოგმა მარი ბროსემ², რომლის მოგზაურობა გორის შემოგარენში არ სცილდებოდა ატენს და მას წინასწარ ჰქონდა მონიშნული ენახა დანახვისისა და ნათლისმცემლის ეკლესიები. მხილველთა რჩევითა და ვახუშტი ბატონიშვილის აღწერის გათვალისწინებით, მკვლევარს მარშუტი შეუცვლია და პირველ ქართველ არქეოლოგთან – **დიმიტრი მეღვინეთსუცესიშვილთან** ერთად გამგზავრებულია ვერეს მონასტერში, რომლის კედლებზედაც უნახავს სამი ძალზე საინტერესო წარწერა. მათ თანმიმდევრობას მკვლევარი თავის პუბლიკაციაში ლათინური ანბანის რიგით აღნიშნავს. წარწერის ტექსტის გადმოსაცემად გამოყენებული აქვს ასომთავრული შიგ ქარაგმების გასახსენებლად ჩართული მხედრული შრიფტით. მ. ბროსე პირველ წარწერას ასე კითხულობას:

ჲმიდაჲ იგძის შჰჰჲ
ეზჲ ჰეიწყალი

¹ ეს სხვაობა დაახლოებით 4 მ შეადგენს ლ. ახალაია. ვერეს ეკლესიაზე 1990 წელს ჩატარებული საველე არქეოლოგიური კვლევის ანგარიში. მანქანაზე ნაბეჭდი. გვ. 5.

² M. Brosset. Voyage archeologique. St. Peterbourg. 1851. Rapp. VI. p.29-31.

მეორე სტრიქონის ბოლო ოთხი გრაფემის წაკითხვას მხოლოდ ფრანგულ თარგმანში იძლევა როგორც „მიქელ დიდებული“¹.

მ. ბროსეს მეორე წარწერა ასეთი სახით აქვს მოტანილი:

ჩიდაღ ივღ ის შყღ
ჟეზღ ზეს ისა ღ ოღიღე
რს ისღაზი შიღს
ჩ ოღ შეღჟ რყავ ჩინაყი
ძისღ ყენისღ

მკვლევარი ვერის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებულ ერისთავ მირიანის სახელს აიგივებს ატენის სიონის ვრცელ წარწერაში მოხსენიებულ ქართლის ერისთავთ ერისთავ მირიანთან.²

მესამე წარწერის ყველა სტრიქონს, მკვლევარის აზრით, საწყისი გრაფემა კლებია:

ჩიდაღ ივღის შყოჟეზღ ყეიწყალი რსი
ღოზ ციღის ძაზი ოღ
შეღჟ ჟაზ ოიღსღ შაზ
ოიღსღ სასჯეზი
სასღ ჩინაყი ძისღ
ყინ სღ

† ყ ყ ჟ (ბატონ დიმიტრის წარმოდგენილი ასლით).³

მ. ბროსე ციხისთავის სახელს კითხულობს გრიგოლად და იძლევა მის იდენტიფიკაციას: „ეს გრიგოლ ციხისთავი ხომ არ არის ასევე ატენის დიდ წარწერაში მოხსენიებული

¹ M. Brosset. Voyage archeologique. St. Peterbourg. 1851. Rapp. VI. p.29

² M. Brosset. Voyage archeologique ... p. 29-30.

³ იქვე. გვ. 30.

ციხისთავი, რომელიც ცხოვრობდა მეფე ბაგრატ IV სევასტოსის დროს“. წარწერის ბოლოს ცალკე სტრიქონად მოტანილ ოთხ ასო-ნიშანს არაბული ციფრებით გამოხატულ თარიღად მიიჩნევს. თუმცაღა, მათი მოხაზულობის სისწორეში ეჭვი ეპარება, რადგან, მისი თქმით, ამ სტრიქონის გადმომწერი ყოფილა ისეთი ადამიანი, რომელიც მსგავს სამუშაოს პირველად ასრულებდა და არ იცოდა მნიშვნელობა ნიშნებისა, რომელსაც იწერდა.¹ ვფიქრობთ, ამ სტრიქონის გასწვრივ ფრჩხილებში მოტანილი განმარტებიდან - „ბატონ დიმიტრის წარმოდგენილი ასლით“ – ჩანს, რომ ეს სამუშაო დ. მელვინეთხუცესისშვილს შეუსრულებია.

მ. ბროსე ქუთაისის ბაგრატიის ტაძრის წარწერის გათვალისწინებით, რომელშიც ქორონიკონი არაბული ციფრებითაა (223=1003) აღნიშნული, შესაძლებლად მიიჩნევს ვერის წარწერაშიც თარიღის იგივე წესით გამოხატვას. მკვლევარს აშკარად გასჭირვებია ამ წარწერის გარჩევა და აღნიშნავს: „ნიშნები, რომლებსაც აქ ვხედავთ, მე მეჩვენება, რომ არაბულია, რადგან ისინი ქართული არ არის“². პირველ გრაფემას (†) მიიჩნევს ერთდროულად წარწერის საწყისადაც და ქორონიკონის შემოკლებადაც. მეორესა და მესამეს არაბულ ციფრ 6-ად თვლის, მეოთხეს – 1-ად, საიდანაც ღებულობს თარიღს – 661. იგი ასეთ რიცხვით მნიშვნელობას უშედეგოს უწოდებს, რამდენადაც საქართველოში გავრცელებული არც ერთი ქრონოლოგიური სისტემა არ იძლევა მეფე ბაგრატ IV ხანას. ბოლო შემოთავაზებული ვარიანტით ქორონიკონის ნიშანს აცილებს არაბულ ციფრებს და ისე ღებულობს პასქალურ 221. აქედან გამოითვლის 1001 წელს (221+780=1001). ამ თარიღს მიიჩნევს ტაძრის მშენებლობისა

¹ იქვე.

² M. Brosset. Voyage archeologique ... p. 30.

და, შესაბამისად, წარწერების შესრულების ხანად. თუმცა, ამ წარწერის ხელახალ საფუძვლიან შემოწმებას მოითხოვს.¹

ექ. თაყაიშვილს ვერის ეკლესია არ მოუნახულებია. მის ხელთ არსებულ ფოტოებზე აღბეჭდილი ტექსტებით მოგვცა მხოლოდ მირიანისა და ციხისთავის წარწერების წაკითხვა. ექ. თაყაიშვილს შესწორებები შეაქვს მ. ბროსეს წაკითხვაში და ციხისთავის სახელს ხსნის როგორც გურგანელი. იგი იზიარებს ბროსეს შემოთავაზებულ თარიღს – 1001 წელს. ექ. თაყაიშვილის დაკვირვებით, გურგანელის წარწერის მხოლოდ ზედა ოთხ სტრიქონს ჰკლებია საწყისი გრაფემა, რომელთაც მკვლევარი ოთხკუთხა ფრჩხილებში აღადგენს.²

გ. ჩუბინაშვილს ვერის ეკლესიის 1915, 1922 და 1925 წლებში მონახულებისას³ ტაძრის კუთვნილი სამი წარწერიდან, 1915 წელს ერთი ჯერ კიდევ ადგილზე დახვედრია, 1922 წელს კი მისგანაც მხოლოდ ნახევარი უნახავს. სამწუხაროდ, რომელ წარწერაზეა საუბარი და ტაძრის რომელ ფასადზე იყო იგი განაწილებული ამის შესახებ არაფერს ამბობს. მკვლევარმა ვერის ეკლესიაში ორი სამშენებლო პერიოდი გამოყო. უძველესი VII ს-ით განსაზღვრა. ტაძარზე ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოები ეკლესიის კუთვნილი წარწერების გათვალისწინებით XI ს-ის 60-იან წლებს – ატენის ციხისთავ გურგანელის სახელს დაუკავშირა.⁴

¹ იქვე. გვ. 30-31.

² Е. Такаишвили. Археологическія экскурсії, разыскания и заметки. ИКОИМАО. вып III. Тифлис. 1913. С. 70-71.

³ Н. Чубинашвили. Церовани. Храмы сводчатой архитектуры с конструктивно-декоративными нишами на восточном фасаде. Тбилиси. 1976. с. 43.

⁴ გ. ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი. 1936. გვ. 202-204. სქოლიო 4.

ნ. ჩუბინაშვილმა ტაძრის კონსტრუქციულ-დეკორატიულ გადაწყვეტაში ნათლად დაინახა ადრეული ტრადიციებისა და X ს-თვის დამახასიათებელი თავისებურებების თანაარსებობა.¹

ხოვლეს არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელ ნ. ბერძენიშვილის მითითებით 1959-1961 წწ. თეძმის, ხოვლესა და ატენის ხეობებში ჩატარებული ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვების დროს ექსპედიციას ვერის ეკლესიიდან ჩამოყრილ ორნამენტირებულ ფრაგმენტთა შორის უნახავს ციხის-თავ გურგანელის ძლიერ ნაკლული, ექვსსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის ნაწილი. დ. ბერძენიშვილი მ. ბროსეს გამოცემის მიხედვით აღადგენს სრულ ტექსტს წარწერისას:

1. [წმინდა ღვთის მ]შ(ო)ბ[ელო შეიწყალე
2. გრგნლ ციხი]სთ(ა)ვი დ(.)
3. [მეოხ ეყავ დი]დსა მ(ა)ს
4. [დღესა სა]სჯ(ე)ლი
5. [სასა წინაშე] ძისა
6. [შენისა]

დ. ბერძენიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ბროსეს მიერ გამოცემული ამ ეკლესიის კუთვნილი სამი წარწერიდან არც ერთი ადგილზე აღარაა საყდრის ძლიერი დაზიანების გამო. დაკარგულია ის ნიშნებიც წარწერის ბოლოს, რომლებიც ბროსეს თარიღის მაჩვენებელ არაბულ ნიშნებად მიუჩნე-
ვია.²

¹ Н. Чубинашвили. Церовани. с. 43-44.

² დ. ბერძენიშვილი. ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვები თეძმის, ხოვლესა და ატენის ხეობებში 1959-61 წწ. (ანგარიში). თბილისი. 1962. ხელნაწერი. დამატება. I. ეპიგრაფიკული ძეგლები. №6. ვერის მონასტერი (ათრევას ხევი, ტანა). დაკარგული წარწერის ფრაგმენტი.

ვერის ღმრთისმშობლის ეკლესიიდან 1972 წლის 5 სექტემბერს აღმოსავლეთი სარკმლის მოსართავ-ჩუქურთმიან, მოწითალო ფერის ქვის რვა ფრაგმენტთან ერთად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გამოტანილ იქნა ასევე მოწითალო ფერის ქვაზე (80×58×26 სმ) ამოკვეთილი ასომთავრული წარწერა, გატეხილი სამ ნაწილად.¹

ვერის ეკლესიასა და მის წარწერებს ატენის სიონთან ერთად ღიდი როლი ენიჭება ატენის „ქვეყნის“ ისტორიის კვლევის საქმეში.² ამ გარემოებამ კიდევ უფრო მეტად გაზარდა გ. აბრამიშვილის ინტერესი ვერის ეკლესიისადმი, რადგან იგი ატენის სიონის პრობლემატიკასთან დაკავშირებით გამოწველივით იკვლევდა აღნიშნული რეგიონის ისტორიას. მკვლევარი ამ პრობლემაზე მუშაობის დროს დაინტერესდა ვერის ეკლესიის დაკარგული წარწერების მოძიებით, რაც მონასტრის ტერიტორიაზე სპეციალური არქეოლოგიურ-გაწმენდითი სამუშაოების ჩატარებას ითვალისწინებდა. ატენის მუდმივმოქმედი ექსპედიცია უსახსრობის გამო იძულებული გახდა იმხანად თავი შეეკავებინა ამოცანის განხორციელები-საგან. დასახული ამოცანის შესრულებაზე ზრუნვა არ შეუწელებია გორის „საზოგადო საკრებულო“-ს თავმჯდომარე ომარ ჩუბინიძეს. მან 1988 წელს ღიდი ყურადღება დაუთმო ამ

¹ იგი ფიქსირებულია ძმწ. №8855 და ძქს. დავთარი „ღ“ №1103. ჩანაწერში წარწერის ტექსტი ასახული არ არის. ქვის კვადრი ასომთავრული წარწერით თავდაპირველად განთავსებული იყო მუზეუმის ეზოში. ახალი კორპუსის მშენებლობასთან დაკავშირებით ქვის ფონდის ძლიერ შემჭიდროების გამო ამ წარწერასთან მისვლა ჯერჯერობით ვერ შეეძე-ლი.

² ეს წარწერები, როგორც წყარო განიხილეს ს. ბარნაველმა ატენის ახალი წარწერები. მოამბე. ტ. VII. 1-2. თბილისი. 1945. გვ. 85-86, ა. ბაქრაძე, თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები, როგორც ისტორიული წყარო. სსმმ. ტ. XX-B. თბილისი. 1959. გვ. 74.

მნიშვნელოვანი ძეგლის გაწმენდა-აღდგენის ღონისძიებათა ორგანიზებას.¹

1990 წლის ივლის-ოქტომბერში ჩატარდა ძეგლის ძირითადი არქეოლოგიური კვლევა-ძიება,² დარჩენილი სამუშაოები კი 1991 წელს საბოლოოდ დასრულდა. მაღალ პროფესიულ დონეზე წარმოებული არქეოლოგიურ-გაწმენდითი სამუშაოების შედეგად დასავლეთი კარიბჭის სახურავზე ტაძრის საპირე ქვებთან ერთად, მიწის ზედაპირიდან 170 სმ-ს სიღმეზე, აღმოჩნდა სამი ქვა ასომთავრული წარწერით: ამათგან ერთი შირიმისაა და ზომით დანარჩენ ორ მოლენინისფრო-მოიისფრო ტონალობის კვადრს აღემატება. შირიმის კვადრი (126X85 სმ.) ტაძრის დასავლეთ სარკმლის ქვედა, მარჯვენა კუთხესთან ყოფილა გამართული. ამაზე მიგვანიშნებს 9X26 სმ მართკუთხად ჩამოჭრილი მარცხენა, ზედა კიდე. კარგად გათლილი წინაპირის ზედა არეზე ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა ორ სტრიქონად (სურ. I):

ⲢⲚ ⲛⲟⲩ³ ⲛⲡⲢ 1. „წ(მიდა)ო ღ(მრ)თ(ი)ს მშ(ო)ბ(ე)
ზⲚ Სⲓ ⲛ ⲛ ⲛⲢ 2. ლო შ(ეიწყალ)ე მ(ი)ქ(ელ)
ღ(იდე)ბ(ული)“

¹ ძეგლზე შეფობა აიღო გორის რაიონის მეურნეობათაშორისი საბინაო-კომუნალურმა გაერთიანებამ (დირექტორი რ. მიხანაშვილი), რომელმაც გაიღო თანხა ძეგლის შესწავლისა და მეცნიერულად დასაბუთებული აღდგენისათვის. იკისრა დაცვითი ღონისძიებების – სელამრიდი კონსტრუქციებისა და საყრდენი კედლების მშენებლობის წარმოება. ლ. ახალაია. ვერის ეკლესიაზე 1990 წელს ჩატარებული... გვ. 4.

² ლ. ახალაია. ვერის ეკლესიაზე 1990 წელს ჩატარებული... გვ. 4. სქოლიო 3. ე. კავლელაშვილი. ვერის ღმრთისმშობლის ეკლესიის წარწერები. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. *ნარკვევები*. X. თბილისი. 2005. გვ. 102.

³ ლთ. M. Brosset. Voyage archeologique ... p. 29.

წარწერა მოიცავს 36×123 სმ ფართობს. გრაფემების H – 18|12 სმ. განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს. სიტყვები ერთმანეთს არაა დაცილებული. ქარაგმის ნიშანი – განივი სქელი ხაზი, ზემოთ აზიდული კიდეებით. კვადრი გატეხილია სამად (58/3×65 სმ.; 11/20×3/13/9 სმ.; 100/54×85 სმ.), რის გამოც პირველსა და მეორე სტრიქონში დაცული „ონი“ ნაკლულია, საწყისი გრაფემა „წ“ ორ ნაწილადაა გაყოფილი.

წარწერა მოცემულ ფართობზე მჭიდროდაა განთავსებული. ოსტატის ითვალისწინებს მართკუთხად ჩაჭრილ კიდეებს და პირველ სტრიქონს ოდნავ შიგნით იწყებს. მეორე სტრიქონი კი პირის კიდეზე გადმოაქვს, რომლის საწყისი გრაფემის ჰორიზონტალური ხაზის სისხოს ამცირებს ჩაკვეთილი კუთხის წიბოზე დამთხვევის გამო. ორივე სტრიქონის დამაბოლოებელი ასო-ნიშნები კვადრის საპირისპირო კიდეზეა მიბჯენილი, მაშინ როდესაც ფართობის 2/3 თავისუფალია. წარწერის განაწილების ასეთი წესიდან ნათლად ჩანს, რომ კვადრის ზედაპირი მთლიანად ყოფილა გათვალისწინებული ტექსტისათვის, რომელიც ვერ დაუმთავრებიათ.

მეორე მოლვინისფრო-მოიისფრო კვადრის (80X54) წმინდად გათლილ წინა პირზე ჩაკვეთილია ხუთსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა (სურ. II):

FQ ოცს¹ შყ[Q] 1. წ(მიდა)ო ლ(მრ)თ(ი)ს მშ(ო)
 ყზQ ოჰსQ ობ 2. ბ(ე)ლო ვ(ე)რ(ი)ს(ა)ო ად(იდე)
 ოჰსცო² შჰც³ 3. ერ(ი)სთ(ა)ვი მ(ი)რ(ი)ა
 ნ ობ შჰ⁴ ყ ო წ⁵ 4. ნ ღა მ(ე)ხ ყ(ა)ვ წ(ინაშ)ე

¹ ლთ. M. Brosset. Voyage archeologique... p. 29.

² ერსოვ E. Такашвили. Археологическія экскурсии. . . с.70-71.

³ მრნ. M. Brosset. Voyage archeologique... p. 29.

⁴ მზხ. M. Brosset. Voyage archeologique... p. 29.

⁵ წშე. M. Brosset. Voyage archeologique... p. 29.

ძსტ¹ ყ რ სტ 5. ძისა შ(ე)ნისა

წარწერა მოიცავს 75×52 სმ. ფართობს. შესრულებულია არათანაბარი გრაფემებით (უდიდესი H- 11,5 სმ; უმცირესი - 4,5სმ.). განკვეთილობის ნიშანი არ ახლავს. ქარაგმის ნიშანი – ტყუპწვეტოვანი განივი ხაზი. სიტყვები ერთმანეთს არ არის დაცილებული. დაზიანებულია ქვის კვადრის ზედა მარჯვენა კუთხე, რის გამოც, წარწერის I, II და III სტრიქონების დამაბოლოებელი გრაფემები ნაკლულია.

მესამე მოღვინისფრო-მოიისფრო მოცრო ზომის (55×52 სმ) კვადრის ცენტრალური ეზო (35,5×33,5 სმ.) საგანგებოდაა ჩაკვეთილი და შემოზღუდულია ფართო ზოლებიანი ჩარჩოთი, რომელიც ეზოს ირიბად დაქანებული ფერდებით ებჯინება. სახატეს ცენტრალურ არეზე ჩაკვეთილია სამგრაფემიანი წარწერა (იხ: სურ. III):

რ Ⴀ რ „ნინ“.

მოიცავს 26×22 სმ. ფართობს. შესრულებულია არათანაბარი გრაფემებით (H-16,5 | 10,5 სმ). ქარაგმის ნიშანი – ტყუპწვეტოვანი განივი ხაზი. დამთავრების და განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს.

წარწერა, ქვის გროვიდან ამოღებამდე გადაღებული ფოტოდან, პირველმა წაიკითხა ვ. სილოგავამ: „|| მერთმა|ნ|“ ან „|| უჟალმა|ნ|“.² დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ წარწერაში „ლ“ და „უ“ გრაფემების არ არსებობა სიტყვის ასეთნაირი გახსნის შესაძლებლობას არ იძლევა.

სამგრაფემიანი წარწერის პატივით შემკობა მოწმობს, რომ იგი დაქარაგმებულ სახელს ან რიცხვითს მნიშვნელობას უნდა გადმოსცემდეს. აქ რიცხვითი მნიშვნელობა არ უნდა

¹ ძისა M. Brosset. Voyage archeologique... p. 29.

² ლ. ახალაია. ვერეს ეკლესიაზე 1990 წელს ჩატარებული... გვ.

იგულისხმებოდეს, რამენადაც „ჩ Ⴎ ჩ“ გრაფემების ასეთი სახის თანმიმდევრობა ($n=50$; $l=10$) ვერავითარ ციფრს ვერ გვაძლევს. რჩება ერთი ახსნა. აქ განყენებულად მდგომი ისეთივე დაქარაგმებული სახელი უნდა დავინახოთ, როგორცაა კუმურდოს ეკლესიაზე –*ჰჰჰ*,*მ(არია)მ*“ (X საუკუნის II ნახ.).¹ მაშინ დაქარაგმებული „ნინ“ გრაფემების ჯგუფს ბოლო ისეთივე დაუმთავრებელი უნდა ჰქონდეს, როგორც ეს ვერის ეკლესიისავე წარწერაში მქ გრაფემებით გადმოცემულ მიქელის სახელთან გვხვდება. შესაბამისად, „ნინ“ გრაფემების ჯგუფი ბოლოკვეცილ ქარაგმიან სახელად უნდა ჩაითვალოს. მასალის შესწავლამ გვაჩვენა, რომ ჩ Ⴎ ჩ ბოლოკვეცილი ქარაგმით სახელი ნიანია შეიძლებოდა გადმოეცათ და სამგრაფემიანი სახელი ჩ Ⴎ ჩ უნდა გაიხსნას, როგორც „ნი(ა)ნ(ია)“. აქედან გამომდინარე, იგი ნიანიას მოსახსენებელს უნდა წარმოადგენდეს, ისევე, როგორც ეს დასტურდება კუმურდოში მარიამის წარწერასთან.

ხელოვნების მუზეუმში 1972 წლის 5 სექტემბერს ვერის ღმრთისმშობლის ეკლესიიდან გადმოტანილი წარწერიანი ქვის ფერი (მოწითალო) და ზომა (80×56 სმ) კარგად შესაბამეა ამავე ტაძრის დასავლეთ მინაშენის სახურავზე მიკვლეულ მირიან ერისთავის წარწერიანი ქვის ფერსა და ზომას (80×54 სმ.). ეს იმაზე მეტყველებს, რომ მუზეუმში გადმოტანილი წარწერა მირიან ერისთავის თანამედროვის, სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი, ატენის ციხისთავ გურგანელის წარწერას უნდა წარმოადგენდეს, რომელიც ჯერ მ. ბროსემ, შემდეგ ექ. თაყაიშვილმა გამოსცეს. ქ. თაყაიშვილის წაკითხვით, წარწერა ასეთი სახისაა:

¹ ლაპიდარული წარწერები. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V–X სს) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბილისი. 1980. ტაბ. 103.3.

[F]Q NQ THYVHQ YH JKH „[V](მიდა)ო ლ(მრ)თ(ის)
 მშ(ო)ბ(ე)ლო შ(ეიწყალ)ე გ(უ)რგ(ა)
 [R]N GXS THY D [N](ე)ლი ც(ი)ხ(ი)ს თ(ა)ვი და
 [T]H YH DSHS HS [M](ეო)ხ ყ(ა)ვ დ(ი)ლსა მ(ა)ს
 [O]NS SSVN [L]L(ე)სა ს(ა)სჯ(ე)ლი
 SSR FH THSR ს(ა)სა წ(ინაშ)ე ძისა
 YHNS შენ(ი)სა“¹

ზემოთ ვნახეთ, რომ მ. ბროსეს ამ წარწერის ბოლოს მოტანილი აქვს ოთხგრაფემიანი სტრიქონი, რომელსაც არაბული ციფრებით გამოხატულ ქორონიკონად მიიჩნევს და მისი გამოანგარიშების საფუძველზე ვერის ტაძრის მშენებლობასა და წარწერების თარიღს 1001 წლით განსაზღვრავს.

ექ. თაყაიშვილი თავის გამოცემაში საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მ. ბროსეს პუბლიკაციაში მითითებული არაბული ციფრებით გამოხატული თარიღი მის ხელთ არსებულ ფოტოსურათზე ასახული არ ყოფილა. იგი არც 1959 წ. თემის, ხოვლეს და ატენის ხეობათა ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვების დროს უნახავთ. დ. ბერძენიშვილი ვერის ეკლესიასთან მიკვლეულ ციხისთავ გურგანელის ერთადერთი წარწერის ფრაგმენტის განხილვისას საგანგებოდ აღნიშნავს: „დაკარგულია ის ნიშნებიც წარწერის ბოლოს, რომლებიც ბროსეს თარიღის მაჩვენებელ არაბულ ნიშნად მიუჩნევია“.² ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ოთხგრაფემიანი სტრიქონი გურგანელის წარწერის კუთვნილი არ შეიძლება და ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ექ. თაყაიშვილის ხელთ არსებულ ფოტოზე უდავოდ აისახებოდა. მაშინ ეს წარწერა ცალკე ფილაზეა საგულვებელი. თუმცაღა, არაბული

¹ Е. Такаишвили. Археологическія экскурсії... с.70-71.


² დ. ბერძენიშვილი. ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვები თემის, ხოვლესა.

ციფრებით გამოხატული თარიღიანი ქვის ფილა არც ვერის ტაძარსა და მის ირგვლივ 1990-1991 წწ ჩატარებულ გაწმენდით-არქეოლოგიური სამუშაოების დროს გამოვლენილა და არც ხელოვნების მუზეუმში გადმოტანილი ფრაგმენტების სიაშია დამოწმებული. ასევე, არც ერთი მკვლევრის პუბლიკაციაში არ დასტურდება არქეოლოგიური გათხრების დროს ტაძრის დასავლეთ მინაშენის სახურავზე მირიანისა და მიქელის წარწერებთან ერთად მიკვლეული სამგრაფემიანი დაქარაგმებული წარწერა.

ვერის ეკლესიის წარწერები სრული სახით მხოლოდ მ. ბროსეს და დ. მეღვინეთხუ-ცესიშვილს აქვს ნანახი. მ. ბროსე წარწერებს სამ პუნქტად ჰყოფს. მეოთხე წარწერაზე არაფერს ამბობს. სანაცვლოდ, მესამე პუნქტში ციხისთავ გურგანელის წარწერის შემდგომ მოტანილ ოთხ გრაფემას ურთავს სათანადო განმარტებას: „ბატონ დიმიტრის წარმოდგენილი ასლით“. ამავე დროს, გურგანელის წარწერისა და ამ სტრიქონის ფრანგული თარგმანიც ერთმანეთისაგან განცალკევებით აქვს მოტანილი.¹ ყოველივე ეს მიგვანიშნებს, რომ ოთხგრაფემიანი სტრიქონი გურგანელის წარწერის შემადგენელი ნაწილი არ ყოფილა. იგი დამოუკიდებლად უნდა ყოფილიყო, რომელიც მ. ბროსეს თქმით გადმოუწერია საქმეში ჩაუხედავ კაცს. მ. ბროსეს წარწერის გადმოწერის სისწორეში ეჭვი ეპარება და მოითხოვს წარწერის ადგილზე ხელახალ შემოწმებას. მ. ბროსესეულმა ასეთმა შეფასებამ, ვერეს წარწერების ჩვენი პირველი პუბლიკაციის დროს გვაფიქრებინა, რომ ეს დამატებითი სტრიქონი შესაძლებელია ყოფილიყო არასწო-

¹ M. Brosset. Voyage archeologique. St. Peterbourg. 1851. Rapp. VI. p. 29-31.

რად გადმოწერილი „ნინ“ გრაფემების ჯგუფი ქარაგმის ნიმუშითურთ¹.



უკანასკნელ ხანებში ქართულ სამეცნიერო წრეებში დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის ღვაწლისადმი განსაკუთრებული დაინტერესებამ შესაძლებელი გახადა სამზეოზე გამოტანილიყო მელვინეთხუცესიშვილის შეკრებილი ფაქტობრივი მასალა². ამ გარემოებამ სრულად გააბათილა ჩვენი „ნინ“ გრაფემებთან დაკავშირებით გამოთქმული თვალსაზრისი.

მარი ბროსემ, როგორც ცნობილია, საქართველოში ყოფნის დროს (1847 წლის აგვისტოს ბოლო-1848 წლის 23 აგვისტო) გორის სიძველეები და მისი მიმდებარე ტაძრები, რომელთა რიცხვში ვერეს ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიაც შედიოდა, 1848 წლის აპრილის (7-12) თვეში დაათ-

¹ ე. კავლელაშვილი. ვერის ღმრთისმშობლის ეკლესიის წარწერები. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. *ნარკვევები*. X. თბილისი. 2005. გვ. 102.

² ი. ალიმბარაშვილი. დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის შიდა ქართლში მოგზაურობა (პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული მასალების მიხედვით). გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ელდარ მამისთვალაშვილი – 75. გამომცემლობა „ჯეოპრინტი“. 2015. გვ. 446-491.

ვალეერა დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილთან ერთად¹. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული დღიურების „აღწერა გორის უეზდსა შინა ეკლესიებთა და მონასტერთა ზედა ღირსსახსოვარ წარწერათა სრულიად, ხოლო მდებარეობათა მათთა შემოკლებით ლუბერსკის სეკრეტარის და კავალერის დიმიტრი კოსტანტინეს ძის მეღვინეთხუცესოვის მიერ, დროსა მოგზაურობისას თვისსა 1848 წელსა“² მიხედვით დ. მეღვინეთხუცესიშვილს ვერეს ეკლესიის ფასადებიდან წარწერები გადმოუღია (სურ. IV) და ტაძრის გრაფიკული ჩანახატი შეუსრულებია მარი ბროსეს თბილისიდან პეტერბურგში გამგზავრებიდან (1848 წ. 23|VIII) ორთვენახევრის (1848 წლის 16 ნოემბერის) შემდეგ³. იგი დღიურებს იწყებს ვერეს ეკლესიის ჩანახატით⁴, რომელსაც დართული აქვს სათანადო წარწერა: „ვერე. ყდ წისა მონასტერი. დ. მეღვინეთხუცეს“⁵. შემდეგ იძლევა ვერეს ეკლესიის წარწერებს განმარტებით: „ვერე. მონასტერი ყდ წისა დანახვისის მთის ძირსა. ვახუშტი გ. 200“⁶.

¹ ე. კავლელაშვილი. ვერის ღმრთისმშობლის ეკლესიის წარწერები. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. *ნარკვევები*. X. თბილისი. 2005. გვ. 102.

² ИВР РАН. Н-78, 76 v. ი. ალიმბარაშვილი. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის... გვ. 463-489.

³ ი. ალიმბარაშვილი. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის... დანართი. გვ. 447.



⁴ ი. ალიმბარაშვილი. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის... დანართი. გვ. 447.

⁵ ИВР РАН. Н-78, 77 r. დ. მეღვინეთხუცესიშვილისეული ვერეს ეკლესიის ჩანახატის და წარწერების ფოტოპირები მომწოდდა გორის უნივერსიტეტის პროფესორმა ი. ალიმბარაშვილმა, რაზედაც დიდ მადლობას მოვასხენებ.

⁶ ИВР РАН. Н-78, 79 r.

დ. მეღვინეთხუცესიშვილი ვერეს ეკლესიის წარწერებს ფურცლის სიგანეზე ანაწილებს ორ სვეტად (სურ. IV). დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ მკვლევარი ასეთი ხერხით წარწერებს ფასადების მიხედვით აჯგუფებს. ფორმატს პირობითად გავლებული ვერტიკალური ხაზით ორ ნაწილად ყოფს. მარჯვენა მხარეს ტაძრის დასავლეთ ფასადის წარწერებს ათავსებს ერთმანეთის ქვეშ თანმიმდევრობის დაცვით. თავში - მიქელ დიდებულის, შემდგომ მირიან ერსთავის და ბოლოს ნიანას სამგრაფემიან წარწერას, რომელიც მ. ბროსეს თავის პუბლიკაციაში გამოტოვებული აქვს. მას რატომღაც არ განიხილავს და მისი არსებობის შესახებ არავითარ ცნობას არ იძლევა. ფორმატის მარცხენა მხარე უკავია ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე განაწილებულ ატენის ციხისთავ გურგანელის წარწერას. იგი ორი სხვადასხვა ვარიანტითაა მოცემული: ზემოთ წარწერის თავბოლონაკლული ოთხი სტრიქონია დატანილი, რომელიც შემდგომ მსუბუქად გადაუხაზავს; მის ქვემოთ კი წარწერის სრული ტექსტია გადმოტანილი მცირე ცვლილებებით (ბროსეს თავის პუბლიკაციაში ეს უზუსტობები გასწორებული აქვს). მარცხენა სვეტს ამთავრებს სრულიად მკაფიოდ გამოხატული ქართული ასომთავრული ოთხი გრაფემისაგან შედგენილი, დაქარაგმებული დამოუკიდებელი სტრიქონი, რომელიც ასე იკითხება: **ქ ყ ჟ ე**. ასონიშნების ასეთი თანმიმდევრობა შესაძლებლობას იძლევა აქ ქართული გრაფემებით გამოხატული რიცხვითი მნიშვნელობა დავინახოთ: „ქ 895“, რომელსაც შესრულების პერიოდის თვალსაზრისით არაფერი აქვს საერთო XI საუკუნის ატენის ციხისთავ გურგანელის წარწერასთან. ფორმატზე გრაფემების გურგანელის წარწერის შემდგომ მოტანა იმის მაჩვენებელი ჩანს, რომ ისინიც გურგანელის წარწერის მსგავსად აღმოსავლეთის ფასადზე უნდა ყოფილიყვნენ განაწილებულნი, ისე, როგორც ეს

დასტურდება ფორმატის მარჯვენა მხარეს, სადაც მკვლევარი დასავლეთ ფასადის წარწერებს უყრის თავს. ვფიქრობთ, „ქ ყ ყ ე“ გრაფემები დამოუკიდებელ ქვის ფილაზეა საგულისხმებელი, რომელიც ჩვენამდე ჯერჯერობით მოღწეული არ ჩანს.



მ. ბროსესა და დ. მეღვინეთუცესიშვილის 1848-1849 წწ მიმოწერაში ნათლად იკვეთება ვერეს ღმრთისმშობლის (სურ. IV) და სოფ. ხცისის მახლობლად მდებარე წვიმოეთის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიების წარწერები (სურ. V), რომლებშიც მ. ბროსე არაბული რიცხვებით გამოხატულ თარიღებს ვარაუდობს და მეღვინეთუცესიშვილს სთხოვს მათ მეორედ შემოწმებას.¹ დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ მეღვინეთუცესიშვილისეულ ჩანახატებში ვერეს ეკლესიის ოთხგრაფიანი სტრიქონის მსგავსად არც წვიმოეთის ეკლესიის წარწერაში, კერძოდ მის ქოროიკონის აღმნიშვნელ

¹ ხეც. მარი ბროსეს პირადი სარქივო ფონდი. წერილი №9; წერილი №12.

მონაკვეთშია არაბული ციფრები. გრაფემები, რომელთაც მ. ბროსე არაბულ ციფრებად ფიქრობს მკვეთრად გამოხატული ქართული ასომთავრული „ყარ“-ი და „ვიე“-ა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ წვიმოეთის წარწერებს იმთავითვე ყურადღება მიაქცია თ. ჟორდანიამ და მოგვცა ტექსტის სრული წაკითხვა, სადაც ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი, სრულიად მართებულად, გახსნილი აქვს ასე: „ქრკნი იყო: სკბ“ (222+780=1002). მკვლევარი აქვე კრიტიკულად აფასებს მ. ბროსეს წაკითხვას¹.

ამდენად, მ. ბროსეს პუბლიკაციაში გურგანელის წარწერის შემდეგ მოტანილი ოთხგრაფემიანი სტრიქონი დ. მეღვინეთხუცესიშილს მ. ბროსესადმი გაგზავნილ პირველ დღიურში ნათლად გამოხატული ქართული ასომთავრული გრაფემებით აქვს გადმოტანილი და იგი არ შეიცავს არაბული ციფრებით გამოხატულ თარიღს – 1001 წელს, როგორც ამას მ. ბროსე მიიჩნევს. შესაბამისად მ. ბროსეს მიერ შემოთავაზებული ტაძრის მშენებლობის ზუსტად განსაზღვრული დრო - 1001 წელი, რომელსაც ექ. თაყაიშვილიც ითვალისწინებს, რეალურ სურათს არ შეესაბამება.

ვერეს ეკლესიაზე დაცული მიქელ დიდებულის, ერისთავ მირიანის, ნიანიას და ციხისთავ გურგანელის წარწერები თარიღს არ შეიცავენ. მათი შესრულების ხანის განსაზღვრაში პალეოგრაფიულ თავისებურებებთან ერთად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იქ მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაციას. მ. ბროსე და ექ. თაყაიშვილი იყვნენ ის პირველი მკვლევარე-

¹ თ. ჟორდანია. ქრონიკები. I. არტანუჯი. 2004. გვ. 143. P. Шмерлиег. Древний Цвимозетский храм близ село Хциси. ქართული ხელოვნება. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები. 4. თბილისი. 1955. გვ. 154-155. ტაბ. 54.

ბი, რომელთაც ვერის წარწერებში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაცია მოგვცეს.

ზემოთ ვნახეთ, რომ მ. ბროსემ იმთავითვე მიაქცია ყურადღება ვერის წარწერებში მოხსენიებულ ერისთავ მირიანს და ციხისთავ გურგანელს, რომელსაც გრიგოლად კითხულობს. ისინი, სრულიად მართებულად, ატენის სიონის სამხრეთ ფასადზე განაწილებულ ქალაქმშენებლობის ვეცელ წარწერაში მოხსენიებულ მირიან თარხუნის ძედ და ატენის ციხისთავ გურგანელად მიიჩნია. ატენის სიონის ქალაქმშენებლობის წარწერის თარიღი მასში მოხსენიებული მეფე ბაგრატ IV სევასტოსისა და მისი ვაჟის – გიორგი კურაპალატის ტიტულების გათვალისწინებით XI საუკუნით განსაზღვრა¹.

ექვ. თაყაიშვილის დაკვირვებით, ბარმაქსიზის მახლობლად, მდ. ქციაზე აგებული ხიდის მშენებლობის დროს მეორედ გამოყენებული წმ დიმიტრის ეკლესიის კუთვნილ წარწერასა და მანგლისის მახლობლად ბარტოლომეის მიერ მიკვლეულ წარწერაში მოხსენიებული მირიანი, აგრეთვე ვერის ეკლესიასა და ატენის სიონის სამხრეთ ფასადის ქალაქმშენებლობის წარწერაში დასახელებული მირიან თარხუნის ძე და ატენის ციხისთავი გურგანელი ერთი და იგივე პიროვნებაა.² სამეცნიერო ლიტერატურაში ვერის ეკლესიის წარწერები ერთი პერიოდის ძეგლებადაა მიჩნეული. მათი თარიღის ამოსავლად გათვალისწინებულია ისეთი ისტორიული პირების იდენტიფიკაცია, როგორიცაა სამხრეთ საქართველოს ერისთავი მირიან თარხუნის ძე და ატენის ციხისთავი გურგანელი. ნიანიასა და მიქელის იდენტიფიკაციაზე ჯერ არაფერია ნათქვამი. ამჯერად, ნიანიას წარწერას განვიხილავთ, რადგან იგი

¹ M. Brosset. Voyage... p. 30.

² E. Такайшвили. Археологическія экскурсії... с. 68-72.

პალეოგრაფიული თავისებურებებითა და ქვის კვადრის ტონალობით ახლოს დგას მირიანის წარწერასა და მისი კვადრის ფერთან.

ნიანიას მოსახსენებელი წარწერა კუთხოვანია და შესრულებულია კიდურწვეტოვანი დამწერლობით. ოსტატი დალატობს ასომთავრულის პრინციპებს და არათანაბარი ზომის გრაფემებს იყენებს. ასეთი უკიდურესად კუთხოვანი მოხაზულობით წარწერა IX-XI სს-ის ნუსხა-ხუცურს ემსგავსება, მაგრამ მისგან განსხვავებით მარჯვნივ გადახრილი არ არის. მის გრაფემებს ოდნავ მარცხნივ გადაქნეული დაწერილობა აქვს, რითაც იგი ემსგავსება ატენის წმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილო კედელთან 1945 წელს მიკვლეულ მირიან თარხუნის ძის წარწერას, რომლის მე-7 სტრიქონის ნიშნები მოცემულია მარცხნივ გადახრილი.¹

ნიანიას ხაზგასმულად კუთხოვანი გრაფემები მოხაზულობით, პროპორციული შეფარდებითა და ოდნავ მარცხნივ გადახრილი მდებარეობით დიდ მსგავსებას პოულობს დარკვეთის ეკლესიის სამშენებლო წარწერის (XI ს.) მეორე სტრიქონში მოცემულ ნი გრაფემების ჯგუფთან², სადაც ო და ႁ ასო-ნიშნების ურთიერთმიმართება და პროპორციული შეფარდება ისეთივეა, როგორსაც ვხვდებით ვერის წარწერის ო და ႁ გრაფემებთან. მსგავსი დაწერილობის მქონე ႁ გვხვდება აგრეთვე დარკვეთის ლიპარიტისა და გოღობრილის (XI ს.)³ რგანის ეკლესიის სამშენებლო⁴ და აბუნასრ ერისთავის¹ წარ-

¹ ს. ბარნაველი. ატენის ახალი წარწერები. გვ. 83, 84 (მონახაზი).

² ქართული ლაბიდარული წარწერების კორპუსი. II. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვეთი I (IX-XIII სს). შეადგინა და გამო-საცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბ., 1980. გვ.76. №60.

³ იქვე. გვ. 79. №№61, 62.

⁴ იქვე. გვ. 63. №42.

წერებში (XI ს.). XI ს-ზე მიუთითებს ნიანიას წარწერის კიდურწვეტოვანი შემკულობაც.

ამდენად, ნიანიას წარწერა მირიანის წარწერის მსგავსად XI ს-ში იკავებს ადგილს. ამას გვიმოწმებს ამ ორ წარწერას შორის არსებული პალეოგრაფიული მსგავსებაც, რაც გამოხატულია იდენტური ფორმის ნიშნებში, აგრეთვე მირიანის წარწერის პირველი სტ-რიქონის ში-სა და ნიანიას წარწერის პირველი რ კიდურწვეტოვანი სამკაულის ანალოგიურობაში. ყოველივე ეს ამ წარწერებს ქრონოლოგიურად ერთმანეთთან აახლოებს. აღნიშნული მსგავსების მიუხედავად ეს წარწერები ერთი და იმავე წლებში ერთი და იმავე ამქრის მიერ შესრულებული ძეგლები არ ჩანს.

მირიანის წარწერიანი ქვის კვადრის შემომსაზღვრელი აბრისი სადა და დახვეწილია, რომელსაც კარგად მიესადაგება ერთიანად და ზედმიწევნით ფაქიზად დამუშავებული ფონი. მასზე ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა თავისუფლად და მაღალმხატვრულადაა განაწილებული.

ნიანიას წარწერიანი ქვის კვადრის შემომსაზღვრელი აბრისი, მართალია, სწორხაზოვანია, მაგრამ იგი ისეთი დახვეწილი მოხაზულობით არ გამოირჩევა, როგორც ამას მირიანის წარწერიან კვადრთან ვხვდებით. იმისთვის, რომ ნიანიას წარწერას უფრო მეტი საზეიმო იერსახე მიანიჭოს, ოსტატი წარწერას სპეციალურად ჩაკვეთილ ეზოზე წარმოადგენს. მირიანის წარწერისაგან განსხვავებით აქ არაერთგვაროვანია ფონის დამუშავების წესი. ოსტატი უდიდეს ყურადღებას უთმობს ცენტრალურ ნაწილს და წარწერის ფონს გულმოდგინედ ამუშავებს, ხოლო ჩარჩოს ფართო ზოლებისა და ეზოსაკენ დაქანებული ფერდების ზედაპირი მოკლებულია მსგავს

¹ იქვე. გვ. 63. № 43.

მიდგომას, რის შედეგადაც მასზე ხეხვის შემდგომ დარჩენილი ირიბი ზოლები აისახება.

ამდენად, ვერის ღვთისმშობლის ეკლესიის დასავლეთ კედელზე ნიანისა და მირიანის წარწერები ამოუკვეთიათ ერთმანეთის ახლო ხანებში სხვადასხვა ოსტატის ხელით. ქართული წერილობითი წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ ნიანია ფართოდ გავრცელებული სახელია XI ს-ის საქართველოს დიდგვაროვანთა შორის. ვერის ეკლესიის დასავლეთ მინაშენის სახურავზე აღმოჩენილი წარწერებიდან ორი – მიქელისა და მირიანის წარწერები დიდებულების კუთვნილია. მათ გვერდით ნიანის მოსახსენებელი წარწერის დამოწმება იმის მაჩვენებელია, რომ მასში დასახელებული პიროვნებაც დიდგვაროვანია.

„მატიანე ქართლისაი“ XI ს-ში მოღვაწე ორ ნიანის იცნობს: ნიანია ლიპარიტის ძე-სა (ქც. 1955. 302-304) და ნიანია ქუაბულის ძეს (ქც. 1955. 310, 315, 316). ასევე ორ ნიანის ასახელებს დავით აღმაშებლის ისტორიკოსიც. ერთია 1080 წ. მიწისძვრის შედეგად თმოგვის ციხის დანგრევის დროს დაღუპული კახაბერის მამა ნიანია (ქც. 1955. .323), ხოლო მეორე – მისი შვილიშვილი ნიანია კახაბერის ძე (ქც. 1955. 324). ეს ორი უკანასკნელი გიორგი II (1072-1089) და დავით აღმაშენებლის (1089-1125) თანამედროვენი არიან. თმოგვის ციხის მფლობელ ამ ფეოდალურ სახლს ხელი არ მიუწვდებოდა ატენის ქვეყანაზე, რადგან ამ პერიოდში მას ბალვაშთა ფეოდალური სახლი ფლობს. ამ გარემოებათა გამო, ცხადია, ვერც ერთი ვერ აისახებოდა ვერის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის ჩვენთვის საინტერესო წარწერაში.

წერილობითი წყაროების შესწავლამ გვაჩვენა, რომ ვერის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული ნიანია – ნიანია ლიპარიტის ძეა. ამ დიდ ფეოდალს თავისი მოსახსენებელი

წარწერა ვერის ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის დასავლეთ კედელზე 1054-1057 წლებში უნდა განეთავსებინა, როდესაც ლიპარიტი თავისი ძლიერების ზენიტშია, მთელ ქართლს და სამხრეთ საქართველოს ფლობს.¹

შირიმის კვადრზე შესრულებული მიქელ დიდებულის წარწერა ყველაზე არქაულია დანარჩენ წარწერათა შორის. მიქელის წარწერა კიდურწვეტოვანებისაკენაა მიდრეკილი და მასში ეს პროცესი ჩამოყალიბებული არ არის. იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება X ს. II ნახევარში (989 წლამდე) შესრულებული შეპიაკისა და დაღეთის ეკლესიების წარწერებისაგან², სადაც ყველა გრაფემა კიდურწვეტოვანია. მიქელის წარწერაში მხოლოდ ცალკეული გრაფემები (Q, C, M, I, O) იმკობა ამ დეკორატიული ელემენტებით, რომელთა აბრისი მოკლებულია იმ რაფინირებულ გამომსახველობას, რასაც 989 წლამდე შესრულებულ შეპიაკის ეკლესიის წარწერებში ვხვდებით. ამ ნიშნებით შეპიაკის წარწერებს მიქელ დიდებულის წარწერა დროის თვალსაზრისით წინ უსწრებს. შესაბამისად მისი შესრულების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი X ს. შუა ხანებით მაინც უნდა განისაზღვროს. წარწერაში მიქელის მდგომარეობა საგანგებოდაა ხაზგასმული. იგი დიდებულია. ამიტომ მიქელი X საუკუნის ატენის მფლობელ დიდებულებს შორისაა დასაძებნი. ატენის ქვეყანას, რომელშიც ვერეც შედიოდა, X ს-ში ბალვაშთა უძლიერესი ფეოდალური სახლი ფლობს⁴⁸. გ. აბრამიშვილმა ატენის სიონის წარწერების შესწავლის შედეგად გაარკვია, რომ ატენის მფლობელ ბალვაშთაგან მიქელია პირველი, რომელმაც ეს ქვეყანა 940

¹ ამის შესახებ ვრცლად იხილეთ: ე. კავლელაშვილი. ვერის ღმრთისმშობლის ეკლესიის.. გვ. 107-114.

² ა. ბაქრაძე. თრიალეთის და ატენის.. გვ. 56-57. ლაპიდარული წარწერები. I. გვ. 236-8. ტაბ.91\1,2.

წელს სიგელით მიიღო ბაგრატი I-გან (937-945). ამ ფეოდალმა 945 წელს თავისი დაფინანსებით ატენის ტაძარს ზღუდე აუშენა. მისი ქტიტორული გამოსახულება ატენის სიონის სამხრეთ ფასადზე ორფიგურიან ქტიტორულ რელიეფზეა დაცული¹. ის გარემოება, რომ ბაღვაშებს 940 წლიდან 989 წლამდე ეპყრათ ატენის ქვეყანა, ხოლო ვერის ეკლესიის კუთვნილი მიქელის წარწერა 989 წლამდე შედგენილი შპაიაკის წარწერაზე უფრო ადრეული ხანის პალეოგრაფიული თავისებურებებით ხასიათდება, გვიმოწმებს, რომ ამ წარწერაში მოხსენიებული მიქელი, რომელიც დიდებულის ეპითეტის მატარებელია, მხოლოდ ბაღვაში შეიძლება ყოფილიყო. მაშინ, ცხადია ეს მიქელი ატენის წარწერებში დამოწმებული მიქელ ბაღვაშია. ასეთ იდენტიფიკაციას მხარს უჭერს ამ პიროვნების სახელის ბოლოკვეცილი დაქარაგმებაც, რომელიც ატენის სიონის რელიეფზე ერთი გრაფემით მ, ხოლო გელათის ღმრთისმშობლის ხატზე² და გომარეთის წმ გიორგის ეკლესიაზე³ ვერის წარწერის მსგავსად ორი გრაფემით – ში გადმოიცემა.

მიქელ ბაღვაშის მიერ 945 წელს ჩატარებული ატენის სიონის ზღუდის სამშენებლო სამუშაოები გვიმოწმებს, რომ ვერისა და გომარეთის ეკლესიებზე აღდგრნითი სამუშაოები მიქელს X საუკუნის 40-იან წლებში ან მის მომდევნო ახლო ხანებში უნდა ეწარმოებინა.

¹ გ. აბრამიშვილი. მიქელ, რატი და ლიპარიტ ბაღვაშთა ქტიტორული ქანდაკებები (იდენტიფიკაციის ცდა). *ნარკვევები*. VIII. თბ. 2003. გვ. 24. ლ. რჩეულიშვილი. ატენის მცირეგუმბათიანი ეკლესია. *ქს*. I. თბ., 1941. გვ. 201-209.

² Е. Такашвили. Археологическія... с.81.

³ Е. Такашвили. Археологическія... с.81. ე. კავლელაშვილი. ვერის ღმრთისმშობლის. გვ.118-121.

ამდენად, ვერის ღმრთისმშობლის ეკლესიის წარწერების შესწავლის საფუძველზე ირკვევა შემდეგი:

1. ტაძრის ფასადზე XIX სა-ის 40-იან წლებში ოთხი წარწერა ყოფილა განთავსებული. ამათგან ერთი (გურგანელის) – აღმოსავლეთის, ხოლო სამი (მიქელის, ნიანისა და მირიანის) წარწერა დასავლეთის ფასადს ამკობდა.

2. ორსტრიქონიან წარწერაში მოხსენიებული მიქელ დიდებული ბალვაშია. იგი ატენის ქვეყანასა (რომელშიც ვერეც შედიოდა) და თრიალეთთან ერთად ფლობს ზურტაკეტსაც. 945 წელს ატენის ზღუდის მშენებლობის შემდეგ აწარმოებს სარესტავრაციო-აღდგენით სამუშაოებს ვერის ღმრთისმშობლის და გომარეთის წმ. გიორგის ეკლესიებში.

3. ერთსტრიქონიან წარწერაში მოხსენიებული ნიანია ლიპარიტის ძეა, რომელსაც თავისი წარწერა ვერის ეკლესიაზე 1054-1057 წლებში უნდა განეთავსებინა, როდესაც ლიპარიტ ბალვაში ძლიერების ზენიტშია და ქართლთან ერთად ფლობს მთელ სამხრეთ საქართველოს.

4. მეფის ერთგულ დიდმოხელე მირიან თარხუნის ძის ბრძანებით ატენის ციხისთავ გურგანელს ვერის ეკლესიაში აღდგენითი სამუშაოები უწარმოებია არა უადრეს 1058 და არა უგვიანეს 1065 წლისა.

შემოკლებათა განმარტება

მოამბე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი

ნარკვევები – აკად. შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელთა შრომების კრებული

სსმმ – აკად. შ. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ჟურნალი „მოამბე“

ქც – ქართლის ცხოვრება

ქხ – ქართული ხელოვნება. გ. ჩუბინაშვილის სახელობის სახელობის საქართველოს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელთა შრომები

ქქხ – საქართველოს ხელოვნების მუზეუმი. ძველი ქართული ხელოვნების განყოფილება

ძმწ – საქართველოს ხელოვნების მუზეუმი. ძირითადი შემოსულობათა წიგნი

ИКОИМАО - Известие Кавказского отделения Императорского Московского археологического Общества

დამოწმებანი:

1. **აბრამიშვილი გ.** მიქელ, რატი და ლიპარიტ ბაღვაშთა ქტიტორული ქანდაკებები (იდენტიფიკაციის ცდა). *ნარკვევები*. VIII. თბ. 2003.

2. **ალიმბარაშვილი ი.** დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის შიდა ქართლში მოგზაურობა (პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული მასალების მიხედვით). გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ელდარ მამისთვალაშვილი – 75. გამომცემლობა “ჯეოპრინტი”. 2015

3. **ახალაია ლ.** ვერეს ეკლესიაზე 1990 წელს ჩატარებული საველე არქეოლოგიური კვლევის ანგარიში. მანქანაზე ნაბეჭდი.

4. **ბარნაველი ს.** ატენის ახალი წარწერები. მოამბე. ტ. VII. 1-2. თბილისი. 1945.

5. **ბაქრაძე ა.** თრიალეთისა და ატენის, პიგრაფიკული ძეგლები, როგორც ისტორიული წყარო. სსმმ. ტ. XX-B. თბილისი. 1959.

6. **ბერძენიშვილი დ.** ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვები თეძმის, სოვლესა და ატენის ხეობებში 1959-61 წწ. (ანგარიში). თბილისი. 1962. ხელნაწერი. დამატება. I. ეპიგრაფიკული ძეგლები. №6. ვერის მონასტერი (ათრევას ხევი, ტანა) (ხელნაწერი)

7. **კავლელაშვილი ე.** ვერის ღმრთისმშობლის ეკლესიის წარწერები. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. *ნარკვევები*. X. თბილისი. 2005.

8. **ლაპიდარული წარწერები. I.** აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბილისი. 1980.

9. **რჩეულიშვილი ლ.** ატენის მცირეგუმბათიანი ეკლესია. ქს. I. თბ. 1941.

10. **ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი. II.** დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვეთი I (IX-XIII სს). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბ., 1980.

11. **ჩუბინაშვილი გ.** ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი. 1936.

12. **Brosset M.** Voyage archeologique. St. Peterbourg. 1851. Rapp. VI.

13. **Такаишвили Е.** Археологическія экскурсії, разысканія и заметки. ИКОИМАО. вып. III. Тифлис. 1913.

14. **Чубинашвили Н.** Церовани. Храмы сводчатой архитектуры с конструктивно-декоративными нишами на восточном фасаде. Тбилиси. 1976.

ტაბულების სია

1. სურ. I. ვერე. ღმრთისმშობლის ეკლესია. მიქელის წარწერა. მონახაზი.
2. სურ. II. ვერე. ღმრთისმშობლის ეკლესია. მირიან ერისთავის წარწერა. მონახაზი.
3. სურ. III. ვერე. ღმრთისმშობლის ეკლესია. ნიანას წარწერა. მონახაზი
4. სურ. IV. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მიერ გადმოწერილი და პეტერბურგში მარი ბროსესთან გაგზავნილი ვერეს წარწერები.
5. სურ. V. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის მიერ გადმოწერილი და პეტერბურგში მარი ბროსესთან გაგზავნილი წვიმოეთის მონასტრის წარწერები

Elene Kavlelashvili

Georgian National Museum. Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts. Patriarchate of Georgia St. King Tamar University

DIMITRI MEGVINETKHUTSESHVILI AND THE INSCRIPTIONS IN VERE VIRGIN CHURCH RESUME

Vere Virgin church is situated in Shida Kartli, at a distance of 15 km. from Gori.

French orientalist M. Brosset discovered three inscriptions in the church in the 40-th of the XIX cent. And dated them back from 1001. Another scientist E. Takaishvili read two inscriptions. According to the works of these scientists, names: Eristavi Mirian and Vere Eristavi Gurganeli,

also Mirian, son of Tarkhun and Ateni Tsikhistavi Gurganeli are names of one and the same person.

G. Chubinashvili discovered only one inscription in 1915 there. Afterwards, in 1922 he was able to find only half of it. The scientist marked out two building periods. The older period was dated back from the VII c. The restoration period – the 60-th of the XI c. was connected with the name Tsikhistavi Gurganeli.

In July-October of 1990 the basic archaeological investigations were held, which were over in 1991; three stones with “asomtavruli“ inscription were discovered there as a result of the investigation. After thorough studying of the inscription appeared:

1 – Michael Didebuli, mentioned in the two-line inscription was Michael Baguashi, who was presented Ateni Land in 940 by the king Bagrat I (937-945). In 945 Michael surrounded Ateni with a fence. This is the period when he could have Vere church restored.


2 – Niania, son of Liparit is mentioned in the third, one-line inscription. He could have written this inscription there in 1054-1057, when Liparit Baguashi was on the pick of his authority and possessed the whole Kartli and the south part of Georgia.

3 – Eristav Mirian is mentioned in five-line inscription. Only he could order Gurganeli to carry out restoration works upon Vere church (1058-1065).

ტაბულები



სურ. I.



სურ. II



სურ. III

**სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი
ელჟარდ აიხვალდის სამოგზაურო ჩანაწერებში
და თანამედროვე ისტორიოგრაფია**

სამეგრელოს პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული, გეოლოგიური და სხვა სახის ვრცელი აღწერა მოცემულია ცნობილი გერმანელი ბუნებისმეტყველისა და მოგზაურის, მედიცინის დოქტორის, ყაზანის უნივერსიტეტის მეანობისა და ზოოლოგიის პროფესორის, პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის პროფესორ **ელჟარდ აიხვალდის** (1795-1876 წწ.) სამოგზაურო ჩანაწერებში. 1825-1826 წლებში საქართველოში მოგზაურობის შემდეგ მან გამოცა კაპიტალური ნაშრომი ორ ტომად. სამეგრელოს შესახებ ცნობები თავმოყრილია ძირითადად მისი ნაშრომის მეორე ნაწილის მესამე თავში („მოგზაურობა იმერეთსა და სამეგრელოში“), რაც 1837 წელს გამოქვეყნდა შტუტგარდში. წიგნის ქართული თარგმანის გამოცემა განხორციელდა 2005 წელს, ვია გელაშვილის მიერ¹ დიდ ინტერესს იწვევს დასახლებული პუნქტების, ციხე-სიმაგრეების, ეკლესიების, სავაჭრო გზების, მდინარეების, ხიდების, ფლორის, ფაუნის, სხვადასხვა სახის დაავადებებისა და სხვ., აიხვალდისეული საფუძვლიანი აღწერა. მოგზაურმა საკუთარი თვალთ დასახულ სინამდვილესთან ერთად ჩანაწერებში თავი მოუყარა სხვა პირთა მიერ მოწოდებულ ცნობებს; ასევე გააანალიზა ძველ ბერძენ,

¹ ელჟარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი). თბილისი, 2005.

რომაელ თუ სომეხ ისტორიკოსთა და გეოგრაფოსთა – არიანეს, პლინიუსის, სტრაბონის, ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, მოსე ხორენელის, აგრეთვე წინამორბედი მოგზაურების – ძამპის, შარდენის, გიულდენშტედტის, რაინეგის, კლაპროტის, გამბას ნაშრომები¹ მისი ვრცელი პოლიტიკური ცნობები სამეგრელოს სამთავროს შესახებ ფრიად ფასეულია, რამდენადაც, ყველა ცნობას, იგი, როგორც ლევან მენუთე დადიანის სტუმარი, პირადად მისგან და ნიკო დადიანისგან იღებდა.²

წინამდებარე ნაშრომში სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთ საკითხზე გავამახვილებთ ყურადღებას, თუ როგორ აისახა იგი გერმანელი მეცნიერ-მოგზაურის - ელუარდ აიხვალდის ჩანაწერებში.

აიხვალდი იცნობს სტრაბონისა და აპიანეს ცნობებს კოლხეთის, ოქროს საწმისისა და „ფაზისზე მდებარე აიას ტყეში ჩამოკიდული ვერძის ტყავის“ მოსატაცებლად, იახონის მეთაურობით მოსული არგონავტების შესახებ³. თუმცაო, შენიშნავს მოგზაური, 1821 წელს სამთო საქმის უფროსმა ტფილისში, კარპინსკიმ, ოქროს მარცვლების ვერავითარ კვალს ვერ მიაკვლიაო მთელ გურიასა და მის მოსაზღვრე სამეგრელოს ერთ ნაწილში.⁴

აიხვალდი ჩანაწერებში გვთავაზობს სამეგრელოს აღწერას აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით. მოგზაური მიიჩნევდა, რომ **სამეგრელო** ორ დიდ პროვინციად –

¹ გელაშვილი გ., შესავალი აიხვალდის წიგნისა – ელუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, 11-12.

² გელაშვილი გ., შესავალი აიხვალდის წიგნისა – ელუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 19.

³ ელუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, 163-164.

⁴ ელუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, 164.

ლენხუმად და **ოდიშად** იყოფა: **ოდიში** ცოტა დიდია პირველზე, თუმცა **ლენხუმი** უფრო დასახლებულია. ორივე პროვინციას სამეგრელოს სახელის ქვეშ აერთიანებენ. ამიტომ ლენხუმს არ უნდა შევხედოთ როგორც ცალკე პროვინციას, თუკი დადიანს სამეგრელოს ბატონს ვუწოდებთ. სამეგრელო პროვინციის ძველი სახელწოდებაა, რადგან ამჟამად მეგრელები მას ოდიშს უწოდებენ. მეგრელები ქართლელთან ან სხვა უცხოელთან საუბრისას თავის თავს ყოველთვის მეგრელს უწოდებენ, რადგან ისინი მათთვის მხოლოდ ამ სახელითაა ცნობილი.¹

ქორონიმი **სამეგრელო** პირველად მოიხსენიება XI საუკუნის I ნახევრის ძეგლში, რაც ცნობილ საეკლესიო მოღვაწესა და მწერალს – ექვთიმე ათონელს ეკუთვნის. იგულისხმება მაქსიმე აღმსარებლის ქართული კიმენური რედაქცია, რაშიც ვკითხულობთ: „წარგავლინეს სამარადისოსა ექსორიობასა და ჰყრობილებასა კერძოდ სამეგრელოსა... წარავლინა ექსორიობად სამეგრელოს“.² სამეგრელო ბიზანტიური ეპოქის ლაზიკის, მთელი დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობით დასტურდება ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის „ისტორიის“ ქართულ, 1142 წლით დათარიღებულ რედაქციაში, ხოლო XII ს. I ნახევრით დათარიღებულ „დავით და კონსტანტინეს ცხოვრებაში“ ქორონიმი „სამეგრელო“ ვიწრო მნიშვნელობითაა ნახმარი და მეგრელებით დასახლებულ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის ნაწილს აღნიშნავს. მამასადამე, XI საუკუნეში სამეგრელოში მოიაზრებოდა როგორც მთელი და-

¹ ელჟარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, 184.

² ბერაძე თ., „მეგრელი“, „სამეგრელო“, „ოდიში“. კრ. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, თბილისი, 1993, 459.

სავლეთი საქართველო, ისე საკუთრივ მეგრელებით დასახლებული ტერიტორია.¹

სამეგრელო მხარის სახელწოდებაა დასავლეთ საქართველოში. იგი მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე, კავკასიონის ქედის მთისწინა და ნაწილობრივ მთიან ზოლში. მისი ფართობი დაახლოებით 4339,2 კმ²-ს შეადგენს. სამეგრელოს ტერიტორია მოქცეულია შავ ზღვასა და ცხენისწყალს შორის. ჩრდილო-დასავლეთით ძირითადად მდ. ენგური ესაზღვრება; სამხრეთი საზღვარი ძირითადად მდ. რიონზე გადის, ხოლო ჩრდილოეთით ეგრისის ქედამდე ვრცელდება. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით სამეგრელო შვიდ მუნიციპალიტეტს მოიცავს.

მოგზაურმა იცის, რომ სამეგრელოს უძველესი სახელი **კოლხეთია**. მოგვიანებით მისი ერთი ნაწილისთვის **ლაზეთი** უწოდებიათ, რომლის სახელწოდებაც, მოგზაურის აზრით, ალბათ, ლეჩხუმის სახელწოდებაშია საძიებელი... შემდეგ მან სახელად მიიღო **ეგერია**, როგორც ეს მოსე ხორენელთანაა, და ახლაც მმართველი საკუთარ თავს ეგერიის მბრძანებელს უწოდებს. ამის შემდეგ აიხვალდი მსჯელობს სახელწოდება „სამეგრელოს“ წარმომავლობაზე და აცხადებს, რომ თურქთა მოგვიანო ხანის ბატონობის პერიოდში ქვეყანამ მიიღო სახელწოდება **მინგრელია**. **მინგ** თურქულად 1000-ს, ხოლო **რეულ** – წყაროს, ნაკადულს ნიშნავს. სანამ ის იბერიაზე იყო დამოკიდებული, ეწოდებოდა **სადადიანო**, რადგან მაშინ ამ მხარეს მართავდა იბერიის მეფის ერთ-ერთი უმაღლესი მოხელე, მეღვინეთუხუცესი დადიანი. „ამიტომ მისი პატივი და თვით პროვინცია სადადიანოდ იწოდება. თუმცა ერთხელ სამეგრელოს მეღვინეთუხუცესი იბერიას განუდგა და ამ საფლობელოს დამოუკიდებელი მმართველი გახდა, მაინც ამ

¹ ბერაძე თ, „მეგრელი“, „სამეგრელო“, „ოდიში“, 459-460.

პროვინციის სახელწოდება კვლავ სადადიანო დარჩა და ყველა მთავარი თავის თავს უწოდებს დადიანს, ისე რომ არ არის იბერიის მეღვინეთუხუცესი“.¹

სამეგრელოს ძველ ისტორიასა და სახელწოდების ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას აშკარაა, რომ ედუარდ აიხვალდი წყაროდ იყენებს იაკობ რაინეგის სამოგზაურო ჩანაწერებს, რაშიც სახელწოდება „სამეგრელოს“ შესახებ ასევე მსგავსადვე მცდარი ეტიმოლოგიაა წარმოდგენილი. რაინეგის ცნობითაც ხომ პართელების ენაზე **მინგ-რეულ**, თურმე, „ათას წყაროს“, „აყვავებულ მიწას“ ნიშნავს.²

ქუთაისიდან ხონის გავლით, სამეგრელოს ტერიტორიაზე ედუარდ აიხვალდი ასახელებს **გორდის ციხეს** და იძლევა რელიეფის დახასიათებას. გორდი ამჟამად სოფელია ხონის მუნიციპალიტეტში, ზ. დ. 560 მ-ზე. ადმინისტრაციული ერთეულში შედის სოფლები: საკუთრივ გორდი, ბანგვეთი, გამოღმა ნოღა და გაღმა ნოღა. სოფელში შემორჩენილია ციხის ორი ნაშთი. პირველი დგას ზედა გორდში, მაღალ, მოშიშვლებულ ბორცვზე. მას **ველის ციხეს** ეძახიან. შემორჩენილია ოთხკუთხა კოშკის პირველი სართულის ნანგრევები, რომლის სიმაღლეც 2 მ-ს აღწევს. კოშკის დიამეტრი 6 მ, ხოლო გარშემოწერილობა 19 მ-ია. კოშკის კედლის სისქე 2,2 მ-ია. შემორჩა ციტადელის, ანუ შიდაციხის ნაშთიც, რომლის სიგრძეც 13 მ-ს, ხოლო განი დაახლ. 8 მ-ს აღწევს.³ მეორე ციხე დგას ქვედა გორდში, სალაურში, ნო-

¹ ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, 187-188.

² რაინეგის იაკობ, მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო ვია გელაშვილმა. თბილისი, 2002, 119.

³ მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ფაილოძე ა., 2008, ბათუმი, 94-96.

ღის ტერიტორიაზე. შემორჩენილია ორი კოშკი. მეორე, დიდი ზომის კოშკის პირველი სართული ყრუა. ამჟამად შემორჩენილია 12-13 მ სიმაღლის ნაშთი. ციხის ზომა 30-20 მ-ია. აქვს ოთხუთხედის ფორმა და აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენაა წაგრძელებული. სამხრეთის და ჩრდილოეთის კოშკები ზედა ქიშხე შეკრულია მომცრო ზომის ცილინდრული კოშკით, რომლის შემორჩენილი სიმაღლეც დღეს 4 მ-ია. სალი კლდის ქიშხე დაბჯენილი კოშკების კედლების სისქე 2,2 მ-ს აღწევს. გორდის ციხე ხშირად მოიხსენიება ისტორიულ წყაროებში.¹ XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის, გეოგრაფის, კარტოგრაფისა და საზოგადო მოღვაწის – ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „გორდიდამ ვიდრე კავკასამდე არს ხეობა ლეჩხუმისა, რომელსა უწოდებენ თაკუერად“.² ვახუშტის რუკებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ გორდის სამხრეთით, ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს მდებარე ტერიტორია ოდიშის შემადგენლობაშია, მარცხენა მხარე კი იმერეთში შედის: „ხოლო ისულებიდამ ხაზი ცხენისწყლის კიდისა, ვიდრე გორდამდე, არს დასავლის მხარე ოდიშისა, და აღმოსავლეთის კერძო იმერეთისა“³.

იაკობ რაინგსი ჰიპოსის (ცხენისწყლის) მარჯვენა მხარეს ასახელებს სამეგრელოს მთავრის ქალაქსა და რეზიდენციას – **რეციას**, სადაც თურმე ბევრი აბრეშუმი მოჰყავთ.⁴ პუნქტი ამ სახელწოდებით ცხენისწყლის ხეობაში ამჟამად არ დასტურდება, მაგრამ რაინგსის მიერ წარმოდგენილი გე-

¹ ფაილოძე ა., 100-107.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 750.

³ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 750.

⁴ რაინგსი იაკობ, მოგზაურობა საქართველოში, 121.

ოგრაფიული აღწერილობის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს სწორედ სოფელი გორდი უნდა იყოს.

მარანს ქვემოთ აიხვალდი მიუთითებს ფონს მდ. ცხენისწყალზე, სადაც შესაძლებელი იყო ამოფულრული ხით მდინარეზე გასვლა; წყლის დაბალი დონის დროს კი მასში გავლა ცხენითაც მოხერხებულად შეიძლებოდა.¹

მარნიდან წასული აიხვალდი **მეოგალებს** სწვევია, სადაც იეგერთა 22-ე პოლკი ყოფილა დაბანაკებული. უწინ მათი შტაბ-ბინა მარანში ყოფილა, მაგრამ შემდეგ წყალდიდობისგან შედარებით დაცულ მხარეში – მეოგალებში გადაუტანიათ.² პოლკის მეთაური აფხაზოვი (პოლკოვნიკი თავადი ივანე ნიკოლოზის ძე აფხაზი) აქ ცხოვრობდა უკვე ოთხი წელია, მშვენიერ სახლში. ჯარისკაცთა საცხოვრებელი ხის, ან დაწნული წვრილი ტოტებისგან გაკეთებული პატარა ქოხები განლაგებული ყოფილა ორ მწკრივად, პატარა მდინარის ორივე ნაპირზე. დანარჩენები ვაკეზე გაბნეულ დიდ ყაზარმაში ცხოვრობდნენ. შტაბ-ბინიდან ერთგვარი მოშორებით, გაშლილ მოედანზე, აიხვალდის ცნობით, დიდი საავადმყოფო მდგარა, რომლის წინაც დარგული იყო უმშვენიერესი ზეთისხილის, დაფნისა და ბროწეულის ხეები.³ სამოგზაურო ჩანაწერების მიხედვით პოლკში 3000 კაცია, რომელთა უმეტესობაც მეოგალების შტაბ-ბინაზე დგას, ხოლო დანარჩენი ასეულები – სუხუმ-კალეში, ანაკლიასა და რედუტ-კალეში. ყველგან არაფანსალი ჰავის გამო ყოველწლიურად სიკვდილიანობა 600-800 კაცს შეადგენს. აქ გაბატონებული ყოფილა უმთავრესი ავადმყოფობა ციება, რაც დიდხანს გრძელდება და საბოლოოდ ცხელებაში გადადის და უმეტესად წყალმანკით

¹ ელუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, 167.

² ელუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, 167, 168.

³ ელუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, 168.

თავდება. ზაფხულის ცხელ დღეებში ზოგჯერ ხუთი-ექვსი კაცი კვდება, რელუტში უფრო მეტი და მღვდელს დრო არ ჰყოფნის გარდაცვლილთა დასამარხავად. საგუშაგოზე დაღუპულ ჯარისკაცებს გუშაგები გახსნილი სერთუკებით და ზუმბით გარს უვლიან. ლაზარეთში მიყვანილი ახლად დავარდნილი ავადმყოფები ხშირად შემტანის ხელზე კვდებიან.¹

ჯარისკაცები მეოგალებს მეტწილად **ნოვოგალებს** ან ხუმრობით **ნოვაგებელს**, ე. ი. ახალ სიკვდილს ეძახიან, რადგან მათი შტაბ-ბინა ახლახანს გადმოიტანეს წყალდიდობისგან დაუცველი მარნიდან ამ ტერიტორიაზე, – აცხადებს მოგზაური.²

აიხვალდისეული მეოგალები იგივე **ნაოლაენია**. ასე ეწოდება მდინარეებს – აბაშასა და ინჩხიას შუა მდებარე ვრცელ ტერიტორიას.³ გ. ელიავას ცნობით, ხალხურ მეტყველებაში მარტვილს **ნაოლაღვესაც** ეძახდნენ, გვიან კი, მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან დოკუმენტებშიც ასე მოიხსენიება.⁴ მკვლევარი გვთავაზობს ლოკალიზაციასაც: **ნაოლაღვი//ნაოლაენი** – ფართო ვაკე, რაც აღმოსავლეთით აბაშის კალაპოტით არის შემოზღუდული, ხოლო აღმოსავლეთით – ინჩხიის ვრცელი ჭალებით. ეს ვაკე ტაბაკელას მთისძირამდე გრძელდება და რაიონის ცენტრისკენ სამკუთხედის წიბოსავითაა მიმართუ-

¹ ელუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, 168.

² ელუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, 169.

³ კეკელია ი., მარტვილის რჩეული გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბილისი, 2008, 46; მისივე, მარტვილის ტოპონიმია (ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონი), თბილისი, 2009, 87.

⁴ ელიავა გ., აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია, თბილისი, 1977, 99.

ლი.¹ პარალელურ ფორმად დადასტურებულია აგრეთვე **ნო-ულაენი, ნოვოლაენი, ნოვოლალევი, ნაოლაენი.**²

პოლკის შტაბ-ბინა, როგორც ჩანაწერებიდან ირკვევა, პატარა მდინარის ორივე ნაპირზე ორ მწკრივად ყოფილა განლაგებული. აქ უნდა იგულისხმებოდეს მდ. ინჩხია, რაც სოფ. ინჩხურში, ტაბაკონას მთის სამხრეთ ფერდობზე იღებს სათავეს და მარჯვნიდან შეერთვის მდ. აბაშას, ქალაქ მარტვილის ტერიტორიაზე. მდინარის სიგრძე დაახლოებით 5-6 კმ-ია.

შტაბ-ბინიდან რამდენიმე ვერსზე, მთაში, აიხვალდი მიუთითებს მეოგალების (ნაოლალევის) დიდ ეკლესიას, რომლის ასაშენებლად, მოგზაურის აზრით, გამოუყენებიათ ირგვლივ მდებარე მთებში ძალზე დიდი რაოდენობით არსებული სტალაქტიტები. ზოგი სტალაქტიტი მკლავის სიმსხო და წყრთის სიგრძეც კი ყოფილა.³

შტაბ-ბინიდან 3 ვერსის მოშორებით, აბაშის წყალვარდნილთან, მოგზაურისთვის თავად აფახაზოვის ბრძანებით სუფრა გაუშლიათ, სადაც მთელი კორპუსის ოფიცრობა ყოფილა დაპატიჟებული. წყალვარდნილიდან 2 ვერსზე მდინარეზე არსებულ თავთხელზე გასვლა ცხენითაც ყოფილა შესაძლებელი, ხოლო თვით მდინარე, მოგზაურის ცნობით, ამ ადგილიდან 20 ვერსზე, მთებში იღებს სათავეს. „წყალვარდნილის სიმაღლე სულ ცოტა 15 საუენია; შემდეგ მდინარე კიდევ მეორე წყალვარდნილს ქმნის, რომელიც არაა ისე ლამაზი და მაღალი. იქ, თავის დინებაში კლდეებისგან ისე ვიწ-

¹ ელიავა გ., აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 101.

² კეკელია ი., მარტვილის ტოპონიმიკა, 87.

³ ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, 169.

როვდება, რომ ძალით გამოდის მათ შორის და ხან გვერდით, ხანაც შუაში იმ კლდეებზე ხმაურით ვარდება“.¹

13 მაისს ნაოლაღვევიდან სალხინოს დადიანების საზაფხულო რეზიდენციისკენ გამგზავრებულმა აიხვალდმა თავის მეგზურთან ერთად გაუარა აბაშის წყალვარდნილს და შეუდგა წიფლისა და კაკლის ულრან ტყეში არსებულ აღმართს. მოგზაური მიუთითებს ერთმანეთს ერთი კუთხით მიბჯენილ ორ მთას და წინანდელი მოსახლეობის მიერ კირქვიან კლდეებში გაყვანილი მალაროს არსებობაზე. ხეობის სიღრმეში განმარტოებულად მდებარე მთის საკანის შესასვლელი კარით ყოფილა დაკეტილი. „მასთან მისვლა მხოლოდ გაჭირვებით და არცთუ უსაფრთხოდ შეიძლებოდა, – წერს აიხვალდი; – ბუნებამ მის შესაქმნელად გაცილებით მეტი იზრუნა, ხელოვნურად კი მხოლოდ შესასვლელი იყო ამოშენებული და გამოქვაბული ცოტა წესიერად გაფართოებული. მე ვერ შევიტყვე ვის უნდა ეცხოვრა მასში. მე მომიწია სულ მცირე ერთი ვერსის შეუჩერებლივ აცოცება კლდეზე, რათა იქამდე მიმეღწია. ამასთან მთა ისე ციცაბო იყო, რომ სიცხისაგან მთლად გამოსავათებული და გახურებული მივადექი გამოქვაბულს, მაგრამ ჩემი ცდა არ დამიფასდა“.² მოგზაურის მიერ მოცემული გამოქვაბულის გეოგრაფიული აღწერიდან ირკვევა, რომ ეს ადგილი მდებარეობდა მდ. აბაშის მარცხენა მხარეს და მდინარეზე არსებული წყალვარდნილის ჩრდილოეთით. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ აქ იგულისხმება სოფელ პირველი ბაღდის აღმოსავლეთით, 0,5 კმ-ზე, აბაშის მარცხენა მხარეს, მოთენას მთაზე, ეოცენური ასაკის შრეებრივ კირქვებში გამომუშავებული და მოთენასავე სახელით ცნობილი მღვიმე. მოთენას ჰორიზონტალური, ორსართული-

¹ ელუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, 170.

² ელუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, 173-174.

ანი, აღმავალი მღვიმის შესასვლელი ზ. დ. 570 მ, ხოლო აბაშის ხეობის ფსკერიდან 180-200 მ სიმაღლეზეა. შესასვლელში ამოყვანილი ქვითკირის კედლის სიმაღლე 8-9 მ-ს აღწევს, სიგანე კი – 7-8 მ-ს. კედელში ჩატანებული კარის სიმაღლეა 1,5 მ, ხოლო სიგანე – 0,7 მ. უფრო ზევით მრგვალი სარკმელია. კედლის ქვეშ არსებული სამკუთხედი-სებური თალიდან მოზრდილი მდინარე გამოედინება. ქვითკირის კედელი და სათოფურები მიუთითებს, რომ ეს ადგილი ისტორიული დროის ნაგებობაა და გვიან შუა საუკუნეებში გამოიყენებოდა ციხე-სიმაგრედ. კედლის წინ 10 მ-ით წამოწეულ კლდეზე სუროს გრძელი გირლანდებია დაკიდებული. კედლის უკან მღვიმის სიმაღლე 15 მ-ს აღწევს, სიგანე – 10 მ-ს. კედლის შიდა მხარეზე არსებული მეომართა დასადგომი ბაქანი, როგორც ჩანს, ხის ძელებზე იყო დაყრდნობილი. მღვიმის გამოკვლეული ნაწილის სიგრძე კედლიდან ტბამდე 90-110 მ-ია.¹

მეოგალებიდან (ნაოლალენიდან) 15-იოდე ვერსზე აიხვალდი ასახელებს მდ. **საჩურას** (საცხურას), რაც დადიანის საზაფხულო ბანაკს ჩაუდის გვერდით სოფელ სალხინოში. „მასზე პირველად შემხვდა ხიდი; ის მეგრელთა უდარდელობისა თუ სიზარმაცის გამო გაკეთებული იყო ხის ტოტებისგან და შეკრული იყო წნელებით, ისე რომ მასზე მხოლოდ

¹ მარუაშვილი ლ., შუქი სიბნელეში, თბილისი, 1963, 89-91; მსჯელობისათვის იხ. აგრეთვე მარუაშვილი ლ., ოდშის სპელეოლოგიური კვლევის შედეგები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. თბილისი, ტ. XXVII, 1961, 591-592; ყიფიანი შ., ტატაშიძე ზ., ოქროჯანაშვილი ა., ჯიშკარიანი ვ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი. თბილისი, 1966; ტატაშიძე ზ., წიქარიშვილი კ., ჯიშკარიანი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი. ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ახალი სერია 3 (82), თბილისი, 2009, 201-201.

ფენით შეიძლებოდა გასვლა, ისიც საკმაო საფრთხის ქვეშ; ცხენები კი ამავე დროს მდინარით გაჰყავდათ. ეს ხიდი იყო ძალზე ვიწრო და მაღალი, ისე რომ ზედ გასვლისას განუწყვეტლივ ქანაობდა“ – წერს მოგზაური.¹ (**საჩურა** იგივეა, რაც მდ. **წაჩხურა**. მოედინება ასხის კირქველი მასივის კარსტული ძაბრიდან, მიწისქვეშა ნაკადის სახით, ზ. დ. 320 მ სიმაღლიდან. უერთდება მდ. ტეხურს მარცხენა მხრიდან, სოფ. სალხინოს ტერიტორიაზე. მდინარის სიგრძე 12 კმ-ია. მდინარისთვის დამახასიათებელი წყალცივობა გახდა სახელდების საფუძველიც: **წაჩხურა** იგივეა, რაც „ცივწყალა“.² მდინარის სახელწოდების ადგილობრივ ვარიანტებად დადასტურებულია აგრეთვე **ჭაჩხურა//ჭაჩხუ?ა//წაჩხვია//წაჩხუ?ა**.³

მცირე მანძილის გავლის შემდეგ აიხვალდი მიადგა დადიანის საზაფხულო სადგომს **სალხინოში**. მოგზაური ფიქრობდა, რომ აქ ნახავდა სამეგრელოს მბრძანებლის მშვენიერ შენობებს, მაგრამ ტყიდან გასულს, მდინარის წინ, პატარა მოედანზე „კაბიტკის“ მსგავსი რამდენიმე, მრგვალი, დაწნული ქოხის, ქვის ძველი ეკლესიისა და მის უკან მდგარი დადიანის მოძველებული და მორყეული სასახლის მეტი არაფერი შეუმჩნევია. „თვით სახლი მთლად ხისაა და შემდგარია მაღალ ბოძებზე, რადგან საფუძველი არ აქვს. კიბით ავდივართ დახურულ აივანზე, რომლის გვერდებზეც შეინიშნება დასაჯდომები. შიგნით მოთავსებულია დადიანისა და მისი

¹ ელჟარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, 174.

² კეკელია ი., მარტვილის რაიონის ოიკონიმია. ქუთაისი, 2010, 125-127; ხუხუა ო., სალხინო თუ წაჩხურუ? გაზ. „შრომის დროშა“, №86, 1980; ხუხუა ო., ტოპონიმების – „სალხინოსა“ და „წაჩხურუს“ წარმოშობის ისტორიისათვის. გეგეჭკორის სარაიონთაშორისო სამხარეთმცოდნეო მუზეუმის XXVI სამეცნიერო სესია (მასალები). თბილისი, 1981.

³ ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VI, მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი), თბილისი, 2012, 656.

ოჯახის საცხოვრებელი ოთახები. თვით ოთახებში ვერსად ვნახე სკამები ან სხვა ავეჯი, მხოლოდ რამდენიმე მერხი იდგა კედლებთან. ოთახები, რომლებიც განკუთვნილია მოსამსახურეთათვის, საკმაოდ ჭუჭყიანი და ძალზე ღარიბული იყო“.¹

სალხინო თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით სოფლების – წაჩხურუს, ვახას, ლეგულორდავეს, ლესხულუხეს, ლეცავესა და პატარა ჟინოთის ცენტრს წარმოადგენს. მარტვილს 15 კმ-ით არის დაშორებული და გაშლილია ტეხურისა და წაჩხურის ხეობებში, ვაკეზე, მთებსა და გორაკ-ბორცვებზე. გოგილო და დემურ ბასილაიები სოფლის სახელწოდების წარმოქმნას ამ ადგილის დადიანთა რეზიდენციად გადაქცევას უკავშირებენ და დაასკვნიან, რომ ტოპონიმის „დამკვიდრება“ უნდა მომხდარიყო XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან.² არჩილ ბატონიშვილისა და გიორგი გეგელიას რჩევით ფიცრულის ნაცვლად ორსართულიანი ქვის სასახლის მშენებლობის დაწყება სალხინოში სამეგრელოს მთავარ ლევან V დადიანის (1804-1840 წწ., გარდაიცვალა 1846 წელს) სახელთანაა დაკავშირებული, რაც მის შვილიშვილს, პრინც სალომე მიურატს, დედამისის – ეკატერინე დედოფლის (ჭავჭავაძის) გარდაცვალების შემდეგ დაუსრულებია (XIX. ს 80-იან წლებში). მანამდე აქ სამეგრელოს მთავრებს ხის ოდა ედგათ. „სასახლის მდებარეობა იმ ადგილს ახლო, საცა არის სამშობლო „ოჯალემისა“ (სასახლიდამ ორ ვერსტზე) მდინარის წაჩხურის ნაპირად, რომელიც იყო და არის განთქმული შესანიშნავის წაჩხურის კალმახებით და თითონ პლანი სასახლისა, რომლის ქვედასართულის შუაგულ ზალაში არის ჩატნეული უზარმაზარი

¹ ელჟარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, 175.

² ბასილაია გ., ბასილაია დ., ჩენი სალხინო, თბილისი, 2008, 20.

ქვევრი, რომლის გარეშე შიგ ზალაში გაკეთებულია სალხინოდ განმზადებული მუხის სვეტებზე აყვანილი ფანჩატური ლამაზად მოქარგულის თაღით, სრულად ამართლებენ სასახლის წოდებას „სალხინოს“ და მოწმობენ, რომ ამგვარი სასახლის აშენების აზრი ამ ადგილზე, სწორედ უნდა მოსვლოდა ისეთს მთავარს, როგორც იყო ლევან დადიანი, რომელსაც მთელი მისი სიცოცხლე ლხინში და სიმღერაში გაუტარებია“, – წერდა მწერალი და საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია.¹

სალხინოს XVIII ს-ის 80-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით მოიხსენიებს ნიკო დადიანი: „შემდგომად რამოდენისამე ხანისა სიყვარულისა დასამტკიცებლად მოვიდა მეფე სალხინოს დადიანისა თანა (იგულისხმება კაცია დადიანი – ი. კ.), მონათლა ასული დადიანისა მარიამ, და შემდგომად მრავლის ლხინისა და მრავლის საჩუქარისა მოვიდა მეფე კვალად ქუთაისს“.²

სალხინო მოხსენიებულია თეოფანე არქიმანდრიტის (გაბუნias) მიერ 1852 წელს შედგენილ დოკუმენტში: ჯვარის მაზრის ეკლესიებისა და საეკლესიო მსახურთა „უწყებაში“.³

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით **სალხინო** ლხინისთვის განკუთვნილი, ლხინთან დაკავშირებული შენობა ან საგანგებოდ მოწყობილი ადგილია. **სალხინო//სარხინო** თავდაპირველად მდ. წაჩხურის მარცხენა ნაპირზე მდებარე მინდვრის სახელწოდება ყოფილა, რასაც ამჟამად

¹ მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი. მასალები და დოკუმენტები სოლ. ცაიშვილის რედაქციით. ტფილისი, 1939, 62.

² დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბილისი, 1962, 180.

³ კეკელია ი., მარტვილის რაიონის ოიკონიმია, 111-112.

ოკათუეში „თავშესაყარი“ ჰქვია. მეტონიმიის გზით მიკრო-ტოპონიმი განივრცო სახელდებული ობიექტის უშუალოდ მომიჯნავე ობიექტზე, რაც დამახასიათებელია სამეგრელოს ტოპონიმიისათვის.¹ სალხინო ის აღვილია, სადაც იკრიბებოდნენ რელიგიური დღეობების აღნიშვნისა და გართობის, დროის გატარების მიზნით.²

სალხინოდან რამდენიმე საათის შეუსვენებელი მგზავრობის შემდეგ აიხვალდი სწვევია კირქვიანი მთის წვერზე აღმართულ **წაქვიშის ციხეს**. ესაა თანამედროვე ჭაქვინჯის ციხე. „ის არც განსაკუთრებით დიდია და არც ძალიან ძველი. გალავანზე შეინიშნება რამდენიმე პატარა კოშკი, ალბათ ჯარისკაცებისთვის სათოფურებად (ამბრაზურებად). ციხეში არის ეკლესია, რომელიც ვერ ვნახე, რადგან შიგნით არ შემიშვეს დადიანის საგანგებო ნებართვის უქონლობის გამო, რაც საამისოდ აუცილებელი ყოფილა. მცველებს უმკაცრესად ჰქონდათ ნაბრძანები, მისი ნებართვის გარეშე არავინ გაეტარებინათ. თუმცა სამხედრო მეციხოვნე რაზმი არ ღვას, მაგრამ რამდენიმე ზარბაზანი კი არის ციხეში. ციხისაგან 60 ბიჯის მოშორებით შიშველ მოედანზე იდგა ერთადერთი კოშკი, რომლის შესახებაც მითხრეს, რომ მას ციხესთან ჰქონდა მიწიქვეშა დამაკავშირებელი გვირაბი. ერთ-ერთმა უწინდელმა მბრძანებელმა ეს ციხე ააშენა თურქების წინააღმდეგ“.³

ვახუშტის რუკებისა და ნაშრომის მიხედვით „ციხე ჭაქვითი და სასახლე დადიანისა“ მდებარეობს ხორგისწყლის

¹ კეკელია ი., მარტვილის რაიონის ოიკონიშია, 112; კეკელია ი., ბჟალავა დ., მარტვილის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი ოიკონიშის წარმომავლობისათვის. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, IV, თბილისი, 2010, 213).

² კეკელია, მარტვილის რაიონის ოიკონიშია, 112.

³ ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, 184.

(ალბათ ხობისწყლის) აღმოსავლეთით, მაგრამ ეს შეცდომაა, და როგორც თ. ბერაძე აღნიშნავს, აღნიშნული პუნქტი მდებარეობს ჭანისწყლის მარჯვენა ნაპირზე.¹

ვახუშტის თვით ციხის სახელწოდებაც განსხვავებული ფორმით აქვს მოცემული. უფრო ადრინდელ, ლევან II დადიანის 1640 წლით დათარიღებულ წმ. ნიკოლოზის ხატის წარწერაში დასახელებულია „ჭაქვინჯის“, ხოლო მარტვილის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში – „ჭაქვიჯის“ ფორმით. ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიულ რუკაზე აღნიშნულია „ჭაქვიჯი“. ნ. დადიანი რამდენჯერმე ასახელებს ტოპონიმ „ჭაქვიჯს“. მოგვაქვს საილუსტრაციო მასალა „ქართველთ ცხოვრებიდან“: „ხოლო ოდიშს იყო ციხე ჭაქვითისა, გამაგრებული მხეიძის პეტრე ბეჟანის ძისაგან...“; „დროსა ამას განურისხდა დადიანი ლეონ შარვაშიძეს ბეჟანს და შეიპყრა და პატიმარ ჰყო ციხესა შინა ჭაქვიჯისასა...“; „შემდგომად წარსვლისა დედისა თვისისა მთავრმან ჩვენმან ლეონ დადიანმან მოიყვანა მეუღლედ ზურაბ წერეთლის ასული მართა და ჰქმნა დიდი და სახელოვანი ქორწილი ჭაქვიჯს“.² XVIII საუკუნის გერმანელი მეცნიერი და მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი ოდიშში მიუთითებს ჭაქვინჯის ციხეს.³

გადავხედოთ ვახუშტის შემდგომდროინდელ, XIX საუკუნის საარქივო მასალებსაც. სამეგრელოს ეპარქიის 1838 და 1846 წლების სტატისტიკურ აღწერილობაში დასახელებუ-

¹ ბერაძე თ., ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“. ტ. IV, თბილისი, 1971, 58.

² დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, 236.

³ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1962, 188, 199, 325.

ლია ჭაქვინჯის წმ. გიორგის ეკლესია. 1864 წლის საარქივო დოკუმენტში.¹ მოიხსენიება ჭაქვინჯის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი დიანოზ შელია და მედავითნე („პრიჩეტნიკი“) გიორგი შელია; ასევე წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელი რომანოზ შენგელია და მედავითნე ათანასე ანთელავა.²

ამჟამინდელ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ჭანისწყლის მარჯვენა მხარეს, ზუგდიდიდან 16 კმ დაშორებით, ზ. დ. 130 მ სიმაღლეზე, ნარაზენისა და ჯიხაშკარის საკრებულოებს შორის მდებარეობს ჭაქვინჯის ადმინისტრაციული ერთეული. ციხე აგებულია ჯიხაშკარის ტერიტორიაზე. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით აღნიშნული სოფლის ოფიციალური სახელწოდებაა **ჯიხასკარი**, ხოლო თვით ციხე-სიმაგრე, რაც სოფლის ცენტრის დასავლეთით, მალალ გორაზე დგას, **ჯიხას** სახელითაა ცნობილი.

წერილობით წყაროებში გვხვდება ტოპონიმის განსხვავებული ფორმაც – წაქვიში. კერძოდ, ლევან V დადიანის მიერ წალენჯიხის დეკანოზ ნიკოლოზ თვალთვამიასათვის ბოძებულ წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „ამისი მოწმე **წაქვიშის ციხის** და მისი შემავალის, თქვენი მოურავი მხეიძე პეტრე“.³

პ. ცხადაიას მსჯელობით, ახლანდელ ჭაქვინჯის უწინდელი სახელი ქუატახტი იყო, ხოლო ჭაქვინჯი უფრო ჯიხაშკარს ერქვა.⁴

¹ ფონდი 489, აღწ. 6, საქმე №1724.

² ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბილისი, 2010, 60, 61, 71.

³ ქუთაისის მუზეუმი, საბ. №1503.

⁴ ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, ზუგდიდის რაიონი. თბილისი, 2007, 352.

პროფ. შ. მესხია ვარაუდობდა, რომ ჭაქვინჯში უნდა ყოფილიყო ეგრისის მმართველის – ქუჯის ციხე-სიმაგრე. ქუჯის ჯიხას ანუ ჯიხა-ქუჯის „ჭაქვინჯად“ გადაქცევა სავსებით შესაძლებელია, მაგრამ მკვლევრები საბოლოო და გადამწყვეტი დასკვნის გაკეთებისგან თავს იკავებდნენ, ვინაიდან ასეთი დასკვნა ციხის ნაშთების საფუძვლიან არქეოლოგიურ შესწავლაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული.¹

სოფლის სახელწოდება ჭაქვინჯის ფორმით არაერთხელ გვხვდება ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც²

ტოპონიმ „ჭაქვინჯის“ ეტიმოლოგია გარკვეული არაა. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ მოცემულია შემდეგი მნიშვნელობები: „**ჭაქვინჯი** ჭის ფსკერი; ზოგან განმარტავენ როგორც ჭანთა ნაფუძარს, ჭანთა ქვედა ციხეს“.³ ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ სიტყვა **ქვინჯი** ფიგურირებს სამეგრელოში ჩაწერილ რამდენიმე ტოპონიმში. მაგალითად, **ქვაბ(ი)ქვინჯი** – ფერდობი სახნავით, აბაშის მარჯვენა ნაპირზე (ბობოთი). **ქვაბი** იგივეა, რაც მღვიმე, გამოქვაბული; **ქვაბქვინჯი** „მღვიმის (გამოქვაბულის) ძირი“ მეტაფორულად აღნიშნავს ჩავარდნილ-ჩადაბლებულ ადგილს.⁴ საყურადღებოა ტოპონიმ „ქვიჯეს“ დადასტურებაც. ასე ეწოდება ხევსა და ლელეს სოფ. ქვაითში, რაც მარჯვნიდან შეერთვის ნოლას, საკირესთან. **ქვიჯეც** მეტაფორული ოროგრაფიული ნომენია და როდინივით (მეგრ. **ქვიჯა, ქვიჯე**) ჩაღრმავებულ ადგილს

¹ პაჭკორია მ., ვიცნობდეთ კულტურის ძეგლებს. თბილისი, 1975, 33.

² სამუშია კ., ქართული ხალხური პოეზიის მასალები. მეგრული ნიმუშები. თბილისი, 1971, 18, 19, 65, 74; სამუშია კ., ქართული ხალხური პოეზიის საკითხები. ეგრული ნიმუშები. თბილისი, 1979, 155).

³ ქობალია ა., მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010, 707.

⁴ კეკელია ი., მარტვილის რჩეული გეოგრაფიული სახელწოდებანი, 62.

ნიშნავს. ქვინჯა, ქვინჯე, ქვინჯი გადატ. იგივეა, რაც ძირი, ფსკერი.¹

ჭაქვინჯის ციხე-სიმაგრე მატერიალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. ოდიშის საერისთავოში ჭაქვინჯის ციხე გამორჩეული იყო თავისი სიდიდითა და ძლიერებით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სწორედ ეს პუნქტი წარმოადგენდა საერისთავოს ცენტრს.² ციხის არქეოლოგიურ შესწავლას გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან აწარმოებდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიცია, პროფ. პარმენ ზაქარაიას ხელმძღვანელობით. აღმოჩენილი ნივთიერი საბუთებით აქ დასტურდება მშენებლობის სამი ფენა: III-IV სს., დაახლ. VIII-IX სს. და XVI-XVIII სს. მშენებელს ციხის ასაშენებლად მოხერხებული ადგილი შეურჩევია. ესაა საკმაოდ მაღალი მთა ჭანისწყლის მარჯვენა მხარეს, საიდანაც თვალწინ იშლება ოდიშის დაბლობი და ზღვისპირეთი. მაშასადამე, აიხვალდის ცნობა, რომ ეს ციხე მისმა ერთ-ერთმა მფლობელმა უწინ თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად ააგო, დაზუსტებას საჭიროებს: ციხე თურქობამდე ბევრად ადრე, ადრეულ შუა საუკუნეებშიც მოქმედი ყოფილა.

მთის მაღალ წვერზე აგებული და გრძელი ელიფსის ფორმის ციტადელთან მისასვლელი გზა ადრე დასავლეთიდან ყოფილა, ამჟამად კი აღმოსავლეთიდან უვლის. კედლები ირეგულარული გეგმისაა. რელიეფის თავისებურების შესაფერისად განლაგებული კოშკები მრავალჯერ დანგრეულა და აღუდგენიათ. ციხის ადვილად მისადგომი ჩრდილოეთი მხარე სამი კოშკითაა გამაგრებული. ეგრისის სამეფოს ძლიერების

¹ იქვე.

² ბერაძე თ., ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“. ტ. III, თბილისი, 1967, 141.

პერიოდის კოშკების თლილი კვადრებით აგებული ქვედა ნაწილი ყრუა, რაზეც მოგვიანებით სხვადასხვა დროს სამი სართული დაუშენებიათ. ერთი კოშკი მოგვიანებით დაუდგამთ აღმოსავლეთითაც.

ციხის პირველი ფენა – IV–V სს. ოთხკუთხა გალავნის ნაშთები არქეოლოგებმა გამოავლინეს სწორედ ჩრდილოეთით მდგარი კოშკებიდან განაპირას. მოგვიანებით ციტადელის შიგნით ორსართულიანი პალატი და სასახლეც აუგიათ. ციხის დიდი მასშტაბით გადაკეთება XIII-XIV საუკუნეთა მიჯნას უკავშირდება. ესაა მტრის მიერ მიყენებული დიდი ნგრევის შემდეგდროინდელი აღდგენითი სამუშაოები, რაც გამოიხატა აღმოსავლეთის კოშკისა და ჩრდილოეთის სამი კოშკიდან შუაში მდგარი კოშკის ხელახალ აშენებაში. ამავე ხაზზე მდგარი განაპირა კოშკებისათვის დაუშენებიათ ახალი სართულები სვანური სალოდებით. იმავე ეპოქით თარიღდება დარბაზული ეკლესია, რაც ფართის გათვალისწინებით გარნიზონისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. მას დასავლეთით სათავსი აქვს. ამ უკანასკნელის ქვეშ გამართული აკლამა კი ეკლესიის ამგებისა და მისი ოჯახის წევრთათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. სამხრეთი და დასავლეთი კედლების თაღების სისტემითა და დეტალებით ეკლესია XIII-XIV სს-თა მიჯნით უნდა დათარიღდეს.

XV-XVI სს-თა მიჯნაზე ციხის მასშტაბი ბევრად გაუზრდიათ და ციტადელის ჩრდილოეთით ახალი ციხე აუგიათ. ციტადელის კედლებს საბრძოლო ბილიკები მიუყვებოდა, რისი ნაშთებიც დღესაც შეიმჩნევა. ციტადელი ქვედა ციხის რამდენიმესართულიან კოშკს გვირავით უკავშირდებოდა. ქვედა ციხის გალავნის კედლები პირწმინდადაა დანგრეული.

ვასუშტის ცნობა, რომ ჭაქვინჯის ციხე „ღიდნაშენი“ იყო, დასტურდება არქეოლოგიური გათხრებით. აქ გამოვლე-

ნილი პალატის ნაშთები, რაც თავის დროზე ორსართულიან კაპიტალურ შენობას წარმოადგენდა, მიუთითებს იმაზე, რომ გვიან შუა საუკუნეებში ჭაქვინჯი ციხე-დარბაზად ქცეულა.¹

ჭაქვინჯის ციხესთან გამოივლიდა გზა, რაც სამეგრელოს ტოპონიმიაში „შქა სამარგალოშ შარას“ სახელითაა ცნობილი. დადიანების ამ ადგილას მკვიდრობაზე მიუთითებს ტოპონიმური მასალაც. მაგალითად, ერას ხეობის მარჯვენა ნაპირას, დობერას სერზე, ისტორიული ციხის მახლობლად, მაღლობზე მდებარე ბორცვს **ნადონორუს//დადიაშ ნადონორუს** ეძახიან, სადაც, გადმოცემით, მდგარა დადიანის სასახლე. ასევე ციხის მახლობლად, მაღლობზე მდებარე მინდორს ნაბუნარუ ეწოდება. სწორედ აქ, ამ სასახლეში დაბადებულა დავით ლევანის ძე დადიანი. მოგვიანებით სასახლე დაურღვევიათ და ბუნრის ნაშთი დარჩენილა. ასევე ერწყარის, ჭანისწყლისა და წკვიბლალის შესართავთან, რახვინად წოდებულ ჭალაში მდებარე ბორცვს ადგილობრივი მოსახლეობა **ნამარანუს//დადიაშ ნამარანუს** უწოდებს (ჯიხაშკარი). ასევე სოფლის ჩრდილოეთით, ალერტკარის საზღვართან მდებარე ტყეს **სადადიო ტყა** ერქვა. სამწუხაროდ, ამ ტოპონიმების დათარიღება ჯერჯერობით ვერ შევძელით.

შემდეგი პუნქტი, რასაც ეღუარდ აიხვალდი ასახელებს, დადიანის საზაფხულო რეზიდენცია **ზუგდიდია**. მოგზაური გვაუწყებს, რომ დადიანებმა თავიანთი რეზიდენცია აქ ორიოდე საუკუნის წინ გადმოიტანეს და დასახლდნენ, თუმცა ახლა ეს სახლები მეტწილად დანგრეული იყო. ამჟამინდელმა დადიანმა ლევან გრიგოლის ძემ ერთი წლის წინ დაიწყო ქვის ძალზე ძალაღ საფუძველს დაყდრნობილი ახალი მშენიერი სასახლის მშენებლობა. მშენებლები რუსი ჯარისკაცები

¹ ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვინაძე ვ., გვინჩიძე გ., ციხეგოჯინოქალაქევი. თბილისი, 1984, 54-56.

არიან, რომელსაც დადიანი დღიურ საფასურს უხდის. ხის მთავარი შენობის გარდა აიხვალდი მთავრის ეზოში ასახელებს კიდევ რამდენიმე დამატებით ნაგებობას, რასაც ფლობენ დადიანის ამალის წევრი თავადები.¹

ზუგდიდი გაშენებულია მდ. ჩხოუშის ორივე მხარეს, ოდიშის დაბლობზე, ზ. დ. 110 მ-ზე. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით „...დიდს ველსა ზედა არს ზუგდიდი, სასახლე დადიანთა, დიდშენი და პალატებიანი, ზღუდე-გოღლიანი“.² სასახლის შესახებ ცნობებს გვაწვდის ვახუშტის წინამორბედი იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც ოდიშში XVII ს. 30-40-იან წლებში ცხოვრობდა. „მთავარს ორმოცდაათზე მეტი სასახლე აქვს, – წერს ლამბერტი, – რომელთა შორის უმშვენიერესია ზუგდიდის სასახლე. იგი აგებულია საუცხოვო ქვისაგან და შესანიშნავია, როგორც სიდიდე-სივრცით, ისე ფანჯრების, აივნების და ირანული მხატვრობის სიმშვენიერით“.³ მისიონერ დონ კრისტოფორო დე კასტელის ჩანახატის მიხედვით, რომელიც 1634 წლიდან მოღვაწეობდა სამეგრელოში, გვეძლევა შესაძლებლობა, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ზუგდიდის დადიანისეული სასახლის გარეგნულ იერსახეზე. ამ ჩანახატს დართული აქვს შემდეგი წარწერა: „მთავრის სასახლე სოფელ ზუგდიდში. სამეგრელოს მთავრის სახლი. ეს ნაგებობა ანუ სასახლე სამეგრელოს მეფის სოფელშია“.⁴ ირკვევა, რომ ზუგდიდი სარეზიდენციო პუნქტად გადაქცეულა XVII საუკუნეში, კერძოდ, ლე-

¹ ელჟარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, 185.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 778.

³ ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 2011, 55.

⁴ კასტელი დონ კრისტოფორო, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბილისი, 1976, 172, სურ. 445.

ვან II დადიანის მთავრობის პერიოდში. ამის შესახებ გვაუწყებს ლამბერტის თანამედროვე ღონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, თავის რელაციაში: „სამეგრელოს ქალაქი არ გააჩნია. აქაა მხოლოდ ერთი სასახლე, რომელიც დღევანდელი მთავრის ლევან დადიანის მიერაა აშენებული. ვინაიდან სასახლეს კარგი საძირკველი არ ჰქონდა, ამიტომ ნაწილობრივ ჩამოინგრა“.¹ ჯუდიჩე აქ სწორედ ზუგდიდის სასახლეს გულისხმობს.

დადიანის რეზიდენციაზე ცნობები დაცულია მოგვიანო ხანის წყაროებშიც. ფრანგი მოგზაურისა და ვაჭრის – ჟაკ ფრანსუა გამბას სამოგზაურო ჩანაწერებში (XIX ს. 20-იანი წლები) ვკითხულობთ: „მთავარი დადიანი ზუგდიდში იმ სასახლეში ცხოვრობს, სადაც შარდენია ნამყოფი“.² ზუგდიდი მოუნახულებია ცნობილ გერმანელ მეცნიერ-მოგზაურს – მორიც ვაგნერს, რომელიც გვაუწყებს, რომ ზუგდიდი ესაა ქვეყნის ძველი დედაქალაქი და ძველთაგანვე სამეგრელოს მფლობელთა მთავარი რეზიდენცია.³

აიხვალდი ასახელებს **ანაკლიის** დანგრეულ ციხეს, როგორც დადიანის საკუთრებას. მისივე ცნობით, აღნიშნული ციხე ეკუთვნოდა სამეგრელოს მთავარ გიორგი დადიანს. 1779 წელს ანაკლიის ციხეს დაპატრონებია აფხაზეთის მთავარი ქელეშბეი შერვაშიძე. აიხვალდი გადმოგვცემს მის მდე-

¹ მილანელი ღონ ჯუზეპე ჯუდიჩე, წერილები საქართველოზე. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბილისი, 1964, 84-85.

² გამბა ჟაკ ფრანსუა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბილისი, 1987, 114.

³ მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ. გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ვია გელაშვილმა. თბილისი, 2002, 142-143.

ბარეობასაც: „რედუტ-კალედან ცოტა ჩრდილოეთით, აქედან უფრო შორს, ვიდრე სამხრეთით ფოთია, ინგურზე ძევს ანაკლია“.¹

შავი ზღვის პირას, ენგურის შესართავის მარცხენა მხარეს, მდებარეობს ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტი ანაკლია. მასზე ცნობები დაუცავს აგრეთვე იაკობ რაინეგსს, რომელიც ამ დასახლებულ პუნქტს შეცდომით ენგურის მარჯვენა ნაპირზე მიუთითებს და აღნიშნავს: „...მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზე, მის შესართავთან, მდებარეობს ქალაქი და იქვე ციხე ანაკლია. ეს არის აფხაზეთის მთავრის ლევან შერვაშიძის რეზიდენცია. ციხის შიდა ფართობი სიგრძით თოთხმეტი საჟენია, სიგანით – ცამეტი; მას შემოვლებული აქვს სამი საჟენი სიმაღლისა და ხუთი ფუტი სისქის გალავანი. კარი ორნახევარი წყრთის სიმაღლის და ერთნახევარი წყრთის სიგანისა“.²

ვახუშტი მას მოიხსენიებს ანაკრიას ფორმით: ენგური „...მიერთვის ზღვას ანაკრიას“.³ უცხოურ და ქართულ კარტოგრაფიულ მასალებსა და წერილობით წყაროებში დასტურდება ტოპონიმის ორივე ფორმა. გიულდენშტედტის თქმით, ანაკლია ეწოდება ციხეს ენგურის შესართავთან.⁴ ანაკლია მოხსენიებულია მორიც ვაგნერის თხზულებაში, როგორც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სანავსადგურო ადგილი და სამეგრელოს უკიდურესი ჩრდილო სასაზღვრო პუნქტი.⁵

¹ ელჟარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, 211.

² რაინეგსი იაკობ, მოგზაურობა საქართველოში, 108.

³ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 779.

⁴ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თარგმანი და გამოკვლევა გ. გელაშვილისა. ტ. I, თბილისი, 1962, 325, შენიშვნა.

⁵ მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 134.

თავდაცვითი ხასიათის ციხის ნაშთი შემორჩენილია ენგურის მარცხენა მხარეს და ზღვას 0,5 კმ-ით არის დაშორებული. ადგილობრივნი მას ჯიხას ეძახიან. შემორჩენილია კვადრატული გეგმის მქონე ციხის ორიარუსიანი გალავნის ამ მხარეს (გარდა დასავლეთისა) და კუთხეებში მდგარი სამი კოშკი, რაც დასავლეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთითაა აღმართული. მდ. ენგურის, ე. ი. დასავლეთ მხარეს მდგარი კოშკი სწორკუთხაა, დანარჩენები – ცილინდრული ფორმისა. მეოთხე კოშკი მდგარა აგრეთვე მდინარის მხარეს, რაც ციხის გალავანთან ერთად ენგურს წაუღეკია. ქ შემორჩენილი კედლების ნაშთი ადასტურებს მდინარის მხარეს 3 მ-ზე უფრო განიერი ჭიშკრის არსებობას. გალავნის ზედა იარუსზე სათოფურებია ჩართული. კოშკები სხვადასხვა ზომისაა. მათი ზედა სართულების საბრძოლო დანიშნულებაზე მეტყველებს კედლებში სათოფურების არსებობა.¹

რედუტ-კალეს შესახებ ელუარდ აიხვალდი შემდეგ ცნობებს გვაწვდის: ხობის აქეთა მხარეს რედუტისკენ მიმავალი საფოსტო გზა შეუდარებლად უკეთესია. ამ პუნქტში უწინ სრულებით არ იყო სახლები. ორიოდე წლის წინ ნავსადგურის აგების შემდეგ საზღვარგარეთთან ვაჭრობით მიღებული შემოსავალმა და საბაჟო გადასახადმა მნიშვნელოვანი შემოსავალი შეადგინა. ამიტომ გადაწყდა ნავსადგურის გაშენება-გაფართოება. რუსეთმა სანაპირო ზოლის დათმობის სანაცვლოდ დადიანს გადაუხადა 2300 ვერცხლის მანეთი. ეს ადგილი დადიანს ადრე არაფერს აძლევდა. სამაგიეროდ ვაჭრობა და საბაჟო შემოსავალი წლიდან წლამდე იზრდება. წინათ აქ არ იდგა არავითარი შენობა, ახლა კი სახლების მე-

¹ ზაქარაია პ., საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები. თბილისი, 1960, 117-118.

ტი წილი მდ. ხობის ნაპირზეა. საბაზრო მოედანზე დუქნების ორი რიგია, ხოლო მათ ზემოთ საფოსტო გზა გადის. მოედნის შუაში შუადღემდე აღმართულია ციხის დროშა. დუქნებში უმთავრესად იყიდება არაყი, თამბაქო, ხორცი, პური და სხვა სურსათ-სანოვაგე, მცირე რაოდენობით კი – ფართლეული. უწინ არსებული ჭაობიანი ნიადაგი ამომშრალია და მასზე რიყის ქვებია დაყრილი. ამას გარდა გაყვანილია თხრილებიც, გაზაფხულზე დიდი რაოდენობით დაგროვილი წყლის სადენად. კარანტინი შედგება ღობეშემოვლებული ოთხი პატარა სახლისაგან და მდებარეობს მდინარე ხობის მარჯვენა ნაპირზე. კარანტინში მყოფ მოგზაურებს შეუძლიათ გარშემო სეირნობა, მაგრამ საზღვრის გადალახვა გუშაგების მიერ ეკრძალებათ.

ბაზრის ბოლოს ჩამოედინება პატარა მდინარე სივა (ცივი), რომელიც აქ ერთვის ხობს. ხოლო ზღვასთან ახლოს ძვეს თვით რედუტი. მისი უმნიშვნელო სიმაღლის მიწაყრილი აქა-იქ ჩამოქცეულია. მასზე ყოველი მიმართულებით დგას ქვემეხები. თვით რედუტში არის კომენდანტის საცხოვრებელი, ორიოდე შენობა გარნიზონისათვის, ყაზარმა და ჰოსპიტალი; აგრეთვე დამხმარე შენობები ზოგიერთი მოხელისათვის...

რედუტის მდებარეობა არაჩვეულებრივი ნესტიანობის გამო ძალზე არაჯანსაღია. დიდი ნიაღვრების დროს მდინარე ხობისწყალი კალაპოტში რამდენიმე ფუტით იწევს და წალეკავს ხოლმე მთელ არემარეს. ბაზრის წინ გამდინარე სივა (ცივი) ერთვის ხობს, ამ უკანასკნელის ზღვაში შესართავიდან ერთ ვერსზე. ზღვის ძლიერი შტორმისას წყალი ძალზე ღრმად იჭრება ნაპირზე და აღწევს სივას ხობთან შეერთებამდე, ისე, რომ ციხე წყალში ექცევა. ამ დროს წყალი სიმაგრის შიგნით ერთი ფუტის სიმაღლეზე დგას და ყველა-

ფერს ლეკავს. ამით კი ადგილის ნესტიანობა კიდევ უფრო მეტად იზრდება... რედუტ-კალეში ჯერ კიდევ არაა შუქურა. ღამის წყვდიადში ადგილის გაგნების მიზნით გემიდან გასროლილ ქვემეხს კომენდანტი მაშინვე ქვემეხის გასროლით პასუხობს და აძლევს ცეცხლის ნიშანს. ამის საშუალებით გემები შემოდინან ნავსადგურისკენ, ან კიდევ მთელი ღამით მალა ბოძზე ჰკიდებენ ნათურას... ციხე ზღვის ნაპირიდან დაახლოებით 30 ნაბიჯზე მდებარეობს, ხოლო მისი მიწაყრილის უკან ამოღებულ ჭაში ერთი საუენი სიღრმის ძალიან კარგი, სავსებით უმარილო წყალია.¹

რედუტ-კალე ქართველ მკვლევართა მიერ გაიგივებულია შუა საუკუნეების ქართულ და უცხოენოვან საისტორიო წყაროებში დასახელებულ **კემხელთან//კემხალთან** და თანამედროვე სოფ. **ყულევთან** ხობის მუნიციპალიტეტში. ყულევი მდებარეობს შავი ზღვის ნაპირზე, ზღვასთან ხობისწყლის შესართავთან, და ხობს 18 კმ-ით არის დაშორებული. სოფ. ყორათიდან ხობისწყლის მარჯვენა ნაპირს გასდევს ერთი ქუჩა, რაც მიემართება ისტორიული ციხე-სიმაგრის ნანგრევებამდე. სწორედ ამ ერთ ქუჩაზეა განთავსებული სოფლის მთელი მოსახლეობა. რედუტ-კალე არაქართული ჰიბრიდული ტოპონიმია: **რედუტი** ფრანგულად „მცირე ციხე-სიმაგრეს“ ნიშნავს, ხოლო **კალე** თურქული სიტყვაა და იგივეა, რაც „კოშკი“.²

შელავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის პერიოდის (1821-1831 წწ.) ყულევის მნიშვნელობაზე ყურადღებას ამახვილებს ისტორიკოსი მამანტი პაჭკორია. 1821 წლის 8 ოქტომბრის კანონის საფუძველზე დაწესებული შელავათიანი

¹ ელუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, 199-204.

² საკითხისათვის ვრცლად იხ. ქირია ზ., VI, თბილისი, 2004; ცხადაია პ., III, თბილისი, 2007, 220-222.

სატრანზიტო დათმობებით რუსეთი ამიერკავკასიაში გარკვეულ მიზნებს ისახავდა. საიმპერიო ტარიფით განსაზღვრული ბაჟი (25-50%) ამ კანონის საფუძველზე ითვალისწინებდა 5%-იანი ბაჟის გადახდას, როგორც შემოტანილ, ისე გატანილ და ტრანზიტულ საქონელზე. ასეთი შეღავათის დაწესებით რუსეთის იმპერია ცდილობდა, ევროპული საქონლისთვის გზა გაეხსნა ამიერკავკასიის, შუა აზიისა და ირანისაკენ. შეღავათების დაწესება ხელს შეუწყობდა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ტრანპეზუნდ-არზრუმის გზის გადმონაცვლებასაც.¹

შეღავათიანი ვაჭრობის გაუქმების შემდგომდროინდელი ყულევის სოციალურ-ეკონომიკური სახე კარგად არის ასახული ნოვოროსიისკის მხარის გენერალ-გუბერნატორის (მოგვიანებით მეფისნაცვლის) მ. ს. ვორონცოვის წერილში იმპერატორ ნიკოლოზ I-ისადმი. ვორონცოვი 1836 წელს სწვევია ყულევს. იგი წერდა: „ეს საზღვაო პუნქტი ამიერკავკასიაში თავისუფალი ვაჭრობის არსებობის პერიოდში დიდ როლს ასრულებდა კომერციული სამყაროსათვის. აქაური ვაჭრობის საერთო წესისადმი დაქვემდებარებამ, ტრანზიტის შეწყვეტამ და ნავსადგურისა და ციხე-სიმაგრის ფოთში გადატანამ, თითქმის მოსპო წინანდელი სარეწები და აყვავებული სახე ბაზრისა, თუმცა რელუტ-კალეში ჩვენ კიდევ ვიპოვეთ რამდენიმე ქართული დუქანი“.²

რელუტ-კალედან ფოთისკენ მიმავალ გზაზე, რელუტიდან 4 ვერსის დაშორებით აიხვალდი მიუთითებს რუსების სასაფლაოს არსებობას.³ როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში იგი ეყრდნობოდა მისი წინამორბედი მოგზაურის – მორიც ვაგნერის ჩანაწერებში დაცულ მსგავს ცნობებს რელუტ-კალესა და

¹ პაჭკორია მ, რელუტ-კალე-ყულევი, თბილისი, 1968, 17-18.

² პაჭკორია მ., რელუტ-კალე- ყულევი, 22.

³ ელუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, 205.

მის შემოგარენზე. ვაგნერის თქმით, მცირე სამოქალაქო მოსახლეობა ჭაობის ანაორთქლისადმი ნაკლებ მიდრეკილია. ამასთანავე, ცხოვრობენ უფრო მოხერხებულად, მიერთმევენ უკეთეს საკვებს, რაც განაპირობებს იმას, რომ გარნიზონისგან განსხვავებით ისინი ნაკლებ ავადდებიან. მოგზაური რედუტკალეს სამხრეთით და მისგან თორმეტი ვერსის დაშორებით, ულამაზეს ტყეში, ზღვის ნაპირთან მიუთითებს დიდ სასაფლაოს, რომლის გარშემოც ხარობდა ყველა სახის ხეხილი, ასევე კოპიტი, ცაცხვი, წიფელი, ნეკერჩხალი, დაფნა, ტუია, გარეული ვარდი და ვაზი, ხვართქლა, სურო, წითელი ხენდრო და ასეულობით სხვა ხვარა მცენარე¹

უკანასკნელ ხანს სამეგრელოს შესახებ მრავალი მონოგრაფია და სტატია გამოქვეყნდა, მაგრამ ასეთი მზარდი ინტერესის მიუხედავად, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას შემდეგი: რა კუთხითაც არ უნდა განვიხილოთ სამეგრელოს წარსული, დღემდე გამოცემული და ჩვენ ხელთ არსებული რამდენიმე ათეული მონოგრაფიისა და ცალკეული გამოკვლევის შემთხვევაშიც კი, საბოლოოდ მაინც იმ შეხედულების აღიარება მოგვიწევს, რომ ბევრი რამ ამ რეგიონის ისტორიიდან გამოსამზეურებელია, მთელი რიგი საკითხებისა კვლავაც საგანგებო კვლევასა და ახლებურად გააზრებას საჭიროებს. ეს კი შეუძლებელია, უპირველეს ყოვლისა, ევროპელ ავტორთა ცნობების გაანალიზების გარეშე.

წინამდებარე გამოკვლევაში ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა ცნობილი გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის – ედუარდ აიხვალდის სამოგზაურო ჩანაწერების მნიშვნელობა, რომელიც ახალი შტრიხებითა და ნიუანსებით ავსებს ჩვენ ცოდნას XIX საუკუნის პირველი მესამედის სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხებზე.

¹ მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, 139.

დამოწმებანი:

ბასილაია გ., ბასილაია დ., ჩვენი სალხინო. თბილისი, 2008.

ბერაძე თ., ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“. ტ. III, თბილისი, 1967.

ბერაძე თ., ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“. ტ. IV, თბილისი, 1971.

ბერაძე თ., „მეგრელი“, „სამეგრელო“, „ოდიში“. კრ. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“. თბილისი, 1993.

გამბა ჟაკ ფრანსუა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბილისი, 1987.

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თარგმანი და გამოკვლევა გ. გელაშვილისა. ტ. I, თბილისი, 1962.

დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბილისი, 1962.

ელჟარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი). თბილისი, 2005.

ელიავა გ., აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმოკა, თბილისი, 1977.

ვაგნერი მორიც საქართველოს შესახებ. გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბილისი, 2002.

ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, თბილისი, 1973.

ზაქარაია პ., საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები. თბილისი, 1960.

ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვინაძე ვ., გვინჩიძე გ., ციხეგოჯი-ნოქალაქევი. თბილისი, 1984.

კასტელი დონ კრისტოფორო, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბილისი, 1976.

კეკელია ი., მარტვილის რჩეული გეოგრაფიული სახელწოდებანი. თბილისი, 2008.

კეკელია ი., მარტვილის ტოპონიმია (ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონი). თბილისი, 2009.

კეკელია ი., მარტვილის რაიონის ოიკონიმია. ქუთაისი, 2010.

კეკელია ი., ბჟალავა დ., მარტვილის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი ოიკონიმის წარმომავლობისათვის. კრ. „ქართველური ონომასტიკა“, IV, თბილისი, 2010.

ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა. თბილისი, 2011.

მარუაშვილი ლ., ოდიშის სპელეოლოგიური კვლევის შედეგები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. 27, თბილისი, 1961.

მარუაშვილი ლ., შუქი სიბნელეში. თბილისი, 1963.

მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი. მასალები და დოკუმენტები სოლ. ცაიშვილის რედაქციით. ტფილისი, 1939.

მილანელი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, წერილები საქართველოზე. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ. თბილისი, 1964.

პაჭკორია მ., რედუტ-კალე-ყულევი. თბილისი, 1968.

პაჭკორია მ., ვიცნობდეთ კულტურის ძეგლებს. თბილისი, 1975.

რაინეგსი იაკობ, მოგზაურობა საქართველოში. გერმანული-დან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო ვია გელაშვილმა. თბილისი, 2002.

სამუშია კ., ქართული ხალხური პოეზიის მასალები. მეგრული ნიმუშები. თბილისი, 1971.

სამუშია კ., ქართული ხალხური პოეზიის საკითხები. მეგრული ნიმუშები. თბილისი, 1979.

ტატაშიძე ზ., წიქარიშვილი კ., ჯიშკარიანი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი. ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ახალი სერია 3 (82), თბილისი, 2009.

ფაილოძე ა., მატთანე ხონისა. ბათუმი, 2008.

ფონდი 489, აღწ. 6, საქმე №1724.

ქირია ზ., სოფელ ყულევის ისტორიიდან. კრ. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, VI, თბილისი, 2004.

ქობალია ა., მეგრული ლექსიკონი. თბილისი, 2010.

ქუთაისის მუზეუმი, საბ. №1503.

ყიფიანი შ., ტატაშიძე ზ., ოქროჯანაშვილი ა., ჯიშკარიანი ვ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი. თბილისი, 1966.

ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, ზუგდიდის რაიონი. თბილისი, 2007.

ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III, ხობის რაიონი, ქ. ფოთი. თბილისი, 2007.

ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VI, მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი). თბილისი, 2012.

ჭითანავა დ., ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე). თბილისი, 2010.

ხუხუა ო., საღბინო თუ წაჩხურუ? გაზ. „შრომის დრო-
შა“, №86, 1980.

ხუხუა ო., „წაჩხურუს“ წარმოშობის ისტორიისათვის. გე-
გეჭკორის სარაიონთაშორისო სამხარეთმცოდნეო მუზეუმის
XXVI სამეცნიერო სესია (მასალები). თბილისი, 1981.

Igor Kekelia

Akaki Tsereteli State University

**SAMEGRELO'S HISTORICAL GEOGRAPHIC
QUESTIONS IN EDVARD EICHWALD'S
TRAVELLER'S NOTES AND MODERN
HISTORIOGRAPHY
RESUME**

A large political, economical, ethnographical, geological description of Samegrelo in the travelling notes of Professor Edvard Eichvald, a famous German scientist and traveler (1795-1870).

After having travelled in Georgia in 1825-1826, he published a capital work in two volumes. The information about Samegrelo is given in the third chapter of the second part of the book („Travelling in Imereti and Samegrelo”) which was published in Stutgard in 1837.

Eichwavid's perfect description of settlements, fortresses, churches, trade roads, rivers, bridges, flora and fauna is of great interest.

His large political information about Samegrelo Principality is very important, as being a guest, he got all the

information from Levan the fifth Dadiani and From Nicko Dadiani.

In the previous research we tried to show the importance of the travelling notes of Edwavr Eichvald, a famous German Scientist and traveler, which extend our Knowledge about Samegrelo's historical geographic questions of the XIX century.

**ევროპული წერილობითი წყაროები საქართველო-
ეგვიპტის ურთიერთობისა და იერუსალიმელი ქართველების
შესახებ (XIII-XV სს.)**

სტატიაში მოხმობილი და გაანალიზებულია მხოლოდ ახალი, ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის უცნობი რამდენიმე ცნობა, ამოკრებილი ევროპელი ავტორების ნაშრომებიდან.

მას შემდეგ, რაც ჯვარის მონასტერი რამდენიმე ათწლიანი „ტყვეობიდან“ განთავისუფლდა და საქართველო-ეგვიპტეს შორის დიპლომატიური ურთიერთობა მოწესრიგდა, გაუმჯობესდა ქართველი ბერმონაზვნების მდგომარეობა იერუსალიმში. სულთან ან ნასირ მუჰამედის მიერ ქართველი მეფის, გიორგი ბრწყინვალისადმი ანგარიშის გაწევის და პიპა ქვინიფნევის კაიროში ელჩობის შედეგი უნდა ყოფილიყო, 1322 წელს პილიგრიმმა სიმონ დე სიმომენისმა (ფიტცსიმონს) და მისმა თანმხლებმა მორჩილმა ძმამ, უფლის საფლავის ტაძარში ორი ქართველი მორწმუნე რომ იხილეს¹. ეს ფაქტი იყო იმის მაუწყებელი, რომ ჯვრის მონასტერში მე-

¹*The Peaceful Liberation of the Holy Places in the XIV Century.III - Franciscan Chronology of the Four Shrines (1333 - 1517). 3 - The Church of the Holy Sepulchre* <http://www.christusrex.org/www2/liberation/III-3.html>. იმავე წელს არაგონის მეფემ იმავე სულთნისგან მიიღო ნებართვა, თორმეტი დომინიკანელი ბერის უფლის საფლავის ტაძარში ცხოვრების შესახებ. არაგონელი დომინიკანელი ბერები 1323 წელს ჩავიდნენ იერუსალიმში, მაგრამ მძიმე პირობებს ვერ გაუძლეს და შემდგომ, 1324 დატოვეს წმინდა ქალაქი და სამშობლოში დაბრუნდნენ. Ibidem..

ჩეთის არსებობა შეწყდა და ჯვრის მონასტრის ფუნქციის აღდგენასთან ერთად ქართველი სასულიერონი გამოჩნდნენ სხვა ქრისტიანულ სიწმინდეებშიც. ამავე წელს ავგუსტინელმა ბერმა ჯაკომო ვერონელმა უფლის საფლავის ეკლესიაში ნახა სამი ქართველი, რომელთა ხელში იყო ამ ტაძრის გასაღებები¹. მათ ტაძარში შესვლის მოსურნე მომლოცველებსათვის დააწესეს გადასახადი ერთი ვენეციური ოქროს მონეტა². „ქართველებს აქვთ წმინდა საფლავის ეკლესიის გასაღები და ისინი დიდძალი ფულისთვისაც არ შეეღებებიან საფლავის ქვის უძირეს ნატეხსაც კი“, აღნიშნავდა გერმანელი პილიგრიმი ლუდოლფ ზუდჰაიმი 1347 წელს³. სხვა ცნობით, ქრისტეს წმ. საფლავის გასაღები, ქართველების ხელში იყო და ეკლესიაში მისული მლოცველისაგან ვენეციურ ფულს მოითხოვდნენ თუ ისინი სამრეკლოში შესვლას მოისურვებდნენ⁴.

¹ქართველები, რომ წმინდა საფლავის გასაღებებს ფლობდნენ, რენე ჟანენი (*ქართველები იერუსალიმში // რელიგია, №10, 1992, გვ. 11*) ამისათვის იმოწმებს *Archives de l'Orient latin, t. II, II-epartie, p. 354*.

²*იქვე*. გ. ფერაძე იცნობდა ჯაკომო (იაკობ) ვერონელის ჩანაწერებს და საქართველოს და იერუსალიმელი ქართველების სხვა ტაძრებში ყოფნის შესახებ ცნობები ამოკრებილიც აქვს, მაგრამ იმაზე, რაც ზემოთ ითქვა, არაფერს ამბობს. *ფერაძე გრ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გ. ჯაფარიძემ, თბ., 1995, გვ. 36-37*.

³*The Peaceful Liberation of the Holy Places in the XIV Century. III - Franciscan Chronology of the Four Shrines (1333 - 1517); ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 23; ფერაძე გრ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები..., გვ. 37*.

⁴*ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, გვ. 23*.

მაგრამ გვაქვს ფრანცისკანელი პილიგრიმის ნიკოლო პოჯიბონსის 1347 წლის ცნობა, რომლის მიხედვით, უფლის საფლავის ნიშის გასაღებები მუსლიმანი დამცველების ხელში იყო¹.

ერთ-ერთი ანონიმი რუსი პილიგრიმის გადმოცემით, უფლის საფლავის ეკლესიაში ოთხი ლათინი და ოთხი ქართველი ბერი გალობით ეგებებოდნენ მომლოცველებს ეკლესიის კარებში და მიუძღვებოდნენ საფლავის ნიშისაკენ. ამის შემდეგ ისინი აწყობდნენ მსვლელობას და ყველა სიწმინდის წინ ჩერდებოდნენ².

ეგვიპტის სახელმწიფოს საქართველოსადმი კეთილი ნების დემონსტრირების მაჩვენებელია მამლუქების სახელმწიფო კანცელარიის მიერ სულთან ან ნასირ მუჰამედის (1309-341) რამდენიმე დოკუმენტის შექმნა³.

იერუსალიმის მართლმადიდებლური საპატრიარქოში დაცული ორი დოკუმენტი გვიჩვენებს იერუსალიმის ქართული თემის სამართლებრივ და უფლებრივ მდგომარეობას. პირველი დოკუმენტიდან ჩანს, როგორ იყენებდნენ ქართველი სასულირო ძმობა და საერო პირები სულთნისა და სახელმწიფო მოხელეების მიერ მიცემულ დოკუმენტებს თავიანთი უფლებების დასაცავად. ეს არის საქმის მოსმენის ოქმი სასამარ-

¹*The Peaceful Liberation of the Holy Places in the XIV Century.III - Franciscan Chronology of the Four Shrines (1333 - 1517).*

² *Ibidem*

³ ი. პაპლიჩი მიუთითებს იერუსალიმის მართლმადიდებლური საპატრიარქოს №VII. 1.5, VII.B.1.11, VII.B.2.33, VII.B.2.35, VII.B.2.38, VII.B.5.2, VII.B.5.3 და VII.B.7.501 დოკუმენტებზე. *Pahlitzsch J., Documents in Intercultural Communication in Mamlūk Jerusalem. The Georgians under Sultan an-Nasir Hasan in 759 (1358), in: Diplomats in the Eastern Mediterranean 1000-1500. // Aspects of Cross-Cultural Communication (The Medieval Mediterranean 74) ed. Alexander Beihammer, Maria Parani and Christopher Schabel, Leiden 2008, p. 373.*

თლოში. საქმის მოსმენა გაიმართა 1358 წლის 26 მარტს. ოქმის მიხედვით, ღაზას გუბერნატორმა, რომელსაც იერუსალიმი ექვემდებარებოდა, 6 მარტს გამოსცა ბრძანება ქართული თემის მდგომარეობის შემოწმების შესახებ. ქართველებს საშუალება მიეცათ გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება აღნიშნული შემოწმების გამო, მაგრამ არ ჩანს, ჰქონდათ თუ არა მათ თავიანთი მდგომარეობის გამო სასამართლოში ჩივილის მიზეზი. სავარაუდოა, სახელმწიფოს ინიციატივით დაინიშნა გამოძიება.

იერუსალიმის ქართული თემის მეთაურმა, წმინდა ჯვრის მონასტრის წინამძღვარმა იოანემ¹ სასამართლოს წარუდგინა რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც შედგენილი და დამტკიცებული იყო ამირ შაჰიდ ად დინ ან ნაზირისა და სულთან ან-ნასირ ად-დინ ალ-ჰასანის მიერ (1354-1361)². სულთანმა, როგორც ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტებიდან ჩანს, დაამტკიცა ქართველი ბერებისა და მღვდლების უფლება ეკლესიების, მონასტრებისა და ვაკუფების, ე.ი. საქველ-

¹ ე. მეტრეველმა იოანეს ჯვარისმამობა ალაპების მიხედვით, სავარაუდოთ, დაათარიღა XIV ს. პირველი ოცეულით. *მეტრეველი ე., იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის*, გვ. 36. ამავე დროს, ისიც აღსანიშნავია, რომ XIV საუკუნის არც ერთი ჯვარისმამის წინამძღვრობის წლები არ ვიცით. არაბული დოკუმენტის თარიღის სიზუსტეში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. უეჭველია, რომ დოკუმენტის იოანე, იმავე საუკუნის 50-იან წლებში ჯვარისმამაა. სხვა ჯვარისმამა იოანე XIV საუკუნეში არ არსებობდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იერუსალიმის ჯვარისმამების წინამძღვრების ქრონოლოგია დაზუსტებას მოითხოვს. *მეტრეველი ე., იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის 36; მამისთვალისშვილი ე., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი*, გვ. 172-173.

² Pahlitzsch I., *Documents on intercultural communication in Mamluk Jerusalem: The Georgians under Sultan An-Nasir Yasan in 795 (1358)*, p. 373-374.

მოქმედო ფონდების შესახებ. ასეა აღნიშნული დოკუმენტებში, რაც საეჭვოს ხდის, რომ ქართველებს ისლამურ ყაიდაზე გარდაექმნათ თავიანთი ეკლესია-მონასტრების მმართველობა ჯვაროსანთა მმართველობის დამთავრების შემდეგ, XIII ს. შუა ხანებში. როგორც ი., პაპლიჩი შენიშნავს, უფრო სავარაუდოა ისლამური სასამართლო აღნიშნულ ტერმინს (ვაკფ) იყენებდა ქრისტიანული ეკლესიის საკუთრების ანალოგად¹.

ქართველმა წინამძღვარმა წარადგინა უფრო ძველი დოკუმენტიც, რომელიც გაცემული იყო აიუბიდი სულთნის ალ მალიკ ალ ქამილის (1218-1238) მიერ 1228 წელს. იგი შეიცავს დადგენილებას, რომლის მიხედვით იკრძალებოდა უმემკვიდროდ გარდაცვლილი ქართული თემის წევრების ქონების ხელყოფა. მოსამართლემ ბრძანა შეემოწმებინათ ქართველების საკუთრება. როგორც ჩანს მოსამართლე და ქართველები კმაყოფილნი დარჩნენ ჩატარებული ინსპექციით².

მდგომარეობა შეიცვალა შვიდი თვის შემდეგ, როდესაც ქართველებმა საჭიროდ ჩათვალეს სულთნისათვის პეტიცია წარედგინათ, რადგან გუბერნატორმა ქართველებს წაართვა 1000 დირხამი. კონფლიქტი იმით დამთავრდა, რომ სულთანმა ან ნასირ ჰასანმა ქართველებისათვის ფულის დაბრუნება ბრძანა³.

1475 წელს ქართველებმა დაიბრუნეს გოლგოთის ჩრდილო ნაწილი, რომელსაც ამ დროს სომხები ფლობდნენ⁴.

რუსი მომლოცველის მოწმობით, საფლავის ნიშის გასაღები ფრანცისკანელებს ჰქონდათ. საინტერესოა, რომ მისი

¹ Ibidem, p. 374.

² Ibidem, p. 375.

³ Ibidem, p. 376. *Mediators Between East and West // Christians Under Mamluk Rule*, Mamluk Studies Review, 9 (2), 2005, 38–40.

⁴ *The Peaceful Liberation of the Holy Places in the XIV Century. III - Franciscan Chronology of the Four Shrines (1333 - 1517)*.

თქმით, ხელისუფლების ბრძანებით, მხოლოდ 6 ქრისტიანი ხალხის წარმომადგენლებიდან თითოს შეეძლო ჩაკეტილი ყოფილიყო საფლავის ეკლესიაში. ესენი იყვნენ: ბერძენი, ქართველი, ლათინი, სომეხი, იაკობიტელი და აბისინიელი ბერები¹.

ქართველებსა და ლათინებს შორის წინააღმდეგობა საფლავის ეკლესიის ნაგებობების გამო კვლავაც გრძელდებოდა. არ ჩანს ხელისუფლების ჩარევით თუ მის გარეშე, მათ შორის დროებითმა მშვიდობამ დაისადგურა 1509 წელს. ქართველებმა ლათინებს უფლება მისცეს ესარგებლათ გოლგოთაზე ასასვლელი კიბით და ჰქონებოდათ ქვედა სართულზე არსებული ოთახის გასაღები, მაგრამ ეს შეთანხმება დროებითი იყო. ქართველები მას მცირე მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მათ ისარგებლეს კაიროში ლათინების დაპატიმრებით და გოლგოთის სამხრეთი ნაწილის ოკუპაცია მოახდინეს. ლათინებს აუკრძალეს, აგრეთვე, ქართველთა კიბით სარგებლობა².

განხილული დოკუმენტები, რომლებიც იერუსალიმში ქართველების უფლებრივ მდგომარეობას ასახავს, არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს მუსლიმანური სასამართლო და ხელისუფლება ასეთივე სამართლიანი იყო ყოველთვის ქრისტიანების მიმართ. იმავე პერიოდიდან არის დოკუმენტები, რომლებიც ასახავს იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქისა და ბერძნებისადმი უსამართლო მოპყრობას. ასეთ ვითარებაში მით უფრო საყურადღებოა ეგვიპტის ხელისუფლების მიერ ქართველი ბერების მიმართ განსაკუთრებული კარგი მოპყრობის მიზეზების შესწავლა.

¹*Ibidem.*

²*Ibidem.*

დამოწმებანი:

მაძისთვალისძვილი ე., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბ., 2014.

მეტრეველი ე., იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბ., 1962

ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XX სს-ის პირველი მეოთხედი), III (1628-1633 წწ.), თბ., 1987.

ფერაძე ვრ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო ვ. ჯაფარიძემ, თბ., 1995.

Archives de l'Orient latin, t. II, p. II.

Mediators Between East and West // Christians Under Mamluk Rule, Mamluk Studies Review, 9 (2), 2005.

Pahlitzsch J., Documents in Intercultural Communication in Mamlūk Jerusalem // The Georgians under Sultan an-Nasir Hasan in 759 (1358), in: Diplomatics in the Eastern Mediterranean 1000-1500. // Aspects of Cross-Cultural Communication (The Medieval Mediterranean 74) ed. Alexander Beihammer, Maria Parani and Christopher Schabel, Leiden 2008

The Peaceful Liberation of the Holy Places in the XIV Century.III - Franciscan Chronology of the Four Shrines (1333 - 1517). 3 - The Church of the Holy Sepulchre
<http://www.christusrex.org/www2/liberation/III-3.html>.

Eldar Mamistvalishvili
Gori State Teaching University
**EUROPEAN WRITTEN SOURCES ABOUT GEORGIAN
– EGYPTIAN RELATIONS AND ABOUT GEORGIANS
FROM JERUSALEM
RESUME**

The article cited and analysed some unknown references of Georgian historiography which reflected some aspects of lives of monks and Georgians in General living in Jerusalem.

ასომთავრული წარწერები სოფელ დიციდან

დიცის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია მდებარეობს სოფლის სასაფლაოზე. იგი წარმოადგენს დარბაზული ტიპის, მარტივი ფორმის სწორკუთხა ნაგებობას, ორქანობიანი ახლადგამართული თუნუქის სახურავით. სამხრეთ ფასადთან შერჩენილი აქვს მინაშენის ნაწილი. სამხრეთისა და დასავლეთის კედლებში გაჭრილია თითო კარი. ფანჯრები განთავსებულია მხოლოდ აღმოსავლეთის (ერთი) და სამხრეთის (ორი) კედლებში. სარკმელთა საპირეები იმკობა თხლად ჩაკვეთილი სტილიზებული დეკორით და ქუსლიანი მცირე ზომის წარბით, რომელიც არ ახლავს სამხრეთ-დასავლეთ სარკმელს. ტაძრის კუთხეები, კარ-ფანჯარათა საპირეები და სამხრეთის კედლის დასავლეთი მონაკვეთის ქვედა ნაწილი ამოყვანილია ადგილობრივი ჯიშის (ერედვის) წითელი ფერის ტუფის კვადრებით. დანარჩენი კედლები ნაგებია დუღაბზე რიყის ქვით. დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე სარკმლის საპირის სათაური მსგავსებას ამჟღავნებს ფრისის (დიციდან 4 კმ.-ის დაშორებით) ტაძრის (X ს.) აღმოსავლეთ სარკმლის საპირის სათაურთან. აღნიშნული ტაძრის სათაურიც მცირე ზომის ქუსლიანი წარბის სახით არის გამოკვეთილი, რომელსაც მაღლა ჯვარი ადგას.¹

ასეთივე ქუსლიანი წარბი გვხვდება (ოღონდ ორმაგი) პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებულ სნეკვის

¹ P. Меписашвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинций Грузии Шида Картли. Тб., 1975, стр. 94.

წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის (IX ს. ან X ს. დასაწყისი) აღმოსავლეთ ფასადზე.¹ სარკმლის საპირეს სათაურად ქუსლიანი წარბია გამოყენებული ატენის სიონის აღმოსავლეთ ფასადზეც.²

აღმოსავლეთ ფასადზე სარკმლის საპირე ასეთივე სათაურით არის გადაწყვეტილი ერედვის ბერის საყდარზე. (X საუკუნის შუა წლები).³ თუმცა, ბერის საყდრის აღმოსავლეთ ფასადზე სარკმლის საპირე პატარა ლიახვის ხეობაში არსებული ამ პერიოდის სხვა ძეგლებისგან განსხვავებულია (თალოვანი, „წარბი“ აქაც მათი მსგავსია). საპირისა და სათაურის ურთიერთშეთანხმებასთან დაკავშირებით, ბერის საყდრის მაგალითზე საინტერესო დაკვირვება ჰქონდა რ. მეფისაშვილს. ის წერდა: „აღმოსავლეთ ფასადის დეკორის ცალკეულ ელემენტთა განხილვა საპირისა და სათაურის ურთიერთშეთანხმების საკითხით უნდა დავიწყოთ. ყველა ჩვენთვის ცნობილ ძეგლში, სადაც ეს ორი ელემენტი ერთადაა გამოყენებული, საპირე თალოვანია და შეესაბამება სათაურის თალოვან მოხაზულობას. ბერის საყდრის მსგავს მაგალითს, სადაც ოთხკუთხა საპირის თავზე თალოვანი სათაურია მოთავსებული, ამ ხანებში ჩვენ სხვას ვერ ვნახავთ. ასეთი გადაწყვეტა, საფიქრებელია, თვით ამ ძეგლის ამშენებლის შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს. ამ გადაწყვეტაში ასახულია ხანა, რომელსაც ჩვენ ძეგლი სხვა მონაცემებით მივაკუთვნეთ. თუ საპირეს მოტივი VIII-IX საუკუნეთა ძეგლების ფასადებზე სპორადულად გვხვდება (წირქოლი, არმაზი, ბიეთი) X საუ-

¹ Там же, стр. 93.

² П. Уварова, Материалы по археологии Кавказа, т. IV, М., 1894, стр. 149.

³ რ. მეფისაშვილი, ბერის საყდარი, ქართული ხელოვნება, №7, 1971, გვ. 92.

კუნეში ეს მოტივი მკვიდრდება და ამ საუკუნის ბოლოსათვის საყოველთაო ხდება. საპირე თანდათან დევნის სათაურს. X საუკუნე სწორედ ის პერიოდია, როდესაც ორივე ეს ელემენტი თანაბარი უფლებით თუ შეიძლება ასე ითქვას, ცოცხლობს, და სათაურის საპირით შეცვლის პროცესი თავისებურად ვლინდება.¹

ტაძრის ხალვათი ინტერიერი აღმოსავლეთით საკურთხევლით ფორმდება. სამხრეთი და ჩრდილო კედლები დანაწევრებულია ორსაფეხურიანი თითო პილასტრითა და მასზე გადავლებული ორ-ორი თალით. პილასტრები და თალები გამოკვეთილია წითელი ფერის ტუფის კვადრებით. საშენ მასალად, ისევე როგორც ამავე პერიოდის პატარა ლიახვის ხეობის სხვა ძეგლებზე გამოყენებულია ერედვის ქვა.* ინტერიერში შერჩენილია ძველი შელესილობის კვალი.

¹ იქვე, გვ. 103.

* გადმოცემის თანახმად, ერედვის ქვით არის აგებული ასევე მცხეთის ჯვრის ტაძარიც: „ერედვის მთაზე მოიპოვებოდა საშენი ქვა, რომლიც დღესაც არის შემორჩენილი, ქვა იყო ძალიან მტკიცე და ამასთანავე მსუბუქიც, როცა მცხეთაში ჯვრის სალოცავს აშენებდნენ, ორი ძმა მუშაობდა, ერთი ერედვის მთაზე საშენ ქვას ჭრიდა და ხარ-ურმით უგზავნიდა მეორე ძმას, რომელიც მცხეთაში ჯვრის ტაძარს აშენებდა. ერთხელაც ქვისმთელ კაცს ფეხი დასცურებია, კლდეზე ჩაჩეხილა და დაღუპულა. როცა მისი საქმე სხვამ გააგრძელა, მცხეთაში მყოფი ხურო მიხვდა, რომ ეს ქვები მისი ძმის ნახელავი არ იყო. წამოსულა და ერედვში იმ ადგილას, სადაც მისი ძმა დაღუპულა, მცხეთიჯვარი დაუარსებია (გადმოცემა 2007 წელს ჩავიწერეთ 80 წლის ოთარ ქრისტესიაშვილისაგან). გ. სოსიაშვილი, სოფელ ერედვის ისტორიიდან, წიგნში: ნარკვევები, შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 40.

ტადრის მანამდე უცნობი წარწერები გამოვლენილ იქნა აღმოსავლეთ ფასადზე და ინტერიერში – სამხრეთ პილონის აღმოსავლეთ საფეხურზე.¹

წარწერების აღმოჩენის შესახებ

დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, მოქმედი სალოცავი იყო. იგი გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკების მიერ იქნა გაუქმებული, თუმცა ადგილობრივი მორწმუნეების ძალისხმევით აქ წირვა-ლოცვა მალევე აღადგინეს. XX საუკუნის დასაწყისში, დიცში მოსახლეობის რეგისტრაცია, ქორწინების, ასევე დაბადებულთა და გარდაცვალებულთა აღნუსხვა სწორედ ღვთისმშობლის ეკლესიის სპეციალურ წიგნში ხდებოდა. 2013 წლის აპრილში, ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, ოდნავ ჩამონგრეული ბათქაშის ქვეშ შევნიშნეთ რამდენიმე მრგვლოვანი გრაფემა. ბათქაშის გაწმენდის შემდეგ აღმოჩნდა საქტიტორო ქვაზე შესრულებული სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. №1. წარწერაზე თავდაპირველად ჩვენი თხოვნით იმუშავეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სპეციალობის მაგისტრმა ნ. ხარშილაძემ და ისტორიის აკადემიურმა დოქტორმა თ. გოგოლაძემ. საწყის ეტაპზე წარწერის ამოკითხვა მათ მიერ განხორციელდა.*

¹ გ. სოსიაშვილი, დიცში აღმოჩენილი ასომთავრული წარწერები, ჟურნ. „ქაროზი“, №72, 2016, გვ. 22-24.

* წარწერის ტექნიკური აღწერილობა და პალეოგრაფიული დახასიათება მოგვაწოდა ნ. ხარშილაძემ, რისთვისაც მას მადლობას მოვასხენებთ. მკვლევრების (ნ. ხარშილაძე, თ. გოგოლაძე) აზრით წარწერა, სა-

ვარაუდოდ, X საუკუნით თარიღდება. ვთავაზობთ წარწერის წაკითხვის მათ ვერსიას:

**სამი ძმის, ბემქენის, გოდერძის და ჯარიდის საღმშენებლო წარწერა
სოფელ დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრიდან
(X ს.)**

დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, წნული ორნამენტული სარკმლის თავზე მოთავსებულია ტუფის ქვის ფილა (142X57 სმ.). ქვის ფილაზე, სარკმლის ბოლოებაკეცილი თავსართია წარმოდგენილი, რომელზეც რელიეფური, ამჟამად დაზიანებული, ჯვარია გამოსახული. ქვის ფილაზე ამოკვეთილია ოთხ სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომელიც რელიეფური ჯვრის ქვემო მკლავების ორივე მხარეს ნაწილდება, ხოლო ერთი სტრიქონი კი სარკმლის ბოლოებაკეცილ რელიეფურ თავსართზე გადადის. წარწერის ტექსტი დაზიანებულია, პირველი სტრიქონის ბოლო ორი სიტყვის რამდენიმე გრაფემა ფარგმენტულად იკითხება, ხოლო ორი ასო მთლიანად გადაშლილია. ფარგმენტულად იკითხება მეორე სტრიქონის პირველი სიტყვის ბოლო და მეორე სიტყვის პირველი გრაფემებიც. რელიეფურ თავსართზე ამოღარული წარწერის ტექსტის ბოლო ნაწილიც აღარ იკითხება. პირველი სტრიქონის მეოთხე სიტყვაში „ა“-მეტობაა, ხოლო რელიეფურ თავსართზე ამოკვეთილი ტექსტის მეორე სიტყვაში ხანის ნაცვლად „შ“-ინია წარმოდგენილი.

წარწერის კვეთის სიღრმე 0,2-0,5 სმ-ია, ხოლო გრაფემების სიმაღლე 1,2-9,1 სმ.; ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია მოკლე განივი, ჰორიზონტალური ხაზი; განკვეთილობის ნიშანი გვხვდება მხოლოდ ერთგან – ორწერტილის სახით.

„სახელითა ღ(მრთისაი)თ<ი>{ა}, ესე ეკ<ა>ლესი აღვ{ა}შენეთ / სამთ{ა} ძმათა: ბ(ე)შქ(ნ), გოდერძმან / და ჯარიდმან, ვინ წაკით<შ>{ხ}ოს, ლოცვასა [მოგვისსენეთ]“

პალეოგრაფიული დახასიათება და დათარიღების საფუძვლები: ასომთავრული წარწერა შესრულებულია ორხაზოვან ბადეში. ზოგიერთი გრაფემა გადმოცემულია მარჯვნივ გაზიდული დამატებითი განივი ხაზებით (ლასი, თანი, ღანი, ენი, ვინი, ბანი, განი.); ლასის მუცელი ორ შემთხვევაში შეკრული არ არის; გრაფემა კანის მუცლის შემკვრელი ხაზები, ერთ შემთხვევაში, ერთმანეთს არ უერთდება; გრაფემა მანის მუცლის შემკვრელი ხაზი აღარ გადადის მარჯვენა მხარეს, ხოლო ერთ შემთხვევაში. მუცლის წრე გახსნილია; გრაფემა ღონის მუცელი არასდროს

რაც შეეხება ტაძრის ინტერიერში სამხრეთ პილონის აღმოსავლეთ საფეხურზე აღმოჩენილ ნაკაწრ წარწერებს, ისინი აღმოსავლეთ ფასადზე მიკვლეული წარწერის შემდეგ იქნა აღმოჩენილი აქ მომუშავე ჯგუფის მიერ (ნ. ხარშილაძე, თ. გოგოლაძე, თ. ჯოჯუა). №2.*

წარწერების აღწერა

**სამი ძმის: ბეშქენის, გოდერძის და ჯარიდის სააღმშენებლო
წარწერა
(IX ს.)**

წარწერა განთავსებულია ტაძრის აღმოსავლეთ სარკმლის თავზე ტუფის ქვის დიდი ზომის ფილაზე (142X57 სმ.). არაწესიერი კონფიგურაციის მქონე კვადრის ცენტრალური არე სარკმლის თავსართს წარმოადგენს და შემკულია ქუსლიან წარბზე აღმართული ჯვრის რელიეფური გამოსახულებით, რომლის ქვედა დონის თავისუფალ ეზოზე, ჯვრის ორივე მხარეს, ოთხსტრიქონიანი საზეიმო წარწერა არათანაბრად ნაწილდება. პირველი და მეორე სტრიქონი ჯვრის ქვედა მკლავით ორ ნაწილად იყოფა, მესამე სტრიქონი ჯვრის

შეკრული არ არის; გრაფემა წილს წრეები შეკრული აქვს; გრაფემა ონს მოკლე, განივი, მარჯვნივ გაზიდული ხაზი აქვს; პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა მსგავსებას ავლენს შიდა ქართლის იმ ეპიგრაფიკულ ძეგლებთან, რომლებიც X საუკუნით თარიღდებიან, შესაბამისად, ვიდრე წარწერაში მოხსენიებული პირების იდენტიფიკაციაზე გავამახვილებთ ყურადღებას, დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის სააღმშენებლო წარწერას, ზოგადი ქრონოლოგიით, X საუკუნით განვსაზღვრავთ.

* წარწერები ვერ მოხვდა ჩვენს მიერ 2010 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „დიცის ისტორია“, რადგან იგი მანამდე უცნობი იყო.


მეორე მხარეს აღარ გადადის, ხოლო მეოთხეს წარბის ცენტრალური მონაკვეთი და მარჯვენა ქუსლის შვერილი ეთმობა.

წარწერა ნაკლულია. ფრაგმენტულად იკითხება პირველი სტრიქონის ბოლო ორი სიტყვის რამდენიმე გრაფემა, ხოლო ორი ასო-ნიშანი მთლიანად წარხოცილია. ფრაგმენტულია მეორე სტრიქონის პირველი სიტყვის ბოლო და მეორე სიტყვის პირველი გრაფემები, ასევე რელიეფურ თავსართზე - წარწერის ტექსტის ბოლო ნაწილიც. პირველი სტრიქონის მეოთხე სიტყვაში ა - მეტობაა, ხოლო რელიეფურ თავსართზე ამოკვეთილი ტექსტის მეორე სიტყვაში „ხან“-ი შებრუნებული სახითაა დაწერილი. წარწერის კვეთის სიღრმე 0,2-0,5 სმ-ს შეადგენს; უდიდესი გრაფემის სიმაღლე - 9,1 სმ.; უმცირესი გრაფემის სიმაღლე - 1,2 სმ. ქარაგმის ნიშანი: მოკლე განივი სწორი ხაზი; განკვეთილობის ნიშანი - ორი წერტილი პირველ სტრიქონში. დაზიანებების მიუხედავად, ქართული ასომთავრულით შესრულებული საქტიტორო წარწერა სრულად იკითხება. იგი შემდეგს გვაუწყებს:

**სტყუნიტ იტ: რსუხ || რუსა რიუყ[--]ტ
სტჰტ კჰტტტ 999 || 1000000000
ტტ ატკიუტტ**

რ // რრ რაჰრყღსზტტტტ [---]

1. „სახელითა ღ(მრ)თი(საითა): ესე ეკა(სიც)||ლეს(ია)ღაღვ(ა)შე[ნე]თ
2. სამთ(ა) ძმათა ბ(ე)შქე(ნ) || გოდერძმან
3. და ჯარიღმა
4. ნ ვინ წ(ა)იკითხ(სიც)ოს ლოცვასა [მოგვიხსენეთ]“



არქაული ტრადიციის თანახმად, წარწერაში ტექსტის დაწყების ნიშანი – ქანწილი (მ) არ გვხვდება. „წილს“ ორივე წრე შეკრული აქვს. IX საუკუნის შესაბამისად, ტექსტში სიტყვები დაცილებული არ არის და ერთადერთი განკვეთილობის ნიშანიც - ორი წერტილი უზის ერთმანეთისაგან დაუცილებელ სიტყვებს. განს, ენს, ვინს, ლასს მარცხნივ უჩნდებათ დამატებითი განივი ხაზები. მანის მუცლის შემკვერელი ხაზი მარჯვნივ არ გადადის. მანის და ენის განივი ხაზები ცალკეულ შემთხვევაში ზემოთ იწევს. ბუნიანი გრაფემების გარკვეული ნაწილი სიმალლეში გაზრდილია. წარწერა ორხაზოვანებიდან გამოდის და ოთხხაზოვანების, კერძოდ, განუსხურებისაკენაა მიდრეკილი¹. პირველი სტრიქონის რ (კ) მსგავსებას იჩენს უსანეთის სტელის (VIII ს.) განმსაზღვრელ წარწერებში დაცულ რ (კ) გრაფემასთან². (რ) მარჯვნივ ოდნავ გადახრილი ბუნითა და გადახსნილი ორივე რკალით შესაბამისობაშია ატენის სიონის საკურთხევლის ჩრდილო კალთაზე ორსტრიქონიანი ასომთავრულწარწევი ნუსხური

¹ აღნიშნული პალეოგრაფიული თავისებურებების შესახებ იხ. ქართული წარწერების კორპუსი (ქწკ). ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შეადგინა და გამოასაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 32-33.

² იქვე, გვ. 127-129; სურ. 54,57, 58, 59.

წარწერის (IX–X სს) (რ)-სთან.¹ წარწერას ქორონიკონი არ ახლავს, ნ. შოშიაშვილის განმარტებით ქართული წარწერების დათარიღება ქორონიკონით, ხოლო ზოგჯერ ჰიჯრითა და „დასაბამითვანით“ IX საუკუნიდან იწყება, თუმცა, IX საუკუნის შემდეგაც წარწერების უმრავლესობა უთარიღოა.

ტაძრის ინტერიერში დაცული წარწერები გრაფიტებს წარმოადგენენ. ისინი განთავსებულნი არიან სამხრეთ პილასტრის აღმოსავლეთ საფეხურზე, იატაკის დონიდან მესამე კვადრზე, რომლის ზედაპირი ტალღოვანია და აღენიშნება მცირე და დიდი ზომის ღრმულები.

მოსახსენებელი მიქელისა (X ს.)

ერთსტრიქონიანი, მხედრულზე გარდამავალი ნუსხური წარწერა განთავსებულია კვადრის შუა დონეზე, გრაფიკული გამოსახულებების ქვედა მონაკვეთის გასწვრივ, იატაკის დონიდან 139, 5 სმ. სიმაღლეზე, კიდიდან 1,7 სმ-ს დაშორებით. №3 ჩაკვეთილია თხლად, სუსტად გაირჩევა. ქარავმის ნიშანი განივი სწორი, ოდნავ დახრილი ხაზია. დაქარავმებულია მხოლოდ პირველი სამი გრაფემა „(ქ)ე შ(ე)იწყალ)ე“. წარწერას უკავია 7×2 სმ ფართობი. ასოების სიმაღლეა 2-0,5 სმ. მსგავსი (შ) გამოვლენილია ატენის სიონის დას. აფსიდის ჩრ. კალთაზე, საღებავის ფენის ქვეშ ამოკვეთილ მიქელ ბალვანის 940 წლის წარწერაში.² (ე)-ს დაწერილობა მსგავსია

¹ ქართული წარწერების კორპუსი (ქწყ). ფრესკული წარწერები, I, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს გურამ აბრამიშვილმა და ზაზა ალექსიძემ, თბ., 1989, გვ. 96-97. სურ. 31.

² გ. აბრამიშვილი, ატენის სიონი, ადრეული შუა საუკუნეების ცენტრალურ-გუმბათოვანი ხუროთმოძღვრული ტიპის ისტორიიდან, „ნეკერი“, თბ., 2012, ტაბ. X III.

ატენის სიონის ჩრ. აფსიდის დას. პილონზე კედლის მხატვრობის გადასული საღებავის ქვეშ გამოვლენილ, შავი საღებავით შესრულებულ თევდორეს მინაწერის ე-სი (Xს.).¹ აგრეთვე ამავე ტაძრის დას. აფსიდის სამხრეთ ბემაში იოანეს ძის მოსახსენებელი წარწერის იგივე გრაფემისა (Xს.).²

†††††††† [ქ](რისტ)ე შ(ეწყალ)ე მ(იქე)ლ

მოსახსენებელი კოსტანტინესი (X ს.)

ორსტრიქონიანი მხედრულშერეული ნუსხური წარწერა განთავსებულია მიქელის მოსახსენებელის შემდეგ იატაკის ღონიდან 137,5 სმ. მარცხენა კიდიდან 1,7 სმ. მანძილზე. მოიცავს 7,5×3 სმ ფართობს. ასოების სიმაღლე 2-0,7 სმ. ქარაგმის ნიშანი სუსტად გამოხატული ორი განივი მოკლე ხაზი პირველ და მესამე სახელთან. წარწერაში შეინიშნება ორი სხვადასხვა ხელი. პირველი და მეორე სტრიქონის საწყისი ორი გრაფემა ერთი ხელით ჩანს ჩაკვეთილი თხლად, მომდევნო გრაფემები სიმკვეთრით გამოირჩევიან და ხასიათდებიან ღრმა და ფართო ძლიერი კონტურით. (შ) კონფიგურაციით შესაბამისობაშია მიქელის მავედრებელი წარწერის (X ს.) (შ)-სი. მუცელშეუკვრელი, ტეხილხაზოვანი განვითარების მქონე (კ)-ს ქვედა ფეხი მოკლე აქვს. იგი სიახლოვეს იჩენს ატენის სიონის დას. აფსიდის სამხრეთ ბემაში იოანე ღმრთისმეტყველის ფრესკული გამოსახულების ფერხით, გადასული საღებავის ქვეშ გამოვლენილ ფრაგმენტული მოსახსენებელი წარწერის (X ს.) და მიქელის კრიპტოგრამის

¹ ფრესკული წარწერები, I, გვ. 190. სურ. 15.

² იქვე, გვ. 170. სურ. 39.

(Xს.) კ-სთან.¹ (ე) მსგავსია დას. აფსიდის ჩრ. კალთაზე, აფსიდისა და ბემის კედლების შესაყარში აფსიდის კედლის სისქეზე დაცულ მხედრულზე გარდამავალ ნუსხური მოსახსენებელი წარწერის (X ს.) ე-სი.² „კ“ და „ე“ გრაფემების გვერდიგვერდ არსებობა მიგვაჩნია, რომ ანთროპონიმ „კონსტანტინეს“ უნდა აღნიშნავდეს, თუმცა, ანთროპონიმის რამდენჯერმე ხსენება ეჭვს უნდა იწვევდეს და შესაძლებელია გამეორებული „კ“ და „ე“ გრაფემები სხვა სიტყვებს აღნიშნავდეს. №4.

ყი ყი ყი ყი 1. შ(ეიწყალ)ე კ(ოსტანტინ)ე კ(ოსტანტინ)ე
 კ(ოსტანტინ)ე
 იქი 2. წმ(ილა)

გადაფხეკილი წარწერა (IX-X სს)

ნუსხური სამსტრიქონიანი წარწერა, რომლის მხოლოდ რამდენიმე გრაფემა გაირჩევა, განთავსებულია კოსტანტინეს წარწერის შემდეგ იატაკის ღონიდან 134 სმ. სიმაღლეზე. მარცხენა კიდიდან 2,3 სმ. დაშორებით. გრაფემებს ემჩნევა თხლად ჩაკვეთის კვალი. წარწერას უკავია 3×5 სმ. ფართობი. №5.

ყი	1. შ(ეიწყალ)ე
.....ჲიქ?...?	2. ოეც
იქი	3. ეც . . .

¹ ფრესკული წარწერები, I, გვ. 170. სურ. 40, 41.

² იქვე, გვ. 178-179. სურ. 49.

მოსახსენებელი კოსტანტინე ბაკანასა (IX-X სს)

I.

სამსტრიქონიანი ნუსხურშერეული ასომთავრული წარწერა განთავსებულია გადაფხეკილი წარწერის შემდეგ იატაკის დონიდან 131 სმ. მარცხენა კიდიდან 3 სმ. დაშორებით. ხასიათდება საშუალო სიღრმით ჩაკვეთილი ხაზებით. წარწერას უკავია 3,2×6 სმ. ფართობი. ასოების სიმაღლეა 1,3–0,5 სმ. №ნ. (ბ)-ს, (ე)-ს, და (ნ)-ს დაწერილობა მსგავსია ატენის სიონის საკურთხევლის სამხრეთ კალთაზე დეკორატიული ჩარჩოს გადასული საღებავის ქვეშ შავი საღებავით შესრულებული პილიგრიმული წარწერის (IX ს.) იგივე გრაფიკებისა.¹ ბუნიანი გრაფიკები სიმაღლეში გაზრდილია. წარწერა ორხაზოვანებიდან გამოდის და ოთხხაზოვანებისკენაა მიდრეკილი. „კ“-ს ორივე ფეხი ერთ ვერტიკალურ ხაზზე ნაწილდება. მისი შეკრული წრიული მუცელი მარცხენა მხარესაა მოქცეული. ასეთი „კ“, მხოლოდ მარჯვნივ გატანილი შეკრული მუცლით დასტურდება ნინოწმიდის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის, ჩრდილოეთის მხარეზე, სარკმლის ქვემოთ.²

† ყჲ ჰჲ ძჲ 1. კ(რისტე) შ(ეიწყალ)ე კ(ოსტანტინ)ე ბა
ჰ[რ]ჩხჲ ძმჲ 2. კანაი ამე
ჩ 3. ნ

ამ წარწერის მეორე სტრიქონის ბოლოს არის სხვა ხელით შესრულებული, თხლად ჩაკვეთილი ნუსხური X (ჯ), ხოლო მესამე სტრიქონის დასაწყისში იჲ (ვ).

წარწერის გასწვრივ, მეორე კიდესთან ჩაკვეთილია რვა ვერტიკალური ღრმა ზოლი, რომლის ქვემოთაც გრძელკის-

¹ ფრესკული წარწერები, I, გვ. 103. სურ. 38.

² ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). ტაბ. 116.

რიანი ფრთებ და ფეხებ შეკეცილი ფრინველის გრაფიკული გამოსახულებაა გადმოცემული ხაზგასმულად კუთხოვანი, ზოგადი ფორმით. №9

მოსახსენებელი ჯარიდისა (IX-X სს)

სამსტრიქონიანი ნუსხურშერეული ასომთავრული წარწერა განთავსებულია ფრინველის გრაფიკული გამოსახულების გასწვრივ იატაკის დონიდან 120 სმ. №7 მარცხენა კიდიდან 2,8 სმ. მანძილზე. ჩაკვეთილი გრაფემების კონტურები მკვეთრია და ფართო. ქარაგმის ნიშანი მოკლე განივი ხაზი პირველი და მეორე სიტყვის თავზე „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე“. მოიცავს 4×10 სმ ფართობს. ასოების სიმაღლე 3,6–0,5 სმ. გრაფემების ე-ს, მ-ს თავი ზემოთ იწევს. ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე განთავსებული წარწერის რ-ს მსგავსად ჯარიდის მოსახსენებელშიც რ-ს ბუნი მარჯვნივაა გადახრილი და ორივე რკალი გახსნილი აქვს. ანი დიდ მსგავსებას იჩენს ატენის სიონის საკურთხევლის ბემის სამხრეთ კალთაზე, მამფალ სუმბატ აშოტის ძის ფრესკული ეპიტაფიის (885 წ.) „ან“-თან.¹ ამ წარწერის „მან“-ის მსგავსად ჯარიდის მოსახსენებელის „მან“-საც მცირე ჰორიზონტალური შვერილი უჩნდება მარჯვნივ.

ჩი ყი ატაიშ
ქთი ბოჩიჩი
მიჩიუხ

1. ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ჯარიდ
2. ი მე დავწერე
3. მიქაელ

¹ ფრესკული წარწერები, I, გვ. 95. სურ. 29.

მოსახსენებელი კოსტანტინე ბაკანაისა (IX-X სს)

სამსტრიქონიანი ასომთავრულ შერეული ნუსხური წარწერა განთავსებულია ჯარიდის მოსახსენებელის ქვემოთ იატაკის დონიდან 115 სმ. მარცხენა კიდიდან 1,5 სმ. მანძილზე. ჩაკვეთი-ლია თხლად. ქარაგმის ნიშანი მოკლე განივი ხაზი სახელის თავზე „კ(ოსტანტინ)ე“. მოიცავს 11×3,5 სმ ფართობს. ასოების სიმაღლე 1,4–0,5 სმ. №8.

ქი ყი ღი ყტღჩჩი ყაყი 1. ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე
კ(ოსტანტინ)ე ბაკანაი ყოე
იიყტჩი იქიიიყტჩი იტჩი 2. ღგან ეკლესიათ მათ
ითა... 3. ალა(გს)

აღსანიშნავია, რომ ტაძრის ინტერიერში სამხრეთ კედელზე, ასომთავრული წარწერების მაღლა გრაფიკული გამოსახულებაა, რომელსაც მარჯვენა ხელში მზე უჭირავს, მარცხენა ხელის მტევანი ატკეჩილია, თუმცა, ემჩნევა ჯვრის ფორმის ნაკაწრი. საინტერესოა, რომ ადამიანის გამოსახულებას თავის ნაცვლად გულის ფორმა აქვს, სადაც ადამიანის თვალებია ამოკვეთილი №9; გრაფიკული გამოსახულების ქვედა ნაწილზე, ქალის სამოსია ამოკაწრული. ჩვენი აზრით, ის წარწერების ამოკვეთის თანამედროვე გამოსახულება უნდა იყოს და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის (რომლის სახელობისაც არის ეკლესია) გრაფიკულ გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს.* ამის საფუძველს გვაძლევს ის სიმბოლოები, რაც გამოსახულებას თან ახლავს. მხედველობაში გვაქვს მზის გამოსახულება, რომელიც ნაყოფიერების სიმბოლოა,

* თუმცა, ეს მხოლოდ ჩვენი ვარაუდია. დიციის ღვთისმშობლის ტაძრის გრაფიკული გამოსახულება სამომავლო კვლევის საქმეა და ის ხელოვნებათმცოდნეების დაინტერესების საგანი უნდა გახდეს.

ასევე ქალის სამოსი, რაზეც ზემოთ მივუთითებდით.* გრაფიკული გამოსახულების ზემოთ ყვავილოვანი ორნამენტის ფრაგმენტი ჩანს, რომელიც დაზიანებულია და ძნელად ეტყობა. ეს ადგილი როგორც ჩანს, გამორჩეული იყო მლოცველებისთვის, რადგან გრაფიკულ გამოსახულებას და წარწერებს მორწმუნეთა მიერ სანთლების დანთების შედეგად არსებული ცეცხლის კვალი ეტყობა. ადამიანის გრაფიკული გამოსახულების მაღლა სამი გრაფემაა. №9. სამივე მათგანი მრგვლოვანი მოხაზულობისაა. პირველი გრაფემა თავისი მოხაზულობით „სან“-ს ჰგავს. „სან“-ის შემდეგ კედლის ზედაპირი დაზიანებულია და კიდევ ერთი გრაფემა იკითხება, რომელიც მოხაზულობით „იოტას“-სთან უფრო ახლოა. „სანის“ შემდეგ შეიმჩნევა პორიზონტალურად განლაგებული ორი წერტილი. „იოტას“ ზედა ნაწილი მარჯვნივ და მაღლაა გაზიდული. სანის დაბლა გრაფემის ხაზი შეიმჩნევა, ოღონდ ვერ იკითხება, ხაზის სიგრძე დაახლ. 12 მმ-ია, არ არის გამორიცხული, რომ ეს ხაზი ამ წარწერის მეორე სტრიქონის ქარაგმაც იყო. ჩვენი აზრით, ეს წარწერა ნაყოფიერების სიმბოლოდ გამოსახულ გულისთავიან ადამიანს უკავშირდება, რადგან აღნიშნული გრაფემები მის თავზეა განლაგებული. გრაფემების ზომები: 4-7 მმ.

შინაარსობრივი მხარე: საამშენებლო წარწერაში მოხსენიებული პირები

ღიცის წარწერებში მოხსენიებულ პირთა ზუსტი იდენტიფიკაცია, ცხადია, გვიძნელდება, რადგან, წარწერებში მხოლოდ ტაძრის ამგებ პირთა სახელებია ცნობილი. ვინ უნდა

* არ არის გამორიცხული, რომ ტაძრის კარიბჭეზე ეროს წასმის ტრადიცია სწორედ ამ გამოსახულებასთან იყოს დაკავშირებული.

იყვნენ ღვთისმშობლის ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე მოხსენიებული: გოდერძი, ჯარიდი და ბეშქენი? X საუკუნის ასომთავრული წარწერების დიდი ნაწილი, რომლებიც შიდა ქართლის აღნიშნულ არეალში (ვგულისხმობთ დიდი და პატარა ლიახვის ხეობებს) არსებულ ტაძრებზეა შესრულებული, ცნობილი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლებს – ტბელებს უკავშირდება. განსაკუთრებით საყურადღებოა ერედვის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის სამხრეთ ფასადის მრგვალი სვეტის ზედა ნაწილზე შესრულებული წარწერა, სადაც მოიხსენიება ქართლის უფალი ივანე ტბელი. წარწერაში კვითხულობთ: „[სახ]ელითა ღ(მრთისა)თა, მ[ამისა, ძისა და] სუ[ლისა წ]მიდის[ადთა], მეოხებითა წმ(ი)დ(ი)სა ღ(მრ)თი[სმ²შ]ობელისადათა, [შეწევნითა წმ(ი)დ(ი)სა გი](ორგი)სითა, ჳელმწიფობასა ღ(მრ)თ(ი)ვდამყარ[ე]³ულისა წმიდ[ი]სა კ[ოსტანტი]ნე მეფისასა, რ(ომე)ლ(მა)ნ ბრძანა და ჩავიდა ჳერე⁴თს [შ]იგან, ჳერთა მეფ[ე]დ გა(ა)[ქ]ცია და მუნით მშუიღობით იქცა, ცისკრად ა⁵ლავერდს ილოცა, [მ]წუხნრი ბრემას გადაჯთა; მეორედ კ(უ)ლა ავიდა, ვეჯინ⁶ისა ციხე დაღეწა; ქართლს შინა უფლობასა ტბელისა ივანესა, მთავარ⁷ე[ბი] სკო[სო]ბასა სანატრელისა ყუარყუარესა*, ჯ(უა)რითა მისითა; გაზრახვითა ნიქოზ⁸ე[ლი]სა – სანატრ[ე]ლისა სტეფანე ებისკოსისადათა, ძალითა, შეწევნითა მოყუას⁹თადათა, მე თ(ევდორ)ე თაფლადსემან დავდე საძირკველი – წელნი იყ(უ)ანეს ხვი, ქრონიკ[ონსა რკვ].“¹

¹ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 172; რ. მეფისაშვილი, ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის საამშენებლო წარწერა, საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V, №10, 1944, გვ. 44-45; ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, V-X საუკუნეების ძეგლები გამოსცა, ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა,

ერედვის ტაძრის წარწერა 906-914 წ.წ. თარიღდება. როგორც ნ. შოშიაშვილი აღნიშნავს: „1 წარწერაში აღნიშნული თარიღი „ხფი“-6510 (-906 წ.) წარწერის თარიღი კი არ არის, არამედ---ეკლესიის მშენებლობის დაწყების. წარწერას კი ამოკვეთდნენ ეკლესიის დასრულების შემდეგ, ე.ი. 906 წლიდან დაახლოებით ათიოდე წლის შემდეგ; 2) წარწერაში აღნიშნული ლაშქრობა აფხაზთა მეფის კონსტანტინესი ჰერეთს, წყაროების ცნობით, მოხდა აბულ-კასიმის ლაშქრობის (914) შემდეგ.“¹ ერედვის წარწერაში მოხსენიებული ივანე ტბელი იხსენიება ასევე დოდოთის სამეკლესიანი ბაზილიკის შუა ეკლესიის სამხრეთი კარის მარჯვენა წითელხლზე არსებულ წარწერაში: „სახელით/²ა ღ(მრ)თი(სადთა) ივანე ე/³რ[ისტ]ავმ(ა)ნ ტბ(ელ)მ(ა)ნ/⁴აღ(ა)მენა ესე წ(მიდა)ღ ე/⁵კლესიად სალო/⁶ცველად მისთუ/⁷ის და ხუთთა ძე/⁸თ[ამისთ]/⁹ათუ[ის].“² როგორც ამ წარწერიდან ჩანს, ივანე ტბელს ხუთი ძე ჰყავდა. მისი ძეებიდან დოდოთის ეკლესიის დასავლეთის კარის ტიშპანზე ამოღარულ ოთხსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაში, რომელიც დაახლ. 914 წლით თარიღდება, იხსენიება ქავთარი: „წ(მიდა)ო ნ(ა)თლ(ისმ)ც(ემ)ც(ელ)ო, მ(ეო)²ხ ექმ(ენ) მ(ონ)ა)სა შ(ენ)სა/³ტბ(ელ)ი)სა ძესა ქ(ა)ვთ(ა)რსა/⁴ორსავე ცხ(ო)რ(ებ)ა)სა.“³ რაკი ამ

თბ., 1953, გვ. 3; ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, თბ., 1970, გვ. 16. P. Меписашвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинций Грузии Шида Картли. Тб., 1975, стр. 52-53. საინტერესოა, რომ ერედვის წარწერას ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს იხსენიებს ეგზარქოს ვლადიმირის ქართლში მოგზაურობის მიმოძილველი. იხ. И. К. Обзорение Карталинских церквей Высокопреосвященнейшим Владимиром экзархом Грузии, стр. 20.

¹ იქვე, გვ. 171.

² იქვე, გვ. 176.

³ იქვე, გვ. 177.

დროს, ერედვის წარწერის თანახმად ტბელთა ფეოდალური სახლის ხელმძღვანელი ივანეა, ამიტომ დოდოთის ეკლესიის ამ წარწერაში მოხსენიებული ტბელი, რომლის ძეც ქავთარია, ივანე უნდა იყოს. სწორედ ივანე ტბელის და, სავარაუდოდ, მისი ხუთი ძის (შესაძლებელია სხვა სახლისკაცების მონაწილეობითაც) ბრძანებით და ინიციატივით აიგო ერედვის წმ. გიორგის ტაძარი. ამას ერედვის ტაძრის სამკვეთლოს სარკმლის ორივე მხარეზე ამოღარული ასომთავრული წარწერაც გვაუწყებს: „აღეშენ[ნ]ა² წ(მიდა)ღ [ეკ](ლესია)ღ [ე]³სე ყოვ(ე)ლ⁴თა [ტ]ხე[ლ]თ⁵ა ბრძანე⁶ბითა.“¹ ერედვის წარწერაში მოხსენიებული ივანე ტბელი ქართლის უფალი (გამგებელი) იყო, ის სათავეში ედგა ტბელთა ფეოდალურ სახლს. სწორედ მისი ბრძანებით აიგო ერედვის ტაძარი, რომლის წარწერაში ჯერ კონსტანტინე აფხაზთა მეფის ჰერეთში ლაშქრობაზეა საუბარი, ხოლო შემდეგ ხაზი აქვს გასმული ივანე ტბელის „ქართლსა შინა უფლობას“. ივანეს შემდეგ წარწერა ქართლის მთავარეპისკოპოს ყ-ეს შესახებ გვამცნობს, რომლის ლოცვა-კურთხევით („ჯუართა მისითა“) აშენდა ერედვის ტაძარი, ყ-ეს მოხსენიების შემდეგ, წარწერა ნიქოზის ეპისკოპოს სტეფანეს შესახებ გვაუწყებს, რომლის „გაზრახვითა“ აიგო წმ. გიორგის ეკლესია. ერედვის წარწერაში ჯერ მთავარეპისკოპოსია მოხსენიებული, ხოლო შემდეგ ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე. ძალზე საინტერესოა, რომ მთავარეპისკოპოსის სახელი დაქარაგმებით „ყ“ იკითხება, ხოლო ნიქოზელი ეპისკოპოსის სახელი კი სრულად წერია. მთავარეპისკოპოსის დაქარაგმებულ სახელთან დაკავშირებით რ. მეფისაშვილი წერდა: „ივანე ტბელის შემდეგ წარწერაში იხსენიება მთავარეპისკოპოსი, რომლის სახელს დამწერი ქა-

¹ იქვე, გვ. 173.

რაგმით ასე გამოხატავს: „ყ̃ესა“. „მთავარებისკოპობასა სანატრელისა ყ̃ესა“. როგორ უნდა გაიხსნას აქ ქარაგმა, რაიმე გრაფიკულ შეცდომასთან ხომ არა გვაქვს საქმე, ეს ჯერჯერობით გაურკვეველი გვჩნება.“¹ წარწერის ამ ნაწილს ვ. თოფურია შემდეგნაირად კითხულობდა: „ს(?) ასა სანატრ̃ლისა ყ̃///ა ჯ̃რითა მისითა გაზ(?)რახვითა [სანა]ტრელისა სტეფანე ებისკოსისაჲთა ძალითა შეწევნითა...“² ვ. თოფურიასეულ წაკითხვაშიც ქართლის მთავარებისკოპოსის სახელი შემოკლებით წერია. როგორც არ უნდა იქნას წაკითხული მთავარებისკოპოსის დაქარაგმებული სახელი, ერთი რამ ცხადია, რომ დამკვეთებმა გარკვეული სუბორდინაცია დაიცვეს, ჯერ მთავარებისკოპოსი მოიხსენიეს, შემდეგ კი ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე, მაგრამ როგორც ჩანს, მთავარებისკოპოსის გავლენა აღნიშნულ არეალზე, მაშინდელი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, ნომინალური იყო, სხვა შემთხვევაში, მის სახელს სრულად ჩაწერდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ქტიტორებმა სუბორდინაცია ფორმალურად დაიცვეს. რაც შეეხება წარწერაში მოხსენიებულ: „ძალითა, შეწევნითა მოყუასთათა“. როგორც რ. მეფისაშვილი განმარტავს: „ისინი ალბათ ეკლესიის სხვა მსახურნი იყვნენ“.³ ერედვის ტაძრის მეორე ასომთავრულ წარწერაში ხაზი აქვს გასმული, რომ ეკლესია ყოველთა ტბელთა ბრძანებით აიგო. ამ „ყოველთაში“, იგულისხმება, ან ივანე ტბელი და მისი

¹ რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, №4, 1955, გვ. 116-117; ნ. შოშიაშვილმა ქარაგმა პირობითად გახსნა და ყ̃ ე მიიჩნია, როგორც ყვარყვარე. ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 177.

² ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

³ რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, გვ. 117.

ხუთი ძე, ან ივანე და მისი სახლისკაცები. არ არის გამორიცხული, რომ წარწერაში მოხსენიებული ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანეც ტბელთა ფეოდალური სახლის წევრი იყო. ი. მეგრელიძეს გამოქვეყნებული აქვს ნიქოზის ღვთაების ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე მიკვლეული მინაწერები: „იოვანე სტფნე ზქრ ქე შე“. მკვლევარი მინაწერს ასე კითხულობს: „იოვანე, სტეფანე, ზაქარია, ქრისტე, შეიწყალე!“. იქვეა სხვა მინაწერიც: „ქე ბი შე ჩ აიღსი წო სტეფნე შე“. მკვლევარს არ აქვს მოცემული აღნიშნული მინაწერების პალეოგრაფიული დახასიათება, მეცნიერმა, როგორც ჩანს, თავი შეიკავა წარწერების დათარიღებისგანაც.¹ ნიქოზის ღვთაების ტაძრის პირველი საამშენებლო ფენა თარიღდება V-VI საუკუნეებით და რამდენჯერმე ისეა გადაკეთებული, რომ საამშენებლო ფენების დადგენა ძნელდება.² არ არის გამორიცხული, რომ ი. მეგრელიძის მიერ გამოქვეყნებულ მინაწერში მოხსენიებული იოანე, სტეფანე და ზაქარია ტბელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები იყვნენ. ხომ არ არის ერედვის წარწერაში მოხსენიებული ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე და ნიქოზის ღვთაების ტაძრის მინაწერში მოხსენიებული სტეფანე ერთი და იგივე პიროვნება? ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე შესაძლებელია, იოანე (ივანე) ტბელის ძმაც იყო, ტბელთა საფეოდალოს ტერიტორიაზე არსებული ნიქოზის ღვთაების ტაძარი, მათ, შესაძლოა, ერთობლივად განაახლეს და ამის აღსანიშნავად აღმოსავლეთ კედელზე წარწერაც გამოსახეს. ნიქოზის საეპისკოპოსო ტბელთა ფეოდალურ სახლთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ნიქოზელმა ეპისკოპოსმა

¹ ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, 1984, გვ. 149.

² საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. 5, თბ., 1990, გვ. 68.

სტეფანემ და ივანე ტბელმა ერთად ააგეს ერედვის ტაძარი და წარწერაშიც ერთად არიან მოხსენიებულნი. ნიქოზის საეპისკოპოსო კათედრას სავარაუდოდ ტბელები აკონტროლებდნენ.

საეპისკოპოსო ცენტრების ფეოდალურ სიძლიერეზე საინტერესო დაკვირვება ჰქონდა აკად. ს. ჯანაშიას. იგი წერდა: „...წყაროების გულდასმით განხილვა გვარწმუნებს, რომ მიწისმფლობელობის საკონცენტრაციო ცენტრების, ფეოდალურ სენიორიათა პროტოტიპების რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე უმაღლეს სამოხელეო პატივთა რიცხვი. ამ ცენტრების გათვალისწინება ნაწილობრივ ქართლის ეკლესიის ჰიერარქიულ ფაქტების ნიადაგზეა შესაძლებელი. განსაკუთრებით ნიშანდობლივია ამ მხრივ საეპისკოპოსოების ისტორია. როგორც ყველგან და ყოველთვის, ქართლშიაც საეკლესიო სტრუქტურა სოციალურ და პოლიტიკურ აღნაგობის შესაბამისად იყო აშენებული. საეპისკოპოსო კათედრები, ამიტომ, ბუნებრივად მიუთითებენ და თან ემთხვევიან უმსხვილეს პროტოგენურ ფეოდალურ ცენტრებს.“¹

ტბელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლის ეპისკოპოს სტეფანეს მიერ დაწყებული საქმე მომდევნო ეპისკოპოსმა მიქაელმა გააგრძელა. მან ღვთაების ტაძარი კიდევ განაახლა (შესაძლებელია გადააკეთა, ან მოცულობა მოუმატა) და ტაძრის სამხრეთის ფასადის ზემოთ აღმოსავლეთ კუთხეში, კარნიზის ქვემოთ სამსტრიქონიანი საამშენებლო წარწერაც ამოაკვეთინა. (ამაზე ქვემოთ შევჩერდებით)² ერედვის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის სამხრეთის ფასადის

¹ ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, ტფ., 1935, გვ. 18.

² ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 187.

მრგვალი სვეტის ზედა ნაწილზე არსებულ წარწერაში მოხსენიებული ქართლის მთავარეპისკოპოსის შემოკლებულ სახელს „ყ ე“-ს, როგორც აღინიშნა, „ყვარყვარედ“ კითხულობდა ნ. შოშიაშვილი.¹ ნ. შოშიაშვილი, სავარაუდოდ, ასეთივე საკუთარ სახელს კითხულობდა ამავე ტაძრის შიგნით, აღმ. კედელზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, რელიეფური ჯვრის თავზე ამოღარულ ასომთავრულ წარწერაშიც: „ყ(უარყუარ)ა(ს)/² მიწ(აი)(?)³ შ(ეიწყალ)ე//⁴ ქ(რისტ)ე//⁵-[მ](ონ)ა)ღ/⁶ შ(ენი თ(ევდორ)ე.“² მკვლევრის ვარაუდით, ტაძრის დასავლეთის ფასადის სამხრეთის კუთხეში ჩაშენებულ სწორკუთხა ფილაზე ამოკვეთილ ერთსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაშიც, სავარაუდოდ, ასევე „ყვარყვარე“ იხსენიება: „ქ(რისტ)ე შეიწყ(ა)ლე ყ(ვ)ა(რყ)ვ(არე)(?)“.³ ჩვენი აზრით, წარწერებში დაქარაგმებულად მოხსენიებული „ყ ე“-ში, შესაძლებელია მართლაც ყვარყვარე იგულისხმებოდეს, მაგრამ ამ პიროვნების გაიგივება ტაძრის მთავარ წარწერაში მოხსენიებულ მთავარეპისკოპოსის სახელთან, შემოკლებით მოხსენიებულ „ყ ე“-სთან არასწორია. თუ მთავარეპისკოპოსი იმდენად დაახლოებული იყო ტბელთა სახლთან, რომ ის ტაძრის სხვა წარწერებშიც მოიხსენიეს, და, ამასთანავე, მას აქ მიწაც „ყ(უარყუარ)ა(ს) მიწ(აი)(?)“ ეკუთვნოდა, მაშინ მის სახელს ტაძრის მთავარ წარწერაში ბოლომდე ჩაწერდნენ. როგორც აღინიშნა, ერედვის წარწერაში ბოლომდე მოხსენიებული ნიქოზის ეპისკოპოზის – სტეფანეს სახელი, რადგან ის, სავარაუდოდ, ტბელთა ფეოდალური საგვარეულოსთან მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ტბელთა დაწინაურება პოლიტიკურ ასპარეზზე IX საუკუნიდან იწ-

¹ ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 172.

² იქვე, გვ. 174.

³ იქვე, გვ. 174.

ყება. როგორც მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს: „ამ ტბელების აღზევება შიდა ქართლის ერისთავებად IX ს. უკავშირდება. სწორედ IX ს. დასაწისში გაუქმდა ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება და, შესაძლებელია, ამის შემდეგ იწყება შიდა ქართლის ძლიერი ფეოდალური სახლის, ტბელების, გაძლიერება და მათი გაერისთავება.“¹ ტბელები სარგებლობენ აფხაზთა მეფეების შიდა ქართლში ექსპანსიით, გამოდიან მათ მოკავშირეებად და სანაცვლოდ აფხაზთა მეფეებისაგან ქართლის გამგებლობას იღებენ. ტბელების ძლიერება ზენიტს აღწევს ივანეს დროს. ის კონსტანტინე აფხაზთა მეფის მოკავშირეა, ამიტომაც იწყება ერედვის წარწერა ჰერეთში კონსტანტინე აფხაზთა მეფის ლაშქრობის აღწერით.* ტბელთა საფეოდალოს დიდ მნიშვნელობას სძენდა ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გზა, რომელიც რამდენიმე ციხით იყო გამაგრებული, ასეთი ციხეები იყო: აჩაბეთი, კეხვი და სხვ.²

ზუსტად ძნელი დასადგენია, ტბელთა ფეოდალური სამფლობელოს საზღვრები, როგორც რ. მეფისაშვილი აღნიშნავს: „ტბელთა სამფლობელოს ამ დროს, როგორც ჯერჯე-

¹ მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 255.

* „მეფეთა დივნის“ მიხედვით კონსტანტინე აფხაზთა მეფის - ბაგრატ I ძეა, რომელიც გამეფდა 873 წელს, ხოლო გარდაიცვალა 912 წელს. იხ. „ძველი საქართველო“, ტ. II, განყ. III, ტფ., 1911-1913, გვ. 46. ივ. ჯავახიშვილის აზრით, კონსტანტინე 1914 წლის შემდგომაც ცოცხალია. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბ., 1948, გვ. 102. ს. ჯანაშია თვლიდა, რომ კონსტანტინეს ვაჟი გიორგი II მამის სიკვდილის შემდეგ 1915-1916 წლიდან გამეფდა. ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზმის გზაზე, ტფ., 1937, გვ. 106.

² რ. მეფისაშვილი, ზოგიერთი ისტორიული ძეგლი სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე, ძეგლის მეგობარი, №14, 1968, გვ. 11.

რობით ჩვენს ხელთ არსებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა მასალა გვიჩვენებს, დაახლოებით მდ. დიდი და პატარა ლიახვის შუა წელის ტერიტორია ეკუთვნოდა. ამ კუთხის ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას X–XI საუკუნეთა მანძილზე გვიჩვენებს ფართოდ გაშლილი სააღმშენებლო მოღვაწეობა. ტერიტორიულად ერედვთან დაკავშირებული რიგი მნიშვნელოვანი ძეგლებისა X საუკუნისა და XI საუკუნის დასაწყისის ხანით თარიღდება. ასეთებია: ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის გარდა, სოფ. ხეთის საბა-წმინდა (X საუკუნე), ერედვის ე.წ. ბერის საყდარი (X საუკუნე), ზემო-ნიქოზის მცირე გუმბათიანი ტაძარი (X–XI საუკუნეთა მიჯნა), ღოდოთის ცხრაკარა, აგებული ერისთავის ივანე ტბელის მიერ (X–XI საუკუნეთა მიჯნა), და ბოლოს, სოფ. ტბეთის დიდი დარბაზული ეკლესია, სადაც ტბელნი იხსენიებიან (X–X საუკუნეთა მიჯნა). ამას გარდა სხვა რიგი ნაკლებად მნიშვნელოვანი ძეგლებისა, დაცულია ერედვის და ტბეთის მიდამოებში.¹

ღოდოთის სამეკლესიანი ბაზილიკის შუა ეკლესიის სამხრეთი კარის მარჯვენა წირთხლზე გამოსახულ ასომთავრულ წარწერაში ივანე ტბელი და მისი ხუთი ძე იხსენიება. იმავე ღოდოთის ეკლესიის დასავლეთის კარის ტიმპანზე ამოღარულ ოთხსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაში ტბელის ძე ქავთარია მოხსენიებული.* ღოდოთიდან 10 კმ.-ის და-

¹ რ. მეფისაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 101. X–XI საუკუნეებში აგებული ზემოთ აღნიშნული ძეგლების საშენ მასალად გამოყენებულია ერედვის ღვინისფერი ქვა. იხ. შიდა ქართლი, პატარა და დიდი ლიახვის ხეობების არქიტექტურული მემკვიდრეობა, (ცხინვალის რაიონი) 1981–1983 წლების ექსპედიციის მასალები, თბ., 2002, გვ. 54, 60, 63, 84, 106.

* აღსანიშნავია, რომ დიდი ლიახვის ხეობაში ტაძრების მოსაპირკეთებლად ე. წ. „ღოდოთის ქვა“ გამოიყენებოდა. კ. ხარაძე, საქართვე-

შორებით მდებარეობს ტბეთის „ბორცვის ჯვრის“ სახელით ცნობილი დარბაზული ეკლესია, რომლის წარწერებშიც ტბელთა საგვარეულოს წევრები იხსენიებიან.* ერთ-ერთ წარწერაში, რომელიც ბალავრის ქვაზეა გამოსახული** ქავთარის ძე პატრიკ ტბელი იხსენიება: „+სახ(ე)ლ(ი)თა ღ(მრთისაჲ)ა ესე ბ(ა)ლ(ა)ჰვ(ა)რი მე, ტბ(ე)ლმ(ა)ნ პ(ა)ტ(რი)კმ(ა)ნ, ძ(ე)მ(ა)ნ ქ(ა)ვთ(ა)რ(ი)სამან/² ღ(ა)ვდ(ე)ვ, ს(ა)ლ(ო)ც(ველ)ად ს(უ)ლისა ჩ(ე)მ(ი)სა და შვ(ი)ლთა ჩ(ე)მთ(ათუ)ინ. ჯ(უ)არო ბ(ო)რც(უსა)ო, მ(ე)ოხ (მე)ქ(მე)ნ.“¹ ტბეთის ეკლე-

ლოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი, თბ., 1992, გვ. 130; ამის შესახებ მიუთითებდა გ. საძაგელოვ-ივერიელი (კათალიკოსი კირიონ II), რომელსაც „დოლოთის ნაცვლად მითითებული აქვს „ღუღეთი“. Описание Никозской Михаило-Архангельской церкви в Карталинии, Тб., 1898, стр. 3. „დოლოთს“ ასევე „ღუღეთად“ იხსნიებს ვახუშტი ბატონიშვილი: „ტბეთს ზეით არს ნაციხარი. ამას ზეით ითხრების ქვა შავი ღუღეთს. ამ ქვით ბურვენ ეკლესიებთა, სიბრტყისა და სიმსუბუქისათვის.“ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 372.

* აღსანიშნავია, რომ ტბეთის ეკლესია დანგრეულ იქნა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელისუფლების მიერ. როგორც ვ. თოფურია აღნიშნავს, ეკლესიის ქვები ცხინვალში აბანოს ასაშენებლად იქნა გამოყენებული. თუმცა, მიღებული ზომების შედეგად წარწერიანი ქვები აბანოში არ ჩაუშენებიათ. წარწერიანი ქვები უყურადღებოდ დაუყრიათ მდ. ლიახვის პირას. ვ. თოფურია, შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, საისტორიო მონაბე, II, 1924, გვ. 134.

** იგი სამხრეთის ფსაადის კარის თავზე ყოფილა ჩადგმული. გარკვეული პერიოდი, ის სამხრეთის კედელთან მიწაზე ყოფილა. 1954 წელს ქვა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გადაუტანიათ. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 180.

¹ ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 180; კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 48. აკად. ვ. თოფურია წარწერაში არსებულ სიტყვას „პტენ“ კითხულობდა როგორც „პატკა-

სიის კედელზე X საუკუნის II ნახევრით დათარიღებული პატრიკ ტბელის მოსახსენებელიც ყოფილა, წარწერიანი ქვის შესახებ ინფორმაციას მ. ბროსე და ვ. თოფურია გვაწვდიან, ქვა შემდგომში დაკარგულა.¹

ნმან“, ვ. თოფურია, შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, საისტორიო მოამბე, ტ. II, ტფ., 1924, გვ. 134. რ. მეფისაშვილი კითხულობს – „პეტრიკმან“ და თვლის, რომ აქ ეს არის არა ტიტული „პატრიკი“ ---- არამედ საკუთარი სახელი „პეტრიკი“. რ. მეფისაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 254. ნ. შოშიაშვილი და ვ. ცისკარიშვილი არ გამოირიცხავენ, რომ „პატრიკი“ ივანე ტბელის ტიტულს წარმოადგენდა. ნ. შოშიაშვილი, ვ. ცისკარიშვილი, სოფ. დოდოთის ცხრაკარას ეკლესიის წარწერა. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე“. XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 98. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერს: „ამდროინდელი ტბელების პატრიკიოსობასთან დაკავშირებით გვასხენდება ფეოდალური ქართლის პირველი ერისმთავრების პატრიკიოსობა. ხომ არ შეიძლება, რომ ამ ეპოქის შიდა ქართლის ერისთავების, ტბელების „პატრიკიოსობა, რამენაირად ეხმარებოდეს ძველი ერისმთავრების პატრიკიოსობას. წყაროების სიმცირის გამო ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა, მაგრამ მაინც ნიშანდობლივ გარემოებად უნდა მივიჩნიოთ X-XI საუკუნეების საქართველოს სხვადასხვა კუთხეების განმგებელთა შორის ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების მომრავლება. მაგალითად, X ს. ჰერეთის პატრიკი ადარნასე; კახეთის მეფე კვირიკე მაგისტროსი (აღარას ვამბობ ტაოკლარჯეთის ბაგრატიონებზე). ხომ არ არის ეს ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთი დიპლომატიური სვლა, მიმართული გაძლიერებული აფხაზთა მეფეების წინააღმდეგ?“. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 254.

¹ ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 133; M. Brosset, Rapports sur un Voyage archeologique dans la Georgie et dans l'Armenie, executee en 1847-1848 par M. Brosset. Membre de l'Academie Imperiale des Sciences. 2 de livr. VI, St. Petesbourg, 1851, p. 58. ლიახვის ხეობის სიძველეების და აქ არსებული წარწერების შესახებ საინტერესო ცნობები დავით ბროსემ. ვ. საძაგლიშვილის (კათალიკოზი კირიონ II) ინფორმაციით ფრანგი ქართველოლოგი ლიახვის ხეობაში არ ყოფილა, რადგან იგი ნიქოზის ღვთაების ეკლესიის აღწერაში ცდება (უგუშმათოდ იხსენიებს). Г. Садзагелов-Ивериели, Описание Никозской Михаило-Архангельской церкви в Карталинии, Тб., 1898, стр. 7. რასაც არ ეთანხმება ი. მეგრელ-

წარწერა ასე იკითხებოდა: „ქ(რისტ)ე, გ(ანუ)ს(უე)ნე ს(უ)ლ(ს)ა ტბ(ე)ლ(ი)სა/² პ(ა)[ტრ(ი)კ(ი)ს, დ[ლ(ე)სა მას.“¹ ტბეთის ეკლესიის კედელზე ასევე ყოფილა X საუკუნის შუა წლებით დათარიღებული ოქროპირ ტბელის ძის მოსახსენებელი. აღნიშნული წარწერის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის მ. ბროსე.² წარწერა მოგვიანებით უნახავს ვ. თოფურიას.³ წარწერა ასე იკითხებოდა: „ქ(რისტ)ე, ა(დი)დე ოქრ(ო)პირ ძე ტბ(ე)ლ(ი)ს(ა)ი“.⁴ ოქროპირ ტბელი ქავთარ ტბელთან ერთად ტბეთის ბორცვისჯვრის სხვა წარწერაშიც იხსენება, რომელიც ასევე დაკარგულია: „+ჯ(უ)არო ბ(ო)რცკს(ა)ო, ა(დი)დ(ე)ნ შვ(ი)ლნი მ(ა)თნი: ოქრ(ო)პ(ი)რ, პდლ`დ (ტბელი და ?) ქ(ა)ვთ(ა)რ.“⁵ აღნიშნულ წარწერას ვ. თოფურია ასე კითხულობდა: „ჯ`რო ბრცსა დნ შველნი მთ`ნი ოქრ`აი სპდ`ლდ დვ`თ ქვთრ ჯუარო ბორცვისაო აღიდენ შვილნი

იძე, მკვლევრის განმარტებით, მ. ბროსე იმყოფებოდა: ნიქოზში, ბორცვის-ჯვარში, ტბეთში, წუნარში, ცხინვალში. ი. მეგრელიძე, სიძველეები ლი-ახვის ხეობაში, ტ. I, გვ. 123. როგორც ი. მეგრელიძე მიუთითებს, ეს ადგილები ფრანგ მეცნიერს 1847 წელს მოუნახულებია. იქვე, გვ. 122. ი. ალიმბარაშვილი მიიჩნევს, რომ მ. ბროსე გორში იმყოფებოდა 1848 წლის 7 აპრილიდან 12 აპრილამდე და მან დიმიტრი მეღვითხუცესიშვილის თანხლებით დაათვალიერა გორის სიძველეები. შემდეგ ის იმერეთში გაემგზავრა. ი. ალიმბარაშვილი, დიმიტრი მეღვითხუცესიშვილი, (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 2016, გვ. 35.

¹ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 182.

² M. Brosset, Rapports sur un Voyage archeologique dans la Georgie et dans l'Arménie, exécuté en 1847-1848 par M. Brosset. Membre de l'Académie Impériale des Sciences. 2 de livr. VI, St. Pétersbourg, 1851, p. 57.

³ ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

⁴ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 181.

⁵ იქვე, გვ. 183.

მათნი ოქროპირი სპდლ(?) დავით ქავთარ“.¹ ამ წარწერას, როგორც ვ. თოფურია აღწერს ორსტრიქონიანი წარწერა მოსდევდა: „ქ[~]სე გს[~]ნე სლ[~]ა ტბ[~]ლსა ებრქს დსა მსსა ქრისტე განუსუენე სულსა ტბელისასა(?) ებრაქსის(?) დასა(დელა-სა?)მისსა.“² დისევის ძელიცხოვლის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ი. მეგრელიძეს აღწერილი აქვს ვერტიკალურად ორ-სამ ასო-ასოდ ჩამოწერილი 6-7 სტრიქონიანი ასომთავრულით შესრულებული წარწერა. რომელიც მკვლევარმა ასე წაიკითხა. „ირჩევა ასოები: გს(ლიგატურა-გიორგის?)ო (ან-ე)პს/ნ ა(ან ე) სლ/სა(სულსა)/ ჩემ(მ თუ ვ?) ა/სა.“³ ხომ არ უნდა აღნიშნავდეს „ოპს“ გრაფემების ჯგუფი „ოქროპირს“? რ. მეფისაშვილი და ვ. ცინცაძე დისევის ტაძარს, ვანათის და არბოს ტაძრებთან ერთად, ერთ ქრონოლოგიურ ჩარჩოში განიხილავენ და X საუკუნით ათარიღებენ.⁴ თუ ი. მეგრელიძის მიერ გამოქვეყნებულ წარწერაში მართლაც ოქროპირი იგულისხმება, არ არის გამორიცხული, რომ დოდოთის ბორცვისჯვრის წარწერებში მოხსენიებული ოქროპირი და დისევის წარწერის ოქროპირი („ოპს“) ერთი და იგივე პიროვნება იყოს. შესაძლოა, ოქროპირ ტბელს, დისევი ებოძა და ძელიცხოვლის ტაძარი სწორედ მისი ინიციატივით აიგო X საუკუნის შუა წლებში (ან II ნახევარში). არც ის არის გამო-

¹ ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 133. „ბორცვის ჯვარი“ („ბორცვის ჯვარი“, როგორც ვ. თოფურიამ შეამჩნია იხსენიება ბაგრატ IV ერთ-ერთ სიგელში. ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 132; თ. ჟორდანი, საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, თბ., 1896, გვ. 3, 4, 5.

² იქვე, გვ. 133.

³ ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, 1997, გვ. 28.

⁴ Меписашвили Р., Цинцадзе В., Архитектура нагорной части исторической провинций Грузии Шида Картли. Тб., 1975, стр. 100. შიდა ქართლი, ტ. I, გვ. 54-56.

რიცხული, რომ დისევეში მცხოვრები ოქროპირიძეთა გვარი სწორედ ოქროპირ ტბელს უკავშირდებოდა. ტბეთის ეკლესიის კედლებზე ასომთავრულით შესრულებული სხვა მოსახსენებლებიც არსებობდა. მათ შორის X საუკუნის შუა წლებით დათარიღებული ვახტანგის ძეგლის: „ქ(რისტ)ე ა(დი)დ(ე)ნ ძ(ე)ნო ვ(ა)ხტ(ა)ნგ(ი)ს(ა)ნი: მ(ი)ქ(ა)ელ სა` რმ` ე (?).“¹ ასევე ვინმე ცუატასი: „+ უ(ფალ)ო გ(ანუ)ს(უე)ნე ს(უ)ლ(სა) ც(უა)ტ(ა)დ(ა)სა.“² მ. ბროსეს, ასევე ვ. თოფურიას ცნობით, ტბეთის ეკლესიის სამხრეთის ფასადის მარჯვენა სარკმლის ზემოთ, ყოფილა ასომთავრულით შესრულებული წარწერა, სადაც ვინმე თეკლა იხსენიებოდა: „+ ჯ(უა)რო ბ(ო)რც(უ)ს(ა)ო მ(ე)ოხ (ე)ქ(მე)ნ ს(უ)ლ(სა) თ(ე)კლ(ა)დ(ა)სა.“³ „თეკლა“ იხსენიება ცხინვალთან 2 კმ.-ის დაშორებით სოფელ კუსირეთის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე ერთსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაშიც: „ქრისტე შეიწყალე თეკლა“.⁴ კუსირეთის ეკლესია სამეცნიერო ლიტერატურაში VIII-IX საუკუნით თარიღდება.⁵ ტბეთის მოსახსენიებელი და კუსირეთის წარწერა ქრონოლოგიურად განსხვავდებიან, როგორც ჩანს, „თეკლა“ ამ არეალში გაგრძელებული სახელი იყო. ჩვენი აზრით, ორივე „თეკლა“ ტბელთა ფეოდალურ გვარს უკავშირდება და არ არის გამორიცხული, აღნი-

¹ იქვე, გვ. 181.

² იქვე, გვ. 182; ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 133. აღსანიშნავია, რომ ანთროპონიმი „ცუატა“ ატენის სიონის ერთ-ერთ ფრესკულ წარწერაშიც გვხვდება, ეს არის IX საუკუნით დათარიღებული სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: „1. წ(მიდა)ო ღ(მრთისშ(ო)ბელო, 2. შ(ეიწყა)ლე მ(ო)ნ(ა)ი შ(ე)ნი ც(ვა)ტ(ა)ი 3. მეჯუარწ“. ქართული წარწერების კორპუსი, ფრესკული წარწერები, ტ. I, გვ. 188.

³ იქვე, გვ. 182.

⁴ ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, გვ. 189.

⁵ შიდა ქართლი, ტ. I, გვ. 139.

შნული სახელი ორი თაობის წარმომადგენლებს ერქვათ. ტბეთის ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადის მარცხენა პატარა სარკმლის ზემოთ, ჩუქურთმებში, ასევე ჩუქურთმების ზემოთ დატანილი იყო აბაზასი და მისი ძეგბის მოსახსენებელი ასომთავრული წარწერები, რომლებიც ერთად გამოაქვეყნა ნ. შოშიაშვილმა: „¹ ჯ(უა)რო ბ(ო)რც(უ)/² საო ა(დი)დე³ აბ(ა)-ზი/4 +და ძ(ე)ნი მ(ი)სნი: ივ(ა)ნე, ქ(ო)ბუ(ლ)ი.“⁴ გ. ოთხმეზურის აზრით: „ამ წარწერებში (იგულისხმება: ვახტანგის ძეგბის, ცუატას, თეკლას, აბაზას და მისი ძეგბის მოსახსენებლები – გ. ს.) მოხსენიებულ პირთა ვინაობა ჩვენთვის უცნობია. ტბეთის ეკლესიის ფასადებზე მათი მოსახსენებლების ამოღარვა შესაძლებელს ხდის დაუშვათ, რომ ისინიც ტბელთა საგვარეულოს ეკუთვნიან, ოღონდ რომელ თაობას, ამის დადგენა არ ხერხდება.² ამიტომ ეს წარწერები, ზოგადად, X ს-ის შუა წლებით და II ნახ-ით თარიღდება.“³ ვ. თოფურია ამ წარწერების გაცნობის შემდეგ სვამდა კითხვას: „ხომ არ არის ეს ეკლესიის აშენების შემდეგ სხვადასხვა ღროს ამოჭრილი?“, თუმცა, პალეოგრაფიული მსგავსებებიდან გამომდინარე, ამ კითხვას თვითონვე სცემდა პასუხს: „მაგრამ პალეოგრაფიულად ასოები ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან, აგრეთვე ქარაგმების ერთნაირად გამოყენება, ორთოგრაფია და

¹ იქვე, გვ. 182.

² ნ. შოშიაშვილი მიიჩნევს, რომ ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებული აბაზა და მისი ძეგბი, შესაძლებელია ყოფილიყო ტბელების მომდევნო თაობა, მათი განშტოება, ან მათი შემცვლელი ფეოდალური საგვარეულო. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 179.

³ გ. ოთხმეზური, შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა, კრებ: „ოსთა საკითხი“, ა. ბაქრაძისა და ო. ჩუბინიძის რედ. თბ., 1996, გვ. 137.

სხვა მოწმობს იმას, რომ ყველა ეს წარწერა ერთი კაცის მიერაა ამოჭრილი.⁴¹

გ. ოთხმეზურის შეხედულებას ჩვენც ვიზიარებთ, რადგან ტბეთში ტბელთა საგვარეულოს მიერ აგებულ ტაძრის კედლებზე, იმ დროს, როცა აღნიშნული საგვარეულო შიდა ქართლში დიდი გავლენით სარგებლობდა, სხვა საგვარეულოს წარმომადგენლები თავიანთ მოსახსენებლებს ვერ ამოკვეთდნენ. არ არის გამორიცხული, რომ მოსახსენებლებით ცნობილი ვახტანგი, ასევე ცუატა, ბალავრის ქვის წარწერაში მოხსენიებული პატრიკ ტბელის უმცროსი ძმები ყოფილიყვნენ. მართალია, ბალავრის ქვის წარწერის თანახმად, პატრიკს შვილებიც ჰყავდა, მაგრამ ვახტანგი და ცუატა რომ პატრიკის შვილები ყოფილიყვნენ, მაშინ წარწერაში ისინი უსათუოდ ტბელის ძეებად მოიხსენიებოდნენ, როგორც ეს ოქროპირ ტბელის ძის შემთხვევაში გვაქვს. მოსახსენებელ წარწერაში ცნობილი „თეკლა“, ტბელთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთი წევრის, (შესაძლებელია პატრიკის, რადგან ბალავრის ქვის დამდები სწორედ ის იყო) მეუღლე იყო.* როგორც აღინიშნა, ტბელთა ფეოდალური სახლის დაწინაურება IX საუკუნიდან იწყება. მათ სხვა ფეოდალურ საგვარეულოებთან შედარებით უპირატესობა მოიპოვეს, როგორც ჩანს, აფხაზთა მეფეებთან ტბელებს გარკვეული ნდობა ჰქონდათ, გარდა ამისა, მათ საფეოდალოს აფხაზეთის მესვეურთათვის კონკრეტული ფუნქცია გააჩნდა. აფხაზთა მეფეები შიდა

¹ ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

* აღსანიშნავია, რომ ვახტანგის ძეების, ასევე ცუატას და თეკლას მოსახსენებლებს ნ. შოშიაშვილი პატრიკ ტბელის წარწერის, აგრეთვე პატრიკ ტბელის ძეების ოქროპირის და ქავთარის მოსახსენებლების თანადროულად თვლის, ამის მიზეზად მკვლევარი წარწერათა ამოკვეთის ერთნაირ სიმეტრიას მიიჩნევს. იქვე, გვ. 179.

ქართლს, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენ ნაწილს ტბელთა საფეოდალოზე გამავალი გზით უკავშირდებოდნენ. ერედვის წარწერაში, სადაც საუბარია კონსტანტინე აფხაზთა მეფის ჰერეთში ლაშქრობაზე, აღნიშნულია, რომ „მუნით (ჰერეთიდან) მშვიდობით იქცა, ცისკრად ალავერდს ილოცა, მწუხრი ბრემას გადაჰხდა“.¹ ე.ი. ალავერდიდან გამთენიისას წამოსული კონსტანტინე მეფეს ბრემას შემოაღამდა. ბრედაში წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი ღვას. რ. მეფისაშვილის განმარტებით: „სოფ. ბრედა სადგ. გომიდან ჩრდილოეთით 15-ოდე კმ. მანძილზე მდებარეობს. სოფ. ატოცის დას. სოფ. ტკოცას შუა. ბრედაში დღეს დაცულია ორი ეკლესია, ერთი სოფელში ღვას, მეორე კი სოფლის გარეთაა. ის, რომელიც სოფელშია (ზღუდერს უწოდებენ), როგორც თავისი ზოგადი სახით, ისე ცალკეული ნიშნებით, გარკვეულ მსგავსებას იჩენს ერედვის ძეგლთან.“² ბრედა, ჩვენი აზრით, ტბელთა საფეოდალოში შედიოდა. აფხაზეთიდან ბრედაზე გავლით გზა მოემართებოდა შიდა ქართლში, პატარა ლიახვის ხეობის მეშვეობით ეს გზა ქსნის ხეობაში გადადიოდა და აქედან კახეთ-ჰერეთს უკავშირდებოდა. პატარა ლიახვის ხეობიდან ქსნის ხეობაში გადასასვლელი გზა გვიანდელი პერიოდის არაერთ წყაროში იხსენიება.³ კონსტანტინე აფხაზთა მეფის უკან დაბრუნების მარშრუტს რ. მეფისაშვილი ასე განმარტავს: „ვეჯინიდან წამოსული კონსტანტინე გომბორის უღელტეხილის გადავლით ჟინვანში უნდა ჩასულიყო, აქედან შესაძლოა, იგი, მლეთაში გაემგზავრა. მლეთიდან გადავიდა ქარჩოხის ხეობაში, სადაც ალავერდი იმყოფება. შემდეგ კონ-

¹ ქართული წარწერების კორპუსი, II, გვ. 172.

² რ. მეფისაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

³ გ. სოსიაშვილი, გზები პატარა ლიახვის ხეობაში, ჟურნ. აღმოსავლეთი და კავკასია, №5, 2007, გვ. 93.

სტანტინეს შეეძლო პატარა ლიახვის ხეობით ერედვის გავლით ცხინვალში ჩასულიყო, ცხინვალიდან კი ბრეძაში გადასულიყო. ალავერდიდან ბრეძამდე დაახლოებით 60-70 კმ და ამ გზის გავლა ერთი დღის განმავლობაში უფრო შესაძლებელია, ვიდრე კახეთის ალავერდიდან ბრეძამდე, მაგრამ ჩვენ არავითარი მონაცემები არა გვაქვს, რომ კონსტანტინეს უკან დაბრუნება ამ გზით ვივარაუდოთ.¹ აფხაზთა მეფეებისათვის ტბელთა საფეოდალოს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. პატარა ლიახვის ხეობა ქსნის ხეობას ემიჯნებოდა. ცნობილია ის ფაქტი, რომ IX საუკუნეში აშოტ კურაპალატსა და გრიგოლ კახეთის მთავარს შორის ბრძოლა მოხდა „ქსანსა ზედა“, „მატიანე ქართლისას“ ცნობით: „და შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ. გააქციეს გრიგოლ, მთავარი კახეთისა, და დაიპყრეს ქუეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან. და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსნამდე.“² კახეთის ქორეპისკოპოსებს ქსნის ხეობაში ციხეებიც კი ჰქონდათ აგებული, რომ ქართლი მტკიცედ შეენარჩუნებინათ, ერთ-ერთი ასეთი მათგანი იყო ლოწობნის ციხე, რომლის აგებაც X საუკუნის დასაწყისში კახთა ქორეპისკოპოსს – ფადლა II უკავშირდება. როგორც ჯ. გვასალია განმარტავს: „ქართლსა ზედა“ ბრძოლის ასპარეზი ლოწობნის გარდა გაიშალა ქსნისპირა სხვა ციხეებზეც, კერძოდ წირქოლსა და გრუზე, რომლებსაც კახელები ფლობდნენ XI ს. შუა ხანებამდე. ასე რომ კახეთის სამთავრო XI საუკუნემდე ვრცელდებოდა ქსნამდე.“³

¹ რ. მეფისაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 252-253.

³ ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 60.

ტბელთა ფეოდალური სახლის ხელმძღვანელი ივანე ტბელი აფხაზთა მეფეების მოკავშირე გახდა, მის ტერიტორიას აფხაზთა მეფეები თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდნენ, ამიტომაც ივანეს აფხაზთა მეფეებმა ქართლის გამგებლობა ჩააბარეს. როდიდან დაწინაურდა ივანე ტბელი? საინტერესოა, ის ფაქტი, რომ ცხინვალიდან 28 კმ.-ის დაშორებით ყორნისის რაიონში, სოფელ წორბისიდან 8 კილომეტრზე მდინარე ფრონის მარცხენა ნაპირზე პროფ. ი. მეგრელიძემ აღმოაჩინა წარწერიანი ქვა. წარწერა მან შემდეგნაირად ამოიკითხა: „ს(ა)ხელითა ღ(მრ)თის(აი)თა ესე კ(ო)ნქიშ(ე)მნ(ა) ივ(ა)ნე ერ(ი)სთ(ა)ვმან (სალო)ცვ(ე)ლ(ა)დ მ(ა)თდა ქრ(ო)ნიკ(ო)სარს ს(ა)ბაის მ(ა)მ(ა)ს(ა)ხლ(ი)ს(ო)ბ(ა)სა“.¹ ი. მეგრელიძის წაკითხვით კიდის წარწერა ასე იკითხება: „(ი)ქ(მ)ნა ჴ(ე)ლ(ი)თა ბარვ(ე)ლის(აი)თა“.¹ მკვლევარი აღნიშნულ წარწერას 880 წლით ათარიღებდა. თუმცა, ერთი უზუსტობა გაეპარა. ი. მეგრელიძე წერს: „ამავე წარწერის ივანე მხოლოდ ერისთავია (მხარის მფლობელი). ლიტერატურაში კარგად ცნობილი ცხინვალის რაიონის ერედვის ტაძრის 906 წლის წარწერაში (ე. ი. კონქის შექმნის 26 წლის შემდეგ) ივანე ეპისკოპოსად იხსენიება, ხოლო ცხინვალიდან წორბისისაკენ მდებარე დოდოთის ე.წ. ცხრაკარას ეკლესიის

* როგორც ჩანს, მამასახლისი ერისთავის დაქვემდებარებაში მყოფი მოხელე იყო და იგი უფრო წვრილ ტერიტორიულ ერთეულს განაგებდა. თუმცა, მას იმხელა პრივილეგია ჰქონდა, რომ ერისთავის ინიციატივით ამოკვეთილ წარწერაში მოიხსენიეს. მამასახლისეები თვითონაც აგებდნენ ტაძრებს. ამას ადასტურებს მდ. რეხულის ზემო წელზე არსებული 864 წლით დათარიღებული არმაზის ტაძრის წარწერა, სადაც იხსენიება მამასახლისი გიორგი, რომელსაც ეკლესიის მშენებლობა დაუწყია. ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 168; ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1956, გვ. 22.

¹ ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, გვ. 95.

წარწერით კი იგივე უკვე არის „ივანე ერისთავი ტბელი“, – აქაურივე ტბეთის „ეპარქიის“ გამგებელი.“¹ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერედვის წარწერაში ივანე ტბელი ქართლის „უფლად“, ანუ გამგებლად იხსენიება და არა ეპისკოპოსად, ერედვის წარწერაში მოხსენიებულია ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე, ასევე მთავარეპისკოპოსი ყე (ყვარყვარე?). არ არის გამორიცხული, რომ ქართლის ერთ-ერთი ფეოდალი, ივანე ტბელი, ჯერ ერისთავად იწოდებოდა, მან წორბისის ეკლესიის კონქი ააშენა, წარწერაში ხაზგასმულია: „სალოცველად მათდა“, საუბარი უნდა ეხებოდეს ტბელთა ფეოდალურ სახლის წევრებს. რამდენიმე წლის შემდეგ ივანემ ქართლის სხვა ფეოდალებზე უფრო მეტი ძალაუფლება მოიპოვა, ამ საგვარეულოებს „მატიანე ქართლისაც“ იცნობს. ცოტა უფრო უფრო მოგვიანებით კონსტანტინე აფხაზთა მეფის ძის – გიორგის მოღვაწეობის დროს ქართლში რამდენი ფეოდალური სახლია, მათ შორის: „გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხულოსელნი, სარა და გრიგოლ ფხუენელნი, და მათ თანა ორმოცდაათი აზნაური სხუა“.² წორბისის წარწერაში მოხსენიებული ივანე ერისთავი, იგივე ტბელი, ქართლის სხვა აზნაურებზე, მათ შორის ფხუენელებზე და ყანჩაელებზე მეტად დაწინაურდა* და

¹ ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

² ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 269.

* სოფელი ფხვენისი, მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზეა, ცხინვალიდან რამდენიმე კმ-ის დაშორებით და ფხუენელთა ფეოდალური სახლის ცენტრი სწორედ აქ უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ „ფხუენელი“ ოდნავ განსხვავებული „ფხუენელაის“ ფორმით გვხვდება მეჯულის ხეობაში აღმოჩენილ ქვის ფილაზე ნუსხურით შესრულებულ 16 სტრიქონიან წარწერაში. წარწერა თარიღდება X საუკუნით. ეს არის „დაწერილი ზაზისა და თუთასი ბაჰრამისა და ლომასადმი“. წარწერაში მოხსენიებულია კოლონკელი ფხუენელაისძე. ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ.

ქართლის „უფალი“ გახდა. აღსანიშნავია, რომ ტერმინი „უფალი“ X საუკუნის სხვა წარწერაშიც გვხვდება. ბიეთის წარწერაში იხსენიება იოანე ერისთავთ-ერისთავი (ყანჩაელი), „უფალი“. ამაზე ქვემოთ შევჩერდებით. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, X-XI საუკუნეებში სოციალურ ცხოვრებაში ახალი ტერმინი „პატრონი“ ჩნდება. უფრო ადრე, „პატრონის“ ნაცვლად „უფალი“ გამოიყენებოდა.¹ ტბელთა საგვარეულომ ძლიერების ზენიტს კონსტანტინეს მეფობის დროს მიაღწია. მოგვიანებით, კონსტანტინე აფხაზთა მეფის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ჩანს, ტბელთა ფეოდალურმა სახლმა ქართლის გამგებლობა დაკარგა. ტახტზე კონსტანტინეს ვაჟი გიორგი ავიდა. მან ქართლი თავის უფროს ძეს კონსტანტინეს ჩააბარა.² ჩვენი აზრით, ივანე ტბელს გიორგი აფხაზთა მეფესთან ურთიერთობა დაეძაბა, რის გამოც გიორგიმ ივანეს ქართლის გამგებლობა ჩამოართვა და თავის ძეს კონსტანტინეს გადასცა. თუმცა, გიორგის ქართლის დაუფლება ბრძოლით მოუხდა. ვახუშტი ამის შესახებ აღნიშნავს: „ამანვე გიორგი მეფემან, შემდგომად მეფისა ადარნასე კურაპალატის სიკუდილისა დაიპყრა ქართლი და დასუა ძე თვისი კონსტანტინე“.³ გიორგი აფხაზთა მეფის მიერ ქართლის დაპყრობასთან დაკავშირებით აკად. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს: „გიორგი მეფის წინაშე მწვავედ დადგა ქართლის საკითხი. როგორც აღნიშნული გვაქვს, ქართლი გიორგის მამამ, კონს-

146; კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 52.

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 58.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1948, გვ. 103.

³ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 799.

ტანტინემ (რომელიც ერედვის წარწერაში იხსენიება – გ. ს.), დაიპყრო X ს. დასაწყისში. მაგრამ, როგორც ჩანს, აფხაზთა მეფეებმა ქართლი დაკარგეს, რადგან გიორგის ისევ უხდება ქართლისათვის ბრძოლა. აფხაზთა მეფეების მეტოქეები, ქართლისათვის ბრძოლაში, სომეხთა მეფეები და ქართველთა მეფეები იყვნენ. აფხაზთა სამეფოს ქართლი უნდა დაეკარგა ან აბულ-კასიმის შემოსევის, ან აფხაზთა სამეფო სახლში ტახტისათვის წარმოებული ბრძოლის დროს.¹ მ. ლორთქიფანიძემ ყურადღება მიაქცია ვახუშტის ცნობას, რომელიც გიორგი აფხაზთა მეფის მიერ ქართლის დაპყრობას აღარნასე ქართველთა მეფის გარდაცვალებას უკავშირებს: „შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ვახუშტი გიორგი აფხაზთა მეფის მიერ ქართლის დაპყრობას აღარნასე ქართველთა მეფის გარდაცვალებას უკავშირებს. ვიცით, რომ აბულ-კასიმის შემოსევის დროს, სუმბატ სომეხთა მეფის და კონსტანტინე აფხაზთა მეფის საპირისპიროდ, აღარნასე ქართველთა მეფემ შემოსეული მტრის მხარე დაიჭირა. შესაძლებელია, ქართლი აღარნასე ქართველთა მეფემ საჯი ამირასაგან მიიღო მოკავშირეობისათვის, ან დაიპყრო იმ დროს, როდესაც აფხაზეთში ტახტისათვის ომი მიმდინარეობდა. ეს ძალიან ხელსაყრელი დრო იქნებოდა ქართველთა მეფისათვის.“² ჩვენი აზრით, სწორია ის მოსაზრება, რომ აღარნასემ აფხაზთა სამეფო კარზე არსებული არეულობით ისარგებლა და ქართლს დაეუფლა. ამ დროს მისთვის მხარი უნდა დაეჭირა ივანე ტბელს, რომელსაც აღარნასე შესაძლებელია

¹ მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 246-247.

² იქვე, გვ. 247.

ქართლის გამგებლობის შენარჩუნებას დაპირდა. ივანე ტბელი ადარნასე ქართველთა მეფის ბანაკში აღმოჩნდა.*

სწორედ ამიტომ, როდესაც ადარნასე გარდაიცვალა, ტბელები მფარველის გარეშე აღმოჩნდნენ და გიორგი აფხაზთა მეფემ ქართლი დაიპყრო. არც ის არის გამორიცხვული, რომ საჯი ამირას შემოსევის დროს ადარნასემ მოკავშირეობის გამო ქართლი საჩუქრად მიიღო. ივანე ტბელი, იმის გამო, რომ აფხაზთა სამეფო კარზე ტახტის პრეტენდენტთა შორის დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, პატრონის გარეშე დარჩა და ადარნასეს ბანაკში აღმოჩნდა. ერთი რამ ცხადია, გიორგი აფხაზთა მეფე ქართლის დაპყრობის შემდეგ ადგილობრივ ფეოდალებს (ტბელებს) აღარ ენდო და ქართლი თავის ვაჟს - კონსტანტინეს ჩააბარა, რომელიც მამას მალე განუღვა. საინტერესოა, რომ კონსტანტინე უფლისწულს

* აღსანიშნავია, რომ ადარნასეს მხარს უჭერდა ვასპურაკანის მეფე სუმბატ ტიეზიკარელი. სომეხი მემატიანის – იოანე დრასხანაკერტელის ცნობით სუმბატმა: „დიდი პატივითა და დიდებით გვირგვინი დაადგა, შესაფერისი ლამაზი სამკაულითა და საჭურვლით შეამკო მეფეთა წესის თანახმად, ქართველთა მეფედ დაადგინა და თავისი სამფლობელოს მეორე პირად [მეფის შემდეგ] დაამტკიცა იგი.“ ე. ცაგარეიშვილი, საქართველო VII-X საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებში, თბ., 2012, გვ. 69. სუმბატმა და ადარნასემ 904 წელს, უფლისციხესთან ერთობლივად დამარცხეს კონსტანტინე აფხაზთა მეფე. კონსტანტინე სუმბატმა დაატყვევა, თუმცა მალე გაათავისუფლა, რასაც ადარნასეს უკმაყოფილება მოჰყვა. იქვე, გვ. 133. სუმბატის მიერ კონსტანტინე აფხაზთა მეფის დამარცხების ფაქტს განსხვავებულად გადმოგვცემს სომეხი მემატიანე ფსევდო შაპუჰი, მისი ინფორმაციით, აფხაზთა მეფე ამ დროს იყო თეოდოსი. სომეხთა და აფხაზთა მეფეებს შორის ბრძოლა მოხდა არა უფლისციხესთან, როგორც ამას იოანე დრასხანაკერტელი გადმოგვცემს, არამედ გორთან. ე. ცაგარეიშვილი, ანონიმი ისტორიკოსი (ფსევდო-შაპუჰი) და მისი „ისტორია“, „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, V, თბ., 1975, გვ. 162-163.

მხარს უჭერდნენ ტბელნი და სხვა აზნაურები: „და ვითარ დაყო სამი წელიწადი, იწყო მტერობად მამისა თვისისა და ძებნად მეფობისა. და ვითარ გამოცხადნა საქმე მისი, შედგა იგი უფლისციხეს და შეუდგეს თანა ტბელნი და სხუანი მრავალი აზნაური.“¹ კონსტანტინე ქართლის გამგებლობას არ დაჯერდა. მას აფხაზეთში გამეფება უნდოდა. როგორც ჩანს, ივანე ტბელმა მას დახმარება იმ პირობით აღუთქვა, თუ ბრძოლის წარმატებით დასრულების შემდეგ აფხაზეთში გამეფებული კონსტანტინე ქართლს კვლავ ივანე ტბელს ჩააბარებდა. თუმცა, კონსტანტინე დამარცხდა. ტბელთა ფეოდალურმა სახლმა, ქართლის გამგებლობის იმედი დაკარგა. მათი საფეოდალოს საზღვრები ამ მარცხის შემდეგ მკვეთრად უნდა შემცირებულყო. ის, რომ ივანე ტბელის მომდევნო თაობის წარმომადგენელთა სახელები, მხოლოდ ტბეთის ბორცვისჯვრის ტაძრის წარწერებიდან არის ცნობილი, შემთხვევითი არ არის. ქართლის „უფლობიდან“ ტბელები კვლავ ტბეთს და მის შემოგარენ ადგილებს უბრუნდებიან. კონსტანტინე აფხაზეთა მეფის ძის ქართლში გამგებლად ყოფნის შესახებ „მატიანე ქართლისას“ გარდა, ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის მდ. მეჯუდას ხეობაში, სოფ. ჭალისუბანში ნაპოვნი თექვსმეტსტრიქონიანი წარწერა. წარწერა პირველად გამოქვეყნდა 1925 წელს.² მასში ვკითხულობთ: „სახ[ელით]ა ღმრთისაფთა ესე ჰელი [ჩუენ] რამინ და გიორგი დავწერეთ ოდეს [კოსტა]ნტი ქართლისა გამგებელი იყო, ჩუენ ცხრაზმის ჰევის ჰევისუფლად [კ]იყვენით, მას ჟამსა ავაგეთ წისქოკლნი და ზემოთ სახლი ერთი სამსახოკრი, ჰკიდავს ზ კაცი. ქე ა ცისკარ ამინ. ესე ჰელი მე გიორგი

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 267.

² საისტორიო მოამბე, წიგნი I, 1925.

დავწერე. ქრისტე განმგებლო ორთავე ცხორებათაო, დაწესე სოლი ფარაისი წიაღთა აბრაჰამისთა მიეც განსოენებაო ო ამ[ა]“.¹ ძალზე საინტერესოა, რომ ჭალისუბნის წარწერაში, რომელიც კონსტანტინეს გამგებლობის დროს არის შექმნილი (923-926 წ.წ) ცხრაჰმის ხევისუფლები ადგილობრივ, მათზე იერარქიულად მაღლა მდგომ ერისთავს არ იხსენიებენ. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ხევისუფლები ერისთავებს ექვემდებარებოდნენ. ამის დასადასტურებლად მეცნიერი, როგორც ა. ბაქრაძემაც შენიშნა, შიომღვიმისადმი გრიგოლ ერისთავთ-ერისთავის მიერ ბოძებულ „დაწერილს“ იმოწმებს.² იმ გარემოებას, რომ ჭალისუბნის წარწერაში ადგილობრივი ერისთავები არ იხსენიებიან, ყურადღება მიაქცია ა. ბაქრაძემ. იგი წერს: „თუ ჰევისუფალნი მართლაც ერისთავებს ემორჩილებიან, ისმება კითხვა, თუ რატომ არ იხსენიებენ ჩვენი წარწერის (იგულისხმება ჭალისუბნის 923-926 წ.წ. წარწერა – გ. ს) პირები მას, როგორც თავიანთ უშუალო უფროსს, რატომ იხსენიებენ ისინი ქართლის გამგებელს და არა ადგილობრივ ფეოდალს?“³ ა. ბაქრაძე ამ ფაქტს შემდეგნაირ ახსნას უძებნის: „რადგანაც იურიდიული ხასიათის ასეთ იშვიათ საბუთში, როგორსაც წარმოადგენს ჩვენი ძეგლი, არ იხსენიება ადგილობრივი ფეოდალი (ამ შემთხვევაში ერისთავი) უნდა ვიფიქროთ, რომ ცხრაჰმის ჰევისუფლები ასეთი თანამდებობა ჯერ კიდევ არ არსებობდა.“⁴ ჩვენ ვერ დავეთანხმებით

¹ ა. ბაქრაძე, X საუკუნის წარწერა მეჯულის ხეობიდან, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX—B, 1956, გვ. 6.

² იქვე, გვ. 7; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგ. II, ნაკვ. 2, ტფ., 1928, გვ. 207; თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. II, ტფ., 1897, გვ. 15-19.

³ ა. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

⁴ იქვე, გვ. 8.

აღნიშნულ მოსაზრებას. ის, რომ წარწერიანი ქვა მეჯუდის ხეობაში, სოფ. ჭალისუბანშია ნაპოვნი, შემთხვევითი არ არის. მეჯუდის ხეობა ცხრაძმის ხევს ემიჯნება, არ არის გამორიცხული, რომ ცხრაძმის ხევისუფალთა რეზიდენცია სწორედ ამ არეალში იყო. როგორც ქვემოთ ვნახავთ, მეჯუდის ხეობაში ბიეთის ტაძრის X საუკუნის საამშენებლო წარწერაში იხსენიება „ერისთავთ-ერისთავი იოანე ძე ბაკურ ყანჩაელისა, უფალი და პატრონი“. გამოდის, რომ X საუკუნეში მეჯუდის და მის მეზობლად არსებული ხეობები ყანჩაელთა საკუთრებას წარმოადგენდა და მათ თავიანთი ხევისუფალნიც ჰყავდათ. არ არის გამორიცხული, რომ ყანჩაელები ტბელთა საპირისპიროდ მამისაგან განდგომილი კონსტანტინეს მოწინააღმდეგეები იყვნენ. არც ის არის გამორიცხული, რომ კონსტანტინეს ქართლის ძლიერი ფეოდალების – ყანჩაელების წინააღმდეგ მათ დაქვემდებარებაში მყოფი ცხრაძმის ხევისუფლები წაექეზებინა, რომლებმაც წარწერაში თავიანთ უშუალო „პატრონი“ აღარ მოიხსენიეს. კონსტანტინეს ბანაკის დამარცხების შემდეგ, მას მერე, რაც გიორგი აფხაზთა მეფემ ქართლი დაიკავა, შესაძლებელია მან ქართლი თავის მომხრე ყანჩაელებს გადასცა და ბიეთის წარწერაში ამიტომაც არის მოხსენიებული იოანე ერისთავთ-ერისთავი „უფლად“ და „პატრონად“.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ X საუკუნის დასაწყისში ქართლში ასეთი პოლიტიკური სურათი გვექონდა: კონსტანტინე აფხაზთა მეფის დროს ქართლის „უფალი“ ივანე ტბელია. კონსტანტინე აფხაზთა მეფის გარდაცვალების შემდეგ, აფხაზთა სამეფო სახლში არსებული არეულობის დროს ივანე ტბელი აფხაზთა მეფეებს განუდგა და ადარნასე ქართველთა მეფის ბანაკში გადავიდა. ადარნასეს გარდაცვალების შემდეგ აფხაზთა მეფემ გიორგიმ ქართლი დაიპყრო და იქ გამგებლად

თავისი ძე კონსტანტინე დასვა. კონსტანტინე სამი წელი იყო ქართლის გამგებელი. სამი წლის შემდეგ იგი მამას – გიორგი მეფეს განუდგა. ამ დროს ივანე ტბელი კონსტანტინეს მხარეს იბრძოდა, ხოლო ყანჩაელები კონსტანტინეს მოწინააღმდეგენი იყვნენ. ივანე ტბელს, კონსტანტინეს გამეფების შემდეგ ქართლის „უფლობის“ დაბრუნების იმედი ჰქონდა. კონსტანტინეს დამარცხების შემდეგ ტბელებმა სამუდამოდ დაკარგეს ქართლის „უფლობის“ დაბრუნების პერსპექტივა. ქართლის „უფალი“ ტბელთა მოწინააღმდეგე ყანჩაელი გახდა. ჩვენს მოსაზრებას ამყარებს „მატიანე ქართლისას“ ცნობა, რომელიც ზემოთაც მოვიყვანეთ: „და ვითარ დაყო სამი წელიწადი, იწყო მტერობად მამისა თუქსისა და ძებნად მეფობისა. და ვითარ გამოცხადნა საქმე მისი, შედგა იგი უფლისციხეს და შეუდგეს თანა ტბელნი და სხუანი მრავალი აზნაურნი.“¹ კონსტანტინეს ბანაკში რომ ყანჩაელიც ყოფილიყო, ამას მემატიანე უსათუოდ აღნიშნავდა. სიტყვებში „სხუანი მრავალნი აზნაურნი“ ტბელთა დაქვემდებარებაში მყოფი სხვადასხვა წვრილი აზნაურები (შესაძლოა ხევისუფალებიც) უნდა იგულისხმებოდეს. გიორგი აფხაზთა მეფისათვის მხარი ბიეთის წარწერაში მოხსენიებულ იოანე ყანჩაელს უნდა დაეჭვირა, რომელმაც შემდეგ ერისთავთ-ერისთავობა და ქართლის „უფლობა“ მიიღო.* ყანჩაელების და ტბელების ფეოდალური

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 267.

* აღსანიშნავია, რომ კვირიკე კახთა ქორეპისკოპოსთან დაპირისპირების დროს, ყანჩაელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი „მამა ყანჩაელი“ ქართლის სხვა აზნაურებთან ერთად, კვირიკეს ემხრობოდა: „გოდერძი მგდურნი, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხვლოსელნი, სარ და გრიგოლ ძმანი ფხუენელნი, და მათ თანა ორმოცდაათი აზნაურნი სხუა.“ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 369. „მატიანე ქართლისას“ ამ ადგილს ამ სახით კითხულობს მ. ლორთქიფანიძე. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 248. ივ. ჯავახიშვილს „მატიანე ქა-

საგვარეულოების შესახებ აზრი გამოთქვა ჯ. გვასალიამ, მკვლევარი წერს: „IX საუკუნისათვის ქართლის აზნაურებს შორის აღზევდებიან ყანჩაელები, რაზეც მეტყველებს მეფულის ხეობის სოფელ ბიეთში ჩატარებული დიდი მშენებლობა და სამშენებლო წარწერა. აქ იხსენიება ერისთავთ-ერისთავი იოანე ძე ბაკურ ყანჩაელისა. იგი უნდა იყოს ქსნის ერისთავი. ამ დროს ცხრაძმისხევი ქსნის ხევისადმია ადმინისტრაციულად დამორჩილებული. არაა გამორიცხული, რომ ერისთავთ-ერისთავი იოანე იყოს მთელი ქართლის ერისთავი. X საუკუნისათვის ყანჩაელთა განსაკუთრებული მდგომარეობა ქრება და ისინი ქართლის ჩვეულებრივი აზნაურები არიან, წინაურდება ტბელთა სახლი.“¹ ყანჩაელების IX საუკუნეში აღზევების დათარიღებისას მკვლევარი ბიეთის სამშენებლო წარწერის რ. მეფისაშვილისეულ დათარიღებას ეყრდნობა.² თუმცა, ბიეთის წარწერას ნ. შოშიაშვილი X საუკუნით ათარიღებს, რასაც ჩვენც ვეთანხმებით. პალეოგრაფიული ნიშნების გარდა,³ ამ დათარიღებას მხარს უჭერს „მატიანე ქართ-

რთლისას“ ეს ადგილი განსხვავებულად ჰქონდა დამოწმებული: „გოდერძიანი, მგდუერი, ყანჩაელი მამა დაჩი, კორინთალი დაჩი და იოანე, სხვლოსელი სარა და გრიგოლ, ძმანი ფხვენელნი და მათთანა ორმოცდაათი აზნაურნი სსუა.“ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1948, გვ. 104. ჩვენი აზრით, წყაროში მითითებული „მამა“ საკუთარ სახელს არ უნდა აღნიშნავდეს, რადგან შიდა ქართლში ასეთი ანთროპონიმი არცერთ სხვა ძეგლში არ გვხვდება. ხომ არ იგულისხმება „მამა ყანჩაელში“ ბიეთის წარწერაში მოხსენიებული იოანე ყანჩაელის მამა-ბაკური?

¹ ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, გვ. 25.

² P. Меписашвили, Полупещерный памятник IX в. в сел. Биети, ქართული ხელოვნება, 6-А, თბ., 1963, გვ. 44-45.

³ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 192.

ლისა“. ყანჩაელთა გვარი გიორგი აფხაზთა მეფის დროს (X საუკუნის I ნახევარში იხსენიება). ჩვენი აზრით, ტბელთა ფეოდალურმა სახლმა კი არ ჩაანაცვლა ყანჩაელთა სახლი, როგორც ჯ. გვასალიას მიაჩნია, არამედ პირიქით. ტბელთა საფეოდალოს პირველობა ქართლში, კონსტანტინე აფხაზთა მეფის გარდაცვალების შემდეგ ყანჩაელთა ფეოდალურმა სახლმა წაართვა.

დოდოთის და ტბეთის წარწერებზე დაყრდნობით, ნ. შოშიაშვილი ტბელთა ოთხ თაობას გამოყოფდა და წერდა: „როგორც ვხედავთ, ტბეთის წარწერებში ჩანს ტბელების 2 თაობა: I პატრიკ ტბელი; II პატრიკის ძეები (ოქროპირი, ქავთარი). ტბელების ამ ორ თაობას წინ უსწრებს ორი თაობა, მოხსენიებული დოდოთის ცხრაკარის ეკლესიის წარწერებში: I-ივანე ტბელი (914 წ. ახლო) (№80); II-ტბელის ძე (ივანე ტბელის ძე) ქავთარ (№81). ტბეთის წარწერების პატრიკი ძეა ქავთარის (№83). ასე, რომ დოდოთისა და ტბეთის წარწერები იხსენიებენ ტბელთა ოთხ თაობას: ივანე – ქავთარ I – პატრიკ – ქავთარ II.“¹

ვინ არიან დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ქტიტორები, ძმები: გოდერძი, ჯარიდი და ბეშქენი? აქვთ თუ არა მათ საერთო ტბელთა ფეოდალურ სახლთან, წყაროთა სიმწირის გამო, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ დიცის ღვთისმშობლის აღმოსავლეთ კედელზე გამოსახული წარწერა შინაარსობრივად ბევრ ინფორმაციას არ იძლევა, რთულია რაიმეს გაჭრით თქმა, თუმცა, ვარაუდების დაშვება მაინც შესაძლებელია. ჩვენი აზრით, დიცის ტაძრის აგება წინ უნდა უსწრებდეს ერედვის წმინდა გიორგის ტაძრის აგებას. როგორც ვნახეთ, ერედვის, დოდოთის, ასევე ტბეთის ეკლესიის წარწერებში ტბელთა ოჯახის წევრთა სულ სხვა

¹ იქვე, გვ. 179.

სახელები იხსენიება. ქტიტორები რომ ივანე ტბელის წინაპრები, ან მისი წინა თაობის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ მათი სახელები ივანეს სახლის სხვა წარმომადგენლებში, მომდევნო თაობაში უსათუოდ განმეორდებოდა. როგორც აღვნიშნეთ, ტბელთა აღზევების დროს მათი ოთხი თაობაა ცნობილი და არსად დიციის ტაძრის ქტიტორთა სახელები არ ჩანს. იბადება კითხვა: რაკი დოდოთის ეკლესიის ერთ-ერთი წარწერიდან ცნობილია, რომ ივანე ტბელს ხუთი ძე ჰყავდა, დიციის ქტიტორები ხომ არ იყვნენ მისი შვილები? ხომ არ მიეცათ მათ ერედვის სიახლოვეს მანძილი 4 კმ.-ია) დიციში მამული, სადაც მათ ტაძარი ააგეს. ჩვენი აზრით, ეს ვერსია უნდა გამოვრიცხოთ. ივანე იმდენად დიდი ფეოდალი იყო, რომ დიციის ტაძრის ქტიტორები უსათუოდ ხაზს გაუსვამდნენ წარწერაში, იმ ფაქტს, რომ ისინი ან ივანე ტბელის ძეები იყვნენ, ან ტბელთა ფეოდალური სახლის წევრები. გავიხსენოთ ერედვის ტაძრის წარწერა, სადაც აღნიშნული იყო: „აღუმე[ნ]ა/² წ(მიდა)ა [ეკ](ლესია)ა [ე/3]სე ყოვ(ე)ლთა]⁴თა [ტ]ბე[ლ]თ/5ა ბრძანე/⁶ ბითა.“¹ დიციის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის საამშენებლო მასალად გამოყენებულია ღვინისფერი ტუფი, რომელიც, სავარაუდოდ, ერედვიდან იყო ჩამოტანილი. ასეთივე მასალით არის აგებული ამ პერიოდის ძეგლები პატარა ღიახვის ხეობაში. ტბელთა აღზევების, კონკრეტულად კი ივანე ტბელის ქართლის გამგებლობის პერიოდში, დიციში ტბელთა ნებართვის გარეშე ტაძარი ვერ აიგებოდა, სხვა შემთხვევაში მათი გვარი წარწერებში უსათუოდ დაფიქსირდებოდა. ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს ტბელების აღზევებამდე არსებულ პერიოდთან. ქტიტორი ძმები: გოდერძი, ჯარიდი და ბეშქენი ჩვენთვის უცნობი რომელიმე ფეოდალურ

¹ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 173.

რი სახლის წარმომადგენლები (შესაძლოა ხევისუფლებიც, როგორც არიან მოხსენიებულინ კალისუბნის წარწერაში) იყვნენ, რომლებმაც IX საუკუნის II ნახევარში, ივანე ტბელის აღზევებამდე დიციის ეკლესია ააგეს, შემდეგში მათმა ფეოდალურმა სახლმა პირველობა ტბელებს დაუთმო. საინტერესოა, რომ დიციის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე მოხსენიებული სამი ძმიდან, ჯარიდის სახელი ეკლესიის შიგნით სამხრეთ კედელზე არსებულ წარწერებშიც მეორდება. დიციის ეკლესიის სხვა წარწერებში ჯარიდის ძმები – გოდერძი და ბეშქენი არ იხსენიებიან. X საუკუნით დათარიღებულ წარწერებში, რომლებიც შიდა ქართლის ტერიტორიაზეა შემორჩენილი ბეშქენი მოიხსენიება ბიეთის წარწერაში. (სოფელი ბიეთი მდებარეობს ცხინვალის რაიონში, ცხინვალიდან 20 კმ-ის დაშორებით, დასავლეთით. სოფლიდან 1 კმ-ის დაშორებით მდ. მეჯუდას დასავლეთით, მისი ერთ-ერთი შენაკადის ხეობაში მდებარეობს ნახევრად მღვიმის ეკლესია,¹ ბიეთის ერთ-ერთ წარწერაში რომელიც დათარიღებულია X საუკუნით, მოხსენიებული ვაჩე და ბეშქენი: „1წ(მიდა)ო//ს(ა)მე-ბ(ა)ო/2ვ(ა)ჩ//ე და /3ბ(ე)შქ(ე)//ნ დაიც//(ე)[ვ]ნ.“² თუმცა, ეს ბეშქენი არ უნდა იყოს დიციის ღვთისმშობილის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე მოხსენიებული ტაძრის ქტიტორთაგანი. იმავე ბიეთის ტაძრის სხვა წარწერაში, რომელიც ასევე X საუკუნით არის დათარიღებული სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიება ერისთავთ-ერისთავი იოვანე: „ქ(რისტ)ე,

¹ P. Меписашвили, Полупещерный памятник IX в. в сел. Биети, ქართული ხელოვნება, 6-ა, 1963, სტ. 29-55.

² ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 194; P. Меписашвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинций Грузии Шида Картли. Тб., 1975, სტ. 38.

მე(უ)[ფეო]/ყოველთ(ა)ო, ა[დ](ი)/²დე ე(რისთავთ)-ე(რისთავი) ი(ოვან)ე, //ძე ბაკ(ურ)/³ ყ(ა)ნჩაელ(ისა)//⁴ო, უფალი და /⁴ პ[ატრ[ო]ნი ამ(ი)ს წ(მი)დისა/⁵ ეკლ(ე)სი(ის)ა, // [დ]ა[ი]ც(ე)ვ წ(მი)და(ო)/⁶ [მრ]ემლი ს(ა)მე/-[ბის]ა][⁴ო] ყო[ვ(ე)ლი].¹

ეჭვს გარეშეა, რომ ბიეთი ყანჩაელთა ტერიტორიას წარმოადგენდა და დიციის ეკლესიის ერთ-ერთ ქტიტორს ბიეთის წარწერაში არ მოიხსენიებდნენ. ბიეთის წარწერაში მოხსენიებული „ვაჩე“ და „ბემქენი“ რ. მეფისაშვილის აზრით, ყანჩაელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები უნდა იყვნენ. ანთროპონიმი „ვაჩე“ ყანჩაელთა გვარში გავრცელებული სახელი იყო.² შესაძლებელია, ისინი ერისთავთ-ერისთავ იოვანეს შვილები, ან სახლისკაცები იყვნენ. ბიეთის წარწერაში მოხსენიებული ბემქენის მოღვაწეობა ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელი უნდა იყოს, ვიდრე დიციის და ერედვის წარწერები. დიციის ტაძრის ერთ-ერთ ქტიტორს ბემქენს, წარწერის თანახმად, ორი ძმა: ჯარიდი და გოდერძი ჰყავს, რომლებიც ბიეთის წარწერებში არსად ჩანან. ბიეთის წარწერის ბემქენი და დიციის წარწერის ბემქენი რომ ერთი და იგივე პირები იყვნენ, ბიეთის წარწერებში, ჩვენი აზრით, მისი ძმების მოსახსენებელიც იქნებოდა. ბემქენი ძველ საქართველოში

¹ იქვე, გვ. 193. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვიზუალურად ბიეთის წარწერა ძალზე წააგავს დიციის ასომთავრულ წარწერას. P. Мепишавილი, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части исторической провинций Грузии Шида Картли. Тб., 1975, стр. 36-37. ორივე ძველი საკმაოდ დაშორებულია ერთმეორისგან და ორივე მათგანი, ჩვენი აზრით, სხვადასხვა საფეოდალოს ეკუთვნოდა. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ ბიეთის და დიციის წარწერები ერთი ხელოვნის მიერ იყოს შესრულებული.

² რ. მეფისაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45-46; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნები ისტორია, თბ., 1961, გვ. 254.

გავრცელებული საკუთარი სახელი იყო.¹ ბეშქენ ერისთავთ-ერისთავი იხსენიება 1172 წლით დათარიღებულ იკორთის ტაძრის ასომთავრულ წარწერაში.² ბეშქენი რომ გავრცელებული საკუთარი სახელი იყო, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ არსებობდა სოფელი ბეშქენაშენი, რომელიც მოიხსენიება ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების 1392 წლის სითარხნის გუჯარში: „თრიალეთს: სოფელი ბარეთი და ცოტა ბარეთი, ქედის უბანი, მაღისს: სოფელი საყდარი, ზურისუბანი, ახალშენი, კლონა, ბეშქენაშენი.“³ სოფელი უკანა ბეშქენაშენი (თრიალეთზე) მოხსენიებულია ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის 1559 წლის გუჯარში.⁴ თრიალეთზე არსებული ბეშქენაშენი იხსენიება 1697 წლის დოკუმენტში,⁵ დიცის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე არსებულ ასომთავრულ წარწერაში მოხსენიებული ჯარიდი, შესაძლოა, ასაკით ყველაზე უფროსი არ იყო ძმებს შორის, მაგრამ ტაძრის აგებაში, ან მის მოვლა-პატრონობაში მან უფრო მეტი წვლილი შეიტანა და ამიტომაც მოიხსენიეს მეორე წარწერაშიც.

ვინ უნდა იყოს **კონსტანტინე ბაკანაი**? რომელსაც დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის სამხრეთ კედელზე ორი მოსახსენებელი უკავშირდება. როგორც აღინიშნა, ორივე მათგანი პალეოგრაფიული მონაცემებით, IX-X ს.ს. შეიძლება დავათარილოთ. აქედან პირველი: სამსტრიქონიანი ნუსხურშე-

¹ იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. I, რ. მეტრეველის რედ. თბ., 2008, გვ. 317, 282, 442, 560.

² თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. I, თბ., 2004, გვ. 259-260.

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 177.

⁴ იქვე, გვ. 264.

⁵ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I, თბ., 1940, გვ. 102, №142.

რეული ასომთავრული წარწერა განთავსებულია გადაფხეკილი წარწერის შემდეგ იატაკის დონიდან 131 სმ. მარცხენა კიდიდან 3 სმ. დაშორებით, ხოლო მეორე სამსტრიქონიანი ასომთავრულ შერეული ნუსხური წარწერა ტაძრის ერთ-ერთი ქტიტორის – ჯარიდის მოსახსენებლის ქვემოთ. განსაკუთრებით საინტერესოა, მეორე მოსახსენებელი, სადაც აღნიშნულია:

- „1. ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე კ(ოსტანტინ)ე ბაკანაი ყოე
2. ლგან ეკლესიათ მათ
3. ალა(გს)“.

აქ შეგვიძლია დავუშვათ რამდენიმე ვარაუდი:

1. კონსტანტინე ბაკანაი გამოჩენილი სასულიერო პირი იყო და ის მოღვაწეობდა ტბელების დაწინაურებამდე, 906-914 წლებამდე, ვიდრე ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე ამ მხარეში მაღალი საეკლესიო იერარქი გახდებოდა. ერედვის ტაძრის აგების და ამ ტაძრის წარწერის შექმნის დროს კონსტანტინე ბაკანაი მაღალი საეკლესიო თანამდებობის პირი აღარ უნდა ყოფილიყო. თუკი მას იმხელა გავლენა ჰქონდა, რომ „ყოველგან ეკლესიათ მათ ალაგს“ იხსენიებდნენ, როგორც ამას დიციის წარწერა გადმოგვცემს, მაშინ აღნიშნულ პიროვნებას ერედვის წარწერაშიც მოიხსენიებდნენ. არ არის გამორიცხული, რომ კონსტანტინე ბაკანაი სწორედ ტაძრის ქტიტორების: გოდერძის, ჯარიდის და ბეშქენის სახლის წარმომადგენელიც იყო. რას უნდა ნიშნავდეს: „ბაკანაი“? შესაძლოა, იგი რაიმე საეკლესიო წოდებას, ან სულაც ფეოდალური სახლის აღმნიშვნელი სახელი იყო (ეს სამომავლო კვლევის საგანია).

2. კონსტანტინე ბაკანაი, შესაძლოა საერო პირი იყო, ტბელთა გამოჩენამდე, კერძოდ ივანე ტბელის მიერ ქართლის

„უფლობამდე“ ამ არეალში არსებული იმ ფეოდალური სახლის წარმომადგენელი, რომელმაც დიცის ტაძარი ააგო. კონსტანტინე რომ სხვა ფეოდალური სახლის წევრი ყოფილიყო, ის, ჩვენი აზრით, თავის მოსახსენებლებს არა ჯარიდის მოსახსენებელთან ახლოს, არამედ ტაძრის სხვა კედელზე და უფრო გამორჩეულ ადგილზე ამოაკვეთინებდა, შესაძლოა, ის ჯარიდის ვაჟიც იყო. არ არის გამორიცხული, რომ იმ დროს მათი ფეოდალური სახლი ტბელთა ფეოდალური სახლის დაწინაურების ფონზე, გავლენას კარგავდა, ამიტომ მოსახსენებელში მან ხაზი გაუსვა თავის საგვარეულოს სიძლიერეს, ე.ი. მათ არა მარტო დიცის ეკლესიაზე ჰქონდათ გავლენა, არამედ „ყოველთა ეკლესიათა მათ ალაგს“, ჩანს, ბაკანაის სახლი დიდ ტერიტორიას ფლობდა და წარწერის ამ ნაწილში სწორედ ამას აქვს გასმული ხაზი, მათ ფეოდალურ სახლს არაერთი ეკლესია ჰქონდა აშენებული. ასეთი ეკლესიები ტბელთა აღზევების დროს მათ მიერ ვეღარ აიგებოდა. სავარაუდოა, რომ ბაკანაის ფეოდალურმა სახლმა ტბელების დაწინაურებამდე არაერთი ტაძარი ააგო. მრავალი ტაძრის აგება ამ გეოგრაფიულ არეალში მხოლოდ ძლიერ ფეოდალურ სახლს შეეძლო. როგორც ზემოთ მივუთითებდით, დიცის ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთ კედელზე კონსტანტინე ბაკანაის ორი მოსახსენიებელია. ორივე მათგანი პალეოგრაფიული ნიშნებით IX-X საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. მათ გარდა, კედელზე კიდევ ერთი მოსახსენიებელი (წარწერა, სავარაუდოდ, X ს. თარიღდება) გვხვდება. ორსტრიქონიანი მხედრულშერეული ნუსხური წარწერა განთავსებულია მიქელის მოსახსენებელის შემდეგ, იატაკის დონიდან 137,5 სმ. მარცხენა კიდიდან 1,7 სმ. მანძილზე. მოიცავს 7,5×3 სმ ფართობს. ამ მოსახსენებელში „კე“ სამჯერ მეორდება, არ გამოვრიცხავთ, რომ ის საკუთარ სახელს კონსტან-

ტინეს აღნიშნავდეს, თუმცა, კითხვას აჩენს კონსტანტინეს აღმნიშვნელი „კე“-ს სამჯერ გამოვრება. ამაზე რაიმეს გადაჭრით თქმა გავიძინებდებო. როგორც წარწერებზე საუბრისას მივუთითებდით, სამხრეთ კედლის წარწერებში გვხვდება: „მოსახსენებელი მიქელისა (X ს.)“. ერთსტრიქონიანი, მხედრულზე გარდამავალი ნუსხური წარწერა განთავსებულია კვადრის შუა ღონეზე, გრაფიკული გამოსახულებების ქვედა მონაკვეთის გასწვრივ. იატაკის ღონიდან 139, 5 სმ. სიმაღლეზე. „მიქელი“, როგორც წარწერის შემსრულებელი, იხსენიება ჯარიდის მოსახსენებელშიც, საიდანაც ირკვევა, რომ წარწერა სწორედ მას შეუსრულებია. ჯარიდის მოსახსენებელი, როგორც აღვნიშნეთ, პალეოგრაფიული ნიშნებით IX-X საუკუნით თარიღდება, ხოლო მიქელის მოსახსენებელი კი X საუკუნით. ჩვენი აზრით, ეს ორი წარწერა სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდს განეკუთვნება და მასში მოხსენიებული „მიქელი“ და „მიქელი“ სხვადასხვა პიროვნებები იყვნენ. რა გვადიდებს ამის თქმის საფუძველს? ჯარიდის მოსახსენებელი, როგორც წარწერა გვაუწყებს, მიქელს დაუწერია. ის სრულიად განსხვავებული, საკმაოდ დახვეწილი ხელით არის შესრულებული, ხოლო მიქელის მოსახსენებლის შემსრულებლის ხელი სრულიად განსხვავებულია. ჯარიდის მოსახსენებლის ავტორს რომ შეესრულებინა თავისი მოსახსენებელი, ვიზუალურადაც მსგავსი იქნებოდა, როგორც ჩანს, ის ამ საქმის ოსტატი იყო. ჯარიდის მოსახსენებლის შემსრულებელი მიქელი შესაძლებელია ტაძრის ქტიტორი ძმების ფეოდალური სახლის წარმომადგენელი, ან მათთან ძალზე დაახლოებული პირი იყო. მან ტაძრის ერთ-ერთ ამგებებს სახელთან ერთად თავისი სახელიც უკვდავყო. ჯარიდმა მას ამის უფლება მისცა, შესაძლოა, ის სასულიერო პირიც ყოფილიყო. ამ პერიოდის ლაპიდარული წარწერებში ცნობილია ნიქოზის ეპის-

კობოსი მიქაელი, რომელმაც X საუკუნის II ნახევარში ნიქოზის ტაძარი ააგო, თუმცა, ჯარიდის ფეოდალური სახლის წევრს, ან მათთან დაახლოებულ პირს იმ არეალში, სადაც ტბელების დიდი გავლენა ვრცელდებოდა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეპისკოპოსის სახელო ჰქონოდა. ვინ უნდა იყოს X საუკუნის მოსახსენიებელით ცნობილი მიქელი (მიქაელი)? ამ დროის ლაპიდარულ წარწერებიდან რამდენიმე მიქაელია ცნობილი. მიქაელი, ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიულ არეალში X საუკუნის ლაპიდარულ წარწერებში გვხვდება ზემოთ მითითებულ ტბეთის ეკლესიის წარწერაში. ეს წარწერა ვახტანგის (სავარაუდოდ, პატრიკ ტბელის ძმის) ძეების მოსახსენიებელია. „ქრისტე აღიდენ ძენი ვახტანგისანი: მიქაელსა რმ ე(?)“¹ ამ წარწერიდან ძნელია დაასკვნა მიქაელი, როგორც ვახტანგის ძე, ისეა მოხსენიებული, თუ როგორც წარწერის შემსრულებელი. არ არის გამორიცხული, რომ ის ტბელების ხელოსანი იყო და აღნიშნული წარწერაც მათი დავალებით ამოკვეთა. არც ის არის გამორიცხული, რომ ტბეთის წარწერაში მოხსენიებული მიქაელი ტბელთა ფეოდალურ სახლს ეკუთვნოდა. X-XI ს.ს. ატენის სიონის წარწერებიდან რამდენიმე მიქაელია ცნობილი.² ერთ-ერთი წარწერა ატენის სიონის აღმ. ფასადზე, ცოკოლიდან მესამე წყებაში, ხელის გამოსახულებაშია ამოკვეთილი: „ესე მიქელია, ამინ“³ სავარაუდოდ, ეს მომლოცველის წარწერა უნდა იყოს. აღნიშნული პერიოდის მეორე წარწერა, სადაც ასევე მიქაელი იხსენიება, ატენის სიონის აღმ. ფასადზე, ცოკოლი-

¹ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 181.

² თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 49, 50, 53, 54, 57, 62.

³ იქვე, გვ. 216.

დან პირველ წყებაშია ამოღარული: „ქრისტე შეიწყალე მიქაელ“.¹ თუმცა, წარწერის ხელწერა სრულად განსხვავებულია დიციის კედელზე შესრულებული წარწერისაგან. ამიტომ აღნიშნული მიქაელის გაიგივებაც არასწორი იქნება. მიქაელი იხსენიება აგრეთვე აღმ. ფასადზე ცოკოლიდან მეორე წყებაში. ეს არის ასომთავრულით შესრულებული წარწერა: „ქრისტე შეიწყალე მიქაელ“.² მიქაელი იხსენიება ატენის სიონის დასავლეთ ფასადზე, ცოკოლიდან მესამე წყებაში ამოღარულ ორსტრიქონიან ნუსხურნარევე წარწერაში.³ იმავე დასავლეთ ფასადზე ცოკოლიდან მესამე წყებაში ამოღარულია ნუსხურნარევი ასომთავრული წარწერა, სადაც ასევე იხსენიება მიქაელი.⁴ მიქაელი იხსენიება აღმოსავლეთ ფასადზე, ცოკოლიდან პირველ წყებაში, ხელის გამოსახულების მარცხნივ და თვით ხელში ამოღარულ ასომთავრულ წარწერაში.⁵ კიდევ ერთი მიქაელია მოხსენიებული ატენის სიონის სამხრეთ ფასადზე ცოკოლიდან მეორე წყებაში. ეს არის კიდურწერტილოვანი ნუსხურნარევი მთავრული: „ქ(რისტე)ე შ(ეიწყალე)ე მ(ი)ქ(აე)ელი დ(ია)კ(ო)ნი.“⁶ ანთროპონიმი „მიქაელი“ გვხვდება ასევე ატენის სიონის ფრესკულ წარწერებშიც. X საუკუნით დათარიღებულ სამსტრიქონიან ნუსხურ წარწერაში, რომელიც დასავლეთ აფსიდის სამხრეთ ბემაში, გადასული ფრესკის საღებავის ქვეშ შემორჩა, მიქაელის კრიპტოგრამაა: „1. ლკცჰჰჰჰ ჰი 2. ---ფდჴცმსრჰცლკ 3. [მე მ] იქაელ დავწერე

¹ იქვე, გვ. 218.

² იქვე, გვ. 209.

³ იქვე, გვ. 211.

⁴ იქვე, გვ. 212.

⁵ იქვე, გვ. 215.

⁶ იქვე, გვ. 219.

ესე.¹ ვინმე მიქაელი იხსენიება ასევე ატენის სიონის დასავლეთ აფსიდის ჩრდილო ბემაში შემორჩენილ 980 წლით დათარიღებულ რვასტრიქონიან მხედრულ წარწერაში: „1. შე[წ]ევნითა იწ(ს)უ ქ(რისტ)ჯსითა) 2. მი[ქა]ელ ეფრემის დ... 3.---ფი ეშმაისა /მ/იე/რ/...“² მიქაელ დიაკონი იხსენიება ასევე 980 წლით დათარიღებულ მხედრულ წარწერაში, რომელიც შემორჩენილია დასავლეთ აფსიდის ჩრდილო კალთაზე ბემაში: „1. ეფრემის ძმ[ა]. . 2. მე, მიქაელ დი 3. აკონი წვე...“³ შიდა ქართლის აღნიშნული პერიოდის წარწერებიდან ეპისკოპოსი მიქაელი მოხსენიებულია ზემო ნიქოზის მთავარანგელოზის ეკლესიაზე შესრულებულ ასომთავრულ წარწერაში, სადაც ვკითხულობთ: „1* + [ს] (ა)[ხ](ე)[ლ](ი)თ[ა] [ლ](მრთისა)თ)ა მე. [მ](ი)[ქ](აე)[ლ] ნ(ი)ქ(ო)[ზ](ე)ლ[ე]ბ²დ<ს>კ(ოპო)ზმ(ა)ნ აღვ(ა)შ(ე)ნე წ(მიდა)დ ეკლ(ე)ს(ია)დ, რ(ომე)ლ³ არს სახლი ღ(მრთი)ს(ა)დ და ბჭჭ ცათაჲ,⁴ საყოფელი წ(მიდი)სა ღ(მრ)თისმშ(ო)ბელის(ა)დ და წ(მიდა)თა/⁵ მთ(ა)ვ(ა)რ(ა)ნგ(ე)ლ(ო)ზთ(ა)დ, ს(ა)ლ(ო)ც(ველა)დ ს(უ)ლი-სა ჩ(ე)მისათ(უ)ს.“⁴ აღნიშნული წარწერა 1890 წელს მოხსენიებული აქვს პ. უვაროვას.⁵ ნიქოზის მთავარანგელოზის ტაძრის წარწერას VII-VIII საუკუნეებით დათარიღებდა და განსხვავებულად კითხულობდა გ. სამაგლიშვილი (კათალიკონი კირიონ II): „...კათალიკონზმა (კოზმა)? აღვაშენე წმიდად

¹ ქართული წარწერების კორპუსი, ფრესკული წარწერები, ტ. I, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და სამიებლები დაურთეს გურამ აბრამიშვილმა და ზაზა ალექსიძემ, თბ., 1989, გვ. 171.

² იქვე, გვ. 175.

³ იქვე, გვ. 177.

⁴ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 186.

⁵ П. Уварова, Материалы по археологии Кавказа, т. IV, М., 1894, стр. 181.

ეკლესიად, რომელს არს სახლი ღვთისა და ბჭე ცათაჲ, საყოფელი წმიდისა ღვთისმშობელისადა წმიდათა მთავარ-ანგელოზთაჲ სალოცავად სულისა ჩემისათვის.“¹ მიქაელი ამავე ტაძრის სხვა წარწერაშიც გვხვდება: „ქ(რისტე)ე შ(ეიწყალ)ე იოვ(ა)ნე² დ(ი)სწ(უ)ლიმ(ი)ქ(ა)ელ ებ(ის)კობოზ(ისა)ჲ“² მიქაელი ნიქოზის ღვთაების ტაძრის საამშენებლო წარწერაშიც იხსენიება: „1 [+ ამენ. მ(ი)ქ(ა)ელ] ეპი/²სკ(ო)პ(ო)ზმ(ა)ნ აღვ(ა)/³შ(ე)ნე წ(მიდა)ჲ ეკლ(ე)ს(ია)ჲ.“³

ეს წარწერები სამეცნიერო ლიტერატურაში X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით არის დათარიღებული.⁴

¹ Г. Садзагелов-Ивериели, Описание Никозской Михаило-Архангельской церкви в Карталинии, Тб., 1898, стр. 7.

² იქვე, გვ. 187; ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, თბ., 1986, გვ. 135.

³ იქვე, გვ. 188.

⁴ ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 137. აღსანიშნავია, რომ ნიქოზის მთავარანგელოზის ტაძრის წარწერებს პალეოგრაფიულად გ. საძაგლიშვილი (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II) VII-VIII საუკუნეებით ათარიღებდა. იხ. Г. Садзагелов-Ивериели, Описание Никозской Михаило-Архангельской церкви в Карталинии, Тб., 1898, стр. 7; წარწერებში მოხსენიებულ მიქაელთან დაკავშირებით ი. მეგრელიძე წერს: „დათარიღების საკითხს არ წყვეტს ჯერჯერობით არც მე-3 წარწერაში მოხსენიებული იოვანე, დისწული მიქელ ეპისკოპოზისაი. ვინაიდან ჩვენი ისტორია რამდენიმე იოვანესა და მიქელ ეპისკოპოზს იცნობს. ცნობილია, იოანე (შეიძლება იოვანეც), რომელსაც კ. კეკელიძე, მიქელ მოდრეკელის დისწულად თვლის (X ს.), მაგრამ ის ბერი იყო და არა ეპისკოპოზი, არ ჩანს, რომ მას ქართლთან ჰქონდეს კავშირი. ეპისკოპოზი მიქელ I (450-467) ვახტანგ გორგასალის დროსაა ცნობილი. მიქელ II 774-780 წლებშია ცნობილი, მაგრამ ჩვენს ძეგლს ესენი არ ესადაგებიან. მას უფრო მაინც მიქელ III (940-952 წ.წ. ცნობილი ეპისკოპოზი) შეეფერება, მაგრამ ეს არის?“. ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, თბ., 1984, გვ. 136. რომელ ცნობილ მიქელ III საუბრობს მეცნიერი ამის შესახებ წყარო მითითებული არ აქვს.

მიქელი (მიქაელი) იხსენიება ასევე X ს. დათარიღებულ პატარა ლიახვის ხეობაში სოფ. ქვ. ჭარების ღვთისმშობლის ეკლესიაში არსებულ საფლავის სტელის წარწერაში:* „1. [ქრისტე მეოხ] ექმენ 2. ...ღვთისა ცოდვილსა 3. განუსუენე სულსა 4. გაბრიელისა ბაკუ—5. რღუხტისა მიქელისა 6. გვარამავრისა ასულისა 7. სტეფანესი გძ? აგს? 8. ახრიძეს.“¹ დიცის წარწერის X საუკუნის მოსახსენიებელით ცნობილ

* ძეგლს მიაკვლია პროფ. ვ. გვასალიამ.

¹ ვ. გვასალია, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიული ძეგლები, „ძეგლის მეგობარი“, 43-44, თბ., 1976-77, გვ. 26. აღსანიშნავია, რომ ქვ. ჭარების ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას რ. მეფისაშვილი XIII-XIV სს. მიჯნით ათარიღებდა, ვ. გვასალიას განმარტებით: „ეკლესია უნდა აშენებულიყო მასზე გაცილებით ადრე მდგარი ეკლესიის ადგილას. ამაზე მიგვითითებს ეკლესიის აფსიდის იატაკში აღმოჩენილი წარწერიანი ქვა, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნებით X საუკუნით თარიღდება.“ ვ. გვასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 20. აღნიშნულ წარწერას ნ. შოშიაშვილი შემდეგნაირად კითხულობდა: „[ქრისტე] ექმ(ე)ნ/2 [მ(ე)ლ]ხ, წ(ინაშ)ე] ღ(მ-რთის)ა, ც(ო)დ(ვლთა):3/ გ(ა)[ნ](უ)ს(უ)ენე ს(უ)ლსა/4 გ(ა)ბრ(ი)ე(ი)სა, ბ(ა)კ(უ)5/რდ(უ)ხტ(ი)ს, [მი]ქ(ა)ე(ლ)ი)ს,6/ გ(უ)არ(ა)მ(ა)ვ(რ)ი)სა, ს(უ)ლ(ს)ა/7 სტ(ე)ფ(ა)ნ(ე)სი [დ]ა გ(ი)რ(გ)ი)ს8/ა ხ(ა)რა(ა)ს(ე)ბ(ი)ს.“ ქართული წარწერების კორპუსი, ლაბიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 156. ასეთივე წაკითხვით აქვს გამოქვეყნებული ტექსტი გ. ოთხმეზურს. გ. ოთხმეზური, შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა, კრებ: „ოსთა საკითხი“, გვ. 138. X საუკუნეში ჭარები, ისევე როგორც პატარა ლიახვის ხეობის სხვა არაერთი სოფელი ტბელთა საფეოდალოში შედიოდა. ჭარების ტაძარი ხარაისძეების (თუ წარწერას ასე წავიკითხავთ) მიერ ან ტბელთა გამოჩენამდე აგებული ან ტბელთა ფეოდალური გვარის დეგრადაციის შემდეგ, სხვანაირად მათ ტბელთა აღზევების დროს ასეთი უფლება არ ექნებოდათ. როგორც ჩანს, პატარა ლიახვის ხეობაში სხვა წვრილი ფეოდალური საგვარეულოებიც არსებობდა. შდრ: გ. სოსიაშვილი, ვირშას მონასტერი და ვირშელთა საგვარეულო, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, №8, თბ., 2015, გვ. 66-79.

მიქელის (მიქაელის) ვინაობასთან დაკავშირებით შეგვიძლია ვარაუდის სახით დავუშვათ:

1. ტბელთა საფეოდალო ნიქოზის სამწყსოში შედიოდა, გავიხსენოთ ერედვის წარწერა, სადაც მოხსენიებულია ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე, რომლის „განზრახვითაც“ აიგო ერედვის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი. როგორც მივუთითებდით, X საუკუნის II ნახევრით დათარიღებული ნიქოზის წარწერების თანახმად ნიქოზელი ეპისკოპოსი მიქაელია, რომელმაც ნიქოზის ტაძარი ააგო, ან განაახლა (ნიქოზის წარწერებში ის იხსენიება, როგორ ტაძრის ამგები). როგორც ჩანს, ის დიდი გავლენის მქონე საეკლესიო იარარქია, ასეთი, შესაძლებელია, იმ დროს მხოლოდ ტბელთა ფეოდალური სახლის წევრი, ან მათთან ძალზე დაახლოებული პირი ყოფილიყო. X საუკუნის განმავლობაში, (II ნახევარშიც), ტბელები ძალზე გავლენიანი ფეოდალები იყვნენ, ისინი ქართლში პოლიტიკურ ამინდს ქმნიდნენ და ნიქოზის საეპისკოპოსო კათედრას, ისინი სწორედ თავიანთ საგვარეულოს წარმომადგენელს, ან მათთვის სასურველ პირს ჩააბარებდნენ. სტეფანეს გარდაცვალების შემდეგ (სტეფანეს გარდაცვალების თარიღი ცნობილი არ არის. თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტეფანე X საუკუნის შუა წლებამდე იქნებოდა ნიქოზის ეპისკოპოსი, არ არის გამორიცხული, რომ ერედვის წარწერის შექმნის დროს სტეფანე ახალი გაეპისკოპოსებული იყო.) ნიქოზელი ეპისკოპოსი მიქაელი გახდა.* არ არის გამორიცხული, რომ ეს მიქაელი, რომელიც ნიქოზის წარწე-

* სავარაუდოდ, იგი ივანე ტბელის შვილიშვილი იყო, რადგან X საუკუნის II ნახევარში ივანეს შემდეგი თაობა მოღვაწეობდა. საყურადღებოა, ნიქოზის ტაძრის ერთ-ერთი წარწერის თანახმად, მიქაელ ეპისკოპოსის დისწულს იოანე ერქვა, შესაძლებელია ის დიდი პაპის – ივანე ტბელის მოსახელე იყო.

რებში ეპისკოპოსის რანგშია მოხსენიებული ტბეთის წარწერაში ვახტანგთან ერთად მოხსენიებული მიქაელია (ტბელთა სახლის წევრი, შესაძლებელია ვახტანგ ტბელის ძე). არ არის გამორიცხული ტბელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელმა, მომავალმა ეპისკოპოსმა – მიქაელმა დიცის ეკლესიის სამხრეთ კედელზე თავისი მოსახსენებელი წარწერა შექმნა.

2. არც იმას გამოვრიცხავთ, რომ დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის სამხრეთ კედელზე არსებული მიქელის (მიქაელის) მოსახსენებელი ერთ-ერთი მომლოცველის (ატენის წარწერებიდან ცნობილი ერთ-ერთი მიქაელის) მიერ იყოს შესრულებული. ასეთი შემთხვევები გვაქვს ატენის სიონის კედლებზე. უნდა აღინიშნოს, რომ დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის აღმოსავლეთ კედლის კუთხეში, მოწითალო ფერის ქვაზე ვხვდებით პილიგრიმების მიერ ამოკაწრულ ჯვრებს, №10. როგორც ჩანს, დიცის ტაძარს მომლოცველები ხშირად სტუმრობდნენ და, შესაძლოა, მოსახსენებელიც ერთ-ერთი მათგანის მიერ იყოს შესრულებული.

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ დიცის წარწერები ახალი ფურცლით ავსებს შიდა ქართლის, საქართველოს ამ უძველესი კუთხის ისტორიას. ტაძრის ირგვლივ მიწის კორდოვანი ფენით ძეგლის ნანგრევებია დაფარული. არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ შესაძლოა ახალი წარწერებიც გამოაჩინოს, რაც ეპოქის ირგვლივ ბევრ საინტერესო ინფორმაციას მოგვაწვდის.

Giorgi Sosiashvili
Gori State Teaching University
ASOMTAVRULI INSCRIPTIONS FROM THE VILLAGE
DITSI
RESUME

Ditsi St. Virgin Mary Church is located in the village cemetery. It represents a hall type church, with a rectangular building of a simple shape and a newly constructed stair-step tin roof.

Ditsi St. Virgin Mary Church was an active church. After the Sovietization, it was abolished by the Bolsheviks, though with the help of the local religious people the service in the church was soon renewed. At the beginning of the XX century, registration of Ditsi population, weddings, the newly born and deceased were recorded in the special book of St. Mary Church.

The inscriptions of the church that were unknown until now were discovered on the eastern facade and the interior - on the eastern step of the south pylon. It is noteworthy that Ditsi inscriptions fill in a new page in the history of Shida Kartli, the ancient part of Georgia. The ground layer around the church covered the ruins of the monument. Archeological search is likely to reveal new inscriptions, which will provide us with much more interesting information about the epoch.

დიცის ასომთავრული წარწერები

№1



№2



№3



№4



№5




№6



№7



№8



№9



№10



სოფიო ქადაგიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებების შესწავლა
ისტორიოგრაფიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით
ქართულ და დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში**

დღეისათვის ეჭვს არ იწვევს ის, რომ ჰაგიოგრაფიული ძეგლები უმნიშვნელოვანეს ცნობებს შეიცავს ამა თუ იმ საზოგადოების კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების შესახებ, თუმცა მათ, როგორც სამეცნიერო წყაროს, გამოყენებას გარკვეულ დროში უგულებელყოფდნენ როგორც დასავლელი, ასევე ქართველი ისტორიკოსები. ამის მიზეზი ალბათ ჰაგიოგრაფიაში გაჯერებული ლეგენდებით თუ სასწაულებით აიხსნება, ანდა როგორც აქამდე იყო მიღებული მათში ისტორიზმის ნაკლებობის ან არ არსებობის ფიქრით. ჰაგიოგრაფიული წყაროებისადმი ჰიპერკრიტიკულ მიდგომას სხვადასხვა ხალხის ისტორიოგრაფიაში ვხვდებით და ეს არც არის შემთხვევითი. ისტორიის მეცნიერულმა კრიტიკამ ჯერ კვლევის ფოკუსში მოაქცია ე.წ. „უტყუარი წყაროები“ და დროთა განმავლობაში ისტორიკოსები მიხვდნენ, რომ ის ისტორიული ძეგლები, რომელნიც უგულებელყოფილნი იყვნენ ისტორიული სინამდვილის რეკონსტრუქციისთვის, არათუ უპირისპირდებოდნენ, არამედ ავსებდნენ კიდევ ისტორიულ ნარატივს. ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებების კრიტიკულად შესწავლას არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. წლების განმავლობაში ჰაგიოგრაფია

მხოლოდ ფილოლოგების შესწავლის საგნად რჩებოდა, თუმცა ისტორიულმა კვლევამ არათუ ისტორიული დეტალების დაზუსტებას შეუწყო ხელი, არამედ ისტორიულ დისკურსში გააჩინა სხვა მიმართულებები, რომელთა კვლევის ფოკუსში სწორედაც რომ ჰაგიოგრაფია აღმოჩნდა.

ჩემი მიზანია ყურადღება გავამახვილო უცხოურ და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჰაგიოგრაფიის შესწავლის მდგომარეობაზე. ქრონოლოგიურ ზღვრად ავიღე მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე პერიოდი. ყურადღებას ვამახვილებ არა სხვა ქრისტიანი ერის და, მათ შორის, ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიოგრაფიის განვითარებაზე, არამედ უახლეს პერიოდზე. ცხადია, აღნიშნული სტატია ვერ ამოწურავს ამ საკითხს (კვლავ ვაგრძელებ ამ საკითხის კვლევას), თუმცა გარკვეულ სურათს დაგვანახებს ჰაგიოგრაფიის კვლევის შესახებ ქართულ და დასავლურ სამეცნიერო საზოგადოებაში. ამრიგად, კვლევის ფოკუსში ექცევა თანამედროვეობა და სწორედ თანამედროვეობის სამეცნიერო მიღწევები და ნაკლოვანება გვაძლევს ბიძგს მომავალი კვლევისათვის.

დღესდღეობით ჰაგიოგრაფიის კვლევის რამოდენიმე მეთოდს იყენებენ ისტორიკოსები და ფილოლოგები. ეს შეიძლება იყოს ტექსტის დადგენა, მოვლენის, ან თარიღის დაზუსტება, რედაქციული შედარებები, სტილისტიკა და სხვა. უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ისტორიაში უფრო მეტად გაიზარდა ჰაგიოგრაფიული ტექსტების მნიშვნელობა მათი ბუნებიდან გამომდინარე, რადგანაც ასეთი ტიპის წყაროები შეიცავს უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას იდენტობის, სოციალური და მენტალობის ისტორიის შესასწავლად.

დასავლურ სამეცნიერო სივრცეში, როგორც ცნობილია, დიდი გავლენა აქვს ბოლანდისტების სკოლას, რომელთაც

სისტემურად შეისწავლეს ჰაგიოგრაფიული ძეგლები და ყურადღება გაამახვილეს ქრისტიანი მარტვილების მოქმედებებზე და ვნებებზე. მათი მიზანი იყო დაედგინათ ისტორიული გენეზისი და ტექსტების საფუძველი, წმინდანთა ჰაგიოგრაფიულ „დოსიეში“ მოთავსება, მოწესრიგება და მათი, როგორც კულტებად, აღმოცენება. ამრიგად, ისინი კონცენტრირებულნი იყვნენ წმინდანებზე და არა ავტორებზე ან უბრალოდ ტექსტებზე.¹ ქართულ სამეცნიერო სივრცეში ჰაგიოგრაფიაზე არაერთი ისტორიკოსი და ფილოლოგი მუშაობს. ამ ტიპის წყაროების ჩვენამდე ნაკლებად მოღწევამ, სხვადასხვა რედაქციების არსებობამ უფრო მეტად განაპირობა მკვლევართა მიდგომა ისეთი საკითხების გადასაჭრელად, როგორცაა მათი ტექსტის დადგენა, რედაქციების შედარება და არქეტიპის გამოვლენა, პიროვნებების დადგენა, მათი საქმიანობის შეფასება, ჰაგიოგრაფიული ძეგლების გამოყენება ისტორიული სინამდვილის რეკონსტრუქციისათვის და სხვა. ასეთია მაგალითად, მ. ჩხარტიშვილის და რ. სირაძის „მოქცევაჲ ქართლისაის“ ქართული და უცხოური მასალების შედარებითი ანალიზი, გ. კუჭუხიძის დაკვირვება „წმ. ნინოს ცხოვრების“ ადრეული რედაქციების გამოვლენაზე, ს. მახარაშვილის შრომა „წმ. ილარიონის ცხოვრების“ ავტორზე და თხზულების დაწერის თარიღზე, ასურელი მამების რედაქციებსა და სადაურობას გამოკვლევები მიუძღვნეს მ. ჩხარტიშვილმა, ვ. გოილაძემ, დ. მერკვილაძემ. ევსტათი მცხეთელის დათარიღებაზე აღსანიშნავია მ. ჩხარტიშვილის შრომა, მკვლევარს არაერთი ნაშრომი აქვს დაწერილი ჰაგიოგრაფიული ძეგლების სხვაგვარ გადააზრებაში, ყურადღებას ამახვილებს ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა: იდენტობის საკითხები ქართულ

¹ Efthymiadis S. The Ashgate Research Companion to Byzantine Hagiography, რედ. S. Efthymiadis, ტ. I, გვ. 3, 2011.

ჰაგიოგრაფიაში, წმინდა ერთობა და სხვ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, რომელიც უსაზღვროდ ინფორმატიულია, მკვლევარმა იგი შეისწავლა იმ კუთხით, რომელმაც საშუალება მისცა დაკვირვება მოეხდინა ნაციონალური კონსოლიდაციის ფაქტორებზე.¹ „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ დათარიღებაზე ე. ჭელიძემ გამოაქვეყნა ნაშრომი, „კოლელ ყრმათა წამების“ დათარიღებაზე - გ. კუჭუხიძემ. ჰაგიოგრაფიის სტილისტიკაზე და რედაქციებზე აღსანიშნია ე. გაბიძაშვილის შრომები. ჰაგიოგრაფიის სიმბოლურ გააზრებაზე მუშაობდნენ ქ. ელაშვილი, გ. კუჭუხიძე, ე. მეტრეველი. ჰაგიოგრაფიაზე, როგორც ისტორიულ წყაროებზე იმუშავეს მ. ლორთქიფანიძემ, ვ. გოილაძემ, ვ. თევზაძემ, ზ. რატიანმა, გ. ალასანიამ და სხვებმა. რა თქმა უნდა, მკვლევართა ეს ნუსხა არ ამოწურავს არც ჰაგიოგრაფიაზე მომუშავე ისტორიკოსებს და არც ამ ჟანრის სტატიებს თუ მონოგრაფიებს, თუმცა ისიც ცხადია, რომ ქართველი მკვლევრების დიდი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს ზემოჩამოთვლილ პრობლემატიკაზე. მე აღარ წარმოვადგენ უცხოურ ლიტერატურას, რომელთა ფოკუსში სწორედაც ამ ტიპის კვლევები ექცევა. ცხადია, ასეთი ლიტერატურა მრავალია, თუმცა ყურადღებას გავამახვილებ ისეთ ნაშრომებზე, რომლებიც, ვფიქრობ, ახლებურ მიდგომას და იდეებს გვთავაზობს ჰაგიოგრაფიულ ტექსტებზე მუშაობისას.

თომას ჰეფერმანს „საკრალულ ბიოგრაფიებში“ წინ აქვს წამოწეული ისეთი თემები, როგორიცაა საკრალური ცხოვრება საკრალურ სიტყვაში, ენა და საკრალურობა, ავტორსა და აუდიტორიას შორის ურთიერთობა, ტექსტი, რო-

¹ მ. ჩხარტიშვილი. წმ. მამა გიორგი მთაწმინდელი ქართული იდენტობის სამანები XI საუკუნეში. ქართული წყაროთმცოდნეობა, XI, თბილისი, მემატიანე, გვ 87-101, 2006.

გორც რელიქვია. ჰეფერმანის აზრით, საკრალური ბიოგრაფიის ავტორი თავად არის საზოგადოება, ხოლო ნარატივის ხმა კოლექტიურია.¹ სანდრო სტიქას რედაქტორობით გამოცემულ კრებულში წინ არის წამოწეული ისეთი თემები, როგორცაა წმინდანები, მკვლევრები და საზოგადოება, წმინდანობა, როგორც დედოფლობის ატრიბუცია; წმინდანობის ცვალებადი სახეები; წმინდანობის სარკე; წმინდანების მისამართით ლოცვა შუა საუკუნეებში და სხვა. რაც შეეხება თვითონ კვლევის მიდგომას, რედაქტორი წინ წევს ჰაგიოგრაფიაზე მუშაობის თანამედროვე მეთოდებს და მისი მიზანია შეისწავლოს ჰაგიოგრაფია არა რელიგიური კუთხით, არამედ თვითონ საზოგადოება (რადგანაც მათში უხვადაა შემთხვევითი ისტორიული ინფორმაციები, იგი აღნიშნავს, რომ თანამედროვე ისტორიოგრაფიისთვის სოციალური ფუნქცია და ლეგენდები კონკრეტულ ინტერესს იწვევს).² ჰაგიოგრაფიული ძეგლების სიმრავლით აღსანიშნავია ინგლისური ჰაგიოგრაფია, რომელიც გვხვდება, როგორც პროზაში, ასევე რითმულ ლექსებში, ან ბალადებში (ასეთი სტილი ვლინდება სკანდინავიის ქვეყნების ჰაგიოგრაფიაშიც). წმინდანთა კულტები უდიდეს როლს ასრულებს ინგლისური იდენტობის საკითხში, წმინდანები მარკირებულნი არიან დროსა და სივრცეში (ქართულ ჰაგიოგრაფიაში დროისა და სივრცის კონცეპტი აქვს განხილული ი. ამირხანაშვილს „ლიტერატურულ ძებანში“). ზოგი წმინდანის კულტი არ სცილდება ერთი რეგიონის საზღვრებს და ასევე წმინდანი განასახიერებდეს მთელს ერს. მკვლევრები აქცენტს აკეთებენ, რომ კულტები უფრო ტერიტორიის

¹ Hefferman, T. J. Sacred Biography, Saints and Their Biographers in the Middle Ages, Oxford University Press, გვ. 19, 1988.

² Sticca, S. Saints Studies in Hagiography, რედ. S. Sticca, Binghamton, New York, გვ.4, 1996.

საკრალიზებას ემსახურება, ვიდრე უშუალოდ თხზულების შესაძლოა, წმინდანთა ცხოვრება იმისთვის იქმნებოდა, რომ აიხსნას რაიმე ადგილის საკრალურობა. კათოლიკური ეკლესია იცნობს წმინდანობის რამდენიმე ტიპს: მოციქულები, მარტვილები და ქალწულები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ წმინდანთა ცხოვრებები (და არა მარტვილობები) ინგლისში განვითარდა იმ დროს, როდესაც ქრისტიანებისათვის ნაკლებად საშიში დრო იყო.¹ ვნებები და სასწაულები ინგლისურ ჰაგიოგრაფიაში ხდება ან ერთად, ან ცალ-ცალკე. ჰაგიოგრაფიაში წმინდანთა კულტებზე და ტერიტორიალურ საკრალიზებაზე ყურადღება აქვთ გამახვილებული ქართულ მკვლევრებსაც. წმ. ნინოს ცხოვრებაში საკრალური სივრცის და დროის კონცეფცია აქვს განხილული ლ. პატარიძეს. ამავე თხზულების ჰიეროტოპიული მიდგომით, ქრისტეს კვართით და ელიას ხალენის ქართული ტერიტორიის საკრალიზებით, მ. ჩხარტიშვილი ასკენის, რომ ებრაელებმა დაკარგეს უფლის მადლი და აწმყო დროში ეს მადლი გადმოეცა ქართველ ერს.²

გარდა იმისა, რომ შუა საუკუნეებში მოიმატა ქალთა წმინდანების შესახებ დაწერილმა თხზულებებმა, მკვლევრები დაინტერესდნენ რამდენად ემსგავსებოდნენ ან არ ემსგავსებოდნენ ქალი და მამაკაცი წმინდანების მოღვაწეობა ერთმანეთს. ასევე ვხვდებით ისეთ ტერმინს როგორცაა, ავტორისეული ხმა. მამაკაცის მარტვილობა მოთმინებით გამოირჩევა, იგი არ საუბრობს, ქალი წმინდანი პირიქით, საუბრობს და დარიგებებს იძლევა. აქცენტი კეთდება იმაზე, რომ მამაკაცი ავტო-

¹ Salih S. A Companion to Middle English Hagiography, რედ. S. Salih, გვ. 14, 2006წ.

² მ. ჩხარტიშვილი. ქართველთა მოქცევა და ახალი ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბება, გვ. 6-17, 1999.

რის წერის მანერა უფრო მამაკაცურია, რადგანაც ის უფრო მეტად უსვამს ხაზს პოლიტიკურ და ეკონომიურ ფაქტებს.¹ ირკვევა, რომ ქალბატონების გარდა, ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხულებების ავტორები საერო პირები, საერო მოსწიები ყოფილან. ფაქტია, დასავლური ჰაგიოგრაფია ამ ნიშნით განსხვავდება ქართული ჰაგიოგრაფიისაგან, რადგანაც როგორც ირკვევა, ყველა ქართული ჰაგიოგრაფიული თხულება სასულიერო პირის დაწერილია.²

ისტორიულ წყაროებში სიზმრებზე დაკვირვებამ შესაძლოა ნათელი მოჰყინოს საკვანზო საკითხებს. უნდა ითქვას, რომ ქართულ ჰაგიოგრაფიაში სიზმრების სისტემური შესწავლა არ მომხდარა (თუ არ ჩავთვლით ცალკეულ დაკვირვებებს უმეტესად საისტორიო ხასიათის ნაშრომებში). ს. კონსტანტინოსმა დაამუშავა შუა საუკუნეების ბიზანტიური ჰაგიოგრაფიის სიზმრები, სადაც ხაზგასმულია, რომ სიზმრებს უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრებოდათ სიუჟეტის განვითარებაში.³ ავტორი ჰაგიოგრაფიაში განსაზღვრავს სიზმრების შვიდ ტიპს. ესენია: საცდური, გამოცხადებითი, წინასწარმეტყველური, გამაფრთხილებელი, დამრიგებლური და მკურნალი.⁴ მკვლევარი აღნიშნავს, რომ ყველაზე მეტად სწორედ სიზმრების ეს უკანასკნელი ტიპი დომინირებს ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიაში. მოგვიანო პერიოდის ჰაგიოგრაფიაში მკურნალი სიზმრები მცირდება, შესაძლოა სიზმრებზე ეს გარემოება ხალხის და-

¹Head. T. Medieval Hagiography an Antropology, რედ. Head. T. A Member of the Taylor and Francis Group, გვ. 11-39, 2000.

² გაბიძაშვილი, ე. შრომები, ტ. I, გვ. 290, 2010.

³ Constantinou, S. The Morphology oh Healing Dreams: Dream and Therapy in Byzantine Collections of Miracle Stories, Dreaming in Byzantium and Beyond, Christian Angelidi, George T. Calofonos, გვ. 22, 2014.

⁴ იქვე. გვ. 23

მოკიდებულებამ განაპირობა. ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიაში განსხვავდება ასევე სიზმრის ხანგრძლივობა. მოკლე სიზმრები ხასიათდება სტანდარტულობით, ხოლო ხანგრძლივი არა.¹ გრძელი სიზმრები მოიცავს სხვადასხვა ელემენტის ჩართულობას, როგორცაა უფრო მეტი დიალოგები, ადამიანები, მთავარი გმირის ქცევები და გარეგნობა. გალურ და ზოგადად დასავლურ ჰაგიოგრაფიაში ყურადღება მახვილდება საერთო ქრისტიანული მახსოვრობის ჩამოყალიბებაზე. ამ მხრივ, აღსანიშნავია წმ. ელენე, რომელსაც უკავშირდება ჯვრის აღმართვა.² საერთო ქრისტიანული მახსოვრობის განვითარების კუთხით საინტერესო იქნება ქართულ ჰაგიოგრაფიაზე დაკვირვება,³ რომელიც, ერთი მხრივ, შეიცავს უძვირფასეს ინფორმაციას ქართული ერთობის იდენტობის და ქართული ტერიტორიის საკრალიზების კუთხით, მეორე მხრივ, კი ის ექსკლუზიური ქრისტიანული მარკერები, რომლითაც გაჯერებულია ქართული ჰაგიოგრაფია, ნაწილია საერთო ქრისტიანული მახსოვრობისა.

ბოლო პერიოდის ჰაგიოგრაფიულმა კვლევებმა საინტერესო ხედვები გაშალა. ყურადღება მახვილდება ისეთ საკითხებზე, როგორც არის ბუნების სურათი ქართულ ჰაგიოგრაფიაში, დიალოგი ქართულ ჰაგიოგრაფიაში. აქედან ვიგებთ, რომ „წამებათა“ შესავალი უფრო ლაკონიური და მოკლეა, ვიდრე „ცხოვრებათა“ წიგნების. რაც შეეხება პეიზაჟს,

¹ იქვე. გვ. 31.

² Bouchard, C. B. *Rewriting Saints and Ancestors, Memory and Forgetting in France 500-1200*, გვ. 218, 2015.

³ ასეთი ტიპის ნაშრომები აქვს ქართველი მკვლევრების ნაწილსაც. იხ. მ. ჩხარტიშვილი. წმ. მამა გიორგი მთაწმინდელი და ქართული იდენტობის სამანები, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, ტ. 11, 2006. და ლ. პატარიძე. საკრალური დრო და სივრცე ნონოს ცხოვრებაში, „ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი“, 1989.

ბუნების სურათი ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში წარმოადგენს არა გმირის, წმინდანის თუ მოწამის ბიოგრაფიის შემაღვენელ ნაწილს, მისი ყოფნის აუცილებელ ნაწილს, არამედ იგი ტექსტის კომპოზიციაში მხატვრული სივრცის შექმნილი ლიტერატურული ხერხია.¹ ტიტე მოსია „ქართულ ჰაგიოგრაფია და ბიბლიაში“, სადაც ყურადღება არის გამახვილებული ქართულ ჰაგიოგრაფიაში არსებულ ბიბლიურ სიმბოლიკებზე და იდეებზე, საუბრობს, რომ ქართული ჰაგიოგრაფია და ბიბლია მონოგრაფიულად არ არის დამუშავებული და ამ ხარვეზის შევსების სურვილით შეუდგა ავტორი ამ საქმეს.² ამგვარი საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში კიდევ მრავლადაა. მიუხედავად არაერთი ცალკეული მცდელობისა მონოგრაფიულად არ არის შესწავლილი სოციალური, ეთნიკური, იდენტობრივი ასპექტები ქართულ ჰაგიოგრაფიაში. დასავლური სამეცნიერო ლიტერატურა კი საკმაოდ მდიდარია ისეთი მონოგრაფიებით და კრებულებით, რომელიც ზემოაღნიშნული საკითხების გამორკვევას ეხება. ქართულ სამეცნიერო სივრცეში ჰაგიოგრაფიული ძეგლების მიმართ არასანდო დამოკიდებულებას (რომელიც მეტწილად გამოწვეული იყო ამ ჟანრის ტექსტებში არსებული სასწაულების თხრობით და ლეგენდებით) ჯერ კიდევ 1985 წელს უპასუხა ზ. ალექსიძემ „ქართული წყაროების შესწავლის მეთოდურ საკითხებში“. სასწაულების უგულებელყოფა წყაროების ძიებისას არ შეიძლება. მით უფრო არ შეიძლება მათთვის გვერდის ავლა, როცა მიზნად ისახავ ალადგინო წარსულის ყოფითი სურათები,

¹ გვეტაძე ო. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, გვ. 41, 2010.

² მოსია ტ. ქართული ჰაგიოგრაფია და ბიბლია, გვ. 16. 2011.

დაბალი ფენების ცხოვრება, ზნე-ჩვეულებანი, სატკივარნი.¹ ფაქტია ისიც, რომ ქართული სამეცნიერო საზოგადოების ნაწილი მაინც ეჭვის თვალით უყურებს ჰაგიოგრაფიული თხზულებების მრავალმხრივ შესაძლებლობებს. ეს ფაქტი ქართული შრომების რაოდენობაზე კი არ აისახება, არამედ ამ ნაშრომთა შინაარსზე. კრიტიკულმა ჰაგიოგრაფიამ მსგავსი გზა განვლო დასავლეთშიც (განსხვავებით ქართული ჰაგიოგრაფიისა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ისტორიზმი, განხვავებულ ვითარებას ვხედავთ სხვადასხვა ქრისტიანი ხალხის გამოცდილებაში, რომლისთვისაც მოწამეობრივი ისტორიების შეთხზვაა დამახასიათებელი, სადაც არამხოლოდ ფაქტებია გამოგონილი, არამედ ისტორიული პირებიც). ისტორიკოსები ფიქრობდნენ, რომ ჰაგიოგრაფია არაფრისმომცემი იყო. სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც მკვლევრები დარწმუნდნენ იმაში, რომ ჰაგიოგრაფიული ძეგლები მნიშვნელოვნად გამორჩეულია მენტალობის, სოციალური და კულტურული ისტორიების შესასწავლად.²

რაც არ უნდა ბევრი ვისაუბროთ ქართულ თუ დასავლურ სამეცნიერო სივრცეებში ჰაგიოგრაფიის შესწავლის მდგომარეობის შესახებ, ვერც ერთი შრომა სრულად ვერ ამოწურავს ამ საკითხს. ჩემი წინამდებარე სტატიის მიზანი გაცილებით მოკრძალებული იყო: შევეცადე მკითხველის წინაშე შედარებით კონტექსტში წარმომედგინა ჰაგიოგრაფიული ჟანრის შესახებ ქართულ თუ დასავლურ დისკურსში არსებული, ჩატარებული კვლევის თვალსაზრისით საინტერესო, ზოგიერთი თანამედროვე ნაშრომი, რათა სამომავლოდ ამ მა-

¹ ალექსიძე ზ. ქართული წყაროების შესწავლის მეთოდური საკითხები: აგიოგრაფია, გვ. 33, 1985.

² Salih S. A Companion to Middle English Hagiography, რედ. S. Salih, გვ. 20, 2006წ.

სალის გათვალისწინებამ ხელი შეუწყო ადნიშნული ჟანრის კვლევის ძირითადი ტენდენციების გამოკვეთას.

დამოწმებანი:

1. ალექსიძე ზ. ქართული წყაროების შესწავლის მეთოდური საკითხები: აგიოგრაფია, 1985.
2. ამირხანაშვილი ი. აგიოგრაფიული თხზულებების დრო და სივრცე, ლიტერატურული ძიებანი, №XXV, ნაწ. I, 2005.
3. ჩხარტიშვილი მ. ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები „ცხოვრებად წმიდისა ნინოდისი“. თბილისი, მეცნიერება, 1987.
4. ჩხარტიშვილი მ. ქართველთა მოქცევა და ახალი ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბება, 1999.
5. ჩხარტიშვილი მ. „წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ და VI–VII სს საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბილისი, 2005.
6. ელაშვილი ქ. ღვთისმშობლის სიმბოლური სახე და ადრეული პერიოდის ქართული ჰაგიოგრაფია. ლიტერატურული ძიებანი, XXI, 2000.
7. გაბიძაშვილი ე. შრომები, ფოლოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები, თბილისი, ტ. II, 2010.
8. გაბიძაშვილი ე. შრომები, მონოგრაფიული ნარკვევი, თბილისი, ტ. I, 2010.
9. გოილაძე ვ. ასურელ მამათა სამშობლო და საქართველო, თბილისი, 2002.
10. გვეტაძე ო. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 2010.
11. ჰაგიოგრაფიის და საისტორიო მწერლობის შედარებითი შესწავლისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, №IV, 1983.

12. კუჭუხიძე გ. „ცხრა ყრმათა კოლაელთა წამება“, „წამება და ვითისა და ტარიჭანისა“ (დათარიღების საკითხისათვის), ლიტერატურული ძიებანი, კრ. XXIV, 2003.
13. კუჭუხიძე გ. კიდევ ერთხელ „წმ. ნინოს ცხოვრების“ დათარიღებისათვის, ლიტერატურული ძიებანი, კრ. XX, 1999.
14. ლორთქიფანიძე მ. „ცხოვრებად იოვანესი და ეფთვიმესი“ გიორგი მთაწმინდელის, და „ცხოვრებად გიორგი მთაწმინდელისა“ გიორგი მცირის, როგორც საისტორიო წყარო, თსუ შრომები, 246, 1984.
15. მასხარაშვილი ს. „წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრების“ რედაქციათა ურთიერთმიმართებისათვის, კორნელი კეკელიძე 125, თბილისი, 2004.
16. მერკვილაძე დ. ასურელი მამები (VI ს. სირიელი სასულიერო მოღვაწენი საქართველოში), თბილისი, უნივერსალი, 2006.
17. მოსია ტ. ქართული ჰაგიოგრაფია და ბიბლია, 2011.
18. პატარიძე ლ. „ცხოვრებად წმიდისა ნინოდსი (ქართლის გაქრისტიანების კულტურულ-ისტორიული საკითხები), თბილისი, მეცნიერება, 1993.
19. პატარიძე ლ. „ნინოს ცხოვრების“ ერთი სიმბოლოს გაგებისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის სერია, №II, 1988.
20. პატარიძე ლ. საკრალური დრო და სივრცე „წმ. ნინოდსი“ (ქართლის გაქრისტიანების კულტურულ-ისტორიული საკითხები). თბილისი, მეცნიერება, 1989.
21. სირაძე რ. წმინდა ნინოს ცხოვრება და დასაწყისი ქართული ჰაგიოგრაფიისა, განთიადი, №III, 1989.
22. ჭელიძე ე. როდის დაიწერა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, საღვთისმეტყველო კრებული, №I, 1991.

23. Ashton G. *The Generation of Identity in Late Medieval Hagiography*, Routledge, 2000.
24. Bouchard C. B. *Rewriting Saints and Ancestors, Memory and Forgetting in France, 500-1200*, University of Pennsylvania Press, 2015.
25. Constantinou S. *The Morphology of Healing Dreams: Dream and Therapy in Byzantine Collections of Miracle Stories, Dreaming in Byzantium and Beyond*, Christian Angelidi, George T. Calofonos, 2014.
26. Efthymiadis S. *The Ashgate Research Companion to Byzantine Hagiography*, 2011. S. Efthymiadis, ტ. I, 2011.
27. Goodich M. E. *Lives and Miracles of the Saints, Studies in Medieval Latin Hagiography*, 2004.
28. *Hagiography in Anglo-Saxon England: Adopting And Adapting Saints' Lives into Old English Prose (950-1150)*, red. L. Loredana, L. Patrizia, S. Claudia, Barcelona, Madrid, 2014.
29. Head T. *Medieval Hagiography an Antropology*, red. Head. T. A Member of the Taylor and Francis Group, 2000.
30. Hefferman T. J. *Sacred Biography, Saints and Their Biographers in the Middle Ages*, Oxford University Press, 1988.
31. Herrick S. K. *Imagining the Sacred Past*, Harvard University Press, 2007.
32. Salih S. *A Companion to Middle English Hagiography*, 2006წ. S. Salih, 2006წ.
33. *Sanctity in the North*, 2008. A. Orchard, University of Toronto Press, 2008.
34. Sharpe R. *Medieval Irish Saints' Lives*, Clarendon Press, Oxford, 1991.
35. Sticca S. *Saints Studies in Hagiography*, 1996. S. Sticca, Binghamton, New York, 1996.

36. Studies in Irish Hagiography, Saints and Scholars, რედ. J. Carey, M. Herbert, P. Riain, Four Courts Press, 2001.
37. The Hagiography of Kievan Rus', თარგმანი, P. Hollingsworth, Harvard College, 1992.
38. Ziolkowski M. Hagiography and Modern Russian Literature, Princeton University Press, 1988.

Sopio Kadagishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**HAGIOGRAPHIC STUDIES IN GEORGIAN AND
WESTERN SCIENTIFIC LITERATURE SOURCE
STUDIES AND HISTORIOGRAPHIC POINT OF VIEW
RESUME**

Hagiographic writings reveal significant cultural, social and political information of certain community but critical hagiography has not long term history. Sacred biographies were largely neglected by historians while reconstructing the historical evidence. This tend now reversed and the opportunities which the saints' lives offer the historian are becoming more and more appreciated.

In the article I present some of the modern scientific approaches and researches considering hagiographic genre in the Georgian and Western scientific discourse. Of course this issue can't be completed by this time but my aim is to focus on the major tendencies in hagiographic writings that can be foreseen in the future.

მაია ჩარკვიანი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ნინო ხოშტარია – პირველი ქართველი არქეოლოგი ქალი

საქართველოს არქეოლოგთა შორის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ნინო ხოშტარიას ეკუთვნის, რომელიც პირველ არქეოლოგ ქალად არის მიჩნეული. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა მრავალპლანიანია და სამომავლოდ დაწვრილებითი შესწავლის საგანი უნდა გახდეს. ამჯერად, ჩვენი ნაშრომის მიზანია წარმოვაჩინოთ მკვლევარის მოღვაწეობის ზოგადი კონტურები. წყაროებად ვიყენებთ ნ. ხოშტარიას პუბლიკაციებს და მისი პირადი არქივის მასალების ნაწილს, რომელიც გადმოგვცა ქალ. ანა ჭყონიამ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით. მეცნიერის ხელნაწერთა ძირითადი ნაწილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქივში ინახება.

საქართველოს არქეოლოგიის ისტორია ზოგადად ოთხ პერიოდად იყოფა. პირველი პერიოდი – XIX ს., როდესაც საქართველოში არქეოლოგია, როგორც მეცნიერება ყალიბდება. ამ დროს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლით დაინტერესებული მკვლევარები: ერნსტ შანტრი, ჟაკ დე მორგანი, მარი ბროსე, რიხარდ ვირხოვი, ფრიდრიხ ბაიერნი, ალექსი და პრასკოვია უვაროვები, სტანისლავ კრუკოვსკი, დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, პლატონ იოსელიანი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვა. პირველი და მომდევნო თაობის არქეოლოგთა მიზანი და ამოცანები, ვფიქრობთ, ყველაზე უფრო

ნათლად ჩამოყალიბებული აქვს ექვთიმე თაყაიშვილს: „იმხანად უკვე გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი: რამდენადაც შეიძლებოდა და გარემოება ნებას მძღვედა, შემეკარბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის; ყოველი ძალ-ღონე მეზმარა ძეგლთა დაღუპვისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად; რაც შეიძლება მეტი გამოიმეზუერებინა და მისაწვდომი გამეხადა მკვლევარებისათვის. ეს მიმაჩნდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ მაშინ – იმ რწმენით, რომ, როდესაც ასეთი მასალა საკმაოდ დაგროვდებოდა, გამოჩნდებოდნენ ჩვენში მეცნიერები, ჯერონად შეგვიდგენდნენ საქართველოს ისტორიას, გაგვიშუქებდნენ იმ, მართლაცდა, გადაუჭარბებლივ, დიად კულტურას, რომელსაც ქართველმა ერმა მიაღწია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში“.¹ გათხრების შედეგად, თუ სხვა გზით მოპოვებული მასალა თავს იყრიდა მუზეუმებში – „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ მუზეუმში (დაარსდა 1851 წელს); „კავკასიის მუზეუმში“ (დაარსდა 1863 წელს); „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მუზეუმში; საეკლესიო მუზეუმში (დაარსდა 1889 წელს); საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში (დაარსდა 1907 წელს). 1919 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის არქეოლოგიის სასწავლო პროგრამის შედგენით მთავრდება საქართველოს არქეოლოგიის პირველი პერიოდი.²

¹ თაყაიშვილი ექ. რჩეული ნაშრომები, 1968, გვ. 310.

² გამყრელიძე გ. საქართველოს არქეოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია, 1991, გვ. 12-45; გამყრელიძე გ. ქართული არქეოლოგიის კვალდაკვალ, 2009; ახვლედიანი დ. ოთარ ლორთქიფანიძე და საქართველოს არქეოლოგია, 2014, გვ. 135-140.

მეორე პერიოდი - XX ს-ის 25-60 წლებით შემოისაზღვრება. 1925 წელს გიორგი ნიორაძე დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების უფროსად, 1934-1953 წლებში იგი ხელმძღვანელობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მატერიალური კულტურის ისტორიის კათედრას, რომელიც შემდეგ არქეოლოგიის კათედრად გარდაიქმნა.¹ გ. ნიორაძემ თავის გარშემო, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების მიზნით, შემოიკრება სერგი მაკალათია, გიორგი გოზალიშვილი, სოლომონ იორდანიშვილი, ბორის კუფტინი, ლევან მუსხელიშვილი, გიორგი ჩიტაია, ოთარ ჯაფარიძე, ანდრია აფაქიძე, ნინო ბერძენიშვილი, გერმანე გობეჯიშვილი, ალექსანდრე კალანდაძე, გიორგი ლომთათიძე, ნინო ზოშტარია და სხვ. 1936 წელს კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტად (ენიმკი), რომლის პერიოდული ჟურნალიც „ენიმკის მოამბე“ იყო. 1941 წელს ამ ინსტიტუტს გამოეყო ისტორიის ინსტიტუტი. შესაბამისად „ენიმკში“ მომუშავე არქეოლოგები გადავიდნენ ისტორიის ინსტიტუტში.² მეორე პერიოდი ხასიათდება იმით, რომ თავმოყრილ იქნა წინა თაობის მიერ მოპოვებული მასალა, რასაც დაემატა ახლადგათხრილი ძეგლების შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემები, რის საფუძველზეც დაიწერა და 1959 წელს გამოიცა სახელმძღვანელო „საქართველოს არქეოლოგია“, სადაც წარმოჩენილია ქვეყნის ისტორია უძველესი დროიდან (ქვედა პალეოლითიდან) განვითარებული შუა საუკუნეების ჩათვლით. ამ მონოგრაფიის ავტორთა შორის (ანდრია აფაქიძე, ნინო ბერძენიშვილი, გერმანე გობეჯიშვილი, ალექსანდრე

¹ გამყრელიძე გ. დასახ. ნაშრომი, 2009, გვ. 27-28

² გამყრელიძე გ. დასახ. ნაშრომი, 2009, გვ. 34

კალანდაძე, გიორგი ლომთათიძე, ო. ჯაფარიძე) იყო ნინო ხოშტარიაძე.¹ აქ ქალბატონ ნინოს კალამს ეკუთვნის ერთი თავი - „ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოში“, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება, ესაა ცალკეული არქეოლოგიური ძეგლების აღწერა და დახასიათება და ამის საფუძველზე, ძველი კოლხეთის საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა მხარეების წარმოჩენა.²

არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც ნ. ხოშტარიამ განიხილა ნაშრომში, ესაა ქობულეთ-ფიჭვნარი, დაბლაგომი, ფოთის მიდამოები, ქუთაისი, ვანი, მთისძირი, ზუგდიდი, სოხუმი. აქედან ზოგიერთი ძეგლის არქეოლოგიური გათხრები ჯერ დაწყებული არ იყო და ამიტომ, ქალ. ნინო სხვადასხვა მუზეუმებში დაცული შემთხვევით აღმოჩენილი თუ დაზვერვითი სამუშაოების შედეგად ანაკრეფი მასალით ხელმძღვანელობდა.

ქობულეთ-ფიჭვნარის ტერიტორია დასახლებული ენოლოთიდან ჩანს. მეცნიერის აზრით, ანტიკურ ხანაში იგი წარმოადგენდა ქალაქური ტიპის დასახლებას თავისი ნავსადგურით და ვრცელდებოდა ნატანებ-ჩოლოქის შესართავიდან ცინისძირამდე, დაახლ. 15 კმ-ზე. ნაქალაქარის დათარიღება ნ. ხოშტარიამ მოახერხა აქ გამოვლენილი იმპორტული ბერძნული კერამიკის (ამფორები, შავლაკიანი ჭურჭელი) შესწავლის საფუძველზე და აღნიშნა, რომ ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ქობულეთ-ფიჭვნარს სამხრეთ შავიზღვისპირეთის ბერძნულ ქალაქებთან, კერძოდ კი, სინოპესთან ჰქონდა.

¹ საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.

² ხოშტარია ნ. ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 223-251.

დაბლაგომის არქეოლოგიურ გათხრებში ნ. ხოშტარიაც იღებდა მონაწილეობას. გამოვლინდა ქვევრსამარხები და კულტურული ფენები. იგი ამ ნამოსახლარსაც ქალაქური ტიპის დასახლებად მიიჩნევს, რაც სადღეისოდ არაა გაზიარებული. თარიღი მეტ-ნაკლებად განსაზღვრულია იმპორტული ბერძნული კერამიკის და კოლხური თეთრის შესწავლის საფუძველზე. დაბლაგომის მსგავსი მასალა (კერამიკა, სამკაული და სხვ.) გამოვლენილი იქნა საჯავახოში, მთისძირში, დაფნარში, აჯამეთში, ბორში, ნოსირში, ფარცხანაყანეში და სხვ.

ფასისი, ამ ქალაქთან დაკავშირებით (რომელიც დღემდე არ არის მიკვლეული) ნ. ხოშტარიას შეგროვებული აქვს წერილობითი წყაროები და ის არქეოლოგიური მასალა, რომელიც ფოთის მიდამოებშია გამოვლენილი, კერძოდ, ქვალუნთან (26 კმ-ის დაშორებით) 1933-40 წლებში გაითხარა ბორცვი „ნაოხვამუ“, რომელიც ძვ.წ. III-II ათასწ. თარიღდება. მდ. ხობის შესართავთან და სოფ. ქარიეტასთან გაითხარა ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები.

მდ. სუფსის შესართავთან მალთაყვაში გამოვლენილი ძეგლები 3 მეტრის სიღრმეზეა თანამედროვე ზედაპირიდან. ასევე ფოთის ტერიტორიაზე გამოვლენილი იქნა ახ.წ. IV-V სს-ის კულტურული ფენა და კოლხური თეთრის განძი.

ნ. ხოშტარია, ამ მასალისა და წერილობითი წყაროების შესწავლის საფუძველზე, ასკვნის, რომ ფასისის მოსახლეობა ეთნიკურად ჭრელი უნდა ყოფილიყო, ბერძენ კოლონისტებს ქალაქის ერთი უბანი უნდა სჭეროდათ, დანარჩენში ადგილობრივი კოლხი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო. ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში გამოვლენილი ძვ.წ. V-IV სს. მიჯნის წარწერიან თასზე დაყრდნობით, რომელშიც აპოლონია ნახსენები, მკვლევარი ფიქრობს, რომ ამ პერიოდში აპოლონი და ჰელიოსი ერთიდაიგივე ღვთაებაა, ხოლო ჰელიოსი კოლხების

მთავარი ღვთაება იყო, ვინაიდან ლეგენდარული მეფე აიეტი ჰელიოსის ძე იყო.

ქუთაისს ნ. ხოშტარია აპოლონიუს როდოსელთან ნახსენებ კუტაიასთან აიგივებს და აღწერს „არქიელის გორასა“ და „ცაცხვებში“ შემთხვევით გამოვლენილ არქეოლოგიურ ძეგლებს – ქვევრსამარხებსა და კოლხურ თეთრს.

ვანში 1947 წლიდან ნ. ხოშტარიას ხელმძღვანელობით სისტემატურად ტარდებოდა არქეოლოგიური გათხრები და გამოვლენილ იქნა ანტიკური ხანის დიდძალი არქეოლოგიური მასალა, როგორც შენობა-ნაგებობები, ასევე მდიდრული სამარხები. ამ ნაქალაქარს ქალ. ნინო პლინიუს სეკუნდუსისა და პტოლემეოსის ნაშრომებში ნახსენებ სურიუმთან აიგივებს, რასაც სადღეისოდ მეცნიერთა ერთი ნაწილი უჭერს მხარს. ვანთან კავშირში ნ. ხოშტარია აღწერს სოფ. მთისძირში გამოვლენილ მდიდრულ სამარხს, რომელიც ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება.

ზუგდიდის მიდამოებში გამოვლენილი იქნა კოლხური თეთრის რამდენიმე განძი და სოფ. რეყესთან მდიდრული სამარხი, რომელიც ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნით თარიღდება. ზუგდიდსა და მის შემოგარენში გათხრებს აწარმოებდნენ აკ. ჭანტურია და ს. მაკალათია.

სოხუმი – დიოსკურიაში სისტემატური არქეოლოგიური გათხრები 1951 წლიდან იწყება. აქ გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლები ყველა პერიოდისაა – პალეოლითიდან შუა საუკუნეების ჩათვლით. გვიან ბრინჯაოს ხანაში ეს ტერიტორია მჭიდროდაა დასახლებული, რაც შეეხება ანტიკური ხანის ქალაქს, აქაც მოსახლეობა, ისევე როგორც ფასისში, ჭრელი უნდა ყოფილიყო.

ნინო ხოშტარია იყო ერთერთი პირველი მკვლევარი, რომელმაც კოლხეთის მოსახლეობის ცხოვრების სხვადასხვა

მხარეების შესწავლას ჩაუყარა საფუძველი. აქედან ერთ-ერთია სამონეტო მიმოქცევა. მას აღნიშნული აქვს, რომ კოლხეთში მიმოქცევაში იყო როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური მონეტები. ადგილობრივი მონეტებიდან აღსანიშნავია კოლხური თეთრი (ძვ.წ. VI-III სს-ით ათარიღებს), მეფე სავლაკის მონეტა (ძვ.წ. II ს.), დიოსკურიის მონეტა (ძვ.წ. I ს-ის პირველი ნახევარი), არისტარქეს მონეტა (ძვ.წ. 52-51 წწ.) და მეფე აკის მონეტა (ძვ.წ. III ს.) და ალექსანდრე დიდისა და ლისიმაქეს მინაბაძები. მიწათმოქმედება კოლხეთში, ნ. ხომტარიას აზრით, ნეოლითის ხანიდან გამოიკვეთა, და მისი შესწავლა ხდება არქეოლოგიური არტეფაქტების მიხედვით: სახნისი, ხელსაფქვავეები, რკინის ნამგლები; ასევე თიხის ჭურჭელი, ქვევრები, ღერგები და სხვ., რომელშიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი უნდა შენახულიყო. მეცნიერი სელისა და კანაფის წარმოების განხილვისას, წყაროდ იყენებს წერილობით ცნობებს, არქეოლოგიურ მასალაზე შემორჩენილი ქსოვილის ნაშთებსა და ანაბეჭდებს, კვირისტავებს და ვერტიკალური საქსოვი დაზგის საწაფებს. მევენახეობა-მელვინეობა განიხილება კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ქვევრებისა და ვანში აღმოჩენილი მარნის საფუძველზე. მესაქონლეობა - წერილობითი წყაროებიდან არისტოტელეს ცნობის საფუძველზე კოლხური ძროხის შესახებ, ასევე გათხრების დროს გამოვლენილი სხვადასხვა ცხოველის ძვლებსა და, არტეფაქტებზე ცხოველთა გამოსახულებების მიხედვით. რკინის წარმოება, მეცნიერს განხილული აქვს წერილობითი წყაროების მონაცემებისა და რკინის წარმოების ნაშთების საფუძველზე, რომელიც გამოვლენილი იქნა ყულევსა და ანასეულში.

ჩვენი ნაშრომის მეორე ნაწილში განხილული გვაქვს, თუ რა გზა განვლო ნინო ხომტარიამ, იმისათვის რომ გამხ-

დარიყო საქართველოს არქეოლოგიის საეტაპო ნაშრომის თანავტორი.

ნინო ხოშტარია დაიბადა 1901 წელს ქალაქ სოჭში. 1918 წელს დაამთავრა სოხუმის გიმნაზია და სწავლა განაგრძო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. 1920-1936 წლებში სტატისტიკოსად მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებებში. 1936 წლიდან რადიკალურად იცვლება მისი სამოღვაწეო სარბიელი. იგი ჩაირიცხა ენისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1941 წლის 9 ივნისს უკვე იცვს დისერტაციას თემაზე: „დაბლაგომის ძველი მოსახლეობა“.

ნინო ხოშტარია თავიდანვე აქტიურად ჩაება დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კოლხეთის საველე-არქეოლოგიური კვლევების საქმეში:

1936 წელი – არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით;

1938 წლიდან – არქეოლოგიური დაზვერვები კოლხეთის დაბლობზე (ყულევი) ალ. იესენის ხელმძღვანელობით;

1947-48, 1950, 1952, 1957-63 წწ. – არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარზე;¹

1949-50 წწ. – არქეოლოგიური გათხრები ურეკში;

1953-56 წწ. – არქეოლოგიური გათხრები ქობულეთ-ფიჭვნარში, როგორც ხელმძღვანელი.²

საველე-არქეოლოგიური გათხრების შედეგები გამოქვეყნებული აქვს სპეციალურ შრომებში. მის არქივში დაცულია

¹ ვანი I, წინასიტყვაობა, თბ., 1972, გვ. 5

² ფუთურიძე რ. ნინო ხოშტარია (1901-1969), ვანი III, თბ., 1977, გვ. 6-9; ჭყონია ან. ნინო ხოშტარიას არქივი – მოხსენება წაკითხული არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე 1978 წლის 3 მარტს, (ხელნაწერი).

საველე დღიურები და ექსპედიციებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. იმისათვის, რომ გათხრები წარმატებით განეხორციელებინა, ნ. ხოშტარიას ყურადღების სფეროში ექცეოდა ყველა პერიოდის (ქვის ხანიდან შუა საუკუნეების ჩათვლით) არქეოლოგიური ძეგლი, ასევე ეთნოგრაფიული მონაცემები, რომლებიც საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა მხარეს შეეხება. ამის დასტურია არქივში დაცული ვრცელი კონსპექტები.

ნ. ხოშტარიას გამორჩეული იყო ისეთი პიროვნული თვისებებით, როგორცაა გულისხმიერება და ყურადღება, მას დღემდე სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებენ არა მარტო მისი კოლეგები, არამედ ადგილობრივი მოსახლეობა, სადაც კი მას უწევდა საველე სამუშაოების წარმოება.

დამოწმებანი:

ახვლედიანი დ. ოთარ ლორთქიფანიძე და საქართველოს არქეოლოგია, იბერია-კოლხეთი, № 10, 2014, გვ. 135-140.

გამყრელიძე გ. საქართველოს არქეოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია, საქართველოს არქეოლოგია, ტ. I, 1991, გვ. 12-45.

გამყრელიძე გ. ქართული არქეოლოგიის კვალდაკვალ, თბ., 2009.

საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.

ხოშტარია ნ. ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები და საველეთ საქართველოში, **საქართველოს არქეოლოგია**, 1959, გვ. 223-251.

თაყაიშვილი ექ. რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968.

ვანი I, წინასიტყვაობა, თბ., 1972, გვ. 5

ფუთურაძე რ. ნინო ხოშტარია (1901-1969), ვანი III, თბ., 1977, გვ. 6-9;

ჭყონია ან. ნინო ხოშტარიას არქივი – მოხსენება წაკითხული არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე 1978 წლის 3 მარტს, (ხელნაწერი).

ილუსტრაციები:

სურ. 1. ნინო ხოშტარია ქობულეთ-ფიჭვნარში არქეოლოგიური გათხრების დროს, 1956 წელი.

სურ. 2. ნინო ხოშტარია ვანის ნაქალაქარზე, 1961 წელი.

Maia Charkviani

Ilia State University. Georgian National Museum

**NINO KHOSHTARIA - FIRST GEORGIAN WOMAN –
ARCHAEOLOGIST
RESUME**

Nino Khoshtaria (1901-1969) was the first Georgian woman – Archaeologist. She belonged to that generation of Georgian Archaeologists which had studied Archaeological sites of all periods: from Lower Paleolithic to Middle Ages. On the basis of these works the of manual “Georgian Archaeology” was published. In this book one chapter – “Archaeological sites of Classical Period of West Georgia“ is written by Nino Khoshtaria. The chapter consists of two parts: first is the description of Archaeological sites (Kobuleti-Pitchvnari, Dablagomi, Poti, Kutaisi, Vani, Mtisdziri, Zugdidi, and Sokhumi. Except Kutaisi, Zugdidi and Sokhumi she had studied all other above mentioned sites. At some sites the archaeological excavations were not conducted yet and she studied them by based on the material found accidentally and preserved in Museums. The second part of the chapter based on

archaeological material and written sources studies the various angles of life of Colchian society: coin circulation, flax and hemp production, agriculture, wine – making, cattle breeding, iron production.

სურ. 1.



სურ. 2.



მანუჩარ გუნცაძე
კორნელი კეკელიძის სახელობის
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

**ქართული ჯარის მეთაურობის საკითხი 1920 წლის ოსი
ბოლშევიკების აჯანყების დროს
(ქართულ ისტორიოგრაფიაში)**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის შესწავლა საბჭოთა კავშირის პერიოდში თავისუფლად ვერ მიმდინარეობდა, რაც მეტად მნიშვნელოვანია ყველა იმ მკვლევრისათვის, ვინც აღნიშნული პერიოდით დაინტერესებულია. საბჭოთა კავშირის პერიოდში ამ საკითხის კვლევა აკრძალული იყო, ან ბოლშევიკური პროპაგანდის ელფერი გასდევდა და მხოლოდ მისი გაკრიტიკებით შემოიფარგლებოდა. ეს სიტუაცია, რა თქმა უნდა, აფერხებდა სამეცნიერო კვლევების წარმოებას 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიის შესახებ.

ზემოთ აღნიშნული პრობლემის გამო, ჩვენი კვლევისათვის საინტერესო საკითხიც რთულად საკვლევ თემატიკაში შედიოდა, ვინაიდან ქართულ-ოსური კონფლიქტის საფუძვლები სწორედ 1918-1921 წლებში ჩაისახა. 1920 წლის ოსი ბოლშევიკების აჯანყება ყველაზე გამორჩეული იყო თავისი მასშტაბურობით და მოთხოვნების თვალსაზრისით, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს ტერიტორიიდან შიდა ქართლის ნაწილის, ცხინვალის რეგიონის (დღეს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“) გამოყოფას და რუსეთისათვის შეერთებას.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე საკმაოდ აქტუალურია. ამიტომ საინტერესოა ამ კონფლიქტის საწყისი პერიოდის განხილვა. ჩვენი კვლევის საგანს კი შეადგენს 1920 წლის ოსი ბოლშევიკების აჯანყების ჩახშობის დროს ქართული სამხედრო შენაერთების მეთაურის ვინაობის დადგენა.

ერთი შეხედვით ეს არც ისე რთული უნდა ყოფილიყო და ყველაფერს ნათელი აქამდეც უნდა მოჰყვენოდა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართულ მეცნიერებას საშუალება მიეცა 1918-1921 წლების თემატიკა თავისუფლად ეკვლია. თუმცა ქართული ჯარის მეთაურობის საკითხის საბჭოთა კავშირის დროს მაშინდელი პოლიტიკით იმართებოდა და, როგორც ჩანს, ოსი მოსახლეობისათვის მტრის შესაქმნელად იმ ადამიანის სახელს გამოიყენებდნენ, რომელმაც ოსები ბოლშევიკების მიერ მანამდე არსებული აჯანყებების ჩახშობას უმეთაურა. სავარაუდოდ, ამიტომ 1920 წლის აჯანყების ჩახშობაც ამავე პიროვნებას, ანუ სახალხო გვარდიის გენერალს, ვალიკო ჯუღელს მიეწერა.

საბჭოთა კავშირის დროს არსებულ სამეცნიერო კვლევებში, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო თემატიკას ეხებოდა, საკმაოდ უარყოფითად იყო წარმოჩენილი ვალიკო ჯუღელის პიროვნება და სწორედ მას მიეწერებოდა პასუხისმგებლობა ყველა იმ სიმკაცრეზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1920 წლის ოსი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლისას.

მართლაც და საინტერესოა, თუ ვინ იყო ის ადამიანი, რომლის პასუხისმგებლობასაც წარმოადგენდა აღნიშნული აჯანყების ჩახშობა და რეალურად საქართველოს ბედის წარმართვაც, ვინაიდან ამ დაპირისპირებებმა მნიშვნელოვანი

კვალი დატოვა საქართველოს უახლესი პერიოდის ისტორიაში.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ვალიკო ჯუღელის გვერდით კიდევ ერთი გენერლის სახელი გამოჩნდა, თუმცა ისიც შეცდომით. საუბარი გვაქვს გენერალ გიორგი მაზნიაშვილზე, მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ იყო ასახული ქართული ჯარის მეთაურის ვინაობა, ანუ, იმას, ვინც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ოსი ბოლშევიკების აჯანყების ჩახშობას 1920 წელს, არც თუ ისე მცირე რაოდენობის ნაშრომიდან შეიძლება მოვახდინოთ ციტირება. იმისათვის, რომ ჩვენი ნაშრომი ციტირებებით არ გადაიტვიტოს, საილუსტრაციოდ რამდენიმე მათგანს მოვიყვანთ, რომლებიც კარგად გვიჩვენებს საბჭოთა კავშირის პერიოდიდან დღევანდლობამდე ჩვენთვის საინტერესო საკითხის ასახვას.

ერთ-ერთ ასეთ ნაშრომს წარმოადგენს 1969 წელს გ. თოგოშვილის მერ გამოცემული მონოგრაფია სახელწოდებით: „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა“. მასში გაკრიტიკებული ქართული ჯარის მოქმედება და გენერალი ვალიკო ჯუღელი „არქიბანდიტად“ არის მოხსენიებული.¹ ანუ ის სწორედ იმ ნორმებში ჯდება, რომელსაც საბჭოთა კავშირის პოლიტიკა ატარებდა და ვალიკო ჯუღელისგან მტრის ხატის შექმნით ცდილობდა 1918-1921 წწ. საქართველო ხალხის მჩაგვრელ სახელმწიფოდ წარმოედგინა.

მსგავსი პათოსი იგრძნობა 1972 წელს გამოცემული „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეექვსე ტომშიც, სადაც ქართული სამხედრო შენაერთების მოქმედება ოსი ხალხის მიმართ გადადგმულ აგრესიულ ნაბიჯად აღიქმება: „მენ-

¹ გ. თოგოშვილი – ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1969, გვ. 123.

შევიკების სამხედრო ძალებმა, რომლებიც ორი ცხენოსანი პოლკის, ქვეითი ბატალიონისა, ორი სამთო ბატარეისა და გვარდიელთა რაზმებისაგან შედგებოდა, ვ. ჯუღელის მეთაურობით 9 ივნისს დაიწვეს ცხინვალზე შეტევა. ეს იყო მთელი საშინაო ოსეთის აწიოება“.¹ აქაც აჯანყების ჩახშობის ხელმძღვანელად ვალიკო ჯუღელი არის მოხსენიებული.

შემდეგი წლების განმავლობაშიც გამოქვეყნებულ ნაშრომებშიც აჯანყების ჩახშობის ხელმძღვანელად ვალიკო ჯუღელი მოიხსენიება. ეს გრძელდება საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც. თუმცა 90-იანი წლების შემდეგ გამოქვეყნებულ სამეცნიერო მონოგრაფიებსა თუ სტატიებში უკვე ხდება რადიკალური გადახვევა თვითონ მოვლენების შეფასების კუთხით. ამ პერიოდთან უკვე საბჭოთა პოლიტიკის კონტროლი გაქრა და შესაბამისად შეფასებებიც უკვე მეცნიერის საკუთარი მოსაზრებების მიხედვით დაწერა გახდა შესაძლებელი. სწორედ ამიტომ, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ გამოცემულ სამეცნიერო პუბლიკაციებში აჯანყება შეფასებულია არა უკვე როგორც ოსი ხალხის თვითგამორკვევის მცდელობად და სამართლიან მოთხოვნად ტერიტორიული გამოყოფისა, არამედ როგორც ქართული სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ მიმართულ ქმედებად, რომელიც რუსების მიერ იყო ინსპირირებული.

რაც შეეხება ზემოთ ნათქვამ კიდევ ერთ პიროვნებას, გენერალ გიორგი მაზნიაშვილს. მისი ვინაობის მიხედვით 1920 წლის აჯანყებასთან გვხვდება დოლო ჭუმბურიძის ნაშრომში „ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს-ის დასაწყისში (1918-1921 წლებში)“. ნაშრომში აღნიშნულია: „ოსეთის აჯანყება“ სასტიკად ჩაახშეს გიორგი

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1972, გვ. 680.

მაზნიაშვილმა და ვალიკო ჯუღელის ხელმძღვანელობით ქართული გვარდიის ნაწილებმა¹.

2012 წელს გამოქვეყნდა სულხან ალექსიას მონოგრაფია „აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების კონფლიქტების ანატომია“, ხოლო ერთი წლის შემდეგ კი მისი სადოქტორო დისერტაცია „აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები და მათი დარეგულირების პრობლემები“. ორი ნაშრომში 1920 წლის ოსი ბოლშევიკების აჯანყების ჩახშობის ხელმძღვანელად ვალიკო ჯუღელია მოხსენიებული: „აღნიშნული აჯანყება 1920 წელს საქართველოს სახალხო გვარდიამ ჩააქრო. ოპერაციას ხელმძღვანელობდა ვალიკო ჯუღელი“.²

2014 წელს კი გამოიცა მორიგი ნაშრომი რომელიც საქართველოში არსებულ შიდა კონფლიქტებს ეხება. საუბარია ბორის კვარაცხელიას ნაშრომზე: „რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი“) და საერთაშორისო თანამეგობრობა“. მასშიც გიორგი მაზნიაშვილი და ვილიკო ჯუღელი ქართული სამხედრო შენაერთების ხელმძღვანელებად არიან მოხსენიებულნი: „ოსეთში დაწყებული აჯანყების ჩასახშობად გა-

¹ დ. ჭუმბურიძე - ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს-ის დასაწყისში (1918-1921 წლებში), გამომცემლობა „მემატიანი“, 2003, გვ. 324.

² ს. ალექსია - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების კონფლიქტების ანატომია, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012, გვ. 153; ს. ალექსია - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები და მათი დარეგულირების პრობლემები, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013, გვ. 77.

იგზავნა საქართველოს შეიარაღებული ნაწილები გიორგი მაზნიაშვილისა და ვალიკო ჯუღელის მეთაურობით¹

მოდით ჯერ განვიხილოთ გენერალ გიორგი მაზნიაშვილის საკითხი. მისი დაკავშირება 1920 წლის ოსი ბოლშევიკების აჯანყებასთან უცნაურია, რადგან მას შეხება არ ჰქონია არც ამ და არც წინამორბედ აჯანყებებთან, რომლის ორგანიზატორებიც ოსი ბოლშევიკები იყვნენ. 1919 წელს გიორგი მაზნიაშვილი ინიშნება ახალციხე-ახალქალაქის გენერალ გუბერნატორად, ხოლო 1920 წლის ოქტომბრიდან გადადის თბილისის გარნიზონის უფროსად. შესაბამისად, 1920 წლის ივნისში განვითარებულ სამხედრო მოვლენებში მას მონაწილეობა არ მიუღია.

რაც შეეხება ვალიკო ჯუღელის საკითხს. ნაშრომების უმეტესობაში იგი მოხსენიებულია აყანჯების ჩახშობის მეთაურად, ხოლო როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატა გვიჩვენებს, „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“, სწორედ მას მიეწერება ცხინვალზე იერიშის მიტანაც. მოდით მივყვეთ მოვლენებს და წყაროებს.

1920 წლის ქართულ-ოსური დაპირისპირების საკვლევად გვაქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი წყარო. ერთი, ესაა საარქივო მასალა (ქართული და რუსული), მეორე, - აღნიშნული მოვლენების უშუალო ხელმძღვანელთა მოგონებები (საუბარია გიორგი კვინიტაძისა და ვალიკო ჯუღელის მოგონებებზე), გვაქვს ასევე მოვლენების თანადროული პრესაც, რომელიც ყოველდღიურად ქვეყნდებოდა და საინტერესო ინფორმაციის მიღება შეიძლება მისგან.

¹ ბ. კვარაცხელია - რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი“) და საერთაშორისო თანამეგობრობა, გამომცემლობა „ირიდა“, 2014, გვ. 77.

რაც შეეხება ვალიკო ჯუღელის მოგონებებს, ის თავადვე ამბობს, რომ მას ებარა მხოლოდ მარჯვენა ფლანგის ხელმძღვანელობა. ამასთან ერთად კი ამ ფლანგს დგებუაძე და კარგარეთელი ხელმძღვანელობდნენ.¹ ხოლო ცხინვალის აღება კი მოხდა არა მარჯვენა ფლანგის მიერ, რომელსაც ჯუღელი ხელმძღვანელობდა, არამედ ცენტრალური ფლანგის მიერ.² შესაბამისად, მხოლოდ ჯუღელის მოგონებებიც რომ ავიღოთ, უკვე კარგად ჩანს რომ ხელმძღვანელი ის არ ყოფილა და არც მას მოუხდენია შეტევა ცხინვალზე. იგივე ინფორმაციას გვაწვდის გიორგი კვინიტაძეც, რომელიც რეალურად იყო ქართული სამხედრო შენაერთების მიერ ოსი ბოლშევიკების აჯანყების ჩახშობის ხელმძღვანელი და ეს კარგად ჩანს მის მემუარებში, როდესაც ის ჯარის ხელმძღვანელობის საკითხის გადანაწილებასა და სტრატეგიის დაგეგმვაზე საუბრობს.³

კვინიტაძისა და ჯუღელის მოგონებები რომ შევაჯეროთ, ასევე გენშტაბის ოფიციალური ცნობებიც გავითვალისწინოთ, სამხედრო მართველობის გადანაწილება 1920 წლის ოსი ბოლშევიკების ჩახშობის დროს, ქართული მხრიდან ასეთი გამოდის: რაზმის ხელმძღვანელად დაინიშნა გენერალი კონიაშვილი, მთლიან ოპერაციას კი თვითონ კვინიტაძე ხელმძღვანელობდა. იქნებოდა მარჯვენა და მარცხენა კოლონა და ასევე ცენტრალური შემტევი ძალა, რომელიც ასევე ორ კოლონად, ცენტრალურ მარჯვენა და ცენტრალურ მარცხენა კოლონად დაიყოფოდა. ცენტრალურ კოლონებს ცხინვალის

¹ В. Джугели. Тяжёлый крест (Записки народногвардейца), „Типография Правительства“, 1920, ст. 229.

² იქვე, გვ. 229.

³ გ. კვინიტაძე – მოგონებები. საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921, წ. 1., გამომცემლობა „ლომისი“, 1998, გვ. 233.

აღება ჰქონდათ დავალებული. მარჯვენა კოლონის ხელმძღვანელებად ვალიკო ჯუღელი და ალექსანდრე დგებუაძე დაინიშნენ, ცენტრალურ მარჯვენა კოლონას გენერალი კონიაშვილი უხელმძღვანელებდა, მარცხენა კოლონას პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი, ხოლო ცენტრალურ მარცხენას, რომელსაც ყველაზე სუსტად აღიარებდა კვინიტაძე და მის ფუნქციად მხოლოდ მარცხენა კოლონასთან დაკავშირება მიანჩნდა, თავად კვინიტაძე ხელმძღვანელობდა. მარცხენა კოლონაზე ასევე მიმაგრებული იყო გვარდიის შტაბისა და დამფუძნებელი სათათბიროს წევრი ზაქარია გურული.

როდესაც ქართულმა სამხედრო ნაწილებმა ცხინვალი აიღეს, ამის შემდეგ გიორგი კვინიტაძემ ჯარის ხელმძღვანელებად გენერალი კონიაშვილი დატოვა, თვითონ კი თბილისში დაბრუნდა. ამის შემდეგ უკვე კონიაშვილი ატყობინებდა გვარდიის მთავარ შტაბს, მოვლენების განვითარების შესახებ.¹ შესაბამისად, ჯუღელი არც კვინიტაძის თბილისში დაბრუნების შემდეგ გამხდარა საბრძოლო ოპერაციის ხელმძღვანელი. რა თქმა უნდა, მისი როლი აღნიშნულ სამხედრო მოქმედებებში დიდი იყო და სამხედრო შტაბის სხომებზეც მას მნიშვნელოვანი სიტყვა ეთქმოდა, თან თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ოს ბოლშევიკებთან შეტაკებებში მხოლოდ სახალხო გვარდიის შენაერთები იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ მთავარი ხელმძღვანელი არ ყოფილა, როგორც ის სამეცნიერო ნაშრომებშია მოხსენიებული.

ძირითადი სამხედრო მოქმედებების დასრულების შემდეგ, როდესაც ქართულმა მხარემ აჯანყება ჩაახშო და სტრატეგიული ადგილები დაიკავა, ზედმეტი ვართულებების თავიდან ასაცილებლად იქ მაინც იყო მცირე რაოდენობით ჯარი, რომელიც მშვიდობას უზრუნველყოფდა. ამ სამხედრო

¹ გაზეთი „ერთობა“, 1920 წ., №133.

შენარეთებს კი, როგორც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში, კარლო ინასარიძის პირად არქივში, დაცული ცნობა იტყობინება, პოლკოვნიკი ინწკირველი ხელმძღვანელობდა. შესაბამისად, არც აჯანყების ჩახშობის შემდეგ დარჩენილა ვალიკო ჯუღელი ადგილზე ხელმძღვანელად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: ჩატარებული კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ ქართულ სამხედრო შენაერთებს ხელმძღვანელობდა გენერალი გიორგი კვინიტაძე და არა ვალიკო ჯუღელი, როგორც ეს აქამდე იყო დამკვიდრებული ქართულ სამეცნიერო პუბლიკაციებში. გენერალ ვალიკო ჯუღელს კი თავისი მნიშვნელოვანი როლი ეკავა 1920 წლის სამხედრო მოვლენების დროს, ოლონდ, როგორც მარჯვენა ფლანგის ხელმძღვანელს.

დამოწმებანი:

1. თოგოშვილი გ. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1969.
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.VI, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1972.
3. ჭუმბურიძე დ. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს-ის დასაწყისში (1918-1921 წლებში), თბილისი, გამომცემლობა „მემატიანე“, 2003.
4. ალექსია ს. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების კონფლიქტების ანატომია, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012.
5. ალექსია ს. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები და მათი დარეგულირების პრობლემები, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2013. ელ ვერსია:

http://www.old.bsu.edu.ge/humanities/upload/sadoqtoro_sulxan_aleqsaia_2013.pdf (ბოლო ნახვა 25.10.2015).

6. კვარაცხელია ბ. რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ (აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი“) და საერთაშორისო თანამეგობრობა, გამომცემლობა „ირიდა“, 2014 წ.
7. გაზეთი „ერთობა“, 1920 წ., №133.
8. კვინიტაძე გ. მოგონებები, თბილისი, „ლომისი“, 1998, წ. 1.
9. ლორთქიფანიძე გრ. ფიქრები საქართველოზე, თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1995.
10. Джугели В. Тяжёлый крест (Записки народногвардейца), Тифлиси, “Типография Правительства”, 1920.
11. Борьба за победу Советской власти Грузии: Документы и материалы (1917-1921гг.), Тбилиси, “Сабчота Сакарт-вело“, 1958.
12. ბახტაძე უ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1968.
13. ბენდიანიშვილი ალ. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბილისი, „მემატთანე“.
14. ბლუაშვილი უ. ქართულ-ოსური კონფლიქტი: ვინ და რატომ დაიწყო იგი?, თბილისი, „ცის ნამი“, 2005.
15. ვადაჭკორია შ. დამოუკიდებელი საქართველო და რუსეთის აგრესიული პოლიტიკა 1918-1921 წლებში, თბილისი, „საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის კარტოგრაფიული ცენტრი“, 2010.
16. ვადაჭკორია შ. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), თბილისი, „მემატთანე“, 2003, წიგნი 1.

17. ვადაჭკორია შ. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), თბილისი, „მემატიანე“, 2006, წიგნი 2.
18. ვადაჭკორია შ. ოსური მითი და ქართული სინამდვილე (პასუხად ოს ისტორიკოსებს), თბილისი, გამომცემლობა „საგამომცემლო სახლი ქართული ელიტა“, 2012.
19. თოიძე ლ. როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბილისი, „მეცნიერება“, 1991.
20. ითონიშვილი ვ. უცხოტომელთა ავაზაკობა საქართველოში, თბილისი, „მემატიანე“, 2005.
21. ითონიშვილი ვ. ქართველთა გოდება გაპარტახებულ სამშობლოში, თბილისი, „მემატიანე“, 2007.
22. მენტეშაშვილი ა. ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში, კრებული: ოსთა საკითხი, თბილისი, „პითაგორა“, 1996.
23. მენტეშაშვილი ა. სამხრეთ ოსეთის 1920 წლის მაის-ივნისის შეიარაღებული აჯანყება, გაზ. „სახალხო განათლება“ 1989, №95.
24. ჟორჯოლიანი გ. თოიძე ლ. ლეკიშვილი ს. მატარაძე ლ. ხომტარია-ბროსე ე. ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკური ასპექტები და მისი მოგვარების გზები, თბილისი, „სამშობლო“, 1992.
25. საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეებში, თბილისი, „პალიტრა L“, 2012, ტ. IV.
26. სონღულაშვილი ა. სამხრეთ ოსეთი საქართველოში?!, თბილისი, „უნივერსალი“, 2009.
27. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, „სამშობლო“, 1991.
28. ხუციშვილი ნ. შიდა ქართლი-ისტორია და თანამედროვეობა (საარქივო დოკუმენტები გვამცნობენ. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990, 20 იანვარი.

Manuchar Guntsadze

Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts

**THE ISSUE OF GEORGIAN COMMAND OFFICER AT
THE TIME OF OSSETIAN BOLSHEVIKS REBELLION,
1920 (IN GEORGIAN HISTORIOGRAPHY)**

RESUME

Critical studies about First Georgian Democratic Republic, in Georgian scientific discourse, took place from the 90ies of twentieth century. One of the significant issue was Georgian-Ossetian relations and the beginning of the uprising in Shida Kartli. The conflict became rather complicated in 1920 that was abolished by Georgian army. In order to study the conflict and military actions crucial factor is the leader of the army, who made decisions. From the soviet historiography till the last decade it was considered that Valiko Jugeli was the Leader of Georgian army in above-mentioned conflict. According to my research that is based on various historical sources it revealed that Giorgi Kvinitadze was the figure who made decisions and lead the army throughout the conflict.

ზურაბ თარგამაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ისტორია და სოციალური მეცნიერება¹

დღეს ისტორიულ მეცნიერებაზე საუბარი, მისი სოციალურ მეცნიერებასთან გაიგივების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა.² აზრთა მრავალფეროვნების მიუხედავად, რაიმე კონკრეტული პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩვენთან არ არის ჩამოყალიბებული და საერთოდაც აქ მსჯელობის თეორიული ფორმატი ნაკლებად არის გაზიარებული. სამწუხაროდ, ხშირადის დასავლური სამეცნიერო აზრისა და საზოგადოების ინტერესების სფეროდ (ერთგვარ სიმპტომად) უფრო განიხილება, ვიდრე ქართულის.

საკითხის ჩვენეული დასმა, ამჯერად სულაც არ ითვალისწინებს კონკრეტული დეფინიციის შემუშავებას. პირიქით, ამ შემთხვევაში ჩვენთვის ის განსხვავებული აზრების გაცვლისა და გაცნობის შესაძლებლობის გამოყენება უფროა.

გვინდა თავიდანვე აღვნიშნოთ ისიც, რომ, რა თქმა უნდა, არ გვსურს და, შესაბამისად, არც ვცდილობთ ვისარგებლოთ არსებული გაურკვევლობებით და კიდევ უფრო დავამ-

¹სტატია არის ნაწილი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2014 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსით დაფინანსებული პროექტისა (DO/351/1-10/14) ქართველთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები (მე-18 საუკუნე)

²P. Abrams, Historical sociology, Cornell University Press, 1982, pp. 353.

ძიშოთ ის დასავლელი მკვლევრების იდეების ჩვენეული ინტერპრეტაციებით. ასევე სრულიად არ ვიზიარებოთ სხვათა გამოცდილებების პირდაპირ გადმოღების ტენდენციას (მით უფრო, მეცნიერული აზრისას). პირიქით, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მათი სათანადო გადააზრების გარეშე ქართულ სინამდვილეზე მორგების უსარგებლო მცდელობების თავიდან აცილების სურვილი გვიბიძგებს ამ მოსაზრებათა შინაარსში უფრო ღრმად გარკვევისაკენ.

სტატიაში განხილულია ისტორიის პროფესიონალიზაციის საკითხები. ჩვენი აზრით, ყველაზე ნათლად, სწორედ ისტორიის პროფესიონალიზაციის ეტაპებზე დაკვირვება წარმოაჩენს ისტორიისა და სოციალური მეცნიერებების ურთიერთმიმართების თავისებურებებს. სტატიაში ასევე განხილულია მეცნიერული ისტორიის თანამედროვე გამოწვევები ნაციებისა და ნაციონალიზმის განვითარების ფონზე.

I

ბუნებრივია, შეუძლებელია ისტორიის პროფესიონალიზაციის ყველა საკითხის ერთი სტატიის ფაგრლებში განხილვა, თუმცა ვეცდებით ძირითადი მომენტები, რომლებიც ყოველ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ყველაზე უკეთ წარმოაჩენს საკითხის თავისებურებას, შეძლებისდაგვარად მიმოვიხილოთ.

ისტორიის პროფესიონალიზაციის პროცესი (და არა მარტო ისტორიისა) დასავლეთში მიმდინარეობდა, იმ სოციალური გარდაქმნების პარალელურად, რომელსაც სათავე დაუდო განმანათლებლობამ. შეიძლება ითქვას, რომ ის პირდაპირ იყო დაკავშირებული ახალი ამოცანების ეფექტიანად გადაჭრის მცდელობებთან.

პირველი ნიშნები ისტორიისა და სოციალური მეცნიერების დაპირისპირებისა ჩნდება მაშინ, როდესაც ტრადიციული ისტორიული საკითხების გვერდით იწყებენ სამოქალაქო საზოგადოებებისა და მასთან დაკავშირებული სისტემების ანალიზის¹. ეს პროცესი ხასიათდებოდა იმით, რომ ისტორიული სინამდვილის განვითარებაში მკვლევრები ხედავდნენ (ან ცდილობდნენ, რომ დაენახათ) გარკვეული ობიექტური კანონზომიერებები. მსჯელობისას, თეორიული დისკურსის სიჭარბის გამო, ახალი ანალიტიკური სტანდარტის დამამკვიდრებლებს, ე.წ. სოციოლოგ-ისტორიკოსებს, ამავე დროს, „ფილოსოფოს ისტორიკოსებადაც“ იხსენიებდნენ.²

მათი სურვილი, ისტორია ჩაეყენებინათ მეცნიერების სამსახურში, დამოკიდებული იყო, ზოგადად ცოდნის, საზოგადოებისათვის სასარგებლო ცოდნად გადაქცევის პროცესის მიმდინარეობაზე და, ამდენად, ეხმიანებოდა ახალ საზოგადოებრივ გამოწვევებს. საჭირო იყო ისტორიული კვლევის ახალი, უფრო სრულყოფილი სტანდარტის დამკვიდრება (რომლის გაზომვაც და, შესაბამისად, შემოწმებაც შესაძლებელი იქნებოდა). ამგვარად, უარყვეს რა ტრადიციული ომისა და პოლიტიკის თემა, ახალი მიმართულების მკვლევრები შეუდგნენ სოციალური ისტორიის საკითხების შესწავლას. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მათ შორის ის ისტორიკოსებიც (ტრადიციული ფორმატის მიმდევრები), რომლებიც შორს იდგნენ თეორიისაგან, ვერ უვლიდნენ გვერდს მის გამოყენე-

¹ ამ პერიოდის ნაშრომებიდან საინტერესოა: მონტესკიეს „კანონთა გონი“ (1748), ფერგიუსონის „ნარკვევები სამოქალაქო საზოგადოების ისტორიისათვის (1767) და ა.შ.

² კ. ბერკი. ისტორია და სოციალური თეორია; ლოსგოს პრესი; თბილისი, 1992, გვ. 222

ბას: ხელოვნების, ვაჭრობის, იურისპრუდენციის და წეს-ჩვეულებათა განვითარების საკითხების¹ გარკვევისას.²

მიუხედავად ამისა, ისტორიის პროფესიონალიზაციის პერიოდის პირველ ეტაპზე, XIX საუკუნის შუა ხანებისათვის, რანკეს ისტორიის თეორია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ისტორიის კვლევის მიმართულებაზე და პრაქტიკულად გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს. შეიძლება ითქვას, რომ ის, თუმცა არ უარყოფს სოციალურ ისტორიას, თავიდან ამკვიდრებს ძველი, პოლიტიკის ისტორიის სტანდარტს. მიმდინარე პროცესი განსაზღვრული იყო, იმ დროს არსებული ვითარებით, რაც გულისხმობდა (ყოველ შემთხვევაში ევროპაში) ისტორიის, როგორც ეროვნული ერთიანობის, მიღწევის საშუალებად დასახვას. სახელმწიფოსა და ისტორიკოსებს შორის არსებული მჭიდრო კავშირები, არა მხოლოდ ფინანსური საკითხების მოგვარებით შემოიფარგლებოდა, არამედ უშუალოდ სწავლების პროცესში³ ჩარევასაც გულისხმობდა. როგორც აღვნიშნეთ, ამას განაპირობებდა პოლიტიკური ინტეგრაციისა და პროცესების ლეგიტიმაციის სურვილი.⁴

გარდა ამისა, ეს პროცესი გამოირჩეოდა იმითაც, რომ ამ დროს (რანკესა და მისი მიმდევრების გავლენით) იხვეწე-

¹კარგი მაგალითია ვოლტერის „ნარკვევი წეს-ჩვეულებათათვის“ (1756); გიბონის „რომის იმპერიის დაცემა და აღსასრული“ (1776-88) და ა.შ.

²პ. ბერკი ისტორია და სოციალური თეორია, გვ. 222

³ამ აზრით, საინტერესოა ქართლ-კახეთის მაგალითიც, როდესაც ერეკლე მეორისა და ანტონ კათალიკოსის მიერ შექმნილ სკოლებში ასწავლიდნენ საქართველოს ისტორიას (იხ. აპ. როგავა „სახალხო განათლება ერეკლეს მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი“ 1950).

⁴P. Lambert P. Schofield. **Making History** An introduction to the history and practices of a discipline; London and New York 2004; p. 310.

ბა და ყალიბდება ისტორიის კვლევის წყაროთმცოდნეობითი მიმართულება, რის განვითარებასაც ხელს უწყობდა ახლად შექმნილ სამეცნიერო ინსტიტუტებში მიმდინარე ინტენსიური კვლევები და ისტორიის სწავლების ჩართვა საუნივერსიტეტო პროგრამებში.¹ ე.წ. რანკეანელების მიერ „სოციალური ისტორია“ მიჩნეული იქნა არაპროფესიონალურად, ძირითადად იმიტომ, რომ ის გულისხმობდა ხალხის ისტორიას, პოლიტიკის გამოკლებით.² ეს იყო ერთგვარი რეაქცია და პასუხი მიმდინარე პროცესზე. ამდენად, იმ პერიოდის ისტორიული კვლევები, ისტორიულ მასალათა დამუშავების ტექნიკის ფლობის დემონსტრირებასთან ერთად, უპირველესად საკუთარი თავის ძიებასაც გულისხმობდა.

ერთი შეხედვით, იმ ეპოქისათვის საუკეთესო გამოსავალი მოგვიანებით ახალი დისკუსიისა და კამათის საფუძველი გახდა. როდესაც მკვლევრებმა, რომლებიც უფრო მეტად დაკავებულნი იყვნენ (არიან) ისტორიული მასალების ტექნიკური ანალიზით, დაიგროვეს რა საკმარისი გამოცდილება და ცოდნა, გაუჩნდათ სურვილი საკუთარი საქმიანობის მნიშვნელობისა და განსაკუთრებულობის ხაზგასმისა, უპირველესად, დისტანცირებისათვის სოციალური მეცნიერებისაგან. მოკლედ, რანკედან მოყოლებული ისტორიისა და სოციალური მეცნიერების დაპირისპირების საკითხი სრულიად ახალ ფაზაში გადადის. ეს ფაზა გამოირჩეოდა რადიკალური დამოკიდებულებებით ორივე მხრიდან.³

სოციალური მეცნიერებების ისტორიულ-ფილოსოფიური საფუძველი იყო ის, რის დაძლევასაც, ერთი მხრივ, თავად

¹P. Lambert P. Schofield. **Making History...** p. 310.

²კ. ბერკი ისტორია და სოციალური თეორია, გვ. 222.

³მ. ჩხარტიშვილი ისტორიული მეცნიერების შესავალი; თბილისი; უნივერსალი, 2009, გვ. 133

ეს დარგი, როგორც მეცნიერული მიმართულება, ცდილობდა, და, მეორე მხრივ, ისიც, რაც ისტორიისა და სოციალური მეცნიერებების კვლევის საერთო ობიექტსაც განსაზღვრავდა. თითქმის ყველა, ვინც მოღვაწეობდა ამ მიმართულებებში, ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობდა დისკუსიაში. ფაქტია, რომ დაპირისპირება მნიშვნელოვნად იყო განპირობებული, ზოგადად, მეცნიერებების პროფესიონალიზაციის პროცესით. ისინი უბრალოდ ცდილობდნენ საკუთარი, დამოუკიდებელი ადგილის დამკვიდრებას მეცნიერებაში. და ამდენად, თუ მათ შორის მაინც აღმოჩნდებოდა იმაზე მეტი საერთო, ვიდრე განმასხვავებელი ნიშანი, ბუნებრივია, გაუგებარი იქნებოდა პრეტენზიები დამოუკიდებლობის შესახებ. ეს იყო ერთგვარი შეჯიბრი, რაც საბოლოო ჯამში გადაიზარდა ისეთ გაუგებრობაში, რომლის წარმოშობის საფუძვლებში ჩახედვის გარეშე შეუძლებელია პრობლემის არსში გარკვევა.

საბოლოოდ გამოვიდა ისე, რომ იმ ფორმატში რომელშიც თანამედროვე მეცნიერული სტანდარტები ჩამოყალიბდა, მეცნიერების ყველა მიმართულებამ რაღაც ისესხა ისტორიისაგან. აბსოლუტურად ყველა სფერო (პროფესია) ადამიანური შემოქმედებისა, ამ აზრით, დავალებულია მისგან. ამათუ იმ სფეროში პროფესიონალიზაცია, ამავე დროს განისაზღვრება კონკრეტული დარგის ისტორიის, ანუ მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხების ცოდნის ღონითაც (თუმცა ამდაგვარი დამოკიდებულება ისტორიისადმი ავიწროვებს მის ნამდვილ მნიშვნელობას). მიუხადავად ამისა, გაცხადებული პრეტენზია დამოუკიდებლობის შესახებ, აიძულებდა მათ, ამ შემთხვევაში სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლებს ვგულისხმობთ, არათუ გამიჯვნოდნენ ისტორიას, არამედ საერთოდ უარეყოთ ის, როგორც მეცნიერება (მაგრამ ამავე დროს საკუთარ კვლევებში ავლენდნენ დიდ ინტერესს

წარსულის ცოდნისადმი). თავის მხრივ, გრძნობდნენ რა საკუთარ მნიშვნელობას, არც ისტორიკოსები გამოირჩეოდნენ კონსტრუქციულობით.¹

XX საუკუნის დასაწყისი ,XIX საუკუნისაგან განსხვავებით გამოირჩეოდა იმით, რომ სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლებმა საერთოდ უარი თქვეს წარსულზე. თუმცა ამას აქვს ერთგვარი ახსნაც, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ პერიოდში სოციალური მეცნიერებების ცენტრი ხდება ამერიკა, სადაც ევროპისაგან განსხვავებით წარსულს შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, მაშინ გასაგებია ეს ტენდენციაც.² ასეთი მდგომარეობა კიდევ უფრო უწყობდა ხელს ამ მიმართულებებს შორის უფსკრულის გაღრმავებას. ზოგადად ისეთი სპეციფიკურ კვლევებში, რასაც სოციალური მეცნიერებების შინაარსი ითვალისწინებს, ისტორიული წარსულის უარყოფა, ცალსახად მისი ნაკლი უფროა ვიდრე პირიქით, ვინაიდან ნებისმიერი სოციალური ფორმა და შინაარსი თანამედროვეობაში არსებობს გარკვეული ისტორიულ-კულტურული გამოცდილების გათვალისწინებით.

სოციალური მეცნიერებების მესვეურთაგან განსხვავებით, სხვა სტრატეგია აირჩია ზოგიერთმა ისტორიკოსმა (მაგ. კ. ლამბრეხტი; ფ.ჯ. ტერნერი). მათ წამოაყენეს იდეა, რაც გულისხმობდა ისტორიის, როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური მეცნიერების გაგებას, რომელსაც უნდა ეკვლია კოლექტივები და არა ინდივიდები. ამისათვის კი მას უნდა ესესხა ზოგიერთი რამ მომიჯნავე, მათ შორის, სოციალური მეცნიერებებისაგან. ახალი ისტორიისათვის ბრძოლა XX საუკუნის ოციან წლებში გამოხმაურებას ჰპოვებს საფრანგეთში. მ.

¹პ. ბერკი ისტორია და სოციალური თეორია, გვ. 222.

²იქვე.

ბლოკისა და ლ. ფევრის სახით ¹. და თუმცა ისტორიისა და სოციალური თეორიის დაპირისპირების საკითხი ამით თითქოს უნდა მოხსნილიყო დღის წესრიგიდან, ფაქტია, რომ კონფლიქტი ბოლომდე ამოწურული ნამდვილად არ არის და ის გრძელდება დღესაც.

ტრადიციულად მიღებული მოსაზრების თანახმად, სოციალური მეცნიერება უფრო ზოგადი წესების ფორმულირებისაკენ არის მიმართული, ხოლო ისტორია კონკრეტული ისტორიული გარემოებების დადგენისაკენ. ამ შემთხვევაში, ის, რასაც ტრადიციის მიმდევარი ისტორიკოსები ისტორიის დადებით მხარედ მიიჩნევენ, იმავდროულად მისი ნაკლიც არის. ამას კარგად აჩვენებს თანამედროვე პროგრესირებადი სამყარო, სადაც სტატიკური პრაქტიკულად არაფერია. შესაბამისად, თუ ცოდნა, რომელსაც ისტორიული მეცნიერება მოიპოვებს, მხოლოდ პირდაპირი და პრაქტიკული გაგებითაა მნიშვნელოვანი, თანამედროვე პროგრესის ტემპების გათვალისწინებით, სასარგებლოსთან ერთად, ძალიან მალე შეიძლება გახდეს გამოუსადეგარიც. გარდა ამისა, ისტორიული მეცნიერების ამოცანებში, როგორც ისტორიის პროფესიონალიზაციის საკითხებზე დაკვირვება წარმოაჩენს, ყოველთვის იდგა პრაქტიკული ამოცანების გადაჭრასთან ერთად თეორიული საკითხებიც.

საქმე ისაა, რომ XVIII საუკუნეში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებამ, დისკუსია ისტორიის გარშემო, თავისთავად მიიყვანა თეორიული მსჯელობების გაზიარების აუცილებლობამდე, ვინაიდან, ამჯერად შესასწავლი საგანი, თავისი არსით, განსხვავდებოდა ისტორიული გაგების ტრადიციული ობიექტებისაგან. ვგულისხმობთ იმას, რომ სამოქალაქო საზოგადოებებისა და ერი-სახელმწიფოების ფორმირებამ კლა-

¹მ. ჩხარტიშვილი ისტორიული მეცნიერების შესავალი... გვ. 133

სობრივი და ზოგადი პოლიტიკურ-ეკონომიკური სურათის ცვლილების გარდა, გამოიწვია შიანარსის ცვლილებაც. კერძოდ, ადამიანის გაგებამ, სოციალიზაციის თვალსაზრისით, ანუ იმის მიხედვით, თუ რამდენად ითვისებს ის გარკვეულ გამოცდილებასა და წესებს, მოითხოვა ამ წესებისა და გამოცდილებების შესწავლაც. ეს გულისხმობდა იმას, რომ ისტორიული გადმოცემა, რომელიც ილექებოდა ტექსტებში, უნდა გამხდარიყო მეცნიერული შემეცნების ობიექტი. ისტორიის პროფესიონალიზაციის ანუ მეცნიერული ისტორიის ფორმირებაც სწორედ ამდაგვარი ამოცანების გადაჭრას ისახავდა მიზნად.

II

თანამედროვე ეპოქაში ისტორიის შესახებ მსჯელობა შეუძლებელია კოლექტიური იდენტობების ეროვნული არსის გათვალისწინების გარეშე. ერის შიანარსი და მისი სოციალური ფორმაც ეფუძნება ინდივიდის მიერ საერთო ისტორიულ მახსოვრობას (საერთო წარსულის), როგორც გარკვეული სისტემური და სტრუქტურირებული ცოდნის პრინციპს. მეორე მხრივ კი, თანამედროვე გლობალური სამყარო თავისი გამოწვევებითა და ტენდენციებით თავდაყირა აყენებს აქამდე მიღებულ ყველა მოსაზრებასა და შეხედულებას ერებისა და ეროვნული იდეოლოგიების შესახებ. ერთი მხრივ, ეს განპირობებულია თანამედროვე საბაზრო სტანდარტთან ეროვნული, ანუ განსხვავებული, გამოცდილების არსებობის შეუთავსებლობით და, მეორე მხრივ, თავად ადამიანის ცნობიერებაში სამეცნიერო ტექნოლოგიური რევოლუციების (რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ფაქტორია გლობალიზაციისა) შედეგად ჩამოყალიბებული საყოველთაო, გლობალური კულტურის

ელემენტებით გაჯერებული ღირებულებათა სისტემით. თუმცა ფაქტია ისიც, რომ ეროვნული ცნობიერების გადალახვისათვის საკმარისი საფუძველი თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური და პოლიტიკურ-ეკონომიკური გლობალური ფორმატი საკმარისი არ არის.

ამდენად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე მეცნიერული ისტორიის კვლევის ობიექტი, მისი საკვლევი საგნის ფორმა და შინაარსი მნიშვნელოვნად განსაზღვრა, ერთობის, როგორც ერთგვარი კოლექტიური კულტურული ფენომენის გაგება, რომელიც ხასიათდება განსაკუთრებული სენტიმენტების არსებობით ჯგუფის წევრებს შორის.¹ თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომელიც სოლიდარობის არსებულ გაგებას, როგორც ერთიანობის შეგნების საფუძვლის განმარტებას (რაშიც არსებითად მასების მიერ საკუთარი თვითიგიურობის განცდის სუბიექტივისტური მოტივი იგულისხმება), ეწინააღმდეგება. ამ მოსაზრების მიხედვით, სოლიდარულობა ცნობიერ გადაწყვეტილებას ეფუძნება და ადამიანის მიერ გააზრებად აქტს წარმოადგენს. ამდენად, ის შეუძლებელია იყოს ემოციურ-სუბიექტივისტური განცდა.²

სოლიდარობის იმ ფორმის მიღწევა, რომელსაც მკვლევრები ნაციონალური იდენტობების ქვეშ გულისხმობენ, ცალსახად დაკავშირებულია ერთობის წევრებს შორის კომუნიკა-

¹ე. დ. სმითი. ნაციონალური იდენტობა; თბილისი; ლოგოს პრესი 2008, გვ. 278.

²გ. თევზაძე ქართველი ერის დაბადება. იდენტობა და იდეოლოგია. პოლიტეატური და სოციეტალური იდენტობები. ეროვნულობა და რელიგიურობა; ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები; თბილისი; ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2009, გვ. 5-28.

ციის დამყარების შესაძლებლობასთან¹. დემოკრატიზმის პრინციპების დანერგვა, ე.წ. ბეჭდური კაპიტალიზმის გაჩენა და საჯარო განათლების სისტემის ფორმირება, იყო ტექნიკური ხელშეწყობა ერთობის ყველა წევრისათვის, დაეფუძებინა საკუთრებითი (კერძობითი) განცდა (აბსოლუტური უფლება): ტერიტორიის, ეროვნული სიმდიდრის (ეკონომიკის), პოლიტიკის, განათლების, წარსულის (ისტორიის), მომავლის და ზოგადად კულტურისადმი.

ისტორიული მეცნიერება, ზემოთ აღწერილი სოციალური გარდაქმნების ფონზე, თანამედროვე საზოგადოებრივი მოთხოვნების კვალდაკვალ ვითარდებოდა. კვლევისათვის ამდგარი ამოცანების დასახვამ, ანუ საზოგადოების, მისი აზროვნების (მსოფლმეხდველობის) სოციალური შინაარსის ისტორიულ კონტექსტში აღწერის აუცილებლობამ, განსაზღვრა თანამედროვე კვლევების ინტერდისციპლინური ფორმა და ხასიათი. ისტორიკოსთა მხრიდან სოციალური თეორიების გამოყენების მაგალითებიც ამის დასტურს წარმოადგენს და თი-

¹ეს დამოკიდებულება., რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს გაცილებით ადრეულ პერიოდშიც ერთობის წევრებს შორის გარკვეული კომუნიკაციის არსებობის შესაძლებლობას. სხვა შემთხვევაში შეუძლებელიც იქნებოდა და ალბათ არც არავინ მიიღებდა ძალით თავს მოხვეულ იდეოლოგიას. საქმე ისაა, რომ ერთობის ნაციონალური ფორმირება გულისხმობს ისტორიულ-კულტურულ მნიშვნელობათა საყოველთაოობისა და განსაკუთრებულობის აღიარებას ერთობის ყველა წევრის მიერ, აბსოლუტური თანასწორობის პირობებში. სწორედ ამ საყოველთაოობისა და თანასწორობის მიღწევის შესაძლებლობისათვის ობიექტური საფუძვლების უფრო ადრე არ არსებობის გამო, ვგულისხმობთ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს, მოიაზრებენ ეროვნული კონსოლიდაციის პერიოდად დასავლეთში XVII-XVIII საუკუნეებს. საქართველოში კი XIX საუკუნის მეორე ნახევარს (იხ. ჩხარტიშვილი, მანია ქართველთა კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში: *ივერია* და მისი მკითხველი საქართველო; ნაწ. I.; უნივერსალი, 2011).

თქოს, ერთი შეხედვით, ამ ახალი მოძრაობის სახით სახეზე გვაქვს ისტორიულ მეცნიერებაში მიმდინარე ძირეული დისციპლინარული ცვლილებების პროცესი, სინამდვილეში კი თანამედროვე ყოფა და მისი შინაარსი კიდევ ერთხელ აჩვენებს იმას, რაც ისედაც იგულისხმებოდა ისტორიული კვლევის შინაარსში.

გაურკვეველი მდგომარეობა, უფრო სწორედ, ინფორმაციული სიჭარბე მკვლევრებს აიძულებთ ხელახლა დასვან შეკითხვები მეცნიერული ისტორიის რაობის შესახებ. უმთავრესი კითხვა, რომელიც იბადება, არის ის, თუ როგორ უნდა განვსაზღვროთ დღეს, ისტორიის, როგორც ისტორიული მეცნიერების, შინაარსი? სადავო არ არის ის, რომ ისტორიული მეცნიერების მთავარი ამოცანა ისტორიული სურათის რეკონსტრუქციაა, წინასწარ დადგენილი სამეცნიერო სტანდარტის მიხედვით ¹.

¹ ისტორიული მეცნიერების სოციალური შინაარსს განსაზღვრავს სწორედ ის, რომ ის გულისხმობს ადამიანური შემოქმედების ყველა სფეროს გამოცდილების აღწერის შესაძლებლობას. ბუნებრივია, თუ ჩვენ მას ამ პოზიციიდან შევხედავთ, მისი შესწავლის ობიექტის შინაარსიდან გამომდინარე, საგულისხმებელია და სრულიად ბუნებრივიც, ამავე დროს გარკვეული სოციალური თეორიის არსებობა მასში. მით უფრო მაშინ, როცა სოციალური თეორიის დეფინიცია თავისთავად სრულიად არ გულისხმობს კონკრეტული კონცეპტუალური სისტემის არსებობას. ის შეიძლება გავიგოთ, როგორც ზოგადთეორიული ხასიათის მიდგომა. ამით განსხვავდება ის სოციოლოგიური თეორიისაგან. ამდენად გამოდის, რომ ისტორიის სოციალური შინაარსი, ანუ ის, რომ ის თავად ასახავს სოციალურ ურთიერთობათა ფორმას წარსულში, სოციალური თეორიის არსებობას მისთვის, როგორც კვლევითი, მათ შორის, წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისითაც, აუცილებელი შესაძლებლობაა, რომელიც თავისთავად უნდა იგულისხმებოდეს მასში და უხერხულობა, რომელსაც ამ ტერმინების ერთდროულად გამოყენება იწვევს პირობითია. ამ აზრით, თავად ისტორია არის სოციალური მეცნიერება.

რა შეიძლება ვიგულისხმობთ, ისტორიული კვლევის დროს, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში: კონკრეტული ისტორიული პერსონაჟის, ისტორიული ფაქტის არსებობის დადასტურება, თუ მთლიანი კულტურულ-ისტორიული გარემოს რეპრეზენტაცია? ბუნებრივია, კითხვაზე პასუხი ცალსახაა და ეს ის შემთხვევაა, როდესაც კითხვის ორივე ნაწილისათვის, მხოლოდ ერთი დადებითი პასუხი არსებობს. უნდა ითქვას ისიც, რომ თავად ეს დისკუსიაც კი დასმული შეკითხვების დონეზე (ისტორიული მეცნიერების პროფესიონალიზაციის პირველ ეტაპზე წამოჭრილი კითხვებთან მსგავსებით), ამტკიცებს არსებული საზღვრების სიმბოლურობას.

უნდა ითქვას ისიც, რომ ზემოთ დასმული კითხვის პირველი ნაწილის, კონკრეტული ისტორიული ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით, რომ ის ასევე აუცილებლად გულისხმობს საზოგადოებრივი აზრის სუბიექტივისტური მოტივებისა და მისი ემოციური საფუძვლის განსაზღვრასაც. უფრო მეტიც, თუ ჩვენ ისტორიულ პერსონაჟებსა და ფაქტებს განვიხილავთ კონკრეტული ისტორიულ-კულტურული გარემოს ფარგლებში, დავინახავთ, რომ ისტორიული სურათის რეპრეზენტაცია ამ ფაქტორების გათვალისწინების გარეშე არასრული იყო. ეს განსაზღვრავს ისტორიული კვლევის ერთგვარ ინტერპრეტივისტულ (ჰუმანიისტურ) სტანდარტს. ეს აერთიანებს მას სოციალურ მეცნიერებასთან და ზოგიერთი მოსაზრების თანახმად აქცევს მას სოციალურ, ან მასზე დამოკიდებულ მეცნიერებად (დავაზუსტებთ იმას, რომ სოციალურში ჩვენ სრულებით არ ვგულისხმობთ ზოგადად მეცნიერების საზოგადოებრივ დანიშნულებასა და ფუნქციას, არამედ სოციალური შინაარსის, სოციალური თეორიის მეშვეობით, ცოდნის გადმოცემის შესაძლებლობას).

საზოგადოებრივი გარდაქმნების (რისი გამოწვევი მიზეზების, ისტორიულ კონტექსტში გააზრებაც, როგორც აღვნიშნეთ, სრულიად განსხვავებულ სურათს იძლევა, საპირისპიროდ იმ შეხედულებებისა, რომელთა მიხედვითაც საზოგადოებრივი პროცესების წარმმართველი, უმთავარესი ინდიკატორი კაპიტალი და ეკონომიკური ფაქტორებია) ფონზე შეიცვალა ისტორიული სტანდარტიც, ე.წ. ისტორიის გადმოცემის ფორმა.¹ ამას ადასტურებს გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან, ისტორიულ კვლევებში რაოდენობრივი მეთოდების დამკვიდრებაც. ე.წ. კლიომეტრიული კვლევები, ისტორიული ნარატივის კვლევის მიღებულ სტანდარტსაც კი უგულვებელყოფდა.² ასეთი მიდგომები ცალსახად ააშკარავენ გარკვეული უკმარისობის შეგრძნებასა და სიანხლის ძებნის არსებულ სურვილს თავად ტრადიციების მიმდევარ ისტორიოსთა შორისაც ³.

III

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არსებული დაპირისპირება მომდინარეობს ე.წ. დემოკრატიული მოძრაობების წარმოქმნისა და ნაციონალიზმის იდეების განვითარების შე-

¹ლ. სთოუნი. ნარატივის აღორძინება...; კრ. ისტორიის შესახებ; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისი 2010; გვ. 93-105.

²რ. უ. ფოგელი მეცნიერული ისტორია და ტრადიციული ისტორია; კრ. ისტორიის შესახებ; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისი 2010; გვ. 87-93.

³ერი სახელმწიფოების ფორმირება, დემოკრატიზმის პრინციპები და განსაკუთრებით სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციები (რისი თავდაპირველი და უმთავრესი მიზანაც, ადამიანური კეთილდღეობის მიღწევა იყო), დღეს გვესახება, როგორც გარკვეული ლიბერალურ-კაპიტალისტური სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების და ასევე მისი წევრების ინდივიდუალურ, წმინდა გამოყენებით და რაოდენობრივ მოტივაციებსაც (ეს განსაზღვრავს სამეცნიერო საისტორიო მწერლობის ახალ სტანდარტსაც).

დეგად გამოვლენილი ახალი შინაარსების ანალიზისა და მის გადმოცემის ფორმების შესახებ არსებული აზრთა სხვადასხვაობიდან. ერთი მხრივ, ეს მოძრაობა გულისხმობდა ეროვნულ კონსოლიდაციას, თუმცა, მეორე მხრივ, ის მიმდინარეობდა მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკურ-კლასობრივი დაპირისპირებების ფონზე. დაპირისპირების არსის გარკვევისას აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ რამდენიმე გარემოება. პირველ რიგში ის, რომ დაპირისპირების არსებობა, ერთის მხრივ, თუნდაც მხოლოდ იმისათვის იყო აუცილებელი, რომ ახალი მოძრაობის პოლიტიკური მიზნები გაემართლებინა. მეორე, იდეოლოგიურ თეორიული საკითხები გახლდათ, რომლებიც არსებითად გამორიცხავდა ფუნდამენტური მომენტების გარშემო ერთობის აბსოლუტურ ერთიანობას, (უპირველეს ყოვლისა, დაპირისპირებულ მხარეთა ლიდერებს შორის). მესამე და, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო ფუნდამენტური, წარსულის კულტურულ-ისტორიული შინაარსის ახლებურად გააზრების აუცილებლობა იყო. სწორედ ეს მესამე მომენტი ის, რაც საფუძვლად ედება დისკუსიას ისტორიის შესახებ.

აშკარა იყო, რომ ახალი მოძრაობის სოციალური, უფრო ზუსტად კი, რელიგიური, სამეცნიერო, პოლიტიკური და ზოგადად კულტურული ხასიათი, რაშიც უნდა გამოვლენილიყო ძირითადი სხვაობა ახალსა და ძველს შორის, მთითხოვდა ისტორიკოსისაგან, ისევე, როგორც სხვა მიმართულებებისაგან ახალი სტანდარტების დამკვიდრებას (ამ სურვილის დამსახურებაა მთელი რიგი სამეცნიერო დარგების არსებობის ფორმა თანამედროვეობაში და, შესაბამისად, მათი დღევანდელი ამოცანების უმრავლესობაც), ყოველ შემთხვევაში საკუთარ თავში ახალი შემოქმედებითი უნარების აღმოჩენასა და საკუთარი თავის ახლებურად დანახვას.

ნიჰილიზმი და იმედგაცრუება, რაც წითელ ხაზად გასდევდა XX საუკუნეს (მცირე წარმატებებთან ერთად), უთანასწორობისა და უსამართლობის მძაფრი განცდა, და რაც მთავარია, სამეცნიერო პროგრესის მხოლოდ ტექნიციზტური და ყოფით-სამომხმარებლო ხასიათი, კიდევ უფრო აძლიერებს ისტორიული მეცნიერების, როგორც მხოლოდ აღწერილობითი და გამოყენებითი მიმართულების საჭიროებისადეის მხარდამჭერთა პოზიციებს. თუმცა აშკარაა ისიც, რომ არსებული შინაარსობრივი სიღარიბის დაძლევის გზად, გარკვეულ წრეებში ზოგადად შემეცნების შესაძლებლობებისა და ფორმების შესახებ არსებული დისკურსის გადახედვა აქტიურად განიხილება.

გავრცელებული აზრის თანახმად, სოციალური მეცნიერებები თავისი კვლევის ობიექტითა და თეორიული დისკურსით ითავსებენ ისტორიული მეცნიერების (ისტორიის) ფუნქციას. მისი ხასიათი და ბუნება შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ, ისინი იკვლევენ ისტორიას, როგორც გარკვეულ სისტემას და საზოგადოებას სთავაზობენ წმინდა ინსტრუქციის სახით, რომელშიც, შესაძლებელია, ამოვიკითხოთ გამოსავალი, ან გავიგოთ ის, როგორც წარსულის გამოცდილება (წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობით). ერთი შეხედვით, ფაქტია, რომ ისტორიის, როგორც ადამიანისა და ადამიანთა საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერების, უმთავრესი ამოცანაც სწორედ ეს არის. თუმცა დღეს არსებობს, მნიშვნელოვანი განსხვავება სოციალურ მეცნიერებასა და ისტორიულ მეცნიერებას შორის თავისი საზოგადოებრივ-ფუნქციონალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, რაც გამოიხატება იმაში, რომ ისტორიული მეცნიერების წინაშე მდგარი ამოცანა არ არის ერთჯერადი მნიშვნელობის. მისი უმთავრესი ფუნქციაა ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში ჩა-

მოყალიბებული შინაარსების ამოკითხვა, ერთგვარი ინტუიციურ-რაციონალური დისკურსი, რომელიც შენარჩუნებულია ისტორიულ შემეცნებაში, განსაზღვრავს ისტორიის უფრო ფართო და ღრმა მნიშვნელობას, ვიდრე ეს დღეს აქვს სოციალურ მეცნიერებებს. ამდენად ისტორიული ცოდნის სისტემატიზების ის გზა, რასაც სოციალური მეცნიერებები დღეს გვთავაზობს, სცდება მეცნიერული ისტორიის გაგებას, და, რაც მთავარია, წინააღმდეგობაში მოდის მასთან. თუმცა, ეს ასევე არ ნიშნავს იმას, რომ ამ მიმართულებებს შორის მნიშვნელოვანი ფუნდამენტური სხვაობაა და, მითუმეტეს არ ნიშნავს იმას, რომ დისკუსია ამ საკითხების შესახებ დასრულებულია.

როგორც ისტორიული მეცნიერების პროფესიონალიზაციის ეტაპების მიმოხილვა აჩვენებს, კამათი მიმართულებათა შორის სხვაობა-მსგავსებების თაობაზე, არსებითად წარმოშვა, არა თავად ისტორიული მეცნიერების ნაკლოვანებამ, ან მის შინაარსში უფრო ღრმად ჩახედვის სურვილმა, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების ხასიათმა და ამ პროცესების ასახვამ სამეცნიერო საზოგადოებისა და მისი რივი წარმომადგენლების მოსაზრებებში. შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული მეცნიერება, როგორც ისტორიული წარსულის რეპრეზენტაციის შესაძლებლობა, თავის თავში, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სოციალური შინაარსების გადმოცემის ფუნქციასაც და ის ამდენად არის კიდევ სოციალური მეცნიერება (და პირიქით). შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ არა მხოლოდ სახეზე გვაქვს ე.წ. სოციალური ისტორიის ჩამოყალიბება, რომელმაც მოიცვა ისტორიული კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი, არამედ, მეცნიერული ისტორიის უმთავრესი დანიშნულებაც თავიდანვე სწორედ ეს იყო.

დამოწმებანი:

ბერკი 1992: პ. ბერკი ისტორია და სოციალური თეორია; გამომცემლობა „ლოგოს პრესი“; თბილისი, გვ. 222.

თევზაძე 2009: გ. თევზაძე. „ქართველი ერის დაბადება. იდენტობა და იდეოლოგია. პოლიტექტატური და სოციალური იდენტობები. ეროვნულობა და რელიგიურობა“; ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები; თბილისი 2009, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 5-28.

სთოუნი 2010: ლ. სთოუნი. „ნარატივის აღორძინება...“; კრ. ისტორიის შესახებ; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისი 2010, გვ. 93-105.

სმითი 2008: ე. დ. სმითი. „ნაციონალური იდენტობა“; თბილისი 2008, „ლოგოს პრესი“, გვ. 278.

ფოგელი 2010: რ. უ. ფოგელი. „მეცნიერული ისტორია და ტრადიციული ისტორია“; კრ. ისტორიის შესახებ; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისი 2010, გვ. 87-93.

ჩხარტიშვილი 2009: მ. ჩხარტიშვილი. „ისტორიული მეცნიერების შესავალი“; თბილისი 2009, „უნივერსალი“, გვ. 133

ჰობსბაუმი 2012: ე. ჰობსბაუმი. „ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან“; თბილისი 2012; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი გვ. 262.

Abrams 1982: P. Abrams Historical sociology; Cornell University Press; pp. 353

Lambert, Schofield: 2004 P. Lambert P. Schofield **Making History** An introduction to the history and practices of a discipline; London and New York; p. 310

Zurab Targamadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
HISTORY AND THE SOCIAL SCIENCE
RESUME

The paper discusses issues the relationship between history and social science. In it, on the example of specificity professionalization of history is explained content of history discipline. The article also discusses modern challenges of the history in light of development ideas of nationalism and nations. Of course, we don't think that we were able to formulate final definitions. We simply wanted to provoke discussion and exchange of ideas about this issue.

In conclusion, we can say that discussion about the similarities and differences between history and social science was emerged not because of the weakness of history, or by the desire to understand its content deeply, but by the character of the modern socio-political movements and their reflection on the scientific community.

We can say that history discipline, as a method representation of the past, first of all means describing and explaining some social contents and therefore it is also social discipline itself. Thus, today we are witnessing not only establishing so-called social history, which covered significant part of historical researches, but main purpose of history discipline originally was this.

The work is a part of the project (DO/351/1-10/14) Georgian Identity: Historical Aspects (18-th century), sponsored by Shota Rustaveli Science Foundation 2013-2014 Doctoral program grant.

**გენდერი – ისტორიული ანალიზის მნიშვნელოვანი
კატეგორია და საქართველო**

გენდერული კვლევისა და ადგილის განსაზღვრა ისტორიაში შეუძლებელია მთელი რიგი მოდერნისტული სოციოლოგიური თეორიების გარეშე, მათ შორისაა – სტრუქტურული ფუნქციონალიზმის თეორია, რომელიც ამერიკელ სოციოლოგს დ. პარსონს ეკუთვნის, სოციალიზაციის თეორია,¹ ეკუთვნის იმავე დ. პარსონსა და მის კოლეგას ბეილს, ხოლო ი. ჰოფმანმა შექმნა დრამატურგიული ინტერაქციონიზმის თეორია.²

გენდერის გაჩენა (სტერეოტიპები, ნორმები, იდენტურობა) უნივერსალური არ არის, არამედ კულტურულად დეტერმინირებულია: სხვადასხვა დინება პოლიტიკური ისტორიისა, სხვადასხვა ეთნოსი და სოციალური ჯგუფები სხვადასხვა ტრადიციებს ხედავენ „სქესის“ განსაზღვრაში.³

XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გენდერული კონცეფცია შეეჯახა ისტორიაში „ქალთა კვლევებს“. 1986 წელს ამერიკელმა მკვლევარმა ჯონ სკოტმა გამოაქვეყნა სტატია „გენდერი: ისტორიული ანალიზის მნიშვნელო-

¹ Parsons T., Bales R., Family, Socialization and Intraction Process London, 1956

² Гендерный калейдоскоп, «Академия». М., 2001, стр. 58-62

³ გენდერული პრობლემატიკა საქართველოში, თბილისი, 2001. გვ. 80-82

ვანი კატეგორია“. ჯ. სკოტი აღნიშნულ კატეგორიას განსაზღვრავს, როგორც სოციალური ურთიერთობების შემადგენელ ნაწილს, რომელიც დამყარებულია სქესთა შორის გაცნობიერებულ სხვაობაზე. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუმცა სქესობრივი სხვაობის გაცნობიერება და მასთან დაკავშირებული სოციალური სფეროები ყველა საუკუნეს ახასიათებს, გენდერული ხასიათის პრობლემა არ შეიძლება მექანიკურად გადავიტანოთ ცალკეულ ისტორიულ ეპოქებზე. ამრიგად, ტერმინ „გენდერის“ ხმარება შესაძლებელია მხოლოდ XIX-XX სს-ში და, რა თქმა უნდა, მომავალშიც.

„გენდერი“, როგორც სოციალური ურთიერთობების შემადგენელი ნაწილი, ჯ. სკოტის მიხედვით, ოთხ ურთიერთმოქმედ ელემენტს შეიცავს. ესენია:

1. სიმბოლოებისა და ხატების კომპლექსი, რომელიც ქალსა და მამაკაცს კულტურაში ახასიათებთ.

2. რელიგიური, პედაგოგიური, სამეცნიერო, სამართლებრივი, პოლიტიკური ნორმების კომპლექსი.

3. სოციალური ურთიერთობები და ინსტიტუტები, რომლებიც მათ აყალიბებენ (ოჯახი, ნათესაობა, სამუშაო ძალის ბაზარი, განათლების სისტემა, სახელმწიფო მოწყობა).

4. თვითგამონათვის პრობლემა, პიროვნების სუბიექტური თვითაღქმისა და ცნობიერების, ანუ სქესობრივი იდენტიფიკაციის პრობლემა, რადგან „გენდერი“ – ეს განსაკუთრებული ველია, რომელზეც ძალოვანი ურთიერთობები და კოლექტიური ილუზიები არტიკულირდება.

ჯ. სკოტმა დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ ბოლო მოელოთ „მამაკაცთა“ და „ქაღთა“ ისტორიების დაპირისპირებისათვის. შეხვედრის ადგილად მან მეცნიერებს შესთავაზა „გენდერული ისტორია“; მისთვის გენდერის განსაზღვრება – ეს არის ურთიერთობებისა და ურთიერთქმედებების სისტემა,

რომელიც წარმოადგენს საზოგადოების სტრატეგიკაციისა და იერარქიზაციის საფუძველს სქესის ნიშნით.¹

ჯ. სკოტი თვლის, რომ ისტორიაში ერთი და იმავე საკითხის თაობაზე უნდა შემუშავდეს როგორც „მამაკაცის“, ასევე „ქალის“ თვალთახედვა. უნდა მოიძებნოს ამ ორ რაკურსში დანახულს შორის თანხვედრა და სხვაობა. ფემინოლოგთა წინაშე ახალი ტიპის ამოცანები დაისვა.

გენდერული სტერეოტიპები (გენდერული სტერეოტიპები – ნიშნავს სოციალური სტერეოტიპების ერთ-ერთ სახეობას, რომელიც დამყარებულია ქალზე და მამაკაცზე დამყარებული წარმოდგენების მიხედვით) აღინიშნება, როგორც ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავების შესახებ არსებული მყარი წარმოდგენები მოცემული საზოგადოებისათვის მოცემულ პერიოდში. გენდერული სტერეოტიპები ფუნქციონირებს როგორც ინდივიდის, ასევე საზოგადოების დონეზე, ამიტომ, ისინი დისციპლინათშორისი ბუნებისაა. ინდივიდის დონეზე ამ საკითხებს იკვლევს ფსიქოლოგია და ფილოსოფია, ხოლო სოციალურ დონეზე – სოციოლოგია, დემოგრაფია, ეკონომიკა.

მართალია, გენდერული სტერეოტიპები სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია, მაგრამ მათ შორის მაინც ბევრი საერთოა. ძირითადად ითვლება, რომ მამაკაცი არის აგრესიული, ავტოკრატიული, ძლიერი, დამოუკიდებელი, გამომგონებელი, ჭკვიანი, უხეში, ხოლო ქალი – ემოციური, მეოცნებე,

¹ Скотт Дж. Некоторые размышления по поводу гендера и политики II, Введение в гендерные исследования. Хрестоматия. ч. II. под общей ред., С.В. Жеребкина, Харьков Х ЦТИ. спб: Алетея, 2001. с. 946-963. Скотт Дж. полезная категория исторического анализа. там же. с. 405-437.

გენდერული თანასწორობა მაინც უფრო მაღალია, ვიდრე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.

აღმოჩნდა, რომ გენდერული სტერეოტიპები რასობრივზე ძლიერია. კეი ლოსა და ტიმ ემსვეილერის გამოკვლევებში ეს კარგად გამოვლინდა. ისინი ცდის პირებს აჩვენებდნენ მკვლევრის (ქალის ან მამაკაცის) წარმატებულ შედეგებს და ეკითხებოდნენ, რამ გამოიწვია მისი წარმატება: პირადად მონაცემებმა თუ ბედ-იღბალმა. თუ ავტორი მამაკაცი იყო, მის წარმატებას უფრო პირად თვისებებს მიაწერდნენ, ხოლო თუ ქალი – ბედს. ალბათ ამავე სტერეოტიპებითაა გამოწვეული ისიც, რომ მოტივაციურ სფეროში ქალს წარმატების შიში აქვს, და თუ იგი წარმატებას აღწევს, ამისათვის ბოდიშს იხდის და თავს იმართლებს. აღსანიშნავია, რომ XX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, ფემინისტები სქესთა სხვაობის შესახებ არსებულ რამდენიმე კონცეფციას გამოყოფენ. რას გულისხმობს ქალად ყოფნა სოციუმში – ამ საკითხისადმი სამგვარი მიდგომა გამოიკვეთა. პირველი არის „იგივეობა-განსხვავებულობის“ მოდელი, რომლის მიხედვით, ქალი, ბიოლოგიური განსხვავების გამოკლებით, იგივეა, რაც მამაკაცი. ამ დროს სხვაობის არგუმენტები არ სცილდება ქალსა და მამაკაცს შორის ბიოლოგიური სხვაობის აღიარებას. აზრთა დაპირისპირება იმან განაპირობა, რომ აღნიშნული მოდელი არ აღიარებდა მამაკაცის ძალაუფლებას ქალზე, ამ უკანასკნელის სუბორდინაციულ პოზიციას. 70-იანი წლებიდან ფემინისტური თეორიების მზარდი რაოდენობა მიგვანიშნებს, საკითხის კონცეპტუალური სტრუქტურა მეტად რთულია და არაერთგვაროვანი. ამ წლებში ჩატარებული გამოკვლევები განსაკუთრებით უსვამს ხაზს სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულებას. სქესთა შორის სხვაობის მეორე მოდელი „დომინანტურობის“ სახელითაა ცნობილი.

დასკვნები პატრიარქალური სისტემის ანალიზს მოიცავს. თან ნაწილობრივ იზიარებს „ივივობა-განსხვავებულობის“ მოდელის ბიოლოგიურ, სოციალურ და სამართლებრივ ასპექტებს. მესამე მიმართულება ცნობილია „პოსტმოდერნისტული ლეგალური ფემინიზმის“ სახელწოდებით. მისი ამოსავალი პრინციპია: „როცა კამათის საგანია გენდერი (სქესთა შორის ურთიერთობა), თავს ვერასოდეს ავარიდებთ მათ შორის სხვაობის თემას, მაგრამ შეგვიძლია კვლევა მივმართოთ განსხვავებულობის ოდენობის გარჩევისაკენ“. პოსტმოდერნისტული ფემინიზმი იკვლევს, თუ რა გადამწყვეტ როლს თამაშობს კაცის ძალაუფლება საზოგადოებაში ქალის განსხვავებული სტატუსის ჩამოყალიბებაში. ეს კონცეფცია ყურადღებას ამახვილებს იმ გზებზე, რომელშიც ძალაუფლება თავის თავს მსჯელობის სახით აყალიბებს, ანუ მეტყველების საშუალებით აკავშირებს „ძალაუფლებისა“ და „ქალის“ კატეგორიების კონსტრუქციებს.¹

გენდერული როლები, მათი წარმოშობა და განვითარება, მათი მახასიათებლები განიხილება სხვადასხვა ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური თეორიის პოზიციიდან, რადგან გენდერული როლების ერთიანი თეორია ჯერჯერობით არ არსებობს. სოციალურ ფსიქოლოგიაში როლი (გენდერული როლი – სოციალური მოლოდინები ქალისა და მამაკაცის გარეგნული ქცევის აღსანიშნავი გამოვლინება) ნორმების ნაკრებია, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ადამიანები მოცემულ სოციალურ პოზიციაში. სოციალური როლების ერთ-ერთი სახეა გენდერული როლები – ქცე-

¹ ი. კეცხოველი. გენდერული კონსტრუირების პროცესი სოციალური ჯგუფების მიხედვით, საერთაშორისო კონფერენციის კრებული „გენდერი და მსოფლიო“, გვ. 269-272.

ვის ნიშნების ნაკრები (ნორმები) ქალებისა და მამაკაცებისათვის.

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ გენდერული „როლები“ კულტურის პროდუქტია. ქართულ, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ ტრადიციულ საზოგადოებაში, ქალისა და მამაკაცის ფუნქციები დიფერენცირებული და „დაკანონებულია“. ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი გენდერული თავისებურებები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: საზოგადოების მასკულინობა, სექსუალური სფეროს ტაბუირება, დედობის კულტი, ქალის ძლიერი გავლენა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს ორი უკანასკნელი ბადებს ქალის მდგომარეობისადმი არაერთმნიშვნელოვან დამოკიდებულებას. კერძოდ, ქმნის ილუზიას გენდერულ ასიმეტრიასთან დაკავშირებით. სწორედ აქედან გამომდინარეობს სექსიზმის (გენდერული დისკრიმინაციის) შენიღბული ფორმა. ქართულ კულტურაში ქალთა დისკრიმინაციის შენიღბული სახით არსებობა განპირობებულია პატრიარქალურ მენტალობაზე დამყარებული საზოგადოებრივი ურთიერთობებით, ქალის მიერ ამ საკითხის გაუცნობიერებლობით.¹ ვინაიდან გენდერული და სოციალური ისტორიის ურთიერთობანი დღეისათვის მეტად რთული და არაერთგვაროვანია, ხოლო გენდერული ისტორია სოციალური ისტორიის ნაწილს წარმოადგენს, შემთხვევითი არ არის, რომ დღევანდელი მეცნიერული გამოკვლევები საკმაოდ დიდ ადგილს უთმობენ ქალთა გენდერული ისტორიის საკითხებს.

სოციალური ისტორიის ადგილი სოციალური სტრატეგიიკაციის სისტემაში განსაზღვრავს სოციალურ იდენტურობას, ხოლო უკანასკნელი კი სოციალურ ქმედებას, რომელიც სტრატეგიიკაციას შეეფარდება. როდესაც ქალთა საკითხს ვი-

¹ ი. კეცხოველი, ქალის ფენომენი კულტურულ პროცესში, ჟურნ.: „კრიტიკრიუმი“, 2003.

კვლევით, ჩვენ უნდა დავადგინოთ მათი ცხოვრების განსაზღვრული ცხოვრების წესი სოციალური იერარქიის სისტემაში. ამდენად, სოციალური ისტორიის მკვლევარები აზროვნების განსაკუთრებულ დინამიკას ფლობენ, და აღიარებენ იმას, რომ მხოლოდ სოციალური ისტორიის ინსტრუმენტალიები არ გამოადგებათ გენდერული ისტორიის კვლევის დროს. მაკაკი და ქალი, კლასთა ჩამოყალიბების პროცესში სხვადასხვა როლს ასრულებდნენ. მას შემდეგ, რაც კლასები ჩამოყალიბებენ გარკვეული სქესისადმი კუთვნილებას, მათ აქვთ არა მარტო დამატებითი, არამედ დეტერმინირებული მახასიათებლები სოციალური იერარქიის ყოველ საფეხურში.¹

როდესაც გენდერული და სოციალური ისტორიის არათანაბარ ურთიერთმიმართებასა და დამოკიდებულებას განვიხილავთ, უნდა გამოვთქვათ იმედი, რომ მომავალში ისინი გაერთიანდებიან საზოგადოების საერთო ისტორიაში, რომელიც თემების იერარქიას მეტნაკლებად შეაფასებს. სოციალური ისტორიის მკვლევარები აღიარებენ, რომ ამ მეთოდოლოგიებიდან არც ერთი არ არის „საუკეთესო“ ან „უპირველესი“ და ყოველი მათგანი მხოლოდ ერთმანეთის შემადგენელი ნაწილია.

სოციალურ-ისტორიული მოვლენების გენდერული ექსპერტიზის გამოყენების პერსპექტივები მეტად მრავალფეროვანია: ისინი შეიცავენ ქალთა ისტორიის კვლევის „ისტორიულ ფემინოლოგიას“,² რომელიც მრავალრიცხოვანი სოციალური ჯგუფების და სიტუაციების მრავალფეროვან სოციალურ გამოცდილებას და ურთიერთზემოქმედებას სწავლობს. მაგრამ

¹ Т. Де Лауретис. Америкаский Фрейд// «Гендерные исследования», 1.

² Т. Де Лауретис. Америкаский Фрейд// «Гендерные исследования», 1.

სოციალურ-ისტორიულ მოვლენათა გენდერული ექსპერტიზა „არ უდრის“ ისტორიულ ფემინოლოგიას, არ დაიყვანება მასზე და შემთხვევითი როდია, რომ გვიანდელი (90-იანი წლების) „ქალთა ისტორიამ“ ძირითად მიზნად დაისახა კვლევა არა გამოცდილების, არამედ რეპრეზენტატიულობის და დისკუსიების მნიშვნელობის და შინაარსის კვლევა, რომლითაც აღჭურვილია ესა თუ ის კავშირები და საგნები.¹

ახალი მიმართულება ჰუმანიტარისტიკაში – გენდეროლოგია ჩვეული ცნებების ახლებურ კონცეპტუალიზირებას ახდენს და სქესთა ისტორიაში შეაქვს ისტორია, როგორც ასეთი. იგი გვაიძულებს განვიხილოთ სქესი არა თავისთავად, არამედ სქესთა ურთიერთობაში, ამას უკვე აკეთებდნენ და აკეთებენ სხვადასხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები, კერძოდ, ეთნოლოგია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს სოციალური კავშირების სიმრავლე მათ ისტორიულ და კულტუროლოგიურ ჭრილში და, ამავე დროს, გაითვალისწინოს ისინი სქესის ფაქტორის და გენდერული ურთიერთობის განხილვისას. ჯ. სკოტი გენდერული ისტორიის მთავარი მიმართულების კვლევას უწოდებს სხვაობათა „ისტორიზაციას“. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სხვაობის ცნობა ფემინისტურ ფილოსოფიას წარმოადგენს, მაგალითად, კლასების და სოციალური ჯგუფების კვლევა გენდერული მეთოდოლოგიის გამოყენებით საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ გენდერული სხვაობის „კონსტრუირების“ პროცესებს, რომლებსაც საძირკველს უმაგრებს იდეოლოგია, რელიგია, ან ორივე და ვაიძულებთ მკვლევარს, რომ იმსჯელოს იმის შესახებ, თუ როგორ განსაზღვრავს ეს ფაქტორი „საზოგადო სივრცეს“, რომელშიც მოცემული კლასი, ან სოციალური ჯგუფი ფუნქციონირ

¹ N. Z. Davies. Women's History in Transition // Feminism and History. 3.

რებდა, როგორ შეეფარდებოდნენ მოცემული კლასის და ჯგუფის პრიორიტეტთა სისტემაში პირადული და საზოგადოებრივი ფასეულობანი; როგორ განაპირობებდნენ ერთად აღებული ეს ფაქტორები სოციალური მობილურობის სისწრაფეს და ხასიათს (აღმავალი და დაღმავალი).

ისტორიულ-გენდერული მეთოდოლოგიის გამოყენება საშუალებას გვაძლევს სხვაგვარად გავაცნობიეროთ უმთავრესი ცნებები – პერიოდიზაცია, ხელისუფლება, სოციალური სტრუქტურა, ქონება, სოციალური სიმბოლოები. ქალთა და გენდერული პერიოდიზაცია გვაიძულებს სხვაგვარად შევხედოთ ტრადიციული ისტორიის წიაღში ჩამოყალიბებულ ქრონოლოგიურ სქემებს.¹

რაც შეეხება გენდერის თეორიის მნიშვნელობას, მასზე მრავალი აზრია გამოთქმული. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ესაა პრინციპულად ახალი თეორია, რომლის მიღება ნიშნავს ადამიანთა ღირებულებითი ორიენტაციების ცვლილებებს, რაც გამოიწვევს წარმოდგენების, შეხედულებების, ობიექტური რეალობის შეცვლას. გენდერული კვლევების ძირითადი თეორიული აპარატი, ცნებები და ანალიზის მეთოდოლოგია 80-იან წლებამდე ეყრდნობოდა ფემინიზმის თეორეტიკოსების, შემდგომში მასკულინური მეცნიერების სპეციალისტების შეხედულებებს. გენდერულ კვლევას, როგორც აკადემიურ დისციპლინას, აქვს სოციალურად გამოხატული მიზანი: ხელი შეუწყოს საზოგადოებაში არსებულ დრომოჭმული შეხედულებების აღმოფხვრას.

გადავავლოთ თვალი გენდერის ისტორიას. ანალიტიკურმა ფილოსოფიამ მოახდინა კულტურული სიმბოლოების: რაციონალურის და ბუნებრივის, მასკულინურის და ფემინურის დიფერენციაცია, შუა საუკუნეების ფილოსოფიამ ეს

¹ J. Scott. History in Crisis? The Othger's Side of the Story. 4.

იდეები უფრო გაამძაფრა. შემდგომ ეპოქებში ქალურის საწყისის - ხორციელის, ბუნებრივის - დათრგუნვა, ფილოსოფიურ აზროვნებაში სისტემაწარმომქმნელი პრინციპი გახდა.

შუა საუკუნეებში პატრიარქალური ფილოსოფია ტრადიციულად ძლიერდება, რადგან დიქოტომიურ ოპოზიციაში სული - სხეული, სულის პოზიცია ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად კიდევ უფრო გაძლიერდა (ამ პერიოდშია აღსანიშნავი „კუდიანებზე ნადირობა“ და მრავალი სხვა დისკრიმინაციული აქტი ქალის მიმართ).

XVIII საუკუნეში განათლებისკენ სწრაფვა კულტურული პროცესის დომინანტად იქცა, რამაც წარმოშვა „მობის, ერთობის და თავისუფლების“ იდეა. განსაკუთრებული ინტერესი განათლებისადმი ქალებსაც გაუჩნდათ.

ვოლტერმა, მონტესკიემ, ჰელვეციუსმა და სხვებმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს და აღიარეს ქალთა ინდივიდუალობა და უფლებების აღიარება. ცნობილია, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარი (საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია და მისი წინაპერიოდი) აღინიშნებოდა ქალთა აქტიურობით.

ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტურ კულტურაში ქალები უდიდეს როლს თამაშობდნენ. ცნობილია, რომ დედოფლების თუთმოს I-ის ქალიშვილის ჰათშეფსუთის და, მოგვიანებით, კლეოპატრას მეფობა მრავალ ათეულ წელს ითვლის. მატრიარქატისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი დაფიქსირებულია ძველ იაპონურ კულტურაში, რომელმაც XI საუკუნემდე იარსება. საკითხი ეხება ქორწინების - „ცუმადოის“ ინსტიტუტის ფუნქციონირებას; ცუმადოიში იგულისხმებოდა შემდეგი: ცოლი და ქმარი ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე, ბავშვები იზრდებოდნენ დედასთან, მემკვიდრეობის გადაცემა ხდებოდა დედისაგან ქალიშვილზე. ქალი განაგებდა ოჯახის ფუნქ-

ციებს და ხშირად მართავდა გვაროვნულ კავშირებსაც, ხოლო პატრიარქატმა მოიტანა ურთიერთობების ცვლა საზოგადოებასა და ოჯახში. პატრიარქატის პირობებში გაძლიერდა მამაკაცების მიერ ქალების სოციალური კონტროლი. სოციალური კონტროლის განხორციელება კი შესაძლებელი გახდა შრომის დანაწილების გარკვეული ფორმების, კერძო საკუთრების, ქორწინების ინსტიტუტსა და განსაზღვრული იდეოლოგიური სისტემის საშუალებით.

ქალთა უფლებების დაცვასა და ემანსიპაციაზე ერთ-ერთმა პირველმა ჩამოყალიბებული აზრი გამოთქვა ქალმა, მერი უოლტსონ კრაფტმა (1759-1797 წწ.). თავის წიგნში „ქალთა უფლებების დაცვა“ (1792 წ.). იგი ეყრდნობოდა ინგლისელი ფილოსოფოსის ჯ. ლოკის თეორიას, რომლის ძირითადი იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ სრულფასოვან მოქალაქეთათვის თანასწორი უფლებების მინიჭებაში. ძირითადი იდეა მდგომარეობდა სრულფასოვნად ითვლებოდა ყველა ის კერძო საკუთრების მქონე პიროვნება, ვინც აზროვნებდა, ე.ი. იყო რაციონალური სუბიექტი. მერი უოლსტონკრაფტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ფილოსოფიურ თეზისს ქალის, როგორც რაციონალური სუბიექტის, აღიარების შესახებ. ქალთა როლის შესახებ მეცნიერული, თეორიული კონცეფციების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა სოციალური ანთროპოლოგიის და ოჯახის სოციოლოგიის განვითარებამ.

პარსონსის კონცეფციის აზრი მდგომარეობს შემდეგში: იგი განიხილავს ნუკლეარულ ოჯახს. ქალის და მამაკაცის როლებზე მნიშვნელოვანი სოციოლოგიური კონცეფცია ჩამოყალიბდა ამერიკელმა ტალკოტ პარსონსმა (1902-1979). ამერიკულ სოციოლოგიაში მან შექმნა სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზის თეორია და კონცეფცია ოჯახში როლე-

ბის ინსტრუმენტალური და ექსპერსიული ფუნქციების დაყოფის შესახებ. აშშ-ში სოციოლოგია ყოველთვის იყო ემპირიული და გამოყენებითი დისციპლინა და პარსონსის ეს თეორიაც XX საუკუნის 70-იან წლებამდე წამყვან როლს თამაშობდა.

სოციალურ ანთროპოლოგიაში 1975 წელს ამერიკელმა ეთნოგრაფებმა გ. არონოფმა და ვ. კრეინომ გააანალიზეს ჯორჯ მერდოკის მიერ ჩატარებული სამუშაო 862 სახის გვაროვნულ და სხვა სახის საზოგადოებაში (განსხვავებულ კულტურაში) და განაზოგადეს შედეგები. აღმოჩნდა, რომ ქალთა მონაწილეობის დონე პროფესიონალურ დარგებში (ე. ი. იგულისხმება ოჯახის გარეთ დასაქმება) განისაზღვრებოდა 32%-ით ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებში, 51%-ით ოკეანეთში, რითაც დაადასტურეს, რომ სქესებს შორის განსხვავებაზე როლების მკვეთრი დაყოფის ჰიპოთეზა პრაქტიკულად არ მტკიცდება.

ადრეული ქრისტიანული ეპოქის ძეგლები გვამცნობენ, რომ ქრისტიანული ეკლესია მხარს უჭერს მონოგამიურ ოჯახს, ქორწინებამდე და ოჯახის შიდა სიწმინდეს და სასტიკად კიცხავს ღალატს. ამრიგად, ქალთა მდგომარეობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ პატრიარქალური საზოგადოება გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით ასიმეტრიულია. ყველგან და ყოველთვის არსებობს ორი გენდერული ტიპი, აქედან ერთი თავისი როლით და სტატუსით მეორადაა თავისი მიზნებით. ამ ჯგუფში უპირატესად ქალები იგულისხმებიან.

ღროთა განმავლობაში ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა წარმოაჩინა ქალთა პრობლემები ინიციატივებისა და მოთხოვნების შესაბამისად. ათასწლეულის გეგმის შესაბამისად 1975 წელს ჩატარდა მსოფლიო საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც შედეგად მოჰყვა კონკრეტული ნა-

ბიჯები. გაეროში შეიქმნა ორი ორგანო: გაეროს განვითარების ფონდი ქალთათვის (UNIFEN) და გაეროს ქალთა წინსვლის კვლევისა და ტრენინგის საერთაშორისო ინსტიტუტი (INSTRAW). გაეროს ქალთა განვითარების ფონდი დაარსდა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1976 წელს ქალთა პროგრამების განვითარების მხარდასაჭერად. ის დასაწყისში ქალთა დეკადის ვოლუნტარისტული ფონდის სახელით წარმოიშვა განვითარებად ქვეყნებში ქალთა ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით. გარდა ამისა, მის ძირითად მიზანს შეადგენდა განვითარების პროგრამებში ქალთა დაწინაურების ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა. 1985 წელს ფონდი გახდა ავტონომიური ერთეული გაეროს განვითარების პროგრამებთან (UNDP) და სახელად დაერქვა გაეროს განვითარების ფონდი ქალთათვის (UNIFEM). მას ხშირად იხსენიებენ როგორც ხიდს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორც პოლიტიკის შემქმნელებსა და უუფლებო ქალთა შორის. მისი მთავარი მიზანია განვითარებადი მსოფლიოს ქალთა დაცვა. ფონდის პრიორიტეტული სფეროებია: ვაჭრობა და მრეწველობა, კრედიტი, მეცნიერება და ტექნოლოგია, სოფლის მეურნეობა და სურსათის უსაფრთხოება, პოლიტიკის შექმნა და ნაციონალური დაგეგმვა. გლობალური მასშტაბით ფონდი ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე: საერთაშორისო პოლიტიკაში გენდერის ჩართვა, დევნილები და ადგილნაცვალნი პირები, ქალთა მიმართ ძალადობა, ადამიანური უფლებები, გლობალური მმართველობა და გარემო. ფონდმა უკანასკნელ ხანს დააარსა ადამიანის უფლებების პროგრამა, რომლის მიზანია ადამიანის უფლებებზე მომუშავე ქალთა ორგანიზაციების გაძლიერება.

ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, რომელიც ისტორიულად უფრო ფართო შესაძლებლობას უქმნის მამაკაცს, ვიდრე

ქალს, რის შედეგადაც ადამიანთა ერთი ნაწილი (ქალები) უფრო დაჩაგრულია, ვიდრე მეორე (მამაკაცები). სწორედ ამას გულისხმობენ მეცნიერები, როცა ლაპარაკობენ „გენდერულ დისკრიმინაციაზე“. მათი აზრით, გენდერულ დისკრიმინაციას საფუძვლად უდევს ჩვენი არასწორი წარმოდგენები ქალისა და მამაკაცის განსხვავებულობის შესახებ – ეგრეთწოდებული „გენდერული სტერეოტიპები“. ერთ-ერთი ასეთი წარმოდგენის კარგი მაგალითია გამოთქმა, რომელსაც ხშირად ვიყენებთ – „საწინააღმდეგო სქესი“, ან „სუსტი სქესი“. ამით უნებლიეთ გამოვხატავთ გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ განსხვავება ქალსა და მამაკაცს შორის უზარმაზარია. ასეთი აზრი, თავის მხრივ, ეფუძნება მეორეს, ასევე ღრმა ფესვების მქონე წარმოდგენას, რომლის თანახმადაც საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის განსხვავებული გენდერული როლი განპირობებულია მათ შორის არსებული ძირეული ბიოლოგიური განსხვავებით, ანუ ასეთი მდგომარეობა სრულიად ბუნებრივია. აქედან გამომდინარე ითვლება, რომ ქალისა და მამაკაცის ტრადიციული სოციალური როლები პასუხობს საზოგადოების ინტერესებს, უზრუნველყოფს მისი მოთხოვნილებების უფრო სრულ დაკმაყოფილებას (კიდევ ერთი გენდერული სტერეოტიპი). მაგრამ, მტკიცდება, რომ ეს წარმოდგენები მცდარია. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ის სოციალური როლები, რომელიც საზოგადოებაში ქალსა და მამაკაცს ტრადიციულად ეკისრება, სულაც არ გამომდინარეობს მათ შორის არსებული ბიოლოგიური განსხვავებიდან. ეს კი ნიშნავს, რომ საზოგადოებაში ქალის მეორეხარისხოვანი გენდერული როლი აშკარა სოციალური უსამართლობაა.

შესაბამისად, სოციალური სამართლიანობის მისაღწევად საჭიროა ტრადიციულად ჩამოყალიბებული ქალისა და მამაკაცის სოციალური როლების შეცვლა – რესურსებისა და შე-

მოსავლების, უფლება-მოვალეობების უფრო სამართლიანი და-
ნაწილების გზით. ეს არის საზოგადოებრივი ცხოვრების ყვე-
ლა სფეროში ჭეშმარიტი ჰარმონიის მიღწევის ერთადერთი
გზა, ვინაიდან ტრადიციული გენდერული როლები არ პასუ-
ხობს დროის მოთხოვნებს და ზღუდავს არა მარტო ქალს,
არამედ მამაკაცსაც.¹

საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელმა კანონზო-
მიერებებმა, ეკონომიკურმა კრიზისმა, პრივატიზაციის პროცე-
სებმა მნიშვნელოვნად შეცვალა დასაქმების სტრუქტურა
ქვეყანაში. დასაქმების პრობლემა ყველაზე მნიშვნელოვან
პრობლემად იქცა. ამასთანავე, წარმოებიდან უფრო მეტი ქა-
ლი გამოიდეენა, ვიდრე მამაკაცი. ტრადიციული „ქალთა
დარგები“ (მსუბუქი მრეწველობა, კვების მრეწველობა, ქიმი-
ური მრეწველობა), ფაქტობრივად, არ მუშაობს. ყოველივე
ამის შედეგად ქალთა უმუშევრობამ მასობრივი ხასიათი შეი-
ძინა. თუმცა, რა თქმა უნდა, დასაქმების პრობლემის წინაშე
ბევრი მამაკაციც აღმოჩნდა. მდგომარეობას კიდევ უფრო ამ-
ძიბებს სოციალური დაცვის გარანტიების არარსებობა.

ასეთი ვითარება ჩვენს ქვეყანაში განპირობებულია მთე-
ლი რიგი ფაქტორებით, რომლებიც აღინიშნება, როგორც სა-
ხელმწიფო, ასევე კერძო სექტორში, სახელდობრ: სამუშაო
ადგილების დეფიციტი; არასწორი საკადრო პოლიტიკა –
ხშირად ამა თუ იმ თანამდებობაზე ინიშნება ხდება არა პრო-
ფესიული კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამი-
სად, არამედ რაიმე სხვა საფუძველზე (ნათესაურ-ახლობლუ-
რი კავშირი, სქესი, კორუფციული გარიგება და სხვ.); დის-
ბალანსი კავშირების მომზადებასა (იგულისხმება როგორც

¹ ი. კეცხოველი. გენდერული ურთიერთობები ტრადიციულ საზო-
გადოებაში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის კრებული „მსოფ-
ლილი და გენდერი“, 2013

პროფესია, ასევე კვალიფიკაცია და საჭირო უნარ-ჩვევები) და სამუშაო ძალაზე მოთხოვნას შორის, რის გამოც სპეციალობით სამუშაო ადგილის შოვნა ძალიან ძნელია; პროფესიული მობილურობის დაბალი დონე – ბევრი სპეციალობა დღეს საჭირო აღარ არის, ხოლო პროფესიული გადამზადებისა და ახალი უნარ-ჩვევების დაუფლების შესაძლებლობები ძალიან შეზღუდულია (განსაკუთრებით ქალებისათვის); დაბალი ანაზღაურება; ეს ისევე განსაკუთრებით ქალებს ეხება, რომლებიც თანხმდებიან ყოველგვარ გასამრჯელოზე, რომ ოჯახი ფიზიკურად გადაარჩინონ; სამუშაო ადგილის მოძებნის უნარ-ჩვევების უქონლობა; დაბალი ინფორმირებულობა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების შესახებ; სამუშაოს მადიებელთა პასიურობა.

შესაბამისად, დღეს ქალთა დიდმა ნაწილმა თვითდასაქმებას მიმართა. ამ გზით შესაძლებელია ძირითადი სამსახურის შეთავსება სხვა სამუშაოსთან. თვითდასაქმებულთა უდიდესი ნაწილი დაკავებულია სოფლის მეურნეობაში. ისეთ პირობებში, როცა სამუშაო ადგილის შოვნა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი ანაზღაურებით (თუნდაც სასიცოცხლო მინიმუმის ოდენობით) თითქმის შეუძლებელია, თვითდასაქმება ფიზიკური გადარჩენის ერთადერთი შესაძლო გზა გახდა.

თვითდასაქმება ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: საოჯახო საკუთრება; სამუშაოს მცირე მოცულობა; შეზღუდული ტექნოლოგია და ტექნიკური მხარდაჭერა; ბუნებრივი რესურსების ჭარბი გამოყენება; ქალთა მასობრივი ჩართვა.

აღსანიშნავია, რომ სეგრეგაცია (ჰორიზონტალურიც და ვერტიკალურიც) და, შესაბამისად, გენდერული დისკრიმინაცია თვითდასაქმებულთა შორისაც ვლინდება. ვგულისხმობთ იმას, რომ უფრო მომგებიან სფეროებში ჭარბობენ მამაკაცები, ხოლო ნაკლებად მომგებიან და უფრო შრომატევად სფე-

როებში – ქალები (ჰორიზონტალური სეგრეგაცია). რაც შეეხება ვერტიკალურ სეგრეგაციას, უნდა ითქვას, რომ დაქირავებულთა შორის ქალი უფრო ხშირად მეორეხარისხოვან სამუშაოს ასრულებს.

საქართველოში არსებული ქალისა და მამაკაცის ქცევის წესის შესახებ არსებული განსხვავებული კულტურული წარმოდგენები პატრიარქალურ მსოფლმხედველობაზე მეტყველებს. ზნეობის ორმაგი სტანდარტი ჩვენთან სტრატეგიკაციის შეცვლასთან ერთად (სადაც მამაკაცს წამყვანი პოზიცია უჭირავს), გაქრება სქესობრივი როლების ყოველგვარი დიფერენცირებულობით. მაგრამ ის, რომ ორივე სქესის რეალური შესაძლებლობები შეუდარებლად უფრო პლასტიკური და ფართოა, ვიდრე აქამდე მიაჩნდათ, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ შრომის სქესობრივი დანაწილება ყოველგვარ ბუნებრივ საფუძვლებსაა მოკლებული. განსაკუთრებით ეს ეხება შთამომავლობის გაგრძელებასა და ბავშვთა აღზრდას. თანამედროვე კულტურის ძირითადი ტენდენცია კი ესაა, ორიენტაცია ინდივიდუალობის განვითარებაზე ყოველგვარი წინასწარ აღებული სტანდარტისაგან დამოუკიდებლად.

სქესთა ურთიერთობა რთული სოციალური მოვლენაა და ყოველთვის იწვევს იდეოლოგიურ პოლემიკას. ერთ მხარეს დგანან ტრადიციული სქესობრივი მორალის დამცველები, რომელთა აზრით, ყოველგვარი გადახრა ტრადიციული წარმოდგენებიდან ნიშნავს რეგრესს და კულტურის დაღუპვასაც კი. ისინი ხშირად ერთიანდებიან ყოველგვარი სიანხლისა თუ განახლების წინააღმდეგ. კვლევები ადასტურებს, რომ ამ ადამიანთა პირადი და სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები ნაკლები მნიშვნელობის მქონეა, ვიდრე განათლების დონე, განსაკუთრებით კი ის პირობები, რომელშიც გაიარა მათმა ბავშვობამ და სიყმაწვილემ. ჩვეულებრივ, შეთვისებული

ცხოვრებისეული განწყობები ძნელად იცვლება, ეს განსაკუთრებით ითქმის პრინციპულად კონსერვატიული განწყობების შესახებ.

მეორე თვალსაზრისის მიხედვით, რეპრესიული სქესობრივი მორალი, რომელსაც ადამიანი ბავშვობიდანვე ითვისებს, ართმევს მას შინაგან თავისუფლებას და ხელს უშლის მისი შემოქმედებითი პოტენციალის გახსნას არა მხოლოდ სექსუალურ, არამედ მოღვაწეობის ყოველგვარ სფეროში.

სქესობრივი სტრატეგიკაციის ტრადიციული სისტემის მსხვერვა თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ზოგადი ტენდენციაა. მასთანაა დაკავშირებული მასკულინური და ფემინური სტერეოტიპების ცვლილება-გადაფასება, რაც ვლინდება მამაკაცურ და ქალურ სოციალურ როლებს შორის პოლარიზაციის მკვეთრ შესუსტებაში, როლთა სქესობრივმა დანაწილებამ დაკარგა ოდინდელი სიმკაცრე და ნორმატიულობა. უშუალოდ მამაკაცური და უშუალოდ ქალური საქმიანობების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, სოციალურ როლთა უმრავლესობის დიფერენცირება საერთოდ აღარ ხდება სქესის ნიშნით. ერთობლივი შრომითი საქმიანობა და ერთობლივი სწავლა-განათლება მამაკაცთა და ქალთა ფსიქოლოგიასა და ქცევით ნორმებში განსხვავებულობის მნიშვნელოვან ნიველირებას ახდენს.

რაც შეეხება XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისს, იმ ძვრების მიხედვით, რომლებიც ხდება სახელმწიფოთა თანაარსებობით, კულტურათა სისტემების დაახლოების მცდელობაში, შესაძლებლობას გვაძლევს გავანალიზოთ თანამედროვე საზოგადოების კულტურათა სისტემების ის მონაპოვარი, რომელიც დაგვიტოვა კაცობრიობის ისტორიამ, რომლის მოწყობაში უდიდესი წვლილი შეიტანა ქალმა. ის ნორმატიული აქტები, კონვენციები, ხელშეკრულებები

ბები და სხვა, რომლებიც სახელმწიფოთა შორის შიდა და გარე პოლიტიკას ეხმაურება, მნიშვნელოვნად უნდა იყოს განსაზღვრული დებულებებით, სადაც უფრო მკაფიოდ განისაზღვრება „ქალი-ბუნება“, „ბუნება-ქალი“.

დღეს, როცა საქართველოში მიმდინარეობს ძირეული ცვლილებები საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში, სქესთა შორის ურთიერთობები მნიშვნელოვან კონტურებს იძენს, რადგან მათგან გამომდინარეობს ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარება. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ოჯახს, შვილების აღზრდას, მომავლის პერსპექტივებს და განსაკუთრებით ქალის გამყარებას, მის მიმართ ტრადიციული მასკულიზური დამოკიდებულებების შეცვლას, მისი ადგილის ახლებურ გააზრებას საზოგადოებაში.

რა თქმა უნდა, სასურველია ცხოვრებისეული რეალობიდან გამომდინარე შეიქმნას ისეთი სოციო-კულტურული მოდელი, რომელიც უფრო სრულყოფილს შექმნის „საკუთარ“ საზოგადოებას და მნიშვნელოვნად მოაწესრიგებს, უზრუნველყოფს თავისი ქვეყნის მოქალაქეთა ცხოვრების წესს და ღონეს. და, აი აქ ამ მნიშვნელოვანი საკითხების მოწესრიგებაში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უკავია ქალს: საზოგადოებაში, კონკრეტულ სახელმწიფოში, კონკრეტულ ქვეყანაში, ქალაქში, სოფელში, დასახლებაში, - რაც მთავარია, ოჯახში. მაგალითად, ამერიკული საზოგადოება და სამეცნიერო წრეები თვლიან, და ჩვენც ვიზიარებთ, რომ ქალი – ოჯახში, პოლიტიკაში, კულტურაში და ა.შ. უნდა იყოს დატვირთული და ღირსეულად უნდა უძღვებოდეს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მაგრამ ეს არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ ერთი პირის, ცოლ-ქმრის, ან ოჯახის ზრუნვის საგანს. საზოგადოება თანაბრად მიიჩნევს სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ღირებულებების სინთეზს ცხოვრების წესის

შესაქმნელად. ეს იქნება ქალის პოლიტიკური როლი, თუ ქალური ფასეულობები - დედობა, დასაქმება, ყველაფერი ეს ტრადიციულად გამოიყურება, მაგრამ ასოცირდება როგორც საზოგადოებრივი ღონის მახასიათებელი. რამდენადაც ცნობილია, ამერიკელი ქალი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ბევრ წინააღმდეგობას აწყდება. ზოგჯერ მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ქალები მიდრეკილნი არიან მარტივი მიზნებისაკენ, სოციალური გარემოს გათვალისწინებით.¹ მართალია, ჩვენი საზოგადოება თავისი კულტურული ტრადიციებით დახუნძლულია, მაგრამ აქაც, ქალი შესაფერის უნარჩვევებს ამჟღავნებს. აქედან გამომდინარე, ქალის შრომის მოტივაცია, ღირებულებითი ორიენტაციები და ინდივიდუალური თვისებები, აგრეთვე, შესაძლებლობებიც შეიძლება სხვადასხვა იყოს. როდესაც ფემინიზმმა ამერიკასა და ევროპაში სხვადასხვა დარგები მოიცვა, საკითხის კონცეპტუალური სტრუქტურა მეტად რთული და არაერთგვაროვანი აღმოჩნდა.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფი ინსტიტუციური მექანიზმი საქართველოში რთულად მისაღწევი ამოცანაა, ვინაიდან ის მიზნად ისახავს საუკუნეების მანძილზე გამყარებული შეხედულებებისა და სქესთა შორის დამყარებული ძალთა ბალანსის შეცვლას თანასწორობის სასარგებლოდ. გენდერული თანასწორობისკენ სვლა რომ დაიწყოს, მუშაობა საზოგადოების ყველა დონეზე უნდა წარიმართოს. ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ხელისუფლებას ეკისრება, ვინაიდან მხოლოდ მას ძალუძს ისეთი პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც ეტაპობრივად უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის რეალურ თანასწორობას. ამიტომ მისასაღმებელია, რომ სა-

¹ ი. კეცხოველი, ამერიკელი ქალი და კულტურათა ინსტიტუტი, *Jornal of American Studies*, Tbilisi, 2003, S. 250-253.

ქართველოში ხელისუფლების როგორც აღმსარულებელ, ასევე საკანონმდებლო შტოში შექმნილია გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფი მექანიზმი – გენდერული თანასწორობის სამთავრობო კომისია და გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭო, რომელთა ურთიერთთანამშრომლობით უნდა მოხდეს, ერთ მხრივ, გენდერული თანასწორობის პრინციპის დანერგვა სახელმწიფო პოლიტიკაში და, მეორე მხრივ, სპეციალური, გენდერული თანასწორობის მიღწევისაკენ მიმართული, პროგრამების შემუშავება-განხორციელება.

დამოწმებანი:

1. Parsons T., Bales R., Family, Socialization and Intraction Process London, 1956
2. Гендерный калейдоскоп, «Академия». М., 2001, стр. 58-62
3. გენდერული პრობლემატიკა საქართველოში, თბილისი, 2001. გვ. 80-82
4. Скотт Дж. Некоторые размышления по поводу гендера и политики II, Введение в гендерные исследования. Хрестоматия. ч. II. под общей ред., С.В. Жеребкина, Харьков Х Цти. спб: Алетея, 2001. с. 946-963. Скотт Дж. полезная категория исторического анализа. там же. с. 405-437.
5. ი. კეცხოველი. გენდერული კონსტრუირების პროცესი სოციალური ჯგუფების მიხედვით, საერთაშორისო კონფერენციის კრებული „გენდერი და მსოფლიო“, გვ. 269-272.
6. ი. კეცხოველი, ქალის ფენომენი კულტურულ პროცესში, ჟურნ.: „კრიტიკური უმი“, 2003.
7. Т. Де Лауретис. Америкаский Фрейд// «Гендерные исследования», 1.

8. N. Z. Davies. Women's History in Transition // Feminism and History. 3.
9. J. Scott. History in Crisis? The Other's Side of the Story. 4.
10. ი. კეცხოველი. გენდერული ურთიერთობები ტრადიციულ საზოგადოებაში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის კრებული „მსოფლიო და გენდერი“, 2013.
11. ი. კეცხოველი, ამერიკელი ქალი და კულტურათა ინსტიტუტი, Journal of American Studies, Tbilisi, 2003, S. 250-253.

Irma Ketskhoveli

Georgian Technical University

**GENDER – THE MAIN CATEGORY OF THE
HISTORICAL ANALYSES AND GEORGIA
RESUME**

By using gender methodology searching social groups gives us opportunities to deepen the learning of construction process of gender differences. Gender period makes us establish chronological schemes in traditional history. Georgia is truly collectivistic cultural country. However, I support the idea that gender relationship established Georgia rather early. We know a lot of examples of this and for now I find estimating absolutely unimportant.

In the conclusion part of the thesis it is clearly stated that many social, gender and ethno-cultural problems should be solved, which will fundamentally change present lifestyle. As history and practice shows, women's two-fold, and three-fold burden has a negative social effect. The woman who is responsible for her family, job, additional family income is

under a heavy psychological stress which finds its reflection in family relationships. The results are family conflicts, generation gap, divorces and decrees of birth-rate.

In conclusion, the problems addressed in the dissertation “Georgian Women in Traditional and Contemporary Society” are rather important and timely not only for Georgia, but for the whole civilized world as well. It is an example of contemporary research in cultural studies. The unique material presented in the dissertation is original based on archive documents and will inevitably raise interest among scholars as well as wide range of readers. The results and findings of the research will hopefully play an important role in the complex study of the historical role, family and social functions of Georgian woman in the process of social development and formation.

თამილა კოშორიძე
ვორის სერვი მაკალათიას სახელობის
ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი და ქართული ხალხური დღესასწაული

„სხვა არა მინდა რა, არც ჩინი, არც ჯვარი, არც მადლობა, ცარიელ ფულის შემწეობის მეტი, რომლითაც მქონდეს ღონისძიება შეეკრიბო რაიცა საქართველოს ღირსი სახსოვარია მიფარებული...“ - წერდა დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი მარი ბროსეს. და მართლაც, მთელი მისი შეგნებული სიცოცხლე მიმართული იყო ქართული ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მოძიება-გადარჩენისაკენ. მრავალმხრივი იყო მისი ინტერესის სფერო. მეცნიერი თანაბარწილად იწერდა და აღნუსხავდა მატერიალური, თუ სულიერი კულტურის ძეგლებს.

დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილს გვერდი არც ქართული ხალხური დღესასწაულებისთვის აუვლია. მას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ხალხურ დღესასწაულს ისევე უნდა მოვლა და პატრონობა, როგორც მატერიალური და სულიერი კულტურის სხვა ძეგლებს. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ მოგზაურობების დროს მეცნიერი აღწერდა არა მარტო ტაძრებსა და ციხე-კოშკებს, არამედ იწერდა ბრეთისა თუ სალოლაშენის, კირბალისა და ატოცის ეკლესიებთან დაკავშირებით ხალხში გავრცელებულ თქმულებებს, ლეგენდებს და საწესოსარიტუალო ქმედებებს. მისი ყურადღების გარეშე არ დარჩე-

ნილა შიდა ქართლის მოსახლეობის ერთ-ერთი უმიშვნელოვანესი დღესასწაული - გორიჯვრობა.

დღესასწაული დაკავშირებულია წმინდა გიორგის სახელთან და საეკლესიო კალენდრის მიხედვით აღინიშნება 23 აპრილს (ახ. სტილით 6 მაისი) და 10 ნოემბერს (ახ. სტილით 23 ნოემბერი). ქართველთა რწმენაში წმ. გიორგის მნიშვნელობაზე მიუთითებს თუნდაც ის, რომ გადმოცემის მიხედვით საქართველოში არსებობდა წმინდა გიორგის სახელობის 363 ტაძარი და სამლოცველო. უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა გიორგის ასეთი სიყვარული შემთხვევითი არ უნდა იყოს, რადგან თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით იგი საოცრად ახლოსაა ქართულ სულთან. ქართველმა ხალხმა ამ წმინდანში დაინახა მისი ბუნებისათვის ოდითგანვე დამახასიათებელი სიმამაცე და მშვენიერება, შეუდრეკლობა და ურყეობა, და რაც მთავარია, ქრისტეს რწმენა და მისთვის თავდადება.

ქართული საეკლესიო ტრადიციით, წმინდა გიორგის ცხოვრებისა და მოწამებრივი ღვაწლის შესახებ სწავლება გაავრცელა წმინდა ნინომ. საქართველოში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია პირველად IV-V საუკუნეებში აშენებულა, (ამას გვიდასტურებს ცნობაც გერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის აგების შესახებ), ხოლო IX საუკუნიდან კი მისდამი თაყვანისცემას განსაკუთრებული მასშტაბი შეუძენია.

შიდა ქართლში ყველაზე მეტი ეკლესია წმინდა გიორგის სახელზეა აგებული. აღნიშნულის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ ს. მაკალათიას მიერ შედგენილი ატენისა და თეძმის ხეობების იმ ეკლესია-მონასტრების ჩამონათვალი, რომლებიც მას დაუდასტურებია ეთნოგრაფიული ექსპედიციების დროს.

1947 წლისათვის თემის ხეობაში ყოფილა: ღვთისმშობლის ეკლესია - 6, წმინდა გიორგი - 28, კვირაცხოველი - 4, ესტატე - 1, სამება - 3, მთავარანგელოზი - 2, ნათლისმცემელი - 4, წმინდა თევლორე - 3, კალოუბანი - 1, მარინე - 1, ბარბარე - 1, მეხის ეკლესია - 1, წმინდა სვიმონი - 1, ნიწოწმინდა - 1 უსახელო - 5.¹

ატენის ხეობაში: 55 ეკლესია-სამლოცველოდან ყველაზე მეტი - 16 ყოფილა წმინდა გიორგისა და ღვთისმშობლის სახელზე² მაკალათიას მიხედვით ასეთივე მდგომარეობაა შიდა ქართლის სხვა ხეობებშიც.

მიუხედავად იმისა, რომ შიდა ქართლის თითქმის ყველა სოფელში იყო წმინდა გიორგის ეკლესია, ერთ-ერთ მთავარ ხატად მაინც გორიჯვრის წმინდა გიორგი ითვლებოდა. ეს ის სალოცავია, სადაც თვით კომუნისტური მმართველობის პერიოდშიც არ შეუწყვეტია ქართლის მოსახლეობას სიარული.

გორიჯვრის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „გორის პირისპირ არს ეკლესია წმინდის გიორგისა, მაღალსა გორასა ზედა ნაშენი, სასწაულმოქმედი. თავი წმიდისა გიორგისა მღებარეობს ჯვარსა შინა, უწოდებენ გორიჯვარს“. ³ ამ კომპლექსის ისტორია ძალზე ძველია. როგორც XIX საუკუნის ისტორიული მასალებიდან ირკვევა, გორიჯვარზე ორი ეკლესია მდგარა, რომელთაგან ერთი VIII-IX საუკუნის ტეტრაკონქის ტიპის ნაგებობას განეკუთვნებოდა, რაც დადასტურ-

¹ გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, 8712, შემდეგ: გიემ

² გიემ 5179, გვ. 98.

³ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ.342

და კიდევ 1988 წელს გ. აბრამიშვილის მიერ წარმოებულმა არქეოლოგიურმა შესწავლამ.

განსაკუთრებულად აღსანიშნავია საკუთხეველის წინ აღსამართავი ჯვარი, რომელზეც გამოსახულია წმინდა გიორგის ცხოვრებისა და წამების კომპოზიციები. ჭედურობა მიეკუთვნება XVI, ხოლო მისი საბურავი XIII საუკუნეშია შექმნილი. ეს კი, თავის მხრივ, ადასტურებს გორიჯვრის ეკლესიის სიძველეს. ასეთივე ძველი უნდა იყოს დღესასწაულიც.

სწორედ გორიჯვრის ეკლესიასა და მის დღესასწაულს აღწერს დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი ლექსით. ვფიქრობთ მისი სრულად მოყვანა დღესასწაულის გარკვეულ სურათს შეგვიქმნის:

„გორასა ზედა მაღალსა, სდგა ეკლესია ქებული,
წინ უღის მტკუარი მდინარე, შორით კერძოით რებუ-
ლი.

სხვა მხარე ტყესა მოუცავს, ზოგან კი გამინდვრებუ-
ლი,

შიგ სუფევს ჯვარი ცხოველი, ქრისტიანთაგან ქებული.
ნოემბრის ათსა იციან ყოველთვის მისი ჯვარობა,
ერი ურიცხვად შეკრბების, თუ იქნა კარგი დარობა,
გარს მიერთყმიან მლოცველნი და ისმის მათგან ხა-
რობა,

მამწონს ძველთაგან დანაშთი ესრეთი ჩვენი გვარობა.
უკეთუ მზისა შუქისგან ღრუბელნი განათდებიან,
ჯვარსა მლოცველნი ზედიზედ დასტათა ეახლებიან,
ტურფად დართულნი აღმართზედ, ილალებიან, დგებიან
ოფლი კოკურად აყრიათ,ლაწვიცა მათი ლბებიან.

ცეცხლები რამით კაშკაშებს, მწვადებიც მასზე ტრია-
ლებს,

ზოგნი ღვინითა დამთვრალნი, მღერის, ხმამაღლა ღრი-
ალებს

ზოგან ძილითა დამტკბარნი ფსვინავს და ამოხრია-
ლებს

ფერხული ბრუნავს მრავალი, ზარებიც რიგზე წკრია-
ლებს“.¹

ვფიქრობთ, ხატის კარზე გამართული ლხინის უფრო
ღირიული აღწერა შეუძლებელია. ამავე დროს, მკვლევარი
სიამაყით აცხადებს, რომ მას მოსწონს ხატობის ძველი, ხა-
ლხური წესი, რითაც ხაზს უსვამს, რომ მას გაცნობიერებუ-
ლი აქვს ხალხური დღესასწაულის მნიშვნელობა.

უნდა აღინიშნოს, რომ გორიჯვრობას დღესაც ასეთი
მასშტაბურობით აღნიშნავს შიდა ქართლის მოსახლეობა. 6
მაისიდან დაწყებული - 23 ნოემბრის ჩათვლით, დღესასწაუ-
ლის ყოველ სწორზე სალოცავში უამრავი მლოცველი მიდის.

გორიჯვრობის შემდეგ უნდა აღვნიშნოთ დღესასწაული,
რომელთანაც დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს პირდაპირი
დამოკიდებულება ჰქონდა - ეს არის ახალჯვრობა, დღესასწაუ-
ლი, რომელიც დიდი მასშტაბურობით აღინიშნებოდა მის
მშობლიურ სოფელ ხიდისთავში ყოველი წლის 7 მაისს. მარ-
თალია, მეცნიერი ზემოთაღნიშნული სიზუსტით არ აღწერს
თვითონ დღეობას, მაგრამ საუბრობს ჯვრის სახელზე აგე-
ბულ ეკლესიაზე და იქ დაბრძანებულ ვერცხლის ჯვარზე.
ამდენად, მართებულად მიგვაჩნია, სიღრმისეულად განვიხი-
ლოთ საგაზაფხულო ციკლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი
დღესასწაული „შვიდმაისობა-ახალჯვრობა“. ვიდრე უშუალოდ
დღესასწაულზე ვისაუბრებთ, მნიშვნელოვანია გავარკვიოთ,
ხიდისთავის რომელ ეკლესიაში აღევლინებოდა სადღესას-
წაულო წირვა-ლოცვა 7 მაისს.

¹ ვ. აბრამიშვილი, გორიჯვარი, გორი 1994, გვ. 20

ძველად ხიდისთავში ორი ეკლესია ყოფილა: ახალჯვარის წმინდა გიორგის და ცალკე წმინდა გიორგის. ორივე მათგანი დანგრეულა 1920 წელს გორში მომხდარი მიწისძვრის დროს, საბოლოოდ კი მათი კვალი იმავე ოციან წლებში ახალი რეჟიმის მსახურთ წაუშლიათ ისე, რომ დღეს მხოლოდ ქვის გუმბათის მოტეხილი ნაწილია შემორჩენილი და ხალხიც მასთან ლოცულობს.

ხიდისთავის ახალჯვარის წმინდა გიორგის ეკლესია აგებული უნდა იყოს XVIII ს-ის ბოლოს, თუმცა „საარქივო მონაცემებით ახალჯვარის წმინდა გიორგის ეკლესია ხიდისთავში აუშენებია მღვდელ გიორგი კომორიძეს 1801 წელს“¹ ისტორიული საბუთებისა და ფაქტების ანალიზის შედეგად ისტორიკოსი ი. ალიმბარაშვილი ასკვნის: „ჩვენი აზრით, 1790 წელს ხიდისთავში ახალჯვარის წმინდა გიორგის ეკლესია უკვე უნდა მდგარიყო და 1801 წლიდან კომორიძის მეშვეობით მხოლოდ მისი განახლება მოხდა“².

ხიდისთავის გარდა, შვიდმაისობასას დღესასწაულობდნენ სოფლებში - ბობნევი, ბიისი, ალაიანი, ფიცესი, კეხვი. სწორედ ბობნევეში ყოფილა ეკლესია „თავახალჯვარი“, როგორც მას ს. მაკალათია უწოდებს. „ახალჯვარის ეკლესია აშენებულია მაღალ მთის წვერზე, ტანას მარცხენა მხარეზე. იგი თლილი ქვითაა ნაგები, დაზიანებულია. დღეობა იციან 7 მაისს და სალოცავად მოდიან სხვადასხვა მხრიდან, ათენებენ ღამეს, მოჰყავთ ზვარაკი, მოაქვთ საზედაშე და სხვ. ამ ხეობაში ეს ხატი ითვლება ყველაზე ძლიერ ხატად. იგი დაზიან-

¹ ი. ალიმბარაშვილი. ხიდისთავი და ახალჯვარის ისტორია. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №5, თბ., 2014, გვ. 15

² ი. ალიმბარაშვილი, ხიდისთავი და ახალჯვარის ისტორია, გვ. 16.

ნებულია გორის (1920 წ.) მიწისძვრის დროს“.¹ ვახუშტი ბატონიშვილი ტანას ხეობის აღწერისას იგივე ეკლესიაზე საუბრობს: „მთასა შინა, არს ეკლესია წმიდის გიორგისა ახალი-ჯუარი, სასწაულმყოფი, რამეთუ არს მარადის კარნი დაუხშევლნი და მცველნი არაოდეს. ვერ შევალს მპარავნი, და ვერცა ნადირნი“.²

ამ ეკლესიაში დაბრძანებული იყო ვერცხლით შეჭვდილი ძალზე ძველი ჯვარი, რომელიც შემდეგში ხიდისთავის ახალჯვარში დაუმოწმებია დიმიტრი მეღვინეთხუცესისშვილს: „ჯვარი სიმაღლით - ორი ადლი და შესაფერისი სივანით. ბოლოში ვერცხლის პერანგზე ვრცელი მხედრული წარწერით“.³ დიმიტრი მეღვინეთხუცესისშვილს ამოუკითხავს წარწერა, რომელშიც საუბარია, რომ ეს ჯვარი ერეკლე მეფის ოჯახის დავალებით შეუმკია მღვდელ გიორგი კოშორიძეს და საუფლისწულო აზნაურებს - გრიგოლსა და ზურაბ სააკაძეებს, რომლებიც მფარველობდნენ ეკლესიასა და ჯვარს. მას შემდეგ, რაც შაჰ აბას I-მა ბობნევი და მთელი ატენის ხეობა მოაოხრა (1616-1617წწ.), სააკაძეების ნაწილი მოძღვრებთან ერთად ხიდისთავში გადმოსახლებულა და სასწაულმოქმედი ჯვარიც თან წამოუღიათ. ასე, რომ კოშორიძეების მიერ ახალჯვრის ეკლესიის აშენება შემთხვევითი არ არის“.⁴

ის, რომ ხიდისთავის ახალჯვარი ბობნევიდან წამოსულებს აუგიათ, დასტურდება ს. მაკალათიას ცნობით ხიდისთა-

¹ ს. მაკალათია. ატენის ხეობა, თბ., 1948, გვ. 88-89.

² ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ.343

³ ი. ალიმბარაშვილი, ხიდისთავი და ახალჯვრის ისტორია, გვ. 9.

⁴ ი. ალიმბარაშვილი, ხიდისთავი და ახალჯვრის ისტორია, გვ.

ვის რამდენიმე გვარის შესახებ: „აქაური გვარები გადმოსახლებულნი არიან სხვადასხვა მხარეებიდან. ჯერიაშვილი გადმოსულა ბობნევიდან, გამოქცევია ლეკებს. სალოცავად მიდიან ბობნევის თავახალჯვარში. გიუაშვილიც გადმოსულა ბობნევიდან და სალოცავად მიდიან ბობნევის ახალჯვარში. კოშორიძეც გადმოსულა ბობნევიდან“.¹ სწორედ ბობნევიდან ჩამოსახლებულ გვარებთან ერთად უნდა აეგოთ ხიდისთავის ახალჯვარის ეკლესია გიორგი კოშორიძესა და სააკაძეებს. ყოველ შემთხვევაში, XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში ჩვენ აქ ვხედავთ გამართულ ეკლესიას თავისი მღვდელმსახურით. იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ მოხსენიებულია ხიდისთავის ახალჯვარის ეკლესიის დეკანოზი გიორგი კოშორიძე: „პირველად მივიდნენ ხიდისთავსა. ნახეს მუნ კოშორიძე მღვდელი. დიაკვანმა ჰკითხა ზურაბს, ეს ვინ არისო. ზურაბმა-ესე ახალჯვარის დეკანოზიაო“.²

ღიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ცნობით, ხიდისთავის ახალჯვარის ეკლესია ქვისგან ყოფილა აგებული, დარბაზული ტიპის, წარწერების გარეშე.³ საინტერესოა თვითონ ეკლესიის სახელი -ახალჯვარი. გასაგებია, რომ ის ჯვრის განახლებას უნდა უკავშირდებოდეს, თუმცა, რომელ ახალ ჯვარზეა საუბარი, ცოტა ბუნდოვანია. მისი კონკრეტული განმარტების მოძიებაც გაძნელდა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ეკლესიისა და სოფლის დღეობის სახელი დაკავშირებულია ჯვრის გამოცხადება-განახლების საეკლესიო ტრადიციასთან.

შვიდი მათი ჯვრის დღესასწაულია. კანონიკური კალენდრით ეს დღე „ჯვრის გამოჩინების“ დღედ არის მიჩნეუ-

¹ს. მაკალათია. ატენის ხეობა, გვ. 117.

² იოანე ბატონიშვილი, ზუმარსწავლა კალმასობა, წიგნი I, თბ., 1990, გვ. 18 .

³ ი. ალიმბარაშვილი, ხიდისთავი და ახალჯვარის ისტორია, გვ. 9.

ლი. იგი ლიტურგიულ პრაქტიკაში დამკვიდრდა 351 წლიდან და დაკავშირებულია კირილე იერუსალიმელის სახელთან. ცნობილია, როდესაც ბიზანტიაში მეტად გაძლიერდა არიანობა და მისი მიმდევარი გახდა კონსტანტინე დიდის ვაჟი – კონსტანტინე, კირილე იერუსალიმელმა კონსტანტინე დიდის ვაჟს წერილი მისწერა. წერილი შეიცავდა მოწოდებას: არიანობის დატევებას და ჭეშმარიტ სარწმუნოებასთან დაბრუნებას. კირილე იერუსალიმელის ქადაგების დროს, იერუსალიმში 7 მაისს ცაზე სასწაულებრივად გამოჩნდა ჯვარი და მისი ხილვის გამო იერუსალიმში მრავალი ურწმუნო მონათლა. ასე დამკვიდრდა ეს დღესასწაული.¹ იერუსალიმურ ლიტურგიკულ პრაქტიკაში ჯვრის აღმართვა-გამოჩინების სხვა დღესასწაულიც არსებობს 14 (ახალი სტილით 27) სექტემბერი, რომელიც დაკავშირებულია კონსტანტინე დიდის დედის ელენეს მიერ იერუსალიმში IV საუკუნეში აღმოჩენილ და აღმართულ ჯვართან. ხშირად ეს ორი დღესასწაული ერთმანეთშია არეული, თუმცა მათი აღნიშვნა სხვადასხვა დროს და განსხვავებულად ხდება.

ქრისტიანობის უმთავრესი სიმბოლოს - ჯვარის აღმართვასთან არის დაკავშირებული ალაიანის სასოფლო დღეობა. ყოველი წლის 20 მაისს (ძველი სტილით 7 მაისს) აქაურები აღნიშნავენ თხოთის ჯვრის დღეს - ნინობას. ეს დღესასწაულიც დაკავშირებულია ჯვრის აღმართვასთან, მაგრამ ცნობილია, რომ თხოთის ჯვრის დღე 14 (27) მაისია. გადმოცემით, ეს ჯვარიც იმავე ხიდან გამოთალეს, რაც მცხეთისა. (აღმართვის დღეც ხომ 7 (20) მაისია). ამასვე ამბობს დიმიტრი მეღვინეთხუცესისშვილი ბობნეგ-ხიდისთავის ახალ-ჯვარზე. მისი ცნობით, ჯვარი იმ კვიპაროსის ხისგან იყო გა-

¹ თ. მგალობლიშვილი. კლარჯული ოთხთავი, თბ., 1991, გვ. 148.

კეთებული, რომელიც მცხეთაში უფლის კვართის მოტანისთანავე აღმოცენდა.

როგორც ჩანს, ეს დღესასწაული დაკავშირებულია საქართველოს მოქცევასთან. „საქართველოს ეკლესია ამ დღეს ჯვრის სასწაულთან ერთად 13 ასურელ მამას მოიხსენიებს. კახეთში 7 (20) მაისს ძელიცხოვლობას უწოდებენ და ამ დღეს ანდრია პირველწოდებულს უკავშირებენ“.¹

7 (20) მაისი, ჯვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაული, ქართულ ხალხურ ტრადიციაში დაუკავშირდა წლიურ სამეურნეო კალენდარს. ნ. ღამბაშიძის აზრით, ეს დღე ცხოველმყოფელი წვიმისადმი მიძღვნილი ერთადერთი უძრავი დღესასწაულია, რომელიც აუცილებლად გულისხმობს „ავი ავდრის“ ანუ სეტყვა-კოხის საწინააღმდეგოდ მიმართულ წესჩვეულებებსა და რიტუალებს, რომლებშიც გარკვეულწილად ეკლესია და მისი მსახურებიც მონაწილეობდნენ. წვიმის გამოსათხოვი და კოხის საწინააღმდეგო აგრარული დღესასწაული მჭიდროდ უნდა დაკავშირებოდა ჯვრის ქრისტიანულ დღესასწაულს.

ჩვენი კვლევის მიზანია, განვიხილოთ როგორ აღინიშნებოდა შვიდმაისობა მეღვინეთხუცესიშვილოის მშობლიურ სოფელ ხიდისთავში.

ყოველი წლის 20 (7) მაისს - ხიდისთავის მოსახლეობა აღნიშნავდა და დღესაც აღნიშნავს დღეობას-ახალჯვრობას. საერთოდ, ადგილობრივი საზოგადოებისათვის დღეობებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დღეობა იყო სოფლის შემკვრელი საშუალება და მეზობელ სოფლებს შორის ურთიერთობის ერთგვარი ფორმა. ამავე დროს, დღეობა წარმოადგენდა პირადი შესაძლებლობების - სიჩაუქის, ცეკვა-თამამის, სიმღერის

¹ ნ. ღამბაშიძე. 7 მაისის დღესასწაული საქართველოში, ანალები, 1999, გვ. 67.

გამოვლინების არენას. დღეობის აუცილებელი ელემენტი იყო სამხედრო-საწესო ასპარეზობანი: ჭიდაობა, საჯილდო ქვის აწევის წესი და სხვ. ხშირად დღეობებზევე იმართებოდა ბაზრობები.

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდში დაცულია კოტე ზაქარიას ძე კოშორიძის (დაბ. 1889 წ.) ნაამბობი ხიდისთავის დღეობის „ახალჯვრობის“ მომზადება-ჩატარების შესახებ, მასალა ჩაწერილია 1962 წელს სოფ. ხიდისთავში. ვფიქრობთ, ჩანაწერი საკმაოდ საინტერესოა და მოვიყვანო სრულად: „ახალჯვრობა ყველას უყვარდა, რადგან ის სოფლის და საეკლესიო დღესასწაულად ითვლებოდა. ახალჯვრობა მოდის წელიწადში ერთხელ ძველზედ 7 მაისს, ახალზედ 20 მაისია. დღეობისთვის მთელი წლის მანძილზედ ვემზადებოდით. მაგალითად, შემოდგომიდანვე სარიტას (თადარიგს – თ. კ..) ვეწეოდით სტუმრების შესახვედრათ. ვინახავდით თითოეული ოჯახი საახალჯვრო ჰურს – სულ ცოტას ერთი კოდს. საკლავს მოზვერს ან დეკეულს ეხლანდელი ფულით 100 მანეთი; გოჭს - 1ც. 25; ინდოურს ორს, ან სამს-16; ვარიებს - 5 მაინც; დელლებს - 2 მაინც; კვერცხებს - 30 მაინც; ღვინოს 4 კოკას - 400; სხვადასხვას – 5 მანეთი მაინც. ამაში შედიოდა ახალი თევზი დოში ან ზურგიელი. სულ - 653 მანეთი. ამას გარდა ფულიც უნდა ქონიყო სტუმრების შესაქცევათ ზურნის ან სხვა საკრავისათვის. დღეობაში ნათესაობას ვპატიჟებდით. გათხოვილ დებს თავიანთი სრული ოჯახით და ნათესაობით. ძმისშვილებს და ყველას, ვინც კი ჩვენი ნათესავეები იყვენ. ნათესავეები მოდიოდნენ ურმებით ჩარდახიანებით და ცხენებით. ისე, რომ დაწყობილი 5 მაისიდან 7 მაისამდე მოდიოდნენ თანდათანობით. ჩვენი სახელი რომ გენახათ - ტევა აღარ იყო. მლოცველებიც ხომ ბევრი იყო. დილა ადრიათ სოფლის შარავზეები სამსე იყო მო-

მსვლელი სტუმრებით. დღეობა იწყებოდა 6 მაისს საღამოდან. გძელდებოდა ხან მთელ კვირას. დღეობაზე მოდიოდნენ თავადები, აზნაურები ურმებით, საკლავებით, ცხენებით. ჯერ ესწრებოდნენ ეკლესიაში წირვას, წირვა რომ გათავდებოდა ეწყობოდა ჭიდაობა. ცეკვა ლეკური კი 6 მაისს საღამოდან დაწყობილი, მთელ კვირას გძელდებოდა. დიდ ინტერესს წარმოადგენდა ჭიდაობა, რომელიც ყველას უყვარდა¹. ეს რაც შეეხება ლხინს, თუმცა, შვიდმაისობის არსის გარკვევისას მნიშვნელოვანია ხალხის დამოკიდებულების და რწმენა-წარმოდგენების კვლევა.

როგორც კვლევიდან ირკვევა, 7 (20) მაისს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყოველთვის წვიმს. ქართული ტრადიციით, შვიდი მაისის წვიმა განსაკუთრებული უნარის მქონე ძალად არის მიჩნეული და ეს ძალა უშუალოდ ნაყოფიერებასთანაა დაკავშირებული, რასაც ნათელს ჰფენს ქართლში სხვადასხვა დროს დადასტურებული მასალა. შვიდი მაისის ნამს ოჯახის უფროსი სახაშეში ჩაუშვებდა, ღმერთო, ბარაქა დაადე ჩვენს მოსავალსო. ყანა არ მოცდებოდა, თუ „შვიდი მაისის ნამი დეეცაო“² ისევე, როგორც სხვა არაერთ რიტუალში, აქაც წინაქრისტიანულ ხალხურ აგრარულ გამოცდილებას აძლიერებს ჯვრის დღესასწაულის საეკლესიო რწმენის დანაშრევი.

¹ გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გემ), საქმე №8408, კოტე ზაქროს ძე კოშორიძის ნაამობი დღეობა „ახალჯვრობის“ შესახებ.

² ჯ. რუსაძე. ბუნების აღორძინების ვეგეტაციური დღესასწაული და მისი ქრისტიანული ტრანსფორმაცია. ქართველური მემკვიდრეობა, ქუთაისი 2001, გვ. 199.

ხალხური ტრადიციით, შვიდმაისის წვიმა ანაყოფიერებდა ყველაფერს, რასაც შეეხებოდა. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ფოლკლორული ნიმუშები:

„შვიდმაისის წვიმაო,
თმა კოჭებამდინაო.
შვიდმაისის წვიმაო,
თავზე დამედინაო,
შვიდ-შვიდი ნაწნავი თმა
თავზე დამეფინაო“.¹

შვიდმაისის წვიმას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯანმრთელობისათვისაც. ამ დღეს სცოდნიათ ახალმოკრეფილი ყველანაირი ბალახებითა და მცენარეთა ფოთლებით შეზავებული და გამთბარი წყლის გამოყენება, როგორც თმის, ასევე სხეულის დასაბანად. „წვიმის წყალში ჩავდებლით ყველანაირ ბალახსა, ფოთოლს და ყვავილს. ასეთი წყლით დავიბანდით თმასაც და ტანსაც. იგი თმას გაზრდიდა, კანს გაალამაზებდა, ჯანმრთელობისათვის იყო კარგი“ სცოდნიათ შვიდი სახის ბალახ-ყვავილის მოგროვებაც. ასეთი სახის ნამზადი წყალი გამოიყენებოდა ქალური და რევმატიული დაავადებების სამკურნალოდ.² აღსანიშნავია, რომ შვიდ მაისს სამკურნალო მცენარეების მოკრეფის და შენახვის გარკვეული წესი არსებობდა. მინდაძის დაკვირვებით, „ქართველმა მკურნალმა ქალებმა კარგად იცოდნენ სამკურნალო მცენარეების თვისებები, მათი შერჩევა, შენახვა. სამკურნალო მცენარეებს ისინი უმეტესწილად (მაგრამ არა ყოველთვის) გაზაფხულის ბოლოსა და ზაფხულის დასაწყისში აგროვებდნენ, როდესაც მცენარე წვნით ივსება, წელიწადში ორი დღე კი 7 მაისი - ჯვრის გამოჩინე-

¹ ქ. სიხარულიძე. ხალხური ჰიგიენის წესები (7 მაისის წვიმის წყალი), მსე XXIV, თბ., 2001, გვ. 260.

² ქ. სიხარულიძე, გვ. 260.

ბის დღე და ამაღლება მცენარეთა შეგროვებისათვის ყველაზე საუკეთესოდ ითვლებოდა. ის იმოწმებს მთხრობელს, რომლია გადმოცემითაც, 7 მაისს, როდესაც ცაზე ჯვარი გამოჩნდებოდა, აუცილებლად წვიმა უნდა წამოსულიყო. წმიძნა წვიმის წყალი მიწას ეპკურებოდა და მცენარეებს სამკურნალო თვისებებს უძლიერებდა. ასევე აძლიერებდა თურმე მცენარეთა სამკურნალო თვისებებს ამაღლების დღის მაღლი“.¹ მათ კრეფდნენ უმთავრესად მაშინ, როდესაც ცაზე ჯვრის გამოჩენის დროს წვიმა მოვიდოდა, რომელიც ნაკურთხად მიაჩნდათ. ამ წყლით მცენარეებს სამკურნალო თვისებები უძლიერდებოდათ.

ჩვენ მიერ შეკრებილი მასალის მიხედვით, „შვიდი მაისობის დილას უნდა აგველო უბარი წყალი, რომელიც შეშინებულს ან გულით ავადმყოფს კურნავდა“. ამ დღეს მცენარეების ნამის შეგროვება ღიახვის ხეობის სოფლებში აუცილებელი და მნიშვნელოვანი საწესო ქმედება იყო: „ნამებს მოაგროვებდნენ ბალახიდან, ფოთლებიდან. არც ფუჭდებოდა, არც ხავსი ედებოდა. ყველა ავადმყოფობას შველოდა (მუცლის გვრემა, გაციება).

ერთხელ დილით ბაღში ვიღებდი ნამებს, ჩამოიარა მეზობელმა, მომესალმა. მე რა თქმა უნდა, ხმა არ გავეცი. მეზობელი გამიწყრა. მეორე დღეს მივედი და ვუთხარი - ნუ მიწყრები, უბარი ვიყავი და შვიდი მაისის წყალს ვიღებდი“.²

შვიდ მაისს ყვავილების და ფოთლების დაკრეფა და საცხოვრებლის იატაკზე მოფენა სცოდნით სამეგრელოშიც. ამ დღეს აქ „ბაიობას“ უწოდებდნენ.

როგორც შესწავლილი მასალებიდან ირკვევა, შვიდმაისობა მთელი საქართველოსთვის უნივერსალური დღესასწაუ-

¹ მ. მინდაძე. თბ., 2008, გვ. 67-68.

² გოგიძე - მეტრეველი ნასტასია, დაბ. 1913 წ. სოფ. ძარწემი (კარალეთის ჩასახლება).

ლი უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს ქართველი ეთნოგრაფების მიერ სხვადასხვა დროს მოძიებული მასალა. შვიდი მაისის წვიმა, ნამი მარგებელია მცენარისათვის, ადამიანისათვის, ყველასათვის კარგია. 7 მაისს წვიმა რომ მოვა, კარგია, კარგათა აქვთ დაცდილი, იტყვიან-ბარაქიანი წელიწადი მოვა, მოსავლიანი.

შვიდი მაისობა დღესასწაულად აქვთ ხალხს, ქეიფობენ.

შვიდი მაისის ნამი ადამიანის სისალეა, სუყველასათვის მარგებელია, ფეხშიშველი გაივლ-გამოვივლიან, ჯანისთვის უე-ბარია. აღსანიშნავია, რომ შვიდ მაისს დილით ნამიან ბალახზე წინდებიანი სიარული სცოდნიათ ღონის კაზაკებსაც. ამ წინდებს მთელი წელი ინახავდნენ და მათ დაავადებებისაგან განმკურნებელ ძალას მიაწერდნენ.¹

ამრიგად, შვიდმაისობის დღესასწაულში სხვადასხვა ისტორიულმა ფაქტებმა განაპირობა მასთან დაკავშირებული რიტუალების ნაირფერობა. ქართლის ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული „შვიდმაისობა“ ქრისტიანულ სარწმუნოებაში მიჩნეულია ჯვრის გამოჩინების დღედ და მასთან არის დაკავშირებული არაერთი საეკლესიო დღესასწაული. ამავე დროს, სადღეობო რიტუალი შეიცავს წინარექრისტიანული უნივერსალური მოტივებისა და რთული ისტორიული მოვლენების დანაშრევებს. განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა ამ დღეს მოსულ წვიმას. ხალხის რწმენით, ის ითვლებოდა ნაკურთხად და გააჩნდა სამკურნალო, გამანაყოფიერებელი თვისებები. ტრადიციული რწმენით, წვიმას უკავშირებდნენ მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, ბარაქიან და უხვ მოსავალს, ხოლო ამ მოსავალის ავი დარის – სეტყვი-

¹ ნატალია ბელენკო, დაბ. 1952 წ. სტავროპოლის ოლქი, მცხვორ. ქ. გორში.

საგან გადასარჩენადაც მიმართავდა სპეციალურ საწესო-სარიტუალო ქმედებებს.

დამოწმებანი:

აბრამიშვილი ვაჟა. გორიჯვარი, გორი 1994.

ალიმბარაშვილი იოსებ. ხიდისთავი და ახალჯვარის ისტორია. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, № 5, თბ., 2014.

ბატონიშვილი იოანე, ხუმარსწავლა კალმასობა, წიგნი I, თბ., 1990.

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საბ: 8712, 8408,

ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.

მაკალათია სერგი. ატენის ხეობა, თბ., 1948, გვ. 88-89.

მგალობლიშვილი თამილა. კლარჯული ოთხთავი, თბ., 1991.

რუხაძე ჯ. ბუნების აღორძინების ვეგეტაციური დღესასწაული და მისი ქრისტიანული ტრანსფორმაცია. ქართველური მემკვიდრეობა, ქუთაისი 2001, გვ. 199.

სიხარულიძე ქსენია. ხალხური ჰიგიენის წესები (7 მაისის წვიმის წყალი), მსე XXIV, თბ., 2001, გვ. 260.

ღამბაშიძე ნ. 7 მაისის დღესასწაული საქართველოში, ანალები, 1999.

მოგონებები:

გოგიძე-მეტრეველი ნასტასია, დაბ. 1913 წ. სოფ. ძარწე-
მი (კარალეთის ჩასახლება).

ნატალია ბელენკო, დაბ. 1952 წ. სტავროპოლის ოლქი,
მცხორ. ქ. გორში.

კოტე ზაქროს ძე კომორიძის ნაამბობი დღეობა „ახალ-
ჯვრობის“ შესახებ

Tamila Koshoridze

Sergi Makalatia Gori Historical and Ethnographical Museum

DIMITRY MEGVINETUKHUTSESISHVILI AND

GEORGIAN FOLK FESTIVAL

RESUME

Dimitry Megvinetukhutsesishvili tried during his life to search and save Georgian historical and cultural inheritance. He also passed though folk festivals and made an attention to the one of the most important event - “Gorijvroba”.

Dimitry Megvinetukhutsesishvili clearly showed us the situation of the festival by verse. There are description of the temple and fest around it. Historian saying with proud that he likes an old folk customs.

It is important to make a note of a festival that took place in Dimitry’s village, Khidistavi, in every year of 7th May. He doesn’t speak about festival, but describes the village church and cross placed there.

It is important that 7th May event - “Akheljvroba” is the festival of cross magical appearance in Jerusalem sky (351). At the same time, in Georgian folk traditions, it is connected to the economic year calendar and became the only fixed festival dedicated to the rain.

დავით მერკვილაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

**დეკანოზ ბასილ მერკვილაძის შთამომავალთა საოჯახო
არქივის მონაცემები**

2010 წლის სექტემბერში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭალატყიდან ჩამოვიტანე ხელნაწერი საბუთების სამი ფურცელი. მათ შორის იყო ჭალატყის ჯვარცმის ეკლესიის დეკანოზის, აზნაურ ბასილ (ვასილ) მერკვილაძისადმი მიმართული წერილების პირები ისეთი ცნობილი პიროვნებებისაგან, როგორც არიან იმერეთის დედოფალი მარიამი და გაენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმი.¹ მოგვიანებით ქ. ზესტაფონში მივაკვლიე არქივის დანარჩენ ნაწილსაც.

ნათელი იყო, რომ ყველა ხელნაწერი საბუთი ერთი არქივის შემადგენელი ნაწილი იყო. პირველი სამი საბუთის გაცნობის შემდეგ შემიქმნა შთაბეჭდილება, რომ საქმე მქონდა ჭალატყის ჯვარცმის ეკლესიის საბუთებთან. ამიტომ მივიჩინე, რომ დიდი ალბათობით, მას შემდეგ, რაც საქართველოში გაბატონებულმა ბოლშევიკურ-კომუნისტურმა ხელისუფლებამ სოფლის ეკლესია დახურა, იქ დაცული არქივის საბუთები (ან მათი ნაწილი) შეიძლებოდა შესანახად გადატანილიყო ერთ-ერთ ოჯახში. კერძოდ, დიდი ალბათობით, ეს შე-

¹ ამის შესახებ ორი წერილი ადრევე გამოვაქვეყნე (დავით მერკვილაძე, ახლად აღმოჩენილი საბუთები სოფ. ჭალატყიდან, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, ტ. XIII-XIV, თბ., 2011/2012, გვ. 178-185)

იძლებოდა გაეკეთებინა ამ ეკლესიის ზემოდასახელებული დეკანოზის, ბასილი მერკვილაძის ერთ-ერთ შთამომავალს.¹ თუმცა მას შემდეგ, რაც მოვიპოვე დანარჩენი საბუთები, მათი კომპლექსურად საფუძვლიანი შესწავლის შემდგომ ეჭვი აღარ დარჩა, რომ ყველა ეს საბუთი, ერთად აღებული, წარმოადგენდა დეკანოზ ბასილ მერკვილაძის შთამომავალთა საოჯახო-საგვარეულო არქივს. ამის საფუძველს იძლეოდა ის გარემოება, რომ წარმოდგენილი არქივის საბუთები უშუალოდ უკავშირდება ბასილი მერკვილაძის შვილიშვილის, ტიმოთე მერკვილაძის ოჯახს, მის შვილებსა და შვილიშვილებს.

საოჯახო-საგვარეულო არქივი მთლიანობაში შედგება 17 საბუთისაგან. აქედან 8 რუსულ ენაზეა შედგენილი, ცხრა – ქართულად. რუსულ ენაზეა სახელმწიფო უწყებების მიერ გაცემული დოკუმენტები, ხოლო კერძო პირთა შორის სხვადასხვა სახის ხელშეკრულებები – ქართულად. ასევე ქართულ ენაზე შედგენილი სოფლის ეკლესიის მიერ გაცემული გარდაცვალების მოწმობა. საბუთები შედგენილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. ყველაზე ძველი დათარღებული წერილი 1883 წლის 25 იანვრით თარიღდება. ყველაზე გვიანდელი – 1916 წლით. ამ საბუთებს შორის მოიპოვება იმერეთის დედოფლის მარიამისა და გაენათელი მიტროპოლიტის ეფთვიმის პირადი ხასიათის თითო წერილის პირები. წერილები დაუთარიღებელია, თუმცა, ბუნებრივია, რომ ამ წერილთა დედნები აღნიშნულ საბუთებს შორის ყველაზე ძველია.

აღნიშნული ხელნაწერი საბუთების მასალები, ორიოდ გამონაკლისის გარდა (მარიამ დედოფლისა და ეფთვიმი გაენათელის წერილები მანამდე გამოვაქვეყნეთ), პირველად ქვეყნდება. დასახელებული არქივი იძლევა წარმოდგენას ბასილი

¹ იქვე, გვ. 178.

მერკვილადის შთამომავალთა სოციალურ სტატუსზე, ქონებრივ მდგომარეობაზე; მე-19 საუკუნის და მე-20 საუკუნის დასაწყისში სოფ. ჭალატყეში მცხოვრებ გვარებზე და ა.შ.

ამ არქივის მასალებზე დაყრდნობით, წარმოვადგენთ საბუთებში მოხსენიებულ დეკანოზ ბასილ მერკვილადისა და მის შთამომავალთა შესახებ არსებულ მონაცემებს.

მერკვილადეთა სოციალური სტატუსი. ბასილ მერკვილადე მარიამ დედოფლის მიერ მისთვის გაგზავნილ წერილში იწოდება აზნაურად. წერილის ტექსტი ასევე იწყება: „აზნაურს ვასილს“. მისი შვილიშვილი ტიმოთე კი უკვე იწოდება აზნაურობის მაძიებლად. ასევე იხსენიება ტიმოთეს ვაჟი – იაკობი. ვლადიმერ იაკობის ძის შესახებ კი ამ უკანასკნელის მოთხოვნით გაცემულ დაბადებისა და ნათლობის მოწმობაში (გაცემულია 1903 წლის 25 ივლისს) აღნიშნულია, რომ მოწმობა მიეცა „თავის აზნაურად მწოდებ (ИМЕНУЮЩЕМУ СЕБЯ ДВОРЯНИНОМ) ვლადიმერ იაკობის ძე მერკვილადეს“. ეტყობა, ვლადიმერ მერკვილადე დაბეჯითებით ითხოვდა თავის დაბადებისა და ნათლობის მოწმობაში აზნაურობის მითითებას. მე-18 ს-ში ამ ოჯახის წინაპართა მიერ აზნაურის წოდების ფლობა აშკარაა.¹ თუმცა, როგორც ჩანს, რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ მათ თავიანთი სტატუსის დასაბუთება ამ ხელისუფლების წინაშე ბოლომდე ვერ შეძლეს.²

¹ აღსანიშნავია, რომ იმერეთის მეფე სოლომონ I ერთ-ერთ სასისხლო საქმეზე თავისი განჩინების აღსრულებას ავალებს აზნაურ ივანე მერკვილადეს (განჩინება სოლომონ I-ისა დავით წერეთლისა და ბეჟიკა ცქიტიშვილის სასისხლო საქმეზე, „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. V. სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1974, გვ. 285).

² იმერეთში თავადაზნაურთა წოდებაში შემავალთა დაზუსტების საქმე რთულად წარიმართა. ამ მიზნით შექმნილმა დროებითმა კომისიამ

ამის გამო, ოფიციალურ დოკუმენტებში, სადაც მათი სოციალური სტატუსის მოხსენიება იყო საჭირო, იხსენიებიან როგორც აზნაურობის მადიებელნი. დიდი ალბათობით, სწორედ თავიანთი აზნაურობის დასამტკიცებლად უნდა მოეძიებინათ ეფთვიმი გაენათელისა და მარიამ იმერეთის დედოფლის წერილები, თავიანთ ბაბუის, დეკანოზ ბასილ (ვასილ) მერკვილაძისათვის მიწერილი და ამ წერილების ოფიციალურად დამოწმებული პირები წარედგინათ სათანადო უწყებებში.

ცხადია, მერკვილაძეები თავს ყველგან აზნაურებად მოიხსენიებდნენ და ასეც იყვნენ კიდევაც ცნობილი მახლობელ საზოგადოებაში. მაგრამ, ვინაიდან ოფიციალურად მათი აზნაურად აღიარება რუსული ხელისუფლების პირობებში გართულდა, ოფიციალურ დოკუმენტებში ძირითადად „აზნაურობის მადიებელის“ სტატუსი უფიქსირდებათ და არა „მესაკუთრე გლეხისა“, როგორც მაგ., ერთ-ერთ საბუთში იხსენიება გალაკტიონ მერკვილაძის შეძლებული სიმამრი, სოფ. საზანოს მკვიდრი ივანე საცერაძე.

სასულიერო წოდება. საგვარეულო არქივში მერკვილაძეთა შორის მოხსენიებული უხუცესი პირი – ბასილ, იგივე ვასილ მერკვილაძე ჭალატყის ჯვარცმის ეკლესიის დეკანოზი იყო. ასევე მღვდელი იყო ბასილის ვაჟი ანდრიაც, რომელიც მღვდლად უკურთხებია გაენათელ მიტროპოლიტს ეფთვიმი. მიტროპოლიტი დეკანოზ ბასილს პირადი წერილით ამცნობს, რომ მისი შვილი ანდრია მღვდლად აკურთხა და ასევე თხოვს, რათა მას ასწავლოს ღვთისმსახურება („წირვა და

1849 წლის ივნისში დაასრულა შესაბამისი სიის შედგენა, რომელიც საბოლოოდ მომდევნო წლის ბოლოს იქნა დამტკიცებული. („ქუთაისის გუბერნიისა და მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლები“, დოკუმენტების კრებული, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მ. კეზევაძემ, ქუთაისი, 2009, გვ. 4).

ტიპიკონი“). სად მსახურობდა მღვდელი ანდრია მერკვილაძე, ამის თაობაზე დასახელებული საბუთებში ზუსტი მითითება არ მოიპოვება. სამაგიეროდ, ქუთაისის სახელმწიფო არქივის მონაცემების მიხედვით შედგენილ სპეციალურ ლიტერატურაში, ისიც 1812 წლიდან, ჭალატყის ჯვარცმის ეკლესიის მღვდლად არის მითითებული.¹ აქვე 1812-1851 წლებში ამავე ეკლესიის მღვდლად დასახელებულია გიორგი ვასილის ძე მერკვილაძე.² მერკვილაძეთა საოჯახო არქივის 1870 წლის საბუთის 1885 წელს გაცემული დამოწმებული ასლის მიხედვით, მღვდელ გიორგი მერკვილაძეს ჭალატყის ჯვარცმის ეკლესიაში 1842 წლის 30 იანვარს მოუნათლავს ტიმოთე ანდრიას ძე მერკვილაძის ვაჟი იაკობი. შესაძლოა, მღვდელი გიორგი მერკვილაძეც ზემოაღნიშნული ბასილ, იგივე ვასილ მერკვილაძის ძე იყოს, ანდრიას უმცროსი ძმა. ანდრიას ძე ტიმოთეც ეკლესიის მსახური ყოფილა, თუმცა სამღვდლო ხარისხი მას არ მიუღია, რადგან იწოდება მხოლოდ პრიჩეტნიკად (უმცროსი ღვთისმსახური, მედავითნე) და მღვდლის შვილად. მისი შვილები კი – მღვდლის შვილიშვილებად. მე-19 ს-ის 80-90-იან წლებში ჭალატყის ჯვარცმის ეკლესიის უმცროს ღვთისმსახურად (პრიჩეტნიკი) ჩანს ასევე ტარიელ მერკვილაძე (მსახურობდა მღვდელ გიორგი დალაქიშვილთან).

ყველა ზემოდასახელებული გარემოებით უნდა იყოს განპირობებული, რომ 1893 წლის დოკუმენტში ტიმოთე მერკვილაძის შვილები მოხსენიებულნი არიან, როგორც „შთამომავლობით სასულიერონი“.

მერკვილაძეთა ქონებრივი მდგომარეობა. საგვარეულო არქივის მიხედვით, მერკვილაძეები სოფ. ჭალატყის შეძლებუ-

¹ მერაბ კეზევაძე, ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები, ქუთ., 2008, გვ. 149.

² იქვე.

ლი მაცხოვრებლები ჩანან. მათ საკუთრებაში აქვთ საკმაო რაოდენობის სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთები. ეს საკუთრება კი მათ მემკვიდრეობით მფლობელობაში გააჩნდათ. საოჯახო არქივში დაცული საბუთებით ღვინდება, რომ ტიმოთეს ძეებს, ოთხ ძმა მერკვილაძეს: ბესარიონს, სიმონს, პავლესა და იაკობს, - თხოვნით მიუმართავთ ხელისუფლებისათვის და წარუდგენიათ სათანადო საბუთები, რის საფუძველზეც თბილისის სახაზინო პალატის შორაპნის მაზრის უფროსისადმი 1883 წლის 11 ივნისის №3159 მიწერილობის თანახმად, ისინი გამოურიცხავთ შორაპნის მაზრის სოფ. ჭვალატყის სახაზინო მიწაზე მცხოვრებ დასაბეგრ მაცხოვრებელთა რიცხვიდან,¹ რაც ნიშნავს, რომ ძმები განთავისუფლდნენ შესაბამისი გადასახადის გადახდისაგან. სახაზინო მიწაზე მცხოვრებთა რიცხვში კი ისინი ჩაუწერიათ 1873 წლის კამერალური აღწერის დროს და შესაბამისად დაუბეგრავთ სახელმწიფოს სასარგებლო გადასახადებით.

1992 წლის 18 დეკემბრის და ქუთაისის გუბერნიის 1893 წლის 16 იანვრის წინადადების ძალით, დღის წესრიგში დამდგარა სახაზინო მიწების ჩამორთმევის საკითხი, მაგრამ პავლე და იაკობ მერკვილაძეების (მათი უფროსი ძმები, ბესარიონი და სიმონი ამ დროისათვის გარდაცვლილები ჩანან) შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნა ის გარემოება, რომ „საზოგადოებისგან მათ არასდროს არ ჰქონიათ გადაცემული სახაზინო მიწები, ხოლო მათ სარგებლობაში არსებულ მიწებს ისინი თავისი წინაპრებისაგან მემკვიდრეობის უფლებით ფლობენ“. ამიტომაც მერკვილაძეების მფლობელობაში

¹ სახელმწიფო ანუ სახაზინო გლეხებად XVIII-XIX სს-ის რუსეთში იწოდებოდნენ ისეთი გლეხები, რომლებიც ცხოვრობდნენ სახელმწიფო მიწაზე და ამიტომ საგანგებო გადასახადს იხდიდნენ სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ.

და სარგებლობაში არსებული მიწების ჩამორთმევის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა (აქვეა ხაზგასმული, რომ ისინი „შთამომავლობით სასულიერონი“ არიან).

ბასილი მერკვილაძის შთამომავალთა ქონებრივ მდგომარეობას ასევე ასახავს საოჯახო არქივში დაცული ნასყიდობის საბუთები, რომლებიც ძირითადად მიწების ყიდვა-გაყიდვას ეხება. აღსანიშნავია, რომ ყიდვა-გაყიდვა წარმოებდა ძირითადად მერკვილაძეთა გვარის წარმომადგენლებს შორის, ხანდახან კი უშუალოდ ტიმოთე მერკვილაძის შთამომავლებს შორისაც.

დეკანოზი ბასილი მერკვილაძისა და მისი შთამომავლების ბიოგრაფიული ცნობები. საოჯახო არქივში დაცულია ისეთი სახის რიგი მონაცემებისა, რომელთა გამოკვლევის, შეჯამებისა და შესაბამისი დახარისხების შედეგად ბასილი მერკვილაძესა და მისი შთამომავლების შესახებ გარკვეული ბიოგრაფიული სურათი იხატება.

ბასილ (ვასილ) მერკვილაძე

აზნაური. სოფ. ჭალატყის ჯვარცმის ეკლესიის მღვდელი. ფლობდა დეკანოზის ხარისხს. ჩანს, რომ იგი XVIII საუკუნის მე-2 ნახევრისა და XIX საუკუნის დამდეგის მოღვაწეა. საგვარეულო არქივში დაცული გაენათელ მიტროპოლიტ ეფთვიმისა და იმერეთის დედოფლის მარიამის მისაღმი მიწერილი წერილების შინაარსიდან ირკვევა, რომ იგი ძალზე დაფასებული და პატივდებული პიროვნება ყოფილა. ამაზე მეტყველებს: 1. მარიამ იმერეთის დედოფლის მიერ მოკრძალებული მიმართვა დეკანოზისადმი: „მარჯვენეს გეამბორები“ და მორიდებული დაბარება თავისთან: „თუ შენი შესამატი საქმე არის, თორემ დასაკლისი არაფერი არის. ნუ დაიზარებ აქ ჩამოსვლას. თუმც რამე ერთი მიზეზი ქონდეს და შენ ვერ

ჩამოხვიდე, შენი ბიძაშვილი რომ არის, დავითელა, ის გამოგ-
ზავნე საჩქაროთ.“ 2. ეფთვიმი გაენათელი მიტროპოლიტის
წერილი, სადაც მღვდელმთავარი დეკანოზს თხოვს, მის მიერ
მღვდლად ნაკურთხ შვილს ღვთისმსახურება („წირვა და ტი-
პიკონი“) შეასწავლოს და, სამაგიეროდ, მის ეკლესიაზე
„მადლის გაწევას“ ჰპირდება. ამავე წერილიდან ვიგებთ, რომ
თავად თავად ბასილისათვისაც ეფთვიმე მიტროპოლიტს უს-
წავლებია ლიტურგიკა: „რავარც შენთვის მე შესწავლებინოს
წირვა და ტიპიკონი,“ ანდრეასაც ისე ასწავლეო – წერს მას
მიტროპოლიტი.

ანდრია ბასილის ძე მერკვილაძე

დაიბადა მღვდლის ოჯახში. მღვდლად აკურთხა გაენა-
თელმა მიტროპოლიტმა ეფთვიმემ და მამამისს, დეკანოზ ბა-
სილ მერკვილაძეს თხოვა მისთვის სრულყოფილად ესწავლე-
ბინა სამღვდლო წესები. დაბადებული უნდა იყოს მე-18 საუ-
კუნის ბოლო მეოთხედში. მღვდლად ჭალატყის ჯვარცმის
ეკლესიაში მსახურობდა 1812 წლიდან.

ტიმოთე ანდრეას ძე მერკვილაძე

იწოდება მღვდლის ვაჟად. უმსახურია მეღავითნედ
(იწოდება პრიჩეტნიკად). ასევე იწოდება აზნაურობის მაძიებ-
ლად. მისი მეუღლე მოიხსენიება როგორც როდამ ბელიანის
(?) ასული (მამის სახელი ცუდად იკითხება). საბუთებში მო-
ხსენიებულია მისი 4 ვაჟი: ბესარიონი, სიმონი, პავლე და ია-
კობი. მისი პირველი ძე, ბესარიონი დაბადებულა 1823/4
წლებში, უმცროსი, იაკობი – 1842 წელს. ამიტომ ტიმოთე,
სავარაუდოდ, დაბადებული უნდა იყოს 1800 წლის ახლო
ხანებში.

ბესარიონ ტიმოთეს ძე მერკვილაძე (1824-1885)

გარდაიცვალა 1885 წლის 25 თებერვალს ყვავილისა-
გან. დაკრძალეს 28 თებერვალს ს. ჭალატყის ჯვარცმის

ეკლესიის გალავანში. გარდაიცვალა 61 წლისა უცოლშვილოდ. აღსარება ათქმევინა და აზიარა მღვდელმა გიორგი დალაქიშვილმა. ანდერძი აუგო ამავე მღვდელმა მედავითნე (причетник) ტარიელ მერკვილაძესთან ერთად. რადგანაც გარდაიცვალა უცოლშვილოდ, მის მემკვიდრეებად დარჩნენ მისი ძმები: პავლე და იაკობ მერკვილაძეები. დაბადებული უნდა იყოს 1824 (ან 1823) წელს. მოხსენიებულია ცოცხლად 1883 წლის და 1884 წლის საბუთებში.

სიმონ ტიმოთეს ძე მერკვილაძე

დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია. დაბადებული უნდა იყოს 1824 წლის შემდეგ (ვინაიდან ამ წელს მისი უფროსი ძმა ბესარიონი ჩანს დაბადებული). იხსენიება 1883 და 1884 წლის საბუთებში ცოცხლად. 1889 წლის საბუთში, ის აღარ იხსენიება უცოლ-შვილოდ გარდაცვლილი უფროსი ძმის მემკვიდრე ძმებს შორის. არ იხსენიება არც 1893 წლის საბუთში, სადაც ის წესით მოხსენიებული უნდა იყოს (ლაპარაკია, რომ მის ძმებს პავლეს და იაკობს არ ეკუთვნით სახაზინო მიწის ჩამორთმევა, რადგან მათ სახაზინო მიწები არ მიუღიათ და მემკვიდრეობით ფლობენ. ამიტომ იგი 1889 წლისათვის უკვე გარდაცვლილი ჩანს. ე.ი. უნდა გარდაცვლილიყო 1884-1889 წლებს შორის.

პავლე ტიმოთეს ძე მერკვილაძე

დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია. ვერ დაიბადებოდა 1826 წლამდე და ვერც 1841 წლის შემდეგ. დიდი ალბათობით XIX საუკუნის 30-იან წლებშია დაბადებული. 1912 წლის საბუთით ის ჯერ კიდევ ცოცხალია. მისი ოჯახის წევრთაგან საბუთებში იხსენიება მისი ვაჟი სარდიონი. არ სცოდნია წერა-კითხვა, რის გამოც საბუთებს მის მაგივრად ხელს აწერენ სხვები (მათ შორის მისი ძე სარდიონი).

იაკობ ტიმოთეს ძე მერკვილაძე

უძცროსი ვაჟი ტიმოთე მერკვილაძის ოჯახში. იწოდება აზნაურობის მადიებლად. ჩანს შინაურობაში ეძახდნენ იაკოს, რადგან რამდენიმე ოფიციალურ საბუთებში იგი იაკოდ მოიხსენიება. საგვარეულო არქივის საბუთებში ყველაზე ხშირად იაკობ მერკვილაძე ფიგურირებს. დაიბადა 1842 წლის 14 იანვარს. 30 იანვარს იგი მოუნათლავს ჭალატყის ჯვარცმის ეკლესიის მღვდელს გიორგი მერკვილაძეს. ნათლია ყოფილა მღვდელი სიმონ ფერაძე. 1893 წელს ის ცოცხალია. 1896 წელს კი მისი ძმა პავლე მისი მეუღლისაგან ყიდულობს სახნავ მიწას, რაც გვაფიქრებინებს, რომ იაკობი ცოცხალი აღარაა. ე.ი. თითქოს უნდა გარდაცვლილიყო 1893/6 წლებს შორის. თუმცა 1897 წელს მას მიუმართავს შორაპნის სასამართლოში საჩივრით ვინმე საქარელი ორახელაშვილის წინააღმდეგ (მიწა შინაურულად მივეცი დასამუშავებლად და აღარ აბრუნებსო). საბუთებში იხსენიება მისი მეუღლე – კესარია იოსებ ბაზღაძის ასული. საბუთებში დასახელებულია მისი ხუთი ვაჟი: ვლადიმერ, სერგო, გალაქტიონ, აგაბო და შალვა. მისი პირველი ვაჟი ვლადიმერი დაბადებულა 1880 წლის 1 მაისს.

სარდიონ პავლეს ძე მერკვილაძე

დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია. როგორც ჩანს ოჯახში ერთადერთი ვაჟია. იხსენიება 1909, 1911 და 1912 წლის საბუთებში. იგი მამასთან ერთად მონაწილეობს უძრავი ქონების განკარგვაში როგორც სრულუფლებიანი წევრი. საბუთებს წერა-კითხვის უცოდინარი მამის მაგიერაც თავად აწერს ხელს. ასევე ხელს აწერს თავისი ბიძაშვილის (გალაკტიონის) სიმამრის (ივანე საცერაძის) მაგიერაც.

ვლადიმერ იაკობის ძე მერკვილაძე

ვლადიმერ მერკვილაძის თხოვნით 1903 წლის 25 ივლისს გაცემულ მისსავე დაბადების მოწმობაში აღნიშნულია, რომ ვლადიმერი დაბადებულა 1880 წლის 1 მაისს აზნაურობის მაძიებელ იაკობ ტიმოთეს ძე მერკვილაძის ოჯახში. დედა კესარია იოსების ასული (ბაზლაძე). მოინათლა 29 მაისს. მონათლულა კაცხის წმ. გიორგის ეკლესიაში, ვინაიდან მისი დაბადებისა და ნათლობის შესახებ მონაცემებს იძლევა აღნიშნული ეკლესიის მეტრიკული წიგნის ჩანაწერები. ნათლია გამხდარა სოფ. ქვაციხის (ამჟამად ჭიათურის მუნიციპალური ტერიტორია) მკვიდრი, აზნაური დავით დიმიტრის ძე ჟღენტი. ნათლობის საიდუმლო აღასრულა მღვდელმა სპირიდონ მოდებაძემ. საინტერესოა, რომ თვითონ იწოდება ს. ჭალატყის მკვიდრად, ხოლო მისი მშობელი – ს. საქარაში მცხოვრებად. ასევე საგულისხმოა, რომ იგი იხსენიება როგორც „თავის აზნაურად მწოდები“. 1909 წელს ბიძისა (პავლეს) და ბიძაშვილისაგან (სარდიონისაგან) ძმებთან ერთად ყიდულობს სახნავ მიწას. ხოლო 1912 წელს ამავე პირებთან იყოფს მამაპაპისეულ მიწას ასევე დანარჩენ ძმებთან ერთად.

გალაკტიონ იაკობის ძე მერკვილაძე

დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია. დაბადებული უნდა იყოს 1880 წლის შემდგომ. დედა კესარია იოსების ასული (ბაზლაძე). იხსენიება, როგორც სასულიერო წოდება. 1909 წელს ბიძისა (პავლეს) და ბიძაშვილისაგან (სარდიონისაგან) ძმებთან ერთად ყიდულობს სახნავ მიწას. ხოლო 1912 წელს ასევე დანარჩენ ძმებთან ერთად ამავე პირებთან იყოფს მამაპაპისეულ მიწას. მეუღლე მარია ივანე საცერაძის ასული. 1911 წელს იგი უკვე დაოჯახებულია. ამ წლითაა დათარიღებული საბუთი, რომლითაც მისი სიმამრი, საზნაოელი „მესაკუთრე გლეხი“ ივანე ზურაბის ძე საცერაძე

მას და მის მეუღლეს „სამკვიდროდ და საშვილიშვილოდ“ აძლევს მისადმი კუთვნილ მამულებს. 1916 წელს სილიონ მერკვილაძისაგან ყიდულობს მიწის ნაკვეთს.

სერგო, აგაბო და შალვა იაკობის ძენი მერკვილაძეები

მათ შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. დედა – კესარია იოსების ასული (ბაზლაძე). მონაწილეობენ 1909 და 1912 წლის გარიგებებში ძმებთან ერთად. ამას გარდა, ამ დროს აგაბო და შალვა არასრულწლოვნები ყოფილან, რის გამოც მათ მაგივრადაც საბუთებს ხელს აწერს მათი სამი უფროსი ძმა. როგორც ჩანს, ეს სერგო და შალვა არიან, რომელთა მამული ესაზღვრებოდა სილიონ მერკვილაძის მამულს („ლიპის ადგილი“) დასავლეთიდან.

საბუთებში დასახელებული პუნქტები შორაპნის მაზრის არეს ფარგლებს არ სცილდება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ საგუბერნიო ცენტრებს: ქუთაისი, თბილისი). დასახელებულია რამდენიმე სოფელი: ჭალატყე, საქარა, საზანო, ქვაციხე, კაცხი, ყვირილა. აქ ასევე ამ სოფლებში მოიპოვება მთელი რიგი ადგილთა სახელწოდებანი, რომელთა დიდი ნაწილი დღეს უკვე დაკარგულია. დასახელებულია რამდენიმე ეკლესიაც.

ჭალატყე

საბუთებში ამ სოფლის სახელი ყველაზე ხშირად გვხვდება და ეს ლოგიკურია: მერკვილაძეები, რომელთა საოჯახო არქივსაც ეხება ეს გამოკვლევა, სწორედ ამ სოფლის მკვიდრნი არიან. სოფლის ძირითადი ნაწილი გაშენებულია მდ. ჩოლაბურის მარცხენა ნაპირზე, მდინარეების ბუჯისა და ძუსის შესართავიდან (საიდანაც იწყება მდ. ჩოლაბური) დინების დაღმა, მუნიციპალურ ცენტრ ზესტაფონის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, ამ უკანასკნელისგან 10-ლდე კმ.-ში.

საბუთებში არაერთხელ არის მოხსენიებული ჭალატყის ჯვარცმის ეკლესია. მაცხოვრის ჯვარცმის ეკლესია დღესაც დგას ამ სოფელში, ჩოლაბურის მარცხენა შემაღლებულ ნაპირას. ამ ეკლესიის ღვთისმსახურებიდან საბუთების მიხედვით, ვიცით: დეკანოზი ბასილი მერკვილაძე (XVIII ს-ის მე-2 ნახევარი), მღვდელი ანდრია მერკვილაძე (XIX ს-ის დასაწყისი), გიორგი მერკვილაძე (1842 წელი), მღვდელი გიორგი დალაქიშვილი (1880-იანი წლები). უმცროსი ღვთისმსახურები: ტიმოთე მერკვილაძე, ტარიელ მერკვილაძე. ჭალატყელ მერკვილაძეთა დიდი ნაწილი ამ ეკლესიაშია მონათლული და მის ეზოში („გალავანში“) დაკრძალული.

ჭალატყის მკვიდრთა შორის საბუთებში მოხსენიებულ პირთაგან დიდი უმრავლესობა მერკვილაძეები არიან, როგორც ბასილი მერკვილაძის შთამომავლები (მისი ჩათვლით 13 პიროვნება), ისე სხვა მერკვილაძეები (15 პიროვნება). კანტი-კუნტად, მაგრამ მაინც აქ ჩანს სავარაუდოდ აქ მცხოვრები სხვა გვარების წარმომადგენლებიც: ყველაზე დიდი ალბათობით გაბუნია და ხუტაშვილი. ამ სოფელში მღვდლად ნამსახური გიორგი დალაქიშვილი ადგილობრივი მკვიდრი არ უნდა იყოს. ეს გვარი ამ და ახლო-მანლო სოფლებში გავრცელებული არ არის. გარდა ამისა, როგორც დგინდება, მას ჭალატყის ჯვარცმის ეკლესიაში მოსვლამდე უმსახურია სოფ. ბელღევის წმ. გიორგის ეკლესიაში.¹

საგულისხმოა, რომ მიწის ნასყიდობის საბუთებში მამულების მყიდველებიცა და გამყიდველებიც მერკვილაძეები არიან და სასყიდ მიწასაც ყველა მხარეს ისევ მერკვილაძეთა მამულები ემიჯნება. ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ ჭალატყეში XIX საუკუნის მე-2 ნახევარსა და XX ს-ის დასა-

¹ მერაბ კეზევაძე, ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები, ქუთ., 2008, გვ. 50.

წყისში ძირითადად მერკვილაძეები მკვიდრობენ. ამ მცირე სოფელში სხვა გვართა შორის ყველაზე მრავლად დღესაც მერკვილაძეთა გვარია გავრცელებული.

სოფლის ტოპონიმიკიდან დასახელებულია: ლომორსო-ული, ფერადის სოული, ლალასტყე, ლიპის ადგილი.

საქარა

ამჟამად არსებობს ორი, ზედა და ქვედა საქარა. ჩანს, საბუთებში ზოგადად საქარა იხსენიება, რომლის საზოგადოებაში შედიოდა სოფ. ჭალატყე. იგი ადმინისტრაციულად დღესაც საქარის (ქვედა) თემში განიხილება. საბუთებში საქარის ხსენება ძირითადად სწორედ ამ გარემოებითაა განპირობებული. გარკვეული ტიპის საბუთებს ხელს აწერს საქარის მამასახლისი ან მისი თანამემწე. სამწუხაროდ ხელმოწერაში გარკვევა რიგ შემთხვევაში შეუძლებელია. ორიოდ ადგილას (1909 და 1912 წ. საბუთებში) იკითხება „იპოლიტე სვიმონის ძე სამხარაძე – საქარის საზოგადოების მამასახლისის პომოშნიკი“ (თანამემწე). საქარაში მცხოვრებთაგან ჩანს ვინმე ორახელაშვილიც (მისი სახელის ამოიკითხება არ ხერხდება).

საზანო


სოფ. საზანოს შესახებ საუბარია ერთადერთ საბუთში, რომელიც წარმოადგენს მამულების ნუსხას, რომელსაც აძლევს ამ სოფლის მკვიდრი ივანე საცერაძე თავის სიძეს – გალაქტიონ მერკვილაძეს. ვინაიდან ივანე საკმაოდ შეძლებული გლეხი ჩანს („მესაკუთრე“), აქ ჩამოთვლილია მისი კუთვნილი 10-ოდე ადგილი თავის სახელწოდებებით და მოსაზღვრე პიროვნებებით. დოკუმენტში დადასტურებულ მიწისმფლობელ გვართაგან ძირითადად საცერაძეები არიან (სულ 11 პიროვნება ივანეს ჩათვლით). ასევე ჩანან თითო-თითო: მარტაძე, გოგრაძე, ურიათმყოფელი, ალაგიძე, დავლაძე, გურუ-

ლი, ნასრაძე, კომახიძე, სამხარაძე. საზანოს საზოგადოების წარმომადგენელია პორფილე ქურცაძე.

საზანოს ტოპონიმიკიდან ნახსენებია: გაღმა ვენახი, დობილოს ადგილი, ლეჟავასეული, პარტახის ვენახი, თხმელურას ადგილი, წინწკალასტყე, ბოსტნის ყანა, ნასახლარის ადგილი, სადარბაზოს ადგილი, გაღმაყანა, ნალომარას ადგილი, ტყე-ბოსტნის ბელო, წყაროსსერის ტყე, ნაფიცრულის ტყე, ქორიბელის ტყე.

საბუთებში ასევე ნახსენებია ყვირილა – დაბა, რომლის ადგილას აღმოცენდა შემდგომ ქ. ზესტაფონი; კაცხის წმ. გიორგის ეკლესია და სოფ. ქვაციხე. კაცხი და ქვაციხე ერთმანეთის მახლობლად მდებარე ამჟამად ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფლებია. კაცხის წმ. გიორგის ეკლესიაში 1880 წელს ნათლობის საიდუმლო აღასრულა მღვდელმა სპირიდონ მოდებაძემ, ხოლო მედავითნეობა გასწია სიმონ ცერცვაძემ (1903 წ. საბუთი). ქვაციხის მკვირდთაგან დასახელებულია აზნაური დავით დიმიტრის ძე ჟღენტი.

ბასილ მერკვილაძის შთამომავალთა გენეალოგია საოჯახო არქივის მიხედვით ამგვარად ისახება:



დამოწმებანი:

1. კეზევაძე მერაბ, ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები, ქუთ., 2008.
2. მერკვილაძე დავით, ახლად აღმოჩენილი საბუთები სოფ. ჭალატყიდან, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, XIII-XIV, თბ. 2011/2012.
3. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V., სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტექსტები გამოსცა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1974.
4. „ქუთაისის გუბერნიისა და მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლები“, დოკუმენტების კრებული, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მ. კეზევაძემ, ქუთაისი, 2009.

David Merkviladze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University,

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

THE DATA OF FAMILY ARCHIVE OF ARCHPRIEST BASIL MERKVILADZE'S DESCENDANTS RESUME

In September 2010, from the village Chalatqe of Zestaphoni district three handwritten document sheets were brought. Among them there were two copies of letters written by Mariam Queen of Imereti and Epthvimi Gaenati Metropolitan to the archpriest of the Crucifixion Church of village Chalatqe, nobleman Basil (Vasili) Merkviladze.

Later on the rest of archives documents, which recently had been taken to Zestaphoni, were found.

From the beginning it was obvious the handwritten documents were part of an archive. Getting better the documents and their complex research made it clear that all of these documents in its entirety had been family archive of the archpriest Basil Merkviladze's descendants. The documents are drawn up in the second half of the 19th century and early 20th century. The private documents are drawn up in Georgian and official part of archive documents _ in Russian.

The archive gives significant information about social and economic status of Basil Merkviladze's descendants; It also gives interesting data about village Chalatqe in the 19th century and the early 20th century: about its inhabitants, church priests, different relationships and etc.

In the present article archpriest Basil Merkviladze's descendants genealogy based on the archive's data is also shown.

*ალექსანდრე მოსიაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

კახეთის რკინიგზის 100 წლისთავის საიუბილეოდ

1915 წლის 1 სექტემბერი ითვლება კახეთის რკინიგზის გახსნის თარიღად. მას შემდეგ მთელი საუკუნე გავიდა. კახეთის რკინიგზა საქართველოს დედაქალაქს ოდნავ მოგვიანებით შეუერთდა, მანამდე ხორციელდებოდა სხვა პროექტები. რაც შეეხება საქართველოს რკინიგზას, ის ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც უმოკლესი გზით ევროპას ცენტრალურ აზიასთან აკავშირებს. ორი კონტინენტის ერთმანეთთან დაკავშირების იდეა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 30-იან წლებში გაჩნდა. აღსანიშნავია ისიც, რომ კახეთის რკინიგზის აშენებამდე, ამიერკავკასიაში რკინიგზის გაყვანის აზრი პირველად წარმოიშვა 1857 წელს, სამხედრო წრეებში, ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ.

თავდაპირველად, რკინიგზის მშენებლობას უფრო სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და განიხილავდნენ, როგორც „კავკასიაში ბატონობის განმტკიცების“ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ამიტომ, სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ ამ რკინიგზის გაყვანის იდეა სწორედ სამხედრო წრეებში ჩაისახა და ისიც მაშინ, როდესაც ყირიმის კამპანიის დამთავრებიდან ერთი წელზე მეტი არ იყო გასული.

დასაწყისისათვის ფიქრობდნენ, რომ რკინიგზა გაეყვანათ ფოთიდან თბილისამდე, ხოლო ცოტა უფრო გვიან (იმავე 1857 წ.) წამოაყენეს ფოთიდან ბაქომდე სარკინიგზო ხაზის აგების ერთიანი პროექტი.

ამრიგად, ეს პროექტი ითვალისწინებდა შავი და კასპიის ზღვების რკინიგზით შეერთებას. ყველა ამ წინადადებების განსახილველად კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიასთან შეიქმნა ღროებითი კომიტეტი და იმავე 1857 წელს კავკასიის მეფის ნაცვალმა იმპერატორს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ის ასაბუთებდა რკინიგზის გაყვანის სამხედრო და ეკონომიკურ აუცილებლობას, მის უდიდეს მნიშვნელობას იმპერიისათვის.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც მიმდინარეობდა ძიებანი ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობისათვის, ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება თბილისიდან ბაქომდე დაპროექტებული იყო კახეთზე გავლით. იქმნებოდა შესაძლებლობა კახეთის რკინიგზის მშენებლობისა, რომლის ჩრდილოეთი მიმართულება თბილისი-ბაქოს მაგისტრალის ძირითადი ნაწილი უნდა გამხდარიყო. სხვადასხვა მიზეზების გამო, ათვისებულ იქნა სამხრეთის მიმართულება ელიზავეტოპოლისა და ყარაიაზის გავლით. ამის გამო, რკინიგზის მაგისტრალიდან შორს დარჩა საქართველოს ერთ-ერთი მდიდარი მხარე – ალაზნის დაბლობი, განთქმული თავისი ღვინისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებით. ამიტომ, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ დაიწყო აქტიური მოქმედება კახეთის რკინიგზის მშენებლობისათვის, რომელიც დააკავშირებდა კახეთს ამიერკავკასიის რკინიგზასთან და თბილისთან. არსებობდა სხვა პროექტებიც. მათ შორის, თბილისი-ბაქოს უნდა შეერთებოდა თიანეთის, ანდაც გომბორის გავლით. საბოლოოდ გაიმარჯვა პროექტმა, რომ-

ლის მიხედვითაც კახეთის რკინიგზა დაპროექტდა იმ სახით, რა სახითაც დღემდე არსებობს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს პროექტი ითვალისწინებდა რკინიგზის ახმეტამდე გაყვანას, მაგრამ მშენებლობა თელავში დასრულებულა პირველი მსოფლიო ომის გამო.

ახმეტამდე გზის გაგრძელება არა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის პარალელურად მიმდინარე რკინიგზის გაყვანის სამუშაოები ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი მომენტი გახდა კახეთის განვითარების (განსაკუთრებით ეკონომიკის) თვალსაზრისით. რკინიგზა უდავლოდ უამრავი სიკეთის მოტანის წინაპირობა იყო. ჯერ ერთი, სწრაფმავალი სატრანსპორტო საშუალება, შემდეგ საბარგო, სატვირთო, სამგზავრო და ა.შ. მომსახურებით ის სხვადასხვა პერსპექტივებს ქმნიდა.

წესდებით 1915 წლის ივლისისათვის ყველა სამუშაო უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ ომის მდგომარეობით გამოწვეულმა შეფერხებებმა ზემოაღნიშნული თარიღი კვლავაც გადასწია. საზოგადოების გამგეობამ თხოვნით მიმართა კავშირგაბმულობის მინისტრს, რომ სამუშაოების დამთავრება და მოძრაობის გახსნის თარიღი გაგრძელებულიყო 1915 წლის 15 ნოემბრამდე.

მაგრამ მიუხედავად ამისა, 1915 წლის ივლისისათვის კახეთის რკინიგზის მშენებლობა ფაქტობრივად დამთავრდა. დარჩა მხოლოდ მცირეოდენი სამუშაოები. 1915 წლის 22-31 ივლისს გზის მიმღებმა სახელმწიფო კომისიამ ყველა შესრულებული სამუშაო დამაკმაყოფილებლად ჩათვალა. უკვე დამტკიცებული პროექტების მიხედვით და ტექნიკური თვალსაზრისით გზა დაკომპლექტებული იყო საჭირო მომსახურე პერსონალით, მოძრავი შემადგენლობით და მოძრაობის საწყის პერიოდში სათბობ-საპოხი მასალებით. აქედან გამომდინა-

რე, სამთავრობო კომისიამ შესაძლებლად მიიჩნია კახეთის რკინიგზაზე სწორი მოძრაობის გახსნა როგორც სამგზავრო, ასევე სატვირთო მატარებლისათვის. 1915 წლის პირველ სექტემბერს ადგილობრივ, ხოლო 25 სექტემბერს მთლიან ხაზზე გაიხსნა მოძრაობა.

მანამდე კი ილია ჭავჭავაძე დიდ ყურადღებას უთმობდა ფოთი-ბაქოს რკინიგზის გაყვანას, მიაჩნდა, რომ ამ რკინიგზამ შეაერთა ორი ზღვა, დიდი ბაზარი გაუხსნა ამიერკავკასიას, მაგრამ ალაზნის ველი შორს დასტოვა და ამით დააშორა იგი არა მარტო რუსეთს, არამედ - თბილისსაც.

ილია აუცილებელ მნიშვნელობას ანიჭებდა არამარტო ღვინის, არამედ სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გატანას რუსეთში. ის წერდა: „კახეთს შეუძლიან გაუძღვეს ღვინით თითქმის მთელს რუსეთსა, რომელიც მილიონებს ხარჯავს საზღვარგარეთის ღვინოების სასყიდლად და ამ სახით მილიონები შინიდან გარეთ გადის“.¹

ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ მხოლოდ რკინიგზის გაყვანის შემდეგ შეიძლებოდა კახეთში ეკონომიკური აღორძინება, რასაც ხელს შეუწყობდა ამ მხარის ბუნებრივი სიმდიდრე.

კახეთის რკინიგზის აშენებას მთელი მხარის ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი საშუალებით მოხერხებული სამეურნეო და კულტურული კავშირი დამყარდა ამიერკავკასიისა და იმპერიის სამრეწველო ცენტრებს შორის. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გააძლიერა კახეთის ყოველმხრივი კავშირი რუსეთის ცენტრალურ რაიონებთან და უზრუნველყო მთელი მხარის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შედარებით სწრაფი ტემპით განვითარება.

¹ ი. ჭავჭავაძე თხზულებანი, ტ.V, თბილისი, 1987, გვ. 408.

მიუხედავად იმისა, რომ იმპერიის ეს რაიონი ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას აწარმოებდა, რკინიგზის გაყვანამ ხელი შეუწყო მაზრების შიგნით ვაჭრობის განვითარებასაც. თელავის მაზრაში სავაჭროების რიცხვი 82-დან 339-მდე გაიზარდა, ხოლო სიღნაღის მაზრაში - 104-დან 372-მდე.¹

კახეთის რკინიგზის ხაზის გაყვანამ ხელი შეუწყო აგრეთვე, ისეთი დარგის განვითარებას, როგორცაა მეხილეობა. ყოველწლიურად რუსეთს უცხოეთიდან შემოჰქონდა 2 მილიონი მანეთის ხილი, მაგრამ თანდათანობით რუსეთის ბაზარზე შემოტანილმა ტაშკენტის ხილეულმა აჯობა საზღვარგარეთიდან შემოსულს. ორენბურგ-ტაშკენტის რკინიგზის გაყვანის შემდეგ შუა აზიიდან შემოსულმა ხილეულმა მოსკოვისა და პეტერბურგის ბაზრებზე კონკურენცია გაუწია საზღვარგარეთის საქონელს. კახეთის რკინიგზის გაყვანამ საშუალება მისცა ამ მხარეს, რომ მალეფუჭებადი საქონელი (ხილი) გატანილი ყოფილიყო რუსეთში.

მოდრაობის გახსნის პირველივე წლებში კახეთიდან და ზაქათალის ოლქიდან გატანილ იქნა 1,5 მილიონი მანეთის ხილეული.² ისეთი ხილეული, რომელსაც კონკურენციას ვერ გაუწევდა სხვა ადგილებიდან შემოსული ხილი, მაგალითად, ზღვისპირეთის მხარეში მოწეული ატამი, რომელიც მართალია მოცულობით დიდია, მაგრამ ნესტიანი კლიმატის გამო ნაკლებად ტკბილია.

კახეთის რკინიგზის ხაზის გაყვანამ გამოიწვია ამ მხარეში სრული ეკონომიური გადატრიალება. მოძრაობის გახსნის შემდეგ გაცხოველებულად დაიწყო საქონლის გაცვლა

¹ კახეთი „ერთობა კახეთი“ 1917 წ. გვ. 6.

² კახეთი „მოსავალი“ 1917 წ., №7;

ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ რაიონებთან.

იმ პერიოდში მებაძგობა თანდათან ერთ-ერთი წამყვანი დარგი ხდებოდა ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში. ალაზნის დაბლობზე ბამბის გამოყვანა პირველად დაიწყო აუთვისებელ მიწებზე, რამაც თავიდანვე დიდებული შედეგი მოგვცა. ეს იმით აიხსნებოდა, რომ ალაზნის დაბლობის გარკვეულ ნაწილში ნალექების წლიური რაოდენობა ნორმალური იყო. ამიტომ აქ შესაძლებელი გახდა ბამბის კულტურის გამოყვანა.

კახეთში მოჰყავდათ ასევე შემდეგი კულტურები: ბრინჯი, აღმოსავლური ხილის ხე, ზაფრანი, მიწის კაკალი, აბრეშუმი, თამბაქო.

ლაგოდეხის თამბაქოს პლანტაციების ახლოს, დაახლოებით 4 კილომეტრში, მდინარე მაწიმ-ჩაიზე იყო ენიფინჯიანცის მემკვიდრეების ბაღი, რომელსაც ეკავა 35 დესეტინა ფართობი. ბაღში გამოჰყავდათ საზღვარგარეთიდან შემოტანილი ვაშლის, მსხლის, ქლიავის და ელიზავეტოპოლის ბროწეულის საუკეთესო ჯიშები. აქ გამოჰყავდათ, აგრეთვე ოღურმათის ჯიშის ატამი, რომლის 1 ცალი იწონიდა 1 ფუნტს და ინახებოდა ოქტომბერ-ნოემბრამდე.¹ ამ ბაღში დაიწყო აგრეთვე ზეთოვანი ხეების ნერგების გამოყვანა, რომლებსაც იღებდნენ ართვინიდან.

კახეთის რკინიგზის აშენებამ ძირეული გარდაქმნა გამოიწვია სატყეო მეურნეობის განვითარებაში. ამიერკავკასიის მოსახლეობამ დაიწყო ნახშირის გეგმაზომიერად წარმოება. აშენდა მშრალად გადამამუშავებელი ქარხნები, რომელთა მფლობელები თანდათანობით ცვლიდნენ ნახშირის ორმოებში გამოყვანას ფაბრიკული წესით. ხოლო, როგორც საყოველთა-

¹ სცსსა ფ. 287, 402;

ოდ იყო ცნობილი, მშრალად გამოყვანილსათვის წიფელი ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

ტყის ჯიშებიდან უმეტესობას შეადგენდა წიფელი, რომელსაც რკინიგზის გაყვანამდე ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ის ასრულებდა, ძირითადად, სამშენებლო მოვალეობას. გომბორის უღელტეხილზე პრიმიტიული წესით წიფელის ხიდან იღებდნენ ხის ნახშირს, რომელსაც 80 ვერსის მანძილზე სახმელეთო გზით ეზიდებოდნენ თბილისში, სადაც ხდებოდა მისი რეალიზაცია.

ხის ნახშირით სარგებლობდა მთელი ამიერკავკასია, რადგან არა მარტო სამშენებლო ტყე, არამედ შეშაც კი არ მოიპოვებოდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ კავკასიაში. ჯერ კიდევ, 1902 წელს ამიერკავკასიის რკინიგზით თბილისში შეიტანეს 2.833.560 ფუთი შეშა, 1903 წელს 2.983.442 ფუთი, ხოლო 1904 წელს 3.568.552 ფუთი.¹ ათი წლის განმავლობაში თბილისში ერთი საუენი შეშის ფასი 30 მანეთიდან 45 მანეთამდე გაიზარდა. ამ მდგომარეობიდან გამომდინარე, მოსახლეობის უმეტესობა იძულებული იყო, ესარგებლა გომბორიდან შემოტანილი ხის ნახშირით, სადაც ტყეები ბარბაროსულად ნადგურდებოდა.

იმ დროისათვის ყველაზე იაფი ჯდებოდა წიფლის პარკეტი, რომელსაც იყენებდნენ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში და, განსაკუთრებით, ავსტრია-უნგრეთში.

კახეთის რკინიგზაზე მოძრაობის გახსნის პირველ წლებში აწარმოეს 10.000 ფუთი ქსოვილი, რომელიც ძირითადად გაჰქონდათ (რუსეთს შემოჰქონდა 11,5 მილ. მანეთის ქსოვილი).

იმავე წლებში აწარმოეს 60.000 ფუთი მატყლი, რომელიც ასევე საზღვარგარეთ იქნა გატანილი (რუსეთს შემოჰ-

¹ სცსსა ფ. 287,403;

ქონდა 22 მლნ. მანეთისა). ცვილსა და თაფლს კახათში სტატისტიკური მონაცემებით აწარმოებდნენ 3.801 ფუტს, მაგრამ სინამდვილეში ეს ციფრი ეფრო დიდი იყო (რუსეთს შემოჰქონდა 5.1 მლნ. მანეთის თაფლი და ცვილი).¹

საუკეთესო საშუალება იქმნებოდა კახეთში სამთო მრეწველობის განვითარებისათვის. კახეთში მოიპოვებოდა: სპილენძი, მაგნიტური რკინა, ქვის ნახშირი, ნავთობი, მარილი, სამშენებლო ქვა, ბროლი, ცარცი, ტყვია, კოლჩედანი და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილი წიაღისეულიდან ყველაზე დიდ ყურადღებას იმსახურებდა ნავთობი. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან კახეთში არსებობდა ნავთობის საწარმოები, რომლებიც ნავთით ამარაგებდნენ თბილისსა და სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილს. ნავთობს იღებდნენ და ამუშავებდნენ პრიმიტიული მეთოდებით, მაგრამ იმ დროს ასეთი მეთოდი იყო მიღებული ბაქოშიც და გროზნოშიც. იმავე პერიოდში კახეთში არსებობდა ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა.

რკინიგზამ ხელი შეუწყო აგრეთვე, ადგილობრივი მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებასაც. გლეხს გაუჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ უფრო ძვირად გაეყიდა ევროპულ წესზე დაყენებული ღვინო. ყოველივე ამან კი შესაძლებელი გახადა კახეთში მეღვინეობის სწრაფად განვითარება, ის წამებებიანი დარგიდან მომგებიანად გადაიქცა.²

1991-92 წლებში თბილისში განვითარებული ცნობილი მოვლენების შემდეგ, კახეთის რეგიონში ისევე, როგორც დანარჩენ საქართველოში საერთო მდგომარეობა გაუარესდა. არსებულმა ენერგო კრიზისმა გამოიწვია ჯერ სამგზავრო მატა-

¹ სტატისტიკური კრებული 1923, გვ. 44;

² ალ. მოსიაშვილი, „კახეთის რეგიონი I მსოფლიო ომის პერიოდში“ (1914-1918 წ.წ.) 2009, გვ. 103

რებლების მოძრაობის შეფერხება და დაახლოებით ოციოდე წლის წინ კი – საერთოდ შეწყვეტა. მას შემდეგ, კახეთის რკინიგზის დატვირთვა მინიმალურია და მხოლოდ გარკვეული ტვირთების გადაზიდვას ემსახურება. აღსანიშნავია ისიც, რომ რეგიონის სარკინიგზო ინფრასტრუქტურა მთლიანობაში შენარჩუნებულია, რაც მისივე კიდევ უფრო განვითარების შანსს ტოვებს მომავლისთვის.

დამოწმებანი:

1. ი. ჭავჭავაძე თხზულებანი, ტ. V, თბილისი, 1987, 408,
2. გაზეთი „ერთობა გაზეთი“ 1917 წ., 6;
3. გაზეთი „მოსავალი“ 1917 წ., 7;
4. სცსსა ფ. 287,402;
5. სცსსა ფ. 287,403;
6. სტატისტიკური კრებული 1923, 44;
7. აღ. მოსიაშვილი „კახეთის რეგიონი I მსოფლიო ომის პერიოდში“ (1914-1918 წ.წ.) 2009, 103

Aleksandre Mosiashvili
Iakob Gogebashvili Telavi State University
FOR 100TH ANNIVERSARY OF KAKHETI
RAILWAY STATION
RESUME

September 1, 1915 is considered the date of the opening Kakheta railway. Firstly, there were several projects according to which Tbilisi must be connected to Baku via Kakheta. Finally, this projects not implemented and Kakheta railway

exists according to the project which exists today. Unfortunately, construction was suspended and has not been completed at Telavi and not finished in Akhmeta, because of World War I. However, enforcement of various types of railway caused economical success for the Kakheti region. The current year is the Jubilee for the Kakheti railway. After its exploitation 100 years have passed. Nowadays, railway continues function only minimum transportation background. However, there are still prospects for a full load operation.

მარიამ ჩხარტიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანალი დისკურსი მეფე აზოსა და არიან-ქართლის შესახებ

შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის ორი ნიმუში „მოქცევაი ქართლისაი“ და „ქართლის ცხოვრება“ გარკვეული მონაკვეთში მოგვითხრობს ერთი დამავე ისტორიულ ფაქტებზე: პირველი მათგანი მოკლედ, მეორე უფრო ვრცლად. თუმც, როგორც ეს არაერთგზის აღნიშნულა სპეციალისტების, მათ შორის, ჩემ მიერაც, განსხვავება ამ ძეგლების თხრობას შორის მარტო მოცულობით არ ამოიწურება. ხშირად არაერთგვაროვანია მათში წარმოდგენილი ფაქტობრივი მონაცემიც და აღწერილ მოვლენათა შეფასებაც. ამ სხვაობათა შეჯერება და ანალიზი, როგორც წესი, ძალიან საინტერესო შედეგებს გვაძლევს არა მარტო ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კუთხით, არამედ ქართული ისტორიული აზროვნების, ანუ ისტორიოგრაფიის ისტორიის თვალსაზრისითაც. წინამდებარე სტატიაში ერთ-ერთ ამგვარ შემთხვევაზე შევჩერდები. სიტყვა ეხება ცენტრით მცხეთაში ქართული სახელმწიფოს დაფუძნების ისტორიას.

აღნიშნული ისტორია უკვე მრავალი წელია არის საქართველოს ისტორიის მკვლევართა შეუნელებელი ინტერესის საგანი და, შესაბამისად, საკითხისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი გამოკვლევებიც არსებობს.¹ ამ გამოკვლევების

¹ ნ. ზაზარაძე. ლენტი მროველი და არიან-ქართლის ლოკალიზაციის საკითხი. წიგნში: Dedicatio. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001, გვ. 318-336;

გაცნობის შემდეგ, უშუალოდ წყაროთა ანალიზის საფუძველზე და ჩემ მიერ ზოგ პრობლემასთან დაკავშირებით ადრე მიღებული შედეგების გათვალისწინებით გამიჩნდა აზრი, რომ შესაძლებელია ლოგიკურად უფრო გამართული, და, ამავე დროს, ფაქტობრივ მონაცემებთან სრულად შესატყვისი, არსებითად ახალი თვალსაზრისის ჩამოყალიბება. ამ თვალსაზრისს წარმოვადგენ ქვემოთ.

ცნობილია, რომ როგორც „მოქცევაი ქართლისაი“, ისე „ქართლის ცხოვრება“ რთული შედგენილობის ძეგლებია, ისინი არსებითად ისტორიოგრაფიული კრებულებია. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა მონაკვეთს სხვადასხვა ავტორი და რედაქტორი შეიძლება ჰყავდეს. ამ საკითხის სათანადოდ წარმოჩენის საშუალება, ცხადია, აქ არაა. გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად, მართებულად მიმაჩნია აღნიშნულ წყა-

მ. სანაძე. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე), თბილისი: საქართველოს მაცნე, 2001, გვ. 23-53; ნ. ნიკოლოზიშვილი. ქართლი ელინიზმისა და ქრისტიანობის სათავეებთან „მოქცევაი ქართლისაისა“ და „ქართველ მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2006, გვ. 51-73; გ. ქავთარაძე. „არიან-ქართლის“ საკითხისათვის. - ისტორიისა და ეთნოლოგიის შრომები, IX, 2009, გვ. 29-55; ნ. წულუკიძე. არიანქართლიდან მოსულნი. ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010. აქ ვასახელებ მხოლოდ რამდენიმე ბოლოდროინდელ ნაშრომს. ყველა ეს ნაშრომი განსხვავებულ თვალსაზრისს წარმოადგენს ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. მათი დასახელება იმიტომაც მიმაჩნია ამ შემთხვევაში მიზანშეწონილად, რომ ავტორთა უმეტესობა გვაწვდის დეტალურ ისტორიოგრაფიულ შენიშვნებს და დაინტერესებულ მკითხველს მათი მეშვეობით იოლად შეეძლება საკითხის კვლევის ისტორიის შესახებ მეტ-ნაკლები სასრულის წარმოდგენის შექმნა. თავად მე, წინამდებარე გამოკვლევის შეზღუდული მოცულობის გამო, ისტორიოგრაფიული მიმოხილვის წარმოდგენის საშუალება ამჯერად არ მაქვს.

როთა საანალიზო მონაკვეთებისათვის შემოვიღო პირობითი დასახელებები: „მოქცევაი ქართლისაის“ იმ ნაწილს, რომელიც შეიცავს ცნობებს მცხეთის სამეფოს დაფუძნების ისტორიის შესახებ, ვუწოდებ პირველ ტექსტს, ხოლო „ქართლის ცხოვრების“ თხრობას იგივე ფაქტის შესახებ – მეორე ტექსტს. პირველი ტექსტი ქრონოლოგიურად უფრო ადრინდელია, მეორე ტექსტის ავტორი, აშკარაა, რომ იცნობს პირველ ტექსტს.

პირველი ტექსტის მიხედვით, მცხეთაში პოლიტიკური ცენტრის მქონე ქართული სახელმწიფოს დაფუძნება უკავშირდება ალექსანდრე მაკედონელს. გარკვეული წინასწარი ღონისძიებების გატარების შემდგომ ალექსანდრეს აქ მოუყვანია და მეფედ დაუსვამს არიან-ქართლის მეფის ძე აზო. ამგვარად, აზო, ამ წყაროს მიხედვით, იყო მცხეთის სამეფოს პირველი მეფე.¹

მეორე ტექსტის მონაცემებითაც, მცხეთის სამეფოს წარმოქმნა ალექსანდრეს ეპოქას უკავშირდება, მაგრამ სამეფოს შექმნა ადგილობრივი ინიციატივაა. ამ ნარატივშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აზოს (ამ სახელისათვის ტექსტში გამოყენებული ფორმა აზონია), რომელიც, ოღონდაც, აქ მაკედონელად და მეფე ალექსანდრეს თვისად ანუ ნათესავად არის წარმოდგენილი. ამ განსხვავებულ ფაქტს რამდენიმე, მისგან ლოგიკურად გამომდინარე, ცვლილებაც ახლავს: მაგალითად, პირველი ტექსტის მიხედვით, აზომ კერპები გაცი და გაცა თავის სამშობლოდან, ანუ არიან-ქართლიდან მოიტანა; მეორე ტექსტის ავტორი, ვინაიდან არიან-ქართლს

¹ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი 1. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ავტორთა კოლექტივმა ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, მეცნიერება, 1963, გვ. 81-82.

უგულვებელყოფს და აზონს მაკედონიას უკავშირებს, გვარწმუნებს, რომ კერპები აზონმა ადგილზე შექმნა ალექსანდრეს გარდაცვალების შემდგომ. აზონი ალექსანდრეს მიერ დადგენილ იყო მცხეთის სამეფოს მმართველად. აქ მოცემულია აზო/აზონის სიტყვიერი პორტრეტიც: იგი ადგილობრივთა ანუ ქართველთა მიმართ სასტიკია და მათ სიძულვილს იმსახურებს. მას დასჯაბნის დადებითი პიროვნული თვისებებით უხვად შემკობილი ფარნავაზი, რომელიც არის ალექსანდრეს მიერ მოკლული მცხეთის მამასახლისის ძმისწული. სწორედ ფარნავაზია, მეორე ტექსტის მიხედვით, მცხეთის სამეფოს პირველი მეფე.¹

„ქართლის ცხოვრება“, როგორც ითქვა, არის ძველქართულ ისტორიოგრაფიულ თხზულებათა კრებული. ჩვენთვის საინტერესო ცნობა მოცემულია მის დასაწყის ნაწილში, რომლის ავტორი (ზოგი თვალსაზრისით, შემდგენელ-რედაქტორი) ლეონტი მროველია. ჩვენთვის საინტერესო ცნობა არის თავში, რომელსაც „ფარნავაზის ცხოვრება“ ეწოდება. როგორც ვარაუდობენ, ეს თხზულება არსებობდა დამოუკიდებელი სახითაც. ანუ რეპრეზენტაცია, რომელიც ზემოთ წარმოვადგინე, ნაწილობრივ შესაძლოა, მომდინარეობდეს სწორედ ლეონტი მროველის წყაროდან, რომელიც გაცილებით ძველი ჩანს, ვიდრე ლეონტის მოღვაწეობის ხანა, ანუ XI საუკუნე.

ზემოთ აღნიშნულ ფაქტობრივ სხვაობათა შესახებ, როგორც აღვნიშნე, არაერთხელ გამახვილებულა ყურადღება სპეციალურ ლიტერატურაში. მაგრამ, ჩემი აზრით, მარტო ფაქტების ჩამოთვლა არაა საკმარისი. უნდა ხაზი გაესვას იმ მთავარ გზავნილის განსხვავებულობასაც, რომელიც მოდის

¹ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, სახელგამი 1955, ტ. 1, გვ. 18-21.

ამ ორი ტექსტისაგან: პირველის თანახმად, აზო ლეგიტიმური ხელისუფალია: ის მეფის ძეა ანუ მას დაბადებით აქვს უფლება იმეფოს, მეორეც, ის ქართულ სამყაროსთან დაკავშირებული პოლიტიკური ერთეულის, ანუ არიან-ქართლის მმართველი დინასტიის წარმომადგენელია.

რასაც ძველი ავტორი გვამცნობს, სავსებით ლოგიკურია: ალექსანდრემ შემთხვევითი პირი კი არ მოიყვანა ქართლში, არამედ ქართლთან გარკვეულად დაკავშირებული და, შესაბამისად, ლეგიტიმაციის მქონე, პიროვნება. საინტერესოა, რომ ჩემი ეს თვალსაზრისი ანუ ლოგიკას დაფუძნებული ინტერპრეტაცია, შეიძლება შემაგრდეს ფაქტობრივი ანალოგიითაც: როგორც ირკვევა, სხვა შემთხვევაშიც ალექსანდრე ასევე მოქცეულა. აი, როგორი ვითარება ყოფილა სომხეთში: „331 წელს ალექსანდრე მაკედონელმა დარიოსი გავევამელას ბრძოლაში საბოლოოდ გაანადგურა და გავგამელასთან შემდეგ სომხეთის სატრაპად დარიოს მესამის სახელმწიფო სამსახურში ნამყოფი სარდესის ყოფილი გარნიზონის თავი მითრენი დანიშნა. ალექსანდრეს მითრენი „პატივში“ შემთხვევით არ ჰყავდა. მითრენი იარვანდიანთა სახლის შვილი იყო, ხოლო აქემენიდური ირანის სომხეთის სატრაპია იარვანდიანთა სახლს ეკუთვნოდა. როგორც კ. თუმანოვი აღნიშნავს, მითრენის იარვანდიანობამ განაპირობა ალექსანდრეს არჩევანი. ..ალექსანდრე მაკედონელმა, რა თქმა უნდა, მშვენივრად იცოდა, რომ მას სომხეთში სატრაპად მხოლოდ ისეთი სახლის შვილი უნდა აერჩია, რომელიც უცხო არ იქნებოდა იმდროინდელი სომხეთის მმართველი არისტოკრატიისათვის“.¹

შეიძლება ვთქვათ, რომ პირველი ტექსტი სამეფო ტახტზე აზოს ლეგიტიმაციის ტექსტია. მეორე ტექსტის ავტორს

¹ გ. მამულია. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში. თბილისი, მეცნიერება, 1979, გვ. 104.

კი ამკარად არ სურს, რომ აზოს შესახებ ეს თვალსაზრისი გავიზიაროთ. მისი ფავორიტი ფარნავაზია. ფარნავაზი, მისი აღწერით, როგორც ვნახეთ, დიდი პიროვნული ხიბლის მქონეა, მაშინ, როცა სასტიკი აზო/აზონი ყველას სძულს. აზო/აზონის ბიოგრაფიიდან მეორე ტექსტის ავტორი, ვფიქრობ, შეგნებულად იღებს ამ უკანასკნელის ლეგიტიმაციისათვის მნიშვნელოვან ფაქტს – მის კავშირს ქართული სამყაროს ერთ-ერთ სამეფო დინასტიასთან. ცდილობს მკითხველი დაარწმუნოს აზონის უცხოელობაში. ამის პარალელურად ხაზგასმულია ფარნავაზის ადგილობრივობა.

მაგრამ, ცხადია, ძველმა ავტორმა კარგად იცის, ადგილობრივობა და პიროვნული ხიბლი მეფობისათვის მნიშვნელოვანია, მაგრამ არაა საკმარისი ტახტის დაკავების ლეგიტიმურობის დასასაბუთებლად. ლეგიტიმაციასთან დაკავშირებით ფარნავაზს აქვს დიდი პრობლემა. ის არაა წარმოშობით მეფე. მაგრამ ეს გარემოება მეორე ტექსტის ავტორს ხელს არ აღებინებს თავის იდეაზე და ცდილობს საბუთად მოგვაწოდოს ფაქტი, რომელსაც ძველი კულტურის მსოფლხატის ჩარჩოებში, ასე ვთქვათ, „წყალი არ გაუვა“. ეს ფაქტი მას მოცემული აქვს ფარნავაზის სიზმრის სახით.¹ აღნიშნული სიზმარი არაერთხელ გამხდარა მკვლევართა ანალიზის საგანი. ჩემი აზრით, ეს არის „ფარნავაზის ცხოვრების“ ანუ მეორე ტექსტის უმთავრესი გზავნილის შემცველი მიკროტექსტი. ის გვამცნობს, რომ ფარნავაზი უფლის რჩეულია. ეს უფალი მზეა. სწორედ მზის სხივი აპოვნინებს ფარნავაზს განძს, რასაც ფარნავაზი აზოს წინააღმდეგ აჯანყების ორგანიზებისათვის გამოიყენებს.

ამგვარად, ფარნავაზი უბრალო ჭაბუკი კი არაა, ის მზეჭაბუკია, მზის მიერ ძალმოსილია. მზის ცვარცხებულია.

¹ ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 21-23.

გავიხსენოთ ქართული ხალხური ზღაპრების თხრობა მზის პირის ნაბანით გმირის გაძლიერების შესახებ. ცხადია, იგულისხმება, რომ მზის ცვარი მზის ძალის მომნიჭებელია. ავტორს აშკარად იმის თქმა უნდა, რომ ფარნავაზის გამეფება არის განგების ნება და ეს განგება კი მზეა.

მეორე ტექსტი პროფარნავაზულია. ამიტომაც, ის ამავე დროს, ანტიანონური ნარატივია. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ მეორე ტექსტის ავტორი ითვალისწინებს და პასუხებს სცემს „ოპონენტებს“, რომლებიც, შესაძლოა, რომ მცხეთის სამეფოს დაფუძნების ისტორიის რეპრეზენტირებისას სწორედ პირველი ტექსტის მონაცემთა გათვალისწინებით შემოეღავონ. აქედან გამომდინარე მებადება კითხვა: ხომ არ შეიძლება მეორე ტექსტის ავტორის მიერ ფარნავაზის მეფობის მზით ლეგიტიმაციის ფაქტიც, რამენაირად უკავშირდებოდეს (პასუხს წარმოადგენდეს?) აზო/აზონის ბიოგრაფიულ მონაცემზე. მაგალითად, ხომ არ იყო აზოს/აზონის რეალურ ბიოგრაფიაში (ანდა ბიოგრაფიის ლეგენდაში) მისი მეფობის მზით ლეგიტიმაციის შესახებ ინფორმაცია?

ვიდრე ამ კითხვას პასუხს გავცემდე, მინდა განვიხილო კვლავ წყაროთა მონაცემები. როგორც ითქვა, პირველი ტექსტის ავტორის მიხედვით, აზოსთან არის დაკავშირებული გარკვეული რელიგიური ინიციატივა: გაცისა და გაცას კერპების არიან-ქართლიდან მოტანა. „წმ. ნინოს ცხოვრების“ გრცელ რედაქციაში, რომელიც „მოქცევაი ქართლისაის“ მეორე ნაწილს წარმოადგენს, არის გამეორებული ის ცნობა, რომ ეს კერპები იყვნენ მცხეთელ ქართველთა არიან-ქართველი წინაპრების ანუ „მამათა“ კერპები.¹

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1, გვ. 120.

„წმ. ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია IV ს. შუა ხანებში შექმნილი¹ და მერე არაერთი რედაქცია გამოვლილია. ზემოთ აღნიშნული აზრი კი დანარჩუნებულია. ამრიგად, საუკუნეთა განმავლობაში უმნიშვნელოვანესი ეთნიკური იდენტობრივი მარკერის, ანუ რელიგიური მარკერის, ჩამოყალიბებაში არიან-ქართველთა ღვაწლის შესახებ ცნობა უცვლელად ნარჩუნდება ქართული ერთობის ნარატივში. კიდევ მეტი: XII საუკუნით დათარიღებულ „წმ. ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასულ რედაქციაში, რომელიც „მოქცევაი ქართლისაის“ საეკლესიო საკითხავად გადამუშავების წარმატებულ ცდას წარმოადგენს², განმეორებულია ქართველთა არიან-ქართველთაგან წარმომავლობა და ამის დამატებით, ხაზგასმულია ქართველთა და არიან-ქართველთა ენის იგივეობაც, ანუ იდენტობრივი განგრძობადობის თვალსაზრისით უმთავრესი მარკერის იგივეობაა მითითებული. ეს ავტორი, რომელსაც ზოგი მკვლევარი არსენ ბერს უწოდებს და ზოგი არსენ იყალთოელთანაც აიგივებს, ამკარად გააზრებულად იმეორებს თავისი წყაროს ცნობას და არიან-ქართულისა და ქართულის იგივეობის შესახებ საკუთარი მოსაზრებით ავსებს.³

¹მ. ჩხარტიშვილი. ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები („ცხოვრებაი წმიდისა ნინოსის“). თბილისი: მეცნიერება, 1987, გვ. 128.

²მ. ჩხარტიშვილი. მეტაფრასი „წმ. ნინოს ცხოვრების“ „ქართლის ცხოვრებისეული“ რედაქციის შესახებ. შმა მაცნე (სერია: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია და ხელოვნების ისტორია), №4, 114-121 (1980).

³ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი მესამე. (მეტაფრასული რედაქციები მეთერთმეტე-მეცამეტე საუკუნეები). დასაბეჭდად მოამზადა ავტორთა კოლექტივმა ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, მეცნიერება, 1971, გვ. 46-47.

აღნიშნული ფაქტი მაფიქრებინებს, რომ არიან-ქართლში ძველი ქართველი მწიგნობარნი შეუძლებელია ქართული სამყაროსაგან სრულიად მოწყვეტილ ქვეყანას გულისხმობდნენ. მაგრამ ქვეყანა, რომელთანაც მცხეთის სამეფოს მოსახლეობის ეთნიკური იგივეობა შეიძლება წარმოედგინათ ქართველ მწიგნობრებს, შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: ესაა კოლხისი¹ – ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი; კოლხური ენა კი უძველესი ქართულია.

აიეტის კოლხისის ხსოვნა, რომ არსებობდა ქართულ სამყაროში. ეს ჩანს უცხოურ წყაროების მიხედვით: „ძთელი ამ ტერიტორიის მოსახლეობა ანტიკურ ეპოქაში თავის თავს სწორედ ამ დიადი გაერთიანების მემკვიდრედ თვლიდა. მემკვიდრეობითობის ეს ჯაჭვი იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ იგი არ გაწყვეტილა მრავალი საუკუნის განმავლობაში მიუხედავად ქართველური სამყაროს ინტენსიური დიფერენციაციისა და საქართველოს ტერტორიაზე ახალ-ახალი სახელმწიფო გაერთიანების სიმრავლისა. ჰეროდოტე გადმოგვცემს, რომ ფასისში ბერძნების მისვლისა და მედეას მოტაცების ამბავი მშვენივრად იცოდნენ სპარსმა ისტორიკოსებმა (I,2). „კოლხებს ახსოვდათ ეგვიპტელები“ (II,104). ქსენოფონტი

¹როგორც ცნობილია, ძველ ქართულ წყაროებში „კოლხეთი“ არ იხსენიება. ის ახლად შექმნილი ტერმინია. ამიტომ ვამჯობინე ბერძნული ფორმის - კოლხისის - დანარჩუნება. ამ შემთხვევაში მაგალითი ავიღე პროფ. რ. გორდეზიანისაგან, რომელიც იყენებს ბერძნულ წყაროებში კოლხეთისათვის გამოყენებულ სხვა ფორმას „კოლხიდას“. აი, ამასთან დაკავშირებით მკვლევრის შენიშვნა: „ჩვენ განზრახ ვარიდებთ თავს გვიანდელი და ხელოვნურად ნაწარმოები ტერმინის კოლხეთის გამოყენებას კოლხთა ქვეყნის აღსანიშნავად და შეგნებულად ვხმარობთ კოლხიდა ფორმას, რომელშიც ბერძნული ფუძის -იდ სუფიქსალური ელემენტია შენარჩუნებული. არგონავტები. თხრობა და კომენტარები რ. გორდეზიანისა. მეორე გამოცემა, ლოგოსი, 2006, გვ. 53.

(ძვ.წ. ა. IV ს.), გვაუწყებს, რომ ფასიანთა ქვეყანაში ანუ კოლხეთში მის დროს აიეტის შთამომავალნი მეფობდნენ („ანაბასისი“, V, 6, 36-37), ხოლო სტრაბონი(ძვ.წ. ა. I ს.) აზუსტებს, რომ კოლხეთში აიეტი ადგილობრივი სახელია (1,,2,39). ბერძნულ წყაროებში ასევე ადგილობრივი ტრადიციის გათვალისწინების საფუძველზე შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ტენდენცია ძველი ერთიანი კოლხეთის ახალ, დიფერენცირებულ კოლხეთთან დაპირისპირებისა. სტრაბონი შემდეგს გადმოგვცემს: „თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა, ცხადყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იაზონის ლაშქრობაზე... ამის შემდეგ მემკვიდრე მეფეებმა სკეპტუხიებად დაჰყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება“ (XI,2,18). აქ გამოთქმა „ამის შემდეგ“, შეიძლება მხოლოდ აიეტის პერიოდის მოვლენებს გულისხმობდეს. შესაბამისად, სტრაბონის მიხედვით, აიეტის დროინდელი ერთიანი კოლხეთი შემდგომ სკეპტუხიებად ანუ საბრძანებელ რეგიონებად დაჰყვეს მისმა მემკვიდრეებმა. ბუნებრივია, დიფერენციაციის მიუხედავად, ალბათ, თითქმის თითოეული სკეპტუხიის მმართველს თავისი დინასტიის საწყისები იმ ლეგენდარულ დრომდე და დიდ კოლხეთამდე აჰყავდა“.¹

კოლხისის მეფეები იყვნენ აიეტის შთამომავლები, ხოლო აიეტი ჰელიოსიანი ანუ მზის შვილი იყო. ამგვარად, ვფიქრობ, აქცენტი ფარნავაზის მზისმიერ ძალმოსილებაზე არ უნდა იყოს შემთხვევითი: მეორე ტექსტის ავტორს სურს გვითხრას, რომ ამ ნიშნით ფარნავაზი სულაც არაა აზო/აზონზე ნაკლები. მართალია, მას ჰელიოსიონობა დაბადებით არ მოსდგამს, მაგრამ ის მზისგან ძალმოცემული პიროვნება და, შე-

¹ რ. გორდუზიანი. ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა, თბილისი, 1993 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 25-26.

საბამისად, სრულიად ლეგიტიმური ხელისუფალია. ანუ იმის თქმა მინდა, რომ ფარნავაზის ლეგიტიმურობის ამ სახით დასაბუთება მიუთითებს იმას, რომ მეორე ტექსტის ავტორსაც მისი წყაროს ანუ „მოქცევაი ქართლისაის“ მიერ გამოყენებული ტერმინი არიან-ქართლი ესმის, როგორც კოლხისი.

როგორც კი არიან-ქართლს კოლხისად გავიაზრებთ, ალექსანდრეს მიერ დასმული მეფის სახელი ამ ნარატივში ერთბაშად შეიძენს ძალიან ღრმა შინაარსს. არაერთხელ ყოფილა მითითებული სპეციალურ ლიტერატურაში, რომ აზო/აზონი და იაზონი, ეს ერთიდაიგივე სახელებია, უფრო ზუსტად, ერთი სახელის ვარიაციებია. იაზონად გააზრებული აზო, მართლაც, მყარ ასოციაციურ ბმას ქმნის აიეტის კოლხისთან. როგორც უკვე მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, აიეტთან ელობა ანუ დიდ კოლხეთთან შემკვიდრული კავშირის წარმოსახვა იყო საქართველოს ტერიტორიაზე მომდევნო ეპოქებში წარმოქმნილი პოლიტიკურ ერთეულებში ხელისუფლების ლეგიტიმაციის საფუძველი. არიან-ქართველი მეფის ძის სახელი, რომელიც, ჩემი აზრით, არა საკუთარი, არამედ საგვარეულო სახელია, მაფიქრებინებს, რომ ამ შემდგომდროინდელი სახელმწიფოების ხელისუფალთა კავშირი აიეტთანა და დინასტიასთან მოაზრებოდა იაზონიანების გზით ანუ, აიეტის ქალიშვილის მედეასა და მისი სიძის იაზონის შტამომავლების გზით.

აქ უნდა გავაკეთოთ შემდეგი შენიშვნა: ხშირად თანამედროვე მკითხველმა იაზონის შესახებ იცის თქმულებების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც კოლხისში მის მისვლას და აქედან ოქროს საწმისის წაღებას და მედეას წაყვანას ეხება. მაგრამ იაზონის სახელის დაკავშირება შეიძლება მომდევნო პერიოდის კოლხისთანაც მისი და მედეას შთამომავლების ანუ იაზონიანების გზით. იაზონისა და მედეას ცხოვრების

გვიანდელი პერიოდის შესახებ არსებობს თქმულებები, რომელთა ნაწილი აჩვენებს, რომ იაზონსა და მედეას შთამომავლობა დარჩათ, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ კოლხისში. მაგრამ ფართო მკითხველის თვალში ამგვარ ინფორმაციას ახშობს ვერიპიდეს (ძვ.წ.V საუკუნე) ტრაგედია „მედეა“ მისი უძლიერესი ემოციით, რასაც მედეას მიერ შვილების მკვლელობა წარმოშობს. ამ ვერსიის გაზიარების შემთხვევაში იაზონისა და მედეას შთამომავლობაზე საუბარი, ცხადია, ზედმეტია. მაგრამ, როგორც ვთქვი, ესაა უფრო გვიანდელი ვერსია. ადრეულ თქმულებებში სხვაგვარი ისტორიაა წარმოჩენილი: „მედეას მიმართება შვილების მოკვლასთან უკვე ანტიკურ ეპოქაში იწვევდა კამათს. ძველი და ახალი ავტორების უმეტესობის აზრით, ადრეულ ვერსიებში მედეა არ კლავდა საკუთარ შვილებს... არცერთი ჩვენამდე მოღწეული ვერიპიდემდელი წყარო არ იხსენიებს შვილების მოკვლის ეპიზოდს, თუმცა მათში მედეა საკმაოდ აქტიურად ფიგურირებს. მხოლოდ ვერიპიდეს შემდეგ ხდება ეს ვერსია პოპულარული ...შესაბამისად, მედეას ტრაგიკული სახე, რომელიც თავადაც იტანჯება და თავისი უბედურებით ჩვენშიც ძრწოლას აღძრავს, პირველად ვერიპიდეს დრამაში ჩამოყალიბდა“.¹

შდრ. ს.ჯანაშია: „...ნაკლს ავსებს ტაციტუსი თავის „ანალებში“ (VI, 33-34).. ის დაწვრილებით საუბრობს იბერიის ამბებზე ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში და აფიქსირებს იბერიელების აზრს საკუთარი თავის შესახებ: „ისინი ამბობენ, რომ წარმოიშვნენ თესალიელებისაგან იმ დროს, როცა იასონი, რომელმაც მოიტაცა მედეა და შვილები იყოლია მისგან, შემდეგ დაბრუნდა აიეტის დაცარიელებულ სასა-

¹ არგონავტები. თხრობა და კომენტარები რ. გორდუზიანისა. მეორე გამოცემა, ლოგოსი, 2006, გვ. 128

ხლეში უმეფოდ დარჩენილ კოლხებთან. და მართლაც იქ ბევრი რამ მოწმობს მის სახელსა და ფრიქსეს ორაკულს; არავის არ მიაქვს მსხვერპლად ვერძი, რადგანაც სწამთ, რომ მან მოიყვანა ფრიქსე“. „იასონს ჰყავს მედეასაგნ შვილები და, საგონებელია, მათთან ერთად ბრუნდება კოლხეთში; აიეტის სასახლე დაცარელიებულია, ხოლო კოლხები უმეფოდ არიან, საგონებელია, რომ აიეტი მკვდარია. იასონი იჭერს მის ადგილს (ასეთი შეხედულება თითქოს ჩანს სტრაბონთანაც, XI, თ. II, §18).“¹

როგორც ვთქვი, არიან-ქართლის გაგება, როგორც კოლხისისა და აზოსი, როგორც იაზონის და მედეას შთამომავლის ანუ ჰალიოსიან-აიტიანებთან დაკავშირებული იაზონიანისა, ლოგიკური ასოციაციაა და მისი დაფიქსირება დიდ სირთულეს, ჩემი რწმენით, არ წარმოადგენს. მაგრამ ჩემამდე ამ ასოციაციით, როგორც დასმული საკითხის კვლევისათვის მნიშვნელოვანი ინტელექტუალური რესურსით, ნაკლებად უსარგებელია ვისმეს.

მაინც რა იყო დამაბრკოლებელი თანამედროვე მკვლევართათვის, რომ ძველი ქართველი მწერლების სრულიად გამჭვირვალე აზრი არიან-ქართლისა და კოლხისის იგივეობის შესახებ ამოეცნოთ?

აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზი, ჩემი აზრით, ისაა, რომ მკვლევრები ქართლს აღმოსავლეთ საქართველოსთან აკავშირებენ და მის ბერძნულ ექვივალენტად მიიჩნევენ „იბერიას“. შესაბამისად, ქართლის კოლხიდად გააზრება თავიდანვე გამორიცხული ჰქონდათ. მე როგორღა შევძელი ამ ტრადიციული თვალსაზრისისაგან თავის დაღწევა?!

¹ ს. ჯანაშია. კავკასიელი ეთნარქეპონიმების ანტიკური სქემა. შრომები, მეორე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1952, გვ. 238, 241, 241, 243.

ამ შემთხვევაში დამეხმარა ჩემს ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებში მიღებული შედეგი ტერმინების კოლხისა და ქართის და, შესაბამისად, ტერმინების კოლხისისა და ქართლის იგივეობის შესახებ.

ზემოთ ხსენებულ ჩემს გამოკვლევებში აღძრულია ქართველთა თვითსახელწოდების საკითხი. როგორც გამორკვეულია სპეციალურ თეორიულ ლიტერატურაში, თვითსახელწოდება ეთნიკური (აგრეთვე ეროვნული) ჯგუფის ძალიან მნიშვნელოვან მარკერს წარმოადგენს. მასში აისახება ის, თუ როგორ აცნობიერებენ თავიანთ ერთად ყოფნის ფაქტს ამ ჯგუფის წევრები, ანუ ესაა ჯგუფად ყოფნის გაცნობიერების გამომხატველი მნიშვნელოვანი მარკერი. გამორკვეულია ისიც, რომ ეთნიკურ ჯგუფებს განვითარებისას ახასიათებთ „მოქნილი სტაბილურობა“: ცვალებადობის მიუხედავად ჯგუფის განგრძობადობა დროში. ზემოთქმულიდან გამომდინარე ცვლილებები განვითარებაში, პირველ რიგში, უნდა აისახოს თვითსახელწოდების ცვლილებაში, ხოლო თუ განვითარება განგრძობადია, ჯგუფის განვითარების სხვადასხვა ეტაპის შესატყვისი ეს სახელწოდებანიც უნდა იყოს მსგავსი და არა აბსოლუტურად განსხვავებული. ადრე გამოქვეყნებულ გამოკვლევებში მე ვაჩვენე ქართული ჩვენ-ჯგუფის ასეთი განვითარება და თვითსახელწოდების შესაბამის ცვლილებაც: ქართული ერთობის წევრის თანამედროვე თვითსახელწოდება ქართველი მხოლოდ გარკვეული ეტაპიდან ჩნდება, კერძოდ, მაშინ, როცა ეთნიკურ კოლექტივს ეწოდება საქართველო. მანამდე ეთნიკურ კოლექტივს ეწოდებოდა ქართლი (ეს იყო, როგორც გაირკვა, არა მარტო ტოპონიმი, არამედ ეთნონიმიც), ხოლო ინდივიდუალურ წევრს – ქართი. ქართლი-კოლექტივი გაიაზრებოდა ქართველის სიმრავლედ. უფრო ადრეულ ეტაპზე ეთნიკურ კოლექტივს ქარი, ხოლო ჯგუფის ინდივიდუალურ წევ-

რს ისევ ქართი ეწოდებოდა: „თ“ კუთვნილების მაწარმოებელი სუფიქსის მეშვეობით ხდებოდა ქარ-კოლექტივისადმი წევრის მიკუთვნებულობის ჩვენება. ამ მსჯელობიდან ამჯერად მთავარია იმაზე ყურადღების გამახვილება, რომ სიტყვა ქართი შედგება ძირითადი „ქარ“ სეგმენტისაგან და „თ“ კუთვნილების სუფიქსისაგან.

მაგრამ ასეთი ანალიზი ზომ ცხადყოფს, რომ სიტყვა კოლ-ხ-ი სიტყვა ქარ-თ-ის იდენტურია: კოლხს აგრეთვე აქვს სამი ასოსაგან შემდგარი ძირითადი „კოლ“ სეგმენტი და კუთვნილების მაწარმოებელი „ხ“ სუფიქსი ანუ ორივე ამ სიტყვას აქვს ერთი ფუნქციის მქონე სუფიქსები („თ“ და „ხ“), მაშინ როცა „კოლ“ და „ქარ“ ფონეტიკურად ერთმანეთის ფარდია: „ქ“ და „კ“ , „ა“ და „ო“ და „ლ“ და „რ“ ბგერების მონაცვლეობა არა მარტო ქართველური ენებისათვისაა დამახასიათებელი, არამედ ფონეტიკური უნივერსალია. ამგვარად, ქართი და კოლხი ფონეტიკური ვარიაციებია.¹

შესაბამისად, ქართლი და კოლხისი ერთი და იგივეა. ე.ი. არიან-ქართლი არიან-კოლხისია. აღნიშნული იდენტიფიკაცია ქმნის მყარ ასოციაციურ ბმას ბერძენ ავტორებთან გამოყენებულ ტერმინთან აია-კოლხისი: აშკარაა, რომ არიან-ქართლი ეს იგივე აია-კოლხისია.

მაგრამ ეს ასოციაციური ბმა გვეხმარება იმაში, რომ გავივით რას ნიშნავს სიტყვა „არიან“?

აია-კოლხისი პირველად ჰეროდოტესთან გვხვდება. ადრინდელი ავტორები იცნობენ მხოლოდ აიას. სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული, ჩემი აზრით, სრულიად მართებული ინტერპრეტაციით, ორივე სიტყვის ერთად გამოყენებით ჰეროდოტე ერთმანეთისაგან მიჯნავს ლეგენდარულ და

¹ მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიკურ რელიგიური მოქცევის ეპოქაში, თბილისი: უნივერსალი, 2009, გვ. 47-65

ისტორიულ კოლხისს. კომპოზიტიის პირველი ნაწილი აიეტს ეპოქის ქვეყნის სახელია, მეორე - შემდეგდრონდელ ხანის. ვეთანხმები ამ შეხედულებას: ჰეროდოტე ქვეყნის ძველსა და ახალ სახელწოდებას აწვდის მკითხველს.

რახან აია-კოლხისი იგივე არიან-კოლხისი და იგივე არიან-ქართლი მგონია, და, შესაბამისად, სიტყვა „აია“ სიტყვის „არიან“ - ექვივალენტი, მეძლევა მნიშვნელოვანი ინფორმაცია: კერძოდ, ცხადი ხდება, რომ კომპოზიტში არიან - ქართლი „არიან“ „ქართლის“ მსაზღვრელი კი არ არის, როგორც აქამდე თვლიდნენ,¹ არამედ მისი სინონიმი. ამასთან თუ ვიცით რას ნიშნავს აია, გვეცოდინება რას ნიშნავს არიან.

მაგრამ რას ნიშნავს აია?

მოსალოდნელია, რომ ეს იყოს გეოგრაფიული მხარის აღმნიშვნელი სიტყვა.. ძველი სამყაროს კულტურულ კონტექსტში „აია“ „აღმოსავლეთს“ ნიშნავს, ეს სრულიად გარკვეულად უწერია ჰომეროსს (ძვ.წ. IX-VIII სს.) თავის „ოდისეაში“, რომელიც წყაროთა შორის უძველესია, რომელიც „აიას“ ასახელებს. „აია“ ნახსენებია რამდენჯერმე (ჰომეროსი X, XI, XII). „ოდისეას“ მიხედვით, „აიაიე“ მდებარეობს აღმოსავლეთით, იქ, სადაც მზის ღმერთი ჰელიოსი აღმოსვლას იწყებს: „როს ოკეანის მდინარებას გასცდა ზომალდი, აიასთან მიგვაბრუნეს ტალღებმა ზღვისა, სად ცისკრის მაცნე ეოსს ბინა აქვს და სად არის აღმოსავალი, საცეკვაო ჰელიოსი“.

¹ გ. მელიქიშვილის აზრით, არიან ნიშნავს ირანს. ანუ „არიან-ქართლი“ ეს „ირანის ქართლია“. ამ შეხედულებას დღეს მრავალი მეცნიერი იზიარებს. ის არამართო გ. მელიქიშვილის დიდი სამეცნიერო ავტორიტეტით არის განმტკიცებული. ს. ჯანაშიას ნააზრევოდან რომ იღებს სათავეს (ვგულისხმობ არა „არიანის“ „ირანად“ გააზრებას, არამედ სიტყვის „არიან“ სიტყვა „ქართლის“ ატრიბუტად მიჩნევას).

სისა“ (ჰომეროსი XII, 1-4;). ანტიკური ხანის მწერლები ჰელიოსის სასახლეს აიეტის ქვეყანაში მიუთითებენ. ჩანს „აიას“ მდებარეობა „ოკეანის სანაპიროზე“ ანუ შავი ზღვის სანაპიროზე. ზოგიერთ ანტიკური წყაროში შავი ზღვა ოკეანედ მოიხსენიება.

აქადურ ღვთაებათა პანთეონში აია არის დედა ქალღვთაება, ნიშნავს განთიადს, ის ასოცირდება მზის ამოსვლასთან. აია იყო შამაშის, იგივე უტუს, ანუ მზის ღმერთის მეუღლე. აიას უკავშირდება აშკარად სიტყვა აისიც, ანუ განთიადი, ანუ ისევ მზის სემანტიკური ველია. ანუ, აია ამომავალი მზის ადგილს ნიშნავს.

ქართულ სინამდვილეში მეცნიერები ვარაუდობენ მზის ქალღვთაება აიას არსებობასაც. მაგალითად, სამეგრელოში დადასტურებული აია-ჟაშხა ანუ იგივე აია-ბჟაშხა სწორედ ამის მაუწყებლად მიაჩნიათ. კომპოზიტი შედგენილია ძველი და ახალი სახელწოდებებისაგან: ანუ სიტყვა აიასაგან, რომელიც მზის დღის აღსანიშნად უფრო ადრე გამოიყენებოდა, ბჟაშხა, რომელიც უფრო გვიანდელია. ანუ აია არის სამზეო, მზის სამყოფელი ადგილი, მზის ქვეყანა. აიასთან დაკავშირებით ანალოგიური შეხედულებები უკვე გამოთქმულია სპეციალურ ლიტერატურაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოლოდინი ისეთია, რომ სიტყვა „არიან“ ისევე როგორც სიტყვა „აია“, უნდა ნიშნავდეს აღმოსავლეთს. მართლაც: ღ/რ არის ძირი სიტყვისათვის აღმოსავლეთი ანუ ორიენტი (ლათინური oriens) აღსანიშნავად. შდრ. სომხურშიც მზის ამოსვლის თუ თავად მზის აღმნიშვნელი ან მზის სემანტიკური ველის სიტყვები: **արև** (არევ) – აისი, **արևსածագ** (არევაწავ) – მზის ამოსვლა, **არედასქ** მზის თვალი ანუ მზე.

ამგვარად, სიტყვა არიან ნიშნავს აღმოსავლეთს. თუ კომპოზიტი აია-კოლხისი უნდა გავშიფროთ როგორც აღმოსავლეთი - კოლხისი, კომპოზიტი არიან-ქართლი უნდა გავშიფროთ, როგორც აღმოსავლეთი-კოლხისი/ქართლი.

ზემოთქმულმა შეიძლება მკითხველის გაკვირვება გამოიწვიოს: კოლხისი და აღმოსავლეთი? კოლხისი ხომ დასავლეთ საქართველოა, როგორ შეიძლება მისი სინონიმი იყოს აღმოსავლეთი?!

ჯერ ერთი, კოლხისი არ არის მხოლოდ დასავლეთ საქართველო. ამაზე არაერთხელ თქმულა და ახლა ამ საკითხს არ შეეხები. მთავარი ამ შემთხვევაში სხვაა: დასავლეთ საქართველო დასავლეთია აღმოსავლეთ საქართველოსათვის, მაგრამ არა საბერძნეთისათვის, რომლის მხრიდან დასავლეთ საქართველო, ისევე როგორც მთელი საქართველო, არის აღმოსავლეთი. ამიტომ აღმოსავლეთი-ქართლი ანუ აღმოსავლეთი-კოლხისი ანუ არიან-ქართლი არის ქართული სამყაროს ხედვა ბერძნული კუთხიდან¹ და, შესაბამისად, ბუნებრივია, რომ კოლხისის სინონიმად გვაქვს აღმოსავლეთი.

ზემოთქმულთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს, რომ შუა საუკუნეებში საქართველო გაიაზრებოდა სწორედ აღმოსავლეთად მიმართებით ბიზანტიასთან ანუ საბერძნეთთან, რომელიც იყო ოიკუმენას დასავლეთი ნაწილი. ეს არაერთგზის დასტურდება XI საუკუნის ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში წმ. გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებაში“.² ამ

¹ არა მაინდამანც ბერძნების მიერი, არამედ ესაა ხედვა ბერძნების არსებობის გათვალისწინებით.

²ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი მეორე (მეთერთმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეები) თბილისი, 1967, მეცნიერება. ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, გვ. 183, 173-174.

ძეგლის მიხედვით აღმოსავლეთი და საქართველო სინონიმებია.

ამგვარად, სიტყვა „არიან“ ნიშნავს აღმოსავლეთს. აღმოსავლეთი იყო ქართლის/კოლხისის ძველი სახელწოდება. და ეს უნდა ყოფილიყო არა მარტო ბერძნების აზრი კოლხისის შესახებ, არამედ თავად ამ ქვეყნის მმართველი ელიტის და მოსახლეობის აზრიც. ქვეყანას, რომელსაც, ითვლებოდა, რომ მზის შვილი მართავდა, სხვაგვარად როგორ გაიაზრებდნენ თუ არა, როგორც აღმოსავლეთს, ანუ ამომავალი მზის ქვეყანას.

კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ შუა საუკუნეებში ქართველ ისტორიკოსები თავიანთ ქართველთა ეთნიკურ ფესვებს, ისევე როგორც პოლიტიკური ისტორიის დასაწყისს, აიეტის კოლხისში ეძიებდნენ. კოლხისისათვის მათ ტერმინი ქართლი ან არიან-ქართლი ჰქონდათ. ამგვარად, „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით დასტურდება კოლხისის ხატი ძველი ქართველების ისტორიული მახსოვრობაში.

რაც შეეხება აზოს: ეს უნდა იყოს არა საკუთარი, არამედ იაზონიდების (მელეასა და იაზონის ხაზით აიეტის შტამომავლების) საგვარეულო სახელი. ამ დინასტიური სახელის მეშვეობით პირს, რომელიც კავკასიის ლაშქრობაში თან ახლდა ალექსანდრე მაკედონელს, ექმნებოდა მცხეთის სამეფოში ლეგიტიმური მეფობის საშუალება.

ასეთია ამ სტატიის უმთავრესი დასკვნები. მაგრამ გამოკვლევას აქვს სხვა შედეგიც, რომელიც უფრო ფართო კონტექსტში იკითხება: შუა საუკუნეების საქართველოში დასტურდება ისტორიოგრაფიული პლურალიზმი. პირველი ტექსტის ანუ „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, როგორც ვნახეთ, არსებობს მემკვიდრეობითობა აიეტის კოლხისსა და მცხეთაში ცენტრის მქონე ქართულ სახელმწიფოებრიობას

შორის. ეს უკანასკნელი თვისებრივ ახალი რამ არ არის ქართველთა ისტორიაში. მეორე ტექსტის ანუ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით კი, ეს მემკვიდრეობა თუმც თითქოს გარკვეულად იკითხება სტრიქონებს მიღმა, მაინც ფარნავაზის სამეფო სრულიად ახალი რამ არის პოლიტიკური თვალსაზრისით და კულტურულადაც. ამ ვითარების ერთი პარადოქსი ისაა, რომ ორივე ეს ურთიერთგამომრიცხავი აზრი, სრულიად უპრობლემოდ თანაარსებობს შუა საუკუნეების საქართველოში და მეორე ტექსტის დიდი ემოციური მუხტის მქონე ნარატივი სრულადაც ვერ ახშობს აზრს არიან-ქართველი წინაპრების შესახებ. ამ თანაარსებობის მიზეზი, ჩემი აზრით, უნდა იყოს მეორე პარადოქსი: მიუხედავად ურთიერთგამომრიცხველი ინფორმაციისა, ორივე ეს შეხედულება არსებითად სწორია: ფარნავაზის სამეფო აიეტის სამეფოს გაგრძელებაც იყო და სრულიად ახალი ეტაპიც ქართული სახელმწიფოებრიობის და იდენტობის ისტორიაში.

Mariam Chkhartishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**A NEW DISCOURSE ON THE KING
AZO AND ARIAN-KARTLI
RESUME**

The monument of old Georgian historiography “Conversion of Kartli” mentions the country under the name Arian-Kartli. According to this source the son of a King of Arian-Kartli Azo was first King of Eastern Georgian Kingdom with the political center in Mtskheta. He occupied the throne being supported by Alexander the Great.

There is no consensus among the scholars concerning the identification of the political and geographical reality to which the term Arian-Kartli was referred.

Grounded on a close analysis of sources and results of my previous investigations asserting sameness of Kartli and Colchis, I provide novel conclusions on Azo and Arian-Kairtli. In particular, there is argued that Arian-Kartli is equivalent of, Aia-Colchis mentioned by Greek writers. The latter consists of two synonymous words: Aia and Colchis. Aia was ancient designation of Colchis. In antique cultures this word was referred to Dawn and Sun rising, i.e. phenomena associated exclusively with East. Thus, East/Colchis was the meaning of Aia-Colchis. It is expected that term Arian too had the same meaning. Indeed in Georgian as well as in many other languages (Latin, Armenian, etc.) root r(rh) creates basis for words which are associated with the semantic field of the word East/Oriens.

Thus, Arian-Kartli means East/Kartli. And it is nothing but Georgian designation of Colchis(//Aia-Colchis).

Azois a family name of Jazonides, i.e. descendants of Colchian King Aiete's daughter Medea and her husband Jazon. Of course, it is not accident at all, that just the person with the dynastic legend linking him with Aietides' dynasty accompanied Alexander the Great in his Caucasian campaign.

The facts obtained by me are evident and logical and lie on the surface; therefore is astonishing enough that it was not noticed by scholars earlier. Perhaps, the reason of this was an established view on identification Kartli of Georgian sources with Iberia of Greek sources and association of Colchis solely with Western Georgia. The term Colchis covered not only Western Georgia, but territories in Eastern Georgia too. Actually, in certain periods by Colchis was designated whole

Georgia. However, for the present investigation matters not this fact, but another one: Western Georgia as well as Georgia in general might be perceived as Orient regarding to Greece representing Occident.

ეთერ ცერცვაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ისტორიოგრაფიული პროფილის კვლევები ივანე
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის შრომებში**

მოსხენება ეხება ქართულ პერიოდულ გამოცემაში, კერძოდ, თბილისის უნივერსიტეტის „შრომებში“ ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომების შესწავლას და გარკვეული დასკვნების გამოტანას. ეს გამოკვლევა ნაწილია იმ სამეცნიერო პროექტისა, რომელიც ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში (ხელმძღვანელი პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი) და მიზნად ისახავს ვრცელ ქრონოლოგიურ მონაკვეთში შეისწავლოს ქართული ისტორიული აზრის ისტორია, როგორც პერიოდული გამოცემების, ისე ცალკეული მონოგრაფიების მიხედვით. ჩვენ მიერ კონკრეტულად უნივერსიტეტის „შრომების“ მითითებული კუთხით გაანალიზების მიზნად დასახვა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მოსალოდნელი იყო ქართველოლოგიური კვლევების დიდი ნაწილი ამ ჟურნალში, რომელიც საქართველოს უმთავრესი საგანმანათლებლო და ამავე დროს კვლევითი ცენტრის პერიოდულ გამოცემას წარმოადგენს, ყოფილიყო გამოქვეყნებული, მათ შორის, ისტორიოგრაფიული პროფილის კვლევებიც.

მკითხველისთვის, რომ უფრო ნათელი გახდეს რა სახის მასალას ვეძებდით, მოვიყვანთ ტერმინ „ისტორიოგრაფი-

ის“ განმარტებას, რომელსაც ვიზიარებთ და სწორედ მისი გათვალისწინებით ამ ნაშრომის ფარგლებში მოვიძიებთ მასალას: „ისტორიოგრაფია ეს არის ისტორიის წერა, წყაროების კრიტიკული განხილვის საფუძველზე. ისტორიოგრაფია ასევე განიხილავს თეორიებს, ისტორიული წყაროების ისტორიას და ისტორიული აზრის განვითარების ისტორიას.“¹

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომები“ გამოდის 1936 წლიდან 2003 წლის ჩათვლით. 1936 წლამდე ეს გამოცემა გამოდიოდა „უნივერსიტეტის მოამბის“ სახელით, მაგრამ ჩვენ შევისწავლით მხოლოდ „შრომების“ სახელით გამოცემულ ტომებს. 1936 წლიდან 2003 წლამდე სხვადასხვა სახელით იწოდებოდა: ტფილისის/თბილისის უნივერსიტეტის შრომები (1936-1998), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1998-2003).

თსუ „შრომებს“ ფართო სამეცნიერო პროფილი ჰქონდა, რედაქტორებიც იმის მიხედვით იცვლებოდა, თუ რა სფეროს ეძღვნებოდა გამოცემა. 1936 წელს გამოვიდა პირველი ტომი, გამოცემის რედაქტორი იყო კ. ორაგველიძე, რომელიც იმხანად უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობას იკავებდა. პირველი ტომი მიეძღვნა საქართველოს უზენაესი ორგანოს – ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტს საბჭოთა ხელისუფლების მე-15 წლისთავის აღნიშვნას. ამ ტომში შეგვხვდა გ. ნათაძის სტატია “capitulare de villis” (ერთ-ერთი ნიმუში ფორმალური ლოგიკური მიდგომისა ისტორიულ კვლევაში)². ამ სტატიაში საუბარია, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კვლევის შესახებ. კონკრეტულად, რიკერტის თეორიის საპირისპი-

¹<http://www.britannica.com/topic/historiography>

²ტფილისის უნივერსიტეტის შრომები, ტფილისი, 1936, გვ. 290-309.

როდ აყენებს დოკუმის თეორიებს. მას გაკრიტიკებული ჰყავს აკადემიკოსი ნეუსიხინი, რადგან ის ხოტბას ასხამს მაქს ვებერს და იზიარებს ანტიმარქსისტულ თეორიებს. დოკუმის თეორიის ჩარჩოებში განხილული აქვს საბუთი “capitulare de vilis”. რაც შეეხება კ. ორაგველიძის სტატიას, იგი გამოქვეყნებულია 1936 წლის მეხუთე ნომერში. ავტორი საუბრობს სათანადო ისტორიის დაწერის აუცილებლობაზე, რათა აღიზარდნონ ახალგაზრდები მარქსისტული იდეოლოგიის გავლენით და შესაბამისად. კ. ორაგველიძეს გაკრიტიკებული ჰყავს ფილიპე მახარაძე თავისი დამოკიდებულების გამო საქართველოს ისტორიისა და შოთა რუსთაველის პოემისადმი. ორაგველიძე წერს: „საქართველოში ადგილი ჰქონდა მრავალ ხოცვა-ჟლეტვას და სისხლისღვრას, სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო ფეოდალიზმის პერიოდში, მრავალ სხვა ხალხმაც განვლო ასეთი სისხლიანი და ნარ-ეკლიანი გზა, მაგრამ სად, ან ვის უარყვია ამის გამო ისტორიული კვლევის საჭიროება!“. სტატიაში საუბარია იმაზე, რომ საქართველოს ისტორია საერთოდ არ არის შესწავლილი, მთელი რიგი ისტორიული ძეგლები გამოუქვეყნებელია, ისინი მისაწვდომია მხოლოდ სპეციალისტთა ფართო წრისთვის. ახალგაზრდების ენების უცოდინრობა შეუძლებელს ხდის ძვირფასი უცხოენოვანი მასალის შესწავლას. მეტად ღარიბია საისტორიო ლიტერატურაც ცალკეული თემატიკის მონოგრაფიებით. ავტორი, აკრიტიკებს ივანე ჯავახიშვილს, მისი შეხედულებებს, კვლევის მეთოდებს, შეფასებებში იდეალისტური თეორიის გამოყენებას. ჯავახიშვილის მეთოდოლოგია მთლიანად ანტიმარქსისტულია თავისი არსით, – აღნიშნავს ავტორი. დაწუნებულია ჯავახიშვილის მიერ პიროვნების რეპრეზენტაცია,

¹ტფილისის უნივერსიტეტის შრომები, 1936, №5, გვ. 5.

სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ არსებული თვალთახედვა, მის მიერ ფეოდალიზმის საკითხის კვლევა. არაფერია ნათქვამი იმ დიდ დამსახურებაზე, რაც ივანე ჯავახიშვილს მიუძღვის ქართული ისტორიული მეცნიერების წინაშე¹.

1940 წლის მე-16 ნომერში, გამოქვეყნებულია კ. კეკელიძის სტატია „ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა-გიორგის ისტორიის შესახებ“. კორნელი კეკელიძეს გაანალიზებული აქვს ისტორიის ის როლი, რომელსაც საქართველოს ისტორიის გაშუქება თამაშობდა, ქართველი ერის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს მისია იყო ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება, ეროვნული კულტურული ტრადიციების განმტკიცება. ამ ნიადაგზე უნდა წარმოშობილიყო ისტორიული ნაწარმოები ბატონიშვილების დავითისა, თეიმურაზისა და ბაგრატისა. ამგვარ შრომათა რიგს განეკუთვნება ბატონიშვილის იოანეს “ისტორია ქართლისა“, რომელიც მოთავსებულია მის „კალმასობაში“². კ. კეკელიძე ამ ნაშრომს სათანადოდ აფასებს. მართალია, ავტორი კვალდაკვალ მისდევს ვახუშტის ნაშრომს, მაგრამ მას დაუცავს ისეთი ცნობები, რომელიც ვახუშტის ნაშრომში არ მოგვეპოვება და მარტო იოანეს შრომაში გვხვდება. ამ წყაროს ქართულ საისტორიო მწერლობაში აქვს საკუთარი, დამოუკიდებელი ადგილი და საკმაოდ შესამჩნევია. ამის დასტურად მოყვანილი აქვს „ლაშა-გიორგის ისტორია“³.

სხვა ტომებში 1940 წლიდან მოყოლებული 1960 წლამდე ისტორიოგრაფიული ხასიათის სტატიას ვერ ვხვდებით. 1960 წლის 87-ე ტომში ვხვდებით, ვ. დონადის თეო-

¹იქვე, გვ. 8.

²ტფილისის უნივერსიტეტის შრომები, 1940, № 16, გვ. 390.

³ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1940, №16, გვ. 90-107.

რიული შინაარსის სტატიას „გიორგი წერეთელი მსოფლიო ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ“¹. სტატიის ერთი თავი უშუალოდ ეხება ჩვენ შესასწავლ საკითხს, „გ. წერეთლის ისტორიული კონცეფცია“, ავტორი ასე ახასიათებს მის შეხედულებებს: “გიორგი წერეთელი მერყეობს მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის. გ. წერეთელი ბუნების მსგავსად საზოგადოების ცხოვრებაშიც ხედავს განვითარების პროცესის განუწყვეტელ მოძრაობას, ცვალებადობას, სადაც ყველაფერი ინგრევა იცვლება და ახალი აღმოცენდება. იგი საზოგადოების მოვლენების ასახსნელად დიალექტიკურ მეთოდს იყენებს, საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან განმსაზღვრელად ქვეყნის გეოგრაფიულ ფაქტორს მიიჩნევს. ყველა ისტორიული შემთხვევა ქვეყნის გეოგრაფიული გარემოს რეზულტატად მიაჩნია”².“ ასევე დიდი როლი ენიჭება ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა მოსახლეობის რაოდენობა, საზოგადოების გონებრივი განვითარების დონე, ეკონომიკური წყობილების ხასიათი და სხვა. ისტორიაში პიროვნების და მასების როლის გაგების საკითხში, გ. წერეთელი ძლევს იდეალიზმს და არსებითად მატერიალიზმის პოზიციაზე გადადის. მას ხალხი მიაჩნია ისტორიული პროცესების წამყვან ძალად³. ასეთია ვ. ღონაძის შეფასებები გ. წერეთლის ნააზრევისა ისტორიის მეცნიერების შესახებ. კიდევ ერთი საინტერესო სტატია, გვხვდება 1963 წლის 78-ე ტომში. ა. კიკვიძის სტატია, „ივ. ჯავახიშვილი და ქართული

¹თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1960, № 87, გვ. 117-150.

²იქვე, გვ. 122. გ.წერეთელი. ბუნების გავლენა კაცზე, თხზულებათა სრული კრებული ტ.1 .

³თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1960, №87, გვ. 121. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1963, №78, გვ. 16-18.

ისტორიოგრაფია“, სადაც შეფასებულია ი. ჯავახიშვილის როგორც მეცნიერის, დამსახურება ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე. უფრო კონკრეტულად, განხილულია შემდეგი საკითხები: საისტორიო წყაროს ღირსება-ნაკლოვანებების შემოწმება, ამ წყაროდან უტყუარი ცნობების გამოკრება და ისტორიისთვის მათი გამოყენება. ქართული საისტორიო ძეგლების, საბუთების მეცნიერულ-კრიტიკული განხილვა. ი. ჯავახიშვილმა კრიტიკულად განიხილა ყველა ქართველი მემატიანე და ისტორიკოსი და წამოაყენა სახელმძღვანელო დებულებები წყაროთმცოდნეობაში. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ი. ჯავახიშვილმა შემოიტანა საზოგადოების განვითარების ეტაპების აღმნიშვნელი ტერმინები¹. ასევე საინტერესოა 1964 წლის 107-ე ტომში გამოქვეყნებული ზ. შველიძის რეცენზია ვ. დონადის სტატიაზე „ნიკო ნიკოლაძის ისტორიული შეხედულებანი“. ნაშრომის პირველ თავში მოცემულია ნ. ნიკოლაძის სოციოლოგიური შეხედულებები და ისტორიული კონცეფციის ზოგადი დახასიათება. ბუნებრივ გეოგრაფიული გარემოს, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონზომიერება, კლასთა ბრძოლის და სახელმწიფოს ადგილი ისტორიაში, ისტორიული მოვლენების შეცნობის შესაძლებლობები და სხვა თეორიული საკითხები².

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ისტორიოგრაფიული შინაარსის სტატიების სიუხვით ეს გამოცემა არ გამოირჩევა მიუხედავად იმისა, რომ მანამდეც ხდებოდა თემატური კლასიფიკაცია, მაგრამ არა სისტემატურად და გამოკვეთილად. ხოლო 1971 წლიდან ცალკე სერიად გამოდის ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფიის სერია. 60-იანი წლებიდან 1984 წლამდე იყო პაუზა. აღნიშნული წლის

¹თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1963, ტ. 78-ე, გვ. 21-25.

²თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1984, ტ. 246, გვ. 166-168.

246-ე ტომში დაიბეჭდა მ. ლორთქიფანიძის სტატია „ცხოვრება იოვანესი და ეფთიმესი და ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმინდელისა“, როგორც საისტორიო წყარო. ი. ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ აქამდე ეს ლიტერატურა თითქმის შეუსწავლელი ყოფილა, ისეთი საყურადღებო და საგულისხმო საკითხების თაობაზე, როგორც არის ქართული საისტორიო თხრობის წესი, მეთოდები და ტერმინები. ძალიან ცოტა გვეცოდინებოდა ამ საკითხების შესახებ, ქართული საეკლესიო მწერლობისთვის ზურგი, რომ შეგვექცია¹. ასევე საინტერესო ასპექტებია, ისტორიული ნაწარმოების დაწერის საფუძვლების გაცხადება ნაშრომის დასაწყისში. მეთერთმეტე საუკუნეში გიორგი მთაწმინდელის წყალობით საისტორიო თხზულებათა მეთოდოლოგიური მხარე იმდენად მაღალ დონეზე იდგა, რომ თანამედროვე მკაცრ მოთხოვნებსაც კი თითქმის დააკმაყოფილებდა. წერის მეთოდების თვალსაზრისით, გიორგი ხუცესმონაზონი თავისი მასწავლებლის ხაზს მიყვება, მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოაქვს ახალი, შედარებით მეთოდი, რასაც ისტორიული პიროვნების ღვაწლის წარმოსაჩენად იყენებს². 1989 წლის 283-ე ტომში დაიბეჭდა გულივერ იობაშვილის სტატია სკკპ XXVII ყრილობა და ქართული ისტორიული მეცნიერების ამოცანები³. ავტორი ისტორიოგრაფიას ხელოვნებას ადარებს ისტორიულ გამოკვლევას, შესაბამისად ნაწარმოები ეპოქას, მის სათანადო გამოკვლევას და განცდას უნდა ეფუძნებოდეს. სწორედ ამაშია დიდ ისტორიკოსთა შემოქმედების საიდუმლო.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის, ჟამთააღმწერლის, ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება ამის მშვენიერი ილუსტრაციაა.

¹თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1984, ტ. 246, გვ. 167.

²თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1984, ტ. 246, გვ. 168.

³თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1989, ტ. 283, გვ. 5-11.

ცაა. სტატიაში საუბარია იმაზე, რომ ისტორიოგრაფია უნდა ემსახურებოდეს ქართველების ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. ადამიანთა ფართო ფენებისთვის იგი უნდა იწერებოდეს პოპულარულად, მიმზიდველი სტილით. გაცხადებულია, ქართულ სამეცნიერო საზოგადოებაში არსებული ხარვეზები, კერძოდ კუსტარულობა, თვითდინება ემპირიზმი. თეორია, რომ ისტორიის მეცნიერულ მატერიალისტური გაგება, ისტორიული მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ კავშირი უნდა ყოფილიყო ყველასთვის გასაგები და მისაღები. ისტორიკოსები მასალის მოძიების და ანალიზის ნაცვლად, ჯერდებიან ისტორიული სქემების აბსტრაქტულ კონსტრუირებას¹. აქვე სვამს შესასწავლ საკითხებს, როგორცაა ფეოდალური ეპოქის ეკონომიკის პრობლემები, სოციალური ბრძოლის ფორმები და განმაპირობებელი თავისებურებანი და ა.შ. ამ საკითხების ჩამონათვალი მეტწილად განპირობებულია მარქსიზმის თეორიის გავლენით, მაგრამ ჩვენ აქ ნაშრომის მეცნიერულ კრიტიკას არ ვაპირებთ, უბრალოდ, ფაქტის კონსტატირებას ვახდენთ, არსებული ვითარების აღსაწერად.

ისტორიის კვლევის მეთოდების საილუსტრაციოდ, გვინდა მოვიყვანოთ კიდევ ერთი საინტერესო სტატია. რომელიც გამოქვეყნებულია 1992 წლის 310-ე ტომში მ. მარსადაგიშვილის ავტორობით „ისტორიული წყაროს მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდებით კვლევის ცდა“², ნაშრომში აღებულია წყაროდ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდები მოიცავს ტექსტის, როგორც ფორმალიზებულ ანალიზს, ისე სტილის სტატისტიკურ კვლევას.

¹თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1989, ტ. 283, გვ. 37.

²თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1992; ტ. გვ. 310.

თბილისის უნივერსიტეტის 1999 წლის ისტორიის სერიის ტომში, გვხვდება რ. ლაბაძის სტატია, რომელშიც, თუმცა, არ არის ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემები განხილული, მაგრამ ჩამოთვლილი პრობლემატიკა საინტერესოა. ავტორს „ახალი ისტორიული მეცნიერების“ საკვლევი პრობლემები აქვს ჩამოთვლილი: ქორწინება, ოჯახი, დროის კონცეპტი, სივრცე და ა.შ.¹⁷

ამ მასალების განხილვის შემდეგ, შეიძლება შემდეგი სახის დასკვნების გამოტანა. პირველი არის ის, რომ განხილულ პერიოდში ძალიან იშვიათად იწერებოდა ისტორიოგრაფიული პროფილის ნაშრომები. XX საუკუნის 40-იან წლებში და, შემდეგაც, საბჭოთა კავშირის პერიოდში თეორიული შინაარსის სტატიები ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს: მარქსისტული იდეოლოგიის ქადაგებას და მის უტყუარობაში მკითხველის დარწმუნებას. პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით ეს არც იყო გასაკვირი. მხოლოდ რამდენიმე გვერდი ეთმობოდა ისეთი დიდი მეცნიერის ღვაწლის შეფასებას, როგორც ივანე ჯავახიშვილია. რაც შეეხება საკითხის ისტორიოგრაფიის მიმოხილვას, ასეთი ნაწილი ძირითადად არ ჰქონდა ნაშრომებს, რადგან მაშინდელი მეცნიერების მიერ პირველად ხდებოდა უმეტესობა წყაროების შეფასება და შესწავლა. შემდგომ პერიოდში ამ მხრივ ვითარება, რა თქმა უნდა, სხვაგვარადაა და შესასწავლი საკითხის შესახებ არსებულ ლიტერატურას მიმოიხილავენ. ნაკლებად ქვეყნდებოდა რეცენზიები, ნაკლებად იყო მეცნიერული ნაშრომების დასაბუთებული კრიტიკა, ნაკლებ მსჯელობდნენ ახალი საკვლევი თემატიკის დასმაზე, კვლევის მეთოდების აღწერასა თუ მის დახვეწაზე.

¹⁷ თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1999, ტ. 328, გვ. 214-216

დამოწმებანი:

1. ტფილისის უნივერსიტეტის შრომები, ტფილისი. 1936.
2. ტფილისის უნივერსიტეტის შრომები, ტფილისი. 1940;
ტ 16-ე
3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1960;
ტ 87;
4. გ. წერეთელი, ბუნების გავლენა კაცზე, თხზულებათა
სრული კრებული ტ I.
5. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1960;
ტ. 87;
6. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1963;
ტ. 78;
7. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1963; ტ 78-ე;
8. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1984; ტ 246;
9. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1984; ტ 246;
10. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1984; ტ 246;
11. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1989; ტ 283;
12. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1989; ტ 283;
13. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1992; ტ 310;
14. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1999; ტ 328;

Eter Tsertsvadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**RESEARCHES OF HISTORIOGRAPHICAL PROFILE
IN THE TRANSACTIONS OF TBILISI STATE
UNIVERSITY
RESUME**

The paper is a part of the research project devoted to study of history of Georgian historical thought (Project director

Professor Mariam Chkhartishvili). Ivane Javakhishvili Tbilisi State University's Transactions are taken as subject of the analysis. Obtained data allows the author to make the following conclusion: the articles of historiographical profile are rare. The most of the published papers were devoted to justification of Marxist ideology so that to convince readers in its truthfulness. Some papers in field of history missed reviews on state of problem study because researches had just to begin analyzing historical sources critically. In solving this problem great role played Ivane Javakhishvili and his followers who managed to develop source criticism and wide historiographical approach to the history discipline.

ნიკო ჯავახიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**იესე მეფის შთამომავალთა ბრძოლა
ქართლის სამეფო ტახტის დასაბრუნებლად
(XVIII საუკუნის 30-40-იანი წლები)**

წინამდებარე გამოკვლევაში შევეცადეთ შეგვესწავლა ბაგრატიონთა დინასტიის ცალკეულ განშტოებათა მიერ ქართლის სამეფო ტახტის დასაუფლებლად გაჩაღებული ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლის ერთ-ერთი ეტაპი, კერძოდ, მეფე იესეს შთამომავალთა ბრძოლა ქართლის სამეფო ტახტის დასაბრუნებლად, რაც XVIII საუკუნის 30-40-იანი წლების საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ, ნაკლებად გამოკვლეულ მოვლენას წარმოადგენს.

* * *

სამეფო ლეგიტიმიზმის (მომდინარეობს ლათინურად სიტყვიდან Legitimus, რაც კანონიერს, მართლზომიერს ნიშნავს) საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარე, ამა თუ იმ მონარქის ტახტის კანონიერი მემკვიდრეა იმავე მეფის უფროსი ძე. თუ ეს უკანასკნელი ცოცხალი აღარ არის, მაშინ მისი უფროსი ძე. თუ ცოცხალი არც ის არის, მაშინ მისი მომღვენო ძმა. იმ შემთხვევაში, თუ ტახტის მემკვიდრე ქმედუნაროა, კერძოდ, იმყოფება ტყვეობაში ან სხვადასხვა მიზეზთა გამო, ვერ ახერხებს თავის სამშობლოში დაბრუნებას, მაშინ მის კუთვნილ ტახტზე შეიძლება ავიდეს

მისივე მომდევნო ძმა, ან ძმისწული, ან, უკიდურეს შემთხვევაში, უახლოესი ნათესავი მამრობითი ხაზით. ღოდესაც ცოცხალია მონარქის თუნდაც ერთი შთამომავალი მამაკაცი (მამრობითი ხაზით), მას ტახტზე მეტი უფლება გააჩნია, ვიდრე მდედრობითი ხაზის წარმომადგენელს.

სწორედ აღნიშნულ პრინციპს ეყრდნობოდა ქართული სამართალიც უძველესი დროიდან – XIX საუკუნის დასაწყისის ჩათვლით.

ქართული სამართლის ყველაზე გვიანდელ, საკოდიფიკაციო ძეგლში – „სამართალი ბატონისშვილის დავითისა“ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე უფლისწული დავით ბაგრატიონი (1767-1819) აღნიშნავდა: „ვინათგან მეფის ძენი არიან პირველნი წევრნი სამეფოსანი და მათგან შედრგების ღირსებაი მეფობისა, ამისთვის ხამს, რათა იყვნენ იგინი პატივცემულ ყოველთა მიერ და აქვნდესთ, შემდგომად მეფისა პატივისცემა უპირველესი ყოველთა საზოგადოებათაგან...“

უპირველესი პატივისცემა მათ შორის აქვნდეს უპირველესსა ძესა, ვინათგან არს იგი მემკვიდრე ტახტისა. ხოლო ესე მემკვიდრეობა ტახტისა უპირველესსა ძესა ადრიდგანვე არს შემოღებულ საქართველოსა შინა ამისთვის... მარადის უპირველესნი ძენი იქმნებოდნენ მეფედ; და უკეთუ მოკვდეს იგი და დაუშთის ძე, ძე მისი იქმნებოდის, და არა ძმანი. ხოლო წეს-დებულება ესე არაოდეს შეცვლილ არს, ვიდრე დღევანდელ დღემდე. და უკეთუ პირველსა შვილსა არა დაუშთეს მემკვიდრე, შემდგომი იქმნების; და თუ მასცა არა დაურჩების შვილი, – შედგომი, და ესრეთ შორს იხილვე. ხოლო ძეთანი ასულთანი გამორიცხულ არიან ამა ღირსებასაგან¹.

¹ სამართალი ბატონისშვილის დავითისა. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, თბ. 1964, გვ. 218-219.

XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან ქართლელი ბაგრატიონები, კერძოდ, მეფე ვახტანგ VI-ისა და მისი უმცროსი ძმის მეფე იესეს – შთამომავლები, აქტიურად ცდილობდნენ მათი კუთვნილი სამეფო ტახტის დაბრუნებას. ამ მიზნით, მათი ნაწილი ვარაუდობდა როგორც შინაური ძალების, ასევე გარეშე ძალთა (რუსეთის, სპარსეთის, ასევე ჩრდილოკავკასიელი მთიელების) გამოყენებას¹.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მეფე ვახტანგ VI-ისა და მისი შთამომავლობის რუსეთში გადახვეწისა (1724 წ.) და მეფე იესეს გარდაცვალების (1727 წ.) შემდეგ, ქართლის სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრენი იყვნენ ამ მონარქების ძენი (უფროს-უმცროსობის მიხედვით).

ხსენებულ პერიოდში საქართველოში შემორჩენილ ქართლის სამეფო ტახტის ლეგიტიმურ პრეტენდენტთა შორის ყველაზე ანგარიშგასაწევ ფიგურას წარმოადგენდა ბაგრატიონთა ქართლური შტოს წარმომადგენელი თეიმურაზ ბატონიშვილი (1720-1788). მისი მამა იყო ვახტანგ VI-ის ძმა – იესე, ხოლო დედა – ელენე-ბეგუმი (1687-1750), ასული მეფე ერეკლე I-ისა (ნაზარალი-ხანისა), ანუ ნახევარი და მეფე თეიმურაზ II-ისა.

აქვე დავსძენთ, რომ იესე ორჯერ მეფობდა ქართლში, პირველად – 1714-1716 წლებში, როგორც შიიტი მუსლიმი – ალი-ყული-ხანი, ხოლო მეორედ – 1724-1727 წლებში, როგორც სუნიტი მუსლიმი – მუსტაფა-ფაშა. ამდენად, უფლისწული თეიმურაზ იესეს ძე (მომავალში – კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I) იმ დროისათვის ქართლის სამეფო ტახტის სრულიად კანონიერ პრეტენდენტად მოიაზრებოდა.

¹ ნ. ჯავახიშვილი. ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 2005, გვ. 139-142.

ქართლის სამეფო ტახტის დაუფლება სურდა კახეთის მეფეს – თეიმურაზ II-ს, როგორც სიძეს ვახტანგ VI-ისას, კერძოდ, მისი ასულის – თამარ ბატონიშვილის მეუღლეს.

ამასთან დაკავშირებით მამია დუმბაძე მართებულად მიუთითებდა: „თეიმურაზის „უფლებებს“ ქართლის ტახტზე სუსტი საფუძველი ჰქონდა. მისი მეუღლე თამარი, მართალია, ვახტანგ VI-ის ასული იყო, მაგრამ ვახტანგს, ისევე როგორც მის ძმას იესეს, რომელიც ვახტანგის ირანში ყოფნის დროს მეფედ იყო, ვაჟიშვილი მემკვიდრეები ჰყავდა“¹.

საგულისხმოა, რომ საკუთარი პოზიციების გასამტკიცებლად, თეიმურაზ II-მ ფრიად მოხერხებულად ჩამოიცილა გზიდან საშიშ კონკურენტად ქცეული თავისივე დისწული – თეიმურაზ იესეს ძე, რომელიც ბერად აღიკვეცა. ამის თაობაზე ვრცლად ვწერთ ჩვენს სტატიაში².

მართალია, ანტონი ბერად აღიკვეცა, მაგრამ რუსეთის სენატის იმდროინდელი დასკვნით, საეჭვო ჩანდა, რომ მას მუდმივად მონასტერში ეცხოვრა³.

ამრიგად, საგვებით მოსალოდნელი იყო, რომ ანტონს გაეხადა ბერის სამოსელი და კვლავ საერო ცხოვრებას დაბრუნებოდა. ამას თეიმურაზ II-ც კარგად ხვდებოდა.

1744 წელს სრულიად ახალგაზრდა თეიმურაზ იესეს ძე კათოლიკოს-პატრიარქი გახდა და ცნობილია ანტონ I-ის სახელით. ამის ინიციატორად მოგვევლინა მისი ბიძა თეიმუ-

¹ მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის განთავისუფლება ირანის ბატონობისაგან. წიგნი: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 608.

² ნ. ჯავახიშვილი. აფშართა დინასტიის წარმომადგენლებზე ქართველთა ქორწინებების ისტორიიდან. წელიწადური „საისტორიო კრებული“. ტ. I. თბ. 2011, გვ. 75-82.

³ მ. ქავთარია. XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. თბ. 1977, გვ. 15.

რაზ II, რომლის ვარაუდითაც ამ უმაღლესი სასულიერო თანამდებობით დაკმაყოფილდებოდა ანტონის ამბიცია და იგი მოეშვებოდა ქართლის სამეფო ტახტის დაკავებაზე ფიქრს.

თეიმურაზ II შემდგომშიც ეჭვობდა, რომ კათოლიკოს-პატრიარქად აღზევებული მისი დისწული მაინც ვერ შეეღვინა მეფობაზე ოცნებას, რის გამოც მისი სამშობლოდან გაძევების მიზეზს ეძებდა.

1755 წლის 16 დეკემბერს გამართულ საეკლესიო კრებაზე ანტონ I-ს კათოლიციზმში დასდეს ბრალი და მის მიერ დაკავებული მაღალი თანამდებობიდან გადააყენეს. თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ დაამტკიცეს საეკლესიო კრების განჩინებაში დადებული აღთქმა, რომ ანტონ I-ს არასდროს აღარ აღადგენდნენ ძველ უფლებებში¹.

განჩინებაში ვკითხულობთ: „ჩვენ, ცხებულმან მეფემან საქართველოსამან თეიმურაზ და ძემან ჩვენმან, მეფემან კახეთისამან ირაკლიმ ესე აღთქმა და პირი დავამტკიცეთ და უცვალებლად დავდევით კრებასა შინა, ვპოეთ ანტონი კათალიკოზი რომაელთა სარწმუნოებათა აღმსარებლად და და ჩვენთა სარწმუნოებათა შეურაცხ მქნელად, ამას ზედა შევიკრიბენით საბრძანებელთა შინა ჩვენთა ქართლისა და კახეთისა მიტროპოლიტნი და ეპისკოპოსნი, არქიმანდრიტნი და წინამძღვარნი, აგრე ორთავე სამეფოთა მთავარნი და დარბაზის ერნი. მიუვლინეთ მოციქულნი. ვკითხეთ და ვამხილეთ მისი ბოროტი ცთომილება. ხოლო მან საანჯემნოდა აღიარა ჩვენისა სარწმუნოებისაგან მიდრეკა და ლათინთა სარწმუნოებისა აღსარება დაამტკიცა. ესე აწ შეკრებულმან წმინდამან კრებამან უგულებელ ჰყო და ანტონი კათალიკოზი სამოციქულოსა სა-

¹ ს. ავალიანი. ანტონ პირველი (ბაგრატიონი). თბ. 1987, გვ. 12-17; 33.

ყდრისა და კათოლიკე ეკლესიისაგან ჯეროვნად აღვხვრათ და კათოლიკოზობისაგან განვაყენეთ.

აწ ესე პირი დავამტკიცეთ, უკეთუ სამეოხოთა სიტყვი-თა რომელმანმე ჩვენ მეფე თეიმურაზ, ანუ ძემან ჩვენმან მეფე ირაკლიმ და ყოველთა საქართველოთაგან ანუ მთავარმა ქენებითა ანუ რომლითამე მიზეზითა ესე აღთქმული შეცვალ-ლოთ და კუალად წმიდისა და ერთარსისა სამებისასა და ყო-ველთა მემობართა თანა დაიწესების ცხოვრება ჩვენი და წმი-დათა დიდთა მსოფლიოთა კრებათაგან ხვებულად შეჩვენები-თამც აღვიხოცებით¹.

აქვე უნდა ითქვას, რომ ფიცის ქვეშ დადებული ეს პი-რობა ერეკლე II-მ თავისი მამის გარდაცვალებისთანავე (1762 წლის იანვარი) დაარღვია. მისი მოწვევით, 1763 წლის 20 მარტს ანტონი საქართველოში დაბრუნდა და კა-თოლიკოს-პატრიარქის უფლებებშიც აღდგა².

ქართლის ტახტისმადიებელთა შორის იყო ასევე მეფე იესეს ძე, უფლისწულ თეიმურაზის (იგივე ანტონ I-ის) უფ-როსი ნახევარძმა, მხევლისაგან ნაშობი არჩილ ბატონიშვილი (გამაჰმადიანების შემდეგ – აბდულა-ბეგი). მას ცოლად ჰყავ-და ერეკლე I-ის მხევლისაგან ნაშობი ასული, თეიმურაზ II-ის ნახევარი და – ქეთევანი. სპარსეთის ხელისუფლებამ აბ-დულა-ბეგი სხვადასხვა დროს დანიშნა: ჯერ გორის, შემდეგ კი თბილისის ნაიბად ანუ გამგებლად (1735 წ.), ხოლო 40-იანი წლების დამდეგს – თბილისში მჯდომი სპარსელი ხა-ნის მრჩეველად. 1744 წელს მას საუფლისწულო მამულად ქვემო ქართლი გადასცეს. მან გააფართოვა და გააძლიერა სამშვილდის მიუვალი ციხე-სიმაგრე.

¹ მ. ქავთარია. XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზ-როვნების ისტორიიდან, გვ. 17-18.

² ს. ავალიანი. ანტონ პირველი (ბაგრატიონი), გვ. 33-35; 75-76.

1747 წელს, როდესაც ნადირ-შაჰის ბრძანების შესაბამისად, თეიმურაზ II ისპაჰანს გაემგზავრა, მან ქართლის მმართველობა გადასცა თავის ძეს – კახეთის მეფე ერეკლე II-ს, ხოლო მის დამხმარედ აბდულა-ბეგი დანიშნა. ამ უკანასკნელმა გამეფება მოინდომა და ერეკლე II-ს დაუპირისპირდა. აბდულა-ბეგის მოკავშირენი იყვნენ: დაღესტნელი ბეგადები, ბორჩალოს სულთანი, მომთაბარე ელების ტომი, თბილისის ციხე-სიმაგრეში მდგარი ყიზილბაშთა გარნიზონი, ნადირ-შაჰის პოლიტიკით უკმაყოფილო ყიზილბაში სარდლები და სპარსეთის ტახტის ერთ-ერთი მადიებელი, რომელმაც აბდულა-ბეგს „ქართლის ვალის“ (ანუ გუბერნატორის) ტიტულიც უბოძა. ყოველივე ამის გამო, მის საბოლოოდ დასამარცხებლად ერეკლე II-ს ერთწლიანი ბრძოლის წარმოება დასჭირდა¹.

ქართლის სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად ისწრაფვოდა ასევე მეფე იესეს ძე, აბდულა-ბეგის უმცროსი ძმა, მაჰმადიანი ბატონიშვილი – ისაყ-ბეგი, რომელიც XVIII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში ქართლის ნაიბი ანუ გამგებელი იყო. 1742 წელს არაგვის საერისთავოში მომხდარი გლეხთა აჯანყებისას, მან იქ გაბატონება სცადა, მაგრამ თეიმურაზ II-მ მისი განდევნა მოახერხა. 1744 წლიდან ისაყ-ბეგი იყო ქართლის ჯანიშინი ანუ მეფისნაცვალი, თუმცა თავისი ძმის – აბდულა-ბეგის მხარდაჭერისათვის, იგი მალევე გადააყენეს.

¹ მ. დუმბაძე. ქართლ-კახეთის განთავისუფლება ირანის ბატონობისაგან. წიგნში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 607-608; დ. მეგრელაძე. აბდულა-ბეგი (არჩილი). ენციკლოპედია „საქართველო“. ტ. I. თბ. 1997, გვ. 26.

1750 წელს ისაყ-ბეგი ქრისტიანულად მონათლა და ალექსანდრედ იწოდა. მან ქვემო ქართლში საუფლისწულო მამული მიიღო. 1759 წლიდან იგი რუსეთში გადასახლდა¹.

აქვე დავსძენთ, რომ ამ ალექსანდრეს შვილიშვილი იყო სახელგანთქმული მხედართმთავარი, ინფანტერიის გენერალი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი (1765-1812).

აბდულა-ბეგის (იგივე არჩილის) ვაჟი – დავითი უშუალოდ მონაწილეობდა ვახტანგ VI-ის ვაჟის – უფლისწულ პაატას შეთქმულებაში, რომელიც 1765 წელს გამჟღავნდა², მაგრამ ეს საკითხი უკვე სცილდება ჩვენი წინამდებარე გამოკვლევის ქრონოლოგიურ ჩარჩოს.

ამრიგად, XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ქართლის შტოს წარმომადგენლები, კერძოდ, მეფე იესეს შთამომავლები აქტიურად ცდილობდნენ მათი ლეგიტიმურად კუთვნილი სამეფო ტახტის დაბრუნებას. ამ მიზნით, მათი ნაწილი ვარაუდობდა როგორც შინაური ძალების, ასევე გარეშე ძალთა (რუსეთის, სპარსეთის, ასევე ჩრდილოკავკასიელი მთიელების) გამოყენებას.

დამოწმებანი:

¹ სამართალი ბატონისშვილის დავითისა. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, თბ. 1964, გვ. 218-219.

² ნ. ჯავახიშვილი. ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 2005, გვ. 139-142.

¹ ლ. ტუსაშვილი. რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ. 1983, გვ. 100.

² ნ. ჯავახიშვილი. 1765 წლის შეთქმულების მონაწილეთა იდენტიფიკაციისათვის. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“. ტ. VII. თბ. 2013.

³ მ. ღუმბაძე. ქართლ-კახეთის განთავისუფლება ირანის ბატონობისაგან. წიგნში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 608.

⁴ ნ. ჯავახიშვილი. აფშართა დინასტიის წარმომადგენლებზე ქართველთა ქორწინებების ისტორიიდან. წელიწადული „საისტორიო კრებული“. ტ. I. თბ. 2011, გვ. 75-82.

⁵ მ. ქავთარია. XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. თბ. 1977, გვ. 15.

⁶ ს. ავალიანი. ანტონ პირველი (ბაგრატიონი). თბ. 1987, გვ. 12-17; 33.

⁷ მ. ქავთარია. XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, გვ. 17-18.

⁸ ს. ავალიანი. ანტონ პირველი (ბაგრატიონი), გვ. 33-35; 75-76.

⁹ მ. ღუმბაძე. ქართლ-კახეთის განთავისუფლება ირანის ბატონობისაგან. წიგნში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“. ტ. IV. თბ. 1973, გვ. 607-608; დ. მეგრელაძე. აბდულაბეგი (არჩილი). ენციკლოპედია „საქართველო“. ტ. I. თბ. 1997, გვ. 26.

¹⁰ ლ. ტუხაშვილი. რუსეთი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ. 1983, გვ. 100.

¹¹ ნ. ჯავახიშვილი. 1765 წლის შეთქმულების მონაწილეთა იდენტიფიკაციისათვის. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“. ტ. VII. თბ. 2013.

Niko Javakhishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**KING IASE DESCENDANT'S FIGHT FOR GETTING
BACK THE ROYAL THRONE
(30-40 YEARS OF THE XVIII CENTURY)
RESUME**

The presented research studies the Bagrations dynasty's certain branches descendant's one stage of the half centennial fight for Kartalinia (Kartli) royal throne, specifically, king Iase's (died in 1727) descendant's fight for getting back Kartli royal throne, which is one of the less studied event of the 30-40 years of the XVIII century's Georgian history.

It is established, that for the legitimate getting back their royal throne part of the king Iase's decedents presupposed using as the inter forces, also the outsider (Russians, Persians, North Caucasian mountaineers) forces.

**ხელოვანის აბრისის განსხვავებული რაკურსი მიხეილ
ჯავახიშვილის ჩანაწერებში**

მე-20 საუკუნის ერთ-ერთ დიდ მწერალს, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს, მიხეილ ჯავახიშვილს, საბჭოთა იდეოლოგიის ზეწოლასთან წინააღმდეგობა სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მას არ შეეძლო შეკვეთით წერა, ბოლშევიკურ მსოფლმხედველობასთან შერიგება, ვერ ღალატობდა იმ ნიშანსვეტს, რომელიც ემსახურებოდა ეროვნული მეობის დაცვას. მან არჩია სიმართლის მაძიებლობა, გამოიჩინა დიდი გაბედულება და გასცა პასუხი ყველა ტკივილიან საკითხს. ბრიტანელი ლიტერატურათმცოდნე დონალდ რეიფილდი მიხეილ ჯავახიშვილის თხრობის სტილს და მორალურ შემართებას ადარებს სტენდალის, მოპასანისა და ემილ ზოლას თვისებებს. მისი აზრით, მსგავსი საერთაშორისო აღიარების დონის მიღწევა ქართულ პროზაში მხოლოდ კონსტანტინე გამსახურდიას შეეძლო.

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებითი სამყაროს გასაცნობად საინტერესოა მისი ჩანაწერები, რომელთაც მიზანმართულად ქმნიდა: „დღეში ათიოდე აზრს, ნახულს და გაგონილს ვიწერ უბის წიგნაკში“. მწერლის დაპატარების შემდეგ ჩეკისტები მის სახლს ჩხრეკდნენ. იატაკზე მოფენილიყო უამრავი ფურცელი. მიხეილ ჯავახიშვილის ქალიშვილს უთხოვია, რომ ძირს დაყრილ ხელნაწერებს აბაზანაში გაი-

ტანდა, რათა მოძრაობა გაადვილებოდათ. ასე გადაურჩა განადგურებას მწერლის სულიერი ბიოგრაფიის არაერთი მნიშვნელოვანი ჩანაწერი. ბოლშევიკური ძალადობის სიმწვავე მთელ ქვეყანას მოსდებოდა. მწერლობა წინააღმდეგობაში მოექცა. აიძულებდნენ რეჟიმის მორჩილებას. თავის ტკივილიან განწყობას მიხეილ ჯავახიშვილი ჩანაწერებში აღნიშნავდა: „მე, მწერალი, დღეს სასაფლაოზე ვცხოვრობ. ირგვლივ ვაება და კაემანია. მეუბნებიან, გმირული რამ დაწერეო. თუ სხვებთან ერთად ვიგლოვე, ჩამირახუნებენ, თუ ავტლიკინდისირცხვილით დავიწვები“¹ მწერლის აზრით, მის თანამედროვე ქართულ ლიტერატურას ერთი თემა ჰქონდა. ეს იყო „მაღალი, ღრმა და ძლიერი „ქართლის ბედი“. ამიტომაც ჩაინიშნავს უბის წიგნაკში: „მე ვშიშობ საქართველოს მომავლის შიშით და მეშინია ჩემივე შიშის“.²

მიხეილ ჯავახიშვილმა კარგად დაინახა, რომ ოქტომბრის რევოლუციამ მხოლოდ შენიღბა ერთ დროს სასტიკი რუსული კოლონიალიზმის სახე. მოხდა იმპერიის განახლება, რომელიც საფრთხეს უქმნიდა საქართველოსაც. მას არ შეეძლო სიკეთე მოეტანა ჩვენი ერისთვის, კულტურისთვის, ტრადიციისთვის. „სოციალიზმი სულის ჭლექია, გამოფიტულ გონებას შეეპარება, ჩაბლუჯავს, დაიმორჩილებს, გამოხრავს და მოჰკლავს,“³ ასე მკაცრად შეაფასებს ჯავახიშვილი თავის ჩანაწერებში სოციალიზმის სენს. მწერალი ხშირად ირონიასაც არ იშურებს კომუნისტებზე საუბრისას: „ღმერთმა შვიდ დღეში შექმნა ქვეყანა, კომუნისტების რწმენით კი ერთ დღე-

¹ ქ. ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, თბ., 1991, გვ. 208.

² მიხეილ ჯავახიშვილი, ჩანაწერები უბის წიგნაკიდან, თბ., 2011, ინტელექტი, გვ. 122

³ მიხეილ ჯავახიშვილი, ჩანაწერები უბის წიგნაკიდან, თბ., 2011, ინტელექტი, გვ. 304.

ში შეიქმნა - 25 ოქტომბერს.“¹ რევოლუციის საინტერესო შეფასებას გვაძლევს ნიკოლოზ ბერდიაევიც: „რევოლუციონიზმი, რომელიც წყვეტს დროთა კავშირს, შლის წარსულის ხსოვნას, იგი ღრმად ანტიეროვნულია. რევოლუციური ინტერნაციონალიზმი არის სწორედ სიკვდილის თანმიმდევრული რელიგია, უარყოფა უზრუნველობისა“ („ერი და კაცობრიობა“)²

თავისუფალი აზროვნებისთვის იდეენებოდნენ მწერლები. სურდათ მათი იდეოლოგიურ ჩარჩოებში მოქცევა. მიხეილ ჯავახიშვილი ვერ გახდებოდა ხელისუფალთა მეხოტბე. ხშირად უსამართლოდ საყვედურობდნენ. აბრალებდნენ თანამედროვეობასთან დაშორებას, ეპოქის არცოდნას, საბჭოთა საზოგადოების სინამდვილის დამახინჯებას, კონტრევოლუციონერობას. ძნელი იყო ასეთ პირობებში მუშაობა. ამიტომაც წუხდა დიდი შემოქმედი: „ქართული კალამი ძალიან ჰგავს გოლგოთურ ჯვარს, რომელსაც ხელით ვატარებთ.“³ მიხეილ ჯავახიშვილი ხედავდა საზოგადოების ზნეობის რღვევას, ეროვნული ფასეულობების შელახვას, რელიგიური განწყობის შეურაცხყოფას, რევოლუციის მეხოტბეთა ამორალობას. მწერლობა ყოველივე ამას გვერდს ვერ აუვლიდა, მართალი სიტყვა უნდა თქმულიყო. ეს ევალებოდათ კიდევ, მათი მისია იყო. ჩანაწერებში თამამად ამხელს არსებულ ვითარებას: „ზნეობა დაიღუპა. აღდგენა ზნეობისა - აი უდიდესი მოვა-

¹ მიხეილ ჯავახიშვილი, ჩანაწერები უბის წიგნაკიდან, თბ., 2011, ინტელექტი, გვ. 293.

² რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუციაზე, თბ., 1994, გვ. 18.

³ იქვე, გვ. 104.

ლეობა ქართული მწერლობისა. ჩვენს მეტი ამაზე აღარავინ იზრუნებს.“¹

მიხეილ ჯავახიშვილი სიმართლის „გასასტიკებული მადიებლობით“ ილიას იდეების გამგრძელებელია. სამწუხაროდ, სიცოცხლის დასასრულიც მისნაირი ერგო. „ბნელ ღამეს მამადავითის სასაფლაოზე ავედი. ლანდი მომეველინა. ილია ჭავჭავაძე გაცოცხლებულიყო. წამომყვა. საქართველო დავატარე. ყველაფერი ნახა. მესაუბრა. ვეღარ გაუძლო-ვიღუპებითო და ისევ საფლაოში ჩავიდა.“² ილია ჭავჭავაძემ დიდი ადგილი ეკავა მწერლის ცხოვრებაში. ალბათ, ამიტომაც ინახავდა სათუთად ილიას გულიდან ამოდებულ ტყვიას, რომელიც მისთვის დავით კობიაშვილს გადაუცია საჩუქრად. ესეც სიმბოლოურია, რომ ორი წელი მიხეილ ჯავახიშვილის მაგიდის სამუშაო უჯრაში ინახებოდა დიდი ილიას გულის შემჩერებული ტყვია. მწერალი თითქოს წინასწარმეტყველებდა თავისი აღსასრულის მოახლოებასაც. ამიტომაც ჩაუწერია უბის წიგნაკში: „ზოგჯერ მგონია, თითქოს ჩემს დასაფლავებას ვესწრები მეთქი.“³

მიხეილ ჯავახიშვილმა ვერ შეძლო ეროვნული ფესვებისთვის ღალატი. ასი წლის წინათაც კი მომხდარს ეპოქალური თვალსაზრისით უდგებოდა. მის სულში წარსული და აწმყო ერთად ცოცხლობდა. 1932 წელს, 52 წლის მწერალი თავის მოწინააღმდეგეებს მოახსენებს; „მე დატვირთული ვარ ძველი კულტურით, რომელიც ხუნდებივით მადევს და მისი

¹ იქვე, გვ. 292.

² მიხეილ ჯავახიშვილი, ჩანაწერები უბის წიგნაკიდან, თბ., 2011, ინტელექტი, გვ. 40.

³ იქვე, გვ. 101

დამსხვრევა არც იმდენად ადვილი საქმეა და, შესაძლებელია, არც იმდენად სასარგებლო იყოს ჩემთვის.¹

1925 წლით დათარიღებულ უბის წიგნაკის ჩანაწერებში კკითხულობთ: „მწერალო! ერთი ხელი წარსულს გაუწოდე, მეორე მყობადს ჩასჭიდე. არც ერთი არ გაუშვა, თორემ დაილუპები-მეთქი.“² ერთგვარ შემოქმედებით მოწოდებად ჟღერს მიხეილ ჯავახიშვილის ეს სიტყვები. მის მწერლურ მრწამსს შეეძლო შეუმცდარად განეჭვრიტა როგორც თანამედროვეობა, ასევე დაენახა მომავლის სურათი. ბოლშევიკურ იდეოლოგიას ქვეყანა უკვე გაეპარტახებინა: „საქართველო დაემგვანა მუნიან (ქეციან) მშიერ ძაღლს. სიყვარული მოკვდა და მძუნობა გამეფდა. შვილებს ჰყიდდნენ“.³ მწერალი მტკივნეულად განიცდიდა ილიასეული სამი სიმდიდრიდან არა მართო მამულის, ენისა და სარწმუნოების დაკნინებასაც, ენის დავიწყება ერის სიკვდილს მოასწავებდა. ენა ხომ უპირველესი ნიშანი იყო ეროვნულობისა. ამიტომაც უნდოდა ჯერ კიდევ მეფის რუსეთს მისი აღმოფხვრა ქართველთა ცნობიერებიდან. არც საბჭოთა რუსეთი გამოირჩეოდა გულთბილობით ქართული ენის მიმართ. კვლავ საფრთხე დაემუქრა ჩვენს უძველეს ენას. ეს ტკივილიც არ დარჩა ყურადღების გარეშე დიდ მწერალს. ჩანაწერებს კიდევ ერთი სევდა შეემატა: „ქართული ენის სული გაჰქრა და მისი ალაგი რუსულმა დაიჭირა. დარჩა მხოლოდ გარსი-ქარ. სიტყვები. ჩვენი ენის გარუსების საქმის სამი მეოთხედი უკვე შესრულებულია“.⁴

¹ კრებული „ლეღვარი“, თბ., 2005, „ლიტერატურული მატრიანე“
გვ. 109

² იქვე, გვ. 107

³ იქვე, გვ. 329

⁴ მიხეილ ჯავახიშვილი, ჩანაწერები უბის წიგნაკიდან, თბ., 2011,
გვ. 255

„ეკლესიებისკენ მიმავალი გზები ჯერ გაბილიკდნენ, მერე აბალახდნენ“, - 1925 წელს ჩაწერილი ეს ერთი წინადადება უღმერთოდ დარჩენილ ქვეყნას ხატავს. უფლის მრწამსის გარეშე ადამიანთა არსებობა მაღლს კარგავს. მათ შინაგან მე-ს აღარც სიკეთე აქვს და აღარც სულიერება. საუკუნეთა მანძილზე ლოცვას მიჩვეულ ერს ტაძრისკენ მიმავალ ბილიკებზე სიარული აეკრძალა, აიძულეს თავსმოხვეული იდეებით ეცხოვრა. აკაკი ბაქრაძე „მწერლობის მოთვინიერებაში“ წერს: „კომპარტიამ დაამკვიდრა ინტელექტუალური ექსპლოატაცია. როცა ადამიანს აიძულებენ ის ილაპარაკოს და წეროს, რაც მას არ სწამს და არ სჯერა, ეს არის შემზარავი ინტელექტუალური ექსპლოატაცია. თუ ანტიკურ ეპოქაში არსებობდა სოციალური მონობის ინსტიტუტი, სოციალიზმის დროს შეიქმნა ინტელექტუალური მონობის ინსტიტუტი.“¹ ქართველ მწერლებს დიდი გამბედაობა და სიმამაცე უნდა ჰქონებოდათ, რომ თავი დაეღწიათ მონობის ასეთი უღლისთვის. ბევრი ბოლშევიკებთან თანამშრომლობასაც დასთანხმდა, ბევრმაც ხელისუფლების სისასტიკე იწვინა. მიხეილ ჯავახიშვილი ასე შეაფასებს იმ წლებს: „ქართველი მწერლის სახელი უუძიმესი ტვირთია“.² ამ სიტყვების თქმიდან ათი წლის შემდეგ კი თავის უბის წიგნაკს გაუმხელს: „ძალის ბედი სჯობია ქართველი მწერლის ბედს.“³

„ბალზაკმა თქვა: საზოგადოება მიკარნახებს, მე კი მისი მდივანი ვარო. მე კი საქართველო მიკარნახებს და მეც მისი მონა ვარ“,⁴ - ასე შეაფასა მიხეილ ჯავახიშვილმა თავისი დამოკიდებულება სამშობლოსთან. მიუხედავად იმისა, რომ მე-

¹ აკაკი ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, თბ., 1990, გვ. 68

² იქვე, გვ., 94

³ იქვე, გვ., 305

⁴ იქვე, გვ., 252

ტად მძიმე პერიოდში მოუწია მოღვაწეობამ, მას არ უღალატია საკუთარი პრინციპებისთვის, ის ვერ გახადეს მართული, მის ამაყ სულს მხოლოდ მამულის უღელი ადგა. უერთგულა ქართულ სიტყვასაც და ერის ღირებულებებსაც, წამებით გვირგვინდამშვენებულმა შეაბიჯა მარადისობაში. ჯერ კიდევ 1926 წელს დაუწერია თავისი ეპიტაფია: „აქ მარხია მიხ. ჯავახიშვილის ფერფლი, მეტი არაფერი“.¹ ალბათ, ესეც მისი წინასწარმეტყველება იყო.

დამოწმებანი:

1. მიხეილ ჯავახიშვილი, უბის წიგნაკის ჩანაწერები, თბ., 2011, „ინტელექტი“.
2. ქ. ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, თბ., 1991.
3. რუსი ფილოსოფოსები დემოკრატისა და რევოლუციისაზე, თბ., 1994.
4. აკაკი ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, თბ., 1990.
5. კრებული „ლეღვარი“, თბ., 2005, „ლიტერატურული მატრიანე“.

Maia Geliashvili

Sokhumi State University

DIFFERENT ATTITUDE OF ARTIST ABRISI IN THE RECORDS OF MIKHEIL JAVAKHISHVILI RESUME

It became the price of life the opposition against the soviet ideology for one of the great Georgian writer of XX century, visual public active person, Mikheil Javakhishvili. He

¹ იქვე, გვ., 148

could not write by order, reconciliation with Bolshevik world outlook, he did not betrayed the National ideals. Often he managed to make it important his illness through the allegorical form. It is important as the artistic creation of the writer, so the records, that were created aimed. He mentioned his thoughts, seen and heard in the booklet of bosom. It is unique maternal in which it is reflected deep individual thinking of the great writer, his attitude towards contemporarity. „Georgian pen is alike to Golgotian cross, which we carry by hand”-he wrote in the booklet of bosom in 1925. Mikheil Javakhishvili compared the writher with Christ, going onto Golgota mountain.

In the booklet of bosom it is mentioned great interest of the writer towards the freedom problem of country, the feeling of the happened social-political cataclysm, fortune of people, who „fed with others ideas and lived only through imitation.”

The records of Mikheil Javakhishvili are very good means to understand the world outlook and creation aims of the writer better.

ქართული დრამატურგიისა და თეატრის სათავეებთან

ქართული დრამატურგიის ისტორიას ჯერ კიდევ „ირაკლის თეატრთან“ აკავშირებენ თეატრმცოდნენი, სადაც ორიგინალური თუ თარგმნილ-გადმოკეთებული იდგმებოდა პიესები, ალ. ორბელიანის ცნობით, იდგმებოდა თელავსა და ტფილისში.¹ ამ დროის რეპერტუარიდან ცნობილია ა. ს. სუმაროკოვის (1718-1777) კომედიები: „რქის მატარებელი“ („Рогоносец“), „დედა რაყიფი ქალისა“ (Мать, совместница дочери), „საჩხუბარი“ („Пустая ссора“) გ. ავალიშვილის მიერ თარგმნილი ორიგინალური პიესები: „მეფე თეიმურაზი“, „უბნობა მკვდართა“ (მხ. აბრამიშვილი). თუმცა ეს მხოლოდ ერთგვარი „შესავალი“ იყო ორიგინალური თუ თარგმნილი დრამატურგიისა ქართული თეატრისათვის.

XIX საუკუნის დასაწყისში ფართოდება ქართველი მაცურებლის თვალსაწიერი. თვით ის ფაქტიც, რომ ევროპული დრამა ენის (რუსული, ფრანგული) ცოდნის წყალობით შემოდის ქართულ კულტურულ სივრცეში, მეტყველებს იმ დრამატურგიულ პრინციპების დაცვისაკენ სწრაფვაზეც, რასაც შემდგომად ეყრება საფუძველი გიორგი ერისთავის თეატრის სახით. გარდა ამისა, თვით რეალური სამყარო იძლევა მისი ასახვის აუცილებლობასაც: ბატონყმობა თუ გლეხობა

¹ აბრამიშვილი მხ. „ძველი ქართული თეატრი“, ქუთაისი, 1925, გვ. 31.

მისი გადავარდნის შემდეგ, თავადაზნაურთა ყოფა, ბრძოლა ტრადიციასა და ახალს შორის, სავახშო თუ სავაჭრო კაპიტალის განვითარება, ადამიანის პიროვნული თვისებების ადაპტაცია ანექსირებულ ქვეყანაში და ა.შ.

ეს პროცესები ნელ-ნელა აისახება 1840-1850-იან წლების ქართულ დრამატურგიაში. მაგრამ ამაზე უწინ ჩნდება ე.წ. წასაკითხი (ასე ვუწოდეთ არადასადგმელად განკუთვნილ პიესებს, ალ. ორბელიანის დრამების მინაწერებიდან გამომდინარე – თ.გ.), ისტორიული თუ სოციალური დრამები (ალ. ორბელიანის პიესები), თუმცა სანახაობის წყურვილი მომავალ დრამატურგსაც და მყურებელსაც უბიძგებს თეატრისაკენ. როგორც თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე აღნიშნავს „ქართული თეატრის ისტორიაში“ (ტ. I), „დრამატურგიულ სფეროში გაკეთდა: გ. ფირალიშვილმა გადააკეთა პიესად „ვეფხისტყაოსანი“, ასევე ტრაგედიად გადააკეთა პოემა ო. ბატონიშვილმა, გ. ერისთავმა გაასცენიურა „ვეფხისტყაოსანი“, მანვე 1838 წელს დაწერა კომედია „შემლილი“, 1840 წელს დაწერა კომედია „დავა“. ო. წერეთელმა დაწერა კომედია „ქორწილი იმერეთის თავადისა“. 1846 წელს ა. ორბელიანმა დაწერა „ბატონიშვილი ირაკლის პირველი დრო“, დაიწერა „სამსახეობა რაინდისა“ (თეიმურაზ ბატონიშვილისა – თ.გ.). ითარგმნა რასინის ტრაგედიები „ესთერი“, „ფედრა“, „ალზირა“, ოზეროვის „ელიპი“, ბრავეს ტრაგედია „ტრაგედია ათეისტისა“, პ. კარატიგინის „ნაცნობი უცნობი“, ლაიზევიცის ტრაგედია „იულიუს ტარანტელი“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ და სხვები.

ასე რომ, ქართულ თეატრს რეპერტუარებისათვის 20-22 პიესა ჰქონდა, მაგრამ მეტი ნაწილი პიესებისა არ დადგმულა.¹

როგორც ცნობილია, გიორგი ერისთავი თეატრსაც და ჟურნალსაც ეთიკურ-დიდაქტიკურ ამოცანას უსახავდა: ზნეობის გაწმენდა, საზოგადოების მორალური ამაღლება მისი ძირითადი მიზანი იყო... ანალოგიურ თვალსაზრისს გამოხატავს „ცისკრის“ მე-4 ნომერში დაბეჭდილი (1852 წ.) „კნიაზ მამიკონის ლექსი „ტეატრი“. ავტორი აქებს „ივერთა მხარის მზრუნველს“ (მ. ვორონცოვს), რომელმაც ქართული თეატრიც დაარსა.

„პირველად ვიტყვი რა არის ტეატრის წარმოდგენანი, მისს ყოველს სარგებლობასა ვერ მოსთქვამს კაცთა ენანი,

...

წარმოდგენანი გვაჩვენებს, რაცა გვჭირს ცუდი ზნეობა, ბეზღობა, ქრთამის აღება, ავაზაკათთვის მსრეობა...“²

ქართული თეატრის მნიშვნელობის საკითხზე თავისი აზრი არაერთგზის გამოუთქვამს „ცისკრის“ რედაქტორს ივანე კერესელიძეს. ხოლო ზ. ანტონოვის პიესის „მზის დაბნელება საქართველოში“ (1870 წ.) წარმოდგენის შემდეგ საზეიმო საღამოზე მას გამოუკვეთია სამი საჭირო და აუცილებელი რამ ადამიანის განათლებისათვის. „...პირველი განათლების მიზეზი არის ჰსწავლა, რომლის საფუძველი არის სასწავლებელი, მეორე – კაცის გონების განათლებისათვის არის ჟურნალი ანუ გაზეთი, ხოლო მესამე – თეატრი. ეს ორნი უკანასკნელნი დიდს, ბევრს აძლევენ კაცის გონებაა, რომელს

¹ კიკნაძე ვ., ქართული დრამატული თეატრის ისტორია, ტ. I, „საარი“, თბ., 2003, გვ. 93.

² კალანდაძე ა., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, „განათლება“, თბილისი, 1977, გვ. 379.

ქვეყანაშიც ეს უკანასკნელი ორი საგანი განათლების არ არსებობს, იქ ხალხის სიცოცხლე მკვდარია“.¹

სწორედ ამ პერიოდში ჯერ ხიდისთავში, შემდეგ გორში გ. ერისთავი თავის თანამოაზრეებთან, ურთულეს პირობებში, აყალიბებს ჯერ დასს, შემდგომ იწყებს რეპეტიციებს...

სწორედ გიორგი ერისთავის თანამოაზრეთა შორისაა დიმიტრი კონსტანტინეს ძე მელვინეთხუციშვილი (1815-1878) ისტორიკოსი, მწერალი, დრამატურგი, რომელიც 1851 წელს გ. ერისთავის თეატრში ასრულებდა რეჟისორის ფუნქციასაც: „ბრძანებისამებრ ნამესტნიკისა ახლა მე ვწერ ქართულს პიესებს და ვასწავლი წარმოდგენას ჩვენს ახალი აკტიორებს და აკტრისებს“.² დ. მელვინეთხუციშვილს ეკუთვნის პიესები: „ექიმბაში“, „უბედური მთარშიყე“, „კატა აწონა“, „გამოუცდელობა ანუ განშორება საყვარელთან“. ეს უკანასკნელი, როგორც ს. ხუციშვილი აღნიშნავს³ გამოქვეყნებულ წერილში, გორში უნდა დადგმულიყო 1845 წელს.

დ. მელვინეთხუციშვილის ღვაწლის, მისი შემოქმედების სრული შესწავლა საუკუნენახევრის მანძილზე ნაკლებად მომხდარა (ე. ქავთარაძე), მკვლევართათვის მის არიქვში ჩაღრმავება და პროფესიული ანალიზი კვლავაც გრძელდება. მკვლევარი ე. ქავთარაძე თავის წერილებში „დიმიტრი მელვინეთხუციშვილის დრამატული მოღვაწეობიდან“⁴, დიმიტრი

¹ კალანდაძე ა. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია II, „განათლება“, თბილისი, 1984, გვ. 580.

² კიკნაძე ვ., ქართული დრამატული თეატრის ისტორია, ტ. I, გვ. 724.

³ იხ: გაზეთ „ლიტერატურასა და ხელოვნების“ 1950 წლის 21 მაისის №21.

⁴ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, 1969 წ. №4.

მელვინეთხუცესიშვილის პიესა „ანჩხლი ცოლი“¹, ყურადღებას ამახვილებს მის დრამატურგიაზე ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან. განსაკუთრებით საინტერესოა ის პიესები, რომელთა ხელნაწერებსაც მკვლევარი ე. ქავთარაძე იცნობს, ესენია: დ. მელვინეთხუცესიშვილის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული „გამოუცდელია ანუ დროებით განშორება საყვარელთან“², რომლის მეორე ხელნაწერი დაცულია ლენინგრადის აღმოსავლეთნაცონების ინსტიტუტში, მ. ბროსეს არქივში, (მას იხსენიებენ ს. ხუციშვილი, რ. საყვარელიძე, ა. გაჩეჩილაძე შ. ხანთაძე, და, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ი. ალიმბარაშვილი). „ჩაჩნების ჩვეულება“³, რომელიც „ავტორს უნდა დაეწეროს 1846 წელს“⁴, და „ანჩხლი ცოლი“⁵ „ვიჭაკი“⁶. წინამდებარე სტატიაში ჩვენ მხოლოდ მის ერთ პიესაზე („ექიმბაში“) ვამახვილებთ ყურადღებას. რაც შეეხება დანარჩენ პიესებს, ისინი ჯერ ჟურნალ „დროებასა“ და „კრებულში“ იბეჭდებოდა („კატა აწონა“ - გაზეთ „დროებაში“ 1869 წლის №39, „უბედური მოარშიყე“ - „დროების“ 1870 წლის №9-ში)⁷, შემდეგ კი გამოდიოდა ცალკე წიგნად. მაგ.: „კატა აწონა“ - 1880 წელს.

¹ საქართველოს თეატრალური საზოგადოების „მოამბე“ 1974 წ. №4 (180).

² ხეც, დ. მელვინეთხუცესიშვილის არქივი №45.

³ ხეც დ. მელვ. არქივი, №48ა.

⁴ გამოქვეყნებულია „ცისკარში“ 1859 წელს №8-ში, „მხედარისა და ზინეიდას“ სახელწოდებით.

⁵ ხეც H2549, დ. მელვ. არქივი №43.

⁶ გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ 1869 წლის №10 ხელმოუწერლად.

⁷ კიკნაძე ვ., ქართული დრამატული თეატრის ისტორია, ტ. I, გვ. 371.

როგორც ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევარი ალ. კიკნაძე აღნიშნავს, დ. მეღვინეთხუციშვილის პიესები თავის დროზე საკმაოდ გახმაურებული ყოფილა, მაგრამ რამდენად მნიშვნელოვანია მათი ადგილი ქართული თეატრის ისტორიაში, ამაზე თეატრმცოდნენი სიღრმისეულად არ წერენ, რისი მიზეზიც, ვფიქრობთ, შემდგომი უნდა მდგომარეობდეს: დ. მეღვინეთხუციშვილის პიესებმა ვერ გაიკაფეს გზა სცენისაკენ ისეთი სიხშირით, როგორც თვით გიორგი ერისთავისა და ზურაბ ანტონოვის კომედიებმა, ამ ავტორების და გ. ერისთავის, თუ შემდგომ ივ. კერესელიძის თეატრებში, ისინი დაიჩრდილა ერთგვარად, 1854-1878 წლებში კი პროფესიული თეატრი უკვე აღარ არსებობდა. გარდა ამისა ის მწვავე კოლიზიები, რომლებიც დამახასიათებელი იყო წინამორბედი ავტორებისათვის, დ. მეღვინეთხუციშვილის კომედიებში ნაკლებადაა. თუმცა არ უნდა გამოირიცხოს ის გარემოება, რომ მან თავისთავადი როლი ითამაშა როგორც ორიგინალური ქართული დრამატურგიის განვითარებაში, ისე თეატრის რეპერტუარის მრავალფეროვნებაში.

პიესა „ექიმბაში“ დაწერილი უნდა იყოს 1876 წლამდე. 1876 წელს იგი ცალკე წიგნად გამოდის. როგორც „ქართული წიგნის“ (ტ. I) ფურცლებზე ვკითხულობთ: „ექიმბაში“ კომედია წარმოადგენს ძველსა და ახალ დროებას ორს მოქმედებაში¹, იგი დაბეჭდილია თფილისში, ექვთიმე ხელაძის სტამბაში და ამჟამად ბიბლიოგრაფიული იმპიათობას წარმოადგენს.

წინამორბედ თუ მის თანამედროვე დრამატურგთა ნაწარმოებებში, ძირითადად, ოთხ ან ხუთმოქმედებად ვითარდება სიუჟეტი, არის ორ და ერთმოქმედებიანი პიესებიც (გ. ერის-

¹ „ქართული წიგნი“, ტ. I, „წიგნის პალატა“, თბილისი, 1941, გვ. 128.

თავი), მაგრამ „ექიმბაში“ დიმიტრი მეღვინეთხუციშვილისა, ორმოქმედებიანია (პირველ მოქმედებაში 5 გამოსვლაა, მეორეში – 3). გამოყენებულია ტრადიციული პერსონაჟთა შემომატების აღნიშვნა (მაგ.: „იგინივე და ექიმბაში“), აღწერა სცენისა და ინტერიერისა, ჩაცმულობის აღწერა და სხვ.

ერთი შეხედვით „ექიმბაშის“ სიუჟეტი ემყარება „ძალად ექიმის“ მოარულ ამბავს, მაგრამ ამ პიესაში ექიმბაში უფრო სატირული პერსონაჟია, უცხოტომელი (ირანიდან, ისპაჰანიდან), რომელსაც გადაუწყვეტია თვალთმაქცობით ვითომდა განკურნოს ავადმყოფები. იგი იყენებს ტექნიკურ საშუალებასაც (მიკროსკოპს, რაღაც სითხეებს, დაყენებულს შაქრიან სიროფზე და სხვ.). ექიმბაშის ჩაცმულობაც სპარსულია, შესალოც სიტყვებს ამბობს საკუთარ ენაზე, იყენებს დამახინჯებულ ქალაქურ გამოთქმებს, არის მატყუარა, ბილწი და მშიშარაც, რაც განსაკუთრებით შეინიშნება მისი გამოაშკარავების შემდეგ. მოლა ბაირამოლლი ჰქვია ექიმბაშს და, თუმცა ორი ოჯახი (დიდგვარაძეებისა და ბარამოვებისა) მასზე ამყარებენ დიდ იმედებს, ავადმყოფთა განსაკურნებლად და ძველებური მკურნალობის მეთოდების უპირატესობის დასამტკიცებლად თანამედროვე ექიმების საპირისპიროდ, ბოლოს თავადი დიდგვარაძე გამოიკითხავს ექიმბაშის ასავალ-დასავალს და ააშკარავებს მას თავისი ნათესავების, თინათინისა და სოფიკოს წინაშე.

პიესის მთავარი კომპოზიციური ღერძი, თუმცა ექიმბაშის გარშემო ტრიალებს, მაინც ახალი და ძველი ღრობების დაპირისპირების მიზანს ექვემდებარება. დურმიშხან დიდგვარაძეს სწყინს, რომ აღარაა ძველებური ყოფა და ჩაცმა-ქცევის კულტურა. მას აღიზიანებს სოფიკოს ვითომდამოდური კაბა გრძელი კუდით, მისი ფეხსაცმელების ბაკიბუკი და სხვ.

მაგრამ ამავე დროს უარყოფს ექიმბაშს, იმედი კი, მოსულელო შვილის განკურნებისა, ეკარგება.

ძირითადი კოლიზია პიესაში არაა გამოკვეთილი, უბრალოდ იგრძნობა ღურმიშხან ღიდგვარადის რეპლიკებში მისი გულისტკივილი, სხვა პერსონაჟთა სახეები კი საკმაოდ სქემატურია. პიესის კომიკური კვანძი სადღაც იკარგება თითქოს.

ღურმიშხანის პერსონაჟი ანტიპოდურია მისი ცოლის დისშვილის სოფიკოსი და სწორედ ისინი განასახიერებენ ძველ და ახალ დროებას XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ღიდგვაროვან მებატონეთა ყოფის ფონზე. ღურმიშხანის სახლი ფსევდოაღმოსავლურ სტილშია მორთული, სოფიკოს მამის, მელენტი ფილიპიჩ ბარანოვისა – ევროპულად.

ღურმიშხანის გულისწუხილიც ეხება ღირსეული მემკვიდრის, გვარის გამგრძელებლის, არარსებობას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის მოსულელო შვილს მიხაკოს. მიხაკოს პერსონაჟი რამდენადმე მოგვაგონებს მეტიროფანუშკას ფონვიზინის ცნობილი კომედიიდან „უმწიფარა“, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ დ. მელენეთხუციშვილს თავისი პერსონაჟი განუვითარებელი, მოსულელო გამოჰყავს, მიტროფანუშკა კი შედარებით მაღლა დგას მასზე. მას აზროვნება და საკუთარი სურვილების გამოხატვა შეუძლია. მიხაკოს კი ესეც არ ძალუძს, უბრალოდ ავადმყოფი ახალგაზრდაა, რომლისთვისაც შესაფერისი მკურნალი ვერ უპოვიათ ვერც განათლებულ ექიმებსა და ვერც შარლატან ექიმბაშებს შორის.

რაც შეეხება სოფიკოს, ეს პერსონაჟი ავტორს უფრო გამოკვეთილი აქსესუარებით წარმოუდგენია: „შემოვა სოფიკო თავდახურული ლეჩაქ-თავსაკრავით, კაბა აცვია ქართულად,

წინ გაწყობილი გულის პირით, უკან გრძელს ბოლოს ათრევს, წელამდე ნაოჭებ ასხმულს და წელთან უშნოთ პარკივით რაღაცა აქვს გაკეთებული, მხიარულის სახით მოდის, და უკრამს თავს ფეხების ფრატუნით“.¹ ღურმიშხანის მეუღლის ქეთევანის პირით, ასეთი ქალები არ გამოდგებიან ოჯახში: „ეხლანდელი ზოგიერთი ქალები სულ მოდას მისდევენ, სხვაზე არაზედ ზრუნავენ მხოლოდ მოდაზედ იყოს ჩაცმული გრძელი კაბის კუდით ფარშევანგევით, რომელიც ქართულ კაბას სრულებით ამახინჯებს, მაგრამ, რადგან ევროპიის მოდა არის, უთუოთ დიდი ღირსება უნდა ჰქონდეს. ტყუილად კი არ არის ნათქვამი „წამწყმიდა წახედულებააო“.² ანდაზები, აფორიზმები და ნაწყვეტები ქართველი პოეტების (აღლ. ჭავჭავაძე) ლექსებიდან ჩართულია ალაგ-ალაგ პიესაში.

მაგ.: ექიმბაში მღერის დამახინჯებით:

„აქიმო თუ გაქვს ამალი, იარი იარალი,
სცადე ეს ჩემი ცამალი, თარი იარალი,
რა სენი უმქურნალია, იარი იარალი,
ღვინოა მისი ცამალი, თარი იარალი“.³

ეს ნაწყვეტია აღლ. ჭავჭავაძის ლექსიდან „მუსამბაზი ლათაიური“ ანუ „ლოთური სიმღერა“. პიესის ავტორმა სწორედ ყოფილი ლოთის, შარლტანი ექიმბაშის პირით გამოუტანა სამედიცინო დასკვნა თავის ავადმყოფებს: მკურნალობა მხოლოდ ღვინით.

თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძის აზრით, „გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის პიესები კომედიებია, მაგრამ სოციალ-პო-

¹ მელვინეთუხუციშვილი დ., „ექიმბაში“, კომედია წარმოადგენს ძველსა და ახალს დროებას, ექვთიმე ხელაძის სტამბა, თფილისი, 1876, გვ. 6

² მელვინეთუხუციშვილი დ., „ექიმბაში“, გვ. 6

³ მელვინეთუხუციშვილი დ., „ექიმბაში“, გვ. 29.

ლიტიკური და ეკონომიკური ფონი, რომელშიც ისინი იქმნებოდნენ არსებითად დრამატული იყო¹. ეს შეიძლება ითქვას ამ ხაზის მიმდევარი ქართველი დრამატურგის მიმართ, რომელშიც ტრაგედია კომიკური საღებავებითაა გადმოცემული. როგორც მინიშნებს ვ. კიკნაძე, ს. ახმეტელისეულ მიგნებაზე, რომ „ქართული მწერლობისა და თეატრისათვის ყველაზე ბუნებრივი ფორმა ტრაგიკომედიაა“ და ამ ფორმას „დრამა-კომედიას“ უწოდებსო. თუმცა, სულ ახლახანს, „ექიმბაში“ „ქართული ვოდევილის“ I ტომში შეიტანეს.

თავად პიესის მაცურებლისათვის, თუკი ის დაიდგებოდა „ეს არის თამაშის თეატრი დრამატურგიითაც, მსახიობთა ანსამბლის ხასიათითაც და დადგმის მხრივაც. მართებულად შენიშნავს კ. ანდრონიკაშვილი: „ეს იყო პირველყოვლისა თამაში, კომედიური წარმოდგენა. მთავარი ამ კომედიებში არის სადღესასწაულო ატმოსფეროს შენარჩუნება, მხოლოდ თამაში და გულიანი სიცილი“. იგი შეესაბამებოდა მაცურებლის მოთხოვნილებას, გართობისა და თამაშისადმი გაზრდილ ინტერესს, მაგრამ ამასთანვე „თამაშის“ ეს წესი იყო დაცინვა არა მხოლოდ ახლად გამოჩენილი სავაზმო კაპიტალიზმის ელემენტებისა ბურჟუაზიის განვითარების, არამედ „თავადაზნაურობისაც, რომელმაც ალღო ვერ აუღო დროს“.²

იგივე ითქმის დ. მელვინეთუხუციშვილის დრამატურგიის მიმართაც განზოგადებული სახით. თეატრი იყო მნიშვნელოვანი სარბიელი ფართო საზოგადოებისათვის და ამ მიზ-

¹კიკნაძე ვ., „ქართული დრამატული თეატრის ისტორია“, ტ. I, გვ. 130.

² კიკნაძე ვ., „ქართული დრამატული თეატრის ისტორია“, ტ. I, გვ. 131.

ნით ისტორიკოსი, მეცნიერი ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს მამულიშვილურ საქმეში.

დასკვნისათვის შეიძლება ითქვას:

1. აუცილებელია დაზუსტდეს, კიდევ სადაა დაცული ინფორმაცია დ. მეღვინეთხუციშვილის პიესის „გამოუცდებლობა ანუ დროებით განშორება საყვარელთან“ პირველი წარმოდგენის შესახებ გორში, სცენისმოყვარეთა წრეში;

2. შესწავლილი იქნეს მისი ყველა პიესა, ჟანრი თუ ადგილი ქართული დრამატურგიის განვითარებაში.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ქართული ორიგინალური დრამატურგიისა და თეატრის განვითარების სათავეების კვლევის საქმეს.

დამოწმებანი:

დ. მეღვინეთხუციშვილი 1876: მეღვინეთხუციშვილი დ., „ექიმბაში“, კომედია წარმოადგენს ძველსა და ახალს დროებას, ექვთიმე ხელაძის სტამბა, თფილისი, 1876;

ვ. კიკნაძე I 2003: კიკნაძე ვ., „ქართული დრამატული თეატრის ისტორია“, ტ. I, „საარი“, თბ., 2003;

„ქართული წიგნი“ I 1941: „ქართული წიგნი“, ტ. I, „წიგნის პალატა“, თბილისი, 1941;

მიხ. აბრამიშვილი 1925: აბრამიშვილი მიხ. „ძველი ქართული თეატრი“, ქუთაისი, 1925;

ა. კალანდაძე 1977: კალანდაძე ა., „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“, „განათლება“, თბილისი, 1977;

ა. კალანდაძე 1984: კალანდაძე ა. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია II, „განათლება“, თბილისი, 1984;

ქავთარაძე ე. „ღიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის დრამატული მოღვაწეობიდან“, საქ. მეცნ. აკად. „მაცნე“, 1969, №4;

ქავთარაძე ე. „ღიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის პიესა „ანჩხლი ცოლი“, საქართველოს თეატრალური საზოგადოების „მოამბე“, №4, (180), ივლ.-აგვ.

Tamar Gogoladze
Gori State Teaching University
**AT THE ORIGINS OF GEORGIAN DRAMATIC
COMPOSITION AND THEATER
RESUME**

At the beginning of the XIX century, Georgian audience's interest to the theatrical performances is expanding. The fact itself that the European drama comes into the Georgian cultural area by means of knowledge of languages (Russian, French), demonstrates the necessity of defending the dramatic principles that afterwards becomes the foundation of George Eristavi theater.

Dimitri Meghvinetkhutsishvili (1815-1878), a historian, writer and playwright, was among the supporters of Giorgi Eristavi. The plays: "A Witch Doctor", "An Unhappy Lady's Man", "A Cat was Weighed" belong to him. The play by Dimitri Meghvinetkhutsishvili "A Witch Doctor" is discussed in the presented article.

ლია კარიჭაშვილი
შოთა რუსთაველის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი

დავით კარიჭაშვილის სამეცნიერო ღვაწლი
(ზოგიერთი ასპექტი)

საუკუნეთა განმავლობაში თავმოყრილი ქართული წერილობითი კულტურა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მეცნიერული კვლევის ის უაღრესად საინტერესო სფეროა, რომელიც უნდა გამოვლინდეს, შეფასდეს და განისაზღვროს, როგორც ერის სულიერების ერთ-ერთი ძირითადი პარამეტრი და მსოფლიო კულტურის მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე თაობა თითქოს ერთგვარად დაიწრდილა ისეთი დიდი სახელების გვერდით, როგორებიცაა: ილია, აკაკი, ვაჟა..., სამეცნიერო ასპარეზზე — კორნელი კეკელიძე, ივანე ჯავახიშვილი და სხვანი, მაგრამ სწორედ ამ თაობამ შექმნა ფუნდამენტი საქართველოს ისტორიისა და მწერლობის მეცნიერული კვლევისა. გარდა ამისა, სწორედ მათ შორის მოიძებნება უანგარო სამსახურისა და ჯანსაღი საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაჩინო მაგალითები. ამ თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი, ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, პუბლიცისტი და რედაქტორ-გამომცემელი დავით კარიჭაშვილი.

დავით კარიჭაშვილის პიროვნებას, მის როლსა და მნიშვნელობას XIX-XX საუკუნეთა მიჯნის საზოგადოებრივ

ცხოვრებაში კარგად წარმოაჩენს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ისტორია. ათწლეულების განმავლობაში იგი იყო ამ საზოგადოებათა ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

დავით კარიჭაშვილი დაიბადა 1862 წელს გორის რაიონის (მაშინდელი მაზრის) სოფელ ხიდისთავში.

დავითის მამა — გიორგი, სასულიერო პირი იყო. იგი ხიდისთავის ეკლესიაში მსახურობდა და, როგორც ნაკითხი და გულისხმიერი ადამიანი, თანასოფლელთა სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა.

გიორგი მეუღლესთან — ეკატერინესთან — ერთად ხუთ შვილს ზრდიდა. ორ ვაჟს (დავითი, ნიკოლოზი) და სამ ასულს (მელანო, ანა, სოფიო).

დავითი 1869 წელს შეიყვანეს გორის სასულიერო სასწავლებელში. ელისაბედ ერისთავს ასეთი დაამახსოვრდა იგი: „სხვათა შორის იყო ერთი ყმაწვილი, თოთხმეტი-თხუთმეტი წლის, ფერმქრალი, გაწყობილი სახე, დიდი შავი თვალები, ჭკვიანი გამოძეგველებისა, მუდამ წიგნებით ხელში და სასწავლებლიდან რომ დაბრუნდებოდა და ისევ ბაღში ხეს ქვეშ ვნახავდით მკითხავსა. ეს იყო დავით კარიჭაშვილი. ჩვენ პატარები დიდი პატივისცემით ვეპყრობოდით“. 1876 წელს ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში.

1880 წელს დავით კარიჭაშვილმა სასულიერო სემინარია დაამთავრა და სწავლის გაგრძელების მიზნით პეტერბურგს გაემგზავრა. იმავე წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1883 წელს ქართველ სტუდენტთა პატარა ჯგუფმა საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტა. მათ შორის იყო დავითიც, რომელიც ჯერ შვეიცარიაში, ჟენევის უნივერსიტეტში ისმენდა ლექცი-

ებს (1883-84), შემდეგ პარიზის უნივერსიტეტში გადაინაცვლა და იქ 1886 წლამდე დაჰყო.

დავით კარიჭაშვილს ოთხი შვილი ჰყავდა: ვაჟი — დავითი, და ქალები: ქეთევანი, ეკატერინე და ელენე.

დავით კარიჭაშვილი გარდაიცვალა 1927 წლის 26 ივლისს. მწერალთა კავშირის თაოსნობით იგი სათანადო პატივით დაკრძალეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დავითის შეხედულებანი რიგ ლიტერატურულ საკითხებზე გამოვლინდა ცალკეული ნაშრომების, წერილებისა და ამა თუ იმ წიგნზე დაწერილი რეცენზიის სახით. მკვლევარი ცდილობდა ჩასწვდომოდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის სიღრმეებს და სადავო საკითხებზე თავისი აზრი გამოეთქვა.

1910 და 1914 წლებში გამოიცა წიგნი „ხუცური ანბანი“, შედგენილი დავით კარიჭაშვილის მიერ. ანბანთან ერთად გამოქვეყნდა ძველი ქართული ლიტერატურის ძველი „წამება ცხრათა ყრმათა კოლაელთა“, წერილები: „ქართული ქორონიკონი“ და „ქართული ანბანის წარმოება და განვითარება“. ამ უკანასკნელში მეცნიერმა მიმოიხილა ქართული ანბანის ასომთავრული, ნუსხური და მხედრული სახეობები, მათი განვითარების ისტორია და ურთიერთმიმართება. დავითი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც გაიზიარა და, თავის მხრივ, შეეცადა დაესაბუთებინა გარდჭაუზენის შეხედულება ქართული დამწერლობის ბერძნულიდან წარმოშობის შესახებ. მის მიერ გამოცემული „ხუცური ანბანი“, როგორც ერთადერთი პრაქტიკული სახელმძღვანელო, დიდ დახმარებას უწევდა სტუდენტებს პალეოგრაფიაში.

დავით კარიჭაშვილისთვის ცხადი იყო ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლთა მოძიების და შესწავლის აუცილებლობა.

იგი დიდი ინტერესით გამოეხმაურა და მაღალი შეფასება მისცა ალექსანდრე ცაგარლის წიგნს „Сведения о памятниках грузинской письменности“.

დავით კარიჭაშვილმა სარეცენზიო წერილში ალექსანდრე ცაგარლის წიგნში წარმოდგენილ ძეგლთა კვალობაზე, ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული წარწერების დროიდან (V საუკუნე) უკანასკნელ დრომდე, ეტაპობრივად მიმოიხილა ქართული მწერლობის განვითარების ისტორია. მისი აყვავებისა და დაქვეითების პერიოდები, ისაუბრა ასურელ მამათა მოღვაწეობის მნიშვნელობაზე; საქართველოში და საქართველოს გარეთ არსებულ სამწერლო კერებზე; ორიგინალურ და ნათარგმნ ძეგლებზე; შეეხო საისტორიო მწერლობის, ფილოსოფიის, გრამატიკის, მედიცინისა და სხვა მეცნიერებათა განვითარების საკითხებსაც. წერილის დასასრულ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ქართული მწერლობის ეს ძეგლები ჯერ კიდევ შეუსწავლელია და ძველი ქართული ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევართ წინ დიდი სამუშაო ელით.

დავითი საგანგებოდ სწავლობდა წიგნის ისტორიას, აგრეთვე ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიას, ამ უკანასკნელი საკითხისადმი მიძღვნილ ნაშრომში მეცნიერმა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მიმოიხილა XVII-XVIII საუკუნეების რომში, რუსეთსა და საქართველოში გამოცემული წიგნები. ნაშრომს ერთვის 1629-1817 წლებში დაბეჭდილი წიგნების სია. ეს ნაშრომი არის პირველი ცდა ქართული წიგნის ბეჭდვის სისტემატური ისტორიის შედგენისა.

ამ ნაშრომში დავით კარიჭაშვილმა გამოთქვა თავისი შეხედულება ნიკიფორე ირბახის ვინაობის შესახებ: ნიკიფორე იყო იერუსალიმის ერთ-ერთი მონასტრის ბერი, ეროვნებით ბერძენი, რომელიც საქართველოში 1624 წელს ჩამოსულა. თეიმურაზ მეფეს იგი დაუახლოვებია და ჯვარის მამობა, ე.ი. საქართველოში არსებული იერუსალიმის მონასტერთა მამულების განმგებლობა მიუცია. შემდეგ, როგორც ჭკვიანი და მოხერხებული პიროვნება, სხვადასხვა ქვეყანაში ელჩადაც წარუგზავნია.

იგივე აზრი დავით კარიჭაშვილმა გამოთქვა უფრო ადრე, ამ საკითხისადმი მიძღვნილ მოხსენებაში, რომელიც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე წაიკითხა 1925 წლის 24 იანვარს.¹ მისმა თვალსაზრისმა დიდი დაინტერესება გამოიწვია. იმავე სხდომის ოქმიდან ჩანს, რომ ივანე ჯავახიშვილმა დამაჯერებლად მიიჩნია დავით კარიჭაშვილის ვერსია ნიკიფორე ირბახის ვინაობის თაობაზე და აღნიშნა, რომ ისტორიკოსებს არ შეუძლიათ ამ ვერსიას ანგარიში არ გაუწიონ. „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის“ ერთ-ერთი რეცენზენტი პავლე გუგუშვილი წერდა: „დავით კარიჭაშვილმა საკმაოდ შეარყია აქამდე გაბატონებული აზრი ნიკიფორე ირბახის ქართველობის შესახებ“.² ხოლო მეორე რეცენზენტი ქრისტეფორე რაჭველიშვილი, რომელიც ასევე მაღალ შეფასებას აძლევდა დავით კარიჭაშვილის ნაშრომს, აღნიშნავდა, რომ „ავტორის კვლევაში ფრიად საინტერესო

¹ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებათა ოქმები, კრებ. „ძველი საქართველო“, ტ. I, 1909.

² გუგუშვილი პ., [რეცენზია: დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, XVII და XVIII საუკუნეები, ტფ. 1929], „მნათობი“, 1929, №5-6, გვ. 243.

და დამაჯერებელია მისი მოსაზრება რომში დაბეჭდილი პირველი ქართული წიგნის ავტორის შესახებ“.¹

1935 წელს გამოქვეყნდა კორნელი კეკელიძის გამოკვლევა „ნიკიფორე ირბახი“, რომელშიც ავტორმა ნიკიფორე ირბახის ქართველობის ვერსიას გადაჭრით დაუჭირა მხარი.

უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებულ სტატიაში „ქართული წიგნის სათავეებთან, ნიკიფორე ირბახი და ქართული წიგნი“. ნიკიფორე დასახელებულია „ომაინიანის“ („კეფხისტყაოსნის“ გაგრძელების) ავტორის ქაინოსრო ჩოლოყაშვილის ძმად.

თავდაპირველად დავით კარიჭაშვილი ფიქრობდა, რომ ჯერ დაიბეჭდა „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, მხოლოდ ამის შემდეგ დაიბეჭდა ქართულ-იტალიური ლექსიკონი (მკვლევრის აზრით, ამ დროს ნიკიფორე წამოსულია რომიდან და ამით აიხსნება ლექსიკონში გაპარული უამრავი შინაარსობრივი და კორექტურული შეცდომა).² ეს შეხედულება დავით კარიჭაშვილს შეცდომად ჩაუთვალეს. ამის შემდეგ მან აზრი შეიცვალა და „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში“ რომში დაბეჭდილ პირველ წიგნად ქართულ-იტალიური ლექსიკონი დასახელა. დღეისათვის გარკვეულია, რომ ქართულ-იტალიურ ლექსიკონს წინ უსწრებდა „ქართული ანბანის“ გამოცემა. „პირველი, როგორც საცდელი გამოცემა, იყო „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“.³

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხთა შორის, რომელთაც დავით კარიჭაშვილი საგანგებოდ იკვლევ-

¹ რაჭველიშვილი ქ., [რეცენზია: დავით კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, ტფ. 1929], „ქართული მწერლობა“, 1929, №3, გვ. 117-118.

² დ. კარიჭაშვილი, როდის დაიბეჭდა პირველად ქართული წიგნი, „წიგნის მეგობარი“, 1925, №1-2, გვ. 39.

³ კვაჭანტირაძე ფ., ქართული წიგნის სათავეებთან, ნიკიფორე ირბახი და ქართული წიგნი, „ქართული წიგნი“, 2001, №3, მარტი, გვ. 11.

და, საყურადღებოა „კალმასობის“ ანუ ხუმარსწავლად წოდებული ქართული ენციკლოპედიის ავტორობის საკითხი, რომელზეც XIX საუკუნის ბოლოს აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. მეცნიერთა აზრი თხზულების ავტორად იონა ხელაშვილის აღიარებისკენ გადაინარა. დავით კარიჭაშვილმა ფილოლოგიური ძიების შედეგად დაამტკიცა, რომ „კალმასობის“ ავტორი იონა ბატონიშვილია.

დავით კარიჭაშვილმა იონა ბატონიშვილის სხვა წიგნები „კალმასობას“ შეუდარა და აღმოჩნდა, რომ ნაშრომი „სხვათა და სხვათა სწავლათა შეკრებილებანი“ არის სწორედ იმ თხზულების ზოგან შემოკლებული, ზოგან მთლიანად გადმოღებული ტექსტი. მეორე ნაშრომი „ქართული ღრამატიკა“ ასევე ძალიან ჰგავს „კალმასობაში“ მოქცეულ გრამატიკას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველი დაწერილია იონა ხელაშვილის თხოვნით და შეიცავს პასუხებს მის მრავალ კითხვაზე. იგივე ტექსტი უფრო გამარტივებული ჩანს „კალმასობაში“. დავით კარიჭაშვილმა შეისწავლა ორივე მწიგნობრის ენა, სტილი, წერის მანერა და თავისებურებანი და ამ შედარების საფუძველზეც თხზულების ავტორად იონა ბატონიშვილი სცნო.

მოგვიანებით აღმოჩენილმა იონა ხელაშვილის წერილმა დავითის თვალსაზრისი სავსებით დაადასტურა. „თორმეტი წელიწადია ჰსწერს იონა ბატონიშვილი ჩემს სახელსა ზედა, ე.ი. მალაპარაკებს ყოველსავე სწავლას სულიერსა და ხორციელსა“, — სწერდა იონა ხელაშვილი ნათესავებს.¹

დავით კარიჭაშვილმა საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა არაერთ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხზე; ქართლის მატთანეში შემორჩენილ ზოგიერთ სახელსა თუ ისტორიულ

¹დ. კარიჭაშვილი. დამატებითი შენიშვნა წერილისათვის „ვინ არის კალმასობის ... „საქართველოს არქივი“, წ. II, 1927, გვ. 187.

პირზე, რომლის ვინაობის დადგენას საგანგებო მოკვლევა ესაჭიროებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მისი რამდენიმე წერილი: „ვინ იყო მობიდან ეპისკოპოსი“; „სუმბატის ქრონიკის ავტორი“; „ქართლის მატიანის წარმართი ღმერთები“.

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია დავით კარიჭაშვილის ნარკვევმა „ქართული მატიანის წარმართი ღმერთები“. მკვლევარმა მატიანეზე დაყრდნობით მიმოიხილა ქართველი ერის რელიგიური აზროვნების ისტორია, მეზობელი ქვეყნების სარწმუნოებათა გავლენები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მატიანეში ნახსენები წარმართული ღვთაებანი: არმაზი, ზადენი, გაცი და გაიმი — მაზდეანობის გავლენის შედეგად გაჩნდა საქართველოში. იმ გარემოებას, რომ მატიანეში ქართული, ეროვნული, წარმართული ღვთაებანი არ იხსენებიან (გარდა მწერლობაში ნახსენებ ღვთაება ბოჩისა), მკვლევარი ხსნის იმით, რომ მათ ებრძოდა ქრისტიანობა და ასევე მაზდეანობა, რომელიც IV-VI საუკუნეში ფეხმოკიდებული იყო საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობის გამო.

დავით ეხმაურებოდა ყველა იმ მნიშვნელოვან სიახლეს, რომლებიც ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კვლევაში იჩენდა თავს. იგი პატივისცემით იმსჯვალებოდა იმ მეცნიერთა მიმართ, რომელთათვისაც ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორია სერიოზული ძიებისა და ზრუნვის საგანი იყო. დავით კარიჭაშვილი სარეცენზიო წერილებით გამოეხმაურა IV და V ტომების გამოსვლას ნიკო მარის შრომისა „Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии“.

წერილის დასაწყისში დავით კარიჭაშვილი ნიკო მარის გამორჩეულ ერუდიციაზე წერდა: „სწორედ რომ ამისთანა

ცოდნის პატრონი უნდა იყვეს ის კაცი, რომელიც შეუდგება ქართულ-სომხურის ფილოლოგიის ძიება-გამოკვლევას.“

დავით კარიჭაშვილისთვის ასევე სამაგალითოა მარი ბროსეს გულმოდგინება და თავდადება. მისი ნარკვევით, „მარი ბროსე და მისი მოღვაწეობა“, მკითხველს საშუალება მიეცა თვალი გადაეეღო მარი ბროსეს რთული ცხოვრების გზისთვის. დაენახა მისი იშვიათი ნიჭიერება, დიდი ნებისყოფა და უაღრესად ფართო ინტერესები.

დავით კარიჭაშვილი იყო ერთ-ერთი პირველი შემფასებელი მისი უდიდესი თანამედროვის, ილია ჭავჭავაძის, ღვაწლისა. ჟურნალში „ე ჩაუცასე ილლუსტრე“, რომელსაც თბილისში ფრანგი ჟულ მურიე გამოსცემდა (1889-1892; 1899-1902), გამოქვეყნდა მისი წერილი „თავადი ილია ჭავჭავაძე“.¹ წერილში მოკლედ არის მიმოხილული ილიას მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობა და ასევე მრავალმხრივი ლიტერატურული შემოქმედება. ხაზგასმულია ის სასიკეთო ძვრები, რომელმაც ილია ჭავჭავაძის თავდაუზოგავი შრომის შედეგად იჩინა თავი ერის ცხოვრებაში.

ამ თემას დავით კარიჭაშვილი კვლავ დაუბრუნდა ილიას მკვლევლობის შემდეგ. მის არქივში დაცულია წერილი „ილია ჭავჭავაძე“, რომელშიც მკვლევარი უფრო ვრცლად საუბრობს მწერლის ბიოგრაფიაზე, მის მამულიშვილურ ღვაწლზე, შემოქმედებასა და ბოლოს, ტრაგიკულ აღსასრულზე.

დავით კარიჭაშვილის სწორ ალღოსა და გონიერებაზე მეტყველებს ის, რომ მან, ილია ჭავჭავაძის თანამედროვემ და თანამშრომელმა, მის სიცოცხლეშივე შეძლო მთელი მასშტაბით დაენახა და გაეაზრებინა ამ პიროვნების მოღვაწეობის მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში.

¹ დ. კარიჭაშვილი, თავადი ილია ჭავჭავაძე, *Le Caucase illustre*, 1899-1900, №2, გვ. 14-15

თვალსაჩინოა დავით კარიჭაშვილის, როგორც რუსთველოლოგის ღვაწლი. ქ.შ. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ორჯერ 1903 და 1920 წლებში გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“, რომლის რედაქტორობა დავითს მიანდო.

1903 წლის გამოცემა პოემის რიგით მე-19-ა, 1920 წლისა კი 24-ე.

ორივე გამოცემა იმეორებს პოემის მოკლე, ვახტანგისეულ რედაქციას და შეიცავს 1576 სტროფს. გამოცემებში ჩართულია სხვადასხვა მხატვრის მიერ შესრულებული შოთა რუსთაველის რამდენიმე სურათი. პოემის ტექსტი დასურათებულია მიხაი ზიჩის ნახატებით (21 სურათი). სტროფებს ახლავს ნუმერაცია.

პოემის 1860 წლის დავით ჩუბინაშვილისეული გამოცემის შემდეგ, 1903 წლის პუბლიკაცია არის პირველი მეცნიერული გამოცემა, რომელსაც ახლავს კომენტარები („შენიშვნები“), უძღვის ვრცელი წინასიტყვაობა და დართული აქვს ლექსიკონი.

1903 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში მოკლედ არის გადმოცემული პოემის შინაარსი, რომელსაც ტექსტის კრიტიკული ანალიზი მოსდევს. განხილულია პროლოგი, ეპილოგი და უშუალოდ პოემა.

ცნობილია, რომ რუსთველოლოგიაში სამი განსხვავებული დამოკიდებულება არსებობდა პოემის პროლოგისადმი. მკვლევართა უმცირესობა გადაჭრით უარყოფდა პროლოგის რუსთველისადმი კუთვნილების აზრს, ფიქრობდა, რომ პროლოგი აზრობრივად დაუკავშირებელ სტროფთა უსისტემო მთლიანობაა, დაწერილია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირთა მიერ და წარმოადგენს მათ შეხედულებებს პოემაში წამოჭრილ საკითხებსა და თვით რუსთველის ვინაობაზე.

დავით კარიჭაშვილის პოზიციას პროლოგ-ეპილოგის მიმართ, უარყოფითად ხვდებოდნენ. კრიტიკულად შეაფასა იგი ნიკო მარმაც, რომელსაც დავითი მადლიერებით იხსენიებდა, როგორც თანამდგომსა და მრჩეველს გამოცემების მომზადებისას. მიუხედავად ამისა, მის თვალსაზრისს მომხრეები ჰყავდა. ერთხანს მხარს უჭერდა კორნელი კეკელიძეც. იგი წერდა: „ყველაზე გაბედული და ჩვენის აზრით, საფუძვლიანი ნაბიჯი გადადგა დ. კარიჭაშვილმა, რომელმაც ეჭვი შეიტანა როგორც პროლოგის, ისე ეპილოგის ორიგინალობაში მთლიანად“.¹ მან დავით კარიჭაშვილის არგუმენტაციას თავის მხრივ დაუმატა, რომ პროლოგი თვით პოემას ეწინააღმდეგება, მაშასადამე, ის პოემის ავტორის მიერ დაწერილი არ უნდა იყოსო. მოგვიანებით კორნელი კეკელიძემ აზრი შეიცვალა და პროლოგის 21 სტროფი ძირეულად მიიჩნია.

პროლოგის არარუსთველურობის ვერსია დღეისათვის უარყოფილია, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ გარკვეული კითხვები მაინც არსებობს. უკანასკნელ ხანს მკვლევარი ალ. ჭინჭარაული გამოთქვამდა თვალსაზრისს, რომ პროლოგი არაავთენტიკურია და ინტერპოლაციად უნდა ჩაითვალოს.²

პოემის ორიგინალობა-წარმომავლობასთან დაკავშირებით გამოცემის წინასიტყვაობაში მიმოხილულია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული სამგვარი თვალსაზრისი: 1. „ვეფხისტყაოსანი“ ორიგინალური ქართული ნაწარმოებია; 2. ნათარგმნია სპარსულიდან; 3. ამბავი სპარსულია, მაგრამ მის საფუძველზე შექმნილია ორიგინალური თხზულება. რედაქტორი მესამე თვალსაზრისს უჭერდა მხარს. „უსაფუძვლოდ

¹ კეკელიძე კ., „ვეფხისტყაოსანი“, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1924, გვ. 89.

² ჭინჭარაული ალ. „ვეფხისტყაოსნის დასაწყისის ავტორის ვინაობისათვის“, ლიტერატურული საქართველო, 22. VII. 2005.

მიგვაჩნია აზრი, — წერდა იგი, — ვითომ „ვეფხისტყაოსანი“ იყვეს თარგმანი სპარსულითგან. ამის წინააღმდეგ დადებს ჯერ ერთი ის გარემოება, რომ სპარსულს ლიტერატურაში არ არის ცნობილი „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალის არსებობა, მეორედ, საკმარისია კაცი გულდადებით ჩაუკვირდეს ამ თხზულებას, რომ მასში ჰპოვოს წმინდა ქართული ნაწარმოები, ქართველის კაცის ხასიათები, საქართველოს ბუნების სურათები და თვით ქართული ენა, რომელსაც სრულე-ბით არ ადევს თარგმნილობის ელფერი“.

რაც შეეხება თხზულების ავტორის ვინაობის საკითხს, არც გადმოცემა შოთა რუსთაველის შესახებ და არც იერუსალიმის ჯვრის მონასტერში აღმოჩენილი პორტრეტი დავითს არ მიაჩნია მტკიცე და უდავო ფაქტებად პოემის ავტორად შოთა რუსთაველის აღიარებისთვის.

გაიოზ იმედაშვილის წიგნში „რუსთველოლოგიური ლიტერატურა 1712-1956 წლები“ შედის „ვეფხისტყაოსნის“ 1903 წლის გამოცემის ანოტაცია, რომელშიც მოწოდებულია ცნობა, რომ დავით კარიჭაშვილი გამოცემის წინასიტყვაობაში „ეხება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორობის საკითხს და დაასკვნის, რომ რუსთაველი არ არის პოემის ავტორი“.¹ ცნობა რამდენადმე კატეგორიულია და ზუსტად ვერ გადმოსცემს დავით კარიჭაშვილის მიერ გამოთქმულ აზრს. მკვლევარს არსად განუცხადებია, რომ რუსთაველი არ არის პოემის ავტორი. იგი ამბობს, რომ ეჭვმიუტანელი დოკუმენტი, ისტორიული საბუთი იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ნამდვილად ერქვა შოთა, არ არსებობს და ვეყრდნობით მხოლოდ გადმოცემებსა და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედელზე გამოსახული სურათის წარწერას.

¹ იმედაშვილი გ., რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1712-1956 წლები, თბ., 1957, გვ. 237.

პოემის დაწერის და ავტორის ცხოვრების დროსთან დაკავშირებით, ღვათ კარიჭაშვილის შეხედულება ტრადიციულია: პოეტი თამარ მეფის დროს ცხოვრობდა.

ღვათ კარიჭაშვილმა ყურადღება მიაქცია რუსთაველის ენის ერთ თავისებურებას, რასაც თვითონ „შემოკლებითი ზმნის განმეორება“ უწოდა (ეს თავისებურება პირველად შენიშნა ნიკო მარმა). პოემის გ. ქართველიშვილისეულ გამოცემაში არის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც შემოკლებული ზმნა წინა სიტყვისგან გამოყოფილია, მაგ: სტრ. 610 „დავაპირე შეტყვება, ვთქვი, — წავიდე მათკენ მე წა“.

ღვათ კარიჭაშვილის გამოცემაში ამგვარ ზმნათა გამოცალკეება უკვე სისტემურია.

ღვათმა ცალკე გამოყო აგრეთვე ზმნა „არის“ შეკვეცილი ფორმები, მაგ: სტრ. 103-ბ „უცხო ყმა ვინმე უნახავს, ასრე დაღრეჯით ა მითა“.

გამოცალკეებით დაიბეჭდა ასევე ისეთი ჩანართი მარცვალი ზმნისა, როგორცაა „რე“ სტრ. 449-დ: „მოვირჭმენ და მოვივლინე, რაცა მწაღდა, აგრე ვყავრე“ და სხვა.

აქვე შევნიშნავთ, რომ 1903 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით შალვა ბერიძემ გამოსცა პოემის იტალიური თარგმანი პროზად.

„ვეფხისტყაოსნის“ 1903 და 1920 წლების გამოცემები ძირითადად ერთნაირია. თუმცა 1920 წლის გამოცემას ერთვის არა მოკლე შინაარსი პოემისა, არამედ ვრცელი (გვ.ა.-ი). ცალკეა გამოყოფილი „მოკლე ცნობები „ვეფხისტყაოსნის“, მის დაწერის და დაწერის დროს შესახებ“ (გვ. კ — კა), აქ მოკლედ გადმოცემულია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული შეხედულებანი რუსთველოლოგიის ძირითად საკითხებზე. იმ დროს უკვე გახმაურებული იყო სარგის კაკაბაძის ვერსია, რომლის მიხედვით, „ვეფხისტყაოსანი“ დაახლო-

ებით XIV საუკუნეში დაიწერა. დავით კარიჭაშვილი ამ თვალსაზრისს არ იზიარებდა, მაგრამ მან (ობიექტურობის დაცვის მიზნით) საჭიროდ მიიჩნია ეს ახალი ვერსიაც აღენიშნა.

არაერთი ტაეპის დავით კარიჭაშვილისეული წაკითხვა ძირითად ვარიანტად იქცა პოემის შემდგომ გამოცემებში. „სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ კარიჭაშვილმა ეს მეტად რთული, პასუხსაგები, საშვილიშვილო საქმე დიდი გულმოდგინებით და სიყვარულით დაავიროგვინა“, — წერდა „ვეფხისტყაოსნის“ 1903 და 1920 წლების გამოცემების შესახებ ეთერ შარაშენიძე, რომელიც მაღალ შეფასებას აძლევდა დავით კარიჭაშვილის, როგორც რედაქტორ-გამომცემლის, მოღვაწეობას.¹

„ვეფხისტყაოსნის“ დავით კარიჭაშვილისეული გამოცემები განიხილა სოლომონ ყუბანეიშვილმა წიგნში „ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან“. აი, რას წერს იგი პოემის 1903 წლის გამოცემის შესახებ: „ვეფხისტყაოსნის“ დ. კარიჭაშვილისეული ეს გამოცემა თავისი დროის მეცნიერულ სიმალლეზე დგას და, ამ მხრივ, ის პირველ ადგილს იჭერს პოემის წინა (1867-1903) 14 გამოცემათა შორის“.

1913 წელს ჟურნალ „განათლებაში“ გამოქვეყნდა დავით კარიჭაშვილის წერილი „ვეფხისტყაოსნის შედგენილობა“. პოემის 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემისადმი 1913 წლიდან ორმა განსხვავებულმა დამოკიდებულებამ იჩინა თავი. მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნდა, რომ ვახტანგის რედაქცია კრიტიკულად დადგენილი ტექსტია. ეს საკითხი პირველად წამოჭრა სარგის კაკაბაძემ. მან გამოთქვა აზრი, რომ ვახტანგისეულ გამოცემაში პოემის ტექსტი ხელოვნურად არის შემოკლებული.

¹ შარაშენიძე ე., დავით კარიჭაშვილი, „ტექსტოლოგიის საკითხები“, II, 1971, გვ. 154.

დავით კარიჭაშვილი მიიჩნევდა, რომ პოემის ის ხელნაწერი, რომელიც ვახტანგ მეფემ დააბეჭდვინა, მის და თანამედროვე პირთა მიერ აღიარებული იყო საუკეთესოდ.

პავლე ინგოროყვა ასევე კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ პოემის ვახტანგისეული გამოცემა ძველი ხელნაწერის უცვლელი გამეორება იყო. იგი ეყრდნობოდა თითქმის იმავე არგუმენტებს, რომელთაც დავით კარიჭაშვილი წარმოადგენდა. მათ შორის ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი იყო ხელნაწერის №5006-ის დიდი მსგავსება ვახტანგისეულ გამოცემასთან.¹ იგივე აზრი გამოთქვა ვახტანგისეული დედნის შესახებ იუსტინე აბულაძემ.²

მოგვიანებით, სარგის ცაიშვილმა შეისწავლა ეს ხელნაწერი და გაარკვია, რომ „შ ფონდის 5006 ხელნაწერი წარმოადგენს ვახტანგ VI-ის გამოცემისა და მე-17 საუკუნის რომელიღაც ხელნაწერის პირს და გადაწერილია მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში და არა მე-17 საუკუნეში, კერძოდ, ვახტანგის გამოცემის უწინარეს, როგორც ეს ზემოდასახელებულ მკვლევართ მიაჩნიათ.

დავით კარიჭაშვილი მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ გამართულ საჯარო კამათში. აზრს გამოთქვამდა ამ თემისადმი მიძღვნილ მოხსენებებზე. ბუნებრივია, მისი ყველა შეხედულება ერთნაირად უდავო და მისაღები ვერ იქნებოდა, მაგრამ ბევრი მისი თვალსაზრისი ანგარიშგასაწევი იყო და არც დღეისთვის არის ინტერესმოკლებული. სამეცნიერო კვლევის იმ ეტაპზე კი პოემის 1903 და 1920 წლების გამოცემები უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო რუსთველოლოგიაში.

¹ ინგოროყვა პ., რას წარმოადგენს ვახტანგისეული დედანი, რუსთველიანა, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1963, გვ. 17.

² აბულაძე 1914: VI.

დავით კარიჭაშვილს ეკუთვნის არაერთი საინტერესო გამოკვლევა, რომლებიც მისმა პირადმა აქივმა ხელნაწერის სახით შემოინახა. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარს საგანგებოდ შეუსწავლია ძველი ქართული ლიტერატურის ისეთი თვალსაჩინო ძეგლი, როგორიც არის იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“. დავით კარიჭაშვილის ნარკვევი, „შუშანიკის წამება“, საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში ჩანს თხზულების განსხვავებული, შეიძლება ითქვას, ორიგინალური ხედვა იმ დროისათვის, როდესაც ძველ ქართულ თხზულებათა შესწავლის პირველ ეტაპზე სამეცნიერო ლიტერატურა არც ისე მდიდარია და წამყვანია კურსი, რომელსაც კორნელი კეკელიძე ავითარებს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კვლევაში.

დავით კარიჭაშვილი კი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ თხზულება, რა სახითაც მან ჩვენამდე მოაღწია, შეუძლებელია იყოს დედოფალ შუშანიკის თანამედროვე პირის, იაკობ ხუცესის ხელიდან გამოსული. მეცნიერის ეს თვალსაზრისი შემდეგ არგუმენტებს ეყრდნობა:

თხზულებაში დედოფალი მოიხსენიება, როგორც წმინდანი ან ნეტარი (ან ორივე ერთად);

პიროვნების წოდება ნეტარად და წმინდანად შეიძლება და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეკლესია მას წმინდანად სცნობდა.

მკვლევარი კრიტიკულად განიხილავს აგრეთვე თხზულებაში გადმოცემულ სადილობის ეპიზოდს, როდესაც განრისხებულმა შუშანიკმა თქვა: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“ „არავითარი საბუთი არ არის იმისი, — აცხადებს მკვლევარი, — რომ საქართველოში წესად არ ყოფილიყვეს ქალებისა და ვაჟების ერთად სადილობა. საქართველო ძველთაგანვე სპარსეთის

კულტურის ან პოლიტიკურის გავლენის ქვეშ იყო და რა წარმოსადგენია, რომ თუ სპარსთათვის ქალვაჟის ერთად სადილობა არ იყო ჩვეულების და წესის წინააღმდეგი, ასეთი ყოფილიყვეს ქართველებისთვის, ისიც დიდებულთა და მთავართა წრეში“. როგორც მკვლევარი ამბობს, აღნიშნული წესი საქართველოში შემოვიდა მოგვიანებით, არაბთა გავლენით... თხზულების ავტორს კი ტრადიციულ ქართულ ადათად მიუჩნევია იგი. ეს გარემოებაც იმ დასკვნის საფუძველია, რომ მწერალი წმ. შუშანიკის თანამედროვე არ არის.

დავით კარიჭაშვილს ურთიერთგამორიცხავად ეჩვენება შემდეგი ორი ცნობა თხზულებიდან: ციხეში გამოკეტილი დედოფლის ნახვა ყველას ეკრძალებოდა: „გეტყვი თქვენ, უკეთუ ვინმე შევიდოდეს მისა მამაკაცი, გინა დედაკაცი, იხილენით თავნი თქვენნი, ცოლნი და შვილნი და სახლნი თქვენნი, უბრალომცა ვარ, რად გიყო თქვენ“.

მკვლევრის აზრით, შუშანიკის სასწაულმოქმედებანი და ხალხის სიარული მასთან შესაწირავებით გვიანდელი მწერლის გამონაგონია. თქმულებანი დედოფლის სასწაულმოქმედებათა შესახებ და ტრადიცია მისი საფლავის თავყანისცემისა შუშანიკის გარდაცვალებიდან საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში უნდა ჩამოყალიბებულიყო. თხზულების ავტორი კი ამ ყველაფერს შუშანიკის სიცოცხლის დროს მიაწერს.

და ბოლო არგუმენტი, რომელსაც დავით კარიჭაშვილი თავისი შეხედულების დასამტკიცებლად მოიხმობს, ეს არის თხზულების დასკვნითი ნაწილი, რომელშიც ნათქვამია: „დღედ ხუთშაბათი იყო, რომელსა განვაწესეთ სახსენებელი წმიდისა შუშანიკისი სადიდებლად და საქებლად ღმრთისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა...“ ეს სტრიქონები მოწმობს, რომ „შუშანიკის წამება“ დაიწერა მას შემდეგ, რაც შუშანიკი წმინდანად შეირაცხა. თხზულების ავტორი მონაწი-

ლე ყოფილა შუშანიკის ხსენების დღის განწესებისა, რამდენადაც ეს ჩანს სიტყვიდან „განვაწესეთ“. დავით კარიჭაშვილი გამოირიცხავს, რომ შუშანიკი წმინდანად ელიარებინათ მისი გარდაცვალებიდან უახლოეს ხანში და რომ იაკობ ხუცესს მისი ხსენების დღის დაწესებაში მონაწილეობა მიეღოს, რადგანაც გარდაცვლილის წმინდანად აღიარებას გარკვეული დრო სჭირდება. უნდა შეიქმნას და გავრცელდეს ლეგენდები; შეიცვალოს წმინდანის თაობა. მკვლევრის აზრით, ეს ისე მალე არ მოხდებოდა, რომ იაკობ ხუცესი მოსწრებოდა.

დავით კარიჭაშვილის ღრმა რწმენით, თხზულებას საფუძვლად დაედო იაკობ ხუცესის ხელიდან გამოსული ისტორიული წერილი, რომელშიც ქართლის პიტიახშის, ვარსკენის, და მისი მეუღლის, დედოფალ შუშანიკის ამბავი იყო გადმოცემული. თხზულების ავტორმა გარკვეული ცვლილებები შეიტანა ამ წერილში. ზოგი რამ ჩაუმატა, ზოგიც გადააკეთა. იაკობ ხუცესის სახელი კი შეუნარჩუნა ალბათ იმიტომ, რომ თხზულება უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო და მეტი ნდობა მოეპოვებინა.

უნდა ითქვას, რომ „მერმინდელი მწერლისა“ თუ „გადამწერის“ ფაქტორს სამეცნიერო ლიტერატურა არ უარყოფს. ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ V საუკუნის ქართველი ავტორის (იაკობ ხუცესის) ენა შესაძლოა მერმინდელ მწერალთაგან განახლებული იყოს (ე.ი. მოხდა არა მექანიკური გადაწერა, არამედ ენობრივად განახლება ტექსტისა). კორნელი კეკელიძე მიიჩნევდა, რომ „იაკობის შრომა ერთ-ერთი უძველესი ძეგლია ქართული ორიგინალური მწერლობისა, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენამდე თხზულება შენახულია იმ სახით, რა სახითაც ის ავტორის ხელიდან გამოვიდა. მას ზოგიერთი ცვლილება განუცდია... ეჭვი არაა, თხზულებამ ენობრივად იცვალა სახე.

ყოველ შემთხვევაში, იმაში აღარ ჩანს კვალი „ხანმეტობისა“, რომელიც მეზუთე საუკუნის თხზულებისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო¹.

„გადამწერის“ კვალს ხედავდა პავლე ინგოროყვა ტექსტის იმ ადგილას, სადაც სიტყვა „სთულისად“ შეცვლილია „ოკლონბრად“. როგორც კორნელი კეკელიძე აღნიშნავდა, თვეების რომაული სახელწოდებანი საქართველოში VIII საუკუნემდე არ იხმარებოდა. მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოდით, რომ „გადამწერი“ ცხოვრობდა არაუადრეს VIII საუკუნისა.

გამოდის, რომ VIII საუკუნიდან (ან VIII-IX საუკუნეებში) ხდება გარკვეული ცვლილებანი იაკობ ხუცესის ხელიდან გამოსულ ტექსტში. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ეს არის გადაწერა-განახლება ენობრივი თვალსაზრისით (აღარ ჩანს კვალი ხანმეტობისა); მეორე ნაწილის აზრით, — განახლება-გადაკეთება სასწაულმოქმედებათა ჩართვით და ერთგვარი ტენდენციის შეტანით თხზულებაში. დავით კარიჭაშვილის ზემოგანხილული გამოკვლევა სწორედ ამ მეორე თვალსაზრისის დასაბუთების მცდელობაა.

როგორც ჩანს, დავით კარიჭაშვილს მიზნად ჰქონია XII-XVIII საუკუნეთა ქართული მწერლობის მოკლე მიმოხილვა გამოეკვეყნებინა. ამას მოწმობს მის არქივში შემონახული ხელნაწერი, რომელშიც მოთხრობილია XII-XVIII საუკუნეებში შექმნილი ზოგიერთი თხზულების შინაარსი და შეძლებისდაგვარად დართულია ავტორთა ბიოგრაფიები. აქვეა ანალიზი იმ ისტორიული ვითარებისა, რომელშიც ესა თუ ის თხზულება შეიქმნა.

ხელნაწერი ნაშრომი სრული სახის შთაბეჭდილებას არ ტოვებს (უფრო ერთგვარ მონახაზად შეიძლება ჩაითვალოს),

¹ კეკელიძე კ., იაკობ ცურტაველი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941, გვ. 113.

ზოგიერთი თარიღი თუ ინფორმაცია მცდარია, ბევრი რამ მხოლოდ მოგვიანებით გაირკვა და დაზუსტდა, მაგრამ ნაშრომი უდავოდ საინტერესოა, როგორც XII-XVIII საუკუნეთა ქართული მწერლობის ისტორიულ-ფილოლოგიური შეფასების ცდა. მით უფრო, რომ იგი დაიწერა XX საუკუნის დასაწყისში (1902), როდესაც ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ შეუსწავლელია და, ფაქტობრივად, არ არსებობს ზოგადი, სისტემური ხასიათის ნარკვევი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

დავით კარიჭაშვილს საგანგებოდ შეუსწავლია იონა ხელაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. მეცნიერის არქივმა შემოინახა იონა ხელაშვილის ბიოგრაფია (დაუსრულებელი) და მასალები ბიოგრაფიისთვის, რომელიც არაერთ საყურადღებო ცნობას შეიცავს.

დავით კარიჭაშვილის ზემოგანხილული გამოკვლევების დიდ შრომისმოყვარეობასა და მაღალ ერუდიციაზე მეტყველებს. „ეჭვი არ არის, რომ მას კიდევ არაერთი შეუსრულებელი განზრახვის ტკივილი წაჰყვა სამარეში“, — წერდა სიმონ ჯანაშია და იქვე დასძენდა: „ქართველ მკვლევართა კიდევ არაერთი თაობა მადლიერებით შეაჩერებს ყურადღებას ამ ადამიანის ცხოვრების გზაზე, როცა მის მიერ მოვლილი საგანძურის კარებს შეაღებს და როცა არაერთგზის მიმართავს იმ ხიდს, რომელიც დავით კარიჭაშვილის იდეურობითა და ერთგულებით გადებული არის ქართულ სიძველეთა შესწავლის დიდ სამყაროში ქაოსიდან სისტემისაკენ“.¹

¹ჯანაშია ს., დავით კარიჭაშვილი, შრომები, ტ. V, 1987, გვ. 369.

დამოწმებანი:

- [დეკანოზიძე] [რეცენზია: Г. Церетели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. I, 1886], „თეატრი“, 1888, №30, გვ. 2-7.
- Сванидзе 1934: С. Г. [Сванидзе Г.], Гаксова шкура, поэма Шота Руставели, Предисловие, "Новый мир", кн. 5-6, 1934.
- გუგუშვილი 1929: გუგუშვილი პ., [რეცენზია: დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, XVII და XVIII საუკუნეები, ტფ. 1929], „მნათობი“, 1929, №5-6.
- დავითაშვილი 1903: დავითაშვილი შ., [რეცენზია: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა (მეცხრამეტე), 4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით], „ივერია“, 9.X.1903, №215; 14.X.1903, №219; 15.X.1903, №220.
- დავითაშვილი 1903: დავითაშვილი შ., უბრალო შეცდომა და მწარე სიმათლე, ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის გამო, „ივერია“, 30.X.1903, №231.
- იმედაშვილი 1957: იმედაშვილი გ., რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1712-1956 წლები, თბ., 1957.
- ინგოროყვა 1963: ინგოროყვა პ., რას წარმოადგენს ვახტანგისეული დედანი, რუსთველიანა, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1963.
- კაკაბაძე 1913: კაკაბაძე ს., წერილი ვეფხისტყაოსნის შესახებ, შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, 1913.
- კარიჭაშვილი 1899-1900: თავადი ილია ჭავჭავაძე, Le Caucase illustre, 1899-1900, №2.

- კარიჭაშვილი 1902: მარი ბროსე და მისი მოღვაწეობა, „ცნობის ფურცელი“, 24. I. 1902, №1706.
- კარიჭაშვილი 1913: „ვეფხისტყაოსნის შედგენილობა“, „განათლება“, 1913, №6.
- კარიჭაშვილი 1925: როდის დაიბეჭდა პირველად ქართული წიგნი, „წიგნის მეგობარი“, 1925, №1-2.
- კარიჭაშვილი 1927: დამატებითი შენიშვნა წერილისათვის „ვინ არის კალმასობის ანუ ხუმარსწავლად წოდებული ქართული ენციკლოპედიის ავტორი?“, „საქართველოს არქივი“, წ. II, 1927.
- კარიჭაშვილი 1927: ვინ არის კალმასობის ანუ ხუმარსწავლად წოდებული ქართული ენციკლოპედიის ავტორი? „საქართველოს არქივი“, წ. II, 1927.
- კეკელიძე 1924: კეკელიძე კ., „ვეფხისტყაოსანი“, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1924.
- კეკელიძე 1941: კეკელიძე კ., იაკობ ცურტაველი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1941.
- კეკელიძე, კ. – ნიკიფორე ირბახი – ინიციატორი ქართული სტამბისა რომში. // წგ–ში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.2. /კ. კეკელიძე. – თბ.,1945
- კვაჭანტირაძე 2001: კვაჭანტირაძე ფ., ქართული წიგნის სათავეებთან, ნიკიფორე ირბახი და ქართული წიგნი, „ქართული წიგნი“, 2001, №3, მარტი.
- მეტრეველი 1982: მეტრეველი რ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, 1982.
- რაჭველიშვილი 1929: რაჭველიშვილი ქ., [რეცენზია: დავით კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, ტფ. 1929], „ქართული მწერლობა“, 1929, №3.

- საქართველოს... 1909: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებათა ოქმები, კრებ. „ძველი საქართველო“, ტ. I, 1909.
- ყუბანეიშვილი 1973: ყუბანეიშვილი ს., „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორიიდან, ტ. II, ნაკვ. I, 1973.
- შარაშენიძე 1971: შარაშენიძე ე., დავით კარიჭაშვილი, „ტექსტოლოგიის საკითხები“, II, 1971.
- შოთა რუსთაველი... 1888: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, გ. ქართველიშვილის გამოცემა, 1888.
- შოთა რუსთაველი... 1903: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, XIX გამოცემა, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელის ლექსიკონით, ტფ. 1903.
- ჭინჭარაული 2005: ჭინჭარაული ალ. „ვეფხისტყაოსნის დასაწყისის ავტორის ვინაობისათვის“, ლიტერატურული საქართველო, 22. VII. 2005.
- ჯანაშია 1987: (იგივე) ჯანაშია ს., დავით კარიჭაშვილი, შრომები, ტ. V, 1987.

Lia Karichashvili

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

MERITS OF DAVID KARICHASHVILI

RESUME

David Karichashvili is the representative of greatly deserved generation, who created Georgian public life of the turn of 19th and 20th centuries.

He was born in 1962, in village Khidistavi, in the family of clergyman. He graduated Gori Theological Seminary. In 1880, he continued his education at the Faculty of History and philology of St. Petersburg University. In 1883, he left for Switzerland, at first he attended the lectures at Geneva

University and further, in 1883, he moved to Paris and stayed there up to 1886. His interests included wide spectrum of the humanities, he attended the lecture courses in literature, history and linguistics, he studied the natural sciences as well. In 1886, he returned to Georgia and commenced extensive educative and scientific activities. He had a spouse and four children. He deceased in 1927. He was buried at Didube Pantheon of the Writers and Public Figures.

David Karichashvili, as a researcher, is fully independent. Though he had to work side by side with the coryphaei of literature and he had his huge authorities, he had not lost his original vision and he had his independent opinion on number of issues, whether historical-literary or public ones. Irrespective of the degree of sharing of David's version on one or another issue, they still contain significant nuances, new approaches, statements to be taken into consideration. Such are his essays on: "Martyrdom of Shushanik"; "Composition of the Knight in the Panter's Skin", "When the first Georgian Book Was Printed"; "Who was Nikiphore Irbach" etc.

As a result of David's philological researches, the issue of the author of "Kalmasoba" was finally resolved. Number of unclear issues in "Kartlis Tskhovreba" (Life of Kartli) were clarified: "Who was Bishop Mobidan", "Genealogy of Ashot Kuropalat"... new aspects of Rustaveli studies were set (1903 and 1920 editions of the "Knight in the Panter's Skin", essay "Composition of the Knight in the Panter's Skin").

Simon Janashia wrote: "Numerous generations of Georgian researchers will focus their attention thankfully to the life of this person, at a time of opening of the treasury door and turn to the bridge built by David Karichashvili's ideology and faith to the great world of studying of Georgian ancient articles, from the chaos to system".

1432 წლის დაწერილი ხელა მოლარეთუხუცესისა თირის მონასტრისადმი ზოგიერთი ლინგვისტური თავისებურება

თირის მონასტერი მდებარეობს დიდი ლიახვის ხეობაში, მდინარის მარცხენა შენაკად მუშლას შუა წელზე, მარცხნივ, კლდოვან კონცხზე. მონასტერი ანუ თირის მონასტერი ეწოდება, როგორც სოფელს, ისე ტაძარს. სოფლად დასახელებული და მის მიერ შედგენილ რუკაზე იგი დატანილი აქვს ვახუშტი ბაგრატიონს: „თამარაშენს ზეთ ერთვის ლიახვს თირის მონასტრის ხევი. აჩაბეთს დასავლით არს მთაში თირის მონასტერი, უგუნბათო. არამედ ფრად კეთილშენი, კეთილის ადგილის, ზის წინამძღვარი“.¹

თირის ღვთისმსობლის ეკლესია მეცამეტე საუკუნის დასასრულით თარიღდება.²

სამრეკლოს პირველი სართულის აღმოსავლეთ შესასვლელის კარის თავზე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა:

„თავხელისძეთა სიაოშ და რატის და ასათს და ხელს და მაჩაბელსა და მშობელთა მათთა შეუნდვენ ღმერთმან“

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს წარწერა მეთოთხმეტე საუკუნისად არის მიჩნეული. ინტერესს იწვევს საკუთარი სა-

¹ ვ. ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, 1997.

² ლ. ანდლულაძე, თირის მონასტრის ზუროთმოდვრული ანსამბლი, 1976.

ხელები ასათ, ხელი, სიაოშ და მაჩაბელი. ესენი ყველა თავ-ხელისძეები არიან.

თირის ეკვდერის დასავლეთის კედელზე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა: „ქრისტე მოლარეთუხუცესისა ხელას ერთგულსა მახატლიშვილსა ბევროზს შეუნდოს ღმერთმან“.¹

უნდა ვივარაუდოთ, რომ მოლარეთუხუცესი ხელი, რომელმაც მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოები ჩაატარა თირის მონასტერში ამავე დროს არის ავტორი 1432 წლის დაწერილისა ანუ გუჯარისა თირის მონასტრისადმი, რომელიც ერთ-ერთი ძვირფასი წერილობითი ძეგლია ჩვენი ისტორიული და ფილოლოგიური ლიტერატურისა.

აღნიშნული საბუთი მოთავსებულია ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის მეორე ტომში, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა გამოსცა 2013 წელს.

დოკუმენტი ინახებოდა თირის მონასტრის საბუთებს შორის სინოდის კანტორაში „გუჯრების წიგნში“. 1777 წელს, როგორც თავის თავს, მწერალს უწოდებს იოანე პენტელაშვილი. მას მთელი საბუთი გადმოუწერია და წერს: „მე მწერალმა იოანე პენტელაშვილმა ამ წიგნის პირი უმეტნაკლებოდ გადმოვსწერე სუფე“.

საბუთში კარგად ჩანს ხელი მოლარეთუხუცესის დამსახურება ამ სიგელის შედგენის საქმეში. იგი წერს: „კვალადაც მოწერილი არს შემდგომ ესე ზემოთ მწერალისა ხელსა დამიწერია საუკუნოდ გასათავებელი გუჯარი მე მოლარეთუხუცესი ხელა ამისი გამთავებელი ვარ. და შემდგომად ვინცა არა გაათაოს ბრალითა მზღველ ხართ წინაშე ღმრთისა მას დიდსა განკითხვისასა“.

¹ ნ. ანდლულაძე, თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1976, გვ. 198.

ხელა თავხელიდის შვილ ასათის მონაწერი გუჯარზე, რომელსაც შეუწირავს ცხინვალს ცამეტი კოკა, შეძღვომად სიკვდილისა ოცდასამი კოკა. თავხელიდის ბოროტისაგან ამავე წერილზედ მიწერილი, რომელსაც შეუწირავს საალაპოდ გარესჯვარს ბეშქენაშვილი დავითა და განუწესებია ვენახის მესამედი ტკბილი მისაცემლად. აქვეა მეფე ალექსანდრეს ძის გიორგის მინაწერი, რომლითაც თირის ღვთისმშობლისათვის შეუწირავს სალთვისი და სხვა მამულები. ასევე აღნიშნულია, რომ იოანე პენტელაშვილის გადმოწერილი თირის საბუთი დაუმტკიცებიათ მეფე ერეკლე მეორეს და პატრიარქ ანტონს. მონასტრისადმი შეწირულობამ დიდი ქონება შეადგინა დიდი ლიახვის მთელ რიგ სოფლებში. სახელდობრ ეს სოფლებია: ერედვი, გარეჯვარი, მელვრეკისი, ცხინვალი, საბაწმინდა, ქემერტი, კოშკა, მუგუთი და სხვა სოფლები.

მხატვრული ან ზემოხსენებული ისტორიული ფაქტების შემცველი ტექსტების ენობრივი მონაცემების წარმოსაჩენად შეიძლება რამდენიმე თვალსაზრისი გამოიყოს. აუცილებელია ენის შესწავლა მისი ისტორიის წარმოსაჩენად და ფუნქციური სისტემების სტრუქტურის დასადგენად. ენობრივი ანალიზი კარგად წარმოაჩენს მსგავსებასა და განსხვავებას მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს შორის. მოცემულ ტექსტს, რომელსაც ამჟამად განვიხილავთ, იმდენად აქვს ღირებულება, რამდენადაც იგი გარკვეული ეპოქის რეალურ მოვლენას არ მოვლენებს ასახავს. ამ შემთხვევაში მეთხუთმეტე საუკუნეს და შემდგომ ხანის ენათმეცნიერებამ უნდა წარმოაჩინოს ამ ეპოქების ენობრივი ფაქტები, ანალიზით.

ენის პერიოდიზაცია სირთულეებთანაა დაკავშირებული. აკაკი შანიძე სალიტერატურო ქართულს სამ პერიოდად ყოფს: პირველი ძველი ქართული (V-XI სს), მეორე საშუალო ქართული ენა (XII-XVIII სს), მესამე ახალი ქართული

ენა (XIX საუკუნიდან დღემდე). აკაკი შანიძე შენიშნავს, რომ ეს დაყოფა მიახლოებითია, ზედმიწევნობით საზღვრის დადება ასეთ დაყოფებს შორის არ შეიძლება.¹

არნოლდ ჩიქობავა წერს: „ახალი ქართული სალიტერატურო ენა ისახება მეთორმეტე საუკუნიდან, ენა უკვე აღარაა ძველი ქართული. სახელთა ბრუნებაში, ზმნის უღვლილებაში ახალი ქართულის დამახასიათებელი მოვლენები გაქვს.“²

მეთორმეტე საუკუნის შემდგომ სალიტერატურო ენის ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი არის ხალხურობა. ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებამ გამოიწვია გრამატიკულ ფორმათა ნაირგვარობა. გზა გაეხსნა ქართლ-კახური დიალექტების მასალას, არქაულობა კი მაინც ინარჩუნებდა პოზიციებს ლექსიკაში, ფონეტიკაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში.

თირის მონასტრის სიგელში კ-ხარი და ხ-ხანი ორი დამოუკიდებელი ფონემაა, ამათაგან ახალ ქართულში მხოლოდ ხ შემოგვრჩა. ვარლამ თოფურია ამის შესახებ აღნიშნავს: „უკეთუ გვინდა ვიცოდეთ თუ რა შემთხვევაში გვხვდება ხ ან კ საჭიროა შედგენა იმ სიტყვებისა, რომელნიც ამა თუ იმ ნიშნის მატარებელნი არიან, რადგანაც მათი ხმარებისათვის საერთო წესის გამოძევა შეუძლებელია.“³

სიგელში ძირითადად ფიგურირებს თანამედროვე ხ: ფხენისს ერთი ვენახი. ნახევარი შეწირული. სხვა მოხნევდეს.

კ-ხარი: კვლთა დამიწერია. კელმოწერილი არს – შესყიდული ვენაკი. ხარისა და ხანის დაპირისპირება ძველ

¹ აკ. შანიძე (აღ. ბარამიძე, ი. აბულაძე) ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ტფ., 1934, გვ. 10.

² არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998, გვ. 1.

³ ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, ტფ., 1927, გვ. 127.

ქართულში გამოკვეთილი იყო და სემანტიკურ დაპირისპირებასაც ქმნიდა.

ძველ ქართულში რამდენიმე განსხვავებული ბგერა გვხვდებოდა. ასეთია მაგალითად უმარცვლო უ, მას ანბანში საკუთარი ნიშანი არა ჰქონდა და ისე იწერებოდა, როგორც უ ხმოვანი. შემდგომ თავზე დაასვეს სამკუთხა ნიშანი. თანამედროვე ქართულიც გვეხმარება სადაც უმარცვლო უ ვი-ს სახით არის წარმოდგენილი:

ღუერთევს დედანაშვილისაგან ნასყიდი.

დღეს სოფელი ღვერთევია უ-ს ჩაუნაცვლია ვ ბგერა.

შემდგომად ჩუენთა ვინც არა გაათაოს.

მიწერილი არს ჩუენთა.

მარცვლიანი უ: საყდრისათვის დაუღვია.

ბაბალასთვის დაუნებებია.

კრებულთათვის მონასტრისათა.

შეუწირავს და დაუმტკიცებია.

ნართანიან მრავლობითს ძველ ქართულში ჰქონდა სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი და წოდებითი, დანარჩენ ბრუნვებში კი თ სუფიქსი.

თირის სიგელში ძირითადად გვხვდება სახელობით ბრუნვაში:

მეპგრენი გლეხნი ისხდნენ.

ჭალას ორნი გლეხნი.

დავითი და მისნი მამანი მენახევრეთ.

ც-ემერვე ორი ელემენტისაგან შედგება ე+დ. ამასთან ე-ს შეუძლია მარცვლის შექმნა, იოტა ამ უნარს მოკლებულია. ც-ემერვეს უწოდებენ ანბანში რიგის მიხედვით. ძველ ქართულში რამდენიმე შემთხვევაში გვხვდება. ხსენებულ სიგელში ერთ შემთხვევაში გვხვდება: ჩუცნ ყოვლისა საქართველოს პატრიარხი ანტონი.

სავრცობი ა სიგელში დაერთვის ნათესაობით ბრუნვას:
ალუშენებია თავდებისა ღმრთიმშობლისა.

ორი ალაპი დედანასშვილის ქავთარისა.

ღღესა ღღესა განკითხვისასა.

გან თანდებული ქართულში დაერთვის ორ ბრუნვას ნათესაობითსა და მოქმედებითს. ნათესაობითში როცა ღვას, უნდა უპასუხოს კითხვებს: ვისგან, რისგან, ხოლო მოქმედებითში - საიდან, რა დროიდან? სიგელში გვხვდება ნათესაობითი ბრუნვის თანდებულები:

თავხელისძის ბორტისაგან.

თავხელისძის ასათისაგან.

ალექსანდრეს ძის გიორგისაგან

მაჩაბლისაგან შეწირულობისა გუჯარს.

ზმნისწინი ძველ ქართულში ფორმობრივად უფრო მრავალფეროვანი იყო და ეს კარგად ჩანს თირის მონასტრის სიგელში. სიგელში ზმნისწინები წარმოდგენილია, როგორც ძველი, ისე ახალი ქართულით.

ძველი: ღღესა განკითხვისასა.

განუწესებია ვენახის მესამედი.

განუწესებია მონასტრის მისაღებელად.

განუჩენია მსახლობელთა მათთაგან.

ალუშენებია თავდებისა ღმრთისმშობლისა

განუჩინებია კვალადაცა ორი ალაპი.

აღმოვიკითხე წერილი.

ზმნისწინი აღ გვხვდება თანამედროვე ქართულში, რომელიც ფართოდ არის წარმოდგენილი, როგორც სალიტერატურო ისე დიალექტებში. სიგელში ასევე გვხვდება მი, მო, შე, გამო, გადმო, ზმნისწინები.

როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულში იგივეობის – ვე ნაწილაკი რამდენიმე ფუნქციით არის გამოყენებუ-

ლი. ცნობილი ლექსიკოგრაფი სულხან საბა ორბელიანი აღნიშნავს: „ვე ესე ართრონი არს ბოლოსი, რომელსა ვიტყვი იქივე, კაცივე, ცხენივე და მისთანანი“.¹

ივანე იმნაიშვილის გამოკვლევით „ძველ ქართულში -ვე ნაწილაკი უფრო მეტად ნაცვალსახელებთან იხმარება“.²

თირის სიგელში, რომელიც საშუალო ქართულს განეკუთვნება -ვე ნაწილაკი იმას აღნიშნავს, რასაც ისევ და კვლავ სიტყვები. იგი დაერთვის არსებით, ზედსართავ და რიცხვით სახელებს:

იმავე წერილზედ მოწერილი.

ძველადვე შეწირული მამული.

მისგანვე შეწირული ქრცხინვალის ვენახი.

პირველადვე ფიცხელისძის მამულივე შეწირული.

თუისავე ხელისად შეწირული.

როცა ვე დაერთვის თანდებულიან სახელს, იგი თანდებულის შემდეგაა.

თანამედროვე ქართულში ძირითადად გვხვდება ნაწილაკ-შეზრდილი წარმოება, რაც შეიძლება ნორმად მივიჩნიოთ.

სუფიქსური წარმოებიდან სიგელში აღსანიშნავია -ურ//-ულ სუფიქსური წარმოება. -ურ სუფიქსი გავრცელებული მოსაზრებით არაადამიანთა სადაურობა-წარმომავლობას აღნიშნავს. ქართლურის ლიახვურ მეტყველებაში ხსენებული სუფიქსი კუთვნილებას აღნიშნავს, ამასთან გამოყენებულია ტოპონიმის საწარმოებლადაც: სვეტელაური, ბერგფრაული, გორგილაური, შურტული, ბუღაური და სხვები ღვთისმშობლისადმი შეწირული მამულების სახელებია და, ადვილი შე-

¹ სს. ორბელიანი, ლექსიკური ქართული, I, თბ., 1993, გვ. 258.

² ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 180.

საძლებელია, ისინი გვარებიც იყოს, ამას კი შემდგომი კვლევა გვიჩვენებს.

სიგელში აღნიშნულია, რომ თირის ღვთისმშობლის ბეგარა სდებია მალრან-დვალეთს, სოფელ კოშკას, ჟღელეს ხეობას სხვა კუთხეებსა და სოფლებს. ეს სოფლებია: ახალ-სოფელი, ხწვე, მუგუთი, კოდა, გუფთა, ბორგნისი, სოხო იგივე სოხთა, ბუზალა ჯავის თავი, მაცხოვარი.

თირის სიგელში ასევე წარმოდგენილია მთელი რიგი ანთროპონიმები, რომლებიც ამ კულტურის ძეგლთან იყვნენ დაკავშირებული. თავს იჩენს დიალექტური თავისებურებანი, გვართა მიგრაცია და იმიგრაცია და, როგორც საბუთების ენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიული დიალექტოლოგიისათვის.

როგორც შვილზე ისე ძეზე დააბოლოებულ გვარებს უმეტეს შემთხვევაში შენარჩუნებული აქვთ ნათესაობითი ბრუნვის „ს“ ელემენტი. აღნიშნულ ეპოქაში ჩანს, რომ ესა თუ ის პირი ვისი ჩამომავალი იყო: ქემერტელისძე, ჭინჭახისძე, ბებიერისძე, ფიცხელისძე, ჭონისშვილი, არზუასშვილი, იალთზისშვილი, გოგასშვილი. ყველა აღნიშნულ გვარზე მოძიებული გვაქვს მასალები, მაგრამ მათი სიდიდის გამო წარმოვადგენთ მხოლოდ ორი გვარის ისტორიას.

სიგელში აღნიშნული გვარი ქემერტელისძე და ქემერტელიძისეული სასახლე სხვა დოკუმენტებშიც გვხვდება. ის აზნაური ყოფილა და უცხოვრია სოფელ ქემერტის აღმოსავლეთით გორაზე, სადაც ეხლაც არის ციხის ნაშთი. დვალეთის სოფელ კასრის კარიდან სოფელში მან ჩამოსახლა კასრაძეები, რომლებიც თავისი საცხოვრებლიდან აღმოსავლეთ „გძელი მიწების“ სიახლოვეს დაასახლა. დროთა ვითარებაში კონფლიქტი მოსვლიათ, კასრაძეებს ავი ბატონი მოუკლავთ და დასავლეთ საქართველოში გაქცეულან, მისულან თავად

როსტომ წერეთელთან სოფელ სხვიტორში და თავშესაფარი უთხოვიათ. როსტომ წერეთელს ისინი სოფელ მერჯევში დაუსახლებია და გვარად მოკლული ბატონის გვარი ქემერტელიძეობა უბოძებია. სოფელ მერჯევში ჩაწერილი მასალებით დასტურდება, რომ ეს ამბები მეცხრამეტე საუკუნის ოციან წლებში მომხდარა. ყოფილი კასრაძეები პერიოდულად შესაწირით ჩადიოდნენ სოფელ ქემერტში წმინდა გიორგის ეკლესიაში და თავიანთი ნაღვლიანი ისტორიის შესახებ მომავალ თაობებს ეხლაც გადასცემენ. მათ კარგად იციან ძველი გვარი, მაგრამ ჯერჯერობით ქემერტელიძეობაზე დებენ თავს. სოფელ მერჯევში სულ ორმოცდაათი ოჯახია აღნიშნული გვარისა.

სიგელში მოხსენიებული არიან ბეჟან და ვირშელ იაღლუზიშვილები. აზნაური იაღლუზიშვილების ყმა-მამული ჰქონდათ დიდი ღიახვის ხეობის სოფელ ფხვენისში და ზემო მხარეს სვერის წყლის ხეობაში. მეჩვიდმეტე საუკუნის შუა წლებში გიორგი იაღლუზიშვილს სამამულე დავა ჰქონდა ამილახვრებთან. ვახტანგ მეხუთემ ქართლის მეფემ ყმა-მამული გიორგის უბოძა.¹

1801 წელს ამილახვრის მიერ გაცემულ საბუთში წერია: „ესე აზნაურიშვილი ჩვენნი იაღლუზიაშვილები ამოწყდნენ და დაშთა მამული მათი ბეითალმანად“.² სამეფო ხელისუფლებამ სოფელ ზალდაში (ძვ. ზავდა) იაღლუზიშვილების მამული ქემედთის ხეობის სოფელ მძივიდან ჩამოსახლებულ გაბარათებს უბოძა. გაბარათების წარმომადგენელია იოანე იაღლუზიძე პოემა „იაღლუზიანის“ ავტორი, რომელიც მეფე ერეკლე მეორის კარზე აღიზარდა. მან სოფელ ზალდაში

¹ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1993, გვ. 395.

² დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან: ქართლის სათავადოები, თბ., 1955, გვ. 244.

ააგო ეკლესია წმინდა გიორგის სახელზე და შეამკო. იალ-
ღუზიშვილების საგვარეული ეკლესიაა ლალისა, რომელიც
ნუსხური წარწერების მიხედვით 960 წელსაა აგებული. აღ-
ნიშნული ბაზილიკა დღესაც კარგადაა შემონახული.

თირის სიგელი ჩვენი კულტურის დიდებული ძეგლია,
რომელსაც სრულყოფილი შესწავლა სჭირდება. ჩვენი შეხე-
დულებით მრავალი სიანლე დღევანდლობასთან შედარებით
გამოვლინდება.

დამოწმებანი:

1. ბაგრატიონი ვ., საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 78.
2. ანდლულაძე ნ., თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ან-
სამბლი, თბ., 1976, გვ. 197.
3. ანდლულაძე ნ., იქვე, გვ. 198.
4. შანიძე აკ. (ალ. ბარამიძე, ი. აბულაძე), ძველი ქართული
ენა და ლიტერატურა, ტფ., 1934, გვ. 10.
5. ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ.,
1998, გვ. 1.
6. თოფურია ვ., ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენე-
ბში, II, ჯ და ხ სიბილიან-აფრიკატებთან მეზობლობაში, ტფ.,
1927, გვ. 177.
7. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, II, თბ.,
2013, გვ. 178-181.
8. სს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991, გვ.
258.
9. იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციე-
ბი ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 180.
10. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1993, გვ. 395.

11. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. ქართულის სათავადოები, თბ., 1955, გვ. 244.

Nikoloz Otinashvili

Gori State Teaching University

**SOME LINGUISTIC PECULIARITIES WRITTEN BY
FINANCIAL MINISTRY TO TIRI MONASTERY IN 1432
RESUME**

Tiri Monastery is situated in Didi Liakhvi Gorge. This is the name as the village so well as the monastery. The monastery has all kinds of writings as in old Georgian as well in new Georgian.

The writing is made by Tavkheldidze, the was rewritten in 1777 and at last it was confirmed by the King Erekle II.

After the 12th century the main factor of the literary language became folklore which became the reason of the peculiarities of forms. The road was open to dialects of Kartl-Kakhet, but archaic forms were still in use in lexicology, Phonetics, Morphology.

In the document we can distinguish the archaic sound ჳ, but it already is substituted into 6 sound.

The old Georgian nar plural forms are represented in Nominative Case.

The prepositions with gan we can meet in Possessive Case.

The adverbs can be found in archaic forms as well as in modern simple forms.

ზურაბ ოქროპირიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დეკანოზ იროდიონ ოქროპირიძის მემუარები

„...ახლა, ამ მოხუცებულობის ჟამს, ღვთის შეწევნით ბედმა მარგუნა ეს ნეტარება -პირნათელი ვარ ხალხთანაც და ჩემს სინდისთანაც, თავიდანვე ვცდილობდი ჩემი წმინდა მოვალეობანი საქმით და ჩემი ცხოვრების მაგალითით, ზნეობრივი სიწმინდით შემესრულებინა, რასაც სამსახური, ქრისტიანობის იდეა მოითხოვდა“, - წერდა დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე (1859-1933). იგი დისევში, ოქროპირიძეების საგვარეულო სოფელში, მღვდლის, ბესარიონ ზურაბის ძე ოქროპირიძის ოჯახში დაიბადა. სასულიერო წრეში აღზრდილმა წინაპართა ნამემკვიდრევი გზა აირჩია. იგი გვერდს უმშვენებს ოქროპირიძეთა ცნობილ წარმომადგენლებს, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში. დისევის ძელიცხოველის (Xს) ეზოში, საფლავის ქვაზე წარწერაა: „სახსოვრად ესე არის საფლავი მღვდლისა ზურაბის ძე ბესარიონის ოქროპირიძისა. გარდავიცვალე სამოცდა ხუთის წლისა... მაქვს იმედი ახლად ნაკურთხი ჩემის შვილის იროდიონისა...“

პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. ეს ის ჟამია, როცა ერის ღირსეული შვილები დიდი ილიას მეთაურობით მაძულისა და რწმენის გადასარჩენად განგაშის ზარებს არისხებენ. ამ განცდით გაიზარდა პატარა იროდიონი, დაამთავრა გორისა და თბილისის სასულიერო სასწავლებლები პირველი ხარისხის დიპლომით. სასწავლებლის დამ-

თავრებიდან (1884 წ.) ერთი წლის შემდეგ დაქორწინდა უკეთილშობილეს ქალბატონზე, ნინო ბოჭორაძეზე (1964-1942), ეკურთხა მღვდლად და დიდი არარატის მთის ძირში - დაბა ივლირის ეკლესიის წინამძღვრად განმწესდა. „ახლადნაკურთხმა“ შეიღმა სრულად გაამართლა მამისა და საზოგადოების იმედები.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი მამა იროდიონის შესახებ წერდა: „იროდიონმა თავისი სიტყვა-ქადაგებებით, თავისი კეთილშობილი მოღვაწეობით დიდი ამაგი დასდო საქართველოს შორეული კუთხის შვილებს- ინგილოებს“.¹ იგი დიდ მამულიშვილად მიიჩნევს დაკანოზ იროდიონს. დიდად აფასებდნენ და მასთან მეგობრობდნენ ცნობილი ქართველი მწერლები: სოფრომ მგალობლიშვილი, ანტონ ფურცელაძე, დავით კასრაძე, ნიკო ლომოური²... ქართული პროზის დიდოსტატის, ოთარ ჩხეიძის სიტყვით, „იროდიონ ოქროპირიძე თავისუფლების უკვდავ, მარადიულ აზრებს ქადაგებდა გულში ჩამწვდომად, როგორც ძველი, დარბაისელი მჭევრმეტყველი“.³ სიცოცხლის მიმწუხრს, 20-ნი წლების ბოლოს მოძღვარმა ათეული წლების ნანახ-განცდილ-ნააზრევი შესანიშნავი ქართულით დაწერილი ვრცელი მემუარების⁴ სახით დაუტოვა შთამომავლობას. მისი მოგონებები ძვირფას მასალას წარმოადგენს XIX-ის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის საინგილოსა და ცხინვალის (ლიახვის ხეობის) მოსახლეობის სარწმუნოებრივ-

¹ მ. ჯანაშვილი, „პატრიარქი ლეონიდი“, ჟამი ძიებისა და განსჯისა“, თბ. 2006, გვ. 392

² ნ. მოისწრაფიშვილი, აქვსენტი მეგრელიძე, თბ. 2008 გვ. 352

³ ო.ჩხეიძე, „საინგილო“, ლიტერატურული აღმანახი „ლიახვი“, 1963, გვ. 114

⁴ ინახება მოძღვრის შვილიშვილის, პროფესორ ნინო ოქროპირიძის საოჯახო არქივში.

ზნეობრივი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, სოციალურ-პოლიტიკური ყოფის, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის, რწმენის რაობის, ბოლშევიზმის უღმერთობისა და სხვათა შესახებ. დეკანოზის ჩანაწერების მცირე ნაწილი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-ან წლებში გამოაქვეყნა ოთარ ჩხეიძემ („საინგილო“, ლიტერატურული აღმანახი „ლიახვი“, 1963 წ., გვ. 114-120; „უღელტეხილზე“, 1968, გვ. 131-135). ამ პუბლიკაციების გამო ჟურნალს და მის რედაქტორს არაერთი უსიამოვნება შეხვდა. მოგვიანებით „მნათობში“ (1989, №12, გვ. 106-123; 1990, №9, გვ. 140-144) ჟურნალისტმა გიორგი გოჩიტაშვილმა დაბეჭდა მოძღვრის მოგონებების ნაწყვეტები სათაურებით: „ქრისტიანობა საინგილოში“ და „ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის ისტორიიდან“. მეშუარეობაში თავმდაბლობითა და უბრალოებით ცნობილი მოძღვარი შეულამაზებლად წარმოაჩენს ჩვენი ერისა და ეკლესიისათვის ყველაზე მტკივნეულ საკითხებს. მისი ჩანაწერებიდან იკვეთება სახე სამშობლოს ბედზე დაფიქრებული მოღვაწისა, ჭეშმარიტი მწყემსისა „გზაბნეულთა ცხოვართა“, ნიჭიერი კალმოსანისა და მოამაგე მშობლისა, რომელმაც ბოლშევიკთაგან უდიდესი ზეწოლისა და შეურაცხყოფის მიუხედავად, ბოლომდე უერთგულა ქრისტეს მოძღვრებას.

მოზრდილი ხელნაწერიდან - „საინგილო და იქ ჩემი სამსახური“¹, ირკვევა, რომ მამა იროდიონი „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ მისიონერის, მღვდელ-მონაზონ ლეონიდის (ოქროპირიძე, 1861-1921) წარდგინებით 1891 წლის მაისში ინიშნება საინგილოს ბლალორჩინაკახის წმინდა გიორგის ტაძრის წინამძღვრად, ზაქათალის ოლქის მთავარხუცესად. აქედან იწყება მოძღვრის თავგანწირული მოღვაწეობა. ინგილოებმა სიხარულით მიიღეს იგი.

¹ იქვე, ნაწ. I

მისმა პირველმა ქადაგებამ ადგილობრივებზე დიდი შტაბეჭდილება მოახდინა, შემწეობის იმედი გაუჩინა, „ამდენ მუსულმანობაში მომწყვდეულ ერთ მუჟა ქართველებს“.¹

თავდაპირველად, როგორც მისიონერი ეცნობა ინგილოთა ყოფას და ისტორიას, ზნე-ჩვეულებებს. ითვისებს მათ სამეტყველო კილო-კავს, „რადგან მათს მეთყველეებაში თათრული სიტყვებიც ერია... წმინდა ქართულ სიტყვებს ბევრი ვერ გებულობდა...“² მოძღვარმა ფართო სამოღვაწეო ფრონტი გაშალა. მშობლიურ ენა და რწმენადავიწყებული, ტრადიციამორღვეული ქართველების ეროვნული ფესვებისაკენ შემოსაბრუნებლად უპირველესად საჭირო იყო მტერთაგან დანგრეული და ახალი ტაძრების აღდგენა-აშენება, სკოლების დაარსება და მათში ეროვნულ ენაზე წირვა-ლოცვის აღვლენა, მომავალი თაობისათვის განათლების მიცემა. ჩანაწერების მიხედვით 1893-95 წლებში თავისი ნათესავის, მისიონერ ლეონიდეს მითითებით პირადად უხელმძღვანელა ქურმუხის წმინდა გიორგისა და თასმალოს, მოძღვენო წლებში (მრევლის თანადგომითაც), მეშებაშის, თოქოლთოს, კახის ეკლესიების მშენებლობას.³ სოფლებში დააარსა ქალთა და ვაჟთა სკოლები. მისმა ხატოვანმა ქადაგებებმა ასობით ინგილო დაუბრუნა მართლმადიდებლობას. სულიერი მამა ვერ ეგუებოდა, რომ „ინგილო შეგირდები რუსულად კითხულობდნენ...ქართულად ასობებიც არ იცოდნენ...“⁴ სამწყსოსთან ესოდენ ფაქიზი მოძღვარი კატეგორიულად მოითხოვდა რუსი მაღალჩინოსნებისაგან: „საინგილო სამისიონერო ადგილია...თუ ბავშვებს მშობლიურ ენაზე არ ჩავაგონებთ სარწმუნოებას, რუსულ ენაზე

¹ იქვე, ნაწ. I, გვ. 1

² დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე, მოგონებები, ნაწ. I, გვ. 366

³ იქვე, ნაწ. I, გვ. 28-32.

⁴ იქვე, ნაწ. I, გვ. 7.

გაზეპირებული სწავლით არაფერი შერჩებათ...”¹ იგი თავად ასწავლიდა მოწაფეებს საღვთო სჯულს, ქართულ ენას... მემუარისტის მწვავედ განიცდის ინგილოთა მძიმე ყოფას. გრძნობს მასობრივი გაუნათლებლობა, ცრურწმენები და მავნე ჩვევები იმ დიდი უკუნეთის შედეგია, ამ ხალხმა რომ გამოიარა საუკუნეების მანძილზე. ინგილოებმა მასში ნამდვილი მფარველი დაინახეს და ირწმუნეს მისი. მთავარხუცესის ჩანაწერების მიხედვით საერთო განმანათლებლური მოძრაობა „ქრისტიან ქართველებში წარმატებით დაეიწყეთ... მოსახლეობისათვის საღამოს კურსები (ქალთა და კაცთა ზ.ო) გაემართეთ... ვასწავლიდი საღვთო სჯულს, წერა-კითხვას, ანგარიშს...”² თავად ხუთი შვილის პატრონი ემსახურებოდა გაჭირვებულთ, უფასოდ ურიგებდა წიგნებს, ასწავლიდა მეურნეობის მოწყობას. იგი დაუზარებლად ასრულებდა საღვთისმსახურო რიტუალებს. 1892 წელს კანში ხორველა გაჩნდა. მღვდლებისათვის აუკრძალავთ მიცვალებულის წინ გაძლოლა. მამა იროდიონი, სიცოცხლის რისკის ფასად, ინგილოთა გვერდით დადგა: „დღეში ხუთი, ექვსი მიცვალებული იყო... ბოლოს მეც გამომაჩნდა ნიშნები... თავი ძლივს გადავირჩინე...”³ მოძღვარს თანაუგრძნობდა მეუღლეც, ნინო. მან მალე დაიმსახურა ინგილოთა სიყვარული. ამზადებდა სხვადასხვა წამლებს, უანგაროდ ემსახურებოდა ავადმყოფებს და უსასყიდლოდ ასწავლიდა საოჯახო ხელსაქმეს. მისი ქველმოქმედებისა და ღვაწლის შესახებ იუწყება გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“ („ქართველ ქალთა ღვაწლი საინგილოში“, 1990, №100). ინგილოთა მწყემსი ქადაგებებითა და პირადი საუბრებით ცდილობდა მათ ყოფაში დამკვიდრებული ქრისტი-

¹ იქვე, ნაწ. I, გვ. 7.

² იქვე, გვ. 9.

³ იქვე, ნაწ. I, გვ. 9.

ანობისათვის შემაფერხებელი მავნე ჩვევების (ქალის ყიდვა და მისადმი მოპყრობა, მშობიარობის წესი, ქურდობა...) აღმოფხვრას: „ვარწმუნებდი... ასეთი დამოკიდებულება (ქალისადმი ზ. ო.) ღვთის წინააღმდეგ იყო მიმართული... ინგილოებმა შეიგნეს ამ ჩვეულების მავნეობა. უპატრონოდ აღარ ტოვებდნენ მშობიარეს...“¹ ღეკანოზი მოხიბლულია ინგილოთა ზრდილობით, ვაზის კულტურისადმი მათი დამოკიდებულებით. „...აქაური ღვინო სასმელად კარგი გემოვნებისაა... თორმეტი წლის განმავლობაში არ მინახავს ინგილო ისე დამთვრალიყოს, რომ წაქცეულიყო, ბილწსიტყვაობით შეეწუხებინოს ვინმე...ეს იმის შედეგია, რომ ინგილოებმა ღვინის დაძალება არ იციან... ჩხუბს ვერ ნახავ“.²

ვრცელ მონათხრობში ნაჩვენებია ორ უბედურებას-მოზღვავებულ მუსულმანურ აგრესიასა და უსულგულო რუს მოხელეთა შორის მოქცეულ ინგილოთა ბრძოლა. იგი იმ ბრძოლის გაგრძელება იყო, აქაურები რომ ეწეოდნენ ასწლეულების განმავლობაში მართლმადიდებლობისა და ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის. გაქრისტიანებულ ინგილოებს მაჰმადიანები სიკვდილით ემუქრებოდნენ, რუსი მოხელები კი, მეშუარისტის თქმით, ყურსაც არ იბერტყდნენ, პირიქით, „ადგილობრივ დაწესებულებებში ქართველების მაგიერ ლეკებს ნიშნავდნენ.“³ სოფელ მეშებაშში მამა იროდიონის დახმარებით მრევლმა ეკლესია ააშენა. იქ ჩასულ ექზარხოს ვლადიმერს ინგილოებმა სთხოვეს-დაათვალიერეთო. მას მკვანედ მოუშორებია ისინი თავიდან და საყვედურიც უთქვია მოძღვრისათვის: „ამ პატარა სოფელში ეკლესია რათ ააშენეთო“. ამის გამო მრევლს მისთვის „უგულო და გაუნათლებელი არ-

¹ ღეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე, მოგონებები, ნაწ. I, გვ. 13

² იქვე, გვ. 19-20

³ იქვე, გვ. 5

ქიელი“ უწოდებია. „მწარე ფიქრებმა ამიძღვრის გული... ასეთ უბედურებაში ჩავარდა ჩვენი ერი და ეკლესია... მაგათ ხელში ინგილოები დაჰკარგავენ ქრისტიანობას“.¹ მისი და კავკასიის მისიონერ ლეონიდეს მიზანმიმართულმა მოღვაწეობამ შეაშფოთა ადგილობრივი ბეგები და მოღებები. ამ უკანასკნელებს ერთ-ერთ ღია პაექრობაში ლეონიდემ საჯაროდ დაუმტკიცა მართლმადიდებლობის ერთადერთობა. მოგონებების მიხედვით მხოლოდ ერთ სოფელში ამ ფაქტს 13 მუსლიმი ინგილო ოჯახის გაქრისტიანება მოჰყვა, რის გამოც ლეკებს ინგილოების ამოწყვეტა განუზრახავთ. ყველაზე დიდი საფრთხე მღვდელს და მის მრავალრიცხოვან ოჯახს ელოდა. მამა იროდიონი ამ ამბავს გენერალ ივანე ამილახვარს ატყობინებს, რომელიც იქ ცხენოსან პოლკს აგზავნის, „ასე ავიცილეთ თავიდან მოსალოდნელი განსაცდელიო“²... წერდა ბლალოჩინი.

მემუარების ავტორი საოცარ ფაქტებს გვაწვდის ინგილოთა ძველი და ახალი ცხოვრებიდან. შეუძლებელია გულგრილად და ემოციის გარეშე წაიკითხო ეს დრო-ჟამისაგან გაცრეცილი ფურცლები. ჩანაწერების მიხედვით, აქაური ქართველების მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა მე-17 საუკუნის დასაწყისიდან, როცა შაჰ-აბასის ბარბაროსულმა ლაშქრობებმა გააუკაცრიელა ეს მხარე, თითქმის მთლიანად გაანადგურა მოსახლეობა. მათი ადგილების მნიშვნელოვანი ნაწილი კი მოსახლვრე დაღესტნელებმა დაიკავეს, რომელთა გაუგონარი ძალადობისა და ნგრევის ობიექტებად იქცნენ ირანელთა რისხვას გადარჩენილი ინგილოები და მათი სიწმინდეები. სასტიკად იღვენება ქრისტიანულ-ეროვნულ ნიშან-თვისებათა მცირედი გამოვლინებაც. შეუძლებელი იქმნება სხვადას-

¹ იქვე, გვ. 32

² დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე, მოგონებები, ნაწ. I, გვ. 47-48

ხვა საერო და სასულიერო რიტუალების ინგილოური ჩვევით აღნიშვნა-შესრულება. მოსე ჯანაშვილის თქმით, „სახრჩობელას ვერ ასცდებოდა ის, ვისაც სანთლის დანთებაში მიუსწრებდნენ ან გაიგებდნენ ვინმეს მარხულობას...“¹ იწყება აქაურ ქართველთა ხანგრძლივი ბრძოლა თვითარსებობისათვის. დიდ ომიანობას გადარჩენილმა ჰერელებმა გადამალული წმინდა ჯვარ-ხატები, წიგნები და სხვა საეკლესიო ნივთები ჩუმად სახლებში განათავსეს და შექმნეს საიდუმლო სამლოცველობი. მათ ფაქტიურად მოქმედი ეკლესიის ფუნქცია ჰქონდათ, სადაც ფარულად იკრიბებოდნენ, ლოცულობდნენ, თავისებურად აღასრულებდნენ ქრისტიანულ მსახურებებს. მემუარისტის მოგვითხრობს, რომ ინგილოთა შორის მნიშვნელოვანი იყო ხუციშვილების ოჯახის იდუმალი სამლოცველო, სადაც „დაცული აქვთ ძველი ყდაშემოცლილი სახარება, მინანქრის ბარძიმი და სანაწილე... ისინი ჩემს დროს ინახებოდა ხის კარადაში (წინათ კიღობანში), წინ შანდალი უდგია... დეკანოზის თქმით, მას „ხუციანთ ოთხთავს“ უწოდებენ აქაურები და ისე სწამთ მისი, განსაკუთრებულ შემთვევაში თუ დაიფიცებენ... მე-19 საუკუნეში წმინდა სახარების ეკლესიაში გამოტანა განუზრახავთ, მაგრამ ინგილოებს არ დაუნებებიათ, გაგვიწყრებაო...“²

მორწმუნეებისათვის საოჯახო სიწმინდედ ითვლებოდა კიღობანი, რომელშიც დაბრძანებული იყო სიწმინდეები. იგი სამლოცველოს მარჯვენა კუთხეში, ჭერის ქვეშ იდო... გარდა მამისა და მისი მემკვიდრე ვაჟისა მას ვერავინ შეეხებოდა...“³ ლოცვის დროს ინგილოები წმინდა კიღობნის წინ დგებოდნენ. დეკანოზის ყურადღება მიუქცევია ქართველთა სახლებთან

¹ მ. ჯანაშვილი. „საინგილო“ თბ. 1910, გვ. 48

² იროდონ ოქროპირიძე, მოგონებები, ნაწ. I, გვ. 26

³ მ. ჯანაშვილი. „საინგილო“ 1910, გვ. 48

შემორჩენილ სუფთად მოვლილი „დიდრონი“ ხეების პატარა-პატარა კორომებს. ინგილოები მათ წმინდა ადგილებად საგვარეულო საყდრებად მიიჩნევდნენ: „ჩვენ მამა-პაპას, უამბობდნენ ისინი მამა იროდიონს, ეს ადგილები წმინდად ჰქონდათ დანიშნული... იმ ქვაზე სანთელს ანთებდნენ... ქოთნის ნატეხს ჩამოაფარებდნენ, სინათლე არ გამოჩნდესო...“¹ ამნაირი საყდრები ყველა გვარეულობას ჰქონდა...¹ უდავოა, ეს ხეივნები გაშენებული იყო ამა თუ იმ საგვარეულოს ნატაძრალეებზე და ჟამთა დაუნდობელი სრბოლის შემდეგ, როცა აღარ ჩანდა მათი ნანგრევებიც, ახალთაობელთა მეხსიერებიდან წაიშალა მათ შესახებ ცნობები, იკრძალებოდა ქრისტიანობა, ამ კორომებთან, სასანთლე ქვასთან ქრისტიანული ტაძარი, უფლისა და სამშობლოსათვის დაღუპული წინაპარ-ახლობელთა სახეები, მათი დიდი წარსული იყო ასოცირებული. იროდიონ მღვდელი, ჭემმარიტი მამულიშვილი, ინგილოთა ცრემლიანი წარსულისა და აწმყოს ჭირისუფალი და დამცველი, დახვეწილი ენით მოგვითხრობს ერთი მუჭა ქართველების დაუჯერებელ გმირობაზე: როგორ ინათლებოდნენ, მარხულობდნენ, ეზიარებოდნენ... ინგილოებს ყანაში მუშაობის დროს ქიზიყელები ეხმარებოდნენ, რომლებშიც ერთი მღვდელი ერია თავზე ხილაბანდმოგდებული, წერს ავტორი.² გვიან ღამით იგი მიჰყავდათ სამლოცველოში და სოფლის მოსანათლ ბავშვებს ჩუმად ნათლავდნენ. ინგილოებმა ზიარების თავისებური წესიც დაამკვიდრეს. მათ კახეთის სოფლებიდან მოძღვრის კურთხევით მოჰქონდათ წმინდა სეფისკვერი, ნაკურთხი წყალი, რომელთაც ნაცარში ურევდნენ. „...მას წმინდად ინახავდნენ და თუ სოფელში ავადმყოფის ზიარება დასჭირდებოდათ, მისით აზიარებდნენ...“ მოძღვრის თქმით, ინგილოები გარეგნულად

¹ დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე, მოგონებები, ნაწ. I, გვ. 26

² იქვე, ნაწ. I, გვ. 25

აღიარებდნენ მუსლიმობას, შინაგანად კი ქრისტეს რჯულს იცავდნენ: „აღდგომის დღეს ინგილო შეხედავდა ეკლესიას... მუხლს მოიყრიდა, პირჯვარს გადაიწერდა: „ღმერთო და ქურმუხის საყდარო შენ შეგვეწიე“...სამღვთოს დაჰკლავდა... ჩუმად გაიხსნილებდა“¹ მეშუარისტის გადმოცემით ორიგინალურ ხერხს მიმართავდნენ ინგილოები მარხვის დროს. დიდმარხვაში ისინი ხშირად ხარშავდნენ ფლავს დიდ ქვაბში ისე, რომ შიგ ჩაყოლებული სპილენძის თეფშით ორად ყოფდნენ: ოჯახისთვის, სამარხვოდ და სტუმრისთვის, უმეტესად მუსლიმ ბეგებ-მოღებისათვის. სტუმარს ეჭვი არ უნდა აელო ოჯახის წევრების მარხვაზე. მასპინძელი მის დასანახად ქვაბში ერბოს დებდა, საოჯახოში კი -მანამდე ასხამდა კაკლის ზეთს“² ფარულმა ქრისტიანობამ, სამლოცველოებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს აქ მცხოვრებ ქართველთა ეროვნულ-სარწმუნოებრივი მრწამსის შენარჩუნებაში. გასაოცარია მათი ასეთი ერთსულოვნება. უმკაცრესი დიქტატისა და უცილობელი სიკვდილის მოლოდინშიც არ შეჩერებულა სამლოცველოთა საქმიანობა და ბოლომდე დაფარული დარჩა მტრისათვის.

1904 წლის ადრე გაზაფხულზე მამა იროდიონი ინგილოებს გამოეთხოვა. მოძღვარი ამაღელვებლად გადმოსცემს მათთან დამშვიდობების სცენას. იგი ცხინვალის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად, სამრევლო სკოლების ზედამხედველად განამწყესეს და გორის მაზრის მესამე ოლქის მთავარხუცესად აირჩიეს. მის გამგებლობაში შედიოდა მთელი ცხინვალის ხეობა (დიდი და პატარა ლიახვი) ოსეთამდე. მისიონერი მღვდლის ცხინვალური მოღვაწეობის წლები (1904-1923) კიდევ უფრო ეკლიანი და ფათერაკიანია. ეს პერიოდია აღწერილი მისი მოგონებების

¹ იქვე, ნაწ. I, გვ. 25-26

² დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე, მოგონებები, ნაწ. I, გვ. 25

მეორე ნაწილში: „ჩემი ცხინვალში მოღვაწეობა 1904-1923 წლებში.¹ მოძღვარი თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით ეკლესიის გვერდით ორსართულიან სახლში ცხოვრობდა. ავტობიოგრაფიულ მოგონებებში „ჩემი ცხოვრება“ საუკუნის წინანდელი ცხინვალის შესახებ იროდიონის ქალიშვილი, შემდგომში ცნობილი მუსიკოსი, საქართველოში ეროვნულ ხალხურ საკრავთა სპეციალისტი და საუკეთესო პედაგოგი ქეთევან ოქროპირიძე წერს: „იმუამინდელი დაბა ცხინვალი წმინდა ქართულ დასახლებას წარმოადგენდა. მისი მოსახლეობის მომეტებული ნაწილი ქართველები იყვნენ... ჩემს მეხსიერებაში იქ მხოლოდ 3-4 ოსი ცხოვრობდა...მაშინ ცხინვალი აყვავებულ ბაღს ჰგავდა... აქ ჩამოსული ყველა გამორჩეული პიროვნება ჩვენთან ჩერდებოდა“...² გამოცდილი მწყემსი ენერგიულად შეუდგა ახალ სამწყსოში საქმიანობას. იგი ბევრს მოგზაურობდა ლიახვის ხეობის სოფლებში, საინგილოს მსგავსად აშენებდა ეკლესიებს, აარსებდა სკოლებს. თავად ატარებდა წირვა-ლოცვას, ნათლობას, ჯვრისწერას და სხვა. თავისი უანგარო მოღვაწეობით იროდიონმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა მრევლში (რაც კარგად გამოჩნდა მისი დატყვევების დროს). 1904 წლის 6 მაისს მამა იროდიონს კამილაკა ეწეალობა. მეორე წლის 3 თებერვალს - წმინდა ანას მესამე ხარისხის ორდენი. 1908 წლის მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით დააჯილდოვეს (მანამდე, ივლირსა და საინგილოში მოღვაწეობის წლებში - საგვერდულით (1889წ) და სკუფიით (1897წ). 1915 წელს 24 ივნისს სიონის საკათედრო ტაძარში ეგზარქოსმა პიტიმირმმა ეკლესიაში ერთგული სამსახუ-

¹ ინახება მოძღვრის შვილიშვილის, ნინო ოქროპირიძის საოჯახო არქივში

² ქეთევან ოქროპირიძე, „ჩემი ცხოვრება“, მოგონებები, ინახება აქესენტი მკერელიძის საოჯახო არქივში

რისთვის დეკანოზის წოდება მიანიჭა. მთავარხუცესი თავისი ქადაგებებით ქრისტეს მოძღვრების გათავისების, სწავლა-განათლებისა და ერთიანობისკენ მოუწოდებდა ქართველებსა და ოსებს. 1905-07 წლებში ცხინვალში სიტუაცია დაიძაბა. ქეთევან ოქროპირიძე იხსენებს, რომ 1907 წელს ცხინვალში რუსი სოციალ-დემოკრატებისაგან შეგულიანებული ოსები შეკრებილან, „მეფის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ...გამოუძახიათ ყაზახები... ზარბაზნები დაუყენებიათ, სულ უნდა ამოებუვათ ცხინვალში ...ცხინვალელებს მათთან მოსალაპარაკებლად მამაჩემი აურჩევით ...ისე დაურწმუნებია რუსები, უკან გაბრუნებულან“...¹ მოძღვარი უშუალო თვითმხილველი და მონაწილე პროცესებისა, დეტალურად მოგვითხრობს ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზებზე. ქართული მხარის არაერთგზის მცდელობაზე მშვიდობიანად მოეგვარებინა პრობლემა. დეკანოზის აზრით, I მსოფლიო ომიდან მობრუნებული ოსები ბოლშევიკების მძლავრი ზეგავლენის ქვეშ იყვნენ. მათ „წითელი არმიის ცალკე პოლკი დააარსეს და მარჯვე დროს უცდიდნენ... ჯავის ხეობაში დაიწყო ბოლშევიკური პროპაგანდა“ ...მამა იროლიონი შეეცადა მშვიდობიანი საუბრებით წინ აღდგომოდა ქართულ-ოსურ დაპირისპირებას. ოსებს შეახსენებდა, რომ „ჩვენ თითქმის ათასი წელიწადი ტკბილი მეზობლობა გვქონდა... ბევრ ქართველსა და ოსს ერთი ძუძუ უწოვია“...² ერთ-ერთ მიტინგზე მიმავალ ოსებს დეკანოზმა მიუთითა მათ მცდარ ქცევასა და მოსალოდნელ შედეგებზე: „...მიწა-წყალი საკუთრებად გეძლევათ... ბევრით თავისუფლები ხართ ქართველებზე... სიკეთისა და მადლობის მაგივრად მოღალატეობას აპირებთ. ქართველობაც თუ გაცხარდა ცუდ რამეს გიზამთ

¹ ქეთევან ოქროპირიძე, „ჩემი ცხოვრება“, მოგონებები, ინახება აქესენტი მევრელიძის საოჯახო არქივში

² იროლიონ ოქროპირიძე, მოგონებები, ნაწილი II, გვ. 4

დალატისათვის...“¹ 1920 წელს ბოლშევიკური იდეოლოგიით გზაბნეულმა ოსებმა დააარსეს „როკის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“. ამან კიდევ უფრო დაძაბა ქართულ-ოსური ურთიერთობები. რუსებისგან წაქეზებულ ოსებში ექსტრემიზმა იძალა. დაიწყო ქართული სოფლების დარცვა, ქართველთა მკვლელობები...1920 წელს მაისში ოსებმა ტყვედ აიყვანეს ცხინვალში მაცხოვრებელი ქართველები, მათ შორის მამა იროდიონი და ფეხით გაუყენეს ვლადიკავკაზის გზას. მათთვის მლოცველ მოძღვარს ოსებმა ბრალი დასდეს ანტიოსურ გამოსვლებში. ბლალოჩინი მშვიდად გადმოგვცემს დატყვევების, ფეხით მგზავრობის, ოსთა მხრიდან შეურაცხყოფის სცენებს. ამავე დროს, მას არ ავიწყდება კეთილგანწყობილი ოსებიც, რომელნიც მას ცხინვალიდან ვლადიკავკაზამდე გზაში ხვდებოდნენ და ანუგეშებდნენ, აპურებდნენ. მაგალითად სოფელ ზაყაში, რომელსაც დეკანოზი მალრან-დვალეთის, ჩრდილო კავკასიასთან საქართველოს უკანასკნელ მოსამზღვრო სოფლად მიიჩნევს, იქაურ ოსებს სტუმართმოყვარეობა გამოუჩენიათ და დამშუულთათვის დო და ქარჯინები გამოუტანიათ. უფლის რწმენა ღვთისმსახურს უკიდურეს წუთებშიც არ დაუკარგავს, პირიქით, ამ განსაცდელს იგი ღმერთის ჯილღოდ მიიჩნევდა: „-ყველანი მშვირები ვართ. რამდენიმე დღის გამხმარი მჭადის ნაჭერი მოგვიტანეს ...კბილებიანიც კერას აკლებდა მას და მე უკბილო რას დავაკლებდი...ქვაზე დავნაყე, წყალში ჩავალბე და ისე ვჭამე...ამასაც უნდა დავჯერდე და ღვთისგან ცოდვისათვის დასჯილმა, ესეც ღვთის წყალობად უნდა მივიღო...მხიარულად განვაგრძე გზა...“² ღირსეულ მღვდელმსახურს არც მაშინ შეუხრია ქედი, როცა მისი შესაძლო დახვრეტის შესახებ აცნობეს.

¹ იქვე, გვ. 4

² იროდიონ ოქროპირიძე, მოგონებები, ნაწილი II, გვ. 10

სათნო მამის ჩანაწერებში უამრავი საინტერესო რამ იკითხება. მემუარისტი ერთნაირი სიზუსტით აღწერს ქართულ-ოსური ურთიერთობის დადებით და უარყოფით მხარეებს. ჩრდილოეთისკენ მიმავალ გზაზე, მას არაერთხელ შემოხვდა თავისი ნაგები ეკლესია; ალაგირში ჩასვლისას მამა იროდიონი იცნო ერთმა მღვდელმა, რომელმაც ასე წარუდგინა მრევლს დატყვევებული მოძღვარი: „მისიონერი ლეონიდე ოქროპირიძე რომ იყო აქ და არღონში სემინარიის დაარსებაზე რომ მოგვეშველა, ეს იმის ბიძაშვილიაო. ოსებმა დიდი მადლობით მოიხსენიეს ლეონიდი. იმან ჩვენ და ჩვენი შვილები ქრისტიანობაზე დაგვაყენაო“. შემდეგ იროდიონი განაგრძობს: „მეც საბაბი მომეცა და შემდეგი ვუთხარი: „ოსეთშიც საქართველოს ეკლესია ამტკიცებდა სარწმუნოებას და აშენებდა ეკლესიებს. აი, ახლაც მისიონერი ლეონიდი, ქრისტიანობის სახელით ცდილობს, როგორც ქართველების, ისე ოსების განათლებას... სწორედ ახლა თითქო ეშმას შეშურდა ჩვენი ტკბილი მეზობლობა და იმან შეაცდინაო, ოსებმა დაგვიწყეთ ზურგში ლახვრის ჩაცემა“... ჩემმა სიტყვამ, - აგრძელებს მამა იროდიონი, - მრევლში გაცხოველებული მსჯელობა გამოიწვია“.¹

საქართველოს ხელისუფლებამ მოახერხა უდანაშაულო ტყვეების დაბრუნება. 1920 წლის 12 ივლისის გაზეთში „ერთობა“ იროდიონ ოქროპირიძე მადლობას უხდის რესპუბლიკის მთავრობას, მათ შორის ჩრდილოელ ოსებს, რომელნიც ამხნევებდნენ და ეხმარებოდნენ მას. დეკანოზი იროდიონი აქტიურად იყო ჩაბმული ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისტთა მოძრაობაში. ხელმძღვანელობდა რუსულ მხარესთან გამართულ სხვადასხვა რანგის მოლაპარაკებებს. მონაწილეობდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ისტორიულ

¹ იქვე, გვ. 29-30

არჩევნებში. 1917 წლის იანვარში მღვდელ ვ. კარბელაშვილთან, დ. ჩხაიძესთან ერთად შედიოდა დეპუტაციაში, რომელმაც ეგზარხოსს გააცნო ქართველი სამღვდელოების გადაწყვეტილება საქართველოს ავტოკეფალიის შესახებ.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ძლიერ შეავიწროვა დეკანოზი იროდიონი. იგი რამდენჯერმე დააპატიმრეს. 1932 წელს კომკავშირელთა ე.წ. კომისიამ მოხუცი მოძღვარი ზამთარში საკუთარი ოჯახიდან გამოასახლა. დაუწვევს და დაუმტკვრიეს ცხინვალიდან მისი გამოძევების შემდეგ გადარჩენილი ხატები და ჯვრები. 1933 წელს იგი საკუთარ სოფელში გარდაიცვალა.

დამოწმებანი:

1. დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე, საინგილო და იქ ჩემი სამსახური, მოგონებები, ნაწ. I, ინახება მოძღვრის შვილიშვილის, პროფესორ ნინო ოქროპირიძის საოჯახო არქივში.
2. დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე, ჩემი ცხინვალში მოღვაწეობა, მოგონებები, ნაწ. II;
3. დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა, მოგონებები, ნაწ. III;
4. დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე, ლოცვის აზრი და მნიშვნელობა, ჩანაწერები ნაწ. IV;
5. ოქროპირიძე ქეთევან, ჩემი ცხოვრება, მოგონებები, ინახება აქესენტი მეგრელიძის საოჯახო არქივში;
6. ოქროპირიძე ზურაბ, ოქროპირიძეების საგვარეულო სოფლის მოკლე ისტორია, თბ. 2012;
7. ჩხეიძე ოთარ, საინგილო, ყოველწლიური ლიტერატურული აღმანახი „ლიახვი“, გორი, 1963; სიო 1905 წლისა, 1966; უღელტეხილზე, 1968;
8. მოისწრაფიშვილი ნატო, აქესენტი მეგრელიძე, თბ. 2008;

9. გოჩიტაშვილი გიორგი, ქრისტიანობა საინგილოში XIX საუკუნის მიმწუხრსა და XX საუკუნის დასაწყისში, მნათობი, 1989, №12; ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის ისტორიიდან, 1990, №9;
10. ჯანაშვილი მოსე, ჟამი ძიებისა და განსჯისა, თბ. 2006;
11. ჯანაშვილი მოსე, საინგილო, თბ. 1910;
12. ახალგაზრდა ივერიელი, 1990, №100
13. საპატრიარქოს უწყებანი, 2010, №16

Zurab Okropidze
Gori State Teaching University
MEMOIRS OF ARCHPRIEST IRODION
OKROPIRIDZE
RESUME

Archpriest Irodion Okropiridze (1859-1933) made important contributions to raise awareness of Georgians (Ingilos) and Ossetians National Religious. His memoirs is a precious materials at the end of the nineteenth century and the early of twentieth century the life of religious population of Saingilo and Tskhinvali (Liakhvi valleys), the historical - ethnographic and social - political, the essence of faith, on the fight of Georgian church autocephaly. The confessor uncovers the godless and anti-Georgian actions of Czarism and Bolshevism.

სახისმეტყველებითი ასპექტები
„წმ. კონსტანტი კახის წამებაში“

„წმ. კონსტანტი კახის წამების“ სახისმეტყველების საფუძველი სათაურიდანვე იწყება. თხზულების სრული სათაური, ფაქტობრივად, მოკლე ანოტაციაა: „ცხორებად და წამებად წმიდისა მოწამისა კონსტანტისი ქართველისაჲ, რომელი იწამა ბაბილონელთა მეფისა ჯაფარის მიერ“.¹ ეს სათაური თხზულების ძირითად სიუჟეტსაც მიუთითებს და მასში ასახულ ამბავსაც მოკლედ გვაცნობს. კერძოდ, წმ. კონსტანტის წამებამდე და მის შესახებ ჰაგიოგრაფიული თხზულების დაწერამდე ქართულ ჰაგიოგრაფიაში ასახულ მოწამეთა ნაწილი წარმოშობით არაქართველი იყო: წმ. შუშანიკი, წმ. ევსტათი მცხეთელი, წმ. აბო ტფილელი; ავტორმა სათაურშივე საგანგებოდ სიხარულით აღნიშნა, რომ წმ. კონსტანტი ქართველია. ამიტომ მისი თავდადება ქრისტიანობისათვის სხვა ქართველებისათვის მაგალითი უნდა გახდეს. სათაურში ისიცაა ნათქვამი, რომ თხზულება ჰაგიოგრაფიის ორივე მიმართულების – წამებისა და ცხოვრების შეზავებაა: „ცხორებად და წამებად“, ხოლო კონსტანტი უკვე კანონიზებული წმინდანია.

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963-1964, გვ. 165.

თხზულებაში წმ. კონსტანტის წამებულად ქცევამდე მისი ცხოვრების ქრისტიანული წესი და ლიტურგიული ცნობიერების კვალობაზე ცხოვრებაა აღწერილი, რომელიც წამებით სრულდება, ამიტომაც უწოდა მას ავტორმა „ცხოვრებად და წამებად“.

თხზულების ჟანრობრივი რაობის შესახებ კორნელი კეკელიძემ აღნიშნა, რომ მასში დაცულია ყველა ის ნორმა, რასაც ჰაგიოგრაფიული ჟანრის მწერლობა მოითხოვს. ივ. ჯავახიშვილმა თხზულებაში აღწერილი ამბების ისტორიული ღირებულება განსაზღვრა და სანდლობა აღნიშნა: „ეს თხზულება უტყუარს ცნობებს შეიცავს და ნდობის ღირსია“.¹ ყოველივე ეს მოწმობს, რომ თხზულება ჰაგიოგრაფიულია და, როგორც ყოველი ჰაგიოგრაფიული თხზულება, ამავე დროს, ისტორიული ღირებულებისაცაა, რადგან მასში IX საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ-იდეოლოგიური, სოციალური, კულტურული ვითარება აისახა.

თხზულებაში ასახული ეპოქა, ავტორი, დაწერის თარიღი. თხზულების ავტორი დასაწყისში უთითებს, თუ რა მიზნით დაწერა ეს ნაწარმოები და, საზოგადოდ, წარმოაჩინა ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს რა მიზანდასახულობა ახასიათებთ. „მეფენი მის ჟამისანი“ მორწმუნეებს ქრისტეს რჯულისაგან განდგომას და მაჰმადიანობის მიღებას აიძულებდნენ. სწორედ ამგვარ დროს გამოჩნდებოდნენ ქრისტიანები, რომლებიც, საღმრთო შურით აღჭურვილნი, მთელ ერს, მთელ საქრისტიანოს რჯულის დასაცავად მაგალითს აძლევდნენ და მისთვის ეწამებოდნენ კიდევ. კაცობრიობას რომ შემონახვოდა წმინდა მოწამეთა ღვაწლი და დამსახურება ქრისტიანული რელიგიის წინაშე, აღმოჩნდებოდნენ მწერალი-ჰაგიოგრაფი-

¹ ივანე ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს), თხზულებანი თორმეტ ტომად, VIII, თბ., 1977, გვ. 90

ბიც, რომლებიც საღმრთო შუროთ აღჭურვილთა მიბაძვად აღწერდნენ და შთამომავლობას უტოვებდნენ „აღსაბაძველად“. მომავალ თაობებს წინაპართა თავდადება, ღვაწლი, სარწმუნოების დასაცავად თავგანწირვა და მოწამედ აღსრულების ამბავი უნდა სცოდნოდა, რათა საჭიროებისას მასაც იგივე გაეკეთებინა და სულიერი სიმტკიცის ფასად რჯულისა და მამულისათვის თავი გაეწირა. ამ მიზეზის გამო წერს უცნობი ავტორი „წმ. კონსტანტის ცხორებასა და წამებას“. თხზულების ავტორმა ჰაგიოგრაფიული ჟანრის კვალობაზე აღნიშნა საკუთარი უძღურება: „მეცა არაღირსმან... აღწერე ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა კონსტანტისი, რომელი იყო დღეთა ჩუენთა“;¹ თავის მხრივ, ამ ფრაზას ლიტერატურულ-ისტორიული ღირებულებაჲ აქვს, რადგან ჩანს, რომ ავტორი კონსტანტის თანამედროვე იყო, ხოლო წმ. კონსტანტი აწამეს „მეფობასა ღმრთის-მსახურისა თეოდორა დედოფლისა, რომელ-იგი მეუფებდა სამეფოსა ბერძენთასა, ვიდრე-იგი ყრმა-ლა იყო ძმ იგი მისი მიქაელ“.² ამ მხრივ ყურადღებას იქცევს თხზულების კომპოზიცია. მასში ჩართულია ბიზანტიის დედოფლის თეოდორას ეპისტოლე, რომელიც თხზულებაში ასახულ ამბავს ერთგვარად ავსებს, რადგან განსაზღვრავს წმ. კონსტანტის წამების მნიშვნელობასა და ბიზანტიის დამოკიდებულებას საქართველოსადმი, ამავე დროს, წარმოდგენას გვიქმნის ბიზანტია-საქართველოს, ბიზანტია-არაბეთის ურთიერთობაზე. ნათლად ჩანს, რომ ბიზანტიის დედოფალი იმპერიის პოლიტიკას აგრძელებს და საქართველოს თავისი პოლიტიკური გავლენის სფეროში აქ-

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 165.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 165

ცევს. ეს ის პერიოდია, როდესაც ბიზანტიაში ხატთა თაყვანისცემა უკვე აღდგენილია: დედოფალმა „განწმინდა საბერძნეთი ყოველი საცთურისა მისგან, რომელი იყო დღეთა ქმრისა მისისათა, ხატის ურწმუნობისა. და განამტკიცა ღუაწლი ბერძენთა და მრავალნი ჭალაკნი აღაშწნა, რომელნი მოკრებულ იყვნეს აგარიანთა მიერ“.¹

საქართველოში არაბების ბატონობის დროს თბილისის ამირა საჰაკი წლების განმავლობაში ცდილობდა თბილისი ხალიფასაგან დამოუკიდებლად ემართა. 853 წელს აღ-მუთავაქილმა სომხეთში არაბების წინააღმდეგ მიმდინარე აჯანყების ჩასაქრობად ბულა თურქი გაგზავნა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ბულამ თბილისისაკენ გაილაშქრა, საჰაკი დაამარცხა და მოკლა კიდევ. ეს ამბები „ქართლის ცხოვრებაშია“ აღწერილი და ატენის სიონის წარწერაც ამასვე მოწმობს. ამ საკითხის შესახებ ცნობილია უცხოური წყაროებიც, კერძოდ, არაბ ისტორიკოსთა თხზულებები.

თხზულებაში ასახულია ეპოქა, როდესაც ქართლს, საზოგადოდ, მთელ საქართველოს არაბები დაესხნენ თავს და ქვეყანა უდიდესი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. ესაა IX საუკუნის შუა წლები, კერძოდ, 853 წელი, როდესაც არაბთა ხალიფამ ბულა თურქის მეთაურობით საქართველოში ლაშქარი წარმოგზავნა. ამ დროს ქართლის დიდი ნაწილი და დედაქალაქი თბილისი ისედაც არაბთა ხელთ იყო. სწორედ ამდროინდელ ამბავს ასახავს ანონიმი ავტორის ჰაგიოგრაფიული თხზულება „წმ. კონსტანტის წამება“. ამიტომ მას საისტორიო მნიშვნელობაც ენიჭება, რადგან იგი IX საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ-სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ვითარებას გვაცნობს. თხზულების დასასრულს ავ-

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 165

ტორი ჰაგიოგრაფიული ჟანრისათვის დამახასიათებელი მეთოდით აღნიშნავს: „და ესე მრავლისაგან მცირედი აღიწერა სიმკნეთაგანი წმიდისა კონსტანტისი, რადთა იყოს თქუებული ესე შემოკლებულ და სრულ, რადთა არა იყოს შემაწუხებელ ნაკლულევანებითა, არცა ნამეტნავ განგრძობითა, სადიდებულად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამჴნ“.¹ ეს მწერლის სტილია, ჰაგიოგრაფი მწერლის სტილური მახასიათებელი, რომელსაც ჰაგიოგრაფები ხშირად მიმართავენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰაგიოგრაფის დამოკიდებულება თხზულებაში ასახული ამბისადმი, რომელიც მისივე შეფასებით უნდა იყოს სრულყოფილი და ლაკონიური, რათა არც მისმა სიტყვაძმრავლობამ, არც მისმა სიტყვანაკლულობამ მკითხველი არ შეაწუხოს. ჰაგიოგრაფიის სტილი სიზუსტეს, ლაკონიურ თხრობას, სიტყვის მაქსიმალურად სიმბოლურ დატვირთვას მოითხოვს, რათა მკითხველს//მსმენელს შეაგრძნობინოს და შეაცნობინოს უმთავრესი: დაუსახოს გზა სულიერი სრულყოფისაკენ, ზეცათა მოქალაქობის მოპოვებისაკენ, განდმრთობისაკენ, შეუმსუბუქოს ტვირთი წამებისა და მოწამის გვირგვინით შემკულს დაუკვიდროს ადგილი „ნათელსა მას ზემთა საუკუნეთასა“.

ქართლში ბუღა თურქის ლაშქრობის დროს ტყვეთა შორის აღმოჩნდა 85 წლის კონსტანტი, ერისთავი, რომელიც ნაწარმოებში მოხსენიებულია როგორც კონსტანტი კახი: „რომელსა ეწოდა კახი სახელად მამეულისა მის ქუეყანისა“.² აქედან ჩანს, რომ იგი წარმოშობით კახეთიდან იყო. საინტე-

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 170

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 165

რესოა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება წმინდანის სახელის შესახებ, რადგან მას მიაჩნია, რომ კონსტანტი შემოკლებული სახელია, ხოლო ქართველ მოწამეს „ეწოდა კახაჲ სახელად მამულისა მის ქუეყანისა“, რის გამოც ფიქრობდა, რომ „მას ნათლობის სახელად საქრისტიანო კონსტანტინე რქმევია, ხოლო შინაურებში და ჩვეულებრივ მას ალბათ ძველს ქართულს, წარმართულს სახელს კახას ეძახდნენ“.¹ ცხადია, რომ კონსტანტი შემოკლებულია და კონსტანტინესაგან მიღებული სახელია. მაგრამ დასაზუსტებელია, რომ კახა // კახაჲ//კახი ტომის აღმნიშვნელი უნდა იყოს და არა წარმართული საკუთარი სახელი კახა, როგორც ამას ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობდა. თხზულების ავტორი წმ. კონსტანტის ქართველობას სათაურშივე აღნიშნავს, ხოლო მისი კახობა, როგორც ამას ზემოთ დამოწმებული ციტატა მიუთითებს, მამაპაპეული თვისტომობის აღსანიშნავად შემოაქვს.

ნეტარ კონსტანტის უყვარდა ეკლესია-მონასტრები და მღვდელ-მონაზვნები, უხვად გასცემდა მოწყალებას და „ზრდიდა მშვიერ-მწყურვალთ და ქვრივ-ობლებს“. არაბთა ამირა საჰაკს აფხაზეთის მეფე უჭერდა მხარს; სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კონსტანტი აფხაზთა მეფის ბანაკში იყო; ბაგრატ კურაპალატი, ძე აშოტ დიდი კურაპალატისა, მეფისაგან განსხვავებით, თბილისის ამირას წინააღმდეგ ხალიფას მხარეზე იყო. კონსტანტი 26 აგვისტოს თბილისის ციხეში ჩასვეს და მაჰმადიანობის მიღება მოსთხოვეს: „მოიქეც ცთომილებისაგან შენისა, და მიიღო ჩემგან კეთილი და უადრწსი პატივი, და გყო შენ თანამზრახველად ჩემდა და უდიდებულწს ყოველთა მოყუასთა შენთა და უკუეთუ არა ისმინო ჩემი, სიკუდილითა მოჰკუდე შენ პირითა მახვლი-

¹ ივანე ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ტ. VIII, გვ. 87-88

სადაც და კორცნი შენნი მივსცნე საჭმელად მფრინველთა ცისათა“.¹ ცხადია, მან უარი განაცხადა, რის შემდეგაც ბაბილონის სამეფოში ქალაქ სამარიაში გაგზავნეს; 853 წლის 10 (23) ნოემბერს კონსტანტი სიკვდილით დასაჯეს და თავი მოჰკვეთეს. ასე ვითარდება თხზულების სიუჟეტი.

„წმ. კონსტანტი კახის წამება“ IX საუკუნეზე გვიანდელი არაა, რადგან წმინდა კონსტანტისადმი მიძღვნილი საგალობლები, რომლებიც მიქაელ მოდრეკილის კრებულშია (978-988) შეტანილი, მიქაელს თვითონ არ შეუთხზავს, არამედ ადრეული ნუსხებიდან გადაუწერია. ტექსტოლოგიური შედარებიდან კი ირკვევა, რომ საგალობლების ავტორი იცნობდა „კონსტანტი კახის წამებას“, რაც ჰავიოგრაფიული თხზულების დასათარიღებლად მნიშვნელოვანი არგუმენტია. საგალობლების შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისინი IX საუკუნის ბოლოს მაინც უნდა იყოს შექმნილი.² კ. კეკელიძე მიიჩნევდა, რომ ჰიმნოგრაფი „წამების“ ტექსტით სარგებლობს; ის, რაც „წამებაში“ ვრცლადაა მოთხრობილი და დეტალურად გადმოცემული, საგალობელში მოკლედ, ჰიმნოგრაფიისათვის დამახასიათებელი სტილით არის ასახული, მოწამის სათნოებანი ზოგადად არის ნაჩვენები; ამ გადმოცემისას იგრძნობა, რომ ჰიმნოგრაფი „კონსტანტი კახის წამების“ დეტალებს კარგად იცნობს. მიქაელ მოდრეკილის კრებულში წმ. კონსტანტისადმი მიძღვნილი საგალობლის სრული ტექსტი არ არის მოთავსებული, რასაც XI-XII საუკუნეების ხელნაწერული მონაცემები მოწმობს. მაგ., კრებულში

¹ ძველი ქართული ავოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 168

² კორნელი კეკელიძე, კონსტანტი კახის მარტვილობა და ვინაობა, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956, გვ. 143-144

არაა გადაწერილი პირველი ჰიმნის შემდგომი საგალობელი – „რომელი ვითარცა ცხოარი მწყემსისა კეთილისაჲ გმობითა განემორე“.¹ კ. კეკელიძის დაკვირვებით: „ეს ჰიმნები რომ მიქელს შეეთხზა, ის ვერც ამ საგალობელს გამოსტოვებდა თავის ავტოგრაფში და ვერც აღნიშნულ შეცდომებს დაუშვებდა; მამასადაძე, მას ხელთ ჰქონია სხვა, უფრო ძველი ნუსხა, რომელშიც ადგილი ჰქონია ამ შეცდომებს. სანამ ამ ჰიმნებში ასეთი შეცდომები დაკანონდებოდა, რასაკვირველია, გადაწერის პროცესში კარგა ხანს უნდა გაეგლო, ამისთვის საჭირო იქნებოდა არანაკლებ ერთი საუკუნისა მანძი“.²

კ. კეკელიძე და ი. ჯავახიშვილი თხზულების ავტორობასთან დაკავშირებით ფიქრობდნენ, რომ ავტორი ქართულ სამყაროს მაინცდამაინც კარგად არ იცნობდა და ამიტომ ხომ არ შეიძლებოდა იგი საბერძნეთში მოღვაწე რომელიმე ბერი ყოფილიყო. კ. კეკელიძე წერს: „ვინ არის ავტორი არ ვიცით; თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ის კონსტანტის წამებას ათარიღებს ბერძენთა იმპერატორის მეფობით და თან მთელი მისი ეპისტოლე მოჰყავს, სადაც ხაზგასმულია ბერძენთათვის სასურველი ურთიერთობა ქართველებთან, რომ ის დაწერილებით არ აგვიწერს არამცთუ საქართველოს მდგომარეობას კონსტანტის 85 წლის სიცოცხლეში, არამედ თვით მის ამბავსაც ძალიან მოკლედ გადმოგვცემს, – შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მარტვილობის ავტორი არის საბერძნეთში მყოფი რომელიმე ბერი, ანდა დასა-

¹ კორნელი კეკელიძე, კონსტანტი კახის მარტვილობა და ვინაობა, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, გვ. 144

² იქვე

ვლეთ საქართველოში, აფხაზეთში მკვიდრი რომელიმე მწერალი“.¹

თხზულების წყაროები. როგორც ყველა ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში, „წმ. კონსტანტი კახის წამებაშიც“ წყარობად, უწინარეს ყოვლისა, ბიბლიური წიგნები უნდა დასახელდეს, რადგან მასში არა მხოლოდ ციტირებულია ძველი და ახალი აღთქმის მუხლები, არამედ მთელი თხზულება ბიბლიური სახისმეტყველებითაა გამსჭვალული და წმინდანის ხატ-სახე ავტორის მიერ ჰიპოდიმურ-პარადიმული სტრუქტურით აისახება. თხზულებაში შეინიშნება „მრწამსის“ ტექსტისა და ლოცვების დამოწმებები, კერძოდ, გამოყენებულია ლოცვა მიცვალებულთათვის, რაც იმას მოწმობს, რომ ავტორი პერსონაჟს ლიტურგიული ცნობიერების კვალობაზე წარმოაჩენს.

კ. კეკელიძის დაკვირვებით, ავტორს გამოუყენებია ალექსანდრიის პატრიარქის, გიორგის (616-630) მიერ დაწერილი „წმ. იოანე ოქროპირის ცხოვრება“, რომლის ქართული თარგმანი შემონახულია 977-980 წლებში ოშკის ლავრაში საბას მამასახლისობისას იოანე-თორნიკესა და იოანე-ვარაზ-ვაჩესათვის იოანე ჩირაძს ხელით გადაწერილ ხელნაწერში, ათონის ქართულ მონასტერში გადასატანად. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, „წმ. კონსტანტი კახის წამების“ ავტორს შესავლის წერისას გიორგი პატრიარქის დაწერილი წიგნით უსარგებლია. მასში ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ გაჩნდა საღმრთო წიგნები და შემდეგ წმიდანთა „ცხოვრებანი“, რომელთა მიბაძვითაც შეუქმნია ავტორს კონსტანტი კახისადმი მიძღვნილი წიგნი (კეკელიძე, 1960: 521),² კერძოდ,

¹ კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1979, გვ. 521.

² კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 521

საუბარი შეეხება თხზულების შესავალ ნაწილს, I თავს, რომელშიც შესაქმის, გამოსლვათა, სახარებათა და საქმე მოციქულთა წიგნების შესახებ არის მსჯელობა. „წმ. კონსტანტი კახის წამების“ ერთ-ერთ წყაროდ კ. კეკელიძემ იოვანე საბანის ძის თხზულებაც მიიჩნია, რადგან დასაწყისშივე ორივეგან საღვთისმეტყველო პრობლემებზეა საუბარი, ხოლო ავტორის საღვთისმეტყველო ცოდნა და მსოფლმხედველობა არეკლილია წმ. კონსტანტი კახის შესახებ დაწერილ წამებაშიც.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ თხზულებაში პოლემიკური ნაკადი აისახა, პოლემიკა გაიმართა არაბთა მეფესა და წმ. კონსტანტის შორის და იგი დოგმატურ საკითხებს შეეხო. სწორედ ამ მონაკვეთში შეინიშნება მაჰმადიანობის უპირველესი წიგნის „ყურანის“ ცოდნა, რომელსაც წმ. კონსტანტის მიერ ახალი აღთქმის დოგმათა ცოდნა დაუპირისპირდა.

პერსონაჟები, სახისმეტყველება. წმ. კონსტანტი თხზულების მთავარი პერსონაჟია და სხვა პერსონაჟები მის ირგვლივ მისი სახის სრულყოფილად წარმოსახვისათვის არიან შემოყვანილნი. ისინი წმ. კონსტანტის ხატ-სახის საჩვენებლად ფონს ქმნიან.

წმ. კონსტანტი, რომლის შესახებ თხზულების სახელწოდებაშივე აღინიშნა, რომ იგი ქართველია, ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო, გულწრფელი სიყვარულით ემსახურებოდა მონასტრებსა და ეკლესიებს, ასევე, ქვრივ-ობლებს, ყველა გლახაკს იწყნარებდა და გაიკითხავდა. კონსტანტის ამ ღვაწლის წარმოსაჩენად ავტორმა ევანგელური მოძღვრებით შტაგონებული შედარება გამოიყენა: „ესე ნეტარი შემკობილ იყო ორკერძოდთავე მით საქმითა, ვითარცა ხც ფურცლითა და ნაყო-

ფითა“.¹ თხზულების ავტორი გვამცნობს, თუ რა კეთილი ნაყოფის მომცემი იყო ნეტარი კონსტანტის მოღვაწეობა და მის მიერ ჩადენილი კეთილი საქმეები ამ კაცის სულიერ სიწმინდეზე მეტყველებდნენ. ნეტარი კონსტანტის „ორ-კერძო-თავე მით საქმითა“ შემკობა სასულიერო და საერო პირთა მიმართ დახმარებას, თანაგრძნობას, თანალმობას მოწმობს.

ავტორმა აღწერა, თუ როგორ ემსახურებოდა კონსტანტი თავის ერს, ნათესავებს, შორი ქვეყნიდან მოსულ სასულიერო პირებს, ბერმონაზვნებს, გლახაკებს, დავრდომილებს, ყველას, ვინც დახმარებასა და თანადგომას საჭიროებდა: „და კუალად აქუნდა ნეტარსა მას სარწმუნობად მღდელთ მოძღუართა მიმართ და ყოველთა მოწესეთა ეკლესიისათა, ვითარცა იგი ღირს არს და მართალ და უწყუარდეს მონაზონნი და აქუნდა მათა მიმართ სარწმუნოებად, და მოსწრაფე იყო მსახურებასა მათსა“.² თხზულებაში წმ. კონსტანტი სტუმართმოყვარეობისა და გლახაკთმოწყალების ნიჭითაა წარმოდგენილი, რაც ქრისტიანული ცხოვრების აუცილებელ წესად იყო მიჩნეული. მხატვრული დონის გათვალისწინებით ნაწარმოებში აღწერილი ეს ეპიზოდი ერთ-ერთი საუკეთესოა, რადგან იგი წმ. კონსტანტის სულიერ მდგომარეობას, კეთილი საქმისათვის თავდადების მზაობას გამოხატავს: „ვინ, სადა ვინ მივიდა მისა შშიერი, ანუ წყურიელი, და არამცა განაძლო იგი, ანუ შიშუელი და არა შემოსა იგი სიხარულით?! მრავალნი მოივლტიედ მისა შორით ქუეყანით ლტოლვილნი თანამდებთა თუსთავან, ხოლო მან მხიარულებითა დიდითა გარდაჰკადის თანანადები იგი მათი. ვინ-ა სადა იხილა ობოლი, გინა ქური-

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 165

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 165

ვი, და არა მსწრაფლ იღუაწა იგი?! და ამას ყოველსა თანა ფრიად მოღუაწე იყო იგი ნაკლულევანთათჳს სახლისა თ სისათა“¹, რაც პავლე მოციქულის ტიმოთეს მიმართ ეპისტოლიდან ერთი მუხლის სიბრძნითაა განმარტებული და მოტივირებული (ტიმ. 5, 8). შიშველთა შემოსვა, მშიერთა და მწყურვალთა დაურვება ევანგელური სიბრძნიდან მომდინარეობს, რაც ყოველ ქრისტიანს ბავშვობიდანვე შეთვისებული და ცხოვრების აზრად აქვს ქცეული.

საგულისხმოა, რომ თხზულებაში უპირველესი ქრისტიანული ლოცვის „მამაო ჩვენოს“ ელემენტებიც შეიცნობა. აქ ავტორმა რიტორიკული სტილის გამოყენებით წმ. კონსტანტის ჭეშმარიტი ქრისტიანის ხატ-სახე ნათლად წარმოაჩინა და იდეალური თვისებებით შემკული დახატა. საზოგადოდ, ავტორი ბიბლიური ჰიპოდოქმებითა და პარადოქმებით მსჯელობს, ბიბლიურ ციტატებსა თუ რემინისცენციებს იყენებს; თავად კონსტანტი საოცარი თავმდაბლობით, წინასწარმეტყველებით გამოირჩევა, რადგან მზადყოფნას ქრისტიანობის დასაცავად სისხლის დათხევისათვის ყოველთვის გამოხატავდა: „არა ვინაჲ ვესავ მოტვეებასა ცოდვათასა, გარნა დათხევითა სისხლთა ჩემთაჲთა მისთვის, რომელმან იგი დასთხივნა სისხლნი ჩუენთვის“². ავტორი მას ნეტარებათა ყველა ნიშნის მფლობელად ხატავს, რითაც პერსონაჟის ლიტურგიული ცნობიერება წარმოჩნდება. ამის ერთ-ერთი მოწმობაა მისი იერუსალიმში წასვლა: „გული უთქუმიდა ტადარსა მას მისლვად იერუსალჳმდ, და თაყუანისცემად წმიდასა გოლგოთასა, რადა-იგი იქმნა განახლებაჲ ჩუენი მარჯუენისაგან მალლისა

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 165

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 166

და ნათლით შემოსილისა და ცხორების მომცემელისა საფლავისა და წმიდისა სიონისა, დედისა ეკლესიათადასა“, რათა მოეხილა და მოელოცა ის ადგილები, „ყოველთა წმიდათა ადგილთა, რომელთა დადგეს ფერკნი უფლისანი“. ¹ წმ. კონსტანტი ღმერთს ჰმადლობდა, რომ იგი ღირსი გახდა წმინდა ადგილთა ხილვისა: „და მოილოცნა წმიდანი იგი ადგილნი, და საფასს დიდძალი მისცა ეკლესიათა, გლახაკთა და მკვდრთა იერუსალმისათა“, „მოვლნა ყოველნი მონასტერნი უდაბნოდსანი და მკვდრნი იორდანისანი“, ² რომელთაც „მრავალი განსუენებად და ნუგეშინის-ცემად მიემაღლა“. ³ თვით იქაურმა მკვიდრმა ბერებმაც დიდძალი წყალობა გასცეს წმინდანზე და სამშობლოში მშვიდობიანად წარგზავნეს. წმ. კონსტანტი საქართველოში დაბრუნების შემდეგ იერუსალიმში ყოველწლიურად გზავნიდა სამი ათას ვერცხლს წმიდა ადგილებისა და გლახაკების გასაკითხად, რასაც ავტორი პავლე მოციქულის მოძღვრებით ხსნის: „ნამეტნავი ეგე თქუენი იყავნ ნაკლულევანთა მათთჳს, რომელნი არიან იერუსალმს, რადთა მათიცა იგი ნამეტნავი იყოს თქუენისა მის ნაკლულევანებისათჳს“ (კორ. 8, 14). ეს იყო წმ. კონსტანტის ღვაწლი, რაც მომავალში ზესთასოფელში უფალთან ადგილის დამკვიდრებაში შეუწყობდა ხელს.

მომავალ ქართველ წმინდანს საკუთარი თავი უცოდვილესად მიაჩნია, რაც მისი ლიტურგიული ცნობიერების გამოხატულებაა, რადგან მთელი ერის ცოდვათა მტკვირთველად

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 166

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 166

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 166

წარმოგვიდგება. წმ. კონსტანტი ოთხმოცდახუთი წლის ასაკში იმყოფებოდა, როდესაც ქართლს არაბები დაესხნენ თავს და მოაოხრეს მთელი ქართლი, ყოველი კუთხე ქვეყნისა; ცხადია, სარწმუნოებრივი თვალსაზრისითაც ქვეყანას დიდი საფრთხე დაემუქრა; ფაქტობრივად, სარწმუნოებრივი და ეროვნული გადაგვარების წინაშე დადგა. ამგვარ პერიოდში ღმერთი ქვეყანას მოუვლენდა მეოხსა და სულიერ მხსნელს წმინდანის სახით, რადგან სწორედ ამ დროს გამოჩნდებოდა მოწამე, რომლის ღვაწლი მთელ ქვეყანას განეფინებოდა. ასეთად მოვევლინა საქართველოს IX საუკუნის შუა წლებში მოწამე წმ. კონსტანტი კახი, რომლის მოწამეობა ღვთის წინასწარგანზრახულებით, განგებით აღსრულდა. საზოგადოდ ენაწყლიანი ავტორი ამ შემთხვევაში საკმაოდ სიტყვაძუნწია და წმ. კონსტანტის არაბთაგან შეპყრობის კონკრეტულ მიზეზს არ გვამცნობს. მხოლოდ იმას გვიყვება, რომ მთელს ქართლში დიდი ლაშქარი („წყობანი დიდნი“) შემოვიდა და მრავალი ქრისტიანი, რომლებიც ქრისტეს რჯულის ერთგულნი იყვნენ და მისი შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ, მოწყლეს და ამოხოცეს. ბევრიც პატიმარყვეს და არაბთა ჯარის მეთაურს მიჰგვარეს. მათ შორის იყო წმ. კონსტანტი ქართველი. „შეიპყრეს კელად ვითარცა წინამძღუარი და წარჩინებული ყოველსა ქუეყანასა ქართლისასა და პირველი ნათესავთა მისთაჲ, და შებორკილეს იგი და ევრეთ წარიყვანეს ქალაქად ტფილისად და შეაყენეს იგი საპყრობილესა“.¹ კონსტანტი „არა შეშინდა, არცა შეძრწუნდა, არამედ სიხარულით შეიწყნარა მოწყენული იგი მას ზედა და ჰმადლობდა იგი

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 167

უფალსა“;¹ საგულისხმო ფაქტია, რომ წმ. კონსტანტიც, სხვა მოწამე წმინდანთა მსგავსად, მოსალოდნელ განსაცდელს სიხარულით ეგებება. უთუოდ გაგვანსენდება წმ. შუშანიკი, წმ. ევსტათი, წმ. აბო და სხვ. თავდაპირველად იგი „მძლავრის მის“ ბუღას წინაშე წარადგინეს, რომელმაც საყვედურით მკაცრი სიტყვებით მიმართა, რათა დაეფრთხო და შეეშინებინა: „ანუ არა უწყოდე შენ, რამეთუ განრინებად იყავ სივლტოლითა შენითა კელთაგან ჩემთა, რამეთუ არავინ არს განდგომილთაგანი, რომელსაცა არა ვსძლე“.² იშვიათი სიმხნით, საკუთარი ერის ცოდვათა კისრებითა და შეგნებითაა აღსავსე სანატრელი კონსტანტის პასუხი ბუღა თურქისადმი: „მეცა უწყი, ვითარმედ ღმერთმან მიგუცნა კელთა თქუენთა, არამედ არა სიყუარულისა თქუენისათჳს, არცა საქმეთა თქუენისათჳს კეთილთა, არამედ რამეთუ არა დავიმარხნით ჩუენ მცნებანი მისნი; ამისათჳსცა ნათესავითა მით ურჩებისადთა განგუკაფნა ჩუენ, რამეთუ მრავალგზის ისრაჴლიცა მისცის უფალმან კელთა უცხოთესლთასა, რაჟამს არა ვიდოდიან იგინი გზათა მისთა. ხოლო ჩემდა კეთილ არს, რამეთუ დამამდაბლა მე უფალმან, რადთა დავიმარხნე მცნებანი მისნი“.³ წმ. კონსტანტიმ იცოდა, რომ ქართველი ერი არაბთა ხელით საკუთარი ცოდვის გამო ისჯებოდა: „და სიმჴნით დაითმენდა იგი უკეთურისა მის მძლავრებათა, რამეთუ ეჴსენა მას სიტყუად იგი ღმრთისად, რომელსა იტყჳს: „ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გღვენიდენ და გყუედრიდენ, და თქუან ყოველი სიტყუად

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 33. 167

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 33. 167

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 33. 167

ბოროტი თქუნდა მომართ სიცრუვით ჩემთვის“¹, ხოლო ერთი ადამიანის ცოდვაც კი მთელ ერზე ვრცელდება და მთელი ერის ცოდვის გამოსყიდვა კი მსხვერპლშეწირვით, მხოლოდ წმინდა სისხლის დაღვრით შეიძლება. წმ. კონსტანტინოსთვის სულიერი გზამკვლევი მათე მახარებლის სიტყვებია (მათე, 5,11), მას მუდმივად ახსოვს, რომ ნეტარია ის, ვინც ქრისტიანობისათვის ტანჯვას დაითმენს.

აუცილებელია მცირეოდენი ექსკურსი წმ. კონსტანტინე წამების ადგილის შესახებ, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა. პ. პეტერსი თომა არწრუნის ცნობათა საფუძველზე ფიქრობდა, რომ კონსტანტი ბულა თურქმა აწამა ალბანიაში და არა ხალიფა მუთავაქილმა სამარიაში. კ. კეკელიძემ მისი არგუმენტები უარყო და განაცხადა, რომ პეტერსის მოსაზრება სწორი არ იყო, რადგან ისიც კი არ იყო ცნობილი, თუ ვის ეხებოდა თომა არწრუნის ცნობა. ხოლო „წმ კონსტანტინე წამების“ მიხედვით ნათლად ჩანს, დაკითხვას სარდალი კი არა, მეფე/ხალიფა, ანუ გვირგვინოსანი პირი, რომ აწარმოებდა და წამებაც სამარიაში აღსრულდა. კ. კეკელიძემ პ. პეტერსის არც ის მოსაზრება გაიზიარა, რომ წმ. კონსტანტი სომხური ქრისტიანობის, ე. ი. მონოფიზიტობის, მიმდევარი იყო. მისი სრულიად მართებული აზრით: „ძნელი დასაჯერებელია, უკეთ რომ ვთქვათ, შეუძლებელია, რომ მეცხრე, მეათე, მით უმეტეს მეთერთმეტე საუკუნეში, როდესაც სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივი ურთიერთობა იმდენად გამწვავებული იყო, რომ ქართველები ყოველ კვალს შლიდნენ სომხებთან ოდესღაც ეკლესიურ-კულტურული კავშირისას. სომეხთა სარწმუნოების მიმდევარი კაცი, თუგინდ ქართველი ტომით, წმინდა-

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 167

ნად ეღიარებინათ მათ, მისი სახელობის დღესასწაული დაეწესებიათ, ჰიმნები და მარტვილობა დაეწერათ მისი და საეკლესიო კალენდარშიც მიეღოთ იგი“.¹

შებორკილებული წმ. კონსტანტის წარდგენა არაბთა ხალიფასთან, „მეფესა მას ისმაიტელთასა, რომელსა სახელად ერქუა ჯაფარ, ძმ აბრაჰამისი“;² ბაბილონის ქალაქ სამარიაში ჰიპოდიმურ-პარადიმული სტრუქტურითაა წარმოდგენილი, მისი და ჯაფარის შეხვედრა-საუბარი მაცხოვრისა და პილატეს საუბარს გვაგონებს. თავისთავად არაბთა ხალიფას ამგვარი მოხსენიებაც – „ჯაფარ, ძმ აბრაჰამისი“ – ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან აბრაამის შთამომავლების ორი შტოა ცნობილი: კანონიერი, სარასგან შობილთა, ე. ი. ისააკის შთამომავალთა შტო, და უკანონო, აგარეანთა, აბრაამის მხევლის აგარის მიერ შობილის, ისმაელის შთამომავალთა შტო. ამ უკანასკნელს საღვთისმეტყველო ლიტერატურა აბრაამის დაკარგულ შთამომავლობად და აგარეანებად მოიხსენიებს. ჩანს, ავტორს სწორედ ამ საკითხის საგანგებოდ აღნიშვნა სურდა და ამიტომაც მოიხსენია ჯაფარი აბრაამის ძედ.

არაბთა ხალიფა ფიქრობდა, რომ კონსტანტის სულიერი მომავლის გამგებელი თავად იყო და შეხვედრისას მას მკაცრად განუცხადა: „აჰა ესერა მოცემულ ხარ შენ ჳელთა ჩემთა და მეუფებად მაქუს შენ ზედა ყოფად კეთილისა და ბოროტისა, არამედ ისმინე და მერჩდი მე, – აღილე რჩული ჩუენი და უვარ-ჰყავ ცთომად იგი შენი ქრისტჳს ღმრთისათჳს, რამეთუ გონიერად გხედავ შენ; და ვითარ აწ ლიტონსა კაც-

¹ კორნელი კეკელიძე, კონსტანტი კახის მარტვილობა და ვინაობა, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, გვ. 141

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 168

სა, დედაკაცისაგან შობილსა, ღმრთად აღიარებ?“¹ წმ. კონსტანტის მეფე ჯაფარიც ბუღას მსგავსად ესაუბრება, ურჩევს ქრისტესგან განდგომას, რადგან დედაკაცისაგან ნაშობი ადამიანი ღმერთი ვერ იქნება. მეფე რჯულის გამოცვლის სანაცვლოდ დიდ სიკეთეს ჰპირდება, რაც კონსტანტის მსოფლმხედველობას ეწინააღმდეგება. ცხადია, ის თვალთახედვა, რომელსაც არაბი ჯაფარი წარმოთქვამს, მაჰმადიანური რელიგიისათვისაა დამახასიათებელი, რადგან მუსლიმობა და მუსლიმური ლიტერატურა იესო ქრისტეს წინასწარმეტყველად აღიქვამს და არა ძე ღმერთად, სამების ერთ-ერთ ჰიპოსტასად. მას ასე სწამს და ასეთი ტრადიციითაა აღზრდილი. ფაქტობრივად, არაბთა მეფესა და წმ. კონსტანტის შორის რელიგიურ-აღმსარებლობითი პოლემიკა გაიმართა.

წმ. კონსტანტიმ ქრისტიანული მოძღვრების, საღვთისმეტყველო ლიტერატურის კვალობაზე განუმარტა არაბთა ხალიფას, რომ მას შეუძლია კონსტანტის სხეულს შეეხოს, ტანჯოს, შეურაცხყოფა მიაყენოს, მაგრამ მისი სულის ხელყოფა არ ძალუძს, რაც წმინდანს აძლიერებს. თხზულების ეს ეპიზოდი წმ. შუმანიკის სიტყვებს მოგვაგონებს, როდესაც ვარსკენ პიტიანშს შეახსენა, რომ მისი სულის დაუფლება არ ძალუძს, ხოლო ხორცს, სხეულს შეუძლია ისე მოექცეს, როგორც მას სურს. 85 წლის სათნო მოხუცმა თავი გაწირა, ქართველთა შორის დიდი მოწამე გამოჩნდა, რომელსაც სწამს, რომ მსაჯულს მხოლოდ მისი სხეულის მოკვდინება ძალუძს, სულს კი ვერას დააკლებს: „მეცა უწყვი, რამეთუ

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 168

კვლამწიფებად გაქუს კორცთა ჩემთა ზედა, არამედ არა სულსა, ვითარცა იტყვს უფალი ჩემი და ღმერთი“.¹

არაბთა უსჯულო მეფე ბიბლიაში წარმოდგენილ ერთ-ერთ უარყოფით მეფეს, ჰეროდეს, ემსგავსება, რომელმაც წმ. კონსტანტის საწამებლად, დასასჯელად წარგზავნა „ერთი წინაშე-მდგომელთაგანი, უცხო თესლი, და მან მოჰკუეთა თავი მისი მახვლითა, და შეართუა მეფესა თვისსა, ვითარცა-იგი თავი იოანე ნათლის-მცემლისაჲ ჰეროდეს“.² წმ. კონსტანტიმ ბარუქ წინასწარმეტყველის სიტყვებით განაგრძო რელიგიური პოლემიკა: „არა ესმის ქანანს, არცა გამოჩნდა თემანს, არცა ძეთა აგარისთა, მეფეთა და მეზღაპრეთა, გამოძიებელთა გონიერებისათა ქუეყანასა ზედა. ხოლო გზად იგი ჭეშმარიტებისაჲ არა გულისკმა-ყვეს და არცა მოიკსენნეს ალაგნი მისნი, და წარწყმდეს იგინი მსგავსად მისა (ბარუქ. 3,27)“,³ რითაც მაჰმადიანობა, წმ. აბოს მსგავსად, ზღაპრად და ამქვეყნიური ინტერესებით მცხოვრებთა სულიერად წარმწყმედ რელიგიად მიიჩნია და სიკვდილისათვის მზადყოფნა გამოხატა: „არამედ აღასრულე ჩემ ზედა, რად იგი გეგულეზის“.⁴

ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში იდეალურ გმირს, წმინდანს გადამბირებლებს უგზავნიან, რათა მათი საშუალებით მომავალ წმინდანთა სულიერი გატეხა შეძლონ. „წმ. კონსტანტის წამებაში“ ამგვარი პერსონაჟებიც გამოჩნდნენ, ესენი

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 168

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 168

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 168

⁴ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 169

სომეხი დიდებულები არიან, „რომელნი ტყუეობითვე მიეყვან-
ნეს სომხითით და უვარის-ყოფითა ქრისტეჴსითა პატივ ცე-
მულ იყვნეს მის წინაშე“.¹ წმ. კონსტანტის მათ გადასცეს
ხალიფას შემონათვალი, რომ, მაჰმადიანობის თანახმად, ურ-
წმუნო სამჯერ უნდა ამხილონ, თუ არ შეისმენს, უნდა დასა-
ჯონ. მათ სათნო მოხუცის საქციელი სიფიცხედ აღიქვეს და
ამქვეყნიური პატივის მიღებას ურჩიეს: „საუკუნესა მას ცხო-
რებასა, ვინ უწყის, რად უმჯობეს არს!“.² ცხადია, ქრისტეს
რწმენით განმტკიცებული წმ. კონსტანტის გადაბირება შეუძ-
ლებელი იყო, სულიერი ცხოვრების შეცვლას არ აპირებდა,
რაც მათდამი პასუხში გამოჩნდა. მან გადამბირებლები ამხი-
ლა და საყვედური უთხრა, რომ მათი უღირსი საქციელის
გამეორებას არ აპირებდა და სიტყვა ფსალმუნური სიბრძნით
დაასრულა: „ხოლო თქუენ რასარა ზედამდგომელობთ და და-
მესხმით, ვითარმცა მეცა თქუენ გემსგავსე? ამიერიდან განმე-
შორენით ჩემგან, რადთა გამოვიძინე მე მცნებანი ღმრთისა
ჩემისანი“.³

განსაკუთრებული სულიერობითაა აღსავსე წმ. კონს-
ტანტის მონოლოგი-აღსარება, რომელსაც იგი სიკვდილით
დასჯის წინ წარმოთქვამს. მასში ჩანს მისი მსოფლმხედ-
ველობა, ცხოვრებისეული სიბრძნე, სიკვდილ-სიცოცხლისა
და სიკეთე-ბოროტების შესახებ თვალსაზრისი, ხოლო ყოვე-
ლივე ეს საღვთისმეტყველო ლიტერატურის ცოდნითაა შთა-
გონებული. მისი გალობა, როგორც თვითონ უწოდა, ჭეშმა-

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 33. 169

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 33. 169

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 33. 169

რიტი ქრისტიანის მიერ ქრისტე ღმერთის წინაშე წარმოქმნილი თხოვნა-ვედრებაა, რათა წინააღმდეგობის გაწევის ძალა მისცეს, რწმენაში განამტკიცოს, ჭირთა თმენის უნარი შესძინოს, ღვთის ნათელის ხილვის ღირსი ჰყოს. ცრემლმდინარმა მან აღნიშნა, რომ იგი იმ ქვეყანაში იმყოფება, სადაც გახურებულ ბრძმელში ჩაყრილმა სამმა წმინდა ყრმამ ჭეშმარიტი ღმერთი აღიარა და ირწმუნა, რამაც ისინი სულიერად იხსნა, „ვითარცა-იგი ამასვე აღვილსა აღიდენ წმიდანი იგი ყრმანი, რომელთა აღვიარეს შენ, და მეცა ღირს მყავ მათ თანა, რომელი-ევე გამოსჩნდი მათ თანა მეოთხედ“.¹ წმ. კონსტანტის შეგნებული აქვს იმ დღის მნიშვნელობა, რომელ დღესაც მას წამება ხვდა წილად, რადგან ეს წმ. გიორგის ბორბალზე დაკვრის დღეა და ამგვარად წამება წმინდა მხედრისა. აქედან გამომდინარე, წმ. კონსტანტიც, წმ. გიორგის მსგავსად, წმინდა მხედრად მოიაზრება. მთელი მისი ეს აღსარება გაჯერებულია ლიტურგიული ღვთისმეტყველების საზრისით, სავსეა როგორც ბიბლიური ციტატებით, ასევე, ლოცვებით, რომელთაგან განსაკუთრებულ სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს ლოცვა მიცვალებულთათვის, რომელსაც წმ. კონსტანტი წამების წინ საკუთარ თავს თავად უკითხავს, ისევე როგორც საწამებლად მიმავალი წმ. აბო თბილელი 118-ე ფსალმუნს უკითხავდა საკუთარ თავს. წმ. კონსტანტიმ იცოდა, რომ წარმართები, როგორც უწოდა მუსლიმებს, და მისი უსჯულო მეფე ბოროტს შეამთხვევენ, რისთვისაც ღმერთს შესთხოვს სულის ხსნას და იმ აღთქმის მიმადლებას, რომელიც იოანე ღვთისმეტყველის სიტყვებით გვაუწყა: „რომელთა აღმდარონ მე წინაშე კაცთა, პატივ-სცეს მამამან ჩემმან“ (ი. 12, 26). საკუთარი „უნდონიცა“ სისხლი, რომელიც

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 169

მისი წამებისას უნდა დაიღვაროს, შეადარა წმ. გიორგის უბიწო სისხლისღვრას: „შეიწირენ უნდონიცა ესე სისხლნი ჩემნი, და მომეც მე ნაწილი მის თანა, რადთა წილ-მხუდეს რჩეულთა შენთა თანა, რამეთუ სამკვდრებელი შენი მტკიცე არს ჩემდა“.¹ ცრემლი, რომელიც ლოცვისას სდიოდა წმ. კონსტანტის, სულიერი განმწმენდელია, რაც მთელი ერის ცოდვათა აღმქმელი წმინდანისაგან ერის განწმენდის სიმბოლოდ აღიქმება.

წმ. კონსტანტის ლოცვამ, შეუდრეკელობამ, სულიერმა სიძლიერემ განარისხა არაბები. მისი ლოცვისას ისინი სცემდნენ და ტანჯავდნენ, მაგრამ მისი დადუმება ვერ შეძლეს, მისი ტკილი გალობის შეწყვეტა ვერ მოახერხეს. არაბთა რისხვა მათი სისუსტის ნიშანია, რადგან, ჩვეულებრივ, დამარცხებული საკუთარი უძლურების გამო მრისხანებს. არაბები წმინდანის, უსათნოესი მოხუცის სიმტკიცემ დათრგუნა, გადამბირებლებმაც თავიანთი როლი შეასრულეს, მათ შემწყალებულ არაბთა მეფეს თვალთ ნანახი და ყურით მოსმენილი ამცნეს, რამაც მეფის უსაზღვრო რისხვა გამოიწვია. შედეგი კი კონსტანტისათვის თავის მოკვეთის ბრძანება იყო. წმ. აბოს მსგავსად, ჯალათები წმ. კონსტანტისაც თითქოს სცდიდნენ და შესაშინებლად რამდენჯერმე მოუღირეს მახვილი, მაგრამ მისი განდრეკა ვერ შეძლეს. ის, რაც ღმერთს შეუძლია, ადამიანის ხელს არ შეუძლია, ესაა ადამიანის ხელიდან სულიერი ცხოვრების წარუტაცველობა. არაბთათვის წმ. კონსტანტის სული შეუხებელია, მას ვერ წარსტაცებენ, შეუძლიათ მხოლოდ სიცოცხლე წარსტაცონ. არაბებმა კონსტანტის თავი მოკვეთეს, მაგრამ ვერ გაიმარჯვეს, ისინი დამარც-

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 33. 170

ხდნენ. წმ. კონსტანტიმ „წმიდათა ანგელოზთა თანა მოქალაქობად“¹ მოიპოვა.

ავტორი ქრისტიანული ლიტურგიის ღრმა მცოდნე და საღვთისმეტყველო ლიტურატურაში განსწავლული პიროვნებაა. წმ. კონსტანტის წამების შემდეგ იგი მიცვალებულთა ლოცვის კვალობაზე ახსიათებს იმ ადგილს, სადაც წმინდანის სულმა დაივანა: „და მივიდა იგი მოწამს ქრისტესი ადგილსა მას განსასუენებელისასა, რომლისაგან განშორებულ არიან ყოველნი საღმობანი, მწუხარებანი და ჭირნი, სადა-იგი ჰხედავს ნათელი პირისა შენისაჲ, უფალო, სადა-იგი ვერ მისწუთებიან ენანი ძურის-მეტყუელთანი, არამედ სიხარული დაუსრულებელი არს მუნ და წმიდათა ანგელოზთა თანა მოქალაქობად“.²

ავტორი გვამცნობს, რომ კონსტანტის „გუამი დამოჰკიდეს ძელსა ფრიად მაღალსა. ყოველმან ერმან იხილეს სასწაული დიდი გუამსა მას ზედა“. სიმბოლურია წმ. კონსტანტის აღსრულების დღე, ესაა „თუესა ნოენბერსა ათსა, დღესასწაულსა წმიდისა გიორგისსა, რომლისა თანა ზიარ იქმნა, დღს იყო პარასკევი“,³ ოღონდ ეს წმ. გიორგის ბორბალზე დაკვრისა და წამების დღეა, არა მისი მოწამეობრივი აღსასრულისა. კონსტანტის მოწამეობა პარასკევ დღეს აღსრულდა. ჰაგიოგრაფი კონკრეტული თარიღის დასახელებასთან ერთად პარასკევს მოწამეობის ფაქტსაც სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან მაცხოვარი აცვეს ჯვარს პარასკევს. ავტო-

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტურატურის ძეგლები, I, 33. 170

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტურატურის ძეგლები, I, 33. 170

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტურატურის ძეგლები, I, 33. 170

რი ასახელებს წამების წელსაც: დასაბამიდან „ექუს ათას ორმოცდა ათშვიდმეტს“. ამ თარიღს ჟამის ბატონობის მიხედვითაც გვამცნობს: „ხოლო ზედაწერილსა ისმაიტელთასა ორას და ათორმეტსა“.¹

„კონსტანტი კახის წამებაში“, სარწმუნოებრივთან ერთად, ეროვნული პრობლემაცაა დასმული. თხზულების ავტორი, იოანე საბანის ძესთან მსგავსად, ეროვნულ პოზიციებზე დგას. მაგრამ ეს ისეა თხზულებაში მოწოდებული, რომ მკითხველმა იგი უნდა მოიძიოს და დაფიქრდეს მასზე; ეროვნული პრობლემა, „აბოს წამების“ მსგავსად, არაა თხზულების უმთავრეს იდეად წარმოსახული და ზედაპირზე არ დევს.

წმ. კონსტანტიმ ღვთის განგებაზე მიუთითა და აღნიშნა, რომ ყველაფერი მხოლოდ ღმერთის ნებით ხდება. მისი აზრით, რომელიც ქრისტიანულ მოძღვრებას ემყარება, რაც საქართველოს თავს დაატყდა, ქართველთა ცოდვების შედეგია. წამების ავტორი ჟამთააღმწერლის სახელით ცნობილი ისტორიკოსის მსგავსად მეტყველებს და არაბთა მიერ ქართველთა დაპყრობას ქართველებისავე ცოდვებით ხსნის. ეს ეპიზოდი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და კონცეპტუალურია ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში. ამიტომ კონსტანტის თავისი წამებით ქართველი ერის ცოდვების გამოსყიდვას ცდილობს, მან ქრისტეს რჯულის დასაცავად თავი უნდა გაწიროს, რათა ამით თავისი თანამემამულეები, რჯულშერყეული ქართველები გაამხნევოს.

ტექსტს მოსდევს ბიზანტიის დედოფლის ეპისტოლე, რომელიც გამოგზავნილია კონსტანტის შვილებისა და „სახლისა მისისათა ნათესავთა“ მიმართ. მასში წმ. კონსტანტის მოწამებრივი ღვაწლია შექებული. ბიზანტიის დედოფალი

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 170

წერს: „ჯერ არს მოკსენებად ღუაწლი ნეტარისა ამის მოწამისა კონსტანტისი“. კ. კეკელიძის სიტყვით, „ეს წერილი დამახასიათებელია როგორც გაშიშვლებული ნიშნულში ბიზანტიური დიპლომატიისა, რომელსაც მიზნად აქვს არაბობასთან ბრძოლაში თავის მხარეზე იყოლიოს აღმოსავლეთის ქრისტიანები, კერძოდ, ქართველებიც, და მხარზე აკიდოს „მსუბუქი ტვირთი“ თავის ბატონობისა“.¹ როგორც ჩანს, ქართული ეკლესიის მიერ კონსტანტი უკვე წმინდანად არის შერაცხული და იმიტომაც აღიარებს დედოფალი მას ბიზანტიელთა და ქართველთა მეოხად. შესაძლოა, „წამება“ უკვე დაწერილიც იყო, როცა ქართველებმა დედოფლის წერილი მიიღეს და ნაწარმოებს ბოლოში ამიტომაც დაურთეს.

ბიზანტიის დედოფალი თეოდორა ქართველ წმინდანს მეოხად აღიარებს და ქართველებს უჩვენებს, რომ ქრისტიანობაში სიმტკიცის დაცვა ბიზანტიას კიდევ უფრო კეთილად განაწყობს მათდამი და, მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიას აქვს საქართველოზე პოლიტიკური ზეგავლენის სურვილი, ქართველებს საშუალება ეძლევათ, არაბებისაგან გათავისუფლებაში ძლიერი შემწე და მეოხი იყოლიონ: „აწ არა გუკმს ჩუენ ნუგეშინის-ცემად თქუენი მისთჳს, ვინადთგან იგი არს ნუგეშინის-მცემელ და მეოხი ჩუენი და თქუენი წინაშე ქრისტჳსა“.² ბიზანტიის დედოფალი წმ. კონსტანტის, და საზოგადოდ, ქართველი ხალხის „მჯულკეთილობაზე“ საუბრობს, მათს „ერთსა სჯულსა შინა“ დგომას აქებს: „აწ საქმენი თქუენნი, რომელთა იქმოდით, მოწამე არიან თქუენდა, და თქუმული იგი დაემტკიცა ფრიად, და დაენერგა კეთილად

¹ კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 521

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 171

შჯულიერებად თქუენი“ ... „ერთსა შჯულსა შინა იყვენით და უფალსა პირისპირ თქუენსა ყოველსა ჟამსა ხედველით“ (ძეგლები, 1963/1964: 170).¹ დასასრულს ეპისტოლე პოლიტიკურ იერსახესაც იძენს, რადგან დედოფალი თავის უფლებებს საქართველოზე არ თმობს და აღნიშნავს, რომ ქართველები ბერძენთა ხელთ არიან, ისევე როგორც სხვა ქრისტიანული ქვეყნები: „ამას არათუ თქუენ ოდენ გიბრძანებთ, არამედ ყოველთა, რომელნი ჩუენ-კერძო და ჴელთა ქუეშე ჩუენსა არიან ქართველნი, რამეთუ ყოველთავე ქრისტესს მოყუარეთა და მეფობისა ჩუენისა ღმრთისამიერთა და ვითარცა შვილთა საკუთართა თქუენტა თანა შევარაცხ, არამედ კუალად აღდეგით და განძლიერდით უფლისა მიერ“.² თეოდორა დედოფლის სიტყვები მოწმობს, რომ მას ძლიერი საქართველო სურს, რათა ქრისტიანული სამყაროს აღმოსავლეთით მდებარე ეს ქვეყანა მეოხად და დამხმარედ ჰყავდეს. თვით საქართველოც საკუთარი ინტერესების გამო უნდა იყოს ძლიერი: „და სიდიდითა ძალისა მისისადათა ლახუარნი თქუენნი მტერთა ზედა განაბრწყინვენით და ნუ ვის სცემთ მათგანსა თქუენ შორის სამკჳდრებელსა, რადთა მოიღოთ კეთილი ჩუენი და აღთქმული იგი პატივი კეთილის მოქმედათაჲს უფლისა მიერ მოიღოთ“.³

ეპისტოლე ყურადღებას იქცევს აღმსარებლობითი თვალსაზრისითაც, რადგან აქ მოტანილი მთელი პასაჟი მიუთითებს, რომ ბიზანტიაში უკვე ხატმებრძოლობის ერესი აღა-

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 33. 170

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 33. 172

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 33. 172

რაა. ისტორიული დოკუმენტებიდან ცნობილიცაა, რომ 843 წელს, თეოდორა დედოფლის ინიციატივით, საბოლოოდ აღდგა ხატთაყვანისცემა. მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებამ, რომელიც ირინე დედოფლის ინიციატივით იყო მოწვეული, 787 წელს ხატთაყვანისცემა აღადგინა, მაგრამ მაინც დიდი დრო გავიდა, ვიდრე საბოლოოდ დაიდლეოდა ხატმებრძოლობის ერესი. თეოდორა დედოფლის ეპისტოლეში აღნიშნულია, რომ წმ. კონსტანტი და მისი ოჯახი ყოველთვის ქალკედონელები იყვნენ და ხატთაყვანისცემას აღიარებდნენ. „წმ. კონსტანტი კახის წამება“ თავისი ეპოქის ეროვნულ-სარწმუნოებრივ სულისკვეთებას გამოხატავს, რითაც არის იგი ღირებული ქართული ლიტერატურისა და საისტორიო მწერლობისათვის.

წყაროები:

ძეგლები, 1963/1964: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963-1964.

ლიტერატურა:

ხვთისო ზარიძე, „წმ. კონსტანტი კახის წამება“, კრებ.: კორნელი კეკელიძე – 125. თბ., 2004.

კორნელი კეკელიძე, კონსტანტი კახის მარტვილობა და ვინაობა, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956.

კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1979.

საბა მეტრეველი, წმიდა კონსტანტი კახის ცხოვრებისა და წამების სახისმეტყველება, ლიტერატურული ძიებანი. XXIV, თბ., 2003.

ივანე ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს), თხზულებანი თორმეტ ტომად, VIII, თბ., 1977.

Nestan Sulava

Samtskhe-Javakheti State University

**SOME SYMBOLIC ASPECTS IN THE
“MARTYRDOM OF SAINT KONKSTANTI KAKHI”
RESUME**

The “Martyrdom of Saint Konstanti Kakhi” is hagiographical story based on the symbolic principles in which there are given the life of saint Konstanine and his martyrdom by Arabians. In the story there is the plot how the Saint Konstanti was tortured, the holy things made by him is the base of his spiritual life. In the story are some Biblical symbols, quotations. Saint Konstanti’s face is beautify in “dual context” which means that he was helpful to the ecclesiastic and secular people. Author gave the sample how saint Konstanti served his nation, relatives, served the ecclesiastic people from distance countries, to the monks, beggars, feeble and to everyone which was in need of help. Saint Konstanti himself was wondrous modest one, with the skill of predictor, he was emphasizing the willingness to be murdered was the Christ. Author decorating his faces as the one who is full of kindnedd, he is the sample of spiritual life. Future saint character sees himself as an sinful person, which means he has a special kind of spirituality. He

introduce himself like the one who is feeling like he is the cause of national sins fully. Eighty five years old saint Konstanti was given to our country as a person who saved our spiritual life in the period of danger of spiritual and national degeneracy. His martyrdom was the prediction of the God. Gifted author gives his symbolic face like other saint characters. When we are thinking about saint Konstanti we think about Saint Shushaniki, Saint Eustathi, Saint Abo and others.

Saint Konstanti according to the Biblical orthodox books gave the explanation of the holy life to the king of Arabian that he can touch Konstanti's body, he can murder him, he can insult him but he cannot touch his soul and makes the saint person be strong and brave. The monologue, confession of the saint Konstanti is full of spirituality which was spoken before martyrdom. In this confession there is the wisdom, wisdom of life, explanation of the meaning of life and death, evil and kindness, and all of this is given on the base of theological knowledge. In the "Martyrdom of saint Konstanti Kakhi" there is not the only ecclesiastic aspects, there are the national problem. The author like Joan Sabanisdze, writing on the base of national positions. Saint Konstanti Kakhi is the character shows us the aspiration of the national and spiritual life of the Georgians for what he is worth character in Georgian literature and historical writings.

დიმიტრი მელვინეთუხუცესი და ქართული თეატრი

დიმიტრი მელვინეთუხუცესმა დრამატული მოღვაწეობა იმ დროს დაიწყო, როცა ის-ის იყო ფეხს იდგამდა პირველი პროფესიული ქართული თეატრი. ამიტომ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმ დეაწლის გათვალისწინება, რაც მას ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიაში მიუძღვის.

ერეკლე მეორის კარის თეატრის დახურვის შემდეგ კულტურული ცხოვრების კერამ კერძო სალონებში გადაინაცვლა. ბუნებრივია, საზოგადოების მოთხოვნილებებს დიდხანს ვერ დააკმაყოფილებდა იქ გამართული შეკრება-სადამოები. საქმეს ვერც რუსული დასი უშველიდა. ქართული სპექტაკლის გამართვის სურვილმა თავი იჩინა შინაურ წარმოდგენებში, რაც, უმეტესად, სალონებში იმართებოდა და რამაც ფაქტიურად ნიადაგი მოუშალა პირველ პროფესიულ თეატრს. ამ თეატრის შექმნის მოთავე გიორგი ერისთავი გახდა.

დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი გიორგი ერისთავის თეატრში მისვლამდე წერდა პიესებს. პიესა „გამოუცდებლობა ანუ დროებით განშორება საყვარელთან“¹, ავტორის ცნობით,

¹ ამ პიესის შესახებ იხ: ს. ხუციშვილი, „გამოუცდებლობა ანუ დროებით განშორება საყვარელთან“, „ლიტ-ა და ხელოვნება“, №21, 1950 წ. რ. საყვარელიძე, ქართ. თეატრის ისტ-დან, 1956 წ., ა. გაჩეჩილაძე, ნარკვევები XIX ს. ქართ. დრამ. და თეატრის ისტ-დან, 1957, გვ. 32.

1845 წლის 1 და 8 მაისს, 11 ივლისსა და 7 აგვისტოს წარმოუდგენიათ გორის სცენისმოყვარეებს. ნაწარმოების ერთი ნუსხა ინახება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში (ლიბიტრი მეღვინეთუხუცესის არქივი, 45), მეორე პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, მარი ბროსესეულ არქივში. ეს პიესა ავტორს წერილთან ერთად გადაუგზავნია ბროსესთვის. საერთოდ, თავისი მუშაობის შესახებ ლიბიტრი მეღვინეთუხუცესს სისტემატური მიმოწერა ჰქონდა მარი ბროსესთან. წლების მანძილზე იგი საყურადღებო მასალებს აწვდიდა საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მეცნიერს ქართულ სიძველეთა შესახებ.

ეს მიმოწერა ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის როგორც ქართული ისტორიოგრაფიის შესახებ, ისე მეღვინეთუხუცესის თეატრალურ მოღვაწეობაზე. მხოლოდ მარი ბროსესადმი გაგზავნილი წერილიდანაა ცნობილი, რომ იგი გიორგი ერისთავის თეატრში მოღვაწეობდა¹.

„სამშაბათს დღეს ღირეკტორის თანამდებობის აღმასრულებელმან სჩერბინინმა და გიორგი ერისთავმა წარმადგინეს კნიაზ ნამესტნიკთან კარგის რეკომენდაციით და მოახსენეს მის ბრწყინვალებას, რომ შემდგომ მოგზაურობისა მე ვშველი და ვცდილობ ქართულის ტიატრის განწყობას. კნიაზ ნამესტნიკმა მიმიღო ალერსით და მიბრძანა: ახლა შენ უნდა დარჩე ტფილისში დროებით და უშველო გიორგი ერისთავს ქართული თეატრის გამართვაშიო.

ბრძანებისამებრ ნამესტნიკისა ახლა მე ვწერ ქართულ პიესებს და ვასწავლი წარმოდგენას ჩვენს ახალს აკტიორებსა და აკტრისებს. ჩემს დაწერილს პიესებს სწავლობენ და წარმოადგენენ ქართულს ენაზედ მომავალს დღესასწაულებ-

¹ მარი ბროსეს წერილები დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (მარი ბროსეს არქივი, №8-19).

ში“¹, - სწერს იგი ბროსეს. ეს წერილი 1851 წლის 20 მარტითაა დათარიღებული. გარდა ზემოაღნიშნული პიესისა, 1851 წლამდე მხოლოდ ერთი - 1846 წელს დაწერილი „ჩაჩნების ჩვეულება“ (დიმიტრი მეღვინეთუხუცესის არქივი, №48ა) დავადასტურეთ. ჩვენ ფაქტიურად მოკლებული ვართ საშუალებას გავიგოთ - დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის, სახელდობრ, რომელ პიესებს „სწავლობდნენ და წარმოადგენდნენ“ გიორგი ერისთავის თეატრში. ბროსესადმი გავზავნილი წერილიდანვე ცნობილი ხდება, რომ „ნამესტნიკმა“ დაპირება არ შეუსრულა, თბილისში არ გადაიყვანა და ამიტომ იგი თავისთავად ჩამოშორდა ერისთავის თეატრს.

დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილი ამ პერიოდში ისევე აგრძელებს მარი ბროსეს დავალებების შესრულებას, მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ენერგიისა და სახსრების დაუზოგავად („მოგზაურობისა თქვენისა ამბები დიდად მოსაწონია მეცნიერთათვის, - აცნობებს მ. ბროსე, - გთხოვთ, თუ გავითავებია უფლისციხის აღწერა, წამაკითხეთ ეს თქვენი ნაშუშეგარი, აკადემიას წარუდგენ და ჩვენს გაზეთებში დავაბეჭდვინებ, როგორც ადრე მიქნია... სხვებრ იმედი მაქვს, არ დაგავიწყდება საქართველოს სიძველეთა მაძიებლობის სიყვარული და შემწე იქნებით ამათში არა მხოლოდ სურვილისა და შრომისა ჩემისა, ნამეტნავად მამულისა თქვენისა დიდებისა და სახელისა“. მ.ბროსეს ეს წერილი 1857 წლითაა დათარიღებული.

ამ მოგზაურობის დროს თვითონ მუშაობის ხასიათი, სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიული მასალის შესწავლა, ყოფის გაცნობა, ბევრ საინტერესო და მდიდარ მასალას აწვდიდა მეღვინეთუხუცესს თავისი მხატვრული ნაწარმოებისათვის.

¹ შ. ხანთაძე, დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, საისტორიო მოამბე, ტ. VI, 1952 წ.

ამის შესახებ იგი სწერს კიდევ მარი ბროსეს: „ვაპირებ წასვლას ახალციხისაკენ, აჭარას და სხვაგან შემოდგომამდე, როგორადაც შესაკრებლათ ძველთა წერილთა და ცნობათა, ეგრეთვე სხვადასხვა ხალხის ჩვეულებების საცნობლად. ესე უკანასკნელი საკუთრივ ჩემის ქართულის პიესების საჭიროებისათვის“.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია დიმიტრი მელვინეთუხუცესის ოთხი პიესა. ერთ-ერთ პიესას „გამოუცდელიობა ანუ დროებითი განშორება საყვარელთან“ ზევით შევეხეთ, მეორე - „ექიმბაში“ 1876 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა. გაზეთ „დროებაში“ (9) 1870 წელს გამოქვეყნდა „უბედური მოარშიყე“, ხოლო 1869 წელს (39) „კატა აწონა“, ეს უკანასკნელი ცალკე წიგნადაც გამოიცა 1880 წელს.

ამბერკი გაჩეჩილაძის აზრით, გარდა „ექიმბაშისა“, ყველა ეს პიესა იდგმებოდა ერისთავის თეატრში¹. მკვლევრისათვის ამოსავალია მარი ბროსესადმი მიწერილი წერილი და „კატა აწონაში“ დამოწმებული თარიღი. „ათას რვაას ორმოცდა ხუთსა წელსა, ქრისტესშობის ოცდა რვასა დღესა. მე ქვემოთე ამისა ხელის მომწერელმა, უკულმა სოფელში მცხოვრებმა სახელმწიფო გლეხმა ანდრია ბერიკაშვილმა ავიღე ვალათ ყაზარა წუწკიოვისაგან ათი მანეთი რუსის სირმა ვერცხლი“, - ვკითხულობთ პიესაში.

„აქედან ჩანს, რომ პიესის პერსონაჟების - ანდრია ბერიკაშვილისა და ყაზარას ურთიერთდამოკიდებულებას ადგილი ჰქონია 1845 წელს. პიესაც ამ დროს უნდა იყოს დაწერილი“², ასკვნის მკვლევარი.

ვფიქრობთ, მართო ეს ფაქტი ვერ გამოგვადგება პიესის დაწერის თარიღის დასადგენად. გასათვალისწინებელია ის

¹ ა. გაჩეჩილაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 320

² იქვე, გვ. 321

გარემოებაც, რომ თვითონ პიესის აგებულება, მისი დონე დიდად განსხვავებულია 1845-46 წლებში შექმნილი ნაწარმოებებისგან. „გამოუცდებლობას...“ და „ჩაჩნების ჩვეულებას“ „კატა აწონას“ გვერდით პიესა არც ეთქმის. „კატა აწონა“ გაცილებით უფრო მეტად ემორჩილება დრამატული ნაწარმოების კანონებს.

იმდროინდელი პრესის მონაცემების მიხედვით, ეს პიესა ქართულ სცენაზე პირველად 1872 წელს წარმოადგინეს.¹ შემდეგ იგი კარგა ხანს იდგმებოდა. როგორც რეცენზიებიდან ირკვევა, კომედიას დიდი წარმატება არ უნდა ჰქონოდა. „სამწუხაროდ წარმოდგენამ ძლიერ უფერულად ჩაიარა. მოთამაშეებმა სხვა ნაკლულოვანების გარდა თავიანთი როლებიც არ იცოდნენ“.² წერილის ავტორი აქ მოთამაშეთა ცუდ გამოსვლაზე უფრო ამახვილებს ყურადღებას.

1879 წელს გამართული წარმოდგენის შესახებ კი „დროებაში“ კკითხულობთ: „რა თქმა უნდა „ჟორჟ დანდენი“ ერთი ათად უფრო ხელოვნურიც, უფრო სასცენოც, უფრო ნიჭიერადაც დაწერილი თხზულება არის, ვინემ „კატა აწონა“, რომელშიც ვერც მოქმედებას ნახავს კაცი, ვერც ჩვენებური ხალხის ხასიათსა და ჩვეულებას, მაგრამ საკმაო იყო მხოლოდ ის, რომ ეს ვოდვეილი ჩვენი ცხოვრებიდამ არის, რომ სცენაზედ გამოდიან ჩვენი ნაცნობი სომხები გლეხები, ქალები, აქ გამოხატულია ჩვენი ხალხის გასაგები მოქმედება, ტირილი და სხვა, - რომ საზოგადოებას აღტაცებითა და ტაშისკვრით მიეღო ეს უაზრო ვოდვეილი. რას იზამ! კაცს ამის დანახვა და გაგონება უფრო ესიამოვნება და ეადვილება. რაც იცის, რასაც იცნობს. „კატა აწონაში“ ყველამ ისახელა თავი, ყველამ ჩინებურად შეასრულეს თავისი როლები უფალ

¹ გაზ. „დროება“, №35, 1872 წ.

² „თეატრი“, №19, 1886 წ., გვ. 202

მაჩაბლიდამ დაწყებული უფალ ცაგარელამდინ. მაგრამ კარგებზე უკეთესად ითამაშა ნ.გაბუნიას ქალმა, რომელმაც ხელოვნურად წარმოგვიდგინა სომხის ქალის ხასიათი“.¹

საგულისხმოა, რომ ქართული დრამატული საზოგადოების მუდმივმა დასმა თავისი პირველი სეზონის რეპერტუარში შეიტანა „კატა აწონა“ და ორჯერაც წარმოადგინა. იმ სეზონის პიესების უმეტესობა თითოჯერ ნახა მაყურებელმა. უკანასკნელად პიესა 1899 წელს წარმოუდგენიათ ქართველ სცენისმოყვარეებს.²

პიესა „ვიჭაკი“ 1869 წელს ხელმოუწერლად გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ (№10). „საქართველოს კალენდარში“ ვკითხულობთ: „დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი კარგი მწიგნობარი და საქართველოს ისტორიის მოყვარე იყო, სწერდა ქართულად და რუსულადაც. სხვათა შორის, მონაწილეობას იღებდა „ცისკარში“ და „დროებაშიც“. დასწერა კომედია „კატა აწონა“, „ვიჭაკი“ და სხვა“.³ ე.ი. ეს პიესაც დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილს ეკუთვნის.

„ვიჭაკი“ ორმოქმედებიანი კომედიაა. მოქმედება თითო სურათისაგან შედგება. ნაწარმოები იწყება რელიგიური ჩვეულების - ვიჭაკის აღწერით. ვიჭაკი ამაღლების წინა ღამით იმართებოდა. და აი, ამაღლების წინა საღამოს, ავლაბრის მოედანზე გამოშლილია საზოგადოება. სეირნობენ, ერთმანეთს ხვდებიან და ესაუბრებიან, სიმღერით და ცეკვით შეექცევიან. ზოგან სუფრაც გაუშლიათ, ისმის ზურნის ხმა. მოსეირნეთა შორის მარტო დადის სომეხი ვაჭარი რომან შაჰყულოვი. მერე ბიჭს გზავნის, რომ მოიყვანოს თავისი მეუღლე და ქალი-

¹ გაზ. „დროება“, №200, 1879 წ.

² გაზ. „ივერია“, №224, 1899 წ.

³ საქართველოს კალენდარი, 1895 წ. გვ. 491.

შვილი, თან დააბარებს - ფეხით მოვიდნენ, ეტლის ფული დაზოგონო.

შაჰყულოვი დახატულია, როგორც ახალწამოტივტივებული ვაჭართა ფენის ტიპური წარმომადგენელი, რომელსაც ყველაფერი ფულმა მისცა.

პიესაში ასახულია ვაჭართა კლასის დაწინაურების პროცესი, რითაც იგი გიორგი ერისთავისა და ზურაბ ანტონოვის შემოქმედებას ეხმაურება. ეხმაურება არა მხოლოდ თემატიკით, არამედ საერთო წყობით, სტილით, ენით. შაჰყულოვი ასე მეტყველებს: „მუშტარმა ტო ყმაწვილმა არის, ერთმა კარგმა სიტყვამ რომ უთხრა, დაჩუმიდება, ადგება და წავა, თუ გითხრამს, ტყუვილათ ამბობო, მაშინ რა უნდა უთხრა: ის თვალი დაბრმავდეს, რაც თვალმა გატყუებდეს თქო. ისიც დაიჯერებს, ეგონება შენი თვალები ამბობ, ის კი არ იცის, რომ იმის თვალები ატყუებენ და იმის თვალები დაბრმავდებიან. ამქარმა ჩვენსავით ვაჭარმა არის, ისიც ჩვენსავით მელამ არის, ისინი ჩვენ გვიჩივლებენ, ჩვენ იმათ ვუჩივლებთ“.

პიესა დაუსრულებელის შთაბეჭდილებას ტოვებს სიუჟეტის განვითარებითაც და გარეგნული ფორმითაც. უკანასკნელი რემარკა ოთახში სხვა მოქმედი პირების შემოსვლას გვაუწყებს და მოქმედებაც წყდება. შესაძლოა, ავტორს განზრახული ჰქონდა გაგრძელება, მაგრამ შემდეგ ველარ განახორციელა.

1895 წელს „საქართველოს კალენდარში“¹ დიმიტრი მელვინეთუხუცესზე გამოქვეყნებულ ცნობაში, სხვა პიესათა შორის, დასახელებულია „არშიყნი“. ამ ნაწარმოების შესახებ სხვა დამატებითი ცნობის დაძებნა ვერ მოხერხდა.

¹ საქართველოს კალენდარი, 1895 წ. გვ. 491.

დიმიტრი მელინეთუხუცესიშვილის მემკვიდრეობაში ყველაზე საინტერესო ნაწარმოები „ანჩხლი ცოლია“. ხელმისაწვდომ მასალებში პიესის დადგმის შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპოვება, იგი არც დაბეჭდილია. ნაწარმოების ორი ნუსხა (H-2549 და მელვინეთუხუცესის არქივი, №43) დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ისინი სხვაობას არ იძლევიან, თითქმის სიტყვასიტყვით მიჰყვებიან ერთმანეთს. H-2549 უთარიღია. დიმიტრი მელინეთუხუცესის არქივში დაცულ ნუსხას კი აქვს ცენზორის მიერ დასმული თარიღი - 1856 წელი. ეტყობა, ვინმე ცენზორ ალექსეევს პიესა წაუკითხავს, დასაბეჭდად ნება დაურთავს და მოუთხოვია, დაბეჭდვის შემდეგ ეგზემპლარების დაწესებული რაოდენობა დაბრუნებოდა საცენზურო კომიტეტს. როგორც ჩანს, პიესის გამოქვეყნება ვერ მოხერხდა. ალბათ, ავტორმაც ვერ მიაღწენა თვალი თავისი ნაწარმოების ბედს, რადგან ამ დროს (1856-60 წწ.) ინტენსიურად მუშაობდა მარი ბროსეს დავალებით, დადიოდა სამოგზაუროდ, თვეობით ტოვებდა თბილისს.

პიესა სხარტ, კომიკურ სიტუაციებზეა აგებული. მართალია, მასში რაიმე ახალი მნიშვნელოვანი პრობლემა არა დგას, მაგრამ მოქნილი სიუჟეტი, თვითონ მოქმედების, სიტუაციის კომიკურობა, მოხდენილი დიალოგი, ყოველგვარ ტენდენციურობას მოკლებული ბუნებრივი თხრობა გვაფიქრებინებს, რომ იგი დიმიტრი მელვინეთუხუცესს საუკეთესო ნაწარმოებია და ძნელად დასაჯერებელია, რომ სცენაზე არ დადგმულიყოს.

ცენზორის თარიღით შეიძლება შემოიფარგლოს პიესის დაწერის დრო 1850-60 წლები. ამ წლების ქართული წარმოდგენების შესახებ ძალიან ძუნწი ცნობები გვაქვს. იმდროინდელი პრესა ხშირად იუწყება წარმოდგენის გამართვას, მხოლოდ არ მიუთითებს პიესის სათაურს. მხედველობაში მი-

საღებია ის გარემოებაც, რომ სახაზინო თეტრის არქივი მთლიანად გაანადგურა ხანძარმა, ხანძარმავე იმსხვერპლა ქართული დრამატული საზოგადოების მუდმივი დასის არქივიც. საბოლოოდ დაიკარგა ქართული თეატრის ისტორიისათვის ესოდენ საჭირო ბევრი საინტერესო მასალა.

ვფიქრობთ, დადგმის შესახებ ცნობების უქონლობა არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენთვის საინტერესო პიესები ქართულ სცენაზე არ წარმოუდგენიათ. ასეც რომ იყოს, ეს საკითხის ერთი მხარეა. ჩვენთვის ამ შემთხვევაში არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია დიმიტრი მელვინეთუხუცესის პიესები, როგორც ლიტერატურული ფაქტი.

დამოწმებანი:

გაზ. „დროება“, №35, 1872 წ.

გაზ. „დროება“, №200, 1879 წ.

გაზ. „თეატრი“, №19, 1886 წ.

გაზ. „ივერია“, №224, 1899 წ.

გაჩეჩილაძე ა., ნარკვევები XIX ს. ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან, თბ., 1957.

საქართველოს კალენდარი, 1895 წ.

საყვარელიძე რ., ქართ. თეატრის ისტორიიდან, 1956 წ.,

ხანთაძე შ., დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, საისტორიო მოამბე, ტ. VI, 1952. წ.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, მარი ბროსეს პირადი არქივი, წერილები №8-19.

ხუციშვილი ს., „გამოუცდებლობა ანუ დროებით განშორება საყვარელთან“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, №21, 1950 წ.

Eter Kavtaradze
Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts
**DIMITRI MEGHVINETUKHUTSESI AND GEORGIAN
THEATRE
RESUME**

Dimitri Meghvinetukhutsesi worked at George Eristavi Theatre. Information about this was found in the correspondence between Marie Brosset and Dimitri Meghvinetukhutsesi. In one of his letters he wrote to Marie Brosset that he was assisting George Eristavi in establishing of Georgian theatre by the instruction of Mikheil Vorontsov. In the same letter he mentioned that he has been writing Georgian plays, which were studied and staged in the following holidays. Only four plays by Dimitri Meghvinetukhutsesi were maintained up to present. Scientific literature does not contain any information about which of his plays were staged at George Eristavi Theatre.

მაია შაორშაძე
კორნელი კეკელიძის სახელობის
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

**მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი და სამთავნელი
მთავარეპისკოპოსი ანტონ გლონისთავისძე
(XII ს-ის II ნახ. – XIII ს-ის 10-იანი წლები)**

საისტორიო წყაროების მიხედვით ცნობილია, რომ მეფე გიორგი III-სა (1156-1184 წწ.) და თამარ მეფის (1184-1213 წწ.) დროს ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელოს ფლობდა ანტონ გლონისთავის ძე, რომელიც იმავდროულად სამთავისის კათედრასაც განაგებდა. ანტონი სამეფო კართან დაახლოებული და გამორჩეული პირი ჩანს. XII საუკუნის თამარის ისტორიკოსის ბასილი ეზოსმოდღერის ცნობით, მას სამთავისი დაახლოებით XII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან ეკუთვნოდა, მაგრამ კათალიკოსმა მიქაელ მირიანის ძემ წაართვა ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელო და სამთავისიც მიიტაცა. მიქაელის გარდაცვალების შემდეგ, თამარ მეფემ გარეჯის მონასტრიდან გამოიწვია ანტონ გლონისთავის ძე, დაუბრუნა ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა, უბოძა ჰყონდიდი, სამთავისი და კისისხევი.

თამარის ისტორიკოსები ბასილი ეზოსმოდღვარი და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი რამდენიმე ადგილას მოიხსენიებენ ანტონს ჯერ „ვაზირად,“ ხოლო შემდეგ „ჰყონდიდლად, მწიგნობართ-უხუცესად და ვაზირად.“

მისი პიროვნების უკეთესად წარმოსაჩინად, საინტერესოა გავეცნოთ თითოეულ ამ მონაცემს.

როგორც ცნობილია, თამარ მეფის დროს ვაზირთა შორის უპირველესობა ეკუთვნოდა მწიგნობართუხუცესს, შემდეგ მოდიოდნენ ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი. ღირსებით მეჭურჭლეთუხუცესი, ვაზირთა უპირველეს მწიგნობართუხუცესს გარდა, დანარჩენ ყველა ვაზირზე მაღლა იდგა. ვაზირს, როგორც ირკვევა, ორი, არის შემთხვევა, მეტი თანამდებობის დაკავების უფლება ჰქონდა. მაგალითისთვის, აბულ-ასანი „ამირა ქართლისა და თბილისისა“ იყო აგრეთვე „მეჭურჭლეთუხუცესი“, ერთი წარწერის მიხედვით, ის იყო ამასთანავე „ერისთავთ-ერისთავი.“ სარგის I ჯაყელი იყო „სამცხის სპასალარი“ და „მეჭურჭლეთუხუცესი.“ შოთა რუსთაველიც ხომ „მეჭურჭლეთუხუცესად“ მიიჩნევა და ა. შ.

მაღალ სასულიერო პირთა შორისაც, დავით აღმაშენებლის დროს, სვიმონს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობასთან ერთად ეპყრა ბედიელ-ალავერდულობაც. ასე იყო ანტონ გლონისთავისძის შემთხვევაშიც გიორგი III-სა და თამარის მეფობის დროს. ის ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობასთან ერთად განაგებდა სამთავისის კათედრასაც და ხელი მიუწვდებოდა ქსნის ხეობიდან მეჯუდა-ლიახვის ხეობამდე. დავით ულუს დროს ბასილი მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელიც ყოფილა და უჯარმელიც და ა. შ.

ეკლესია-მონასტრების, სამღვდელოებისა და მოწესეთა შესახებ ყოველი საქმე მწიგნობართუხუცესს ევალებოდა. ამიტომაც „ქართლის ცხოვრებაში“ ანტონის შესახებ ნათქვამია, რომ იგი იყო „შემეცნებული საურავთა ეკლესიათა და მონასტერთაო.“

ერთ ეპიზოდში იგი დასახელებულია თამარის დროის ცნობილ ისტორიულ პირებთან ერთად: „მიმოიხილეს გარემოს და იხილეს მიქაელ პატრიარქი ყოველთა ებისკოპოზითურთ მდგომი, და ვაზირი ანტონი, და ამირსპასალარი ყუბასარ, და სხუანი კელისუფალნი: ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთ-უხუცესი, ვარდან დადიანი ჩუხჩარხი, ჭიაბერი მეჯინიბეთ-უხუცესი, აფრიდონ მსახურთ-უხუცესი, ივანე [...] და დიდებულნი, აზნაურნი...“¹

ანტონის გამორჩეულ თვისებებზე საუბარია მატიანის სხვა ადგილებში, როცა მიქაელ ქართლის კათალიკოსისა და ამირსპასალარ გამრეკელ-თორელის გარდაცვალებაზეა საუბარი: „...გამორჩევასა შინა ორთა – ვაზირთა და სპასპეტთასა, – თანადგომითა და ერთნებაობითა შუდთავე სამეფოთა დიდებულთათა ბრძანა დამტკიცებად ჭყონდიდლად და მწიგნობართ-უხუცესად და ვაზირად [ანტონ]ი, გაზრდილივე მამისა მათისა, ბრძენი და გონიერი, პატრონთათუც სჯანი და ერთგული და შემეცნებული საურავთა. და განაჩინა ამირსპასალარი სარგის მჭარგრძელი...“²

მიქაელ IV კათალიკოს-პატრიარქად 1178–1187 წლებში იმყოფებოდა კათალიკოს-პატრიარქ ნიკოლოზ I გულაბერისძის შემდეგ, რომელმაც 1178 წელს დატოვა საკათალიკოსო ტახტი და ჯერ ათონზე, ხოლო შემდეგ იერუსალიმში გაემგზავრა. თამარის გამეფების შემდეგ მიქაელმა არა მარტო ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა ჩაიგდო ხელში, არამედ სამთავისისა და აწყურის კათედრებიც დაიკავა. როგორც ჩანს, თამარი შეეცადა მის გადაყენებას და ამისთვის საეკლესიო კრებაც კი მოიწვია, რომელსაც ქუთათელ ანტონ სადი-

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ; 1959. გვ. 25.

² ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 32.

რის ძესთან ერთად უძღვებოდა იერუსალიმიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი ყოფილი კათალიკოს-პატრიარქი ნიკოლოზიც. ამ უკანასკნელთ არ მოუნდომებიათ, რომ მიქაელ პატრიარქი კრებას დასწრებოდა მისი უღირსი საქციელის გამო. მიუხედავად ასეთი მცდელობისა, მიქაელ მირიანის ძეს ისეთი ძალაუფლება ჰქონია, რომ საკათალიკოსო ტახტის შენარჩუნება მოუხერხებია, თუმცა კრების მოწვევას იმ მხრივ მაინც ჰქონია შედეგი, რომ რამდენიმე უღირსი ეპისკოპოსი თავიანთი კათედრებიდან ჩამოუცილებიათ და მათ მაგივრად ღირსეულები უკურთხებიათ. გაუმართავთ შებღალული საეკლესიო წესებიც.

მიქაელ პატრიარქი არც საზოგადოების სიყვარულით სარგებლობდა. „მოკუდა ქართლისა კათალიკოსი, ჭყონდიდეელ-მწიგნობართუხუცესი, ქართველი, მირიანის ძე მიქაელ, რომელსა აქუნდა სამთავისიცა, და არავინ შეწუნა მისთვის, არცა დიდი და არცა მცირე, რამეთუ ყოველნი სძულობდეს. მოკუდა ამირსპასალარი გამრეკელი და ესე ყოველთა იგლოვეს...“

თამარ მეფემ, მიქაელის გარდაცვალების შემდეგ, კვლავ დაუბრუნა კათალიკოსის მიტაცებული კათედრა ანტონ გლონისთავის ძეს. „ხოლო თამარ ევედრებოდა ღმერთსა და იგონებდა, თუ ვის მიანდოს დავით, და სპა თუსი, და განსაგებელი სახლისა თუსისა. რომლისათუსცა არა არცხუნა ღმერთმან, არამედ ალავსო სიბრძნითა და მეცნიერებითა. და მიმოიხილა ყოველთა ზედა სამეფოსა თუსისა მთავართა, და განიცადა თუალითა გონებისათა, მიანდო ღმერთსა საქმე, მოიყვანა ანტონი გლონისთავის-ძე გარეჯით, რომელი პირველ ჭყონდიდეელ იყო და მიქაელ კათალიკოსმან მას მისტაცა, მოძმაცუთა ვიეთმე მეფისა განმზრახთათა; ესე მოიყვანეს, ნამდვლვე კაცი ღირსი ქებისა, ჭეშმარიტი ქრისტიანე, მართა-

ლი, წრფელი, უმანკო, სახიერი, მოწყალე ყოველთა, ტკბილი, მდაბალი, პატრონისა ერთგული უზომოდ, ეკლესიათა და მონასტერთათჳს რადლა საკმარ არს თქუჲმად: თუთ წამებენ ქმნილნი მისნი ყოველთაგან, ვითრცა მღჳმესა და კლარჯეთს თუთ მის მიერ ქმნილსა მონასტერსა და ყოველთა ადგილთა. ესე დასუეს ვაზირად, მისცეს **ჳყონდიდი, სამთავისი, კისის-კევი და მწიგნობართ-უხუცესობა**, რამეთუ მართალსა უკეთუ უბრკუმეს, არავე დაეცეს.⁴¹

როგორც ჩანს, ანტონ გლონისთავისძეს დიდი ღვაწლი გაუწევია შიო-მღვიმისა და კლარჯეთის მონასტერთა აღმშენებლობა-აღორძინების საქმეშიც.

განსაკუთრებულ შემთხვევაში ჳყონდიდელ-მწიგნობართ-უხუცესი, თუმცა მონაზონი იყო, მაგრამ ომშიაც მიდიოდა და საქართველოს მხედრობას ბრძოლის ველზე მიჰყვებოდა. შეიძლება ითქვას, რომ, როგორც დავით აღმაშენებელს მუდმივად მხარში ედგა და აძლიერებდა გიორგი მწიგნობართ-უხუცეს-ჳყონდიდელი, სწორედ ასეთივე პიროვნება ჩანს ანტონ გლონისთავის ძეც და იგი ყველა გადამწყვეტ მომენტში თამარის გვერდით იმყოფება, აძლევს რჩევებს, ამხნევებს და ერთგულად ემსახურება.

შამქორის ბრძოლის მზადებისას, „მას ჟამსა მწიგნობართა-უხუცესი ანტონიცა წინაშე იყო, კაცი შესახედავითაცა ჳაბუკი და გუარტომად. მას უბრძანა წარძღუანვა ძელისა ცხოვრებისა, რომელ არს სკიპტრა და ჯაჭუ-ჭურ მეფეთა. განმამკნობელნი ურთიერთარსისანი, მომგონებელნი ქრისტეს მათისათჳს ვნებათანი, აღმხილველნი ღმრთისა და მითუალუ-ლნი, და მისდა შვერდომითა თაყუანისმცემელნი, შემვედრნი

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 122–123.

სულთა და სხეულთანი მოაჯსენებდეს ერთი-ერთისა სიმკნესა, მარჯუებულობასა პაპათა და მამათასა...“¹

1195 წელს, როცა თამარ მეფეს შამქორის ბრძოლაში გამარჯვებას აუწყებენ, ანტონ ვაზირი სიხარულით მიეგება მას და ბოძებული საჭურჭლის გამო, მონაზვნის შესაფერის თავმდაბლურ ქცევას გამოავლენს: „...მაღლიანითა და ჭეშმარიტითა პირითა კურთხეული ესევეთარი აჩუენეს აწ საქმისა გამარჯუებულება. მიმკედრობითაღა სამე დევნისაგან შემოიქცა მეფე და მიეგება წინა ანტონი ვაზირი კელგაპყრობით მაღიდებელი ღმრთისა და თუთ ავსილი ლართა და საჭურჭლითა ათაბაგისათა, რომელმან რიდობითა მონაზონობისათა არა იკადა მახული და მისრულმან სამითა ყრმითა შემოაქცია სამასი ჯორი და აქლემი.“² ამდენად, მწიგნობართუხუცესს საქართველოს სპაზე ზრუნვაც ევალებოდა.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, „მწიგნობართუხუცესი ვითა მამა არს მეფისა, ეგრე ყველა საურავი უმისოდ არ იქნებისო.“ იგი იყო მეფის მუდმივი „განმზრახი“, მრჩეველი, თანამშრომელი და მისი სახელმწიფო მოღვაწეობის „თანა-განმკაფელი.“

თამარ მეფეს რომ ანტონის სიბრძნის, გონიერების, ლოცვისა და მაღლის იმედი ჰქონდა, ეს ბასიანის ომის წინაც (1202 წელს) გამოჩნდა, როცა მას არა მარტო ჯარის შეკრებისკენ, არამედ ლოცვების გაძლიერებისკენაც მოუწოდა, რის მაგალითს თვით კეთილმსახური მეფეც ყოველთვის იძლეოდა. სწორედ ასეთი მეფის, კათალიკოსის, ეპისკოპოსთა, ვაზირთა თუ უბრალო ხალხის სამშობლოზე ერთობლივი ზრუნვა იღებდა ხოლმე წარმატებულ შედეგებს და ამ ერთსულოვან, გონივრულ მოქმედებებს მოჰყვებოდა ხოლმე დიდე-

¹ იქვე, გვ. 69.

² ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 72.

ბული გამარჯვებებიც.: „...მოუწოდა ყოველთა ვაზირთა თუს-
თა და შეიქმნა გამორჩევა. უბრძანა ჭყონდიდელსა ანტონის
არა ავითა გულითა, არცა დედაკაცურითა სიტყვითა, არამედ
ესრეთ: „ისწრაფეთ დაწერად და მიმოღადვეით ბრძანება, რა-
თა მსწრაფლ შემოკრებს მკედრობა. და კუალად მიუმცენით
ყოველთა ეკლესიათა და მონასტერთა, რათა დაუცადებელნი
ღამისთევანი და ლიტანიობანი აღესრულებოდინ ყოველსა
ადგილსა. და წარგზავნეთ ფრიადი საფასე და საკმარი გლა-
ხაკათათუს, რათა მოიცალონ ლოცვად და მოწყალე ყონ ღმე-
რთი, ნუ სადა თქუან წარმართთა: სადა არს ღმერთი იგი
მათი.“¹ და კიდევ: „...ულოცა მათ და შეავედრნა ღმერთსა,
წარუძღუნა ძელი ცხოვრებისა და თანა წარატანა ანტონი
ჭყონდიდელი. ხოლო თუთ წარიკადნა სამოსელნი ფერკითანი,
და ფერკივ შიშულითა ფერკითა მიიწია ტაძარსა ღმრთისმ-
შობელისასა მეტეხთა, და წინაშე ხატსა მას წმიდასა მდებარე
არა დასცხრებოდა ცრემლითა ვედრებად, ვიდრემდის
სრულ ყო ღმერთმან სათხოველი მისი.“²

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი იყო აგრეთვე „მართ-
ლმსაჯული და ხელისამპყრობელი უღონოთა და ქვრივთა.“
ამის შესახებ ვრცელი ცნობები „ხელმწიფის კარის გარიგე-
ბაში“ მოიპოვება. მას საჭურჭლესთანაც ჰქონია კავშირი.
იგივე წყარო იუწყება, რომ მწიგნობართუხუცესი „საჭურჭ-
ლესაც შევაო.“ ივ. ჯავახიშვილის აზრით, ალბათ როგორც
მთავარი ზედამხედველი. „საურავთა ქმნა“ მას მეფის დაუ-
კითხავად არ შეეძლო. „მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ვი-
თარცა მთავარეპისკოპოზი და ვაზირი სასულიერო და საე-
რო, სახელმწიფო ხელისუფლებისა და დიდების შემაერთებე-

¹ იქვე, გვ. 125.

² იქვე, გვ. 126.

ლი იყო. იგი დიდ მონაზონთა ჯგუფშიაც ირიცხებოდა და ვაზირთა ყოველთა უპირველესადაც ითვლებოდა.¹

თუმცა მზაკვრობა, დალატი და გაუტანლობა ყოველთვის უშლიდა ხელს საქართველოს აღმასვლას და ეს ერთი გამოკვეთილი ისტორიული პირის ცხოვრების მაგალითითაც დასტურდება, როცა მატეიანეში მოთხრობილია ამბავი, თუ როგორ დაუხოცეს ძმები ქვეყნის მტრებმა, კახაბერისძეებმა ანტონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს, რომ მისი კეთილი საქმეები შეეფერხებინათ და ძლიერი დარტყმა მიეყენებინათ არა მარტო მისთვის, არამედ მეფისთვისაც.

„...დაწყებასავე ამისსა მეფობისასა მისვე დრკუსა ძირისა ნაყოფთა ლიპარიტეთთა, შვილთა კახაბერთა, რამეთუ იწყეს ძმაცუად და ბრძოლად მახლობელთა თჯსთა, რომელთა არცა მხილებულთა შეიგონეს, არცა წყალობათაგან თამარისთა შეიკდიმეს, არამედ ძუელად მათთჯს დაწერილი კუალად განახლდეს და კუდსა ძაღლისასა, გინა კუთხსა ფლასისასა ემსგავსებოდეს. და ქმნესცა დიდი ბოროტი: და **ორნი ძმანი ანტონი ჭყონდიდელისანი დაკოცნეს** და ამით შეაწუხეს მართალი იგი და განარისხეს თავთა თჯსთა ზედა ღმერთი და თამარ...“ ამის გამო მეფემ სასტიკად დასაჯა კახაბერისძეები. დანაშაულის ჩამდენი ხუთივე პირი თამარმა გამოსასწორებლად ჯერ ციხეში გამოამწყვდია, მაგრამ, რადგან ისინი თავისას არ იშლიდნენ, საბერძნეთში გადაასახლა, სადაც შემდეგში ყოვჩაყებმა მოკლეს.²

როგორც ცნობილია, ვაზირთა უპირველესს, ანტონ გლონისთავის ძეს, თამარ მეფის მიერ ბოძებული ადგილების

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I. თბ; 1928. გვ. 131-132.

² ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ; 1959. გვ. 131.

გარდა, ხელი მიუწვდებოდა ძამას ხეობაზეც, რაც დასტურდება აღნიშნულ ხეობაში მდებარე ყინწვისის ტაძარში მისი საექტიტორო ხასიათის პორტრეტის არსებობით. როგორც ჩანს, მისი, საეპისკოპოსო სამწყსო მოიცავდა ტერიტორიას ქსნის ხეობიდან მეჯუდა-ლიახვის ხეობამდე.

შ. ამირანაშვილის მართებული შენიშვნით, ქართული ხელოვნების ძეგლები, განსაკუთრებით, კედლის მხატვრობა, მინიატურა, რელიეფური ქანდაკება და ოქრომჭვლელობა შეიცავს სავსებით ზუსტ დოკუმენტურ მასალას, რომელიც საშუალებას გვაძლევს თითოეული ძეგლი დავათარილოთ ნახევარი საუკუნის ფარგლებით, მრავალ შემთხვევაში შესაძლებელია თარიღის დადგენა გაცილებით მეტი სიზუსტით. ამ მასალის მიხედვით, ჩვენ ამჟამად კარგად ვიცით არა მხოლოდ მეფეების, დედოფლების, დიდი სასულიერო პირების, დიდი მოხელეების – ვაზირების, არამედ ქართული ფეოდალური საზოგადოების უფრო ფართო სოციალური ფენების ჩაცმულობის ისტორიული ცვალებადობა.

მკვლევარი იხილავს რა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გამოსახული შოთა რუსთაველის ჩაცმულობის საკითხს, იქვე დასძენს, რომ სწორედ მისი მსგავსი ჩაცმულობა და მაღალი მოთეთრო ფერის მომრგვალებული ფორმის თავსაბურავი ახურავს ყინწვისის ტაძრის სამხრეთ კედელზე გამოსახულ მწიგნობართუხუცეს ანტონ გლონისთავისძეს. ასეთივეა ბეთანიის ტაძრის კედელზე გამოსახული მანდატურთ-უხუცესის სუმბატის თავსაბურავიც, რომელიც ღემნას აჯანყების შემდეგ ბერად აღიკვეცა („სუმბატ სვიმონ ქმნილი“) და სხვ. ამგვარი თავსაბურავი XII ს-ის II ნახევარში მიღებული ყოფილა საქართველოში დიდი ვაზირებისთვის. XII ს-ის მიწურულსა და XIII ს-ის I ნახევარში დიდ ვაზი-

რთა თავსაბურავი იცვლება, ქედის ზედა ნაწილი შედარებით წვეტიანი ხდება და ა. შ.¹

როგორც ქართული ფრესკული მხატვრობა მოწმობს, საქართველოში ვაზირები და ერისთავთ-ერისთავები მოწითალო იისფერ ზედა სამოსელს ატარებდნენ. ამ შესამოსლისთვის დამახასიათებელია გრძელი, ვიწრო ფორმის სახელო. ასეთი სამოსელი მეტად გავრცელებული ყოფილა საქართველოში უკვე VII საუკუნიდან, ბიზანტიაში კი მხოლოდ IX საუკუნის დამლევადან. ბერძნები მას „სკარამანგიონს“ ეძახდნენ, ქართველები კი – „სკარამანგს.“ ის საზეიმო ხასიათის ზედა ტანსაცმელს წარმოადგენს.²

არსებობს აგრეთვე ვანის ქვაბებში აღმოჩენილი ერთი წარწერიანი ქვა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ 1204 წელს (თამარის მეფობის მე-20 წელს) ანტონ ჭყონდიდელს მონასტრისთვის ზღუდე აუშენებია.

„ვაჰჰანის ქვაბთა განგების“ შემსწავლელი და მკვლევარი ლ. მუსხელიშვილი განმარტავს, რომ ტიპიკონს ახლავს გიორგი კათალიკოსის სიმტკიცის ხელრთვა და ერთი მინაწერი, რომელიც მურვან ღარიბაძეს ეკუთვნის. ძეგლის დამდებია ერისთავთ-ერისთავი მხარგრძელი სარგისისძე და სარგისის მამა. აქედან გამომდინარე ძეგლის დამდები და მონასტრის პატრონი თმოგველი იყო. 1190/91 წლიდან მოყოლებული თმოგვი მხარგრძელებს ეჭირათ, მანამდე კი იგი მეფის განკარგულებაში იყო და დიდ მოხელეებს ებოძებოდა ხოლმე სამფლობელოდ. მას შემდეგ, რაც თმოგვი მხარგრძე-

¹ შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ; 1961, გვ. 368-369.

² შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ; 1961, გვ. 369-370.

ლთა ხელში სამემკვიდრეო სამფლობელოდ იქცა, სარგისი თმოგველად იწოდებოდა. თმოგველებისათვის კი საგვარეულო მონასტერი იყო ვაჰანის ქვაბი, რომელიც 1204 წლამდე სამეფო მონასტრად ითვლებოდა და საბატონო მფლობელობაში ჯერ არ იყო გადასული. ეს უნდა მომხდარიყო 1204 წლის შემდეგ, რადგან საბატონო მონასტერს პირველი ვეზირი ანტონ ჭყონდიდელი, რასაკვირველია, ზღუდეს არ აუშენებდა.¹

ანტონ მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, მთავარეპისკოპოსი და პროტო ოპერტიმოსი მოხსენიებულია აგრეთვე თამარ მეფის გაცემულ სიგელში მღვიმისადმი (1195/1196 წწ.). მას წყალი გაუყვანინებია სხალტბიდან შიომღვიმის მონასტერში და მისივე თხოვნით, თამარ მეფემ მღვიმის მონასტერს „წყლის მკაზმავად“ შესწირა ორი კომლი სასეფო გლეხები: სუიმონ, გიორგი და იაბერ ქოსაისძენი. (Ad-81). საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს სასეფო გლეხები მოიხსენებიან „სახელით აფხაზთანი.“

„მოვიდა ჩუენ წ(ინაშ)ე ვაზირი ჩუენი ანტონი ჭ(ყონდიდე)ლი მ(თავარ)ე(ბის)კ(ოპო)სი, მწიგნობართ-[უხუცესი და] პროტოუპერტიმოსი და გუეჰაჯა და მოგუაჰსენა, რ(აითა)მცა [შ(ე)ვ(ი)წყ(ა)ლნ(ე)თ] და რ(ომე)ლი მღუიმეს, მონასტერსა სამლოცველოსა ჩუენსა, წყალი მიი[ყვანეს] სხალტბისაით და წყლისა მის სათავესა ზედა გლეხი ჯდა სასეფო[ი], მის წყლისა მკაზმავად იგი გლეხი, სამკუიდროდ შესაწირავად მღუიმისად, სული[სა] მისისათუის მას მიუბოძეთ.

დაგუაჯერა ლ(მერ)თმან და ვისმინეთ ჰაჯაი და მოჰსენებ[აი] მისი, ვაზირისა ჩუენისა ანტონი ჭ(ყონდიდე)ლ-მ(თავარ)ე(ბის)კ(ოპო)სისა, მწ(იგნობართ)უხუცესისაი და პროტოუპერტიმოსისაი და რომელი სხალტბას მის წყლისა მისგან

¹ ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, ტფ. 1939, გვ. 12-17.

მიღებულისა სათავესა ზედა გლეხი ზის, მიწად ერთი და კუამლად ორი, ქოსაისძენი, საუკუნოდ მის წყ[ლ]ისა მკაზმა-ვად, მღუიმიისა მონასტრისა შესაწირავად, მისდა მიგუითავი-სუფლებია.“¹

მეფე თამარისა და დავით სოსლანის შემდეგ სიგელს ამტკიცებს შიომღვიმის კრებული, სადაც ანტონს მოიხსენიებენ, როგორც „ქრისტეს სწორს.“ მეორე ადგილზე კი ქართლის მთავარეპისკოპოსი, მეფე თამართან ერთად, მას უწოდებს „ღმრთის სწორს“.

„ქ(რისტ)ეს სწორმან ანტონი ჭყონდიდ[ე]ლმან დიდითა ღუაწლითა და გ(უ)ლსმოდგინებითა და საფასოდთა აღუჰამრავითა, მოიყვანა წყაროდ ესე ნუგეშინის-საცემელად ამის უდაბნოსათ(უ)ს, რ(ომლ)ისა ს(აუ)კ(უ)ნომცა არს კსენებადსა სუფე(ე)ვად ყ(ოვე)ლთა წ(მიდა)თა თანა!“²

თვით ანტონ ჭყონდიდელი კი აღნიშნავს: „მე, მიწამან და მლოცველმან მეფობისა მათისამან ანტონი ჭყონდიდელმან, ვიხილე სახლი ღ(მრ)ისაი წ(მი)დაი უდაბნოი მღუიმი-საი და მას შინა მყოფნი წ(მი)დანი მამანი ჭირსა და იწროე-ბასა შინა ურწყულობისასა. და შემწეობითა წ(მი)დისა მამისა შიოისითა ვძებნე და ვპოე წყალი ადგილსა სხალტბისასა და კელ-ვყავ მოქმედებად და შეწევნითა მისითა მოვიყვანე წყაროი კარსა წ(მი)დისა ეკლესი(ი)ქსასა, ჟამთა წელიწდისა სამისათა, დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა...“³

როგორც ჩანს, ამ საქმის მოგვარება სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ანტონ ჭყონდიდელს იმდენი მოუხე-

¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, (IX-XIII სს.), შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 100.

² იქვე, გვ. 101.

³ იქვე, გვ. 102.

რხებია, რომ წყლის სათავეში სხვა წყალიც მოუძებნია: „და მასვე სათავესა თანა ვძებნე სხუაი წყალი, რ(ომე)ლი მკუიდ-რთა მის ადგილისათა არა მოაკლდა, ეგზო მივე და უმეტე-სიცა წყალი...“¹

არსებობს აგრეთვე ერთი (XV-XVI სს.) კარაბადინის (S-1274) ანდერძი, სადაც მისი ავტორი მოიხსენიებს ანტონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს და პროტო უპერტიმოსს, რომელსაც მისთვის ამ წიგნის თარგმნა დაუვალება: „ესე წიგნი სააქიმოდ, ოდეს რუქანდან სულტანი კარნუ ქალაქისა კართა ზედა გააქციეს, მუნით ალაფად მოიღეს. ქ(რისტე)ს მიერ პატრონი ჭ(ყონდიდელმან), მისმან მწიგნობართუხუცეს-მან, პროტოდ უპერტიმოსმან და ვაზირთა ყოველთა უპირვე-ლესმან კაცმან, გონებად მოზავმან და საღთოდთა მსჯავრთა მართლმსაჯულმან და ჳელის ამპყრობელმან უღონოთა და ქურიეთამან ქართულად მათარგმნინა მე, მიწასა მათსა ზოჯა ყოფილსა.“ (7 r).²

ჩვენი აზრით, ანტონის სამთავნელობა, ჭყონდიდელ-მწი-გნობართუხუცესობასთან ერთად, უნდა დათარიღდეს დაახ-ლოებით XII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 1184 წელს შორის და შემდეგ 1187/8-1204/5 წწ.

1205-1207 წლებს შორის ჭყონდიდელად ჩანს თეოდო-რე (ანჩის სახარების მინაწერი) და, შესაბამისად, სამთავნე-ლადაც სწორედ იგი უნდა მოვიხსენიოთ, რადგან, რაც ან-ტონ გლონისთავისძის ჭყონდიდელობის დროს იქნა მიღწეუ-

¹ იქვე, გვ. 103-104.

² ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ II, შედგენილია და დასაბუჳდად დამზადებული: ა. ბაქრაძის, თ. ბრეგაძის, ე. მეტრეველისა და მზ. შანიძის მიერ ე. მეტრეველის რედაქციით. თბ; 1961, გვ. 134.

ლი და დაბრუნებული, თეოდორეს დროსაც იგივე მოცემულობა უნდა დარჩენილიყო ძალაში. ყოველ შემთხვევაში, ამ პერიოდში სხვა სამთავნელი ეპისკოპოსი ცნობილი არ არის.

ანჩის სახარების ანდერძის მინაწერის მიხედვით ცნობილი ჭყონდიდელი თეოდორე, რომელსაც 1205/1207 წლებს შორის უნდა სჭეროდა აღნიშნული სახელი, ამ მინაწერში მხოლოდ ჭყონდიდელად მოიხსენიება.

„...ვინც გამოსწიროს ეს სახარება, გინა სხვა შეწირულობა ... თქუთ კურთხეულითა პირითა: სულსა თეოდორე ჭყონდიდლისასა, მშობელთა და ძმათა მისთასა შ(ეუნდვნე)ს ღ(მერთმა)ნ. სულსა შარიძეთასა შ(ეუნდვნე)ს ღ(მერთმა)ნ, სოფრომს და მშობელთა და ძმათა მისთა შ(ეუნდვნე)ს ღ(მერთმა)ნ.“¹

ანდერძის მინაწერში მოიხსენიებიან დავით სოსლანი, თამარ მეფე და ლაშა-გიორგი თანამეფობის ჟამს, ე. ი. არა უადრეს 1205 წლისა და არა უგვიანეს 1207 წლისა. რადგანაც მინაწერში მოხსენიებულია დავით სოსლანი, რომელიც 1207 წელს გარდაიცვალა, ამდენად, წინამორბედი ანტონ ჭყონდიდელის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი 1207 წლით უნდა შემოიფარგლოს.

წმ. მღ. პ. კარბელაშვილი კი თეოდორეს სამთავნელად ასახელებს 1056–1112 წლებში და თან მოიხსენიებს როგორც ყანჩაველს, ძე იოანესი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტონ ჭყონდიდელს დაუბრუნდა კათალიკოს მიქაელ მირიანის ძის მიერ მიტაცებული სამთავისიც და, სავარაუდოდ, მის

¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წ. I, ტფ. 1892 წ. (სტამბა მ. შარაძისა), გამოძც. „არტანუჯი“, თბ; 2004. გვ. 293.

მომდევნო ჭყონდიდელსაც ექნებოდა იგივე ხარისხი, მაგრამ 1056–1112 წლებში ამ მოვლენას ვერაფრით მოვათავსებთ.

ვერ გავიზიარებთ წმ. მღ. პ. კარბელაშვილის დათარიღებას ანტონ გლონისთავისძესთან დაკავშირებითაც. მისი ვარაუდით, ანტონი მოღვაწეობდა 1174–1230 წლებში. „ანტონი (გელოვანისძე). ამავე დროს ჭყონდიდელი და მწიგნობართუხუცესი. სამთავისის ეპარქიას განაგებდა 1181–1192 წწ. შორის. კათალიკოზი მიხაილი, რომელმაც ანტონი გააძევა ყველა თანამდებობიდან დავით გარეჯის უდაბნოში და თვით მითვისა,“ – ამბობს მკვლევარი.¹

ყინწვისის ტაძარში სამხრეთი მკლავის სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ მხარეს, წმინდა ნიკოლოზის გამოსახულების წინაშე, გამოსახულია ტაძრის მაშენებელი ეკლესიის მოდელით ხელში. მაშენებლის გამოსახულება ერთ მთლიან მხატვრულ კომპოზიციაშია წმ. ნიკოლოზის მცირე ზომის გამოსახულებასთან ერთად. მთლიანი გამოსახულება მოყავისფრო-მიხაკისფერი ზოლებისაგან შედგენილ ჩარჩოშია ჩასმული.

კომპოზიცია საგრძნობლადაა დაზიანებულ-გადარეცხილი ტაძარში ჩასული წყლით. დაზიანებული სახითაა შემორჩენილი მხოლოდ კომპოზიციის ზედა ნაწილი. ესაა წმ. ნიკოლოზის გამოსახულებისა და მშენებლის ქუდის, თავისა და მხრების მოხაზულობა. დეტალები მხოლოდ აქა-იქ განირჩევა. საგრძნობლადაა დაზიანებული ყავისფერი კონტური, რომელიც შემოვლებული ჰქონდა გამოსახულებებს. ტაძრის მოდელისგან შემორჩენილია მხოლოდ ფრაგმენტები.

მაშენებელს თავზე მომრგვალებული ფორმის თავსაბურავი ახურავს, რომელიც ამჟამად მოვარდისფრო ტონისაა. ტანთ მას მოყავისფრო-მოვარდისფრო სამოსი-მოსახნაში აც-

¹ საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1461, საქმე 17.

ვია. სახის ფერი მოყავისფრო-მომწვანოა. ჩანს მომწვანო-ყვი-
თელი ფერით შესრულებული თვალებისა და ცხვირის მონა-
ხაზის ფრაგმენტები.

მისი ჩაცმულობის შესახებ შ. ამირანაშვილი წერს,
რომ მას „...თავზე აქვს საერო თავსაბურავი მეფის გვირგვი-
ნის მსგავსი და არა საეკლესიო.“ მშენებლის პოზაში, მიუხე-
დავად მისი გამოსახულების ზედა ნაწილის დაზიანებისა, ხო-
ლო ქვედა ნაწილის თითქმის მთლიანად დალუპვისა, მაინც
ჩანს სიმშვიდე და გარკვეული სიდიადეც. მის ფიგურაში იგ-
რძნობა საკუთარ ღირსებაში დარწმუნებული ადამიანი, დიდი
კარისკაცი.¹

მაშენებლის გამოსახულების თავის სიმაღლეზე ძლიერ
დაზიანებული ორსტრიქონიანი წარწერაა. იგი თეთრი საღე-
ბავითაა შესრულებული. პირველი სტრიქონის მარცხენა მხა-
რე მთლიანად არის დაზიანებულ-გადარეცხილი, ისე, რომ
საღებავის კვალიც კი არ ჩანს. გადარჩენილია პირველი
სტრიქონის მარჯვენა მხარის დასასრული. აქ ოთხი ასოს
ფრაგმენტი ჩანს. ამათგან ზოგი უკეთესად იკითხება, ზოგი
კი ძალიან ძნელად.

დ. გორდეგვის აზრით, კტიტორის წარწერის ფრაგმენ-
ტის მეშვეობით იკითხება ტიტული „პროტოიუპერტიმოსი,“
ხოლო შ. ამირანაშვილი მიიჩნევდა, რომ წარწერიდან იკით-
ხება მხოლოდ „უპერტიმოსი.“

„უპერტიმოსი,“ როგორც სასულიერო პატივი, ღირსება
ბიზანტიაში გვხვდება, პროტოსუნგელოსთან, სუნგელოსთან
და რექტორთან ერთად. ბიზანტიაში ეს პატივი ყველაზე უფ-
რო მაღალი სასულიერო პატივია ჩამოთვლილ ტიტულთა

¹ შ. ამირანაშვილი, შოთა რუსთველის პორტრეტი იერუსალიმის
ჯვარის მონასტერში, „საბჭოთა ხელოვნება,“ 4, თბ; 1961, გვ. 67; მისი-
ვე: ქართული ხელოვნების ისტორია, თბ; 1961, გვ. 369-745.

შორის. ამ პერიოდის ისტორიულ საბუთებში „კპერტიმოსი“, „პროტოკპერტიმოსის“ ფორმით გვხვდება რამდენიმე ადგილას, ივ. ჯავახიშვილის აზრით კი, „პროტოკპერტიმოსი“ „კპერტიმოსთ-უხუცესს“ უნდა უდრიდეს.¹

„პროტოკპერტიმოსი“ მოხსენიებულია ერთ ხელნაწერში, რომელიც გამოქვეყნებული აქვს ექ. თაყაიშვილს, სადაც ამ პატივით ნახსენებია ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი და ვაზირთა უპირველესი. ასევე ამავე სიტყვას ვხვდებით თამარ მეფის სიგელში შიომღვიმისადმი, სადაც ანტონ ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი და მწიგნობართუხუცესი მოიხსენიება როგორც „პროტოკპერტიმოსი.“

კ. ვაჩიშვილმა ამ სიტყვის ეტიმოლოგიის ძიების მიზნით მოიშველია დიუკანჟის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც „კპერტიმოსი“ მიტროპოლიტის ტიტულია, ხოლო აკად. მ. ბროსეს აზრით, ჭყონდიდელი „პროტოკპერტიმოსის“ ტიტულით განიხილებოდა როგორც ქართველ მიტროპოლიტთა შორის უპირველესი. ამდენად, ყინწვისის მაშენებელი ჩანს, რომ მიტროპოლიტის და „კპერტიმოსის“ ხარისხს ფლობდა ან იგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესია და „პროტოკპერტიმოსის“ პატივის მატარებელი. ამასთანავე საქმე უნდა გვექონდეს უფრო მაღალი რანგის სასულიერო პირთან, „დარბაზის კარის მოხელესთან.“ მისი გამოსახვა მეფის ოჯახის პირდაპირ ისეთივე მასშტაბით, მონუმენტურობის იმავე პრინციპების დაცვით მკვლევარს აფიქრებინებს, რომ იგი სწორედ დიდი მოხელეა, „ვაზირთა ყოველთა უპირველესია,“ მთავარეპისკოპოსი, მწიგნობართუხუცესი, მეფის პოლიტიკის განმახორციელებელი. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იგი მაშენებელია ამ ეპოქისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტაძ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაწილი I, ტფ; 1928. გვ. 128.

რისა, რომელიც მოხატულია ჩვენთვის უცნობი დიდი ხელოვანის მიერ.¹

პროფ. დ. გორდევეისა და აკად. შ. ამირანაშვილის აზრით, ყინწვისის მაშენებელი სამხრეთის კედელზე ეკლესიის მოდელით ხელში წარმოდგენილი თამარ მეფის პირველი ვაზირი ანტონ გლონისთავის ძეა, აღზრდილი და დაწინაურებული მეფე გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) მიერ. ანტონი თანამედროვეა თამარის მეფისა (1184-1213 წწ.) და მისი ზეობა თამარის მეფობის წლებს ემთხვევა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ თამარის მეფობაში ჩანს სამი მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი: ანტონ გლონისთავისძე, მიქაელ კათალიკოსი, კვლავ ანტონი და თეოდორე. მკვლევართა აზრით, ანტონი პირველად მწიგნობართუხუცესად ყოფილა 1184 წლამდე. ივ. ჯავახიშვილის აზრით, მიქაელ კათალიკოსს ეს სახელო მიტაცებული ჰქონდა 1190-1191 წლამდე, ხოლო აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით – 1190 წლამდე.² ანტონის მეორედ მწიგნობართუხუცესობის წლებია 1190-1204, ხოლო მის შემდგომ ამ პოსტზე თეოდორეა 1205/6 წწ.

ჩვენი აზრით, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1187/8 წლიდან მიქაელ პატრიარქის შემდგომი კათალიკოსი თეოდორე II 1187 წლის თამარ მეფის გელათისადმი შეწირულების

¹ კ. ვაჩეიშვილი, ყინწვისის მშენებლის გამოსახულების შესახებ, საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXXII : 3, თბ., 1963 წ. დეკემბერი. გვ. 748.

² ნ. ბერძენიშვილი. სავაზირო ფეოდალურ საქართველოში (ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი), „ენიკი“-ს მოამბე, V-VI, თბ., 1940, გვ. 411.

სიგელში მოიხსენიება როგორც დამამტკიცებელი,¹ ასევე 1189 წლის მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის ჭიბურის მღვიმისადმი გაცემულ სიგელში² და 1189/1200 წლებს შორის შედგენილ მღვიმის კრებულის ტოხაისძეებისადმი მიცემულ სიგელში,³ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი საკათალიკოსო ტახტზე დაახლოებით, 1187/8 წლიდან აღის. 1191 წელს თამარი სხვა ეპისკოპოსებთან ერთად მას აგზავნის სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულ ღიდაგვაროვან ფეოდალებთან მოსალაპარაკებლად. ამდენად, ანტონის სახელოს დაბრუნების თარიღი შესაძლოა იყოს არა 1190 წელი, არამედ უფრო ადრე, 1187/8 წლები.

კ. ვაჩიშვილი ყინწვისის ფრესკის დათარიღებისთვის, გამოიციხავს ანტონ ჭყონდიდელის პირველ ზეობას და მიქაელ კათალიკოსის ზეობას, რადგან ლაშა გიორგი მხოლოდ 1192-1193 წლებშია დაბადებული, ეს უკანასკნელი კი გამოსახულია ყინწვისის მშენებლის პირდაპირ თამარ მეფესა და გიორგი III-თან ერთად ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე. მისი აზრით, რჩება ანტონის მეორე ზეობა და თეოდორეს ზეობის წლები, უპირატესობას კი წყაროებში კარგად ცნობილ ანტონს ენიჭება, რომელიც გამოხატულია მეფეებთან ერთად, მათ პირდაპირ.⁴ გარდა ამისა, თეოდორე ანის სახარებაში მხოლოდ ჭყონდიდლად არის მოხსენიებული, მაშინ როცა ან-

¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, (IX-XIII სს.), შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 80.

² იქვე, გვ. 95.

³ იქვე, გვ. 85.

⁴ კ. ვაჩიშვილი, ყინწვისის მშენებლის გამოსახულების შესახებ, საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXXII : 3, თბ; 1963 წ. დეკემბერი. გვ. 748.

ტონ გლონისთავისძეს არაერთი სხვა ღირსება და პატივიც გააჩნია.

ვაჰანის მონასტრის წარწერის მიხედვით, ანტონი უკანასკნელად ჭყონდიდელად 1204 წელს ჩანს. ანჩის სახარების მინაწერის მიხედვით კი, ვარაუდის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თეოდორე ჭყონდიდელია 1205 და 1207 წლებში. თუმცა იგივე ვარაუდი შესაძლოა ანტონზეც გამოითქვას. უდავოა მხოლოდ ის გარემოება, რომ 1207 წელს თეოდორე ნამდვილად ჭყონდიდელია და ეს წელი არის ანტონის ზეობის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი. რადგან ყინწვისის კტიტორთა პორტრეტები ერთი დროისად ითვლება, საფიქრებელია, რომ ანტონის გამოსახულება შესრულებულია თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში.

კ. ვაჩიშვილის აღდგენით, ყინწვისის წარწერა ასე უნდა იკითხებოდეს:

[ანტონ ჭ-ლი მ-ეკსი	მწიგნობარ]თა
უხ[უცესი პროტო	კ]პერტ][იმ]ოსი. ¹

მისი აზრით, აქ იქნებოდა მხოლოდ ანტონის ძირითადი ტიტულები, რომლებიც გულისხმობდა სხვა დანარჩენს. მკვლევარს, „მწიგნობართუხუცესი“ და „ჭყონდიდელი“ იმიტომ მიაჩნია აუცილებლად, რომ ორივე ეს „ჭელი“ სრულიად დამოუკიდებლად იხმარება და ქრონოლოგიურადაც ისინი სხვა დანარჩენ „ელზე“ ადრე გვხვდება. ამგვარად, ყინწვისის ტაძრის მაშენებლად მას ანტონ მწიგნობართუხუცესი მიაჩნია და, ამავე დროს, შესაძლებლად მიაჩნია, რომ იგი მისი მომხატველიც იყოს.²

¹ იქვე, გვ. 750.

² კ. ვაჩიშვილი, ყინწვისის მშენებლის გამოსახულების შესახებ, საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXXII : 3, თბ; 1963 წ. დეკემბერი. გვ. 751.

XI საუკუნესთან შედარებით XII–XIII სს-ში საქართველოს სახელმწიფოს თითქმის ყოველი ხელისუფლის უფლება-მოვალეობა გართულდა და გაიზარდა. ეს გამოწვეული იყო სახელმწიფოს იმ სწრაფი ზრდით, რომელსაც ამ დროს ჩვენი ქვეყანა განიცდიდა. მაგრამ არც ერთ ხელს ისეთი ცვლილება არ განუცდია, როგორც მწიგნობართუხუცესობამ განიცადა.

ცნობილია, რომ თითოეული ხელი ამ ეპოქაში მიწისმფლობელობასთან იყო დაკავშირებული. სამსახურის სამაგიეროდ ხელისუფალთ მეფისგან წყალობად ეძლეოდათ მფლობელობის ამათუიმ სახით მთელი მხარეები, ქალაქები, ციხეები, სოფლები. მაგრამ ამ „საპატიო“ თუ „სახელო“ ქონების გარდა, თითოეულ ხელისუფალს, როგორც დიდგვარიანს, „სამამულო“ ქონებაც დიდი ჰქონდა.

ამასთანავე თითოეული ხელი აღნიშნულ ხანაში სამემკვიდრეოდ გარდაქცევის მიდრეკილებას ატარებს.

ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, არც ერთი ამათვანი არ ახასიათებდა მწიგნობართუხუცესობას. მიწისმფლობელობასთან მის კავშირზე ზედმეტია ლაპარაკი მას შემდგომ, რაც ჩვენ ვიცით, რომ მწიგნობართუხუცესი მონაზონი იყო, ხოლო მონაზონს ქვეყნის (ქალაქის, ციხის, სოფლის) საკუთრებად თუ სახარაჯოდ ქონება არ შეეძლო. ასევე ვერ გამოიჩინდა მწიგნობართუხუცესობა სამემკვიდრეოდ გარდაქცევის მიდრეკილებას, რადგან მონაზონს მემკვიდრეები არა ჰყავდა.¹

მწიგნობართუხუცესობა სავსებით ცენტრალური ხელისუფლებისაგან იყო დამოკიდებული. რაც უფრო ძლიერი იყო მეფე (და სამეფო კარი) მით უფრო ძლიერი და მნიშვნელო-

¹ ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი) II. „ენიქის“ მოამბე, X (ცალკე ამონაბეჭდი), თბ; 1941, გვ. 281-282.

ვანი იყო მწიგნობართუხუცესობა და პირუკუ. ბუნებრივია, ამიტომ მწიგნობართუხუცესი ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება-განდიდების თავდადებული მომხრე და მოღვაწე უნდა ყოფილიყო.

დავით აღმაშენებელმა ეკლესია „ავაზაკთაგან“ გაანთავისუფლა, მისი მართვა-გამგეობა საეკლესიო ხელისუფლებას დაუტოვა, ხოლო უკანასკნელზე უშუალო ზეგავლენის მიზნით ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ინსტიტუტი დააკანონა.

X ს-ის დასასრულს ლიხთიმერეთის საეკლესიო რეფორმა დასრულებული ჩანს. გაქრა ბერძნული ეკლესია და მისი იერარქია. შეიქმნა ქართული იერარქია, რომლის უმაღლესი მეთაური აფხაზეთის კათალიკოსი ქართლის კათალიკოსს დაემორჩილა.

შემთხვევითი არაა, რომ სწორედ იმ დროს, როცა აფხაზეთის კათალიკოსის მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო ეცემოდა, ჭყონდიდელის პატივი და მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

გიორგი აფხაზთა მეფემ ჭყონდიდის საეპისკოპოსო შექმნა X ს-ის I ნახევარში. მისი იმთავითვე ქართულობა ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. ცნობილია ჭყონდიდის ერთი პირველთაგანი ეპისკოპოსი ქართველი საეკლესიო მოღვაწე და მწერალი სტეფანე სანანოისძე.

უკვე ბაგრატ IV დროს ის სამთავარეპისკოპოსოა და პირველი სამღვდელმთავრო (აფხაზეთის კათალიკოსის შემდეგ) ლიხთიმერეთში. ამ დროს უკვე ფოთის სამიტროპოლიტო გამქრალია და მისი პატივი ჭყონდიდელზეა გადმოსული. შემდეგდროინდელი წოდება პროტოკუპერტიმოსისა ჭყონდიდელს, შესაძლებელია, სხვა გარემოებასთან დაკავშირებით ჰქონდეს მინიჭებული. როგორც ფოთის მიტროპოლიტის მემ-

კვიდრე, ის მხოლოდ ჯკერტიმოსის პატივის მატარებელი შეიძლება ყოფილიყო.¹

ნ. ბერძენიშვილის აზრით, მწიგნობართუხუცესად უბრალო მონაზონი უხერხული იყო. საჭირო იყო მაღალი იერარქი, მეფის ხელისუფლების ერთგული და მისი ინტერესების გამტარებელი. ასეთი იყო სწორედ ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი. ის იყო უწარჩინებულესი დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსთა შორის. მას ახასიათებდა მეფის ხელისუფლებისადმი ერთგულების ორსაუკუნოვანი ტრადიცია და სწორედ მასზე შეჩერდა დავით აღმაშენებლის არჩევანი. ამგვარად მოხდა გაერთიანება მწიგნობართუხუცესის ხელში უმაღლესი საერო და საეკლესიო ხელისუფლებისა.

მწიგნობრობა და მწიგნობართუხუცესობა, როგორც სახელმწიფო თუ საკარისკაცო ხელი, საუკუნეებით წინ უსწრებდა ჭყონდიდლობას. ჭყონდიდლობის დაარსებისა და საქართველოს გაერთიანების შემდგომაც კი, მწიგნობართუხუცესობას ჭყონდიდლობასთან მთელი საუკუნის განმავლობაში არავითარი კავშირი არა ჰქონია. ჭყონდიდლობის მწიგნობართუხუცესობასთან შეერთება სულ სხვა ისტორიული მოვლენებისა და მიზეზების წყალობა იყო).²

ჭყონდიდლობისა და მწიგნობართუხუცესობის შეერთება აკად. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით 1103–1110 წლებს შორის უნდა მომხდარიყო.³

¹ ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი) II. „ენიქის“ მოამბე, X (ცალკე ამონაბეჭდი), თბ; 1941, გვ. 299-300; 282-283.

² იქვე, გვ. 301-302.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაწილი I, ტფ; 1928. გვ. 126.

გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი გარდაიცვალა 1118 წელს. მის შემდეგ მწიგნობართუხუცესობა დავით აღმაშენებელმა გიორგის დისწულს მისცა – სვიმონ ბედიელ-ალავერდელ მთავარეპისკოპოსს. 1123 წელს სვიმონი ჯერ კიდევ ბედიელ-ალავერდელია და მწიგნობართუხუცესი, ხოლო 1125 წელს ის უკვე ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესია. გამოდის, რომ 1118–1125 წლებში ჭყონდიდელი ვილაც უცნობი პირი ყოფილა და არც თუ სასურველი დავითისათვის. ამრიგად, ამ წლებში მწიგნობართუხუცესობა და ჭყონდიდლობა ურთიერთისაგან გაყრილან. 1125 წლიდან კი, XIII ს-ის I ნახ-ის გასვლამდე მაინც, ეს ორი ხელი განუყრელნი არიან.

1141 წელს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესად ისევ სვიმონი ჩანს. მას ამტკიცებს უბისის „სოჯჭტის“ თარიღიანი წარწერა.¹

სვიმონის შემდეგ უშუალოდ იოანე იქმნა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესად, თუ სხვა ვინმე იყო, არ ჩანს. 1161 წელს კი ანისის ალების დროს გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) „თანა ვაზირობდეს იოვანე მწიგნობართუხუცესი და სუმბატ სუმონ ქმნილი.“² მწიგნობართუხუცესია იოვანე 1178-1179 წელსაც. მისთვის ივირონში რამდენიმე განწესებიანი ალაპი დადგინდა მონასტრისა და ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურებისათვის.

n-155. „თუესა სეკლემბერსა კვ [26] ... [ალაპი იოანე მწიგნობართუხუცესისათვის] ... „რამეთუ მას ჟამსა, ოდეს ... კელინნი მონასტრისა ჩუენისანი გარდამწუარ იქმნეს, მაშინ

¹ ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი), „ენიმკი“-ს მოამბე, V–VI, თბ; 1940, გვ. 396.

² ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ; 1959. გვ. 7.

უკუწ, ვითარცა უღონობისა ფრიადისაგან მოცუულთა, სამნი ძმანი აღმოსავლეთს გავგზავნენით (იგულისხმება სამი მოკალმასე ბერი – მ. შ), ... მოუძღუანა ყოვლად წმიდა ევლოგია – პერპერად ლიტრად დ [4] და შემდგომად კუალად მისსა ფარჩი ა [1] ოქროსად და მისგან განსრულდა ხუთად ნუგეშინისსაცემელად უღონობისა ჩუენისა და საუნჯედ სულისა მათისა საუკუნოდ ... ამისათვის უკუწ განუჩინეთ მე, მამამან პავლე, მოძღუარმან, დეკანოზმან და ყოველმან კრებულმან, შინა მყოფთა და გარეთ დაყუდებულთა უდაბნოსათა...“¹

როდემდე დარჩა იოვანე ამის შემდეგ მწიგნობართუხუცესად, არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში, 1184 წელს გიორგი III-ის გარდაცვალების დროს მწიგნობართუხუცესი უკვე ანტონია.

ელ. მეტრეველი ვარაუდობს, რომ იოანე მწიგნობართუხუცესის ალაპები კათალიკოს ნიკოლოზ გულაბერისძის დაწერილია, რომელმაც 1178 წელს დატოვა კათალიკოსობა და ათონზე 1179/1181-1183 წლებში იმყოფებოდა (1183-84 წლებში ის უკვე იერუსალიმშია).²

რადგან ალაპი დაახლოებით 1179-1183 წლებს შორის შედგენილი ჩანს, იგივე ალბათობით, ამავე წლებში, შესაძლოა, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი ანტონ გლონისთავისძეც იყოს და თუ ელ. მეტრეველის თარიღს მივიღებთ, მაშინ

¹ ივირონის აქტები II, (XI ს-ის შუა წლებიდან 1204 წ-მდე), დიპლომატიკური გამოცემა. სერია – უცხოენოვანი წერილობითი ძეგლები საქართველოს შესახებ, 2. შაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდისი, დენიზ პაპაზრისანთუ, ვასილიკი კრავარისა და ელ. მეტრეველის თანაავტორობით, თბ; 2008, გვ. 17-18.

² ელ. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ; 1998; გვ. 180-181; 259-261.

იოანე ამ დროს ან მოქმედი მწიგნობართუხუცესი გამოდის, ან ყოფილი. მკვლევარისვე აზრით, შემომწირველებზე „საა-ლაპე წიგნი“ არ იძლევა საშუალებას განვსაზღვროთ, საქარ-თველოში ცხოვრობდნენ ისინი თუ იმპერიაში.

ქართლის ცხოვრების მიხედვით, გარკვევით ჩანს, რომ საკათალიკოსო ტახტზე 1178 წელს ასულმა მიქაელმა ჭყონ-დიდელ-მწიგნობართუხუცესობა დაახ. 1184 წელს ანტონს „მისტაცა“ და არა იოანეს. ცხადია, რომ წაართვეს მას, ვი-საც ის მანამდე ეპყრა, თუმცა არ ვიცით, რამდენი ხნის წინ მიღებული ჰქონდა ანტონს აღნიშნული სახელო, ეს უნდა მომხდარიყო 1179-1184 წლებს შორის. ამის შემდეგ იგი დროებით გარეჯის მონასტერში მოღვაწეობს, ხოლო 1187 წელს, როცა კათალიკოსი მიქაელი გარდაიცვლება, მხოლოდ მაშინ შეძლებს მისთვის თამარ მეფე ძველი სახელოს დაბ-რუნებას.

შესანიშნავი გამოკვლევა მიუძღვნა აკად. ნ. ბერძენიშ-ვილმა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ინსტიტუტს და ამ ქრონოლოგიურ რიგს ძირითადადში ჩვენც ვიზიარებთ მცირეო-დენი განსხვავებებით:

გიორგი – 1103/4 წლიდან – 1118 წლამდის.

სუმეონ – 1118 – ჩანს 1141 წ.

.

იოანე ჩანს 1161 წ. – 1178 წლამდის.

ანტონ – 1178/9 – 1184 წ.

მიქაელ – 1184 – 1190 წწ.

ანტონ – 1190 – ჩანს 1204 წ.

თეოდორე – 1205/6 წწ.

.

არსენი – 1235 – 1248 (წლები დაახლოებითია).

ბასილი – 1248 (?) – 1265 წ.

.

გიორგი – XIV ს-ის მეორე ნახევარში.

მკვლევარი მიიჩნევდა, რომ, რა თქმა უნდა, ეს სია სრული არ იყო. მაგ., სვიმეონსა და იოანეს შორის, აგრეთვე თეოდორესა და არსენს შორის მწიგნობართუხუცესნი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, არსებულ წყაროებს მათზე ცნობა არ შემოუნახავთ. ხოლო თარიღების აქა-იქ გამოურკვევლობას შემდგომი კვლევა-ძიება შეასწორებდა.¹

ჩვენი აზრით კი, ქრონოლოგიური რიგი, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, დაახლოებით ასეთი უნდა იყოს:

იოანე – 1161–1179/1183 წლებს შორის.

ანტონ – 1179–1184 წლებს შორის.

მიქაელ – 1184–1187/8 წ-მდე.

ანტონ – 1187/8 წ-დან 1204/5 წწ.

თეოდორე – 1205-1207 წლებს შორის.

სამთავისის ტაძრის ქვაზე ამოჭრილია 1168 წლით დათარიღებული იოანე სამთავნელის ასომთავრული წარწერა, რომელიც უწინ კარიბჭეში ყოფილა ჩატანებული და შემდეგ დასავლეთის კედელში ჩაუტანებიათ. „ქ. ხატო ღ(მრ)თაებისაო, ადიდე შენ მიერ | დამყარებული ძლიერი და უძლეველი ღმრთივ გურ|გუნოსანი ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთ მეფე გიორგი | მე, **იოანე (ი-ნე) სამ[თავნელმა]ნ** მეფობისა მათისამან, აღვაშენე | კარისბჭე ესე სალოცველად მეფობისა მა-

¹ ნ. ბერძენიშვილი. სავაზირო ფეოდალურ საქართველოში (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი), „ენიქი“-ს მოამბე, V–VI, თბ; 1940. გვ. 411-412.

თისა. | ინდიქტიონსა მეფობისა მათისასა იბ, | ქორონიკონი იყო ტპჴ.“ (1168 წ.).¹

თ. ჟორდანიას აღნიშნავს, რომ მ. ბროსე თავის ლაპ-ში (გვ. 123), ამ ქორონიკონს კითხულობს, როგორც „სჟთ,“ რასაც შეცდომად მიიჩნევს.²

წარწერის მიხედვით, იოანე სამთავნელს სამთავისის ტაძრისთვის კარიბჭე აუშენებია, თუმცა 1168 წელს მიშენებული ეს კარიბჭე დღეისთვის აღარ არსებობს. წარწერა ადგენს გიორგი III-ის გამეფების წელს, „ინდიქტიონსა მეფობისა მათისასა იბ (12),“ ე. ი. 1156 წელს. (თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც ამ ინდიქტიონთან დაკავშირებით, გიორგის გამეფების წლად მიჩნეულია 1157 წელი, რაზეც ახლა აღარ შეეჩერდებით).

თ. ჟორდანიას აზრით, 1178 წელს უნდა იყოს დაწერილი დიად ძვირფასი უთავბოლო ტყავის გუჯარი გიორგი მეფისა, რომელიც დაცულია სინ. კანტ. გუჯრებში №412. ერთი მხარე გუჯრისა დაწერილია მხედრულად, ხოლო მეორე ხუცურად XIV საუკ. ხელით, სადაც ჩამოთვლილია ის, თუ სამთავისის სამწყსოს რომელ სოფლებს რა ჰმართებია სამთავნელის სასარგებლოდ.

სამთავნელებს განკერძოებული უფლება ჰქონდათ ეპარქიების დავლისა და სჯულის კანონით გასამართლებისა. თითოეულ სოფელს ჰმართებია გარკვეული რაოდენობის „ვეცხლი დრამა.“³

¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წ. I, ტფ. 1892 წ. (სტამბა მ. შარაძისა). გამომც. „არტანუჯი,” თბ; 2004, გვ. 259.

² იქვე, გვ. 259.

³ ქრონიკები, I, გვ. 264-265.

ეს ფაქტი აჩენს მოსაზრებას, რომ დაახლოებით XII საუკუნის 70-იან წლებამდე სამთავისის კათედრას ჯერ კიდევ სამთავნელი ეპისკოპოსები განაგებენ, ხოლო 70-იანი წლების ბოლოდან ამ ფუნქციას მეფის უპირველესი ვეზირი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ითავსებს.

ამ საკითხის ირგვლივ ისმის კიდევ რამდენიმე შეკითხვა: რა დროიდან შეითავსა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესმა სამთავნელობა, ანტონ გლონისთავისძის დროს, თუ უფრო ადრე? ვინ არის 1168 წლის სამთავისის ტაძრის წარწერით ცნობილი სამთავნელი იოანე? ხომ არ არის იგი ჩვენთვის კარგად ცნობილი მწიგნობართუხუცესი იოანე (1161–1178/9–1183 წლებს შორის), რომელიც შესაძლოა ისევე ფლობდა სამთავისის კათედრას, როგორც შემდგომში ანტონი? მისი წარწერიდან ეს არსად ჩანს. სხვა საისტორიო წყარო კი ამის თაობაზე არ გავაჩნია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მწიგნობართუხუცესი იოანე ჩანს, ჯერ კიდევ, 1161 წლის ანისის ბრძოლის ამბებთან დაკავშირებით, რომელიც მეფე გიორგი III–თან ერთად იმყოფება: „თანავაზირობდეს იოვანე მწიგნობართუხუცესი და სუმბატ სვიმონ-ქმნილი“¹

ამდენად, რადგან ამის დამამტკიცებელი სხვა წყარო ხელთ არ გვაქვს და დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცით, რომ ანტონ გლონისთავისძის დროს სამთავისს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი განაგებდა, ამჯერად ამით შემოვიფარგლებით. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მოცემულობა შენარჩუნდებოდა ანტონის შემდეგდროინდელ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესების დროსაც, XIII საუკუნეში მაინც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კი დასკვნის სახით გვინდა გამოვთქვათ შემდეგი ვარაუდები: ანტონ ჭყონ-

¹ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ; 1959, გვ. 7.

დიდელ-მწიგნობართუხუცესის პირველი ზეობა უნდა განისაზღვროს დაახ. 1178/9–1184 წლებს შორის და მეორე – 1187/8–1204/5 წწ. მისი სახელო და კათედრა მიქაელ პატრიარქს მიტაცებული უნდა ჰქონოდა 1184–1187/8 წლებამდე. ამ დროიდან სიგელებში იხსენიება უკვე კათალიკოს-პატრიარქი თეოდორე II (1187/8-1204/5 წწ.), რომლის დროსაც თამარ მეფემ ანტონ გლონისთავისძეს ძველი პატივი აღუდგინა. ამით დროებით დარღვეული საეკლესიო კანონები უკვე აღდგენილად ითვლებოდა. თუმცა ზუსტად როდემდე შენარჩუნდა ეს ვითარება, გარკვევით ამის თქმის საფუძველს წყაროების სიმცირე არ იძლევა.

დამოწმებანი:

1. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ; 1961.
2. შ. ამირანაშვილი, შოთა რუსთველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვარის მონასტერში, „საბჭოთა ხელოვნება“, 4, თბ; 1961.
3. ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ; 1959.
4. ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი), „ენიშკი“-ს მოამბე, V–VI, თბ; 1940.
5. ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი) II. „ენიშკის“ მოამბე, X (ცალკე ამონაბეჭდი), თბ; 1941.
6. კ. ვაჩიშვილი, ყინცვისის მშენებლობის გამოსახულების შესახებ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXXI, №3, 1963.

7. ივირონის აქტები II, (XI ს-ის შუა წლებიდან 1204 წ-მდე), დიპლომატიკური გამოცემა. სერია – უცხოენოვანი წერილობითი ძეგლები საქართველოს შესახებ, 2. ჟაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდისი, დენიზ პაპაზრისსანთუ, ვასილიკი კრავარისა და ელ. მეტრეველის თანაავტორობით, თბ; 2008.
8. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ; 1959.
9. ელ. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი, თბ; 1998.
10. ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქვაბთა განგება, ტფ. 1939.
11. საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1461, საქმე 17.
12. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, (IX-XIII სს.), შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ; 1984.
13. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ II, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული: ა. ბაქრაძის, თ. ბრეგაძის, ე. მეტრეველისა და მზ. შანიძის მიერ ე. მეტრეველის რედაქციით. თბ; 1961.
14. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წ. I, ტფ. 1892 წ. (სტამბა მ. შარაძისა), გამომც. „არტანუჯი,“ თბ; 2004.
15. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I. თბ; 1928.

Maia Shaorshadze
Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts
**ANTON GLONISTAVISDZE,
MTSIGNOBARTUKHUTSESI-CHQONDIDELI AND
ARCHBISHOP OF SAMTAVISI
(II HALF OF 12TH CENTURY AND FIRST DECADE OF
13TH CENTURY)
RESUME**

According to the historical sources it is known that in the period of reign of King George III and Queen Tamar, Anton Glonistavidze was at the position of Chqondideli-Mtsignobartukhutsesi and at the same time he was Archbishop of Samtavisi. Samtavisi belonged to him since late 70-ies of 12th century but Catholicos Michael Mirianisdze took over from him the position of Chqondidel-Mtsignobartukhutsesi and Samtavisi. After decease of Michael, Queen Tamar called Anton Glonistavidze from Gareji Monastery, returned to him the position of Chqondidel-Mtsignobartukhutsesi, granted to him Chqondidi, Samtavisi and Kisiskhevi.

The article provides the following offers: Anton Chqondidel-Mtsignobartukhutsesi first reign has taken place in the period from 1178/9 to 1184 and second – 1187/8-1204/5. Supposedly Patriarch Michael has taken away his position and bishop's throne in the period from 1184 to 1187/8. In this period, in the documents there is named Catholicos-Patriarch Theodor II, in the period of whose reign Queen Tamar has restored previous position of Anton Glonistavidze.

ქეთევან ხითარიშვილი
კორნელი კეკელიძის სახელობის
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილი, როგორც ლირიკოსი

მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრის საზოგადო მოღვაწემ და ისტორიკოსმა დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილმა, ფაქტობრივად, ქართველთა შორის, პირველმა მოჰკიდა ხელი საქართველოს ისტორიული ძეგლების შესწავლასა და აღწერას. ამ საქმეში მას ხელმძღვანელობდა ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე. გარდა სამეცნიერო საქმიანობისა, უნდა აღინიშნოს, რომ ის წერდა პიესებსა და ლექსებს. მისი შემოქმედება ლექსების სიმრავლითა და თემატური მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, თუმცა ატარებს იმ პერიოდისთვის ქართული პოეზიისათვის დამახასიათებელ ნიშნებსა და ტენდენციებს. მისი ლირიკის გაცნობის შემდეგ მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილის პოეზია განიცდის რომანტიკოსი პოეტების გავლენას, მასთან გვხვდება რემინისცენცია მათი შემოქმედებიდან.

მისი ლირიკიდან გამოირჩევა ლექსი „მოგონება, ანუ სამნი დრონი საქართველოსი“, რომლის შექმნას წინ უძღოდა შემდეგი ფაქტი – 1848 წელს მარი ბროსეს დ. მელვინეთუხუცესიშვილისთვის მიუწვდია ბორჯომის მთიან ადგილას აშენებული ეკლესიის „კიმოთის მანის“ (იგივე ტიმოთესუბანი) მონახულება და მის გარშემო არქეოგრაფიული ცნობების შეკრება. მართლაც, „კიმოთის მანის“ გარემო გახდა ერთ-

გვარი იმპულსი აღნიშნული ლექსის შესაქმნელად, რომელიც საქართველოს დიდებულ წარსულს წარმოაჩენს.

ლექსში საინტერესოა შოშიას მსგავსი შავი ფრინველის მხატვრული სახე, რომელსაც თითქოს ეკლესიის მიდამოებში დაუდია ბინა და პოეტს თამარის ეპოქას ახსენებს:

„შავო ფრინველო! შოშიას მსგავსო,

შენმა ჭიკჭიკმა, გული აღავსო.

ნეტარ რას იტყვი,

ევრეთ მყეფარე,რას იქმნებოდა, ეს არე მარე“¹

ლექსში დაწვრილებითაა გადმოცემულია ომის, გამარჯვებული ერის ლხინისა და ასპარეზობის სურათები:

„თუ ბურთაობით, მოედანს ვრცელსა,

ერთი მეორეს აძლევდა ხელსა,

ზოგან ჭიდილი, სიმარჯვით ძეგრა,

ზოგან ღიმბილით, ყოველთა ცქერა.

ზოგან ყვირილი, თავის უფლება

ზოგან ღვინის სმა და მოღზინება“²

დიდებული წარსულის სურათების წარმოდგენისას ჩანს პოეტის ტკივილიც, რადგან ყოველივე ის, რაც უკვე იყო, აღარ განმეორდება და ყველას სიკვდილის დაუნდობელი ხელი შეეხება. ის უკმაყოფილოა აწმყო მდგომარეობითაც და სამშობლოსგან განშორებას გლოვობს. ეს ფრინველიც თანამოაზრე პოეტის სულიერი განცდებისა:

„თუმც მოგონებით გახელებული,

მოსთქვამ უწყალოდ დაწყლულებული,

მაგრამ ვინ არის, შენი მსმენელი,

ვინ არს ნუგეშის, აწ მომცემელი“¹

¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც), დ. მელვინეთუხუცესის არქ. №48

² ხეც, დ. მელვინეთუხუცესის არქ. №48

ლექსის ფინალურ ნაწილში ავტორს შავი ფრინველის ხმა აგონებს მას, ვისაც „შენის ტახტი, სკიპტრა, გვირგვინი...“ ამგვარად, სამეფო რეგალიებია ჩამოთვლილი, ვფიქრობთ, აქ იგულისხმება მონარქი, რომელიც თავის მამულზე ზრუნავს: „ვინ განგვარინებს, მტერთაგან ვნებას, ვის ქვეშევრდომნი, ვცობთ განსვენებას? მაშ განავრძე ეგ შენი სტვენა და მით დამიტკბე, მე ყურთასმენა“. აღსანიშნავია, რომ მოცემულ სტროფში არ არის დაკონკრეტებული მეფის სახელი, ის ზოგადი ფორმითაა მოცემული, თუმცა საფიქრებელია, რომ პოეტი სამეფო ხელისუფლების აღდგენის ფარულ აზრს ატარებს. შესაძლებელია, რომ მონარქში ერეკლე მეფეც იყოს საგულგებელი, რომელიც მე-19 საუკუნის არაერთი პოეტის შთაგონების წყაროს, მათი შემოქმედების ერთერთი ცენტრალურ ფიგურასა და სათაყვანო წინაპარს წარმოადგენდა (ვახტანგ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი).

საინტერესოა ამ ლექსის გამოქვეყნების ისტორიაც. აღსანიშნავია, რომ 1860 წელს ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა ზემოთ განხილული ლექსის „მოგონება, ანუ სამნი დრონი საქართველოსის“ მეფესთან დაკავშირებული ფინალური ნაწილი, როგორც დამოუკიდებელი ლექსი, რომელსაც ჰქვია „ფრინველი“². ის დაბეჭდილია ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, ბ. ჯორჯაძის, დიმიტრი ბერიევის (ბერიშვილი) და სხვა პოეტების ნაწარმოებთა შორის. 1869 წელს ეს ლექსი თითქმის სრულად დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო სტროფი მონარქთან დაკავშირებით არ არის შეტანილი, გამოტოვებულია³. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მას შეეხო ცენზორის ხელი ან არ დაიბეჭ-

¹ იქვე.

² ჟ. „ცისკარი“, №7, 1860.

³ გაზ. „დროება“, №10, 1869.

და იმის გამო, რომ 1860 წელს ცალკე, დამოუკიდებელი ლექსის სახით გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“.

XIX საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ ადრინდელი პოეზიისგან მემკვიდრეობით მიიღო და შეითვისა აღმოსავლური ლიტერატურის ტრადიციები. ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში ჩანს ე. წ. „აღმოსავლური“ მოტივები (ქალისა და ღვინის კულტი), მათ კალამს ეკუთვნის მუხამბაზებიც. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლური პოეზიაში გამორჩეული პოეტური უფლებითაა მოსილი სიყვარულის სიმბოლოები – ვარდი და ბუღბული. ვარდბუღბულიანის პოეზიამ ფართო გავრცელებულა ჰპოვა ჩვენს ლიტერატურაშიც. დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილს აღნიშნულ მოტივზე შეუქმნია ორი ლექსი: „ვარდი“ და „ალბომში ვარდი“. ორივე ლექსი თითქმის იმეორებს ამ თემატიკაზე ქართველი რომანტიკოსების მიერ შექმნილი ლექსების განწყობას, ფრაზეოლოგიზმებსა და ლექსიკურ ერთეულებსაც:

*„ბუღბული, ვარდზედ მჯდარი, ეტყოდა მას მსტკინავი;
ვარდო, ვარდო, მტანჯავ ჩემო, გვერდებ გულთ
მტკინავი,*

*მადირსე, თუ როგორ არის გაშლა შენი მდინავი,
მწუხრსა აქეთ აქ ვზივარ, ფურცლებზედ მკონავი!
ასე ყეფდა ბუღბული, ოდესცა ღამე ბნელი,
მოიცვამდა ჭალებსა, ქროდა ნიავი ნელი“.*

(ნ. ბარათაშვილის ლექსი „ბუღბული ვარდზედ“).

*„ვარდსა დაჰყეფეს ბუღბული,
ტრფობით გახელებული,
დასახის მოლაღური
შეამკობს მას გუგული...“ (,ალბომში ვარდი“).*

*„ბურჯს დახარის ზურბუხტის ფეროვანსა,
ჭვრეტით აღნობს ბულბულს სახელოვანსა,
იგი ნაზი ვითა გული უმანკო
დაჰკოდს დასწყლავს მასვე ტკბილად ხმოვანსა...“
(„ვარდი“)¹.*

კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ დიმიტრი მელვინეთუხუცესიშვილის პირად არქივში გვხვდება მისი სატრფიალო ლირიკიდან შემდეგი ლექსები: „ტურფა იგივე ყოვლით მშვენიერი“, „ვნახე სატრფო ნარნართ ირხე-ოდა“ და „თევზლიში“. რაც შეეხება სალექსო ფორმებს, ის ხშირად იყენებს ჯვარედინ რითმას:

*„დავნატრი მას ვინც ტურფას დაემონოს,
მისსა მოტრფეს ნუ აქვს დაღონებანი,
გული ელობს ეტკბოს მისთვის ეგონოს
ემარბათოს ტუჩთა დაკონებანი“ („ტურფა იგივე
ყოვლით მშვენიერი“).²*

საინტერესოა დ. მელვინეთუხუცესიშვილის წერილი³, რომლის ადრესატია დიმიტრი ბაქრაძე. ამ წერილიდან ვიგებთ, რომ ის აქტიურად თანამშრომლობდა და ლექსებს აქვეყნებდა გაზეთ „დროებასა“ და ჟურნალ „მნათობში“, თუმცა ჩანს მისი უკმაყოფილება, რადგან ლექსების დაბეჭდვისას პერიოდული გამოცემები სიტყვებს ცვლიდნენ ან აკლებდნენ. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება ლექსი „ნამდვილი შემთხვევა“, რომელიც ქუთაისში მომხდარ რეალურ ამბავზეა აგებული, ეს ხელნაწერი საინტერესოა იმ კუთხით, რომ ლექსის ბოლოში ავტორს მიუწერია თავისი

¹ ხეც, დ. მელვინეთუხუცესის არქ. №44

² ხეც, დ. მელვინეთუხუცესის არქ. №46.

³ ხეც, დ. ბაქრაძის არქ. №113.

ფსევდონიმი დიმიტრი გვარგამელიძე, რომელიც ფსევდონიმთა ლექსიკონებში არ გვხვდება.

როგორც ვხედავთ, დ. მეღვინეთუხუცესიშვილის პოეზია განიცდის ქართველ რომანტიკოსთა გავლენას, რაც ბუნებრივიცაა, რადგან ისინი თანამედროვენი იყვნენ და ერთ პერიოდში მოღვაწეობდნენ. მისი ლირიკის შესწავლა კიდევ ერთხელ წარმოაჩენს აღნიშნული პიროვნების სულიერ სამყაროს, ხასიათსა და მისწრაფებებს.

დამოწმებანი:

1. ჟურნალი „ცისკარი“, №7, 1860.
2. გაზ. „დროება“, №10, 1869.
3. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დ. მეღვინეთუხუცესის არქ. № 44.
4. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დ. მეღვინეთუხუცესის არქ. №46.
5. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დ. მეღვინეთუხუცესის არქ. №48.
6. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დ. ბაქრაძის არქ. №113.

Ketevan Khitarishvili

Korneli Kekelidze National Centre of Manuscripts
DIMITRI MEGHVINETUKHUTSESISHVILI AS
LYRICIST
RESUME

Public figure and historian of 2nd half of the 19th century, Dimitri Meghvinetukhutsesishvili, in addition to studying and describing of Georgian historical monuments, was engaged in

writing of plays and poems. His art is not distinguished with abundance of the poems and thematic versatility though he bears the signs and trends characteristic for Georgian poetry of that period. After familiarization with his lyrics the reader has impression that Dimitri Meghvinetukhutsesishvili is subject to influence of romantic poets.

დავით ჯავახიშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში მოხსენიებული
ბატონიშვილი „ბოგუნის“ იდენტიფიკაციისათვის**

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ერთ-ერთი საყურადღებო ეპიზოდი ქართლის მეფის იესე I-ის (მეფობდა 1714-1716 და 1724-1727 წლებში) მეუღლის, ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიის კახეთის შტოს წარმომადგენლის – დედოფალ ელენე-ბეგუმის (1687-1750) ცხოვრებიდან.

გენეალოგიურად დადგენილია, რომ ქართლის დედოფალი ელენე-ბეგუმი გახლდათ დედა ბატონიშვილ თეიმურაზ იესეს ძისა (1720-1788), რომელიც ცნობილია კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის სახელით.¹

აქვე დავსძენთ, რომ ბაგრატიონთა კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარების ისტორია მონოგრაფიულად გვაქვს შესწავლილი² ასევე გამოქვეყნებული გვაქვს სტატი-

¹ ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, ავტორთა კოლექტივის სამეცნიერო სტატიების კრებული გენეალოგიური ნუსხებითურთ, თბ., 2003, ნუსხა №5.

² იხ: დ. ჯავახიშვილი, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარების ისტორიიდან, დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერის უფლებით, 2011.

ები ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ქართლის შტოს რამდენიმე წარმომადგენლის¹ შესახებ.

* * *

დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ვაჟა-ფშაველას (1861-1915) მდიდარ და მრავალფეროვან შემოქმედებით მემკვიდრეობაში გვხვდება მშვენიერი მოთხრობა „თეკლა-ბიჭი“. ის 1902 წელს გამოქვეყნდა მეორე მოთხრობასთან („ნიმიკაურის ხმალი“) ერთად, საერთო სათაურით – „ორი ამბავი მეფე ერეკლეზე მთაში დარჩენილი“.

მოთხრობაში ვკითხულობთ: „მთაში უბირის კაცისაგან ისეთ რასმეს გაიგონებთ ჩვენს სახელოვან ისტორიულ მოღვაწეებზე, რომლის მსგავსს ვერც ერთი ისტორიკოს-არხეოლოგი წიგნებისა და ნივთების ჩხრეკა-ძიებით ვერ აღმოაჩენს. უსწავლელს, უბირს კაცს არავითარი მზამზარეულად შედეგ-

¹ დაწვრ. იხ: დ. ჯავახიშვილი, მეფე ვახტანგ VI-ის პირდაპირი შთამომავლები, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეთა ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული „ქართული წყაროთმცოდნეობა“, ტ. XV-XVI, თბ., 2013; დ. ჯავახიშვილი, ქართლის მეფე იესეს ოჯახური გარემო და პირდაპირი შთამომავლები, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ტ. XIV, თბ., 2014; დ. ჯავახიშვილი, ქართლის მეფის ბაქარის პირდაპირი შთამომავლები, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ტ. XIV, თბ., 2014; დ. ჯავახიშვილი, უფლისწულ ალექსანდრე ბაქარის ძე ბაგრატიონის წინაპრები და მისი პირდაპირი შთამომავლები, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ტ. XV, თბ., 2014.

ნილი აზრი არა აქვს, ამბობს, რაც გაუგონია თავისავე მსგავსის უბირის პირით და ხშირად თითონაც არ ესმის, რას ამბობს. სწორედ ამიტომ არის ძვირფასი და საყურადღებო მისი ნაუბარი, მისი მოთხრობა.

აი, მაგალითად, ავიღოთ თუნდ მეფის ასულ თეკლა-ბიჭზე დარჩენილი ზეპირგადმოცემა. თეკლა-ბიჭს ფშაური თქმულება იცნობს „ბოგუნის“ სახელით...

ერთხელ ნასახელარმა, ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ერეკლემ თავის ლაშქარს ნადიმი გაუმართა... უბრძანა თეკლა-ბიჭს: „წადი, მერიქიფეს დოქი ჩამოართვი და ფშავლებს ღვინო შენის ხელით დააღვინე ყველას სათითაოდ“...

შეზარხოშებულ ჯვარისკაცთ დაავიწყდათ თავისი თავიც და მასპინძელიც; დაიწყეს ფშაურად მღერა. მოაყოლეს კაფიების თქმა. სხვათა შორის, ერთმა მეორეს „შაუმღერა“:

„ღვინოს გვირიგებს ბოგუნი,
შამეჯინჭრება მე გული“.

თეკლა-ბიჭმა ეს ძალიან იწყინა, მერიქიფეობას თავი დაანება და მეფეს შესჩივლა: „შენმა საქებურმა ფშავლებმა შეურაცხმევესო...“ უამბო ყველაფერი.

ერეკლეს „პირმა შასცინა“: – „ნუთუ ეგა გწყინს?“ – ჰკითხა მან ღიმილით, – „ჩემო თეკლავ, განა ეგ იმედი მაქვს შენი? ნუთუ ეგრე სულმოკლევცა ხარ? ფშავლები არიან. რა ვუყოთ, მაგათი წესი ეგ არის, დამშვიდდი!“...

ღიას, დიდებულმა გმირმა მეფემ იკისრა მწვერვალიდან დაბლა ჩამოსვლა“.¹

ზემოთმოყვანილი ტექსტიდან, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში გამოაქვეყნა ვაჟა-ფშაველამ, ნათელი ხდება ერთ-ერთი ბაგრატიონის ხელმწიფის თავმდაბ-

¹ ვაჟა-ფშაველა, მოთხრობები, კრებულში „ქართული პროზა“, ტომი XII, თბ., 1986, გვ. 370-372.

ლობისა და დიდსულოვნების დამადასტურებელი საყურადღებო ფაქტი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მცხოვრებ მთიელთა, კერძოდ, ფშაველთა ზეპირსიტყვიერებამ შემოგვინახა.

ჩვენს ყურადღებას იქცევს შემდეგი დეტალი: ფშაურ თქმულებაში შემონახული მეფე ერეკლეს ასულის სახელი – „ბოგუნი“ მწერალმა მიიჩნია მეფე ერეკლე II-ის ასულის – თეკლა ბატონიშვილის (მეტსახელად – „თეკლა-ბიჭის“) ერთ-ერთ სახელად. არადა, ფაქტია, რომ ეს ბატონიშვილი არცერთ საისტორიო წყაროში არ იხსენიება „ბოგუნის“ სახელით.

ერეკლე II თავისი ზემოხსენებული ასულის თეკლასადმი (1776-1846) გაგზავნილ წერილებში, რომლებიც დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში,¹ ხოლო ნაწილობრივ გამოქვეყნებულიც არის, მას მხოლოდ „თეკლა-ბიჭად“ მოიხსენიებდა.

1780 წლის 14 ოქტომბერს, მეფე ერეკლე II-მ თავის 4 წლის ასულს შემდეგი შინაარსის სახუმარო სიგელი უბოძა: „ვიბოძეთ ეს სიგელი შენ, ჩვენს ქალს – თეკლა ბიჭს. თუმცა აქამდის შენ ყველასაგან ქალად იყავი ცნობილი, მაგრამ ამიერიდან გიწყალობებთ ბიჭის სახელს და ვუბრძანებ ყველა შენს ძმებსა და დებს ამიერიდან გიწოდონ თეკლა-ბიჭი“.²

1781 წლის 29 მარტით დათარიღებულ წერილში მეფე თავის ასულს წერდა:

„თეკლა-ბიჭსა“. თეკლას, მამისა და დედის სიხარულის მადლი, წყალობა და მშვიდობა ღვთისა მიერ... თეკლანავ

¹ საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1448, ს. №188-189.

² ი. უთურაშვილი, თეკლა ბატონიშვილი, თბ., 1991.

ჩემო, შენი სიბრძნით სავსე წიგნი მომივიდა... შენ ხომ იცი, და გონიერი ქალიცა ხარ, როგორ მიამებოდა და მამებდა... ექვსი კარგი ბროწეული გამომიგზავნია. ხვალ ღვთით კიდევ ბევრს შაქრის ყინულს, ნულლს და შაქარს გამოგიგზავნი“.¹

1785 წლის 1 დეკემბრით დათარიღებულ წერილში ერეკლე II თავის ასულს წერდა: „ჩემო შინაგან გულის ნათელი თეკლავ... შენს ლამაზ პირს კოცნას მოგახსენებ... თუ ჩემი თეკლა ხარ, ყველანი ვინც შენნი იყვენ, მომიკითხე და კიდევ აკოცე ჩემს მაგიერ ყველას. და ამხანად ვერა გამოგიგზავნე რა, ნუ დამემღურები“.²

ზემოთ მოყვანილი წერილების ფრაგმენტები გამოქვეყნებულია სხვადასხვა წიგნებში.³

განსხვავებით ზემოხსენებულისაგან, დოკუმენტურად მტკიცდება, რომ მეფე ერეკლე I თავის ასულ ელენეს მოიხსენიებდა სახელით – „ბეგუმი“. მაგალითად მოვიყვანთ ხსენებული მეფის მიერ თავისი ამ ასულისადმი გაგზავნილ წერილს, რომელიც ასევე დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში.⁴

ზემოხსენებულ წერილში, რომელიც დაწერილია რუხი ფერის ქაღალდზე, მხედრული შრიფტით, ვკითხულობთ: „ბეგუმ! ქ. შენი ჭირი შეეყაროს მამაშენს, შვილო, ბატონო ბეგუმ. მერმე: მრავალი მოკითხვა და ჩემის დამტირებელის თვალებში კოცნა მომიხსენებია. მერმე: ბატონს დედათქვენს

¹ საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1448, ს. №189.

² საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1448, ს. №188.

³ ი. უთურაშვილი, თეკლა ბატონიშვილი, თბ., 1991, გვ. 7-8 12, 128-152.

⁴ საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1448, №1461.

დედოფალს მოახსენე აქ ნინოწმინდლის წიგნები უნახოს და, თუ წმინდის ნინოს შეწირული ყოფილიყოს, გაშინჯეთ და თუ წმინდის ნინოსი იყოს და ჰქონოდეს, თქვენც უბოძეთ“.¹

ამრიგად, ჩვენი ვარაუდით, ფშაურ თქმულებაში მოხსენიებულ ისტორიულ პიროვნებაში – „მეფე ერეკლე“, რომელსაც ჰყოლია ასული „ბოგუნი“, უნდა იგულისხმებოდეს ერეკლე I, რომელიც თავის ქალიშვილს იხსენიებდა სახელით – „ბეგუმი“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში ერეკლე I შეცდომით უნდა იყოს გაიგივებული თავისივე შვილიშვილთან – ერეკლე II-სთან, რაც ალბათ, განაპირობა ამ გვირგვინოსანთა სახელების იგივეობამ.

ასევე ფაქტია, რომ სახელები „ბოგუნი“ და „ბეგუმი“ დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მსგავსი ტიპის ცვლილებები არცთუ იშვიათად ფიქსირდება ზეპირსიტყვიერებაში.

დამოწმებანი:

1. ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, ავტორთა კოლექტივის სამეცნიერო სტატიების კრებული გენეალოგიური ნუსხებითურთ, თბ., 2003.
2. დ. ჯავახიშვილი, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარების ისტორიიდან, დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერის უფლებით, 2011.

¹ ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი, I, ქართული ეპისტოლური წყაროები (XV-1762 წ.), შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო *მ. ბერძნიშვილმა*, თბ., 1989, გვ. 29.

3. დ. ჯავახიშვილი, მეფე ვახტანგ VI-ის პირდაპირი შთამომავლები, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეთა ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული „ქართული წყაროთმცოდნეობა“, ტ. XV-XVI, თბ., 2013.
4. დ. ჯავახიშვილი, ქართლის მეფე იესეს ოჯახური გარემო და პირდაპირი შთამომავლები, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ტ. XIV, თბ., 2014.
5. დ. ჯავახიშვილი, ქართლის მეფის ბაქარის პირდაპირი შთამომავლები, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ტ. XIV, თბ., 2014.
6. დ. ჯავახიშვილი, უფლისწულ ალექსანდრე ბაქარის ძე ბაგრატიონის წინაპრები და მისი პირდაპირი შთამომავლები, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების სამეცნიერო შრომათა კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, ტ. XV, თბ., 2014.
7. ვაჟა-ფშაველა, მოთხრობები, კრებულში „ქართული პროზა“, ტომი XII, თბ., 1986.
8. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1448, ს. №188-189.
9. ი. უთურაშვილი, თეკლა ბატონიშვილი, თბ., 1991.
10. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1448, ს. №189.

11. საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1448, ს. №188.
12. ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები (1736-1797 წლები), ავტორ-შემდგენელი *მ. ჭუმბურიძე*, თბ., 2008.
13. საქართველოს ეროვნული არქივი. ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1448, №1461.
14. ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი, I, ქართული ეპისტოლური წყაროები (XV-1762 წ.), შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო *მ. ბერძნიშვილმა*, თბ., 1989.

Davit Javakhishvili

Iakob Gogebashvili Telavi State University

**FOR THE IDENTIFICATION OF THE PRINCESS
„BOGUNI“ MENTIONED IN THE STORY WRITTEN
BY VAZHA-PHAVELA
RESUME**

The presented research studies one of the significant episodes about king Iase I (reigned in 1714-1716 and in 1724-1727 years) wife's – Elene-Begumi's (1687-1750) the queen of the millennial dynasty of Kakheti branch of the Bagratians life.

It is established, that in one of the stories of the great Georgian writer Vazha-Pshavela (1861-1915) is mentioned the princess, which imply the above mentioned queen Elene, whose second name was „Begumi“ („Boguni“).